ი. სტალინი

თხზულებანი

1

იბეჭდება
საქართველოს
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И.В.СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва · 1946

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის საძართველოს ფილიალი

ი.ბ.სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი · 1947

ი.ბ.სტალინი

ტომი
1
1901–1907



И. Сталин.

გამოცემის წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა ეს კრებული გამოდის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით.

დღემდე ამხანაგ სტალინის ნაშრომთა მხოლოდ ნაწილი იყო გამოცემული ცალკეულ კრებულებად. ასე, მაგალითად, 1917 წლის ოქტომბრის წინა პერიოდის სტატიები და სიტყვები შეკრებილი იყო წიგნში «ოქტომბრის გზებზე», რომელიც ორჯერ გამოიცა 1925 წელს. 1932 წელს გამოიცა კრებული «ოქტომბრის რევოლუციის შესახებ», რომელიც შეიცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი მიძღვნილ სტატიებსა და სიტყვებს. ნაწარმოებები ნაციონალურ საკითხზე შესულია კრებულში «მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი», რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა. 1921—1927 წლების სტატიები და სიტყვები, რომლებიც უმთავრესად ეხება შინაპარტიულ საკითხებს და პარტიის მიმართ მტრულად განწყობილ ოპოზიციურ დაჯგუფებათა განადგურებას, შეადგენს ცალკე კრებულს «ოპოზიციის შესახებ». იგი 1928 წელს გამოიცა. გარდა ამისა, არის სხვა კრებულებიც, სადაც გაერთიანებულია ი. ბ. სტალინის სტატიები და სიტყვები, რომლებიც ეხება ერთ განსაზღვრულ თემას, მაგალითად, კრებულები:

«ლენინის შესახებ», «სტატიები და სიტყვები უკრაინის შესახებ», «გლეხთა საკითხი», «კომკავშირის შესახებ» და სხვ.

სხვადასხვა დროს გამოვიდა რამდენიმე კრებული, სადაც ერთად დაბეჭდილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომები: «1917 წლის რჩეული ნაწარმოებნი», «სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ», «ნაწარმოებთა კრებული საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისთვის» სამ ტომად, «ლენინი—სტალინი»—რჩეული ნაწარმოებნი ერთ ტომად, «პარტიული მშენებლობის შესახებ», «სოციალისტური შეჯიბრების შესახებ», «შრომის შესახებ» და სხვ.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებთა ყველაზე უფრო გავრცელებულ კრებულს დღემდე წარმოადგენს წიგნი «ლენინიზმის საკითხები», რომელიც თერთმეტ გამოცემად გამოვიდა. ამ წიგნის შემადგენლობა ყოველი ახალი გამოცემისას მნიშვნელოვნად იცვლებოდა: თითქმის ყოველი გამოცემა ივსებოდა ახალი ნაშრომებით; ამავე დროს წიგნის წინანდელი მოცულობის შესანარჩუნებლად ავტორი წიგნიდან იღებდა ზოგიერთ ნაშრომს. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის წლებში ამხანაგ სტალინის გამოსვლები, მოხსენებები და ბრძანებები შეკრებილია წიგნში «საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ», რომელიც ხუთჯერ გამოიცა.

მაგრამ არსებობს ი. ბ. სტალინის ბევრი ნაწარმოები, დაწერილი ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგ, რომლებიც თავის დროზე გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა, მას აქეთ არსად ყოფილა გადაბეჭდილი და დღემდე არ არის ერთად შეკრებილი. გარდა ამისა, არსებობს ამხანაგ სტალინის სტატიები და წერილები, რომლებიც წინათ არ გამოქვეყნებულა პრესაში.

ეს გამოცემა პირველი ცდაა ი. ბ. სტალინის თითქმის ყველა ნაწარმოების ერთად შეკრებისა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი შეიცავს 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

მეორე ტომი შეიცავს 1907-დან 1913 წლამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

მესამე ტომს შეადგენს ის ნაწარმოებები, რომლებიც ეკუთვნის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდს (1917 წლის მარტი — ოქტომბერი). ეს — უმთავრესად «პრავდაში» დაბეჭდილი სტატიებია.

მეოთხე ტომში (1917 წლის ნოემბერი — 1920 წელი) შედის ნაწარმოებები, დაწერილი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ თვეებში და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში.

შემდგომი სამი ტომი—მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე—შეიცავს ნაწარმოებებს, რომლებიც ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც საბჭოთა სახელმწიფო გადადიოდა მშვიდობიან მუშაობაზე სახალხო მეურნეობის აღსადგენად (1921—1925 წლები). მეხუთე ტომი შეიცავს 1921 წლიდან ვ. ი. ლენინის გარდაცვალებამდე (1924 წლის იანვარი) დაწერილ ნაწარმოებებს. მეექვსე ტომში შედის 1924 წლის ნაწარმოებები. მეშვიდე ტომი შეიცავს 1925 წელს დაწერილ ნაწარმოებებს.

ი. ბ. სტალინის ნაშრომები ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისთვის ბრძოლის პერიოდისა (1926 — 1929 წლები) შეადგენენ მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ტომებს. მერვე და მეცხრე ტომები შეიცავენ 1926 წლის სტატიებსა და სიტყვებს, მოხსენებებსა და გამოსვლებს, მეათე და მეთერთმეტე ტომები — 1927 წლისას, მეთორმეტე ტომი — 1928 — 1929 წლებისას.

მეცამეტე ტომი შეიცავს 1930—1933 წლების ნაწარმოებებს, რომლებიც, უმთავრესად, ეხება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარების საკითხებს.

მეთოთხმეტე ტომი მოიცავს 1934—1940 წლების ნაწარმოებებს, რომლებიც ეხება სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების დამთავრებისთვის ბრძოლას, საბჭოთა კავშირის ახალი კონს-

ტიტუციის შექმნას, მშვიდობიანობისთვის ბრძოლას მეორე მსოფლიო ომის დაწყების ვითარებაში.

მეთხუთმეტე ტომის შინაარსს შეადგენს ი. ბ. სტალინის ნაშრომი: «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1938 წელს.

მეთექვსმეტე ტომი შეიცავს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდის ნაწარმოებებს: ი. ბ. სტალინის მოხსენებებს, გამოსვლებსა და ბრძანებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის დღეებში, მიმართვებს ხალხისადმი გერმანიისა და იაპონიის განადგურებასა და კაპიტულაციასთან დაკავშირებით და სხვა დოკუმენტებს.

ტომებში ყველა ნაწარმოები დალაგებულია ქრონოლოგიურად მათი დაწერის ან გამოქვეყნების დროის მიხედვით. თვითეულ ტომს დართული აქვს წინასიტყვაობა, საცნობარო ხასიათის მოკლე შენიშვნები და ბიოგრაფიული ქრონიკა. თარიღები ახალ სტილზე გადასვლის მომენტამდე (1918 წლის 14 თებერვლამდე) მოცემულია ძველი სტილით, შემდეგ — ახალი სტილით.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებთა ტექსტი უცვლელად არის მოცემული. მხოლოდ ზოგიერთ სტატიაში შეიტანა ავტორმა წმინდა რედაქციული ხასიათის უმნიშვნელო ცვლილებანი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

პირველი ტომის წინასიტყვაობა

ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შედის ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე, უმთავრესად თბილისში მისი რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდში.

ამ წლებში ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით საფუძვლებს უყრიდნენ მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, მის იდეოლოგიას, მის ორგანიზაციულ პრინციპებს.

ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი სხვადასხვა ანტიმარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობასთან ბრძოლაში ქმნის ლენინურ-ისკრულ, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ამიერკავკასიაში და ხელმძღვანელობს მათს მუშაობას. თავის ნაწარმოებებში ამხანაგი სტალინი ასაბუთებს და იცავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითად პრინციპებს.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებიდან, რომლებიც პირველ ტომშია შესული, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დაბეჭდილი რუსულ ენაზე. მათი უმეტესი ნაწილი კი გამოქვეყნებული იყო ქართულ გაზეთებში და ცალკე ბროშურებად. რუსულ ენაზე ამ ნაწარმოებთა უმრავლესობა პირველად გამოდის.

დღემდე არ არის აღმოჩენილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არქივი და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანი-

ზაციების ცალკეული გამოცემანი, სადაც იბეჭდებოდა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები. კერძოდ, დღემდე აღმოჩენილი არ არის შემდეგი ნაწარმოებები: «მუშათა მარქსისტულ წრეებში მეცადინეობის პროგრამა» (1898 წ.) და «კრედო» (1904 წ.).

ამ გამოცემის პირველი ტომი მთლიანად არ ამოსწურავს ი. ბ. სტალინის ყველა ნაწარმოებს, დაწერილს 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

ქართული გამოცემისათვის

როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შესული თითქმის ყველა ნაწარმოები ქართულ ენაზე იყო დაწერილი და გამოქვეყნებული 1901 — 1907 წლების ბოლშევიკურ პრესაში. ამრიგად, ამ ტომის ქართულ გამოცემაში არსებითად უცვლელად არის გადმობეჭდილი გაზეთებში და ცალკე ბროშურებად გამოქვეყნებული ნაშრომები ავტორის მიერ ნებადართული შესწორებებით, რომლებიც შეეხება უმთავრესად ბეჭდვის არალეგალური პირობებით გამოწვეულ კორექტურულ შეცდომებს, შემდგომ პერიოდში დადგენილ ქართულ ტერმინებს და აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის ახალ მართლწერას. გათვალისწინებულია ის უმნიშვნელო რედაქციული ხასიათის ცვლილებებიც, რაც ავტორმა რუსულ გამოცემაში შეიტანა. ნაწილობრივ ცვლილება შეეხო რუსული და უცხო წყაროებიდან ციტირებული მასალის ავტორისეულ თარგმანს, რაც გამოწვეულია ორიგინალთა შემდგომი გამოცემების განსხვავებით იმ გამოცემებთან შედარებით, რომლებითაც ამხანაგი სტალინი სარგებლობდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ავტორის წინასიტყვაობა პირველი ტომისათვის

თხზულებათა პირველ ტომში შეტანილი ნაწარმოებები დაწერილია ავტორის მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში (1901 — 1907 წლები), როდესაც ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ნაწილობრივ ეს თხზულებათა მეორე ტომზედაც ითქმის.

ეს ნაწარმოებები რომ გავიგოთ და ჯეროვნად შევაფასოთ, ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც ნაწერები ახალგაზრდა მარქსისტისა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დასრულებულ მარქსისტ-ლენინელად. ამიტომ გასაგებია, რომ ამ ნაწარმოებებში დარჩენილია კვალი ძველი მარქსისტების ზოგიერთი, მერე მოძველებული, დებულებისა, რომლებიც შემდეგში დასძლია ჩვენმა პარტიამ. მხედველობაში მაქვს ორი საკითხი: აგრარული პროგრამის საკითხი და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობათა საკითხი.

როგორც პირველი ტომიდან სჩანს (იხილე სტატიები «აგრარული საკითხი»), ავტორი მაშინ მემამულეთა მიწების გლეხთა საკუთრებად დაყოფის თვალსაზრისს იცავდა. პარტიის გამაერთიანებელ ყრილობაზე, სადაც აგრარული საკითხი ირჩეოდა, ბოლშევიკ დელეგატ-პრაქტიკოსთა უმრავლესობა

დაყოფის თვალსაზრისს ემხრობოდა, მენშევიკების უმრავლესობა მუნიციპალიზაციის მომხრე იყო, ხოლო ლენინი და ბოლშევიკი დელეგატების დანარჩენი ნაწილი მიწის ნაციონალიზაციას იცავდნენ. ამასთან სამ პროექტს შორის გაჩაღებული ბრძოლის მსვლელობაში, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ აღარ იყო იმედი ყრილობას ნაციონალიზაციის პროექტი მიეღო, ლენინმა და სხვა ნაციონალიზატორებმა თავიანთი ხმები ყრილობაზე დაყოფის მომხრეთა ხმებს შეუერთეს.

ნაციონალიზაციის საწინააღმდეგოდ დაყოფის მომხრენი სამ მოსაზრებას აყენებდნენ: ა) გლეხები არ მიიღებენ მემამულეთა მიწების ნაციონალიზაციას, რადგან მათ სურთ საკუთრებად მიიღონ მიწა; ბ) გლეხები წინააღმდეგობას გაუწევენ ნაციონალიზაციას, რადგან ამას ისინი ისეთ ზომად მიიჩნევენ, რაც აუქმებს იმ მიწების კერძო საკუთრებას, რომლებიც მაშინ უკვე გლეხების კერძო მფლობელობაში იყო; გ) კიდევაც რომ მოხერხდეს გლეხების მიერ ნაციონალიზაციის საწინააღმდეგოდ წამოყენებულ მოსაზრებათა დაძლევა, ჩვენ, მარქსისტებმა, მაინც არ უნდა დავიცვათ ნაციონალიზაცია, რადგან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის სახელმწიფო სოციალისტური კი არ იქნება, არამედ ბურჟუაზიული, ხოლო ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხელში დიდი ნაციონალიზებული მიწის ფონდის არსებობა მეტისმეტად გააძლიერებს ბურჟუაზიას პროლეტარიატის ინტერესების საზიანოდ.

ამასთან, დაყოფის მომხრენი ეყრდნობოდნენ რუსეთის მარქსისტთა, მათ რიცხვში ბოლშევიკთა, შორის მიღებულ იმ წანამძღვარს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დადგება რევოლუციის შეწყვეტის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდი, გამარჯვებულ ბურჟუაზიულ რევოლუციასა და მომავალ სოციალისტურ რევოლუციას შუა ინტერვალის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კაპიტალიზმს უფრო თავისუფალი და მძლავრი

განვითარების შესაძლებლობა ექნება, იგი მიწათმოქმედების დარგშიც გავრცელდება, კლასობრივი ბრძოლა გაღრმავდება და მთელი სიგრძე-სიგანით განვითარდება, პროლეტართა კლასი რაოდენობრივად გაიზრდება, პროლეტარიატის შეგნებულობა და ორგანიზებულობა ჯეროვან სიმაღლეზე ავა და რომ მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება დადგეს სოციალისტური რევოლუციის პერიოდი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყრილობაზე არავინ გამოსულა ამ წანამძღვარის — ორ რევოლუციას შუა ხანგრძლივი ინტერვალის — წინააღმდეგ, ამასთან როგორც ნაციონალიზაციისა და დაყოფის მომხრენი, ისე მუნიციპალიზაციის მომხრენიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარულ პროგრამას ხელი უნდა შეეწყო რუსეთში კაპიტალიზმის შემდგომი, უფრო მძლავრი, განვითარებისთვის.

ვიცოდით თუ არა ჩვენ, პრაქტიკოსმა-ბოლშევიკებმა, რომ ლენინი იმ დროს რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თვალსაზრისზე, განუწყვეტელი რევოლუციის თვალსაზრისზე იდგა? დიახ, ვიცოდით. ვიცოდით მისი ბროშურით «ორი ტაქტიკა» (1905 წელი), აგრეთვე 1905 წლის მისი განთქმული სტატიით «სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი», სადაც ის აცხადებდა — «ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ», «ჩვენ არ შევჩერდებით შუა გზაზეო». მაგრამ ჩვენ, პრაქტიკოსები, ვერ ვწვდებოდით ამ საქმის დედაარსს და არ გვესმოდა მისი დიადი მნიშვნელობა — ჩვენი არასაკმაო თეორიული მომზადების გამო, აგრეთვე თეორიული საკითხებისადმი იმ უდარდელი დამოკიდებულების გამო, რაც პრაქტიკოსებს მოსდგამთ. როგორც ცნობილია, ლენინს მაშინ რატომღაც არ გაუშლია და არ გამოუყენებია ყრილობაზე ნაციონალიზაციის დასასაბუთებლად ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თეორიიდან გამომდინარე არგუმენტები. იმიტომ ხომ არ მოქცეულა იგი

ასე, რომ საკითხი ჯერ კიდევ მოუმწიფებლად მიაჩნდა და იმედი არ ჰქონდა, რომ ყრილობის მონაწილე პრაქტიკოს-ბოლშევიკების უმრავლესობა მზად იყო გაეგო და აეთვისებინა ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თეორია?

მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ლენინური თეორია რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისა ბოლშევიკური პარტიის სახელმძღვანელო გეზი გახდა, აგრარული საკითხის ირგვლივ წარმოშობილი უთანხმოება გაქრა პარტიაში, ვინაიდან ცხადი შეიქნა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთი იყო, სადაც განვითარების განსაკუთრებულმა პირობებმა ნიადაგი შექმნეს ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისთვის, — მარქსისტულ პარტიას არ შეუძლია სხვა რომელიმე აგრარული პროგრამა ჰქონდეს, გარდა მიწის ნაციონალიზაციის პროგრამისა.

მეორე საკითხი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პრობლემას ეხება. როგორც პირველი ტომიდან სჩანს (იხილე სტატიები «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?»), ავტორი მაშინ მარქსისტებს შორის ცნობილ იმ თეზისს იზიარებდა, რომლის მიხედვითაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობაა პროლეტარიატის გადაქცევა მოსახლეობის უმრავლესობად, რომ, მაშასადამე, იმ ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობას, არასაკმარისი კაპიტალისტური განვითარების გამო, — სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია.

ეს თეზისი მაშინ საყოველთაოდ მიღებულად ითვლებოდა რუსეთის მარქსისტებში, მათ შორის ბოლშევიკებშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. მაგრამ კაპიტალიზმის შემდგომმა განვითარებამ ევროპასა და ამერიკაში, წინაიმპერიალისტური კაპიტალიზმიდან იმპერიალისტურ კაპიტალიზმზე გადასვლამ, ბოლოს, ლენინის მიერ აღმოჩე-

ნილმა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონმა, — ცხადყვეს, რომ ეს თეზისი აღარ შეესაბამება განვითარების ახალ პირობებს, რომ სავსებით შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმს ჯერ არ მიუღწევია განვითარების უმაღლესი წერტილისთვის და პროლეტარიატი მოსახლეობის უმრავლესობას არ შეადგენს, მაგრამ სადაც კაპიტალიზმის ფრონტი საკმაოდ სუსტია იმისთვის, რომ პროლეტარიატმა ის გაარღვიოს. ასე წარმოიშვა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია 1915 — 1916 წლებში. როგორც ცნობილია, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია იქიდან გამომდინარეობს, რომ სოციალისტური რევოლუცია აუცილებლად იმ ქვეყნებში კი არ გაიმარჯვებს, სადაც კაპიტალიზმი ყველაზე უფროა განვითარებული, არამედ უწინარეს ყოვლისა იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმის ფრონტი სუსტია, სადაც პროლეტარიატისთვის უფრო ადვილია ამ ფრონტის გარღვევა და სადაც კაპიტალიზმის განვითარების თუნდაც საშუალო დონე არსებობს.

ამით ამოიწურება ავტორის შენიშვნები პირველ ტომში შეკრებილ ნაწარმოებებზე.

ი. სტალინი

1946 წელი, იანვარი.

1901–1907

რედაქციისაგან *

დარწმუნებულნი, რომ ქართველი შეგნებული მკითხველებისთვის თავისუფალი პერიოდული გამოცემა არსებითი საკითხია; დარწმუნებულნი, რომ დღეს ეს საკითხი უნდა გადაწყდეს და მეტი დაგვიანება საერთო საქმისთვის მხოლოდ საზარალო იქნება; დარწმუნებულნი, რომ ყოველი შეგნებული მკითხველი სიამოვნებით მიეგებება ამგვარ გამოცემას და თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს, — ჩვენ, ერთი ჯგუფი ქართველი რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატებისა, ვეგებებით ამ მოთხოვნილებას და ჩვენი შეძლებისდაგვარად ვაკმაყოფილებთ მკითხველების სურვილს. ჩვენ ვუშვებთ ქართული პირველი თავისუფალი გაზეთის — **«ბრძოლის»**[1] პირველ ნომერს.

რომ მკითხველს ჰქონდეს გარკვეული შეხედულება ჩვენს გამოცემაზე და, სხვათა შორის, ჩვენზედაც, ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ ხელშეუხებელი არ დატოვა ქვეყნის არც ერთი კუთხე. არ დაურჩა მას ხელშეუხებელი რუსეთის ის კუთხეც, რომელსაც კავკასიას ვუწოდებთ, და კავკასიასთან ერთად ჩვენი საქართველოც. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ხნიერი არ არის, სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ის წარმოიშვა. დანამდვილებით

* არალეგალურ ს.-დ. გაზეთ «ბრძოლის» მოწინავე.

რომ ითქვას, საძირკველი ამ მოძრაობისა მხოლოდ 1896 წელს ჩაიყარა. როგორც ყველგან, ისე ჩვენშიც, პირველ ხანში მუშაობა არ სცილდებოდა საიდუმლოების, კონსპირაციის საზღვარს. აგიტაცია და ფართო პროპაგანდა იმ სახით, როგორსაც ვხედავთ უკანასკნელ ხანში, შეუძლებელი იყო და ნებაუნებურად მთელი ძალა ტრიალებდა განსაზღვრულ წრეებში. უკვე გაიარა ამ ხანამ, სოციალ-დემოკრატიული იდეა მოეფინა მუშათა მასას, მოქმედებაც გამოვიდა თავისი ვიწრო კონსპირაციული ფარგლიდან და მოედო მუშების საკმაო ნაწილს. დაიწყო აშკარა ბრძოლა. ბრძოლამ წამოუყენა პირველ მუშაკთ ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც აქამდე დაჩრდილული იყო და მის ახსნას იმდენად არ საჭიროებდნენ. პირველ ყოვლისა მთელი თავისი სიმძიმით წამოიჭრა კითხვა: რა საშუალება გვაქვს ბრძოლის ფართო ნიადაგზე დასაყენებლად? ამ კითხვაზე სიტყვიერი პასუხი მეტად მარტივი და ადვილია. სულ სხვა გამოდის საქმით.

თავისთავად იგულისხმება, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზებული მოძრაობისთვის უმთავრესი საშუალებაა ფართო პროპაგანდა და აგიტაცია რევოლუციური იდეებისა. მაგრამ ის პირობები, რომლებშიც უხდება მოქმედება რევოლუციონერს, იმდენად მოწინააღმდეგენი არიან, იმდენად სამძიმონი და დიდი მსხვერპლის მომთხოვნი, რომ პროპაგანდაც და აგიტაციაც ხშირად მოუხერხებელი ხდება იმ სახით, როგორიც არის ხოლმე მიღებული მოძრაობის პირველ ხანში.

წრეებში მეცადინეობა წიგნებით და ბროშურებით მოუხერხებელი ხდება ჯერ პოლიციური პირობების და შემდეგ თვით საქმის დაყენების გამო. აგიტაცია სუსტდება პირველი დატუსაღებიდანვე. შეუძლებელი ხდება მუშებთან კავშირი და ხშირი სიარული. მუშა კი ელის არა ერთი მწვავე კითხვის ახსნას. მის გარშემო გამწვავებული ბრძოლაა, მმართველობის ყოველი ღონე მის საწინააღმდეგოდ არის მიმართული, და მას

არა აქვს საშუალება შეხედოს კრიტიკული თვალით თანამედროვე ცხოვრების პირობებს, არა აქვს არავითარი ცნობები საქმის ვითარებაზე, და ხშირად საკმარისია მახლობელ ქარხანაში საქმის მცირეოდენად დამარცხება, რომ რევოლუციურად განწყობილ მუშას გული გაუგრილდეს, დაეკარგოს მომავლის რწმენა და ხელმეორედ გამოსაბრუნებელი გაუხდეს იგი საქმის წინამძღოლს.

აგიტაცია ბროშურებით, რომლებიც მხოლოდ რომელიმე განსაზღვრულ კითხვაზე იძლევიან პასუხს, მომეტებულ შემთხვევაში ნაკლებ ნაყოფიერია. აუცილებელი ხდება შექმნა იმგვარი ლიტერატურისა, რომელიც იძლევა პასუხებს დღიურ კითხვებზე. ჩვენ არ შევუდგებით ამ საყოველთაოდ ცნობილი აზრის დამტკიცებას. ქართველ მუშათა მოძრაობაში უკვე დადგა ის ხანა, როდესაც რევოლუციური მუშაობის ერთ უმთავრეს იარაღად პერიოდული გამოცემა ხდება.

ზოგიერთი გულუბრყვილო მკითხველის საყურადღებოდ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ლეგალურ გაზეთზე. ჩვენ დიდ შეცდომად ჩავთვლიდით, თუ რომელიმე მუშა ლეგალურ გაზეთს, რა პირობებითაც უნდა იყოს იგი გარემოცული, რა მიმართულებასაც უნდა ადგეს იგი, ჩასთვლის თავისი, მუშის, ინტერესების გამომხატველად. მუშებზე «მზრუნველ» მთავრობას მშვენივრად აქვს მოწყობილი საქმე ლეგალურ გაზეთებთან. მთელი ხროვა ჩინოვნიკები, ცენზორებად წოდებულნი, მიჩენილი ჰყავთ მათ და ისინი საგანგებოდ ადევნებენ თვალს, წითელ მელანს და მაკრატელს მიმართავენ, თუ სადმე, თუნდ ჭუჭრუტანიდან, გამოსჭვივის სიმართლის და ჭეშმარიტების სხივი. ცირკულარი ცირკულარს მოსდევს ცენზორთა კომიტეტებში — «არაფერი გაუშვათ მუშების შესახებ, არ გამოაქვეყნოთ ესა თუ ის მოვლენა, არ მისცეთ ნება ამა და ამაზე სჯაბაასისო» და სხვა და სხვა. ამ პირობებში, რა თქმა უნდა, გაზეთი ვერ მოეწყობა სასურველად, და მუშა ტყუილად დაუწყებს ძებნას მასში, თუნდ სტრიქონთა შუაც, მისი საქმის შე-

სახეზე ცნობებს და სწორ შეხედულებას. თუ ვიტყვით იმას, რომ მუშას შეუძლია ისარგებლოს ამა თუ იმ ლეგალური გაზეთის იმ ათასში ერთი სტრიქონით, რომელიც გაკვრით შეეხება მის საქმეს და რომელიც მხოლოდ შეცდომით გაეპარებათ ჯალათ ცენზორებს, — უნდა ვთქვათ ისიც, რომ დამყარება იმედებისა ამგვარ ნაწყვეტებზე და აშენება ამ აბდაუბდაზე რაიმე სისტემისა ამტკიცებს მხოლოდ მკითხველის უსუსურობას და საქმის არცოდნას.

ვიმეორებთ, ამას ვამბობთ მხოლოდ ზოგიერთი გულუბრყვილო მკითხველის საყურადღებოდ.

მაშ ასე, ქართული თავისუფალი პერიოდული გამოცემა გადაუდებელ მოთხოვნილებას შეადგენს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისთვის. კითხვა ახლა იმაშია, თუ როგორ მოეწყოს ეს გამოცემა, რით უნდა ხელმძღვანელობდეს და რა უნდა მიაწოდოს მან ქართველ სოციალ-დემოკრატს.

გარედან რომ შეხედოს კაცმა ქართული გაზეთის არსებობის საკითხს საზოგადოდ და მის შინაარს-მიმართულებას კერძოდ, თითქოს თავისთავად, ბუნებრივად, აშკარად წყდება ეს საკითხი: ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აქედან ცხადია, ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ადგილობრივ ორგანოს, რომელიც უპირატესად ადგილობრივ საკითხებს უნდა შეეხოს და უნდა იყოს გამომხატველი მხოლოდ ადგილობრივი მოძრაობისა. მაგრამ ამ პასუხს იქით გვხვდება ისეთი წინააღმდეგობა, რომლის გვერდის ავლა არ შეგვიძლია და უთუოდ უნდა ვიქონიოთ მასთან საქმე. ჩვენ ვამბობთ დაბრკოლებაზე ენის მხრივ. მაშინ, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საშუალება ეძლევა საერთო-პარტიული გაზეთით ახსნას

ყველა საერთო საკითხი და თავის რაიონულ კომიტეტებს შიანდოს მხოლოდ ადგილობრივი საკითხების განმარტება,— ქართული გაზეთი ვარდება უხერხულ მდგომარეობაში შინაარსის მხრივ. ქართულმა გაზეთმა უნდა ითამაშოს საერთო-პარტიული და ამასთანავე რაიონული, ადგილობრივი ორგანოს როლი ერთსა და იმავე დროს. რადგან მომეტებულ ნაწილს ქართველი მუშა-მკითხველებისას არ შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს რუსული გაზეთით, ქართული გაზეთის ხელმძღვანელებს არა აქვთ ნება აუხსნელი დატოვონ ყველა ის საკითხი, რასაც ეხება და უნდა შეეხოს რუსეთის საერთო-პარტიული გაზეთი. ამგვარად, ქართული გაზეთი ვალდებულია გააცნოს მკითხველებს ყველა პრინციპული თეორიული და ტაქტიკური საკითხი. ამავე დროს იგი ვალდებულია უდგეს სათავეში ადგილობრივ მოძრაობას და ყოველ მოვლენას ააშკარავებდეს ჯეროვნად, არ დატოვოს არც ერთი ფაქტი აუხსნელად და მისცეს პასუხი ყოველ კითხვაზე, რომელიც აწუხებს ადგილობრივ მუშებს. ქართული გაზეთი უნდა იყოს შუამავალი, შემაერთებელი ქართველი და რუსი მებრძოლი მუშებისა. გაზეთმა უნდა აცნობოს მკითხველებს ყოველი მათთვის საინტერესო მოვლენა ადგილობრივი, რუსეთის და უცხოეთის ცხოვრებიდან.

ასეთია ჩვენი შეხედულება საზოგადოდ ქართულ გაზეთზე. ორიოდე სიტყვაც გაზეთის შინაარს-მიმართულებაზე.

როგორც სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს, ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას უპირატესი ყურადღება მებრძოლი მუშებისადმი. მეტად მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ რუსეთშიც, და საზოგადოდ ყველგან, მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიისგან ამორჩეული როგორც განმათავისუფლებელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებელი. ცხადია, მხოლოდ მუშათა მოძრაობას აქვს ტკიცე ნიადაგი და მხოლოდ ის არის თავისუფალი ყოველგვარი უტოპიური აბდაუბდისგან. მაშასადამე, გაზეთი, რო-

გორც სოციალ-დემოკრატების ორგანო, უნდა უდგეს სათავეში მუშათა მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, აცილებდეს მას თავიდან შეცდომებს. ერთი სიტყვით, გაზეთის უპირველესი მოვალეობაა, რომ იგი იდგეს რაც შეიძლება ახლოს მუშათა მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი.

მაგრამ რადგანაც რუსეთის დღევანდელ პირობებში შესაძლებელია მუშების გარდა საზოგადოების სხვა ელემენტებიც გამოდიოდნენ მებრძოლად «თავისუფლებისთვის» და რადგანაც ეს თავისუფლება უახლოესი მიზანია რუსეთის მებრძოლი მუშებისთვის, — გაზეთის მოვალეობაა დაუთმოს ადგილი ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას, თუნდ იგი მუშათა მოძრაობის გარეთაც ხდებოდეს. ჩვენ ვამბობთ: დაუთმოს ადგილი, იმ სახით კი არა, როგორც სასხვათაშორისო ცნობას და ახალ ამბავს, — არა, მან უნდა მიაქციოს საგანგებო ყურადღება იმ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც ხდება თუ მოხდება საზოგადოების სხვა ელემენტებშიც. მან უნდა გაარკვიოს ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა და ამით იქონიოს გავლენა თავისუფლებისთვის ყველა მებრძოლზე. ამიტომ გაზეთი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნუსხოს ყოველი შედეგი ამ მდგომარეობისა და რაც შეიძლება ფართოდ დააყენოს საკითხი პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჩვენს სიტყვებს ვერავინ გამოიყენებს იმის საბუთად, ვითომ ჩვენ მომხრე ვიყოთ ბურჟუებთან კავშირ-კომპრომისებისა. ჯეროვანი დაფასება, ჩვენება სისუსტე-შეცდომებისა არსებული წყობილების საწინააღმდეგო მოძრაობაში, თუნდ იგი ხდებოდეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიც, სოციალ-დემოკრატს ვერ მოსცხებს ოპორტუნისტობის ჩირქს. მხოლოდ აქ არ უნდა დავივიწყოთ სოციალ-დემოკრატიული პრინციპები და რევოლუციური საშუალება ბრძოლისა. თუ ჩვენ ყოველ მოძრაობას ამ საზომით დავუწყებთ

ზომვას, — თავისუფალნი ვიქნებით ყოველგვარი ბერნშტეინიანური მიეთმოეთობისაგან.

ამგვარად, ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშათა მოძრაობით გამოწვეულ ყოველ კითხვაზე, გაარკვიოს პრინციპული საკითხები, ახსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა.

გაზეთი ამავე დროს უნდა იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე აუწყოს მკითხველებს ყველა ის ტაქტიკური მოსაზრებანი, რასაც ადგია რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია, ამცნოს, როგორ ცხოვრობენ მუშები სხვაგან, რას და როგორ აკეთებენ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და თავის დროზე მოუწოდოს ქართველ მუშას ბრძოლის ველზე. ამასთანავე გაზეთი არ უნდა ტოვებდეს არც ერთ საზოგადო მოძრაობას აუნუსხავად და სოციალ-დემოკრატიული კრიტიკით გაურჩევლად.

ასეთია ჩვენი შეხედულება ქართულ გაზეთზე.

ჩვენ ვერც ჩვენს თავს და ვერც მკითხველს ვერ მოვატყუებთ და ახლანდელი ჩვენი ძალის პატრონნი ვერ დავპირდებით მას ამ შეხედულების უნაკლოდ სისრულეში მოყვანას. გაზეთის სათანადოდ დაყენებისთვის საჭიროა თვით მკითხველებისა და თანამგრძნობლების დახმარება. მკითხველი დაინახავს, რომ «ბრძოლის» პირველ ნომერს ბევრი ნაკლოვანება ახლავს, მაგრამ ნაკლოვანება ისეთი, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს, თუ იქნება დახმარება თვით მკითხველებისგან. კერძოდ აღვნიშნავთ შინაური ქრონიკის სისუსტეს. ჩვენ, მოშორებულნი სამშობლოდან, მოკლებულნი ვართ საშუალებას ვადევნოთ თვალყური საქართველოში რევოლუციურ მოძრაობას და თავის დროზე მივცეთ გაზეთში ცნობები და ახსნა ამ მოძრაობისა. ამიტომ საჭიროა თვით საქართველოდან დახმარება.

ვისაც ექნება სურვილი ლიტერატურით დახმარებისა, ის, უეჭველია, იპოვის საშუალებასაც იქონიოს კავშირი «ბრძოლის» რედაქციასთან პირდაპირ თუ სხვისი მეშვეობით.

მოვუწოდებთ ყველა ქართველ მებრძოლ სოციალ-დემოკრატებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა «ბრძოლის» ბედიღბალში, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება მის გამოცემა-გავრცელებას და ამით პირველი თავისუფალი ქართული გაზეთი «ბრძოლა» გახადონ რევოლუციური ბრძოლის იარაღად.

გაზეთი «ბრძოლა» № 1,
1901 წლის სექტემბერი.
სტატია ხელმოუწერელია.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები

I

დიდი ჯახირი, წვალება და ცვლილება დასჭირდა ადამიანის აზროვნებას, სანამ იგი მიადგებოდა მეცნიერულად შემუშავებულსა და დასაბუთებულ სოციალიზმს. დასავლეთ ევროპის სოციალისტებს ძალიან დიდხანს მოუხდათ უგზოუკვლოდ ეარნათ უტოპიური (ოცნებრივი, აუსრულებელი) სოციალიზმის უდაბნოში, სანამ გაიკვლევდნენ გზას, გამოიკვლევდნენ და დაასაბუთებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობის კანონებს და აქედან — კაცობრიობისთვის სოციალიზმის აუცილებლობას. წარსული საუკუნის დასაწყისიდან ევროპამ ბევრი დაბადა მამაცი, თავგამოდებული, პატიოსანი მუშაკი-მეცნიერი, რომლებიც ცდილობდნენ აეხსნათ და გადაეწყვიტათ საკითხი: რა უშველის კაცობრიობას იმ სნეულებისგან, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება და მწვავდება ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად. ბევრმა ჭარიშხალმა, ბევრმა სისხლის ნიაღვარმა გადაიარა დასავლეთ ევროპის თავზე იმის გულისთვის, რომ მოსპობილიყო შევიწროება უმრავლესობისა უმცირესობისგან, მაგრამ ვარამი ისევ გაუქარვებელი რჩებოდა, წყლული ისევ მწვავე და ტანჯვა დღითი-დღე უფრო აუტანელი. ამგვარი მოვლენის ერთ უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უტოპიურ სოციალიზმს არა ჰქონდა გა-

მორკვეული საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები და ამის გამო ცხოვრებას თავზევით ევლებოდა, მაღლა-მაღლა მიისწრაფოდა მაშინ, როდესაც საჭირო იყო სინამდვილესთან მტკიცე კავშირი. უტოპისტები სოციალიზმის განხორციელებას აყენებდნენ უახლოეს მიზნად მაშინ, როდესაც მის შესასრულებლად არავითარი ნიადაგი არ იყო ცხოვრებაში და, რაც უფრო სამწუხარო იყო თავისი შედეგებით, — უტოპისტები სოციალიზმის განხორციელებას მოელოდნენ ამა სოფლის ძლიერთაგან, რომელნიც, მათი აზრით, ადვილად დარწმუნდებოდნენ სოციალისტური იდეალის სისწორეში (რობერტ ოუენი, ლუი ბლანი, ფურიე და სხვ.). ეს მოსაზრება სრულიად ჩრდილავდა იმ რეალურ მუშათა მოძრაობას და მუშათა მასას, რომელიც ერთადერთი **ბუნებრივი** მატარებელია სოციალისტური იდეალისა. უტოპისტებს ვერ შეეგნოთ ეს. მათ უნდოდათ ბედნიერება დაემყარებინათ ამ ქვეყნად კანონმდებლობით, დეკლარაციებით თვით ხალხის (მუშების) დაუხმარებლივ. თვით მუშათა მოძრაობას არ აქცევდნენ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას და ხშირად კიდევაც უარყოფდნენ მის მნიშვნელობას. ამის გამო მათი თეორიები რჩებოდნენ მხოლოდ თეორიებად, თავზევით ევლებოდნენ მუშათა მასას, რომელშიც ამ თეორიებისგან სრულიად დამოუკიდებლად ღვივდებოდა ის დიადი აზრი, რომელიც წარსული საუკუნის ნახევარში გენიოსი **კარლ მარქსის** პირით ეუწყა მთელ ქვეყანას: **«მუშათა კლასის განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა კლასის ხელით... პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»**

ამ სიტყვებით აშკარა გახდა ის, ახლა «ბრმისთვისაც» ცხადი, ჭეშმარიტება, რომ სოციალისტური იდეალის განსახორციელებლად საჭიროა მუშების თვითმოქმედება და მათი შეერთება მწყობრ ძალად განურჩევლად ეროვნებისა და ქვეყნისა. საჭირო იყო ამ ჭეშმარიტების დასაბუთება,—რაც ჩინებულად შეასრულეს **მარქსმა** და მისმა მეგობარმა **ენგელსმა,**—

რომ ჩაყრილიყო მკვიდრი საძირკველი სოციალ-დემოკრატიული მძლავრი პარტიისა, რომელიც დღეს სულთამხუთავივით დასდგომია ევროპის ბურჟუაზიულ წესწყობილებას, უქადის მას განადგურებას და მის ნანგრევებზე სოციალისტური წყობილების აშენებას.

სოციალიზმის იდეის განვითარება რუსეთშიც თითქმის იმ გზითვე მოხდა, როგორც დასავლეთ ევროპაში. რუსეთშიც სოციალისტებს დიდხანს მოუხდათ უგზოუკვლოდ ხეტიალი, სანამ გაჩერდებოდნენ სოციალ-დემოკრატიულ შეგნებაზე — მეცნიერულ სოციალიზმზე. აქაც იყვნენ სოციალისტები, იყო მუშათა მოძრაობაც, მაგრამ ორივენი ერთი-მეორისგან დამოუკიდებლად თავთავისთვის მიდიოდნენ: სოციალისტები უტოპიური ოცნებისკენ («Земля и Воля», «Народная Воля»), მუშათა მოძრაობა კი — სტიქიური აღბოხებებისკენ. ორივენი ერთსა და იმავე დროს მოქმედებდნენ (70—80-იან წლებში) და ერთმანეთს კი ვერ იცნობდნენ. სოციალისტებს არა ჰქონდათ ნიადაგი მშრომელ მოსახლეობაში, ამიტომ მათი მოქმედება იყო განყენებული, უნიადაგო. მუშებს კი არ ჰყავდათ ხელმძღვანელნი, ორგანიზატორები და ამიტომ მათი მოძრაობა იხატებოდა არეულ ამბოხებებში. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ სოციალისტების გმირული ბრძოლა სოციალიზმისთვის უნაყოფო დარჩა და მათი საარაკო ვაჟკაცობა დაუნდობლად შეასკდა თვითმპყრობელობის მაგარ კედლებს. მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის სოციალისტები დაუახლოვდნენ მუშათა მასას. მათ დაინახეს, რომ ხსნა მხოლოდ მუშათა კლასშია და სოციალისტური იდეალის განხორციელებასაც მხოლოდ ეს კლასი შეასრულებს. მთელი თავისი მეცადინეობა და ყურადღება რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ მიაქცია ახლა იმ მოძრაობას, რომელიც ამ დროს რუსეთის მუშებს შორის ხდებოდა. ჯერ კიდევ ნაკლებ შეგნებული და ბრძოლისთვის მოუმზადებელი რუსეთის მუშა თანდათან ცდილობდა გამოსულიყო თავისი უიმედო მდგომარეობიდან და რითიმე

გაეუმჯობესებინა თავისი ხვედრი. რასაკვირველია, ამ მოძრაობაში ადგილი არ ჰქონდა იმ დროს მწყობრ ორგანიზაციულ მუშაობას, მოძრაობა სტიქიური იყო.

და აი ამ შეუგნებელ, სტიქიურ და დაუწყობელ მოძრაობას მოჰკიდა ხელი სოციალ-დემოკრატიამ. ის ცდილობდა განევითარებინა მუშების შეგნება, ცდილობდა დაყოფილი და ნაწილ-ნაწილი ბრძოლა მუშათა ცალკე ჯგუფებისა ცალკე მეპატრონეების წინააღმდეგ შეეერთებინა საერთო კლასობრივ ბრძოლაში, რათა ეს ყოფილიყო ბრძოლა რუსეთის მუშათა კლასისა რუსეთის შემავიწროებელთა კლასის წინააღმდეგ; იგი ცდილობდა ამ ბრძოლისთვის მიეცა ორგანიზებული ხასიათი.

პირველ ხანში სოციალ-დემოკრატიას არ შეეძლო თავისი მოქმედება გაევრცელებინა მუშათა მასაში და ამიტომ ის სჯერდებოდა მხოლოდ საპროპაგანდო და სააგიტაციო წრეებში მეცადინეობას. ერთადერთი ფორმა მისი მოქმედებისა მაშინ წრეებში მეცადინეობა იყო. მიზანი ამ წრეებისა იყო: შეექმნა თვით მუშებში ისეთი ჯგუფი, რომელიც შემდეგში მოძრაობას ხელმძღვანელობას გაუწევდა. ამიტომ ეს წრეები მხოლოდ მოწინავე მუშებისგან სდგებოდა, მხოლოდ რჩეულ მუშებს ჰქონდათ საშუალება წრეებში ემეცადინათ.

მაგრამ მალე გაიარა წრეების ხანამ. სოციალ-დემოკრატიამ მალე იგრძნო მოთხოვნილება გამოსულიყო წრეების ვიწრო ზღუდეებიდან და თავისი გავლენა გაევრცელებინა მუშათა ფართო მასაზე. ამას გარეგანმა პირობებმაც შეუწყეს ხელი. ამ დროს სტიქიურმა მოძრაობამ განსაკუთრებით აიწია მუშებში. ვის არ გახსოვთ ის წელიწადი, როდესაც თითქმის მთელი თბილისი მოიცვა ამ სტიქიურმა მოძრაობამ? არეული გაფიცვები თამბაქოს ფაბრიკებში და რკინიგზის სახელოსნოებში ერთიმეორეს მოსდევდა. ეს ჩვენში იყო 1897—98 წ.წ., რუსეთში კი ამაზე ცოტა ადრე. საჭირო იყო დროზე მიშველება, და

სოციალ-დემოკრატიამაც არ დააგვიანა თავისი დახმარება. დაიწყო ბრძოლა სამუშაო დღის შემოკლებისთვის, ჯარიმების გაუქმებისთვის, ხელფასის მომატებისთვის და სხვ. სოციალ-დემოკრატიამ კარგად იცოდა, რომ ამ წვრილი მოთხოვნილებებით არ განისაზღვრებოდა მუშათა მოძრაობის მსვლელობა, რომ მოძრაობის მიზანს ეს მოთხოვნილებანი არ შეადგენდა, რომ ეს მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. დაე ეს მოთხოვნილებანი იყვნენ წვრილნი, დაე თვით მუშები ცალ-ცალკე ქალაქებისა და რაიონებისა იბრძოდნენ დღეს დაქსაქსულად: თვით ეს ბრძოლა ასწავლის მუშებს, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მუშათა კლასი, შეერთებული მტკიცე ორგანიზებულ ძალად, მიიტანს იერიშს თავის მტერზე, სრული გამარჯვებაც მხოლოდ მაშინ მოხდება. იგივე ბრძოლა დაანახვებს მუშებს, რომ გარდა პირდაპირი მათი მტრისა — კაპიტალისტისა — სხვა, უფრო დაუძინებელი მტერი ჰყავთ: ეს არის ორგანიზებული ძალა მთელი ბურჟუაზიული კლასისა, დღევანდელი კაპიტალისტური **სახელმწიფო** თავისი ჯარით, სასამართლოთი, პოლიციით, ციხეებით, ჟანდარმებით. თუ დასავლეთ ევროპაშიც კი მუშის ოდნავი ცდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებლად ეტაკება ბურჟუაზიულ მმართველობას, თუ დასავლეთ ევროპაში, სადაც უკვე მოპოვებულია ადამიანის უფლებები, მუშას უხდება პირდაპირი ბრძოლა მმართველობასთან, მით უფრო რუსეთის მუშა თავის მოძრაობაში აუცილებლად წააწყდება თვითმპყრობელ მმართველობას, რომელიც დაუძინებელი მტერია მუშების ყოველგვარი მოძრაობისა არა მარტო იმიტომ, რომ ეს მმართველობა კაპიტალისტების მფარველია, არამედ იმიტომაც, რომ **როგორც თვითმპყრობელი მმართველობა** ვერ შეეგუება საზოგადოებრივი კლასების თვითმოქმედებას და განსაკუთრებით იმისთანა კლასის თვითმოქმედებას, როგორიც მუშათა კლასია — გაქელილი და დაჩაგრული სხვა კლასებზე უფრო ძლიერ. ასე ესმოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მოძრაობის მსვლელობა და მთელ თავის

მეცადინეობას ამ იდეების მუშებში გავრცელებას ანდომებდა. ამაში იყო მისი ძალა და ამით აიხსნება მისი დიადი და ძლევამოსილი მსვლელობა პირველი დღიდანვე, რაც დაგვანახა პეტერბურგის საქსოვი ფაბრიკების მუშების გრანდიოზულმა გაფიცვამ 1896 წელს.

მაგრამ პირველმა გამარჯვებებმა აუბნიეს გზა-კვალი და თავბრუ დაასხეს ზოგიერთ სუსტ პირებს. როგორც ოდესღაც უტოპიური სოციალისტები თავის ყურადღებას მხოლოდ საბოლოო მიზანს აქცევდნენ და, მით დაბრმავებულნი, სრულიად ვერ ამჩნევდნენ ან უარყოფდნენ მუშათა რეალურ მოძრაობას, რომელიც მათ თვალწინ ხდებოდა, ისე, პირიქით, რუსეთის ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი მთელ თავის ყურადღებას აქცევდა მუშათა სტიქიურ მოძრაობას, მის ყოველდღიურ საჭიროებას. მაშინ (ხუთი წლის წინათ) რუსეთის მუშების კლასობრივი შეგნება ძალიან ნაკლები იყო. რუსეთის მუშა ჯერ მხოლოდ იღვიძებდა საუკუნო ძილისაგან, და მისი თვალი, შეჩვეული სიბნელეს, რასაკვირველია, ვერ ამჩნევდა ყველაფერს მისთვის ახლად გადაშლილ ქვეყანაში. მას არ ჰქონდა დიდი მოთხოვნილებანი და არც მისი მოთხოვნა იყო მძლავრი. რუსეთის მუშა ჯერ ვერ მიდიოდა ხელფასის ოდნავ გადიდების ან სამუშაო დროს შემოკლების იქით. რომ აუცილებელია არსებული წყობილების გარდაქმნა, რომ უნდა მოისპოს კერძო საკუთრება, რომ უნდა მოეწყოს სოციალისტური წყობილება, — ყოველივე ამაზე რუსეთის მუშათა მასას წარმოდგენაც არ ჰქონდა. ის აგრეთვე ნაკლებ ბედავდა ეფიქრა იმ მონობის მოსპობაზე, რომელშიც იმყოფება მთელი რუსეთის ხალხი თვითმპყრობელი მმართველობის ქვეშ, ეფიქრა ხალხის თავისუფლებაზე, ხალხის მონაწილეობაზე სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. და აი იმ დროს, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილი თავის მოვალეობად სთვლიდა შეეტანა მუშათა მოძრაობაში თავისი სოციალისტური იდეები, მისი მეორე ნაწილი, გატაცებული ეკონომიური ბრძო-

ლით, ბრძოლით მუშების მდგომარეობის ნაწილ-ნაწილ გაუმჯობესებისთვის (როგორც, მაგალითად, სამუშაო დროის შემოკლება და ხელფასის მომატება),—მზად იყო სრულიად დაევიწყებინა თავისი დიადი მოვალეობა, თავისი დიდებული იდეალები.

როგორც მათი დასავლეთ ევროპელი თანამოაზრენი (ეგრეთწოდებული ბერნშტეინელები), ესენი ამბობდნენ: «ჩვენთვის მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო მიზანი — არაფერიო». მათთვის არაფერი საინტერესო იყო, თუ რისთვის იბრძვის მუშათა კლასი, — ოღონდ კი თვით ბრძოლა ყოფილიყო. განვითარდა ეგრეთწოდებული შაურიანი პოლიტიკა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პეტერბურგის გაზეთი «Рабочая Мысль»[2] ერთ მშვენიერ დღეს აცხადებს: «ჩვენი პოლიტიკური პროგრამაა — 10-საათიანი სამუშაო დღე და დაბრუნება იმ უქმეებისა, რომლებიც ორი ივნისის კანონმა[3] წაგვართვაო» (!!!)*.

იმის მაგივრად, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ სტიქიური მოძრაობისთვის, შთაენერგათ მასაში სოციალ-დემოკრატიული იდეალები და მიემართათ იგი ჩვენი საბოლოო მიზნისკენ, ეს ნაწილი რუსეთის სოციალ-დემოკრატებისა გახდა ბრმა იარაღი თვით მოძრაობისა; ის ბრმად მისდევდა მუშების ნაკლებად განვითარებულ ნაწილს და კმაყოფილდებოდა იმ საჭიროებათა, იმ მოთხოვნილებათა ჩამოყალიბებით, რომლებიც უკვე შეგნებული ჰქონდა იმ წუთში მუშათა მასას. ერთი სიტყვით, ის იდგა და არაკუნებდა გაღებულ კარებს და შიგ სახლში შესვლას კი ვერ ბედავდა. მას ვერ მოეხერხებინა, რომ აეხსნა მუშათა მასისთვის საბოლოო მიზანი, სოციალიზმი, თუნდ უახლოესი მიზანი — თვითმპყრობელობის დამხობა, და,

---

* უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანში პეტერბურგის «ბრძოლის კავშირმა» («Союз борьбы») და მისი გაზეთის რედაქციამ თავის წინანდელ, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ, ტრედ-უნიონისტურ პოზიციას დაანებეს თავი და ცდილობენ შეიტანონ თავის მოქმედებაში პოლიტიკური აბრძოლის იდეები.

რაც უფრო სამწუხაროა, ყოველივე ამას სთვლიდა უსარგებლოდ და მავნებლადაც კი. ის რუსეთის მუშას უყურებდა როგორც ბავშვს და ეშინოდა არ შეეშინებინა ამგვარი გაბედული იდეებით. და ესეც არ ყოფილიყო, სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილის აზრით, არაფერი რევოლუციური ბრძოლა არ არის საჭირო სოციალიზმისთვის: საჭიროა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა — გაფიცვა და პროფესიული კავშირები, სამომხმარებლო და საწარმოო საზოგადოებანი — და სოციალიზმი უკვე მზად არის. იგი შეცდომად სთვლიდა ძველი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მოძღვრებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ სანამ პოლიტიკური ძალა არ გადავა პროლეტარიატის ხელში (დიქტატურა პროლეტარიატისა), შეუძლებელია შეიცვალოს არსებული წესწყობილება, შეუძლებელია მუშების სრული განთავისუფლება. მისი აზრით, სოციალიზმი თავისთავად არაფერს ახალს არ წარმოადგენს და მაინც და მაინც არ განსხვავდება არსებული კაპიტალისტური წყობილებისგან: სოციალიზმი ადვილად მოთავსდება არსებულ წესწყობილებაშიც, ყოველი პროფესიული კავშირი, თუნდ სამომხმარებლო დუქანი ან საწარმოო საზოგადოება უკვე «სოციალიზმის ნაწილიაო», — ამბობდა ის. და აი ძველი ტანისამოსის ამგვარი აბდაუბდური ბლანდვით ის ფიქრობდა — შევუკერავთ ახალ სამოსელს წამებულ კაცობრიობასო! მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო და თავისთავად გაუგებარი რევოლუციონერისთვის ის გარემოებაა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატების ამ ნაწილმა იქამდის გააფართოვა თავის დასავლეთ ევროპელ მასწავლებელთა (ბერნშტეინი და კომპ.) მოძღვრება, რომ ურცხვად აცხადებს: პოლიტიკური თავისუფლება (თავისუფლება გაფიცვების, კავშირების, სიტყვის და სხვ.) შეიძლება შეთავსდეს **ცარიზმთან** და ამიტომ სრულებით არ არის საჭირო განსაკუთრებული პოლიტიკური ბრძოლა, ბრძოლა თვითმპყრობელობის დასამხობადო; მარტო ეკონომიური ბრძოლაც, ბოლოს და ბოლოს, საკმარისია, რომ მიზანს მივაღწიოთ: საკმარისია, რომ

გაფიცვები, მიუხედავად მმართველობისგან აკრძალვისა, მოხდეს ხშირხშირად, — მმართველობა დაიღლება გაფიცულების დასჯით, და თავისუფლება გაფიცვების და კრებებისა თავისთავად გაჩნდებაო...

ამგვარად, ეს ვითომდა «სოციალ-დემოკრატები» ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის მუშამ მთელი თავისი ძალა და ენერგია უნდა შესწიროს მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას და არ უნდა გაჰყვეს სხვადასხვა «ფართო იდეალებსო». პრაქტიკულად მათი მოქმედება იხატებოდა იმაში, რომ ისინი თავის მოვალეობად რაცხდნენ მხოლოდ **ადგილობრივ** მუშაობას ამა თუ იმ ქალაქში. ორგანიზაცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა **პარტიისა** მათთვის არაფერ საინტერესოს წარმოადგენდა, პირიქით, პარტიის მოწყობა მათთვის სასაცილო და სამასხარო სათამაშო იყო, რომელიც ხელს შეუშლიდა მათი პირდაპირი «მოვალეობის» შესრულებას — ეკონომიურ ბრძოლას. გაფიცვა და კიდევ გაფიცვა და ცოტა რამ გროშების შეგროვება საბრძოლო სალაროსთვის — აი მათი მუშაობის თავი და ბოლო.

უეჭველია, იფიქრებთ, რომ რადგან ასე შეზღუდეს თავისი ამოცანები, რადგან უარყვეს სოციალ-დემოკრატობა, სტიქიური «მოძრაობის» ეს მათაყვანებელნი ბევრ რამეს გააკეთებდნენ ამ მოძრაობისთვის მაინცო. მაგრამ აქაც მოტყუებულნი ვართ. ამას გვარწმუნებს ისტორია პეტერბურგის მოძრაობისა. პირველ ხანებში, 1895 — 97 წლებში, მისი შესანიშნავი წინსვლა და გაბედული მოძრაობა შეიცვალა შემდეგში უგზოუკვლოდ ხეტიალად, და, ბოლოს, მოძრაობა გაჩერდა ერთ ადგილას. ეს არ არის გასაკვირველი: ყოველი მეცადინეობა ეკონომისტებისა, რომ შეექმნათ მტკიცე ორგანიზაცია ეკონომიური ბრძოლისთვის, უწყალოდ ატყდებოდა მმართველობის მაგარ კედლებს და ყოველთვის ზედ აკვდებოდა. საშინელი პოლიციური პირობები სპობდნენ ყოველ საშუალებას ყოველგვარი ეკონომიური ორგანიზაციებისას. გაფიცვებსაც აღარ

მოჰქონდათ სარგებლობა, რადგან ასში 99 გაფიცვა იხრჩობოდა პოლიციის მუხრუჭებში, მუშები უწყალოდ იდევნებოდნენ პეტერბურგიდან და მათ რევოლუციურ ენერგიას შეუბრალებლად სწუწნიდნენ ციხის კედლები და ციმბირის ყინვები. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ მოძრაობის ამ (შედარებით, რასაკვირველია) შეჩერებაში მხოლოდ გარეგანი, პოლიციური პირობები არ არიან დამნაშავენი: აქ არა ნაკლები დანაშაული მიუძღვის თვით იდეების, კლასობრივი შეგნების შეჩერებას და, აქედან, მუშათა რევოლუციური ენერგიის დაცემას.

რადგან მოძრაობის განვითარებასთან ერთად მუშებს არ შეეძლოთ ფართოდ გაეგოთ მაღალი მიზნები და ბრძოლის შინაარსი, რადგან დროში, რომლის ქვეშ უხდებოდა ბრძოლა რუსეთის მუშას, რჩებოდა დაძველებულ, გახუნებულ ჩვრად თავისი კაპიკიანი დევიზით — ეკონომიური ბრძოლით, — მუშებს **უნდა** შეეტანათ ამ ბრძოლაში უფრო ნაკლები ენერგია, უფრო ნაკლები გატაცება, უფრო ნაკლები რევოლუციური მისწრაფება, რადგან დიადი ენერგია მხოლოდ დიადი მიზნისთვის იბადება.

ნაგრამ ხიფათი, რომელიც ამ გარემოების წყალობით ემუქრებოდა მოძრაობას, დიდი იქნებოდა, რომ ჩვენი ცხოვრების პირობები დღითი-დღე უფრო და უფრო დაჟინებით არ ერეკებოდეს რუსეთის მუშებს პირდაპირი პოლიტიკური ბრძოლისკენ. თვით უბრალო, პატარა გაფიცვაც კი პირდაპირ უყენებს ნუშებს ჩვენი პოლიტიკური უუფლებობის საკითხს, აჯახებს ნმართველობასთან და შეიარაღებულ ძალასთან და აშკარად უმტკიცებს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ბრძოლის არასაკმარისობას. ამიტომ თვით ამ «სოციალ-დემოკრატთა» სურვილის წინააღმდეგ, ბრძოლა დღითი-დღე იღებდა აშკარა პოლიტიკურ სახეს. ყოველი ცდა გაღვიძებული მუშებისა — აშკარად გამოეხატათ თავისი უკმაყოფილება არსებული ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით, რომლის გამო კვნე-

სის დღეს რუსეთის მუშა, ყოველი ცდა — გამოსულიყვნენ ამ ჩაგვრიდან, იზიდავდა მუშებს იმგვარი მანიფესტაციებისკენ, სადაც ეკონომიური ბრძოლის ელფერი სულ უფრო და უფრო იჩრდილებოდა. პირველმაისობის დღესასწაულებმა რუსეთში გაკაფეს გზა პოლიტიკური ბრძოლისა და პოლიტიკური დემონსტრაციებისთვის. და რუსეთის მუშამ წინანდელ, თავისი ბრძოლის ერთადერთ საშუალებას — გაფიცვას მიუმატა ახალი ძლიერი საშუალება — პოლიტიკური დემონსტრაცია, პირველად გამოცდილი 1900 წლის დიდებულ მაისობას ხარკოვში.

ამგვარად, რუსეთის მუშათა მოძრაობა, თავისი შინაგანი განვითარების წყალობით, წრეებში **პროპაგანდიდან** და გაფიცვებით ეკონომიური ბრძოლიდან გადადიოდა **პოლიტიკური ბრძოლისა** და **აგიტაციის** გზაზე.

ეს გადასვლა დაჩქარდა უფრო შესამჩნევად მაშინ, როდესაც ბრძოლის ველზე მუშათა კლასმა დაინახა რუსეთის სხვა საზოგადოებრივი კლასების ელემენტები, მომავალნი მედგარი გადაწყვეტილებით — მოიპოვონ პოლიტიკური თავისუფლება.

II

მარტო მუშათა კლასი არ კვნესის მეფის წყობილების უღელქვეშ. თვითმპყრობელობის მძიმე თათი ახრჩობს სხვა საზოგადოებრივ კლასებსაც. კვნესის მუდამ შიმშილით დასიებული რუსეთის გლეხკაცობა, გაღატაკებული აუტანელი გადასახადებით და მსხვერპლად შეწირული ჩარჩ-ბურჟუებისთვის, «კეთილშობილი» მემამულეებისთვის. კვნესიან წვრილი მოქალაქეები, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების წვრილი მსახურები, წვრილი მოხელეები, საზოგადოდ ის მრავალი წვრილი მოქალაქეობა, რომელიც, როგორც მუშათა კლასი, არ არის საარსებო პირობით უზრუნველყოფილი და საბუთი აქვს იყოს უკმაყოფილო თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით. კვნესის ნაწილი წვრილი და თითქმის საშუალო ბურჟუაზიისაც, რომელიც ვერ შერიგებია მეფის შოლტსა და

მათრახს, განსაკუთრებით განათლებული ნაწილი ბურჟუაზიისა, ეგრეთწოდებული თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები (მასწავლებლები, ექიმები, ადვოკატები, სტუდენტები და საზოგადოდ მოსწავლეები); კვნესიან შევიწროებული ერები და სარწმუნოებანი რუსეთში, მათ შორის თავისი სამშობლოდან დევნილი და წმინდა გრძნობებ-შეურაცყოფილი პოლონელები, ფინელები, რომელთაც თვითმპყრობელობამ ურცხვად გაუთელა ისტორიისგან მიცემული უფლებები და თავისუფლება; კვნესიან მუდამ დევნილნი და შეურაცყოფილნი ებრაელნი, მოკლებულნი იმ საცოდავ უფლებებსაც კი, რომლებითაც სარგებლობენ რუსეთის დანარჩენი ქვეშევრდომნი: უფლებას — იცხოვრონ ყველგან, უფლებას — ისწავლონ სკოლებში, უფლებას — იმსახურონ და სხვ.; კვნესიან ქართველები, სომხები და სხვა ერები, მოკლებულნი უფლებას — იქონიონ თავისი სკოლები, იმუშაონ სახელმწიფო დაწესებულებებში, იძულებულნი დაემორჩილონ იმ სამარცხვინო და შემავიწროებელ პოლიტიკას **გარუსებისას,** რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებს თვითმპყრობელობა; კვნესის მრავალი მილიონი რუსი სექტანტობა, რომელსაც სურს ირწმუნოს და აღიაროს ის, რასაც უბრძანებს მისივე სინიდისი, და არა ის, რაც სურთ მართლმადიდებელ ხუცებს. კვნესიან... მაგრამ ყველა შევიწროებულთ, ყველა დევნილთ რუსეთის თვითმპყრობელობისგან ვერც კი ჩაბოსთვლი. ისინი ისე ბევრი არიან, რომ ყველამ რომ შეიგნოს ეს, შეიგნოს, სად არის მათი საერთო მტერი, რუსეთის დესპოტური მმართველობა ერთ დღესაც ვერ გასძლებდა. სამწუხაროდ, რუსეთის გლეხკაცობა ჯერ კიდევ გაქელილია საუკუნო მონობით, სიღარიბით და სიბნელით, ის მხოლოდ ახლა იღვიძებს და ჯერ კიდევ ვერ მიხვედრილა, სად არის მისი მტერი. რუსეთის შევიწროებულ ერებს არ შეუძლიათ ფიქრიც კი საკუთარი ძალით გაითავისუფლონ თავი, სანამ მათ წინააღმდეგ დგას არა თუ მარტო რუსეთის მმართველობა, არამედ რუსეთის ხალხიც კი, რომელსაც ჯერ ვერ

შეუგნია, რომ მათი საერთო მტერი თვითმპყრობელობაა. გვრჩება მუშათა კლასი, წვრილი მოქალაქეობა და განათლებული ნაწილი ბურჟუაზიისა.

მაგრამ ყველა ქვეყნისა და ერის ბურჟუაზიამ მშვენივრად იცის მითვისება იმ ნაყოფისა, რომელიც მისი გამარჯვებით არ არის ნაშოვნი, მშვენივრად იცის სხვისი ხელით ნარის გლეჯა. ის არადროს არ არის განწყობილი დააყენოს «რისკზე» თავისი შედარებით შეღავათიანი მდგომარეობა ძლიერ მტერთან ბრძოლაში, რომლის მოგებაც არც ისე ადვილია. მიუხედავად იმისა, რომ იგი უკმაყოფილოა, მაინც და მაინც რომ ვთქვათ, ცუდად არ ცხოვრობს და ამიტომ სიამოვნებით უთმობს მუშათა კლასს და, საზოგადოდ, უბრალო ხალხს, უფლებას მიუშვირონ თავიანთი ზურგი ყაზახების მათრახებს, სალდათების ტყვიებს, იბრძოლონ ბარიკადებზე, და სხვ. თვითონ ის «თანაუგრძნობს» ბრძოლას და, უკეთეს შემთხვევაში, «ღელდება» (თავისთვის) იმ სიმკაცრით, რომლითაც გამხეცებული მტერი აწყნარებს ხალხის მოძრაობას. მას ეშინია რევოლუციური მოქმედებისა და მხოლოდ ბრძოლის უკანასკნელ წუთებში, როდესაც აშკარად ხედავს მტრის დაუძლურებას, თვითონ გადადის რევოლუციურ ზომებზე. ამას გვასწავლის ისტორიული გამოცდილება... მხოლოდ მუშათა კლასი და, საზოგადოდ, ხალხი, რომელიც ბრძოლაში დაკარგავს თავის ბორკილებს, წარმოადგენს ნამდვილ რევოლუციურ ძალას. და რუსეთის გამოცდილებაც, თუმცა იგი ჯერ ღარიბია, გვიმოწმებს ამ ძველ ჭეშმარიტებას, რომელსაც გვასწავლის ისტორია ყველა რევოლუციური მოძრაობისა.

შეღავათიანი წოდებების წარმომადგენლებიდან მხოლოდ სტუდენტობის ნაწილმა გვაჩვენა თავისი გადაწყვეტილება — მიჰყვეს თავის მოთხოვნილებებს ბოლომდე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ეს ნაწილიც სტუდენტობისა იმავე შევიწროებულ მოქალაქეთა შვილებისგან იკრიბება და ამასთან სტუდენტობა, როგორც ახალგაზრდობა და მოსწავ-

ლე, სანამ არ შერეულა ცხოვრების ტალღებში და იქ არ დაუჭერია გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობა, ყველაზე უფრო განწყობილია გაჰყვეს იდეალურ მისწრაფებებს, რომლებიც იწვევენ თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ.

ასეა თუ ისე, დღეს სტუდენტობა გამოდის «საზოგადოების» მოძრაობაში თითქმის მესვეური, მოწინავე რაზმი. მის გარშემო იკრიბება დღეს სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის უკმაყოფილო ნაწილი. სტუდენტობა პირველ ხანებში ცდილობდა ებრძოლა მუშებისგან გადაღებული საშუალებით — გაფიცვით. მაგრამ როდესაც მმართველობამ მათ გაფიცვებზე უპასუხა მხეცური კანონით («დროებითი წესებით»[4]), რომლითაც გაფიცული სტუდენტობა სალდათებად იგზავნებოდა, — სტუდენტობას ერთი საშუალება-ღა დარჩენოდა საბრძოლველად — მოეთხოვა დახმარება რუსეთის საზოგადოებისგან და გაფიცვებიდან გადასულიყო **ქუჩის დემონსტრაციებზე.** სტუდენტობაც ასე მოიქცა. მან არ დაყარა იარაღი. პირიქით, უფრო დიდი სიმამაცითა და გადაწყვეტილებით შეუდგა ბრძოლას. მის გარშემო მოიყარა თავი შევიწროებულმა მოქალაქეობამ, მას გაუწოდა დახმარების ძმური ხელი მუშათა კლასმა და ამით მოძრაობა გახდა ძლიერი, მმართველობისთვის თავზარდამცემი. აგერ ორი წელიწადია, რაც რუსეთის მმართველობა თავისი აუარებელი ჯარით, პოლიციით და ჟანდარმებით გამწარებით ებრძვის ურჩ მოქალაქეებს, მაგრამ ვერას გამხდარა.

უკანასკნელი ხნის ამბები გვარწმუნებენ, რომ პოლიტიკური დემონსტრაციების დამარცხება შეუძლებელია. დეკემბრის პირველი რიცხვების შემთხვევები ხარკოვში, მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, რიგაში და სხვ. გვეუბნებიან, რომ დღეს საზოგადოებრივი უკმაყოფილება ხდება უკვე შეგნებით და ეს უკმაყოფილო საზოგადოებაც მზად არის ჩუმი პროტესტიდან გადავიდეს რევოლუციურ მოქმედებაზე. მაგრამ ის მოთხოვ-

ნილებანი, რომელნიც სტუდენტობამ წამოაყენა, — სწავლის თავისუფლებისა, უნივერსიტეტების შინაური ცხოვრების თავისუფლებისა—მეტად შეზღუდულია ფართო საზოგადოებრივი მოძრაობისთვის. იმისთვის, რომ შეაერთო ყველა, ვინც ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს, აუცილებელია დროშა ყველასთვის გასაგები და მახლობელი, დროშა, რომელიც მოითავსებს ყველას მოთხოვნილებებს. **ასეთი დროშაა თვითმპყრობელობის დამხობა.** მხოლოდ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე შეიძლება აშენდეს ის საზოგადოებრივი წყობილება, დამყარებული სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ხალხის მონაწილეობაზე, რომელიც უზრუნველყოფს **თავისუფლებას** სწავლისაც, გაფიცვებისაც, სიტყვისაც, სარწმუნოებისაც, ეროვნებისაც და სხვ. და სხვ. მხოლოდ ის წყობილება მისცემს ხალხს თავის დასაცველ საშუალებას წინააღმდეგ ყოველგვარ შემავიწროებელთა, წინააღმდეგ ჩარჩ-კაპიტალისტებისა, სამღვდელოებისა, თავადაზნაურობისა; მხოლოდ ის წყობილება გაუხსნის მას თავისუფალ გზას უკეთესი მომავლისკენ, თავისუფალი ბრძოლისთვის სოციალისტური წყობილების დასამყარებლად.

სტუდენტობა, რასაკვირველია, თავისი ძალით ვერ შესძლებს ამ გრანდიოზულ ბრძოლას, მისი სუსტი მკლავები ვერ ზიდავენ ამ მძიმე დროშას. მის საზიდავად საჭიროა უფრო ძლიერი მკლავები, უფრო დიდი ძალა, და დღევანდელ პირობებში ეს ძალა მხოლოდ მუშა ხალხის შეერთებული ძალაა. მაშასადამე, მუშათა კლასმა უნდა ჩამოართვას სუსტ სტუდენტობას მთელი რუსეთის დროშა და, დააწეროს რა მას ზედ: «ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას!» — უნდა წაიყვანოს რუსეთის ხალხი თავისუფლებისკენ. სტუდენტობისა კი ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყოთ იმ გაკვეთილისთვის, რომელიც მან მოგვცა: მან დაგვანახა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დემონსტრაციას რევოლუციურ ბრძოლაში.

ქუჩის დემონსტრაცია საინტერესოა იმით, რომ ერთბაშად ითრევს მოძრაობაში მცხოვრებთა აუარებელ მასას, ერთბაშად აცნობს მას ჩვენს მოთხოვნილებას; ქმნის იმ ნაყოფიერ ფართო ნიადაგს, რომელზედაც თამამად შეგვიძლია ვთესოთ თესლი სოციალისტური იდეებისა და პოლიტიკური თავისუფლებისა. ქუჩის დემონსტრაცია ქმნის ქუჩის აგიტაციას, რომლის გავლენასაც ვერ ასცდება ჩამორჩენილი და მხდალი ნაწილი საზოგადოებისა*. დემონსტრაციის დროს საკმარისია კაცი გამოვიდეს ქუჩაში, რომ დაინახოს მამაცი მებრძოლნი, გაიგოს რისთვის იბრძვიან, გაიგონოს თავისუფალი სიტყვა, რომლითაც ყველას იწვევენ საბრძოლველად, გაიგონოს საბრძოლველი სიმღერა, რომელიც ააშკარავებს არსებულ წესწყობილებას, ააშკარავებს ჩვენს საზოგადოებრივ წყლულებს. აი რისთვის ეშინია მმართველობას ყველაზე უფრო ქუჩის დემონსტრაციისა, რისთვის ემუქრება სასტიკად დასჯას არა თუ მარტო დემონსტრანტებს, «ცნობისმოყვარეებსაც» კი. ხალხის ამ ცნობისმოყვარეობაში იფარება უმთავრესი ხიფათი მმართველობისთვის: დღევანდელი «ცნობისმოყვარე» ხვალ, როგორც დემონსტრანტი, გარშემო შემოიკრებს «ცნობისმოყვარეების» ახალ ჯგუფს. ეს «ცნობისმოყვარეები» კი დღეს ყველა დიდ ქალაქში ათიათასობით ითვლებიან. რუსეთის მცხოვრები ახლა აღარ იმალება, როგორც წინათ, რაკი გაიგონებს, რომ სადმე არეულობა ხდება («ემანდ მეც არ გამხვიონ, მოვშორდე, ისა სჯობია» — ამბობდა ის წინათ), დღეს ის ზედ ერეკება ამ არეულობას და «ცნობისმოყვარეობს»: რისთვის ხდება ეს არეულობა, რის გულისთვის უშვერს ამდენი ხალხი ზურგს ყაზახების მათრახებს.

* არალეგალური წიგნი, სააგიტაციო ფურცელი რუსეთის დღევანდელ პირობებში დიდი გაჭირვებით აღწევენ ყველა მცხოვრებამდე; არალეგალური ლიტერატურის გავრცელების ნაყოფი თუმცა დიდია, მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში ის მოსახლეობის ნაკლებ ნაწილზე ახდენს გავლენას.

ამ პირობებში «ცნობისმოყვარენი» გულგრილად აღარ ისმენენ მათრახებისა და ხმლების შხუილს. «ცნობისმოყვარენი» ხედავენ, რომ დემონსტრანტები შეყრილან ქუჩაში თავისი სურვილებისა და მოთხოვნილებების გამოსახატავად, გამოსათქმელად, მმართველობა კი მათ ცემითა და მხეცური სვრემით აძლევს პასუხს. «ცნობისმოყვარე» უკვე არ გაურბის მათრახების შხუილს, პირიქით, უფრო ახლო იწევს, და მათრახს აღარ შეუძლია გააჩეროს — სად თავდება უბრალო «ცნობისმოყვარე» და სად იწყება «მეამბოხე». მათრახი ახლა «სრული დემოკრატიული თანასწორობით», განურჩევლად სქესისა, ხნოვანობისა და წოდებისაც კი გადადის ერთის ზურგიდან მეორეზე. ამ მხრივ მათრახი დიდ სამსახურს გვიწევს იმით, რომ აჩქარებს «ცნობისმოყვარის» გარევოლუციონერებას. დასამშვიდებელი იარაღიდან ის გამოფხიზლების იარაღად იქცევა.

ამიტომ, დაე ქუჩის დემონსტრაციები ნუ მოგვიტანენ პირდაპირ ნაყოფს, დაე ძალა დემონსტრანტებისა დღეს ძალიან სუსტი იყოს იმისთვის, რომ ამ ძალით ვაიძულოთ მმართველობა დაუთმოს ხალხის მოთხოვნილებებს ახლავე, — ის მსხვერპლნი, რომლებსაც დღეს ვწირავთ თავისუფლებას ქუჩის დემონსტრაციებში, გვიბრუნდებიან ერთიანად. ბრძოლაში დაცემული ან ჩვენი ბანაკიდან მოტაცებული თვითეული მებრძოლი იწვევს ასობით ახალ მებრძოლთ. ჯერ არა ერთხელ ვიქნებით დამარცხებულნი ქუჩაში, ჯერ არა ერთხელ გამოვა მმართველობა ქუჩის ბრძოლიდან გამარჯვებული, მაგრამ ეს გამარჯვება «პიროსის გამარჯვება» იქნება. რამდენიმე ამისთანა გამარჯვება — და აბსოლუტიზმის დამარცხება მზად არის. დღევანდელი გამარჯვებით ის თავის დამარცხებას იმზადებს. და ჩვენ, მტკიცედ დარწმუნებულნი, რომ დადგება ეს დღე, რომ შორს აღარ არის ეს დღე, მივდივართ მათრახების ქვეშაც პოლიტიკური აგიტაციის და სოციალიზმის თესლის სათესად.

მმართველობა ჩვენზე ნაკლებად არ არის დარწმუნებული, რომ ქუჩის აგიტაცია მისი სასიკვდილო განაჩენია, რომ საკმარისია კიდევ 2—3 წელიწადი გავიდეს და მის წინ აიტუზება **ხალხის რევოლუციის** აჩრდილი. ეკატერინოსლავის გუბერნატორის პირით მმართველობამ ამ დღეებში გამოგვიცხადა, რომ ის «არ მოერიდება უკიდურეს ზომებსაც კი, რათა მოსპოს მცირე ცდაც ქუჩის დემონსტრაციებისა». როგორც ხედავთ, ამ განცხადებას სუნი უდის ტყვიის, შეიძლება ყუმბარისაც, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტყვია მათრახზე ნაკლები ამაღელვებელი საშუალება არ არის; ჩვენ არ გვგონია, რომ ამ «უკიდურესი ზომებითაც» შესძლოს მმართველობამ პოლიტიკური აგიტაციის ხანგრძლივად შეჩერება და მით ხელი შეუშალოს მის მსვლელობას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია შესძლებს შეუფარდოს თავისი აგიტაცია ახალ პირობებსაც, რომლებსაც შექმნის მმართველობა ამ «უკიდურესი ზომების» შემოღებით. ყოველ შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატია ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს მოვლენებს, საჩქაროდ უნდა გამოიყენოს ამ მოვლენების გაკვეთილი და თავისი მოქმედება მოსწრებულად შეუფარდოს ცვალებად პირობებს.

ამისთვის კი სოციალ-დემოკრატიას სჭირდება ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სახელდობრ, სჭირდება **ორგანიზაცია პარტიისა**, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი პრინციპებით და ტაქტიკური შეხედულებებით. ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა გამოიყენოს ახლად დაწყებული ქუჩის მოძრაობა, **თავის ხელში უნდა აიღოს დროშა რუსეთის დემოკრატიისა და გაუძღვეს მას ყველასთვის სანატრელი გამარჯვებისკენ!**

ამგვარად, ჩვენს წინ იშლება პერიოდი **უპირატესად პოლიტიკური ბრძოლისა.** ასეთი ბრძოლა ჩვენთვის აუცილებელია, რადგან არსებულ პოლიტიკურ პირობებში ეკონომიურ ბრძოლას (გაფიცვებს) არ შეუძლია არსებითი რამ მოგვცეს. გაფიცვები თავისუფალ სახელმწიფოებშიც ორლესული იარაღია: იქაც, მიუხედავად იმისა, რომ მუშებს აქვთ იარაღი ბრძოლისა — პოლიტიკური თავისუფლება, მაგარი ორგანიზაციები მუშათა კავშირებისა, მდიდარი სალაროები, — გაფიცვები ხშირად მუშების დამარცხებით თავდება. ჩვენში კი, სადაც გაფიცვა დანაშაულია, ის დაპატიმრებით ისჯება და შეიარაღებული ძალით იხრჩობა, სადაც აკრძალულია ყოველგვარი კავშირები მუშებისა, ჩვენში გაფიცვებს მხოლოდ **პროტესტის** მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ პროტესტისთვის დემონსტრაციები უფრო მძლავრ იარაღს წარმოადგენენ: გაფიცვებში მუშათა ძალა დანაწილებულია, მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ქარხნის, უკეთეს შემთხვევაში, ერთი პროფესიის მუშები. საერთო გაფიცვის ორგანიზაცია ძალიან ძნელია დასავლეთ ევროპაშიც კი, ჩვენში ხომ სულ შეუძლებელია. ქუჩის დემონსტრაციაში კი მუშები ერთბაშად აერთებენ თავის ძალას.

აქედან სჩანს, თუ რამდენად ვიწროდ უყურებენ საქმეს ის «სოციალ-დემოკრატები», რომელთაც სურთ მუშათა მოძრაობა შემოფარგლონ ეკონომიური ბრძოლით და ეკონომიური ორგანიზაციებით, მაშინ როდესაც პოლიტიკურ ბრძოლას უთმობენ «ინტელიგენციას», სტუდენტებს, საზოგადოებას, ხოლო მუშებს **დამხმარე** ძალის როლს აკუთვნებენ. ისტორია გვასწავლის, რომ ამგვარ პირობებში მუშები ღველფიდან ბატიბუტს მხოლოდ ბურჟუაზიისთვის კრეფენ. ბურჟუაზია ჩვეულებრივ დიდი სიამოვნებით სარგებლობს მუშების დაძარღვული მკლავებით თვითმპყრობელ მმართველობასთან ბრძოლაში, და როცა გამარჯვება უკვე მოგებულია, თვითონ ითვისებს მის ნაყოფს და მუშებს კი რიყეზე უშვებს. თუ ჩვენშიც

ეგრე წავა საქმე — მუშები ამ ბრძოლით ვერაფერს მოიგებენ. რაც შეეხება სტუდენტებსა და სხვა პროტესტანტებს საზოგადოებიდან, ისინი ხომ იგივე ბურჟუაზიაა. საკმარისია მიეცეს მათ სულ უწყინარი «გაყვლეფილი კონსტიტუცია», რომელიც ხალხს ძალიან ცოტა უფლებებს მისცემს, რომ ყველა ეს პროტესტანტები სხვა კილოზე მოჰყვნენ გალობას. მაშინ ისინი დაუწყებენ ქება-დიდებას «ახალ» წყობილებას. ბურჟუაზია გამუდმებულ შიშქვეშ არის კომუნიზმის «წითელი აჩრდილისგან» და ყველა რევოლუციაში ცდილობს იქ გაათავოს საქმე, სადაც იგი ჯერ მხოლოდ იწყება. რაკი თავისთვის მოიპოვებს ცოტაოდენ სარგებლიან დათმობას, ის, მუშებისგან დაშინებული, შერიგების ხელს უწვდის მმართველობას და ურცხვად ყიდის თავისუფლების საქმეს*.

მხოლოდ მუშათა კლასია საიმედო ბურჯი ნამდვილი დემოკრატიისა. მხოლოდ მას არ შეუძლია შეუთანხმდეს თვითმპყრობელობას რაიმე დათმობაზე, ის არ მისცემს თავს ძილს, როცა მას დაუწყებენ ტკბილად გალობას კონსტიტუციურ ჩონგურზე.

ამიტომ რუსეთის დემოკრატიული საქმისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს—შესძლებს მუშათა კლასი ჩაუდგეს სათავეში, გაუწიოს წინამძღოლობა საერთო დემოკრატიულ მოძრაობას, თუ იგი მოძრაობას გაჰყვება კუდში, როგორც დამხმარე ძალა «ინტელიგენციისა», ე. ი. ბურჟუაზიისა. პირველ შემთხვევაში თვითმპყრობელობის დამხობის ნაყოფი იქნება ფართო **დემოკრატიული კონსტიტუცია,** რომელიც მიანიჭებს თანასწორ უფლებებს მუშასაც, საწყალ გლეხსაც და კაპიტალისტსაც. მეორე შემთხვევაში კი ნაყოფად დაგვრჩება ის «გაყვლეფილი» კონსტიტუცია, რომელიც აბსოლუტიზმზე ნაკლებად არ შეს-

* აქ, რასაკვირველია, მხედველობაში არა გვყავს ის ინტელიგენცია, რომელიც უკვე უარყოფს თავის კლასს და სოციალ-დემოკრატთა დასში იბრძვის. მაგრამ ამისთანა ინტელიგენტები მხოლოდ გამონაკლისს შეადგენენ, ისინი «თეთრი ყვავები» არიან.

ძლებს მუშების მოთხოვნილების გადაქელვას და მიანიჭებს **ხალხს** მხოლოდ თავისუფლების აჩრდილს.

მაგრამ ამ ხელმძღვანელის როლისთვის მუშათა კლასი უნდა მოეწყოს **დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად.** მაშინ მისთვის საშიში აღარ იქნება აბსოლუტიზმთან ბრძოლაში ყოველგვარი ღალატი და გამცემლობა მისი დროებითი მოკავშირისა — «საზოგადოებისა». იმ წუთიდან, როდესაც ეს «საზოგადოება» გადაუდგება დემოკრატიის საქმეს, მუშათა კლასი გაუძღვება ამ საქმეს წინ თავისი საკუთარი ძალით,—დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია მისცემს მას ამისთვის საჭირო ძალას.

გაზეთი «ბრძოლა» № 2—3, 1901 წ.
ნოემბერი—დეკემბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?

I

ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება «ნაციონალური საკითხიც». სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე, — ყველა კლასს კი თავისებურად ესმის «ნაციონალური საკითხი». მაშასადამე, «ნაციონალური საკითხი» სხვადასხვა დროს **სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება**, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, **თუ რომელი** კლასი და **როდის** წამოაყენებს მას.

იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, **თავადაზნაურობის «ნაციონალური საკითხი»**, როცა — «საქართველოს რუსეთთან შეერთების» შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა **საზარალო** იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა «უბრალო ქვეშევრდომობა» და მოინდომა **«საქართველოს განთავისუფლება». ამით მას უნდოდა «საქართველოს» სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და**, ამგვარად, მათთვის გადაეცა **ქართველი ხალხის ბედიღბალი!** ეს იყო **ფეოდალურ-მონარქიული «ნაციონალიზმი».** ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ «მოძრაობამ» ქართველების ცხოვრებას, ვერც

ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში. საკმარისი იყო ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ან ისედაც სუსტ «მოძრაობას», რომ ძირიანად დაენგრია იგი. და, მართლაც, საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა—სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, **«ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს»**. ქართველი თავადაზნაურობა ორ ჯგუფად გაიყო. ერთმა მათგანმა უარყო ყოველივე «ნაციონალიზმი» და ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, რომ სამაგიეროდ მიეღო მისგან თბილი ადგილები, იაფფასიანი კრედიტი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომ მთავრობას უზრუნველეყო იგი სოფლის «ბუნტოვშჩიკებისაგან» და სხვ. ხოლო მეორემ—უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველი თავადაზნაურობისამ — დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და, ამგვარად, კლერიკალიზმის კალთას შეაფარა ცხოვრებისგან დევნილი «ნაციონალიზმი». ეს ჯგუფი დიდი გატაცებით ანახლებს დანგრეულ ქართულ ეკლესიებს (ეს მთავარი მუხლია მისი «პროგრამისა»!) — «ნაშთებს ძველი დიდებისას» — და მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი **ბატონყმურ-მონარქიული** «სურვილები».

ამნაირად, ფეოდალურ-მონარქიულმა ნაციონალიზმმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში კლერიკალური ფორმა მიიღო.

ამასთანავე თანამედროვე საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წამოაყენა ჩვენში **ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი.** როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგრძნო, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია «უცხოელ» კაპიტალისტებთან,

ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პირით ატიტინდა **დამოუკიდებელ საქართველოზე.** ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა საბაჟო წრე შემოევლო ქართული ბაზრისთვის, ძალით გაედევნა ამ ბაზრიდან «უცხოელი» ბურჟუაზია, ხელოვნურად აეწია საქონლის ფასები და ასეთი «პატრიოტული» ხრიკებით ლელო გაეტანა გამდიდრების მოედანზე.

ასეთი იყო და არის მიზანი ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალიზმისა! თქმა არ უნდა, რომ ამ მიზნის განხორციელებას ძალა უნდოდა, ძალა კი პროლეტარიატშია: მარტო პროლეტარიატს შეეძლო სული ჩაედგა ბურჟუაზიის გამოფიტული «პატრიოტიზმისთვის». საჭირო იყო პროლეტარიატის მიმხრობა,—და აი, სცენაზე გამოვიდნენ «ნაციონალ-დემოკრატები». ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს მათ მეცნიერული სოციალიზმის დასარღვევად, ბევრი აძაგეს სოციალ-დემოკრატები და ურჩიეს ქართველ პროლეტარებს დაშორებოდნენ მათ, აქეს ქართველი პროლეტარიატი და ურჩიეს «მუშებისავე სასარგებლოდ» გაეძლიერებია როგორმე ქართველი ბურჟუაზია. ისინი ბევრი ეხვეწნენ ქართველ პროლეტარებს: ნუ ღუპავთ «საქართველოს» (თუ ქართველ ბურჟუაზიას?), დაივიწყეთ «შინაური უთანხმოება», დაუძმობილდით ქართველ ბურჟუაზიასო და სხვა ამისთანები. მაგრამ ამაოდ! ბურჟუაზიული პუბლიცისტების ტკბილმა ზღაპრებმა ვერ დააძინა ქართველი პროლეტარიატი! ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა და, უფრო კი, მედგარმა კლასობრივმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები,—თავზარი დასცა ჩვენს **ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს** და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი.

«შერცხვენილი სახელის აღსადგენად» საჭირო იყო «ფერი მაინც ეცვალათ» ჩვენს გაქცეულ პატრიოტებს, ტანისამოსი მაინც ჩაეცვათ სოციალისტური, თუ სოციალისტურ აზრებს ვერ შეითვისებდნენ. და მართლაც, სცენაზე ამოცურდა არალეგალური... ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური—უკაცრავად მოხსენე-

ბაა — «სოციალისტური» ორგანო «**საქართველოს**»[5]! ასე უნდოდათ მოეხიბლათ ქართველი მუშები! მაგრამ გვიანღა იყო! ქართველმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა, ისინი ადვილად მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა მარტო «ფერი იცვალეს» და არა აზრები, რომ გაზეთ «**საქართველოს» მარტო სახელი აქვს სოციალისტური.** — დიახ, მიხვდნენ ამას და სიცილი მიაყარეს საქართველოს «მხსნელებს»! გაუცრუვდათ იმედი «საქართველოს» დონ კიხოტებს!

მეორე მხრივ, ჩვენი ეკონომიური განვითარება თანდათან ხიდსა სდებს ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წრეებსა და «რუსეთს» შორის, ეკონომიურად და პოლიტიკურად აკავშირებს ამ წრეებს «რუსეთთან» და მით ნიადაგს ურყევს ისედაც შერყეულ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ესეც მეორე ლახტი ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს!

ბრძოლის მოედანზე გამოვიდა ახალი კლასი, **პროლეტარიატი,** — და მასთან ერთად დაიბადა ახალი «ნაციონალური საკითხი», **პროლეტარიატის «ნაციონალური საკითხი».** რამდენადაც პროლეტარიატი გაირჩევა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისგან, იმდენადვე გაირჩევა პროლეტარიატის მიერ წამოყენებული «ნაციონალური საკითხი» თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის «ნაციონალური საკითხისგან».

ახლა ჩვენ ამ «ნაციონალიზმზე» ვილაპარაკებთ.

როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას «**ნაციონალური საკითხი**»?

რუსეთის პროლეტარიატმა კარგა ხანია ბრძოლაზე დაიწყო ლაპარაკი. როგორც ვიცით, მიზანი ყოველივე ბრძოლისა — გამარჯვებაა. პროლეტარიატის გამარჯვებისთვის კი საჭიროა **ყველა** მუშის შეერთება **განურჩევლად ეროვნებისა.** ცხადია, ნაციონალური კედლების დანგრევა და მჭიდროდ შეკავშირება რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარებისა — რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობაა.

ასეთია რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები.

მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობა, როგორც დაუძინებელი მტერი რუსეთის პროლეტარიატისა, ყოველთვის წინ ეღობება პროლეტართა შეერთების საქმეს. ის ავაზაკურად სდევნის რუსეთის «უცხო» ერების ნაციონალურ კულტურას, მათს ენას, ზნე-ჩვეულებას, დაწესებულებებს. თვითმპყრობელობა ართმევს მათ აუცილებელ მოქალაქეობრივ უფლებებს, ყოველმხრივ ავიწროებს, — ფარისევლურად სთესავს მათ შორის შურსა და მტრობას, ერთმანეთის სისხლს აღვრევინებს და მით აშკარად გვიჩვენებს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ერთადერთი მიზანია ერთმანეთს გადაამტეროს რუსეთის ერები, გაამწვავოს მათ შორის ნაციონალური განხეთქილება, გაამაგროს ნაციონალური კედლები, რომ უფრო კარგად დააშოროს ერთმანეთს რუსეთის პროლეტარები, რომ უფრო კარგად დააქუცმაცოს მთელი რუსეთის პროლეტარიატი წვრილ ნაციონალურ ჯგუფებად და მით სამარე გაუთხაროს მუშათა კლასობრივ თვითშეგნებას, მათს კლასობრივ გაერთიანებას.

ასეთია ინტერესები რუსეთის რეაქციისა, ასეთია პოლიტიკა რუსეთის თვითმპყრობელობისა.

ცხადია, რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები, დღეს თუ ხვალ, აუცილებლად უნდა შესჯახებოდა მეფის თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკას. ეს ასეც მოხდა, და სწორედ ამ ნიადაგზე დაიბადა «ნაციონალური საკითხი» სოციალ-დემოკრატიაში.

როგორ დავანგრიოთ ერთა შორის ამართული ნაციონალური კედლები, როგორ მოვსპოთ ნაციონალური კარჩაკეტილობა, რომ უფრო კარგად დავაახლოოთ ერთმანეთთან რუსეთის პროლეტარები, რომ უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ ისინი?

ასეთია შინაარსი «ნაციონალური საკითხისა» სოციალ-დემოკრატიაში.

დავნაწილდეთ ცალ-ცალკე ნაციონალურ პარტიებად და მოვაწყოთ ასეთი პარტიების თავისუფალი კავშირიო, — გვიპასუხებენ **ფედერალისტი** სოციალ-დემოკრატები.

ამასვე გაიძახის «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია»[6].

როგორც ხედავთ, ჩვენ გვირჩევენ ერთ რუსეთის პარტიად შეერთებას კი არა ერთი ცენტრით სათავეში, — არამედ დანაწილებას რამდენიმე პარტიად რამდენიმე ხელმძღვანელი ცენტრით, — და ეს სულ კლასობრივი ერთობის გასაძლიერებლად! ჩვენ გვინდა რუსეთის სხვადასხვა ერების პროლეტარები ერთმანეთს **დავუახლოოთ.** როგორ მოვიქცეთ? — დააშორეთ პროლეტარები ერთმანეთს და მიზანს მიაღწევთო! — გვიპასუხებენ ფედერალისტი სოციალ-დემოკრატები. ჩვენ გვინდა ეს პროლეტარები ერთ პარტიად შევაერთოთ. როგორ მოვიქცეთ? — დააქუცმაცეთ რუსეთის პროლეტარიატი ცალ-ცალკე პარტიებად და მიზანს მიაღწევთო! — გვიპასუხებენ ფედერალისტი სოციალ-დემოკრატები. ჩვენ გვინდა შევმუსროთ ნაციონალური კედლები. რა ზომები ვიხმაროთ? — გაამაგრეთ ნაციონალური კედლები ორგანიზაციული კედლებით და მიზანს მიაღწევთო! გვიპასუხებენ ისინი. და ყოველივე ამას გვირჩევენ ჩვენ, რუსეთის პროლეტარებს, რომლებიც ერთნაირ პოლიტიკურ პირობებში ვიბრძვით, რომლებსაც ერთი და იგივე საერთო მტერი გვყავს! ერთი სიტყვით, გვეუბნებიან: ქენით მტრის გასახარელი საქმე და თქვენი საერთო მიზანი თქვენივე ხელით დამარხეთო!

მაგრამ, დავეთანხმოთ ერთ წამს ფედერალისტ-სოციალ-დემოკრატებს და გავყვეთ მათ, ვნახოთ, სად მიგვიყვანენ: ნათქვამია, მტყუანს სიმტყუვნის კარამდე მიჰყეო.

ვთქვათ, ყური დავუგდეთ ჩვენს ფედერალისტებს და დავაარსეთ ცალ-ცალკე ნაციონალური პარტიები. რა შედეგი მოჰყვება ამას?

ძნელი არ არის ამის გაგება. თუ დღემდის, სანამ ჩვენ **ცენტრალისტები** ვიყავით, უმთავრეს ყურადღებას ვაქცევდით პროლეტართა **საერთო** პირობებს, მათი ინტერესების **ერთნაირობას**, მათს «ნაციონალურ განსხვავებაზე» კი ვლაპარაკობდით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება მათს **საერთო** ინტერესებს, — თუ დღემდის ჩვენთვის უპირველესი კითხვა ის იყო, თუ რით ემსგავსებიან ერთმანეთს რუსეთის ერთა პროლეტარები, რა არის მათ შორის საერთო, — რომ ამ საერთო ინტერესების ნიადაგზე აგვეშენებინა ერთი ცენტრალიზებული პარტია მთელი რუსეთის მუშებისა, — დღეს, როცა «ჩვენ» ფედერალისტები გავხდით, ჩვენს ყურადღებას მიიზიდავს ახალი უმთავრესი კითხვა: რით განირჩევიან ერთმანეთისგან რუსეთის ერთა პროლეტარები, რა განსხვავებაა მათ შორის, რომ «ნაციონალური განსხვავების» ნიადაგზე ავაშენოთ ცალ-ცალკე ნაციონალური პარტიები. ამნაირად, ცენტრალისტისთვის მეორეხარისხოვანი «ნაციონალური განსხვავება» ფედერალისტისთვის ხდება საძირკველი ნაციონალური პარტიებისა.

თუ ამ გზაზე სიარულს გავაგრძელებთ, ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ «ნაციონალური» და კიდევ სხვა «განსხვავებანი», მაგალითად, სომეხი პროლეტარისა ისეთივეა, როგორიც სომეხი ბურჟუაზიისა, რომ სომეხ პროლეტარსა და სომეხ ბურჟუას ერთნაირი ხასიათი და ზნე-ჩვეულებები აქვთ, რომ ესენი ერთ ხალხს, ერთ განუყოფელ «ნაციას» შეადგენენ *. აქედან დიდი მანძილი აღარ არის «საერთო მოქმედების ნიადაგამდე», რომელზედაც უნდა

* «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ» ეს-ეს არის გადასდგა ეს სასახელო ბიჯი. ის თავის «მანიფესტში» გადაჭრით გვეუბნება, რომ «არ შეიძლება (სომეხი) პროლეტარიატი გამოაცალკეო (სომეხი) საზოგადოებისგან: შეერთებული (სომეხი) პროლეტარიატი უგონიერესი და უძლიერესი ორგანო უნდა იყოს სომეხი ხალხისაო», რომ «სოციალისტურ პარტიად შეერთებული სომეხი პროლეტარიატი უნდა ცდილობდეს

შედგნენ ბურჟუები და პროლეტარები და მეგობრულად ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, როგორც წევრებმა ერთი და იმავე «ნაციისა». ამასთანავე ფარისევლური პოლიტიკა თვითმპყრობელი მეფისა მოგვეჩვენება ასეთი დაძმობილების «ახალ» გამამართლებელ საბუთად, კლასთა ანტაგონიზმზე ლაპარაკი კი «დროს შეუფერებელ დოქტრინეროზად». იქ კიდევ ვისიმე პოეტური ხელი უფრო «გაბედულად» შეეხება ვიწრო ნაციონალურ სიმებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს რუსეთის ერთა პროლეტარებში, და შესაფერ ჰანგზე ააჟღერებს მათ; შოვინისტურ ლათაიობას გაეხსნება კრედიტი (ნდობა), მოყვრები მტრად მოგვეჩვენება, მტრები — მოყვრებად და — «აირევა მონასტერი», დახურდავდება რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება!

სომეხთა საზოგადოებრივი აზრის გამორკვევას, რომ სომეხი პროლეტარიატი იქნება ღვიძლი შვილი თავისი ტომისაო» და სხვ... (იხ. 3 მუხლი «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის» «მანიფესტისა»).

ჯერ ერთი, გაუგებარია: რატომ «არ შეიძლება გამოვაცალკეოთ სომეხი პროლეტარიატი სომეხი საზოგადოებისგან», თუ კი ეს «გამოცალკევება» ყოველ ფეხის გადადგმაზე ხდება? განა შეერთებული სომეხი პროლეტარიატი არ «გამოცალკევდა» სომეხი საზოგადოებისგან, როცა მან 1900 წ. (თბილისში) ბრძოლა გამოუცხადა სომეხ ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულად მოაზრე სომხებს?! ანდა რას წარმოადგენს თვით «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია», თუ არა კლასობრივ ორგანიზაციას სომეხ პროლეტარებისა, რომლებიც «გამოცალკევდნენ» სომეხი საზოგადოების სხვა კლასებისგან? ან იქნებ «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია» ყველა კლასის ორგანიზაციაა!? მერე, მებრძოლ სომეხ პროლეტარიატს შეუძლია დაკმაყოფილდეს «სომეხთა საზოგადოებრივი აზრის გამორკვევით», ვალდებული არ არის ის წინ წავიდეს, ბრძოლა გამოუცხადოს ამ თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიულ «საზოგადოებრივ აზრს» და რევოლუციური სული ჩაბეროს მას? ფაქტები გვეუბნება — ვალდებულიაო, და თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ «მანიფესტს» მკითხველის ყურადღება უნდა მიექცია «საზოგადოებრივი აზრის გამორკვევაზე» კი არა, არამედ ამ აზრთან ბრძოლაზე, მისი გარევოლუციურების საჭიროებაზე: ამით იგი უფრო დაახასიათებდა «სოციალისტური პროლეტარიატის» ვალდებულებას. და, ბოლოს, შეუძლია სომეხ პროლეტარიატს «ღვიძლი შვილი

ამგვარად, იმის მაგიერ, რომ **ნაციონალური კედლები დავენგრია,** ჩვენ, ფედერალისტების წყალობით, **უფრო გავამაგრებთ** მათ ორგანიზაციული კედლებით; იმის მაგიერ, რომ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება **წინ წაგვწია, ჩვენ უკან დავწევთ** და განსაცდელში ჩავაგდებთ მას და — «განიხარებს გული» თვითმპყრობელი მეფისა, რადგან ჩვენისთანა უსასყიდლო თანაშემწეებს ვერასდროს ვერ იშოვიდა!

ნუთუ ეს იყო ჩვენი მიზანი?!

და, დასასრულ, მაშინ, როდესაც ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ერთიანი, მოძრავი, ცენტრალიზებული პარტია, რომლის ცენტრალურ კომიტეტსაც შეეძლება ერთ წამს ფეხზე დააყენოს მთელი რუსეთის მუშები და მედგარი იერიში მია-

---

იყოს თავისი ტომისა», როცა ერთი ნაწილი ამ ტომისა — სომეხი ბურჟუაზია — ობობასავით სწუწნის მას სისხლს, და მეორე ნაწილი კი — სომეხი სამღვდელოება — გარდა იმისა, რომ სისხლსა სწოვს, სისტემატურად ურყვნის მას შეგნებას? ყველა ეს კითხვა უბრალო და აუცილებელია, თუ საქმეს კლასთა ბრძოლის თვალთახედვის ისრით შევხედავთ. მაგრამ «მანიფესტის» ავტორები ვერ ამჩნევენ ამ კითხვებს, რადგან ისინი .უყურებენ საქმეს ფედერალისტურ-ნაციონალისტური თვალთახედვის ისრით, რომელიც მათ ბუნდისგან (ებრაელ მუშათა კავშირია)[7] გადაიღეს. და საზოგადოდ, «მანიფესტის» ავტორებს თითქოს მიზნად აუღიათ — ყველაფერში ბუნდს მიბაძონ. მათ თავიანთ «მანიფესტში» მეორე მუხლიც კი შეუტანიათ ბუნდის V ყრილობის რეზოლუციისა—«ბუნდის მდგომარეობა პარტიაში». ისინი «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას» ერთადერთ დამცველს ეძახიან სომეხი პროლეტარების ინტერესებისას (იხ. 3 მუხლი ნაჩვენები «მანიფესტისა»). «მანიფესტის» ავტორებს დავიწყებიათ, რომ ჩვენი პარტიის კავკასიის კომიტეტები[8] რამდენიმე წელიწადია, რაც ნამდვილ წარმომადგენლებად ითვლებიან სომეხი (და სხვა) პროლეტარებისა კავკასიაში, რომ ისინი ანვითარებენ მათში კლასობრივ თვითშეგნებას სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდა-აგიტაციით სომხურ ენაზე, წინ უძღვიან მათ ბრძოლის დროს და სხვ., მაშინ როდესაც «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია» გუშინწინ დაიბადა. ყველაფერი ეს დავიწყებიათ მათ და, იმედია, კიდევ ბევრ რასმე დაივიწყებენ, ოღონდ კი ზედმიწევნით გადმოიხატონ ბუნდის ორგანიზაციული და პოლიტიკური შეხედულებანი.

ტანინოს თვითმპყრობელობაზე და ბურჟუაზიაზე, — ჩვენ ხელში გვაჩეჩებენ ტლანქს, ცალკე პარტიებად დანაწილებულ «ფედერალისტურ კავშირს»! ბასრი იარაღის მაგიერ ჟანგიანს გვაძლევენ და გვარწმუნებენ, რომ ამით უფრო მალე მოუღებთ ბოლოს თქვენს მოსისხლე მტრებსო!

აი საით მივყევართ ფედერალისტ-სოციალდემოკრატებს!

და რადგან ჩვენ ვცდილობთ «ნაციონალური კედლების გამაგრებას» კი არა, არამედ მათს დანგრევას; რადგან ჩვენ გვესაჭიროება ჟანგიანი კი არა, არამედ ბასრი იარაღი, რომ უფრო ძირიანად ამოვაგდოთ დღევანდელი უსამართლობა; რადგან ჩვენ მტრის გახარება კი არა, არამედ მისი გამწარება და მიწასთან გასწორება გვინდა,—ცხადია, ჩვენი მოვალეობაა მხარი ავუქციოთ ფედერალისტებს და უკეთესი პასუხი მოვძებნოთ «ნაციონალური საკითხის» გადასაჭრელად.

II

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით იმაზე, თუ როგორ არ უნდა გადავჭრათ «ნაციონალური საკითხი». ახლა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ უნდა გადავჭრათ ეს საკითხი, ე. ი. როგორ გადაჭრა ის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ *.

პირველ ყოვლისა საჭიროა გვახსოვდეს, რომ რუსეთში მომქმედმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის თავს **რუსეთის** პარტია უწოდა (და არა **რუსული**). ცხადია, ამით მას უნდოდა დაენახვებინა ჩვენთვის, რომ ის თავისი დროშის ქვეშ თავს მოუყრის არა მარტო რუს პროლეტარებს, არამედ რუსეთის **ყველა ერის** პროლეტარებს და, მაშასადამე, ყოვე-

* ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ქვემოთ ნალაპარაკევი წარმოადგენს კომენტარს ჩვენი პარტიული პროგრამის იმ მუხლებისა, რომლებიც ნაციონალურ საკითხს ეხება.

ლივე ღონისძიებას იხმარს — ძირს დასცეს მათ შორის ამართული **ნაციონალური კედლები.**

შემდეგ, ჩვენმა პარტიამ «ნაციონალურ საკითხს» განუფანტა ბურუსი, რომელიც მას საიდუმლო სახეს აძლევდა, დაანაწილა ეს საკითხი ცალკე ელემენტებად, მისცა თვითეულ ელემენტს კლასობრივი მოთხოვნის ელფერი და ცალკე მუხლებად აღნუსხა პროგრამაში. ამით მან ნათლად დაგვანახა, რომ **თავისთავად აღებულს** ეგრეთწოდებულ «ნაციონალურ ინტერესებს» და «ნაციონალურ მოთხოვნებს» განსაკუთრებული ფასი არა აქვს, რომ ეს «ინტერესები» და «მოთხოვნები» ყურადღების ღირსია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი წინ სწევენ, ან შეუძლიათ წინ წასწიონ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება, მისი კლასობრივი განვითარება.

ყოველივე ამით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ნათლად აღნიშნა ის გზა, ის პოზიცია, რომელიც მან დაიჭირა «ნაციონალური საკითხის» გადაწყვეტის დროს.

რა ნაწილებისგან შესდგება «ნაციონალური საკითხი»?

რას მოითხოვენ ბ-ნი ფედერალისტ-სოციალდემოკრატები?

1) **«მოქალაქეობრივ თანასწორობას რუსეთის ერებისთვის»?**

თქვენ გაღელვებთ რუსეთში გამეფებული მოქალაქეობრივი უთანასწორობა? თქვენ გინდათ დაუბრუნოთ რუსეთის ერებს მთავრობის მიერ წართმეული მოქალაქეობრივი უფლებები და ამიტომ მოითხოვთ მოქალაქეობრივ თანასწორობას ამ ერებისთვის? და განა ჩვენ წინააღმდეგნი ვართ **ამ** მოთხოვნისა? ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარებისთვის მოქალაქეობრივ უფლებებს. მოქალაქეობრივი უფლებები ბრძოლის იარაღია; მათი წართმევა იარაღის წართმევაა; და ვინ არ იცის, რომ უიარაღო პროლეტარები კარგად ვერ იბრძოლებენ? რუსეთის პროლეტარიატისთვის კი საჭიროა, რომ რუსეთის ყველა ერის პროლეტარები კარგად იბრძოდნენ: რადგან რაც უფრო კარგად იბრძოლებენ ეს

პროლეტარები, მით უფრო მეტი კლასობრივი თვითშეგნება ექნებათ მათ, და რაც უფრო მეტი კლასობრივი თვითშეგნება ექნებათ, მით უფრო მჭიდრო იქნება რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ერთობა. დიახ, ყველაფერი ეს ვიცით და ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონით ვიბრძვით და ვიბრძოლებთ რუსეთის ერთა მოქალაქეობრივი თანასწორობისთვის! წაიკითხეთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-7 მუხლი, სადაც პარტია ლაპარაკობს «ყველა მოქალაქის სრულ თანასწორობაზე, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, გვარტომობისა და **ეროვნებისა**» — და დაინახავთ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის თავზე იღებს ამ მოთხოვნის განხორციელებას.

კიდევ რას მოითხოვენ ფედერალისტ-სოციალდემოკრატები?

2) «**ენის თავისუფლებას რუსეთის ერებისთვის**»?

თქვენ გაღელვებთ ის ფაქტი, რომ რუსეთის «უცხო» ერების პროლეტარებს თითქმის აკრძალული აქვთ სამშობლო ენაზე სწავლა, სამშობლო ენაზე ლაპარაკი საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში? დიახაც, რომ ასაღელვებელია! ენა განვითარებისა და ბრძოლის იარაღია. სხვადასხვა ერებს სხვადასხვანაირი ენა აქვთ. რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს: რუსეთის ერების პროლეტარებს სრული უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ **იმ ენით**, რომელზედაც უფრო თავისუფლად შეუძლიათ სწავლა-განათლება შეიძინონ, რომელზედაც უფრო კარგად შეუძლიათ ებრძოლონ მტრებს კრებებზე, საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში. **ამნაირ** ენად ცნობილია **სამშობლო ენა.** «უცხო» ერების პროლეტარებს ართმევენ სამშობლო ენას, და გავჩუმდეთო?! მერე, რა პასუხს აძლევს ამაზე რუსეთის პროლეტარიატს ჩვენი პარტიული პროგრამა? წაიკითხეთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-8 მუხლი, რომლის ძალითაც ჩვენი პარტია მოითხოვს: «სამშობლო ენაზე სწავლა-

განათლების მიღების უფლებას ყველა მცხოვრებთათვის, ამისთვის საჭირო სკოლების დაარსებას სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯით; თვითეული მოქალაქის უფლებას ილაპარაკოს სამშობლო ენაზე კრებებზე; სამშობლო ენის შემოღებას სახელმწიფო ენის თანასწორად, ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში», — წაიკითხეთ ყველაფერი ეს და დარწმუნდებით, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის თავზე იღებს ამ მოთხოვნის განხორციელებასაც.

კიდევ რას მოითხოვენ ფედერალისტ-სოციალდემოკრატები?

3) **«თვითმმართველობას რუსეთის ერებისთვის»?**

თქვენ გინდათ ამით სთქვათ, რომ ერთი და იგივე კანონები არ შეიძლება ერთნაირად მივუყენოთ რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებს, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთისგან თავისებური ყოფაცხოვრების პირობებით და მცხოვრებთა ვინაობით? თქვენ გინდათ, რომ ამისთანა ადგილებს უფლება ჰქონდეთ შეუფარდონ მათს თავისებურ პირობებს **საერთო** სახელმწიფო კანონები? თუ ეს ასეა, თუ თქვენს მოთხოვნას ასეთი შინაარსი აქვს, — მაშინ საჭიროა ფორმაც შესაფერი მისცეთ მას, საჭიროა თავი დაანებოთ ნაციონალისტურ ბუნდოვანობას და საგანს თავისი სახელი დაარქვათ. და თუ ამ რჩევას დაეთანხმებით, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ჩვენ არაფერი გვაქვს ამისთანა მოთხოვნის წინააღმდეგ. ჩვენთვის თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებმა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავისებური ყოფაცხოვრებით და მცხოვრებთა ვინაობით, არ შეიძლება ერთნაირად გამოიყენონ სახელმწიფო კონსტიტუცია, რომ საჭიროა ამისთანა ადგილებს უფლება ჰქონდეთ იმ ფორმაში განახორციელონ საერთო სახელმწიფო კონსტიტუცია, რა ფორმაშიც უფრო მეტ სარგებლობას მოიპოვებენ, რა ფორმაშიც

უფრო სავსებით განავითარებენ ხალხში არსებულ პოლიტიკურ ძალებს. ამას მოითხოვს რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები. და თუ გადაიკითხავთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-3 მუხლს, სადაც ჩვენი პარტია მოითხოვს «ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას; საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისთვის, რომლებიც განსხვავდებიან თავისებური ყოფაცხოვრების პირობებით და მცხოვრებთა ვინაობით», — დაინახავთ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჯერ ნაციონალისტური ბურუსისგან გაუთავისუფლებია ეს მოთხოვნა და მერე თავს უდვია მისი განხორციელება.

4) თქვენ გვითითებთ მეფის თვითმპყრობელობაზე, რომელიც მხეცურად სდევნის რუსეთის «უცხო» ერთა «ნაციონალურ კულტურას», რომელიც ავაზაკურად ერევა მათს შინაგან ცხოვრებაში და ყოველმხრივ ავიწროებს, რომელმაც ბარბაროსულად დაანგრია (და ანგრევს დღესაც) ფინელთა კულტურული დაწესებულებანი, ყაჩაღურად მოიტაცა სომეხთა ნაციონალური ქონება და სხვ.? თქვენ მოითხოვთ გარანტიას თვითმპყრობელობის ავაზაკური ძალმომრეობისგან? და განა ჩვენ ვერ ვხედავთ მეფის თვითმპყრობელობის ძალმომრეობას, განა ჩვენ ყოველთვის არ ვებრძვით ამ ძალმომრეობას?! დღეს ყველასთვის თვალსაჩინოა, თუ როგორ ავიწროებს და სულს უხუთავს დღევანდელი მთავრობა რუსეთის «უცხო» ერებს. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ მთავრობის ასეთი პოლიტიკა დღედადღე რყვნის და განსაცდელში აგდებს რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას. მაშასადამე, ჩვენ ყველგან და ყოველთვის შევებრძოლებით მეფის მთავრობის გამათახსირებელ პოლიტიკას. მაშასადამე, ჩვენ ყველგან და ყოველთვის დავიცავთ თვითმპყრობელობის პოლიციური ძალმომრეობისგან ამ ერთა არამც თუ სასარგებლო, არამედ უსარგებლო დაწესებულებებსაც კი, რადგან რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები გვეუბნებიან, რომ მარტო თვით ერებს

აქვთ უფლება მოსპონ ან განავითარონ თავიანთი ნაციონალური კულტურის ესა თუ ის მხარე. წაიკითხეთ ჩვენი პროგრამის მე-9 მუხლი. განა ამაზე არ ლაპარაკობს ჩვენი პარტიული პროგრამის მე-9 მუხლი, რომელმაც—აქვე შევნიშნავ — დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მტრებში თუ მოყვრებში.

მაგრამ აქ სიტყვას გვაწყვეტინებენ და გვირჩევენ მივანებოთ თავი მე-9 მუხლზე ლაპარაკს. მერე რატომ? ვკითხულობთ ჩვენ. «იმიტომაო», — გვიპასუხებენ, — რომ ეს მუხლი ჩვენი პროგრამისა «ძირეულად ეწინააღმდეგება» იმავე პროგრამის მე-3, მე-7 და მე-8 მუხლებს, რომ თუ ერებს ეძლევათ უფლება თავის ნებაზე მოაწყონ ყველა ნაციონალური საქმე (იხ. 9 მუხლი), მაშინ ადგილი აღარ უნდა ჰქონდეთ ხსენებულ პროგრამაში მე-3, მე-7 და მე-8 მუხლებს,— და, პირიქით, თუ ეს მუხლები არსებობს პროგრამაში, მაშინ უეჭველად უნდა გამოირიცხოს პროგრამიდან მე-9 მუხლი. უეჭველია, რაღაც ამგვარს ლაპარაკობს «საქართველო» *, როცა ის ჩვეულებრივი ქარაფშუტობით გვეკითხება: «რა ლოღიკაა — უთხრა ერს: მე გაძლევ შენ ოლქის თვითმმართველობას, და იმავე დროს მოაგონო, რომ მას უფლება აქვს თავის ნებაზე მოაწყოს ყველა ნაციონალური საქმე?» (იხ. «საქართველო» № 9). «სჩანს», ლოგიკური წინააღმდეგობა შეგვპარვია პროგრამაში, «სჩანს», საჭიროა ამ წინააღმდეგობის ასაცილებლად გამოვრიცხოთ პროგრამიდან რომელიმე ან რამდენიმე მუხლი! დიახ, «უეჭველად» უნდა გამოვრიცხოთ, თორემ, როგორ იქნება: ხომ ხედავთ, ლოგიკა ჯავრდება ულოგიკო «საქართველოს» პირით.

ერთი ძველი თქმულება მაგონდება. იყო ერთი «ბრძენი-ანატომი». მას «ყველაფერი» ჰქონდა, რაც კი ესაჭიროებოდა «ნამდვილ» ანატომს: დიპლომი, სახლი, იარაღები, ახირებული

* ჩვენ აქ «საქართველოს» ვეხებით მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო კარგად გამოვარკვიოთ მე-9 მუხლის შინაარსი. ამ წერილის მიზანია ფედერალისტ-სოციალდემოკრატების კრიტიკა და არა «საქართველოისტების», რომლებიც ძირეულად განირჩევიან პირველებისგან (იხ. 1 თავი).

პრეტენზია; არ ჰქონდა მხოლოდ მცირე რამ — ანატომიის ცოდნა. ერთხელ მას მიმართეს და სთხოვეს აეხსნა, თუ რა კავშირი არსებობს ჩონჩხის ნაწილთა შორის, რომლებიც მას ანატომიურ მაგიდაზე ჰქონდა გაფანტული. ამნაირად, ჩვენს «დიდებულ ბრძენს» მიეცა შემთხვევა თავი გამოეჩინა. «ბრძენმა» დიდი ამბითა და ზეიმით მიჰყო ხელი «საქმეს»! მაგრამ დახეთ უბედურებას! — «ბრძენს» ინჩი არ ესმოდა ანატომიისა, მან არ იცოდა, რომელი ნაწილი რომლისთვის მიეყენებინა, რომ ბოლოს მთელი ჩონჩხი გამოესულიყო! ბევრი იცოდვილა საწყალმა, ბევრი ოფლი დაღვარა, მაგრამ ამაოდ! ბოლოს, როცა გზა-კვალი აერია და ვეღარა გაიგო-რა, აიღო რამდენიმე ნაწილი ჩონჩხისა, შორს გადატყორცნა და თანაც ფილოსოფიურად შეაგინა «ბოროტგამზრახველებს», რომლებმაც ვითომდა «ყალბი ნაწილები» დაუწყვეს მას მაგიდაზე. მაყურებლებმა, რა თქმა უნდა, სიცილი მიაყარეს «ბრძენ ანატომს».

ასეთივე «ოინი» დაემართა «საქართველოს». მას მოუნდომებია ჩვენი პარტიული პროგრამის გარჩევა, მაგრამ არ სცოდნია, რა არის ჩვენი პროგრამა და როგორ უნდა გაარჩიო ის, ვერ გაუგია, რა კავშირი არსებობს ამ პროგრამის მუხლებს შორის და რას წარმოადგენს თვითეული მუხლი ამ პროგრამისა, — და აი, «ფილოსოფიურად» გვირჩევს: რადგან ესა და ეს მუხლები თქვენი პროგრამისა ვერ გავიგე, ამიტომ (?!) საჭიროა «გააძევოთ» ისინი პროგრამიდანო.

მაგრამ მე არ მინდა საცინლად ავიგდო ისედაც სასაცილო «საქართველო»: წაქცეულს არა სცემენო, ნათქვამია! პირიქით, მე თანახმაც კი ვარ გავაგებინო რამე მას ჩვენი პროგრამის ახსნა-გარჩევაში, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ 1) მან თავისივე პირით აღიაროს თავისი უმეცრება, 2) გულმოდგინედ დამიგდოს ყური და 3) შეურიგდეს ლოგიკას *.

* საჭიროა ვამცნო მკითხველს, რომ «საქართველომ» პირველი №-დანვე ომი გამოუცხადა ლოგიკას, როგორც ბორკილს, რომელსაც უნდა

საქმე აი რაშია. მე-3, მე-7 და მე-8 მუხლი ჩვენი პროგრამისა აღმოცენდა **პოლიტიკური ცენტრალიზმის** ნიადაგზე. როცა ეს მუხლები შეჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას თავის პროგრამაში, ის იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ ეგრეთწოდებული «საბოლოო» გადაჭრა «ნაციონალური საკითხისა», ე. ი. «განთავისუფლება» რუსეთის «უცხო» ერებისა, საზოგადოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიის ხელშია. მიზეზი ამისა ორნაირია: ჯერ ერთი ის, რომ დღევანდელი ეკონომიური წინსვლა თანდათან ხიდს სდებს «უცხო ერებსა» და «რუსეთს» შორის, უფრო და უფრო აკავშირებს მათ ერთმანეთთან და მით მეგობრულ გრძნობებს ბადებს ამ ერების ბურჟუაზიის ხელმძღვანელ წრეებში, რაც ნიადაგს აცლის მათს «ნაციონალურ-განმათავისუფლებელ» მისწრაფებებს; მეორეც ის, რომ ეგრეთწოდებულ «ნაციონალურ-განმათავისუფლებელ» მოძრაობას, **საერთოდ რომ ვთქვათ,** მხარს არ დაუჭერს პროლეტარიატი, რადგან ყველა **ასეთი** მოძრაობა დღემდის ბურჟუაზიის სასარგებლოდ ხდებოდა, და პროლეტარიატს კი კლასობრივ თვითშეგნებას ურყვნიდა და უმახინჯებდა. ამ შეხედულებამ დაბადა **პოლიტიკური ცენტრალიზმის** აზრი და მისგან გამოწვეული მე-3, მე-7, მე-8 მუხლები ჩვენი პარტიული პროგრამისა.

მაგრამ ეს, როგორც ზემოთაც ვთქვით, **ზოგადი** შეხედულებაა.

ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ შესაძლებელია იმნაირად მოეწყოს ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომ «უცხო» ერების ბურჟუაზიის მოწინავე წრეებმა «ნაციონალური განთავისუფლება» მოინდომონ.

ვებრძოლოთ. არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ «საქართველო» ხშირად ლოგიკის სახელით ლაპარაკობს. ამას ის თავისი ქარაფშუტობითა და გულმავიწყობით შვრება.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ ასეთი მოძრაობა სასარგებლო დარჩეს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისთვის.

როგორ მოიქცეს მაშინ ჩვენი პარტია?

აი სწორედ ამისთანა შესაძლებელი შემთხვევებისთვის არის ჩართული ჩვენს პროგრამაში მე-9 მუხლი, სწორედ ამისთანა შესაძლებელ გარემოებათა გათვალისწინებით ეძლევა ერებს უფლება, რომლის ძალითაც ისინი ეცდებიან თავისი სურვილების თანახმად მოაწყონ თავიანთი ნაციონალური საქმეები (მაგალითად, სრულიად «განთავისუფლდნენ», გამოეყონ).

ჩვენი პარტია, ის პარტია, რომელსაც მიზნად აუღია წინ წაუძღვეს მთელი რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს, უნდა მომზადებული შეხვდეს ამგვარ შესაძლებელ შემთხვევებს პროლეტარიატის ცხოვრებაში და სწორედ ამიტომ შესაფერი მუხლი ჩაურთო მან თავის პროგრამაში.

ყველა წინდახედული, შორსმჭვრეტელი პარტია ვალდებულია ასე მოიქცეს.

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, «საქართველოს» «ბრძენებს» და აგრეთვე ზოგიერთ ფედერალისტ-სოციალდემოკრატებს არ აკმაყოფილებს მე-9 მუხლის ასეთი შინაარსი. ისინი «გადაჭრილ», «პირდაპირ» პასუხსა გვთხოვენ კითხვაზე: სასარგებლოა თუ საზარალო «ნაციონალური დამოუკიდებლობა» პროლეტარიატისთვის? *

მე მომაგონდა გასული საუკუნის 50-იანი წლების რუსი მეტაფიზიკოსები, რომლებიც ჩაციებით ეკითხებოდნენ მაშინდელ დიალექტიკოსებს: სასარგებლოა თუ საზარალო წვიმა მოსავლისთვისო, და სთხოვდნენ მათ «გადაჭრილ» პასუხს. დიალექტიკოსებმა ადვილად დაამტკიცეს, რომ კითხვის ასე დაყენება სრულიად არამეცნიერულია, რომ სხვადასხვა დროს

* იხ. წერილი «ძველი (ე. ი. დაძველებული!) რევოლუციონერისა», «საქართველო» № 9.

სხვადასხვანაირად უნდა ვუპასუხებდეთ ამისთანა კითხვაზე, რომ გვალვიან დროს, რა თქმა უნდა, სასარგებლოა წვიმა და წვიმიან დროს — უსარგებლო და ხშირად საზარალოც, რომ, მაშასადამე, მტკნარი სისულელეა «გადაჭრილი» პასუხის მოთხოვნა ამისთანა კითხვაზე.

მაგრამ უსარგებლოდ ჩაიარა გაზეთ «საქართველოსთვის» ამისთანა მაგალითებმა!

ასეთსავე «გადაჭრილ» პასუხს სთხოვდნენ ბერნშტეინის მიმდევრები მარქსისტებს კითხვაზე — სასარგებლოა თუ საზარალო პროლეტარიატისთვის კოოპერატივები (ე. ი. სამომხმარებლო-საწარმოო ამხანაგობები)? მარქსისტებმა ადვილად დაამტკიცეს უშინაარსობა ყველა ამისთანა კითხვისა. მათ სულ უბრალოდ ახსნეს, რომ ყველაფერი დროზე და ადგილზეა დამოკიდებული, რომ იქ, სადაც პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება სასურველ წერტილამდეა აწეული, სადაც პროლეტარები შეერთებული არიან ერთ მაგარ პოლიტიკურ პარტიად — იქ კოოპერატივები დიდ სარგებლობას მოუტანს პროლეტარიატს, თუ მათს დაარსებას და ხელმძღვანელობას თვითონ პარტია იკისრებს; იქ კი, სადაც ეს პირობები არ არსებობს,—საზარალოა კოოპერატივები პროლეტარიატისთვის, რადგან წვრილ-ვაჭრულ ტენდენციას და ერთგვარ ამჭრულ კარჩაკეტილობას ბადებს მუშებში და, ამგვარად, ამახინჯებს მათს კლასობრივ თვითშეგნებას.

მაგრამ ამ მაგალითმაც უნაყოფოდ ჩაიარა «საქართველოისტებისთვის». ისინი უფრო დაჟინებით გვეკითხებიან: სასარგებლოა თუ საზარალო პროლეტარიატისთვის ნაციონალური დამოუკიდებლობაო? მოგვეცით გადაჭრილი პასუხიო!

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლია დაბადოს და განავითაროს «უცხო» ერთა ბურჟუაზიაში «ნაციონალურ-განმათავისუფლებელი» მოძრაობა, — ის გარემოებები ჯერ არ არსებობს, და არც აუცილებელ რამეს წარმოადგენს მომავალში, არამედ მიღებული არის

ჩვენგან მხედველობაში, როგორც შესაძლებელი გარემოებები. გარდა ამისა, ჯერ ხომ შესაძლებელიც არ არის ვიცოდეთ, თუ რა საფეხურზე იქნება მაშინ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება, რამდენად სასარგებლო ან საზარალო იქნება ეს მოძრაობა პროლეტარიატისთვის! მაშ რა ნიადაგზე ავაშენოთ* «გადაჭრილი» პასუხი ამ კითხვაზე, საიდან გამოვიყვანოთ ის? და განა სისულელე არ არის ასე ახირებულად «გადაჭრილი» პასუხის მოთხოვნა?

ცხადია, თვით «უცხო» ერებს უნდა მივანდოთ ამ კითხვის გადაჭრა, ხოლო ჩვენ უნდა მოვუპოვოთ მათ უფლება ამ კითხვის გადაჭრისა. დაე თვით ერებმა გადაჭრან, როცა კი საჭიროება მოითხოვს მათგან, სასარგებლოა მათთვის თუ საზარალო «ნაციონალური დამოუკიდებლობა», და თუ სასარგებლოა, რა ფორმაში უნდა განხორციელდეს ის? მხოლოდ მათ შეუძლიათ ამ კითხვის გადაჭრა!

ამგვარად, მე-9 მუხლის ძალით «უცხო» ერებს ეძლევათ უფლება თავიანთი სურვილების თანახმად მოაწყონ თავიანთი ნაციონალური საქმეები. ჩვენ კი, ამავე მუხლის ძალით, ვალდებული ვართ შევეცადოთ, რომ ამ ერთა სურვილები ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული იყოს, რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდეს. ამისთვის კი საჭიროა სოციალ-დემოკრატიულად გავანათლოთ ამ ერთა პროლეტარები, სოციალ-დემოკრატიული კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ზოგიერთი რეაქციული «ნაციონალური» ზნე-ჩვეულება და დაწესებულება, რაც სრულიადაც არ შეგვიშლის ხელს პოლიციური ძალმომრეობისგან დავიცვათ იგივე ზნე-ჩვეულებები და დაწესებულებები.

ასეთია მე-9 მუხლის დედააზრი.

---

* ბ-ნი «საქართველოისტები» მუდამ ჭვიშაზე აშენებენ თავიანთ მოთხოვნებს და ვერ წარმოუდგენიათ იმისთანა ხალხის არსებობა, რომელიც უფრო მაგარ ნიადაგს მოუძებნის თავის მოთხოვნებს!

ადვილი შესამჩნევია, თუ რა ღრმა ლოგიკური კავშირი აქვს ამ მუხლს ჩვენი პროგრამისას პროლეტარული კლასთა ბრძოლის პრინციპთან; და რადგან მთელი ჩვენი პროგრამა ამ პრინციპზეა აშენებული, ამიტომ თავისთავად ცხადია მე-9 მუხლის ლოგიკური კავშირი ჩვენი პარტიული პროგრამის ყველა დანარჩენ მუხლთან.

მაგრამ სქელშუბლიან «საქართველოს» იმიტომ ჰქვია პრესის «ბრძნული» ორგანო, რომ ის ამისთანა უბრალო აზრებს ვერ ინელებს.

რაღა დარჩა «ნაციონალურ საკითხში»?

5) **«დაცვა ნაციონალური სულისა და მისი თვისებებისა»?**

მაგრამ რა არის ეს «ნაციონალური სული და მისი თვისებები»? ნეცნიერებამ კარგა ხანია დაამტკიცა დიალექტიკური მატერიალიზმის პირით, რომ არავითარი «ნაციონალური სული» არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. დაარღვია ვინმემ ეს შეხედულება დიალექტიკური მატერიალიზმისა? ისტორია გვეუბნება, რომ არ დაურღვევია. ცხადია, ვალდებული ვართ დავუჯეროთ მეცნიერების აღნიშნულ შეხედულებას, ვალდებული ვართ მეცნიერებასთან ერთად გავიმეოროთ, რომ არავითარი «ნაციონალური სული» არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. და თუ ეს ასეა, თუ არავითარი «ნაციონალური სული» არ არსებობს, თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე დაცვა იმისი, რაც არ არსებობს, ლოგიკური სისულელეა, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს შესაფერი ისტორიული (არასასურველი) შედეგები. ამისთანა «ფილოსოფიურ» სისულელეებზე ისევ «საქართველოს» თუ შეჰფერის ლაპარაკი, «ორგანოს ქართველ სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისას» (იხ. «საქართველო», № 9)*.

* რას წარმოადგენს ამ ახირებული სახელწოდების «პარტია»? «საქართველო» გვიამბობს (იხ. პირველი დამატება «საქართველოს» მე-10 №-ისა), რომ წლეულს გაზაფხულზე საზღვარგარეთ თავი მოიყარეს ქართველმა რევოლუციონერებმა: ქართველმა ანარქისტებმა, «საქართველოს» მომხრე-

*
* *

ასეთია ნაციონალური საკითხის საქმის ვითარება.

როგორც ხედავთ, ჩვენმა პარტიამ დაანაწევრა ის ცალკე ნაწილებად, ამოსწოვა მას სასიცოცხლო წვენი და ჩაუშვა თავისი პროგრამის ძარღვებში, — და ყოველივე ამით დაგვანახა, როგორ უნდა გადავჭრათ «ნაციონალური საკითხი» სოციალ-დემოკრატიაში, რომ ძირიანად დავანგრიოთ ნაციონალური კედლები, რომ არც ერთ წუთს არ დავშორდეთ ჩვენს პრინციპებს.

რაღა საჭიროა—ერთი ვიკითხოთ—ცალკე ნაციონალური პარტიები? ან სად არის ის სოციალ-დემოკრატიული «ბაზისი», რომელზედაც უნდა აშენდეს ორგანიზაციული და პოლიტიკური შეხედულებები ფედერალისტ-სოციალდემოკრატებისა? ასეთი

ებმა, ქართველმა «სოციალ-რევოლუციონერებმა» და... შეერთდნენ... «პარტიად» ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისა»... დიახ, სწორედ ანარქისტები, რომლებსაც სულითა და გულით ეზიზღებათ ყოველი პოლიტიკა, სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც აღმერთებენ პოლიტიკას, საქართველოისტები, რომლებიც უარყოფენ ყოველ ტეროროისტულ და ანარქისტულ ზომას,—აი, ეს ჭრელი და ერთმანეთის უარმყოფელი ხალხი, თურმე ნუ იტყვით, შეერთებულა... «პარტიად»! იდეალური სხვადასხვაობა, როგორსაც კი წარმოიდგენს როდისმე ადამიანი! აი, სად არ მოსწყინდება კაცს!.. ცდებიან ის ორგანიზატორები, რომლებიც ამტკიცებენ, ადამიანების პარტიაში შესაერთებლად პრინციპების ერთნაირობაა საჭიროო! პრინციპების ერთნაირობა კი არაო, გვეუბნებიან ეს ჭრელი ადამიანები, პრინციპების უქონლობაა ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აშენდეს «პარტიაო». შორს ჩვენგან «თეორია», პრინციპები—ეს მონური ბორკილები! მათგან რაც ჩქარა განთავისუფლდები, მით უფრო კარგიაო, — ფილოსოფოსობენ ჭრელი ადამიანები. და მართლაც, განთავისუფლდნენ თუ არა პრინციპებისგან, მაშინვე, ერთი დაკვრით ააშენეს... ჭაღალდის ხუხულა — უკაცრავად — «პარტია ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისა». თურმე ნუ იტყვით, «შვიდნახევარი კაცი ყოველთვის ააშენებს» «პარტიას», როცა კი ერთად თავს მოიყრის!.. და მოდი და ნუ გაგეცინება, როცა ეს უვიცი და უჯარო «ოფიცრები» ფილოსოფოსობას მოჰყვებიან: რუსეთის სოციალ-დემოკრა-

«ბაზისი» არა სჩანს, ის არ არსებობს. ფედერალისტი-სოციალ-დემოკრატები ჰაერში ჰკიდიან.

ამ უხერხული მდგომარეობიდან ორი გზით შეუძლიათ მათ გამოვიდნენ. ისინი ან უნდა საბოლოოდ დაშორდნენ რევოლუციური პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს და დადგნენ ნაციონალური კედლების გამაგრების პრინციპზე (ოპორტუნიზმი ფედერალისტურ ფორმაში); ანდა მათ უნდა უარყონ ყოველივე ფედერალიზმი პარტიულ ორგანიზაციაში, თამამად ააფრიალონ დროშა ნაციონალური კედლების დანგრევისა და თავი მოიყარონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთიან ბანაკში.

გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 7,
1904 წლის 1 სექტემბერი.
სტატია ხელმოუწერელია.

ტიული მუშათა პარტია «ანტისოციალისტურია, რეაქციულიაო» და სხვ.; რუსი სოციალ-დემოკრატები «შოვინისტები» არიანო, კავკასიის კავშირი ჩვენი პარტიისა «მონურად» ემორჩილება პარტიის ცენტრალურ კომიტეტსო* და სხვ. (იხ. რეზოლუციები ქართველი რევოლუციონერების პირველი კონფერენციისა). უკეთეს რამეს არც უნდა მოელოდეს კაცი ბაკუნინის დროის არქეოლოგიური ნაშთებისგან. როგორიც ხეხილი — ისეთი ნაყოფიც, როგორიც ფაბრიკა — ისეთი საქონელი.

* უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი პარტიის ცალკე ნაწილების შეთანხმებული მოქმედება ზოგიერთ არანორმალურ «ინდივიდებს» ისე მოეჩვენებათ ხოლმე, როგორც «მონური მორჩილება». ეს სულ სუსტი ნერვების ბრალიაო, ამბობენ ექიმები.

წერილი ქუთაისიდან [9]

აქ ახლა საჭიროა «ისკრა» [10] (თუმცა იგი უნაპერწკლოა, მაგრამ მაინც საჭიროა: სხვა თუ არაფერი, იქ ქრონიკა მაინც არის, ეშმაკმა წაიღოს მისი თავი, მტერსაც კარგად უნდა იცნობდე), დაწყებული 63 №-დან. ძალიან საჭიროა ბონჩ-ბრუევიჩის [11] გამოცემები: «ბრძოლა ყრილობისთვის», «პარტიისადმი» (22-ის დეკლარაცია [12] ხომ არაა?), «ჩვენი გაუგებრობანი», «სოციალიზმის არსის შესახებ» და «გაფიცვების შესახებ» რიადოვოისა (თუ გამოსულია), ლენინის ბროშურა როზას და კაუცკის წინააღმდეგ [13], ლიგის ყრილობის ოქმები [14], «ნაბიჯი წინ» [15] (შეგიძლია გადასდო, ახლა თუ ვერ მოესწრება). საჭიროა ყოველი ახალი გამოცემა უბრალო დეკლარაციებიდან დიდ ბროშურებამდე, რაც ოდნავ მაინც ეხება არსებულ შინაპარტიულ ბრძოლას.

წავიკითხე გალიორკას ბროშურა «ძირს ბონაპარტიზმი». არა უშავს-რა. თავის უროს უფრო ძლიერ და ღრმად რომ სცემდეს, უკეთესი იქნებოდა. ოხუნჯობის კილო და თხოვნა შეწყნარების შესახებ ძალასა და სიმძიმეს უკარგავს მის დარტყმებს და შთაბეჭდილებას უფუჭებს მკითხველს. ეს ნაკლი მით უფრო გეცემა თვალში, რომ ავტორს, ეტყობა, კარგად ესმის ჩვენი პოზიცია და მშვენივრად არკვევს და ანვითარებს ზოგიერთ საკითხს. ის, ვინც ჩვენს პოზიციაზე დგას, მტკიცე და შეუდრეკელი ხმით უნდა ლაპარაკობდეს. ამ მხრივ ლენინი ნამდვილი მთის არწივია.

წავიკითხე აგრეთვე პლეხანოვის სტატიები, რომლებშიც იგი არჩევს წიგნს «რა ვაკეთოთ?» [16]. ეს კაცი ან მთლად შეშლილა, ან მას სიძულვილი და მტრობა ალაპარაკებს. ვფიქრობ, აქ ერთიცაა და მეორეც. მე მგონია, რომ პლეხანოვი ჩამორჩა **ახალ საკითხებს**. მას ძველი ოპონენტები ელანდება, და ძველებურად გაიძახის: «საზოგადოებრივი შეგნება განისაზღვრება საზოგადოებრივი მდგომარეობით», «იდეები ციდან არ ცვივა». თითქოს ლენინი ამბობდეს, რომ მარქსის სოციალიზმი შესაძლებელი იქნებოდა მონობის ან ბატონყმობის დროს. ახლა გიმნაზიელებმაც კი იციან, რომ «იდეები ციდან არ ცვივა». მაგრამ საქმე ის არის, რომ ახლა ლაპარაკია სულ სხვა რამეზე. ეს ზოგადი ფორმულა ჩვენ დიდი ხანია შევითვისეთ, დადგა დრო მოვახდინოთ ამ ზოგადი საკითხის დეტალიზაცია. ახლა ჩვენ ის გვაინტერესებს, თუ როგორ მუშავდება ცალკე იდეებიდან იდეათა სისტემა (სოციალიზმის თეორია), როგორ კავშირდებიან ცალკე იდეები ერთ მწყობრ სისტემად—სოციალიზმის თეორიად, და ვინ ამუშავებს და აკავშირებს მათ. მასა აძლევს თავის ხელმძღვანელებს პროგრამასა და პროგრამის დასაბუთებას თუ ხელმძღვანელები მასას? თუ თვით მასა და მისი სტიქიური მოძრაობა გვაძლევენ სოციალიზმის თეორიას, რაღა საჭიროა დავიცვათ მასა რევიზიონიზმის, ტეროროზმის, ზუბატოველობის, ანარქიზმის მავნე გავლენისგან: «სტიქიური მოძრაობა თვითონ **თავის თავისგან** წარმოშობს სოციალიზმს». ხოლო თუ თავის თავისგან **არ** წარმოშობს სტიქიური მოძრაობა სოციალიზმის თეორიას (არ დაგავიწყდეს, რომ ლენინი ლაპარაკობს სოციალიზმის თეორიაზე), მაშინ ეს უკანასკნელი წარმოიშობა სტიქიური მოძრაობის **გარეთ**, სტიქიურ მოძრაობაზე დაკვირვებისა და მისი შესწავლისაგან იმ ადამიანების მიერ, რომლებიც შეიარაღებული არიან ჩვენი დროის ცოდნით. მაშასადამე, სოციალიზმის თეორია მუშავდება «სტიქიური მოძრაობის ზრდისგან სრულიად დამოუკიდებლად», ამ მოძრაობის წინააღმდეგაც კი, და შემდეგ უკვე **გარედან შეაქვთ** იგი ამ მოძრაობაში, რომელსაც **ასწორებს** იგი თავისი შინაარსის

შესაბამისად, ე. ი. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ობიექტური მოთხოვნების შესაბამისად.

აქედან დასკვნა (პრაქტიკული დასკვნა) ასეთია: ავამაღლოთ პროლეტარიატი ჭეშმარიტი კლასობრივი ინტერესების შეგნებამდე, სოციალისტური იდეალის შეგნებამდე, და არა ის, რომ ეს იდეალი წვრილმანებად დავახურდაოთ ანდა სტიქიურ მოძრაობას შევუფარდოთ. ლენინმა შექმნა თეორიული ბაზისი, რომელსაც ემყარება ეს პრაქტიკული დასკვნა. საკმარისია მიიღო ეს თეორიული წინაპირობა, და ვერავითარი ოპორტუნიზმი ახლოს ვეღარ წაგეკარება. ამაშია ლენინური იდეის მნიშვნელობა. მას ლენინურს ვუწოდებ, იმიტომ რომ რუსულ ლიტერატურაში არავის არ გამოუთქვამს იგი ისე ნათლად, როგორც ლენინს. პლეხანოვი ფიქრობს, რომ იგი კვლავ 90-იან წლებში ცხოვრობს, და ღეჭავს თვრამეტჯერ გადაღეჭილს — ორჯერ ორი ოთხიაო. და არც კი რცხვენია, მარტინოვის იდეებს რომ იმეორებს...

ალბათ იცნობ 22-ის დეკლარაციას... აქ იყო თქვენი მხრიდან ჩამოსული ერთი ამხანაგი, თან წამოიღო კავკასიის კომიტეტების რეზოლუციები პარტიის სასწრაფო ყრილობის სასარგებლოდ.

ტყუილად უყურებ საქმეს უიმედოდ, — მხოლოდ ქუთაისის კომიტეტი ყოყმანობდა, მაგრამ მე მოვახერხე დამეჯერებინა ისინი, და ამის შემდეგ ბოლშევიზმს ფიცულობენ. მათი დაჯერება ძნელი არ იყო: ცენტრალური კომიტეტის ორპირული პოლიტიკა აშკარა გახდა დეკლარაციის მეოხებით, და ამის შესახებ ახალი ცნობების მიღების შემდეგ ამაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა. იგი (ცენტრალური კომიტეტი) კისერს მოიტეხს, ამას აქაური და რუსი ამხანაგები შეეცდებიან. ყველანი კბილებს ილესავენ მის წინააღმდეგ.

დაწერილია 1904 წ. სექტემბერ-ოქტომბერში.
იბეჭდება პირველად.

წერილი ქუთაისიდან

წერილი დაგიგვიანე, ნუ გამიჯავრდები. სულ მოუცლელი ვიყავი. ყველაფერი, რაც შენ გამოგეგზავნა, მივიღე (ლიგის ოქმები; «ჩვენი გაუგებრობანი» გალიორკასი და რიადოვოისა; «სოციალ-დემოკრატი» № 1; «ისკრა» უკანასკნელი ნომრები). რიადოვოის აზრი («ერთერთი დასკვნათაგანი») მომეწონა. კარგია აგრეთვე სტატია როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ. ამ ბატონებმა — როზამ, კაუცკიმ, პლეხანოვმა, აქსელროდმა, ვერა ზასულიჩმა და სხვებმა, — ეტყობა, რაღაც ოჯახური ტრადიციები შეიმუშავეს, როგორც ძველმა ნაცნობებმა. ისინი ერთმანეთს ვერ «უღალატებენ», ისე იცავენ ერთმანეთს, როგორც პატრიარქალურ ტომთა კლანის წევრები იცავდნენ ერთი-მეორეს ნათესავის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის განურჩევლად. სწორედ ამ ოჯახურმა «ნათესაურმა» გრძნობამ შეუშალა როზას ხელი ობიექტურად შეეხედა პარტიული კრიზისისთვის (რა თქმა უნდა, არის სხვა მიზეზებიც, მაგალითად: ფაქტების ცუდი ცოდნა, საზღვარგარეთული სათვალე და სხვ.). სხვათა შორის, ამითვე აიხსნება პლეხანოვის, კაუცკისა და სხვების ზოგიერთი უღირსი საქციელი.

აქ ყველას მოსწონს ბონჩის გამოცემები, როგორც ბოლშევიკების პოზიციის ოსტატური გამოხატულება. კარგს იზამდა გალიორკა, **არსებითად** რომ შეხებოდა პლეხანოვის სტატიებს («ისკრის» №№ 70, 71). გალიორკას სტატიების ძირითადი აზრი ის არის, რომ პლეხანოვი წინათ ერთს ამბობდა, ახლა სხვას ამბობს, თავის თავს ეწინააღმდეგებაო. დიდი რამ მომხდარა!

თითქოს ეს ახალი ამბავია! ის პირველად კი არ ეწინააღმდეგება თავის თავს. და ამით ის იქნებ კიდეც ამაყობდეს, თავის თავს «დიალექტიკური პროცესის» ცოცხალ განსახიერებად სთვლიდეს. თავისთავად ცხადია, რომ არათანმიმდევრობა ლაქაა «ხელმძღვანელის» პოლიტიკურ სახეზე, და იგი (ლაქა) უეჭველად უნდა აღინიშნოს. მაგრამ ჩვენ (ე. ი. №№ 70, 71-ში) ლაპარაკი გვაქვს არა ამაზე, არამედ მნიშვნელოვან საკითხზე თეორიისა (საკითხი შეგნებისადმი მდგომარეობის დამოკიდებულების შესახებ) და ტაქტიკის (ხელმძღვანელებისადმი ხელმძღვანელობაში მყოფთა დამოკიდებულების) შესახებ. გალიორკას, ჩემი აზრით, უნდა ეჩვენებინა, რომ პლეხანოვის თეორიული ომი ლენინის წინააღმდეგ წმინდა წყლის დონკიხოტობაა, ქარის წისქვილებთან ომია, ვინაიდან ლენინი თავის წიგნში უაღრესად თანმიმდევრულად იცავს კ. მარქსის დებულებას შეგნების **წარმოშობის შესახებ**. ხოლო პლეხანოვის ომი ტაქტიკის საკითხზე მთლად აბდაუბდაა, დამახასიათებელი იმ «ინდივიდისა», რომელიც ოპორტუნისტების ბანაკში გადადის. პლეხანოვს რომ ნათლად დაესვა საკითხი, თუნდაც ამნაირად: «ვინ აყალიბებს პროგრამას, ხელმძღვანელნი თუ ხელმძღვანელობაში მყოფნი?» და შემდეგ: «ვინ ვის ამაღლებს პროგრამის გაგებამდე, ხელმძღვანელები ხელმძღვანელობაში მყოფთ თუ ეს უკანასკნელნი პირველთ?» ანდა: «იქნებ არასასურველია, რომ ხელმძღვანელები ამაღლებდნენ მასას პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის პრინციპების გაგებამდე?» პლეხანოვს რომ ასე ნათლად დაეყენებინა ეს საკითხები, რომლებიც თავისი სიმარტივისა და ტავტოლოგიურობის გამო თვითონ შეიცავენ თავიანთ გადაწყვეტას, მაშინ მას იქნებ შეშინებოდა თავისი განზრახვისა და აღარ გამოსულიყო ასეთი რიხით ლენინის წინააღმდეგ. და რამდენადაც პლეხანოვი ასე არ მოიქცა, ე. ი. რამდენადაც მან ააბნია საკითხი ფრაზებით «გმირებისა და ბრბოს» შესახებ, ამდენად მან **ტაქტიკური ოპორტუნიზმისკენ** გადაუხვია. საკითხების აბნევა ოპორტუნისტების დამახასიათებელი ოვისებაა.

გალიორკას ეს და ამის მსგავსი საკითხები არსებითად რომ დაეყენებინა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა. მეტყვი, ეს ლენინის საქმეაო, მაგრამ მე არ შემიძლია ამაში დაგეთანხმო, ვინაიდან ლენინის გაკრიტიკებული შეხედულებანი ლენინის საკუთრება როდია, და მათი დამახინჯება სხვა პარტიელებს ნაკლებად როდი შეეხება, ვიდრე ლენინს. რა თქმა უნდა, ლენინი სხვაზე უკეთ შესძლებდა ამ ამოცანის შესრულებას...

უკვე არის რეზოლუციები ბონჩის გამოცემათა სასარგებლოდ. შესაძლოა ფულიც იქნეს. ალბათ წაიკითხავდი «ისკრის» № 74-ში რეზოლუციებს «ზავის სასარგებლოდ». **იმერეთ-სამეგრელოს** და **ბაქოს კომიტეტების** რეზოლუციები მოხსენებული არ ყოფილა, იმიტომ, რომ იქ არაფერი არ იყო ცენტრალური კომიტეტისადმი «ნდობის» შესახებ. სექტემბრის რეზოლუციები, როგორც გწერდი, დაჟინებით მოითხოვდნენ ყრილობას. ვნახოთ, რა იქნება, ე. ი. ვნახოთ, რას გვიჩვენებს პარტიული საბჭოს [17] სხდომათა რეზოლუციები. მიიღე თუ არა 6 მან.? ამ დღეებში კიდევ მიიღებ. არ დაგავიწყდეს და იმ პიროვნების ხელით გამომიგზავნე ბროშურა **«წერილი ამხანაგისადმი»** [18],— აქ იგი ბევრს არ წაუკითხავს. გამომიგზავნე აგრეთვე «სოციალ-დემოკრატი», შემდეგი ნომერი.

კოსტროვმა [19] გამოგვიგზავნა კიდევ ერთი წერილი, სადაც ლაპარაკობს სულსა და მატერიაზე (მგონია, ლაპარაკია ჩითის მატერიაზე). ამ ვირს კიდევ არ ესმის, რომ მის წინაშე გაზეთ «კვალის» [20] აუდიტორია როდია. რა ესაქმება მას ორგანიზაციულ საკითხებთან?

გამოვიდა «პროლეტარიატის ბრძოლის» [21] ახალი ნომერი (№-7). სხვათა შორის, იქ არის ერთი ჩემი სტატია ორგანიზაციული და პოლიტიკური ფედერალიზმის [22] წინააღმდეგ. თუ მოვახერხე, გამოგიგზავნი ამ №-ს.

დაწერილია 1904 წ. ოქტომბერში.
იბეჭდება პირველად.

პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია

(პარტიის წესდების პირველი მუხლის გამო)

წავიდა ის დრო, როცა თამამად იძახდნენ: «ერთი და განუყოფელი რუსეთიო!» დღეს ბალღმაც კი გაიგო, რომ «ერთი და განუყოფელი» რუსეთი არ არსებობს, რომ ის კარგა ხანია ორ მოპირდაპირე კლასად გაიყო: ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. დღეს დაფარული აღარავისთვის არის, რომ ბრძოლა ამ ორ კლასს შორის გადაიქცა იმ ღერძად, რომლის გარშემოც ტრიალებს ჩვენი დღევანდელი ცხოვრება.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს დღემდე ძნელი შესამჩნევი იყო, — და ეს იმიტომ, რომ დღემდე ბრძოლის ველზე მხოლოდ ცალკე ჯგუფებს ვხედავდით, რომ მხოლოდ ცალკე ჯგუფები იბრძოდნენ ცალკე ქალაქებსა და კუთხეებში, პროლეტარიატი და ბურჟუაზია კი, როგორც კლასები, არ სჩანდნენ, ძნელი დასანახი იყვნენ. მაგრამ აი, ქალაქები და კუთხეები შეკავშირდნენ, პროლეტარიატის სხვადასხვა ჯგუფებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს, იფეთქა საერთო გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა, — და ჩვენს წინ გადაიშალა დიდებული სურათი ორ რუსეთს შორის, ბურჟუაზიულ რუსეთსა და პროლეტარულ რუსეთს შორის ბრძოლისა. ორი დიდი არმია გამოვიდა ბრძოლის მოედანზე: არმია პროლეტარებისა და არმია ბურჟუებისა, და ბრძოლამ ამ ორ არმიას შორის მოიცვა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

და რადგან არმია უწინამძღოლოდ ვერ მოქმედებს, რადგან ყველა არმიას ჰყავს თავისი მოწინავე რაზმი, რომელიც წინ უძღვის მას და გზას უნათებს, — ცხადია, ამ არმიებთან ერთად უნდა გამოსულიყვნენ შესაფერი ჯგუფები წინამძღოლებისა, შესაფერი პარტიები, როგორც იტყვიან ხოლმე.

ასე რომ სურათმა შემდეგი სახე მიიღო: ერთ მხარეზე ბურჟუათა არმიაა ლიბერალური პარტიის მეთაურობით, მეორეზე — პროლეტართა არმია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით, — თვითეულ არმიას მის კლასობრივ ბრძოლაში წინ უძღვის საკუთარი პარტია*.

ყოველივე ამას ჩვენ იმისთვის შევეხეთ, რომ პროლეტართა პარტია პროლეტართა კლასისთვის შეგვედარებინა და ამით მოკლედ გამოგვერკვია მისი საერთო ფიზიონომია.

ნათქვამმა კი საკმაოდ გამოააშკარავა, რომ პროლეტართა პარტია, როგორც წინამძღოლთა მებრძოლი ჯგუფი, ჯერ ერთი, ბევრად მცირე უნდა იყოს პროლეტართა კლასზე თავისი წევრების რაოდენობით; მეორე, მაღლა უნდა იდგეს პროლეტართა კლასზე თავისი შეგნებითა და გამოცდილებით; და, მესამე, მჭიდრო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს.

ნათქვამი, ჩვენი აზრით, მტკიცებას არ საჭიროებს, რადგანაც თავისთავად ცხადია, რომ სანამ კაპიტალისტური წესები არსებობს, რომლებსაც მუდამ თან ახლავს ხალხის მასების სიღატაკე და ჩამორჩენილობა, — მთელი პროლეტარიატი ვერ შესძლებს სასურველ შეგნებამდე ამაღლებას, რომ საჭიროა, მაშასადამე, შეგნებული ხელმძღვანელების ჯგუფი, რომელიც სოციალისტურად ანათლებს პროლეტართა არმიას, აერთიანებს მას და წინ უძღვის ბრძოლის დროს. ცხადია აგრეთვე ის, რომ პარტია, რომელსაც მიზნად დაუსახავს **მებრძოლი** პროლეტარიატის წინამძღოლობა, ერთეულთა შემთხვევით გროვას კი

* ჩვენ არაფერს ვამბობთ სხვა პარტიებზე რუსეთში, რადგანაც მათზე ლაპარაკი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ჩვენი საკითხების გამოსარკვევად.

არა,— მჭიდრო ცენტრალიზებულ **ორგანიზაციას** უნდა წარმოადგენდეს, რომ შესაძლებელი იყოს მისი ერთი გეგმით ამოქმედება.

ასეთია მოკლედ ჩვენი პარტიის საერთო ფიზიონომია.

დავიხსომოთ ყოველივე ეს და გადავიდეთ ჩვენს უმთავრეს საკითხზე: ვის შეიძლება დავარქვათ პარტიის წევრი? პარტიული წესდების პირველი მუხლი, რომლის გამოც არის დაწერილი ეს სტატია, სწორედ ამ საკითხს ეხება.

მაშ, განვიხილოთ ეს საკითხი.

მაშასადამე, ვის შეიძლება ვუწოდოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, ე. ი. რა მოვალეობა აქვს პარტიის წევრს?

ჩვენი პარტია სოციალ-დემოკრატიულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს თავისი საკუთარი პროგრამა (უახლოესი და საბოლოო მიზნები მოძრაობისა), თავისი საკუთარი ტაქტიკა (ბრძოლის წესი) და თავისი საკუთარი ორგანიზაციული პრინციპი (გაერთიანების ფორმა). პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა **ერთიანობა** ის ნიადაგია, რომელზედაც შენდება ჩვენი პარტია. მხოლოდ ამ შეხედულებათა **ერთიანობას** შეუძლია შეაკავშიროს პარტიის წევრები **ერთ** ცენტრალიზებულ პარტიად. ირღვევა შეხედულებათა ერთიანობა—ირღვევა პარტიაც. მაშასადამე, პარტიის წევრი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმას, ვინც სავსებით მიიღებს პარტიულ პროგრამას, პარტიის ტაქტიკას და ორგანიზაციულ პრინციპს. მხოლოდ მას, ვინც საკმაოდ შეისწავლა და სავსებით მიიღო ჩვენი პარტიის პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული შეხედულებანი,— შეუძლია იყოს ჩვენი პარტიის რიგებში და მასთან ერთად პროლეტართა არმიის ხელმძღვანელთა რიგებში.

მაგრამ საკმარისია პარტიის წევრისთვის პარტიული პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციული შეხედულებების **მხოლოდ მიღება?** შეიძლება ვუწოდოთ ამისთანა კაცს **პროლეტართა** არმიის ნამდვილი წინამძღოლი? რა თქმა უნდა, არა!

ჯერ ერთი, ვინ იცის, რამდენი ყბედია ქვეყანაზე, რომელიც სიამოვნებით «მიიღებს» პარტიულ პროგრამას, ტაქტიკას და ორგანიზაციულ შეხედულებას და ყბედობის მეტს კი არაფერს გააკეთებს? პარტიის წმინდათა-წმინდის შემწიკვლა იქნებოდა, რომ ამისთანა ყბედისთვის პარტიის წევრი (ე. ი. პროლეტართა არმიის წინამძღოლი) დაგვერქმია! ესეც რომ არ იყოს, ჩვენი პარტია ფილოსოფიური სკოლა ხომ არაა, ან რელიგიური სექტა, — განა ჩვენი პარტია **ბრძოლის** პარტია არ არის? და თუ ეს ასეა, განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ ჩვენს პარტიას ვერ დააკმაყოფილებს მისი პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციული შეხედულებების პლატონური **მიღება**, რომ ის თავის წევრს უეჭველად მოსთხოვს მიღებული აზრების **განხორციელებას?** მაშასადამე, ვისაც ჩვენი პარტიის წევრობა უნდა, მან არ უნდა იკმაროს პარტიის პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა მიღება და ხელი უნდა მიჰყოს ამ შეხედულებათა განხორციელებას, მათს ცხოვრებაში გატარებას.

მაგრამ რას ნიშნავს პარტიის წევრისთვის პარტიული შეხედულებების განხორციელება? როდის შეუძლია მას ეს შეხედულებები განახორციელოს? მხოლოდ მაშინ, როცა ის იბრძვის, როცა ის მთელ პარტიასთან ერთად მიუძღვის წინ პროლეტართა არმიას. შესაძლებელია ცალ-ცალკე, დაქსაქსულად ბრძოლა? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, — ადამიანები ჯერ ერთდებიან, ჯერ ორგანიზაციებად ეწყობიან და მერე საბრძოლად გადიან. უამისოდ უნაყოფოა ყოველივე ბრძოლა. ცხადია, პარტიის წევრებსაც მხოლოდ მაშინ შეუძლიათ იბრძოლონ და, მაშასადამე, განახორციელონ პარტიული შეხედულებანი, როცა ისინი მჭიდრო **ორგანიზაციად** შეერთდებიან. ცხადია აგრეთვე, რომ რაც უფრო მჭიდრო ორგანიზაციად შეერთდებიან პარტიის წევრები, მით უფრო კარგად იბრძოლებენ, მაშასადამე, მით უფრო სავსებით განახორციელებენ პარტიის პროგრამას, ტაქტიკას და ორგანიზაციულ შეხედულებას. ტყუი-

ლად კი არ ამბობენ, — ჩვენი პარტია წინამძღოლთა **ორგანიზაციაა** და არა ერთეულთა გროვაო, და თუ ჩვენი პარტია წინამძღოლთა **ორგანიზაციაა,** — ცხადია, ამ პარტიის, ამ ორგანიზაციის წევრად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ის, ვინც ამ ორგანიზაციაში მუშაობს, ვინც, მაშასადამე, მოვალეობად სცნობს თავისი სურვილები პარტიის სურვილებს შეუერთოს და პარტიასთან ერთად იმოქმედოს.

მაშასადამე, პარტიის წევრობისთვის საჭიროა პარტიული პროგრამის, ტაქტიკის და ორგანიზაციული შეხედულებების განხორციელება; პარტიული შეხედულებების განსახორციელებლად საჭიროა ბრძოლა ამ შეხედულებებისთვის; ბრძოლისთვის საჭიროა პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობა და პარტიასთან ერთად მოქმედება. ცხადია, პარტიის წევრობისთვის საჭიროა ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში შესვლა*. მხოლოდ მაშინ, როცა ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში შევალთ და, ამგვარად, ჩვენს პირად სურვილებს პარტიის სურვილებთან შევასისხლხორცებთ, — მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავხდეთ პარტიის წევრები და მასთან ერთად ნამდვილი წინამძღოლობა გავუწიოთ პროლეტართა არმიას.

თუ ჩვენი პარტია წინამძღოლთა **ორგანიზაციაა,** რომელიც ცენტრალური კომიტეტის მეოხებით ღირსეულად მიუძღვის წინ პროლეტართა არმიას, და არა გროვა ყბედი-ერთეულებისა, — მაშინ ყველაფერი ზემონათქვამი თავისთავად ცხადია.

---

* როგორც ყოველი რთული ორგანიზმი შესდგება ურიცხვი მარტივი ორგანიზმებისგან, ისევე ჩვენი პარტია, როგორც რთული და საერთო ორგანიზაცია, შესდგება მრავალი რაიონული, ადგილობრივი ორგანიზაციებისგან, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები ეწოდება, თუ დამტკიცებულნი არიან პარტიული ყრილობისა ან ცენტრალური კომიტეტისგან. როგორც ხედავთ, პარტიული ორგანიზაცია მარტო კომიტეტებს არ ეწოდება. ამ ორგანიზაციების ერთ გეგმაზე ასამოძრავებლად არსებობს ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემწეობითაც ეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ერთ დიდ ცენტრალიზებულ ორგანიზაციას წარმოადგენენ.

საჭიროა შევნიშნოთ კიდევ აი რა.

დღემდე ჩვენი პარტია წააგავდა სტუმართმოყვარე პატრიარქალურ ოჯახს, რომელიც მზად არის მიიღოს ყველა თანამგრძნობი. მას მერე კი, რაც ჩვენი პარტია ცენტრალიზებულ **ორგანიზაციად** გადაიქცა, მან მოიშორა პატრიარქალური ელფერი და სავსებით დაემსგავსა **სიმაგრეს,** რომლის კარებიც გაიღება მხოლოდ ღირსეულთათვის. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა ცდილობს გარყვნას პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება «ტრედუნიონიზმით», ნაციონალიზმით, კლერიკალიზმით და სხვა ამისთანებით; როცა, მეორე მხრივ, ლიბერალური ინტელიგენცია დაჟინებით ცდილობს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუსპოს პროლეტარიატს და გახდეს მისი მეურვე, — ამისთანა დროს ჩვენ დიდი სიფხიზლე გვმართებს და არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენი პარტია **სიმაგრეა,** რომლის კარები მხოლოდ შემოწმებულთათვის გაიღება.

ჩვენ გამოვარკვიეთ ორი აუცილებელი პირობა (პროგრამის მიღება და პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობა) პარტიის წევრობისა. თუ ამას მესამე პირობასაც მივუმატებთ, რომელიც პარტიისთვის ნივთიერ დახმარებას ავალებს მის წევრს, — მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება ყველა ის პირობა, რომელიც უფლებას მოგვცემს პარტიის წევრის სახელწოდება ვატაროთ.

მაშასადამე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი ეწოდება მას, ვინც მიიღებს ამ პარტიის პროგრამას, ნივთიერად ეხმარება პარტიას და **მონაწილეობას იღებს ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში.**

ასეთია პარტიული წესდების პირველი მუხლის განსაზღვრა, რომელიც ამხ. ლენინმა * მოგვცა.

---

* ლენინი გამოჩენილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსია რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა.

ეს განსაზღვრა, როგორც ხედავთ, საგსებით გამომდინარეობს იმ ჭეშმარიტი შეხედულებიდან, რომლითაც ჩვენი პარტია ცენტრალიზებული **ორგანიზაციაა**, და არა ერთეულების **გროვა**.

ამაშია ამ განსაზღვრის უდიდესი ღირსება.

მაგრამ აი გამოჩნდნენ ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც წუნს სდებენ ლენინისეულ განსაზღვრას, როგორც «ვიწროს» და «უხერხულს», და გვაწოდებენ თავიანთ განსაზღვრას, რომელიც — უნდა ვიფიქროთ — არც «ვიწრო» იქნება და არც «უხერხული». ჩვენ ვლაპარაკობთ მარტოვის * განსაზღვრაზე, რომლის გარჩევასაც ახლავე შევუდგებით.

მარტოვის განსაზღვრით «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც მის პროგრამას მიიღებს, მატერიალური სახსრებით ეხმარება მას და რეგულარულად უწევს მას პირად დახმარებას რომელიმე პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით» როგორც ხედავთ, ამ განსაზღვრაში გამოტოვებულია პარტიის წევრობის მესამე აუცილებელი პირობა, რომლითაც პარტიის წევრებს ევალებათ ერთერთ პარტიულ **ორგანიზაციაში მონაწილეობა.** ეს გარკვეული და აუცილებელი პირობა მარტოვს ზედმეტად დაუნახავს და მის მაგიერ შეუტანია თავის განსაზღვრაში ბუნდოვანი და საეჭვო «პირადი დახმარება ერთერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით». გამოდის, რომ შეიძლება პარტიის წევრი იყო, თუნდაც რომ არცერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ შედიოდე (აი ესეც «პარტია»!), თუნდაც რომ მოვალედ არ სთვლიდე შენს თავს პარტიის ნებას დაემორჩილო (აი ესეც «პარტიული დისციპლინა»!)! მერე, რანაირად შეუძლია პარტიას «რეგულარულად» უხელმძღვანელოს იმ პირებს, რომლებიც არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ შედიან და,

---

* მარტოვი «ისკრის» ერთი რედაქტორთაგანია.

მაშასადამე, რომლებიც მოვალედ არ სთვლიან თავიანთ თავს აუცილებლად დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას?

აი საკითხი, რომელიც ამსხვრევს პარტიული წესდების პირველი მუხლის მარტოვის მიერ მოცემულ განსაზღვრას, და რომელიც ოსტატურად გადაწყვეტილია ლენინისეულ განსაზღვრაში, რამდენადაც ეს განსაზღვრა გარკვეულად აღიარებს **ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში მონაწილეობას,** როგორც პარტიის წევრობის მესამე და აუცილებელ პირობას.

ჩვენ ესღა დაგვრჩენია, რომ მოვაშოროთ მარტოვის განმარტებას მისი ბუნდოვანი და უაზრო «პირადი დახმარება ერთერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით». უამპირობოდ კი მარტოვისეულ განსაზღვრაში ორი პირობა-ღა დარჩება (პროგრამის მიღება და მატერიალური დახმარება), რომელსაც თავისთავად არავითარი ფასი არა აქვს, რადგანაც ყველა ყბედს შეუძლია პარტიული პროგრამა «მიიღოს» და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს პარტიას, რაც სრულიად არ აძლევს მას უფლებას პარტიის წევრი იყოს.

ესეც შენი «ხერხიანი» განსაზღვრა!

ჩვენ ვამბობთ, რომ პარტიის ნამდვილი წევრები არავითარ შემთხვევაში არ უნდა კმაყოფილდებოდნენ პარტიული პროგრამის მარტოოდენ მიღებით, რომ ისინი აუცილებლად უნდა ცდილობდნენ მიღებული პროგრამის განხორციელებას. მარტოვი გვიპასუხებს: მეტისმეტად მკაცრად იქცევით, რადგან არც ეგრე საჭიროა პარტიის წევრისთვის მიღებული პროგრამის განხორციელება, თუ კი ის არ დაიშურებს პარტიისთვის ნივთიერ დახმარებასო და სხვა. მარტოვს თითქოს ებრალება ზოგიერთი ყბედი «სოციალ-დემოკრატი» და არ უნდა ჩაუკეტოს მას პარტიის კარები.*

ჩვენ ვამბობთ, შემდეგ, რომ რადგანაც პროგრამის განსახორციელებლად ბრძოლაა საჭირო და ბრძოლისთვის კი — შეერთება, — ამიტომ პარტიის მომავალი წევრის მოვალეობაა შევიდეს ერთერთ ორგანიზაციაში, შეუერთოს თავისი სურვილები პარ-

ტიის სურვილებს და პარტიასთან ერთად წაუძღვეს მებრძოლ პროლეტართა არმიას, ე. ი. გავერთიანდეთ ცენტრალიზებული პარტიის მწყობრ რაზმებად. მარტოვი გვიპასუხებს: არც ეგრე საჭიროა პარტიის წევრებისთვის მწყობრ რაზმებად, მწყობრ ორგანიზაციებად გაერთიანება, ცალ-ცალკე ბრძოლასაც არა უჭირს-რაო.

მაშ რა ყოფილა ჩვენი პარტია, — ვკითხულობთ ჩვენ, — ერთეულების შემთხვევითი გროვა, თუ წინამძღოლთა მჭიდრო ორგანიზაცია? და თუ ის წინამძღოლთა ორგანიზაციაა, შეიძლება ამ ორგანიზაციის წევრად ჩავთვალოთ ის, ვინც მასში არ შედის, ვინც, მაშასადამე, აუცილებელ მოვალეობად არ სთვლის მის დისციპლინას დაემორჩილოს? მარტოვი გვიპასუხებს, პარტია ორგანიზაცია არ არისო, ან უკეთ რომ ვთქვათ, პარტია **მოუწყობელი** ორგანიზაციააო (ესეც შენი «ცენტრალიზმი»!)!

როგორც სჩანს, მარტოვის აზრით, ჩვენი პარტია ცენტრალიზებული ორგანიზაცია კი არაა, არამედ — გროვაა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და «სოციალ-დემოკრატიული» ერთეულებისა, რომლებმაც მიიღეს ჩვენი პარტიული პროგრამა და სხვ. თუ ჩვენი პარტია ცენტრალიზებული ორგანიზაცია არაა, ცხადია, ის აღარც სიმაგრე იქნება, რომლის კარებიც მარტო შემოწმებულთათვის უნდა იღებოდეს. და მართლაც, მარტოვისთვის, როგორც ეს მისი განსაზღვრიდან სჩანს, პარტია სიმაგრე კი არა, ბანკეტია, სადაც თავისუფლად შეუძლია შევიდეს ყველა თანამგრძნობს. ცოტაოდენი ცოდნა, ამდენივე თანაგრძნობა, ცოტა ნივთიერი დახმარება, — და საქმე გაჩარხულია, თქვენ სრული უფლება გაქვთ პარტიის წევრად ირიცხებოდეთ. ყურს ნუ დაუგდებთ — გულს უმაგრებს მარტოვი შეშინებულ «პარტიის წევრებს» — ყურს ნუ დაუგდებთ ზოგიერთებს, რომელთა აზრითაც პარტიის წევრი ვალდებულია ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჩაირიცხოს და, ამგვარად, თავისი სურვილები პარტიის სურვილებს დაუმორჩილოს. ჯერ

ერთი, ძნელია ამ პირობაზე დათანხმდეს კაცი: ხუმრობა ხომ არაა შენი სურვილები პარტიის სურვილებს დაუმორჩილო! და მეორე, მე აკი გამოვთქვი ჩემს განმარტებაში, ამ ზოგიერთების აზრი შემცდარია-მეთქი. მაშ რაღა გნებავთ, ბატონებო, მობრძანდით... ბანკეტზე!

მარტოვს თითქოს შესცოდებია ზოგიერთი პროფესორი და გიმნაზიელი, რომლებსაც ვერ გადაუწყვეტიათ თავიანთი სურვილები პარტიის სურვილებს დაუმორჩილონ, — და, ამგვარად, ნაპრალს აკეთებს ჩვენი პარტიის სიმაგრეში, საიდანაც კონტრაბანდად მაინც შეიპარებიან ჩვენს პარტიაში ეს პატივცემული ვაჟბატონები. ის კარებს უღებს ოპორტუნიზმს და ისიც იმ დროს, როცა პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას ათასი მტერი მოადგა!

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ მარტოვისეული საეჭვო განსაზღვრის წყალობით ოპორტუნიზმის შესაძლებლობა ჩვენს პარტიაში მეორე მხრიდანაც ჩნდება.

მარტოვისეულ განსაზღვრაში, როგორც ვიცით, მარტო პროგრამის მიღებაზეა ლაპარაკი, ტაქტიკაზე და ორგანიზაციაზე კი კრინტიც არ არის დაძრული, მაშინ როდესაც პარტიული ერთიანობისთვის წევრთა ტაქტიკური და ორგანიზაციული შეხედულებების ერთიანობა იმდენადვეა საჭირო, რამდენადაც მათი პროგრამული შეხედულებების ერთიანობა. ჩვენ გვეტყვიან, რომ არც ამბ. ლენინის განსაზღვრაშია ამაზე ლაპარაკიო. მართალია! მაგრამ ამბ. ლენინის განსაზღვრას ხომ არც ესაჭიროება ამ საგანზე ლაპარაკი! განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ ის, ვინც ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობს და, მაშასადამე, პარტიასთან ერთად იბრძვის, პარტიულ დისციპლინას ემორჩილება, — არ შეიძლება სხვა ტაქტიკას და ორგანიზაციულ პრინციპებს მისდევდეს, გარდა პარტიის ტაქტიკისა და პარტიის ორგანიზაციული პრინციპებისა? მაგრამ რას იტყვით თქვენ «პარტიის» იმ «წევრზე», რომელმაც პარტიული პროგრამა მიიღო და არც ერთ პარტიულ

ორგანიზაციაში კი არ იმყოფება? საიდან იცით, რომ ამ «წევრს» ტაქტიკაც და ორგანიზაციული შეხედულებაც უეჭველად პარტიული ექნება და არა სხვანაირი? აი რას ვერ აგვიხსნის მარტოვის განსაზღვრა! და როგორც ნაყოფი მარტოვის განსაზღვრისა, ხელთ უნდა შეგვრჩეს უცნაური «პარტია», რომლის «წევრებსაც» პროგრამა ერთნაირი აქვთ (ჯერ ესეც საკითხია!) და ტაქტიკურ-ორგანიზაციული შეხედულებები კი სხვადასხვანაირი! იდეალური სხვადასხვაობა! რით არ დაემგვანება ჩვენი პარტია ბანკეტს?

ერთი რამაა მხოლოდ საკითხავი: საით გადავაგდოთ ის იდეური და პრაქტიკული ცენტრალიზმი, რომელიც მეორე პარტიულმა ყრილობამ გვიანდერძა და რომელსაც ძირეულად ეწინააღმდეგება მარტოვისეული განსაზღვრა? უეჭველია, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, უფრო სწორი იქნებოდა მარტოვისეული განსაზღვრა გადაგვეგდო.

აი ამ შეუსაბამო განსაზღვრას გვაწოდებს მარტოვი ამხ. ლენინის განსაზღვრის მაგიერ!

ჩვენ უბრალო მოუფიქრებლობად მიგვაჩნია გადაწყვეტილება მეორე პარტიული ყრილობისა, რომელმაც მარტოვის განსაზღვრა მიიღო, და სრული იმედი გვაქვს, რომ მესამე პარტიული ყრილობა უეჭველად გაასწორებს მეორე ყრილობის შეცდომას და ამხ. ლენინის განსაზღვრას მიიღებს.

მოკლედ გავიმეოროთ ნათქვამი. ბრძოლის ველზე პროლეტართა არმია გამოვიდა. თუ ყველა არმიას სჭირდება თავისი მოწინავე რაზმი, უეჭველია ამ არმიასაც უნდა დასჭირებოდა ასეთი რაზმი. აქედან — პროლეტარულ წინამძღოლთა ჯგუფის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამოჩენა. როგორც მოწინავე რაზმი განსაზღვრული არმიისა, ეს პარტია, ჯერ ერთი, თავისი საკუთარი პროგრამით, ტაქტიკით და ორგანიზაციული პრინციპით უნდა იყოს აღჭურვილი და მეორე, მჭიდრო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს. თუ ვიკითხავთ: ვის უნდა ვუწოდოთ წევრი რუსეთის სოციალ-

დემოკრატიული მუშათა პარტიისა, — ამ პარტიას შეუძლია მხოლოდ ერთი პასუხი მოგვცეს: ვინც პარტიის პროგრამას მიიღებს, მატერიალურად ეხმარება პარტიას და ერთერთ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობს.

სწორედ ეს აშკარა სიმართლე გამოხატა ამხ. ლენინმა თავის შესანიშნავ განსაზღვრაში.

გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 8,
1905 წლის 1 იანვარი.

სტატია ხელმოუწერელია.

კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!

ილევა მეფის ბატალიონები, იღუპება მეფის ფლოტი, ბოლოს, სამარცხვინოდ დანებდა პორტ-არტური,—და ამით ერთხელ კიდევ აშკარავდება მეფის თვითმპყრობელობის მიხრწნილობა...

ცუდი კვება და რაიმე სანიტარული ზომების უქონლობა გადამდებ ავადმყოფობას ავრცელებს ჯარისკაცებში. ასეთი აუტანელი პირობები კიდევ უფრო უარესდება ოდნავ მაინც ვარგისი ბინებისა და ტანისამოსის უქონლობით. დასუსტებული, დატანჯული ჯარისკაცები ბუზებივით წყდებიან. და ეს მას შემდეგ, რაც ათეულ ათასობით ჯარისკაცი ტყვიებით დაიღუპა!.. ყოველივე ეს კი ჯარისკაცებში მღელვარებასა და უკმაყოფილებას იწვევს. ჯარისკაცები იღვიძებენ, მათ თავი შეიცნეს ადამიანებად, ისინი ბრმად აღარ ემორჩილებიან თავიანთ უფროსთა ბრძანებებს და ხშირად სტვენითა და მუქარით ხვდებიან მეტიჩარა ოფიცრებს.

აი რას გვწერს ერთი ოფიცერი შორეულ აღმოსავლეთიდან:

«სისულელე ჩავიდინე! ჩემი უფროსის დაჟინებითი მოთხოვნით ამას წინათ სიტყვით გამოვედი ჯარისკაცების წინაშე. დავიწყე თუ არა ლაპარაკი იმაზე, რომ საჭიროა დავიცვათ მეფე და სამშობლო, ატყდა სტვენა, გინება, მუქარა... იძულებული გავხდი დავმალოდი გააფთრებულ ბრბოს...»

ასეთია საქმის ვითარება შორეულ აღმოსავლეთში!

ამას დაუმატეთ სათადარიგოთა მღელვარება რუსეთში, მათი რევოლუციური დემონსტრაციები ოდესაში, ეკატერი-

ნოსლავში, კურსკში, პენზასა და სხვა ქალაქებში, ახალწვეულთა პროტესტები გურიაში, იმერეთში, ქართლში, სამხრეთ და ჩრდილოეთ რუსეთში, ყურადღება მიაქციეთ, რომ საპროტესტოდ გამოსულებს ვერც საპყრობილე აკავებს, ვერც ტყვია (ამას წინათ პენზაში დემონსტრაციისთვის დახვრიტეს რამდენიმე სათადარიგო), და ადვილად მიხვდებით, თუ რას ფიქრობს რუსი ჯარისკაცი...

მეფის თვითმპყრობელობა კარგავს მთავარ დასაყრდენს — თავის «საიმედო მხედრობას»!

მეორე მხრივ, დღითი-დღე ცალიერდება მეფის ხაზინა. დამარცხება დამარცხებას მოსდევს. მეფის მთავრობა თანდათან კარგავს ნდობას უცხო სახელმწიფოთა თვალში. იგი ძლივს შოულობს საჭირო ფულს, და შორს აღარაა ის დრო, როცა ყოველგვარ კრედიტს დაკარგავს! «ვინ გადაგვიხდის, როცა შენ ჩამოგაგდებენ, შენი დაცემა კი, უეჭველია, შორს აღარ არისო», აი რა პასუხით ისტუმრებენ მეფის მთავრობას, რომელმაც ყოველგვარი ნდობა დაკარგა! ხალხს კი, ბედკრულ, მშიერ ხალხს, რის მიცემა შეუძლია მეფის მთავრობისთვის, როცა თვითონ სარჩო არ აბადია?!

ამრიგად, მეფის თვითმპყრობელობა კარგავს თავის მეორე მთავარ დასაყრდენსაც — მდიდარ ხაზინას მისი მასაზრდოებელი კრედიტიანად!

ამასთან ერთად, დღითი - დღე იზრდება სამრეწველო კრიზისი, იხურება ფაბრიკები და ქარხნები, მილიონობით მუშა პურსა და სამუშაოს მოითხოვს. შიმშილობა ახალი ძალით ედება სოფლის დატანჯულ ღარიბ მცხოვრებთ. უფრო და უფრო მაღლა იწევს ხალხის აღშფოთების ზვირთები, სულ უფრო ძლიერად ეხეთქება მეფის ტახტს,— და დაჩაჩანაკებული მეფის თვითმპყრობელობა საფუძვლამდე ირყევა...

ალყაშემორტყმული მეფის თვითმპყრობელობა გველივით იცვლის ძველ კანს, და, მაშინ როცა უკმაყოფილო რუსეთი გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადება, იგი ტოვებს (ვითომდა

ტოვებს!) თავის **მათრახს** და, ცხვრის ქურქში გამოწყობილი, აცხადებს **შერიგების პოლიტიკას**!

გესმით, ამხანაგებო? იგი გვთხოვს დავიწყებას მივცეთ მათრახის ტლაშუნი და ტყვიის ზუზუნი, ასობით დახოცილი გმირი ამხანაგი, მათი სახელოვანი აჩრდილები, რომლებიც თავს დაგვტრიალებენ და ჩაგვჩურჩულებენ: «შური იძიეთო»!

თვითმპყრობელობა უსირცხვილოდ გვიწვდის გასისხლიანებულ ხელებს და გვირჩევს შერიგებას! მან გამოაქვეყნა რაღაც «უმაღლესი ბრძანებულება»[23], სადაც გვპირდება რაღაც «თავისუფლებას»... ძველი ავაზაკები! ისინი ფიქრობენ სიტყვებით გამოკვებონ რუსეთის მილიონობით დამშეული პროლეტარიატი! ისინი იმედოვნებენ სიტყვებით დააკმაყოფილონ გაღატაკებული და დატანჯული მრავალმილიონიანი გლეხობა! მათ სურთ დაპირებებით ჩაახშონ ომის მსხვერპლთა დაობლებული ოჯახების ტირილი! უბადრუკნი! წყალწაღებულნი არიან და ხავსს ეკიდებიან!..

დიახ, ამხანაგებო, მეფის მთავრობის ტახტი საფუძვლამდე ირყევა! მთავრობა, რომელიც ჩვენთვის წაგლეჯილ გადასახადებს ჯამაგირად ურიგებს ჩვენსავე ჯალათებს — მინისტრებს, გუბერნატორებს, მაზრებისა და საპყრობილეების უფროსებს, ბოქაულებს, **ჟანდარმებსა** და **ჯაშუშებს**; რომელიც ჩვენგან წაყვანილ ჯარისკაცებს — ჩვენს ძმებსა და შვილებს — ჩვენსავე სისხლს აღვრევინებს; რომელიც ყოველნაირად უპერს მხარს მემამულეებსა და მეწარმეებს მათს ყოველდღიურ ბრძოლაში ჩვენს წინააღმდეგ; რომელმაც ხელ-ფეხი შეგვიბორკა და უუფლებო მონების მდგომარეობამდე მიგვიყვანა; რომელმაც ჩვენი ადამიანური ღირსება — ჩვენი წმიდათა-წმიდა — მხეცურად გასთელა და აბუჩად აიგდო,— სწორედ ეს მთავრობა ახლა ირყევა და ფეხქვეშ ნიადაგს კარგავს!

დროა შური ვიძიოთ! დროა შური ვიძიოთ სახელოვანი ამხანაგებისთვის, რომლებიც მხეცურად დახოცეს მეფის ბაშიბუზუკებმა იაროსლავლში, დომბროვოში, რიგაში, პეტერბურგ-

ში, მოსკოვში, ბათუმში, თბილისში, ზლატოუსტში, ტიხორეცკაიაში, მიხაილოვში, კიშინიოვში, გომელში, იაკუტსკში, გურიაში, ბაქოსა და სხვა ადგილებში! დროა მოვთხოვოთ მას ანგარიში იმ სრულიად უდანაშაულო უბედურთათვის, რომლებიც ათეულ ათასობით დაიღუპნენ შორეული აღმოსავლეთის ველებზე! დროა თვალზე ცრემლი შევაშროთ მათს ცოლ-შვილს! დროა პასუხი მოვთხოვოთ მას ტანჯვისა და დამცირებისთვის, ადამიანის შემარცხვენელი ბორკილებისთვის, რომლითაც მან დიდი ხანია შეგვბოჭა! დროა ბოლო მოვუღოთ მეფის მთავრობას და გზა გავიკაფოთ სოციალისტური წყობილებისკენ! დროა **დავანგრიოთ** მეფის მთავრობა!

და ჩვენ კიდევაც **დავანგრევთ** მას!

ამაოდ ცდილობენ ბატონი ლიბერალები იხსნან მეფის შერყეული ტახტი! ამაოდ უწვდიან მეფეს დახმარების ხელს! ისინი ცდილობენ მუდარით მიიღონ მისგან მოწყალება და გადაიბირონ იგი თავიანთი «კონსტიტუციის პროექტის»[24] მხარეზე, რათა წვრილმანი **რეფორმებით** გაიკაფონ გზა პოლიტიკური ბატონობისკენ, გადააქციონ მეფე თავიანთ იარაღად, შესცვალონ მეფის თვითმპყრობელობა ბურჟუაზიის თვითმპყრობელობით და შემდეგ სისტემატურად ახრჩონ პროლეტარიატი და გლეხობა! მაგრამ ამაოდ! გვიანღაა, ბატონო ლიბერალებო! მიმოიხედეთ, რა მოგცათ თქვენ მეფის მთავრობამ, გადაათვალიერეთ მისი «უმაღლესი ბრძანებულება»: პატარა «თავისუფლება» «საეროზო და საქალაქო დაწესებულებებისა», პატარა «გარანტია» «კერძო პირთა უფლებების შეზღუდვისგან», პატარა «თავისუფლება» «ბეჭდვითი სიტყვისა» და დიდი ჩაგონება იმის შესახებ, რომ «აუცილებლად დატოვებულ იქნება ურყეობა იმპერიის ძირითადი კანონებისა», რომ «მიღებულ იქნება ნამდვილი ზომები, რათა სრული ძალით დაცულ იქნას კანონი, ტახტის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი თვითმპყრობელურ სახელმწიფოში»!.. და მერე რა მოხდა? ვერც კი მოვასწარით სასაცილო მეფის სასაცილო «ბრძანებულების» მონელება, რომ გაზე-

თებს სეტყვასავით დააყარეს «გაფრთხილებანი», ატყდა ჟანდარმთა და პოლიციელთა თავდასხმები, მშვიდობიანი ბანკეტებიც კი აკრძალეს! მეფის მთავრობა თვითონ შეეცადა დაემტკიცებინა, რომ თავის ნამცეცა დაპირებებში იგი უბადრუკ სიტყვებს არ გასცდება.

მეორე მხრივ, აღელვებული ხალხის მასები **რევოლუციისთვის** ემზადებიან და არა მეფესთან შერიგებისთვის. ისინი მტკიცედ მისდევენ ანდაზას: «კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო». დიახ, ბატონებო, ფუჭია თქვენი მეცადინეობა! რუსეთის რევოლუცია გარდუვალია. იგი ისევე გარდუვალია, როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა! განა შეგიძლიათ შეაჩეროთ მზის ამოსვლა? **ამ რევოლუციის მთავარი ძალაა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, ხოლო მისი მედროშე — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია** და არა თქვენ, ბატონო ლიბერალებო! რად გავიწყდებათ ეს თვალსაჩინო «წერილმანი»?

უკვე იწყება ქარიშხალი, გარიჟრაჟის მაუწყებელი. ჯერ კიდევ გუშინ-გუშინწინ კავკასიის პროლეტარიატმა ბაქოდან ბათუმამდე ერთხმად გამოსთქვა თავისი ზიზღი მეფის თვითმპყრობელობისადმი. ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიელ პროლეტართა ეს სახელოვანი ცდა ამაოდ არ ჩაიელის რუსეთის სხვა კუთხეების პროლეტარიატისთვის. შემდეგ, გადაათვალიერეთ მუშათა უთვალავი რეზოლუციები, რომლებიც გამოსთქვამენ ღრმა ზიზღს მეფის მთავრობისადმი, ყური დაუგდეთ ყრუ, მაგრამ ძლიერ დრტვინვას სოფლებში — და თქვენ დარწმუნდებით, რომ რუსეთი გატენილი, შემართული თოფია, რომელიც შეიძლება ოდნავი შერყევით გავარდეს. დიახ, ამხანაგებო, შორს აღარაა ის დრო, როცა რუსეთის რევოლუცია აფრებს აუშვებს და «აღგვის პირისაგან მიწისა» საზიზღარი მეფის საძაგელ ტახტს!

ჩვენი წმიდა მოვალეობაა მზად ვიყოთ ასეთი მომენტისთვის. მაშ ვემზადოთ, ამხანაგებო! ვთესოთ კეთილი თესლი

პროლეტარიატის ფართო მასებში. გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი და **დავირაზმოთ პარტიული კომიტეტების გარშემო!** ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ **მხოლოდ პარტიულ კომიტეტებს შეუძლიათ ღირსეულად. გვიხელმძღვანელონ, მხოლოდ ისინი** გაგვინათებენ გზას «აღთქმული ქვეყნისკენ», რომელსაც სოციალისტური სამყარო ეწოდება! პარტია, რომელმაც თვალი აგვიხილა და მტრები დაგვანახა, რომელმაც დაგვრაზმა უდიდეს არმიად და წაგვიყვანა მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ჭირსა და ლხინში არ გვტოვებდა და მუდამ წინ მიგვიძღოდა, — ეს არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია! იგი გვიხელმძღვანელებს კვლავაც, **მხოლოდ იგი!**

საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძვლებზე არჩეული დამფუძნებელი კრება, — აი რისთვის უნდა ვიბრძოლდეთ ჩვენ ახლა!

მხოლოდ ასეთი კრება მოგვცემს **დემოკრატიულ რესპუბლიკას,** რომელიც უაღრესად გვესაჭიროება ჩვენს ბრძოლაში სოციალიზმისთვის.

მაშ წინ, ამხანაგებო! როცა მეფის თვითმპყრობელობა ირყევა, ჩვენი მოვალეობაა ვემზადოთ გადამწყვეტი შეტევისთვის! დროა შური ვიძიოთ!

ძირს მეფის თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

1905 წ. იანვარი.

იბეჭდება 1905 წ. 8 იანვარს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალურ (ავლაბრის) სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: კავშირის კომიტეტი.

გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!

მოქალაქენო! იზრდება რევოლუციური პროლეტარიატის მოძრაობა, — და ირღვევა ნაციონალური კედლები! რუსეთის ეროვნებათა პროლეტარები ერთ საერთაშორისო არმიად ერთდებიან, პროლეტარული მოძრაობის ცალ-ცალკე ნაკადები ერთ საერთო რევოლუციურ ნიაღვრად იკრიბებიან. მაღლა და მაღლა იწევს ამ ნიაღვრის ტალღები, მაგრა და მაგრა ეჯახება ეს ტალღები მეფის ტახტს — და ირყევა დაჩაჩანაკებული მეფის მთავრობა. ვერც საპყრობილე, ვერც კატორღა, ვერც სახრჩობელა — ვერაფერი ვერ აფერხებს პროლეტარულ მოძრაობას: ის მაინც იზრდება!

და აი, მეფის მთავრობამ თავისი ტახტის გასამაგრებლად «ახალი» საშუალება გამოიგონა. იგი შუღლს თესავს რუსეთის ეროვნებებს შორის, ერთმანეთს უსისხლიანებს მათ, ცდილობს დააქუცმაცოს პროლეტარიატის საერთო მოძრაობა წვრილ მოძრაობებად და აამხედროს ისინი **ერთი-მეორის წინააღმდეგ,** იგი აწყობს ებრაელთა, სომეხთა და სხვათა რბევას. და ყოველივე ამას იმისთვის სჩადის, რომ ძმათამკვლელი ომით ერთმანეთს დააშოროს რუსეთის ეროვნებანი, დააუძლუროს ისინი და ცალ-ცალკე იოლად დაამარცხოს!

გასთიშე და იბატონე — ასეთია მეფის მთავრობის პოლიტიკა. ასე მოქმედებს იგი რუსეთის ქალაქებში (გაიხსენეთ რბევა გომელში, კიშინიოვსა და სხვა ქალაქებში), ამასვე იმეორებს კავკასიაშიც. საზიზღარი! მოქალაქეთა სისხლითა და ცხედრებით ცდილობს იგი გაამაგროს თავისი საზიზღარი ტახტი! ბაქოში მომაკვდავ სომეხთა და თათართა კვნესა; ცოლების, დედების, ბავშვების ცრემლი; სისხლი, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი პატიოსანი, მაგრამ შეუგნებელი მოქალაქეებისა; შეშინებული სახეები უმწეო ადამიანებისა, რომლებიც გარბიან, რომ სიკვდილს გადაურჩნენ; დანგრეული სახლები, გაძარცული მაღაზიები და ტყვიის საშინელი, განუწყვეტელი ზუზუნი, — აი რით ამაგრებს თავის ტახტს მეფე — პატიოსან მოქალაქეთა მკვლელი.

დიახ, მოქალაქენო! მეფის მთავრობის აგენტები იყვნენ, თათართა შეუგნებელი ნაწილი მშვიდობიან სომხებს რომ მიუსიეს! მეფის მთავრობის ლაქიები იყვნენ, იარაღი და ტყვიაწამალი რომ დაურიგეს მათ, თათრული ტანისამოსი გადააცვეს პოლიციელებსა და ყაზახებს და მიუსიეს სომხებს! ორ თვეს ამზადებს მათ — მეფის მსახურებმა — ძმათამკვლელი ომი, — და აი, ბოლოს, მიაღწიეს თავიანთ ბარბაროსულ მიზანს. წყევლა და სიკვდილი მეფის მთავრობას!

ახლა უბადრუკი მეფის ეს უბადრუკი მონები ცდილობენ ჩვენშიც, თბილისშიც, ასტეხონ ძმათამკვლელი ომი! ისინი თქვენს სისხლს მოითხოვენ, მათ სურთ გაგთიშონ თქვენ და იბატონონ თქვენზე. მაგრამ იყავით ფხიზლად! თქვენ, სომხებო, თათრებო, ქართველებო, რუსებო! ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, მჭიდროდ დაირაზმეთ და მთავრობის ცდებზე — გაგთიშოთ თქვენ — ერთსულოვნად უპასუხეთ: ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!

ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, შეერთდით და დაირაზმეთ პროლეტარიატის გარშემო, მეფის მთავრობის — ბაქოს მკვლელობათა ამ ნამდვილი დამნაშავის — მესაფლავის გარშემო.

დაე თქვენი ძახილი იყოს:

ძირს ეროვნული შუღლი!
ძირს მეფის მთავრობა!
გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

1905 წ. 13 თებერვალი.

იბეჭდება რსდმპ თბილისის კომიტეტის სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი.

მოქალაქეებს.
გაუმარჯოს წითელ დროშას!

დიდი იმედები და იმედების დიდი გაცრუება! ეროვნული შუღლის ნაცვლად — ურთიერთ სიყვარული და ნდობა! ძმათამკვლელი რბევის ნაცვლად — გრანდიოზული დემონსტრაცია კაპიტალიზმის, რბევის ამ დამნაშავის, წინააღმდეგ! დაემხო მეფის მთავრობის იმედები: ვერა და ვერ მოახერხა მან ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა თბილისის ეროვნებანი!..

დიდი ხანია ცდილობს მეფის მთავრობა ერთმანეთს გადაჰკიდოს პროლეტარები, დიდი ხანია ცდილობს დააქუცმაცოს პროლეტარიატის საერთო მოძრაობა. სწორედ ამიტომ მოაწყო მან რბევა გომელში, კიშინიოვსა და სხვა ადგილებში. ამავე მიზნით გამოიწვია მან ბაქოში ძმათამკვლელი ომი. და აი, ბოლოს, მეფის მთავრობამ თვალი მოაპყრო თბილისს. აქ, კავკასიის ცენტრში, განიზრახა მან მოეწყო სისხლიანი ტრაგედია და შემდეგ პროვინციებში გადაეტანა იგი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: ერთმანეთისთვის წაესისიანებინა კავკასიის ეროვნებანი და საკუთარ სისხლში ჩაეხრჩო კავკასიის პროლეტარიატი! მეფის მთავრობა სიხარულით ხელებს იფშვნეტდა. მან პროკლამაციებიც კი გაავრცელა მოწოდებით — დასცხეთ სომხებსო! მას წარმატების იმედი ჰქონდა. და უეცრად 13 თებერვალს მრავალმა ათასმა სომეხმა, ქართველმა, თათარმა და რუსმა, თითქოს მეფის მთავრობის ჯიბრზე, თავი მოიყარა ვანქის ტაძრის გალავანში და ფიცი დასდო მხარი დაუჭიროთ ერთმანეთს იმ «ქაჯთან ბრძოლაში, რომელიც შუღლსა თესავს ჩვენს შორის». სრული ერთსულოვნობაა. წარმოითქვა სიტყვები «შეერთების-

კენ» მოწოდებით. მასა ტაშს უკრავს ორატორებს. ვრცელდება ჩვენი პროკლამაციები (3 000 ცალი). მასა მათ ხელში სტაცებს ერთმანეთს. მასის განწყობილება ძლიერდება. მთავრობის ჯიბრზე ხალხი ადგენს — მეორე დღეს შეიკრიბოს იმავე ტაძრის გალავანში, რათა ერთხელ კიდევ «შეჰფიცოს ერთმანეთს სიყვარული».

14 თებერვალი. მთელი ტაძრის გალავანი და ახლომახლო ქუჩები ხალხითაა სავსე. ჩვენი პროკლამაციები სავსებით აშკარად ვრცელდება და იკითხება. მასა ჯგუფ-ჯგუფად იყოფა და პროკლამაციების შინაარსზე მსჯელობს. წარმოსთქვამენ სიტყვებს. მასის განწყობილება ძლიერდება. ხალხი ადგენს დემონსტრატიულად ჩაუაროს სიონის ტაძარსა და მეჩეთს, «ერთმანეთს სიყვარული შეჰფიცოს», სპარსელთა სასაფლაოზე შეჩერდეს, ერთხელ კიდევ ფიცი დასდოს და დაიშალოს. მასას თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავს. გზადაგზა მეჩეთთან და სპარსელთა სასაფლაოზე სიტყვებს წარმოსთქვამენ, ვრცელდება ჩვენი პროკლამაციები (ამ დღეს 12 000 პროკლამაცია გავრცელდა). მასის განწყობილება სულ უფრო და უფრო ძლიერდება. დაგროვილი რევოლუციური ენერგია ლამობს გადმოხეთქოს. მასა ადგენს დემონსტრატიულად გაიაროს სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი და მხოლოდ შემდეგ დაიშალოს. ჩვენი კომიტეტი მომენტით სარგებლობს და დაუყოვნებლივ აწყობს მცირე ხელმძღვანელ ჯგუფს. ეს ჯგუფი მოწინავე მუშების მეთაურობით ცენტრალურ ადგილს იკავებს, — და სწორედ სასახლის წინ აღიმართა სახელდახელოდ გაკეთებული წითელი დროშა. მედროშე, რომელიც მალლა უჭირავთ დემონსტრანტებს, მკაფიო პოლიტიკურ სიტყვას ამბობს, სადაც უწინარეს ყოვლისა სთხოვს ამხანაგებს არ შედრკნენ იმით, რომ დროშაზე სოციალ-დემოკრატიული მოწოდება არ არის. «არა, არა — უპასუხებენ დემონსტრანტები, — იგი ჩვენ გულის ფიცარზე გვაწერია!» შემდეგ იგი ხსნის წითელი დროშის მნიშვნელობას, აკრიტიკებს წინა ორატორებს სოციალ-დემოკრატიის თვალსაზ-

რისით, ამხელს მათი სიტყვების უნიათობას, აღნიშნავს ცარიზმისა და კაპიტალიზმის მოსპობის აუცილებლობას და მოუწოდებს დემონსტრანტებს იბრძოლონ სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშით. «გაუმარჯოს წითელ დროშას!» — უპასუხებს მასა. დემონსტრანტები წინ მიდიან ვანქის ტაძრისკენ. გზადაგზა სამჯერ ჩერდებიან, რომ მედროშეს მოუსმინონ. ეს უკანასკნელი კვლავ მოუწოდებს დემონსტრანტებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და სთხოვს ფიცი დასდონ, რომ ისევე ერთსულოვნად გამოვლენ აჯანყებაზე, როგორც ახლა დემონსტრაციაზე. «ვფიცავთ!» — უპასუხებს მასა. შემდეგ, დემონსტრანტები ვანქის ტაძრამდე მიდიან და, ყაზახებთან მცირე შეტაკების შემდეგ, იშლებიან.

ასეთი იყო «თბილისის 8 000 მოქალაქის დემონსტრაცია».

ასე უპასუხეს თბილისის მოქალაქეებმა მეფის მთავრობის ფარისევლურ პოლიტიკას. ასე იძიეს მათ შური საზიზღარ მთავრობაზე ბაქოს მოქალაქეთა სისხლისთვის. სახელი და დიდება თბილისის მოქალაქეთ!

თბილისის იმ მოქალაქეთა მრავალათასიანი მასის წინაშე, რომელნიც წითელი დროშის ქვეშ შეიკრიბნენ და მეფის მთავრობას სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, საზიზღარი მთავრობის საზიზღარი ლაქიები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მათ ხელი აიღეს დარბევაზე.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, მოქალაქენო, რომ მეფის მთავრობა კვლავ აღარ შეეცდება მოაწყოს რბევა? სრულებითაც არა! სანამ იგი ცოცხალია, და რაც უფრო კარგავს იგი ნიადაგს, მით უფრო ხშირად მიმართავს რბევას. **რბევის** აღმოფხვრის ერთადერთი საშუალებაა მეფის თვითმპყრობელობის მოსპობა.

თქვენთვის ძვირფასია თქვენი სიცოცხლე და თქვენი მახლობელი ადამიანების სიცოცხლე? თქვენ გიყვართ თქვენი მეგობრები, ნათესავები, და არ გსურთ რბევა? მაშ იცოდეთ, მოქალაქენო, რომ მხოლოდ ცარიზმის მოსპობით მოისპობა რბევა და მასთან დაკავშირებული სისხლისღვრა!

მეფის თვითმპყრობელობის დამხობა — აი უწინარეს ყოვლისა რას უნდა ცდილობდეთ თქვენ!

თქვენ გსურთ **ყოველგვარი** ნაციონალური მტრობის მოსპობა? თქვენ გსურთ მიაღწიოთ ხალხთა სრულ სოლიდარობას? მაშ იცოდეთ, მოქალაქენო, რომ მხოლოდ უთანასწორობის მოსპობით, მხოლოდ კაპიტალიზმის აღმოფხვრით მოისპობა ყოველგვარი ნაციონალური შუღლი!

სოციალიზმის გამარჯვება — აი საბოლოოდ საითკენ უნდა მიისწრაფოდეთ თქვენ!

მაგრამ ვინ აღგვის პირისაგან მიწისა ცარიზმის საზიზღარ წესწყობილებას, ვინ გიხსნით რბევისგან? — პროლეტარიატი, სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით.

ხოლო ვინ დაამხობს კაპიტალისტურ წესწყობილებას, ვინ დაამყარებს დედამიწაზე საერთაშორისო სოლიდარობას? — იგივე პროლეტარიატი, იმავე სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით.

პროლეტარიატი და მხოლოდ პროლეტარიატი — აი ვინ მოგიპოვებთ თავისუფლებასა და მშვიდობას.

მაშ დაირაზმეთ პროლეტარიატის გარშემო და დადექით სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ!

წითელი დროშის ქვეშ, მოქალაქენო!

ძირს მეფის თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს წითელ დროშას!

1905 წ. 15 თებერვალი.

იბეჭდება რსდმპ თბილისის კომიტეტის სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი.

გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე[25]

«სოციალ-დემოკრატია — ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა».

კარლ კაუცკი

ჭირვეული რამაა ჩვენი «უმცირესობა»! მე თბილისის «უმცირესობაზე» გელაპარაკებით. გაუგია, რომ პარტიაში უთანხმოებააო, და ახირებულა: გინდა თუ არა, ყველგან და ყოველთვის უთანხმოებაზე უნდა ვილაპარაკო, გინდა თუ არა, მარჯვნივ და მარცხნივ «უმრავლესობას» უნდა ვაგინოო! და იგინება ისიც წარამარა, იტყვი — ქადაგად დაცემულაო. აღმა თუ დაღმა, სახლში თუ გარეთ — ყველგან ერთსა და იმავეს გაჰკივის: ერიდეთ «უმრავლესობას», ისინი გიაურები არიანო! ის «ჩვეულებრივ» სარბიელსაც კი არ დასჯერდა, მან «საქმე» ნებადართულ მწერლობაში გადაიტანა და მით ერთხელ კიდევ დაანახა ქვეყანას თავისი... ჭირვეულობა.

რა დააშავა «უმრავლესობამ», რატომ «გაკუჭებულა» ჩვენი «უმცირესობა»?

გადავხედოთ ისტორიას.

პირველად პარტიის მეორე ყრილობაზე (1903 წ.) იჩინა თავი «უმცირესობამ» და «უმრავლესობამ». ეს ის ყრილობა იყო, სადაც ჩვენი გაფანტული ძალები ერთ მძლავრ პარტიად უნდა შეერთებულიყო. დიდი იმედებით ველოდით ამ ყრილობას პარტიული მუშაკები. ძლივს! — ვიძახდით გახარებულნი, — ჩვენც გვეღირსება ერთ პარტიად შეერთება, ჩვენც შეგვეძლება ერთ

გეგმაზე მოქმედება!.. რა თქმა უნდა, ჩვენ მანამდეც ვმოქმედებდით, მაგრამ ჩვენი მოქმედება დაქსაქსული და მოუწყობელი იყო. რასაკვირველია, ჩვენ მანამდეც ვცდილობდით შეერთებას, სწორედ ამიტომ მოვიწვიეთ პარტიის პირველი ყრილობა (1898 წ.), თითქოს «შეევერთდით» კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი შეერთება იყო: პარტია მაინც დაქუცმაცებული იყო ცალკე ჯგუფებად, ძალები მაინც დაქსაქსული იყო და ერთად თავმოყრას ითხოვდა. და აი, პარტიის მეორე ყრილობას უნდა შეეკრიბა გაფანტული ძალები და ერთმანეთზე გადაეჯაჭვა. ჩვენ უნდა შეგვექმნა ერთიანი პარტია.

მაგრამ საქმემ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი იმედები, რამდენადმე მაინც, ნაადრევი იყო. ყრილობამ ვერ მოგვცა ერთი და განუყოფელი პარტია, მან მხოლოდ საძირკველი ჩაუყარა ასეთ პარტიას. სამაგიეროდ ამ ყრილობამ ნათლად დაგვანახა, რომ პარტიაში ორი მიმართულება ყოფილა: მიმართულება «ისკრისა» (ძველ «ისკრაზეა» ლაპარაკი) [26] და მიმართულება მისი მოწინააღმდეგეებისა. თანახმად ამისა, ყრილობა ორ ნაწილად გაიყო: «უმრავლესობად» და «უმცირესობად». პირველმა «ისკრის» მიმართულება მიიღო და მის გარშემო მოიყარა თავი; მეორემ კი, როგორც «ისკრის» მოპირდაპირემ, მოწინააღმდეგე პოზიცია დაიჭირა.

ამგვარად, «ისკრა» გადაიქცა დროშად პარტიული «უმრავლესობისა», პოზიცია «ისკრისა» გამოცხადდა პოზიციად «უმრავლესობისა».

რა გზას ადგა «ისკრა», რას იცავდა ის?

ამის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა პირობებში გამოვიდა ის ისტორიულ სარბიელზე.

«ისკრა» 1900 წლის დეკემბერში გამოსცეს. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის მრეწველობაში კრიზისი იწყებოდა. მრეწველობის აყვავება, რომელსაც პროფესიული გაფიცვები მოჰყვა (1896—98 წ.), თანდათან კრიზისით იცვლებოდა. კრიზისი კი დღითი-დღე ძლიერდებოდა და პროფესიულ გაფიცვებს წინ

ელობებოდა. მიუხედავად ამისა, მუშათა მოძრაობა მაინც წინ მიდიოდა და გზას მიიკაფავდა: ცალკე ნაკადულები ერთმანეთს უერთდებოდა, მოძრაობას კლასობრივი ელფერი ედებოდა და თანდათან პოლიტიკური ბრძოლის გზაზე დგებოდა. მუშათა მოძრაობა საოცარი სისწრაფით იზრდებოდა... არ სჩანდა მხოლოდ მოწინავე რაზმი, სოციალ-დემოკრატია*, რომ სოციალისტური შეგნება შეეტანა მოძრაობაში, შეეუღლებინა ეს მოძრაობა სოციალიზმთან და, ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიეცა პროლეტარიატის ბრძოლისთვის.

მაშ რას აკეთებდნენ მაშინდელი «სოციალ-დემოკრატები» («ეკონომისტებს» ეძახდნენ მათ)? ისინი გუნდრუკს უკმევდნენ სტიქიურ მოძრაობას და უზრუნველად გაიძახოდნენ: არც ეგრე საჭიროა მუშათა მოძრაობისთვის სოციალისტური შეგნება, უიმისოდაც კარგად მიაღწევს ის თავის მიზანს, საქმე თვით მოძრაობაშია — მოძრაობა ყველაფერია, შეგნება წვრილმანი რამეაო. **მოძრაობა უსოციალიზმოდ** — აი საით მიილტვოდნენ ისინი.

მაშ რაღა დანიშნულება აქვს ამ შემთხვევაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიას? ის მორჩილი იარაღი უნდა იყოს სტიქიური მოძრაობისა, იძახდნენ ისინი. სულაც არაა ჩვენი საქმე სოციალისტური შეგნება შევიტანოთ მუშათა მოძრაობაში, სულაც არაა ჩვენი საქმე წინ გავუძღვეთ მას, — ეს უნაყოფო ძალდატანება იქნებოდა, ჩვენი ვალია მხოლოდ ყურს ვუგდებდეთ მოძრაობას და სისწორით აღვნუსხავდეთ, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება, — ჩვენ კუდში უნდა მივჩანჩალებდეთ სტიქიურ მოძრაობასო**. ერთი სიტყვით, **სოციალ-დემოკრატია** მოძრაობისთვის **ზედმეტი ბარგიაო.**

---

* სოციალ-დემოკრატია — ეს პროლეტარიატის მოწინავე რაზმია, რომელშიც შედის ყველა მებრძოლი სოციალ-დემოკრატი, მუშა იქნება ის თუ ინტელიგენტი.

** ძალიან «კრიტიკის» მადა აქვს აღძრული ჩვენს «სოციალ-დემოკრატს»[27] (იხ. № 1. «უმრავლესობა» თუ «უმცირესობა»?), მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სწორად ვერ ახასიათებს «ეკონომისტებსა» და «რა-

ვისაც სოციალ-დემოკრატია არა სწამს, მას არც სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა სწამდეს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე დაჟინებით იძახდნენ «ეკონომისტები»: რუსეთში მუშათა პოლიტიკური პარტია შეუძლებელია, დაე ისევ ლიბერალებმა მისდიონ პოლიტიკურ ბრძოლას, ეს იმათ უფრო შეჰფერისო. მაშ რა ვაკეთოთ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა? ჩვენ წინანდებურად ცალკე წრეებად უნდა დავრჩეთ და ჩვენ-ჩვენ კუთხეებში ვიმოქმედოთო.

პარტია კი არა, წრეო!

ამგვარად, ერთი მხრივ, მუშათა მოძრაობა იზრდებოდა და მოწინავე რაზმს ითხოვდა წინამძღოლად; მეორე მხრივ, «სოციალ-დემოკრატია» «ეკონომისტების» სახით, იმის მაგიერ, რომ მოძრაობას წინ გასძღოლოდა, თავის თავს უარყოფდა და უკან მისჩანჩალებდა მოძრაობას.

საჭირო იყო ხმამაღლა გამოთქმულიყო ის აზრი, რომ სტიქიური მუშათა მოძრაობა უსოციალიზმოდ უგზოუკვლო ხეტიალია, რომელიც ოდესმე თუ მიგიყვანს მიზანთან და ისიც ვინ იცის, როდის და რა წვალებით, რომ სოციალისტურ შეგნებას, მაშასადამე, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობისთვის.

ბოჩედელცებს» (ერთნი მეორისაგან დიდად არ განირჩევიან). საქმე იმაში კი არაა, რომ ისინი «აბუჩად იგდებდნენ პოლიტიკურ საკითხებს», — არამედ იმაში, რომ უკან მისჩანჩალებდნენ მოძრაობას და იმას წამოიძახებდნენ ხოლმე, რასაც მოძრაობა წასჩურჩულებდა. იყო დრო, როცა მარტო გაფიცვები ხდებოდა. მაშინ ისინიც ეკონომიურ ბრძოლას ქადაგებდნენ. დადგა დრო დემონსტრაციებისა (1901 წ.), დაიღვარა სისხლი, დაჭროლა უიმედობის ქარმა, და. ტერორს მიმართეს მუშებმა — ეს გვიხსნის მტარვალებისგანო. მაშინ «ეკონომისტ-რაბოჩედელცებიც» ფეხის ხმას აჰყვნენ და დიდი ამბით გამოაცხადეს: დროა ტერორი დავიწყოთ, დავეცეთ ციხეებს, გავათავისუფლოთ ამხანაგებიო და სხვ. (იხ. «Исторический поворот». «Рабочее дело» [28]). როგორც ხედავთ, ეს სულაც არ ნიშნავს «პოლიტიკური საკითხების აბუჩად აგდებას». ავტორს მარტინოვისგან უსესხნია «კრიტიკა», მაგრამ უკეთესს იზამდა, თუ ისტორიას გაეცნობოდა.

საჭირო იყო აგრეთვე იმის თქმა, რომ ამ შეგნების მატარებელი — სოციალ-დემოკრატია, სეირს კი არ უნდა უყურებდეს და მუშათა სტიქიურ მოძრაობას უკან მისჩანჩალებდეს, არამედ ვალდებულია სოციალისტური შეგნება შეჰქონდეს მუშათა მოძრაობაში, მუდამ წინ მიუძღოდეს მას.

უნდა გამოთქმულიყო აგრეთვე ის აზრი, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პირდაპირი მოვალეობაა თავი მოუყაროს პროლეტარიატის ცალკეულ მოწინავე რაზმებს, შეაერთოს ისინი ერთ პარტიად და მით სამუდამოდ მოუღოს ბოლო პარტიულ დაჭუცმაცებას.

სწორედ ამ ამოცანების გარკვევას შეუდგა «ისკრა».

აი რას ამბობს ის თავის საპროგრამო წერილში (იხ. «ისკრა» № 1): «სოციალ-დემოკრატია — ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა»[29], ე. ი. მოძრაობა უსოციალიზმოდ, ან სოციალიზმი უმოძრაობოდ არასასურველი მოვლენაა, რომელსაც უნდა ებრძოდეს სოციალ-დემოკრატია. და რადგანაც «ეკონომისტ-რაბოჩედელცები» თაყვანს სცემდნენ სტიქიურ მოძრაობას, რადგანაც ისინი სოციალიზმის მნიშვნელობას ამცირებდნენ, — ამიტომ «ისკრა» შენიშნავს: «მუშათა მოძრაობა უსოციალ-დემოკრატიოდ აუცილებლად წვრილმანდება და ბურჟუაზიულ ხასიათს იღებსო». თანახმად ამისა, სოციალ-დემოკრატიის მოვალეობაა: «მიუთითოს მოძრაობას მის საბოლოო მიზანზე, უჩვენოს მისი პოლიტიკური ამოცანები და დაიცვას მისი პოლიტიკური და იდეური დამოუკიდებლობა».

რა მოვალეობა აწევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას? «აქედან თავისთავად სჩანს, თუ რა ამოცანა უნდა შეასრულოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ, — განაგრძობს «ისკრა» — მან უნდა შეიტანოს პროლეტართა მასაში სოციალისტური აზრები და პოლიტიკური თვითშეგნება და უნდა მოაწყოს რევოლუციური პარტია, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება მუშათა სტიქიურ მოძრაობასთანო», — ე. ი. ის მუდამ წინ უნდა მიუძღოდეს მოძრაობას, და მისი პირველი მოვალეობაა — ერთ

პარტიად შეაერთოს მუშათა მოძრაობის სოციალ-დემოკრატიული ძალებიო.

ასე ასაბუთებს თავის პროგრამას «ისკრის» რედაქცია*.

ახორციელებდა თუ არა «ისკრა» ამ შესანიშნავ პროგრამას?

ყველამ იცის, თუ რა თავგანწირულებით ატარებდა ის ცხოვრებაში ამ საგულისხმო აზრებს. ეს ნათლად დაგვიმტკიცა პარტიის მეორე ყრილობამ, რომელმაც, ოცდათხუთმეტი ხმის უმეტესობით, პარტიის ცენტრალურ ორგანოდ მიიღო «ისკრა».

მოდი და ამის შემდეგ ნუ გაგეცინება, როცა ზოგიერთი ძალად - მარქსისტი ძველი «ისკრის» «კრიტიკას» დაიწყებს.

აი რას სწერს «ისკრაზე» მენშევიკური «სოციალ-დემოკრატი»:

«მას («ისკრას») უნდა გაერჩია «ეკონომიზმი», ყალბი ადგილები უარეყო, ხოლო ჭეშმარიტი მიეღო და ახალ კალაპოტში ჩაეყენებია... მაგრამ **ეს ასე არ მოხდა.** «ეკონომიზმთან» ბრძოლამ გამოიწვია მეორე უკიდურესობა, ეკონომიური ბრძოლის დამცირება, აბუჩათ აღება და პოლიტიკური ბრძოლის გაბატონება. **პოლიტიკა უეკონომიოთ** (უნდა იყოს: უეკონომიკოდ)— აი ახალი მიმართულება» (იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 1, «უმცირესობა» თუ «უმრავლესობა»?).

მერე სად, როდის, რა ქვეყანაში მოხდა ეს ამბები, ღირსეულო «კრიტიკოსო», ან რას აკეთებდნენ პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, მარტოვი, სტაროვერი? რატომ «ჭეშმარიტ» გზაზე არ შეაყენეს «ისკრა»: ისინი ხომ უმეტესობას წარმოადგენდნენ რედაქციაში? ან სად იყავი აქამდე, შე დალოცვილო, რატომ არ გააფრთხილე პარტიის მეორე ყრილობა: ცენტრალურ ორგანოდ ხომ აღარ მიიღებდა «ისკრას».

მაგრამ დავანებოთ თავი «კრიტიკოსს».

---

* «ისკრის» რედაქციაში ექვსი კაცი იყო მაშინ: პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, მარტოვი, სტაროვერი [30] და ლენინი.

საქმე იმაშია, რომ «ისკრამ» სისწორით შეამჩნია «საჭირბოროტო საკითხები», სწორედ იმ გზას დაადგა, რომელზედაც წელან ვლაპარაკობდი, და თავგანწირვით ატარებდა თავის პროგრამას.

უფრო მკაფიოდ და საბუთიანად გამოსთქვა «ისკრის» პოზიცია ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში «Что делать?» («რა ვაკეთოთ?»).

შევეხოთ ამ წიგნს.

«ეკონომისტები» თაყვანს სცემდნენ მუშათა სტიქიურ მოძრაობას. მაგრამ ვინ არ იცის, რომ **სტიქიური** მოძრაობა— ეს უსოციალიზმოდ მოძრაობაა, ეს «იგივე ტრედუნიონიზმია»*, რომელიც კაპიტალიზმს იქით ვერ იხედება. ვინ არ იცის, რომ მუშათა მოძრაობა უსოციალიზმოდ — ეს კაპიტალიზმის ფარგალში ტრიალია, ეს კერძო საკუთრების გარშემო ხეტიალია, რომელიც ოდესმე თუ მიგიყვანს სოციალურ რევოლუციასთან და ისიც ვინ იცის, როდის და რა წვალებით? განა მუშებისთვის სულ ერთია, ახლო ხანში მივლენ ისინი «აღთქმულ ქვეყანაში» თუ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ადვილად თუ გაჭირვებით? ცხადია, ყველა ის, ვინც **სტიქიურ** მოძრაობას მაღლა აყენებს და თაყვანს სცემს მას, — ის, თავისდაუნებურად, ორმოს თხრის სოციალიზმსა და მუშათა მოძრაობას შორის, ის ამცირებს სოციალისტური იდეოლოგიის მნიშვნელობას, ის სდევნის მას ცხოვრებიდან და თავისდაუნებურად ამეფებს მუშებზე ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, მას ვერ გაუგია, რომ «სოციალ-დემოკრატია — ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა» **, რომ «**ყოველივე** ამაღლება მუშათა სტიქიური მოძრაობისა, **ყოველივე** დამცირება იმ მნიშვნელობისა, რომელიც «შეგნებულ ელემენტს», სოციალ-დემოკრატიას უნდა ჰქონდეს მუშათა მოძრაობაში, — **აუცილებლად მოასწა-**

* ლენინი. «Что делать?», გვ. 28.

** კაუცკი. «Эрфуртская программа», ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, გვ. 94.

ვებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას მუშებში — სულ ერთია — გინდათ ამ იდეოლოგიის გაძლიერება თუ არა»*.

ავხსნათ უფრო დაწვრილებით. ჩვენს დროში მხოლოდ ორნაირი იდეოლოგია შეიძლება არსებობდეს: ბურჟუაზიული და სოციალისტური. მათში, სხვათა შორის, ის გარჩევაა, რომ პირველი, ე. ი. ბურჟუაზიული იდეოლოგია, გაცილებით უფრო ხნიერია, უფრო ძლიერაა გავრცელებული და უფრო ფესვმოგაგრებულია ცხოვრებაში, ვიდრე მეორე, მთაში თუ ბარში, სახლში თუ გარეთ — ყველგან ბურჟუაზიულ აზრებს წააწყდებით, მაშინ როდესაც სოციალისტური იდეოლოგია ეს-ეს არის ფეხს იდგამს და გზას იკაფავს. ლაპარაკი არ უნდა, რომ თუ აზრების გავრცელებაზე მიდგება საქმე, ბურჟუაზიული იდეოლოგია, ე. ი. ტრედუნიონისტური შეგნება, უფრო ადვილად გავრცელდება და უფრო ფართოდ მოედება მუშათა **სტიქიურ** მოძრაობას, ვიდრე ახლად ფეხადგმული სოციალისტური იდეოლოგია. მით უმეტეს, რომ **სტიქიური** მოძრაობა, მოძრაობა უსოციალიზმოდ, ისედაც «ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბატონობისკენ მიიღტვის»**. ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაბატონება კი სოციალისტურის განდევნაა, რადგანაც ესენი უარყოფენ ერთი-მეორეს.

როგორ? — იკითხავთ თქვენ, — განა სოციალიზმისკენ არ მიიღტვის მუშათა კლასი? დიახ, სოციალიზმისკენ მიიღტვის. **ეს რომ ასე არ იყოს, სოციალ-დემოკრატიის მოქმედება უნაყოფო იქნებოდა.** მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ ამ ლტოლვილებას წინ უდგება და ხელს უშლის მეორე ლტოლვილება, ლტოლვილება ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ.

წეღანაც ვამბობდი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ერთიანად გაჟღენთილია ბურჟუაზიული აზრებით, რის გამოც გაცილებით უფრო ადვილია ბურჟუაზიული იდეოლოგიის

---

* ლენინი. «Что делать?», გვ. 26.

** იქვე, გვ. 28.

ვავრცელება, ვიდრე სოციალისტურის; ნუ დავივიწყებთ, რომ ამავე დროს არ სძინავთ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, რომლებიც თავისებურად «სოციალისტობენ» და დაუღალავად ცდილობენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაუმორჩილონ მუშათა კლასი; თუ აქ სოციალ-დემოკრატებიც «ეკონომისტებივით» პირს დააღებენ და კუდში აეთრევიან სტიქიურ მოძრაობას (მუშათა მოძრაობა კი სწორედ მაშინაა სტიქიური, როცა სოციალ-დემოკრატია ასე იქცევა), — მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მუშათა სტიქიური მოძრაობა ამ დაღარული გზისკენ დაექანება და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაემორჩილება, რა თქმა უნდა დრომდე, სანამ ხანგრძლივი ხეტიალი და წვალება კავშირს არ შეაწყვეტინებს მას ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან და სოციალური რევოლუციისკენ არ გააქანებს.

ამას ჰქვია ლტოლვილება ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ.

აი რას ამბობს ლენინი:

«მუშათა კლასი სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უფრო ძლიერაა გავრცელებული ცხოვრებაში (და რომელიც მუდამ სხვადასხვა ტანისამოსში მოგვევლინება ხოლმე), უფრო ხშირად ეხეჩება გზაში მუშას და უფრო დაჟინებით სტიქიურად ეკვიატება მას» *. სწორედ ამიტომაა, რომ მუშათა **სტიქიური** მოძრაობა, სანამ ის **სტიქიურია,** სანამ ის სოციალისტურ შეგნებას არ შეერთებია, — ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ემორჩილება და ამ მორჩილებისკენ მიილტვის **. **ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ზედმეტი იქნებოდა სოციალ-დემოკრატიული კრიტიკა, სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა, მაშინ ზედმეტი იქნებოდა «სოციალიზმის შეერთებაც მუშათა მოძრაობასთან».**

სოციალ-დემოკრატიის მოვალეობაა **შეებრძოლოს** ამ ლტოლვილებას ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ და ხელი შეუ-

---

* ლენინი. «Что делать?», გვ. 29.

** იქვე, გვ. 28.

წყოს მეორე ლტოლვილებას — ლტოლვილებას სოციალიზმისკენ. რა თქმა უნდა, მერე, კარგა ხნის მერე, ბევრი ხეტიალისა და წვალების შემდეგ, სოციალ-დემოკრატიის დაუხმარებლადაც თავისას გაიტანს სტიქიური მოძრაობა, ის მაინც სოციალურ რევოლუციას მიადგება კარზე: ვინაიდან «მუშათა კლასი **სტიქიურად** მიილტვის სოციალიზმისკენ»*. მაგრამ მანამდე? რა ვაკეთოთ მანამდე? გულხელი დავიკრიფოთ «ეკონომისტებივით» და ადგილი დავუცალოთ სტრუვეებსა და ზუბატოვებს? უარვყოთ სოციალ-დემოკრატია და მით ხელი შევუწყოთ ბურჟუაზიული ტრედუნიონისტური იდეოლოგიის გაბატონებას? დავივიწყოთ მარქსიზმი და ნუ «შევაერთებთ სოციალიზმს მუშათა მოძრაობასთან»?

არა! სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის მოწინავე რაზმია**, და მისი ვალია მუდამ წინ უძღოდეს პროლეტარიატს, მისი ვალია «**მოაშოროს** მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიული ტრედუნიონიზმის გზას და გადაიყვანოს ის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშისკენ»***; სოციალ-დემოკრატიის ვალია სოციალისტური შეგნება შეიტანოს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში, ერთმანეთთან შეაერთოს მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი და, ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცეს პროლეტარიატის ბრძოლას.

ამბობენ — მუშათა **კლასმა** ზოგიერთ ქვეყანაში თვითონ შეიმუშავა სოციალისტური იდეოლოგია (მეცნიერული სოციალიზმი) და თვითონვე შეიმუშავებს მას დანარჩენ ქვეყნებშიც, ამიტომ სრულებით ზედმეტია სოციალისტური შეგნების შეტანა მუშათა მოძრაობაშიო. მაგრამ ეს ღრმა შეცდომაა. მეცნიერული სოციალიზმი რომ შეიმუშაო, ამისთვის საჭიროა წინ მიუძღოდე მეცნიერებას, საჭიროა შეიარაღებული იყო მეცნიე-

---

* ლენინი. «Что делать?», გვ. 29.

** კ. მარქსი. «მანიფესტი», გვ. 15.[31]

*** ლენინი. «Что делать?», გვ. 28.

რული ცოდნით და საძირკვლიანად იკვლევდე ისტორიული განვითარების კანონებს. მუშათა **კლასს** კი, სანამ ის მუშათა კლასად დარჩება, არ ძალუძს სათავეში მოექცეს მეცნიერებას, წინ წასწიოს ის და მეცნიერულად იკვლიოს ისტორიული კანონები: მას ამისთვის არც დრო აქვს და არც საშუალება. მეცნიერული სოციალიზმი «მხოლოდ ღრმა მეცნიერული ცოდნის საფუძველზე შეიძლება აღმოცენდეს...» — ამბობს კ. კაუცკი. «...მეცნიერების მატარებელი კი **ბურჟუაზიული ინტელიგენციაა** (ხაზგასმა კ. კაუცკისაა), და არა პროლეტარიატი. სწორედ ამ ინტელიგენციის ზოგიერთ წევრს შეუმუშავდა თავში თანამედროვე სოციალიზმი, რომელიც მერე გადასცეს მათ გონებრივად განსაკუთრებით განვითარებულ პროლეტარებს...»*

თანახმად ამისა, ლენინი ამბობს: ყველა- იმათ, ვინც თაყვანს სცემს მუშათა სტიქიურ მოძრაობას და პირლია შესცქერის მას, ვინც დღემუდამ ამცირებს სოციალ-დემოკრატიის მნიშვნელობას და ადგილს უთმობს სტრუვე-ზუბატოვებს — ყველა ამათ ისე ჰგონიათ, რომ ეს მოძრაობა თავისით შეიმუშავებს მეცნიერულ სოციალიზმს. «მაგრამ ეს ღრმა შეცდომაა»**. ზოგიერთები ფიქრობენ, 90-იან წლებში პეტერბურგელ გაფიცულ მუშებს სოციალ-დემოკრატიული შეგნება ჰქონდათო, მაგრამ ესეც შეცდომაა. მათ არ ჰქონდათ ასეთი შეგნება «და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ის (სოციალ-დემოკრატიული შეგნება) მხოლოდ გარედან შეიძლებოდა შეტანილიყო მათში. ყველა ქვეყნის ისტორია ამტკიცებს, რომ მარტო თავისი ძალღონით მუშათა კლასს შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ტრედუნიონისტური შეგნება, ე. ი. დარწმუნება იმაში, რომ საჭიროა კავშირების შედგენა, მეპატრონეებთან ბრძოლა, მოთხოვნა მთავრობისგან ამა თუ იმ სასარგებლო კანონების გამოცე-

---

* ლენინი. «Что делать?», გვ. 27, სადაც გადმობეჭდილია ეს სიტყვები კაუცკის ცნობილი წერილიდან («Neue Zeit»[31], 1901 — 1902, № 3, გვ. 79).

** იქვე, გვ. 26.

მისა და სხვ. სოციალიზმის მოძღვრება კი აღმოცენდა იმ ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიურ თეორიებზე, რომლებსაც ამუშავებდნენ შეძლებულ კლასთა განათლებული წარმომადგენლები, ინტელიგენცია. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებელნიც, მარქსი და ენგელსი, თავისი სოციალური მდგომარეობით ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ»*. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, განაგრძობს ლენინი, «ვითომ, მუშები მონაწილეობას არ ღებულობენ სოციალიზმის შემუშავებაში. ისინი ღებულობენ მონაწილეობას, მაგრამ არა როგორც მუშები, არამედ როგორც სოციალიზმის თეორეტიკოსები, როგორც პრუდონები და ვეიტლინგები (ორივენი მუშები იყვნენ), ერთი სიტყვით, სხვანაირად რომ ვთქვათ, მონაწილეობას ღებულობენ იმდენად, რამდენადაც მათთვის შესაძლებელი ხდება შეიარაღდნენ თავისი დროის ცოდნით და წინ წასწიონ ეს ცოდნა»**.

ყოველივე ეს, დაახლოებით, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ. არსებობს კაპიტალისტური წესები. არიან მუშები და არიან მეპატრონეები. მათ შორის ბრძოლაა ატეხილი. მეცნიერული სოციალიზმი ჯერ არსად სჩანს. მეცნიერული სოციალიზმის ხსენებაც არსად იყო, რომ მუშები იბრძოდნენ... დიახ, იბრძვიან მუშები. მაგრამ ყველა თავის მეპატრონეს ებრძვის, ყველა თავის ადგილობრივ ხელისუფალთ ეწინააღმდეგება: იქ გაფიცვას მართავენ, აქ მიტინგებზე და დემონსტრაციებზე გასულან, იქ უფლებებს სთხოვენ მთავრობას, აქ ბოიკოტს აცხადებენ, ერთნი პოლიტიკურ ბრძოლაზე ლაპარაკობენ, მეორენი — ეკონომიურზე და სხვ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მუშებს სოციალ-დემოკრატიული შეგნება ჰქონდეთ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი კაპიტალისტური წესების დასალეწად მოძრაობდნენ, რომ ისინი დარწმუნებული

---

* ლენინი. «Что делать?», გვ. 20 — 21.

** იქვე, გვ. 27.

იყვნენ კაპიტალიზმის დამხობაში და სოციალისტური წესების გამეფებაში ისევე, როგორც მზის ამოსვლაში არიან დარწმუნებულნი, რომ ისინი თავიანთ პოლიტიკურ გაბატონებას (პროლეტარიატის დიქტატურას) სოციალიზმის გამარჯვების აუცილებელ იარაღად სთვლიდნენ და სხვ.

ამავე დროს ვითარდება მეცნიერება. მუშათა მოძრაობა თანდათან მის ყურადღებას იპყრობს. სწავლულების მეტი წილი იმ აზრს ადგება, რომ მუშათა მოძრაობა — ეს მოუსვენართა ამბოხებაა, რომელთაც კაი მათრახი მოუხდებათო. ზოგი კიდევ ასე ფიქრობს, რომ მდიდრების მოვალეობაა თითო-ოროლა გროში არ დაიშუროონ ღარიბებისთვისო, ე. ი. მუშათა მოძრაობა — ეს გლახაკთა მოძრაობაა, რომელთა მიზანიც მოწყალების მიღებააო. მხოლოდ ათასში ერთი შეიძლება გამოერიოს ამ სწავლულებში ისეთი, რომელიც მეცნიერული თვალით უყურებს მუშათა მოძრაობას, მეცნიერულად იკვლევს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თვალს ადევნებს კლასობრივ შეჯახებას, ყურს უგდებს მუშათა კლასის დრტვინვას და, ბოლოს, მეცნიერულად ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური წესწყობილება მუდმივს არაფერს წარმოადგენს, რომ ის ისევე წარმავალია, როგორც ფეოდალური ხანა, რომ მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს მისი უარმყოფელი სოციალისტური წესები, რომელსაც დაამყარებს მხოლოდ პროლეტარიატი სოციალური რევოლუციის შემწეობით. ერთი სიტყვით, მუშავდება მეცნიერული სოციალიზმი.

რა თქმა უნდა, კაპიტალიზმი და კლასთა ბრძოლა რომ არ ყოფილიყო, არც მეცნიერული სოციალიზმი იქნებოდა. მაგრამ მართალია აგრეთვე ის, რომ მეცნიერული ცოდნა რომ არ ჰქონოდათ იმ ზოგიერთებს, ვთქვათ მარქსსა და ენგელსს, — ვერც მეცნიერულ სოციალიზმს შეიმუშავებდნენ.

რა არის მეცნიერული სოციალიზმი **უმუშათამოძრაობოდ?** — კომპასი, რომელიც შეიძლება უხმარებლად დაჟანგდეს და წყალში გადასაგდები გახდეს.

რა არის მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოდ?** — უკომპასო გემი, რომელიც ისეც მიატანს მეორე ნაპირს, მაგრამ კომპასი რომ ჰქონდეს, უფრო ჩქარა მიადგება ნაპირს და უფრო ნაკლებ ხიფათს შეხვდება.

შეაერთეთ ორივე, და მიიღებთ შესანიშნავ გემს, რომელიც სისწორით გაექანება მეორე ნაპირისკენ და უვნებლად მიაღწევს ნავსადგურს.

შეაერთეთ მუშათა მოძრაობა სოციალიზმთან, და მიიღებთ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც პირდაპირი გზით გასწევს «აღთქმული ქვეყნისკენ».

და აი, სოციალ-დემოკრატიის (და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალდემოკრატების) ვალია შეუერთოს სოციალიზმი მუშათა მოძრაობას, შეიტანოს მოძრაობაში სოციალისტური შეგნება და, ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცეს მუშათა სტიქიურ მოძრაობას.

ამას ამბობს ლენინი.

ზოგიერთები ამბობენ, ვითომ ლენინისა და «უმრავლესობის» აზრით მუშათა მოძრაობა, თუ მას სოციალისტური იდეოლოგია არ ახლავს, დაღუპვისკენ მიდის, სოციალურ რევოლუციას ასცდებაო. მაგრამ ეს ჭორია, მოცლილთა ჭორი, რომელიც იმისთანა ძალად-მარქსისტებს თუ მოუვათ თავში, როგორიცაა ანი. (იხ. «რა არის პარტია?», «მოგზაური»[33] № 6).

ლენინი გარკვევით ამბობს, «მუშათა კლასი სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისკენო»*, და თუ ამაზე ბევრს არ ლაპარაკობს — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისი დამტკიცება ზედმეტად მიაჩნია, რადგანაც ის ისედაც დამტკიცებულია. გარდა ამისა, ლენინის მიზანი სულაც არ იყო **სტიქიური** მოძრაობა გამოეკვლია, — მას მხოლოდ ის უნდოდა დაენახვებინა პრაქტიკოსებისთვის, თუ რა უნდა აკეთონ მათ **შეგნებულად.**

---

* ლენინი. «Что делать?», გვ. 29.

აი კიდევ რას ამბობს ლენინი ერთ ადგილას, სადაც ის მარტოვს ეკამათება:

«ჩვენი პარტია შეგნებული გამომხატველია შეუგნებელი პროცესისო». სრული ჭეშმარიტებაა, და სწორედ ამიტომ არ უნდა ვცდილობდეთ, რომ «ყველა გაფიცული» პარტიის წევრად ითვლებოდეს: გაფიცვა რომ **შეგნებული გამოხატულება** იყოს შეუგნებელი პროცესის, და არა სტიქიური გამოხატულება იმ ძლიერი **კლასობრივი ინსტინქტისა და კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც აუცილებლად სოციალური რევოლუციისკენ მიჰყავს მუშა ხალხი...** მაშინ ერთი დაკვრით მოვუთავებდით საქმეს მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას» *.

როგორც ხედავთ, ლენინის აზრით, კლასთა ბრძოლას, კლასთა შეჯახებას, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული ბრძოლა ვერ დაერქმევა, აუცილებლად სოციალური რევოლუციისკენ მიჰყავს მუშათა კლასი.

თუ სხვა «მეუმრავლესეთა» აზრიც გაინტერესებთ, მოისმინეთ. აი რას ამბობს პარტიის მეორე ყრილობაზე ერთი «მეუმრავლესე» ამხ. გორინი:

«როგორ იქნებოდა საქმე, თუ პროლეტარიატი თავის ძალღონეზე იქნებოდა მიშვებული? საქმე იმნაირადვე დატრიალდებოდა, როგორც, მაგალითად, ბურჟუაზიული რევოლუციის წინა დღეებში. არავითარი მეცნიერული იდეოლოგია არ ჰქონდათ მაშინ ბურჟუაზიულ რევოლუციონერებს. მიუხედავად ამისა ბურჟუაზიული წესწყობილება მაინც დამყარდა. პროლეტარიატი უიდეოლოგებოდ, რა თქმა უნდა, მაინც სოციალური რევოლუციისკენ გაემართებოდა, მაგრამ ინსტინქტურად... პროლეტარიატი ინსტინქტურადაც განახორციელებდა სოციალიზმს, მაგრამ მას არ ექნებოდა სოციალისტური თეორია. პროცესი უფრო ხანგრძლივი და ძნელი იქნებოდა» **.

---

* ლენინი. «Шаг вперед, два шага назад», გვ. 53.

** Протоколы II съезда партии, გვ. 129.

ახსნა და განმარტება მეტია.

მაშ ასე, მუშათა **სტიქიური** მოძრაობა, მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოდ** აუცილებლად წვრილმანდება და ტრედუნიონისტურ ხასიათს იღებს — ის ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ემორჩილება. შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ სოციალიზმი ყველაფერია და მუშათა მოძრაობა — არაფერი? რა თქმა უნდა, არა! ამას მარტო იდეალისტები იტყვიან. ოდესმე, კარგა ხნის მერე, ეკონომიური განვითარება აუცილებლად მიიყვანს მუშათა კლასს სოციალურ რევოლუციასთან და, მაშასადამე, ყოველივე კავშირს შეაწყვეტინებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ეს გზა ძალიან გრძელი და მტკივნეული იქნება.

მეორე მხრივ, სოციალიზმი **უმუშათამოძრაობოდ,** რაც უნდა მეცნიერულ ნიადაგზე იყოს ის შემუშავებული, — მაინც ცალიერ ფრაზად დარჩება და მნიშვნელობას დაკარგავს. შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მოძრაობა ყველაფერია და სოციალიზმი — არაფერი? სულაც არა! ასე მარტო ძალად-მარქსისტები ლაპარაკობენ, რომელთათვისაც შეგნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რახან ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იბადება. სოციალიზმი შეიძლება მუშათა მოძრაობას შეუერთდეს და მით ცალიერი ფრაზიდან ბასრ იარაღად გადაიქცეს.

დასკვნა?

დასკვნა ასეთია, რომ მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი ერთმანეთს უნდა შეუერთდეს, პრაქტიკული მოქმედება და თეორიული აზრი ერთმანეთს უნდა ჩაეკონოს და მით მუშათა სტიქიურ მოძრაობას სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიეცეს, ვინაიდან «სოციალ-დემოკრატია — ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა»*. მაშინ სოციალიზმი, მუშათა მოძ-

* «Эрфуртская программа», ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, გვ. 94.

რაობასთან შეკავშირებული, ცალიერი ფრაზიდან უდიდეს ძალად გადაიქცევა მუშათა ხელში. მაშინ სტიქიური მოძრაობა, სოციალ-დემოკრატიულად გადაქცეული, უფრო ჩქარი ნაბიჯით და სწორი გზით გაემართება სოციალისტური წყობილებისკენ.

მაშ რა დანიშნულება აქვს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, რა ვაკეთოთ?

ჩვენი, სოციალ-დემოკრატიის, ვალია ტრედუნიონისტურ გზას ავაშოროთ და სოციალ-დემოკრატიულ გზაზე შევაყენოთ მუშათა სტიქიური მოძრაობა. ჩვენი ამოცანაა სოციალისტური შეგნება * შევიტანოთ ამ მოძრაობაში და შევაერთოთ მუშათა კლასის მოწინავე ძალები ერთ ცენტრალიზებულ პარტიად. ჩვენი ვალია — მუდამ წინ ვუძღოდეთ მოძრაობას და დაუღალავად ვებრძოლოთ ყველას, მტერი იქნება ის თუ «მოყვარე», ვინც კი ხელს შეგვიშლის ამ ამოცანების განხორციელებაში.

ასეთია საზოგადოდ პოზიცია «უმრავლესობისა».

ჩვენს «უმცირესობას» არ მოსწონს «უმრავლესობის» პოზიცია: ეს «არამარქსისტული» პოზიციაა, «ძირიანად ეწინააღმდეგება» მარქსიზმსო! მართლა, ღირსეულნო? მერე სად, როდის, რომელ პლანეტაზე? აბა წაიკითხეთ ჩვენი ნაწერები, თუ ტყუილიაო. კეთილი, წავიკითხოთ.

ჩვენს წინ ძევს სტატია «რა არის პარტია» (იხ. «მოგზაური» № 6). რაში ამტყუნებს «კრიტიკოსი» ანი პარტიულ «უმრავლესობას»? «ისინი («უმრავლესობა»)... თავის თავს აცხადებენ პარტიის უფროსათ... და თხოულობენ სხვების მორჩილებას... და რომ ეს თავისი ქცევა გაამართლონ, ხშირათ ახალ თეორიებსაც იგონებენ, როგორც მაგალ. მუშა-ხალხი თავისი ძალ-ღონით ვერ **შეითვისებს** (კურსივი ჩემია) მაღალ იდეალებსო» და სხვ.**

ახლა ვიკითხოთ, აქვს სადმე, ან ჰქონია როდისმე «უმრავლესო-

* რომელიც მარქსმა და ენგელსმა **შეიმუშავეს.**

** «მოგზაური» № 6, გვ. 71.

ბას» ასეთი «თეორიები»? არსად, არასოდეს! პირიქით, «უმრავლესობის» იდეური წარმომადგენელი ამხ. ლენინი ძალიან გარკვევით ლაპარაკობს, რომ მუშა ხალხი ძალიან ადვილად **ითვისებს** «მაღალ იდეალებს», ის ძალიან ადვილად **ითვისებს** სოციალიზმს. ყური დაუგდეთ:

«ხშირად ამბობენ, მუშათა კლასი **სტიქიურად** მიილტვის სოციალიზმისკენო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, თუ ისე გავიგებთ ამ აზრს, რომ სოციალისტური თეორია ყველაზე ღრმად და სისწორით არკვევს მუშათა კლასის სიღარიბის მიზეზებს, რის გამოც **მუშები ასე ადვილად ითვისებენ ამ (სოციალისტურ) თეორიას**».*

როგორც ხედავთ, «უმრავლესობის» აზრით, მუშები ადვილად ითვისებენ იმ «მაღალ იდეალებს», რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მაშ რას ახირებულა ანი, საიდან გამოატყვრინა ეს უცნაური «აღმოჩენა»? საქმე იმაშია, მკითხველო, რომ «კრიტიკოს» ანს სრულიად სხვა რამე ჰქონდა მხედველობაში, — მას უნდოდა «Что делать?»-ის იმ ადგილს შეხებოდა, სადაც ლენინი სოციალიზმის **შემუშავებაზე** ლაპარაკობს, სადაც ის ამბობს, რომ მუშათა კლასი თავისი ძალღონით **ვერ შეიმუშავებს** მეცნიერულ სოციალიზმსო**. მერე საიდან სადაო — იტყვით თქვენ — სად სოციალიზმის **შემუშავება** და სად მისი **შეთვისება?** ან რატომ დაავიწყდა ანს ლენინის ის სიტყვები, სადაც ის ასე გარკვევით ლაპარაკობს «მაღალი იდეალების» **შეთვისებაზე?** მართალს ამბობთ, მკითხველო, მაგრამ მაშ რა ქნას ანმა, თუ «კრიტიკოსობა» უნდა? ძალიან საგმირო საქმე კია, თუ თქვენც იტყვით, შეადგინო შენი საკუთარი «თეორია», დაარქვა მას შენი მოწინააღმდეგეების «თეორია» და მერე შენივე ფანტაზიის ნაყოფს შენვე ყუმბარები დაუშინო! კრიტიკაც ამასა ჰქვია! ყოველ

---

* ლენინი. «Что делать?», გვ. 29.

** იქვე, გვ. 20 — 21.

შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ანს «თავისი ძალღონით ვერ შეუთვისებია» ლენინის წიგნი «Что делать?».

გადავშალოთ ახლა ეგრეთწოდებული «სოციალ-დემოკრატი». რას ამბობს «უმრავლესობისა და უმცირესობის» ავტორი (იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 1)?

ის დიდი ფახიფუხით უკიჟინებს ლენინს, რომ მისი აზრით მუშათა მოძრაობის «ბუნებრივი (უნდა იყოს: «სტიქიური») განვითარება მიდის არა სოციალიზმისაკენ, არამედ ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ»*. როგორც სჩანს, ავტორს არ ესმის, რომ მუშათა **სტიქიური** მოძრაობა — ეს უსოციალიზმოდ მოძრაობაა (დაამტკიცოს ავტორმა, რომ ეს ასე არაა); **ასეთი** მოძრაობა კი უეჭველად ბურჟუაზიულ-ტრედუნიონისტურ იდეოლოგიას ემორჩილება და იქით მიილტვის, რადგანაც ჩვენს დროში მხოლოდ ორგვარი იდეოლოგია შეიძლება არსებობდეს — სოციალისტური და ბურჟუაზიული, და სადაც პირველი არაა, იქ უეჭველად მეორე ჩნდება და მის ადგილს იჭერს (დაამტკიცეთ წინააღმდეგი!). დიახ, სწორედ ამას ამბობს ლენინი. მაგრამ ამავე დროს მას არ ავიწყდება მუშათა მოძრაობის მეორე ლტოლვილება — სოციალიზმისკენ ლტოლვილება — რომელიც მხოლოდ დრომდე იჩრდილება ბურჟუაზიული იდეოლოგიისკენ ლტოლვილებით. ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ «მუშათა კლასი სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისკენ»** და სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიის ვალია დაეჩქაროს **ამ** ლტოლვილების გამარჯვება, სხვათა შორის, «ეკონომისტებთან» ბრძოლითაც. რატომ ლენინის ეს სიტყვები არ მოიყვანეთ თქვენს სტატიაში, პატივცემულო «კრიტიკოსო», განა ესეც ლენინის სიტყვები არ არის? არ გიჯობდათ, განა?

«ლენინის აზრით... მუშა თავისი **მდგომარეობით** (ხაზგასმა ჩემია) უფრო ბურჟუაა, ვინემ სოციალისტი***...» — განაგრ-

* «სოციალ-დემოკრატი» № 1, გვ. 14.

** ლენინი. «Что делать?», გვ. 29.

*** «სოციალ-დემოკრატი» № 1, გვ. 14.

ძობს ავტორი. აი სისულელე, რომელსაც ასეთი ავტორისგანაც კი არ ველოდი. განა ლენინს მუშათა **მდგომარეობაზე** აქვს ლაპარაკი, განა ის ამას ამბობს, რომ მუშა თავისი **მდგომარეობით** ბურჟუა უფროაო? რომელი სულელი იტყვის, რომ მუშა თავისი **მდგომარეობით** ბურჟუააო, ის მუშა, რომელიც მოკლებულია საწარმოო იარაღებს და სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს? არა! ლენინი სულ სხვა რამეს ამბობს. საქმე იმაშია, რომ მე შეიძლება ვიყო პროლეტარი და არა ბურჟუა **მდგომარეობით,** მაგრამ ჩემი **მდგომარეობა** შეგნებული არ მქონდეს და ამიტომ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ვემორჩილებოდე. სწორედ ასეა მუშათა კლასის საქმეც ამ შემთხვევაში. ეს კი სულ სხვა რამეს ნიშნავს.

საერთოდ, ავტორს სიტყვების სხარტად წამოსროლა უყვარს, იტყვის და აღარ გაზომავს! აი, მაგალითად, ავტორი ახირებულა, რომ «ლენინიზმი ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმსო»* ახირებულა და არ ესმის, თუ სადამდე მიიყვანს მას ეს «აზრი» დავუჯეროთ ერთ წამს, რომ ლენინიზმი მართლა «ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმს». მერე? რა გამოვა აქედან? აი რა. «ისკრა» (ძველი «ისკრა») «ლენინიზმმა გაიტაცა» (ამას არც ავტორი უარყოფს), — მაშასადამე, «ისკრაც» «ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმს». პარტიის მეორე ყრილობამ პარტიის ცენტრალურ ორგანოდ მიიღო «ისკრა» 35 ხმის უმეტესობით და დიდი ქება შეასხა მას**. მაშასადამე, ეს ყრილობაც «ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმს», მისი პროგრამაც, მისი ტაქტიკაც... სასაცილოა, არა, მკითხველო?

ავტორი მაინც განაგრძობს: «ლენინის აზრით მუშათა სტიქიური მოძრაობა მიდის ბურჟუაზიასთან შეერთებისაკენ»... დიახ, დიახ, ავტორი უეჭველად სისულელესთან შეერთებისკენ მიდის და კარგი იქნებოდა, რომ ამ გზას აუხვევდეს.

---

* «სოციალ-დემოკრატი» № 1, გვ. 15.

** იხ. Протоколы II съезда партии, გვ. 147. იქვეა რეზოლუცია, სადაც «ისკრას» სოციალ-დემოკრატიზმის პრინციპების ნამდვილ დამცველს უწოდებენ.

მაგრამ გავანებოთ თავი «კრიტიკოსს». მივმართოთ მარქსიზმს.

პატივცემული «კრიტიკოსი» ახირებულა, რომ «უმრავლესობის» და მისი წარმომადგენლის — ლენინის პოზიცია ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმს: კაუცკიც, მარქსიც და ენგელსიც წინააღმდეგს ლაპარაკობენო! მართლა? ვნახოთ აბა!

«კ. კაუცკი — გვეუბნება ავტორი—თავის «ერფურტის პროგრამაში» სწერს: «პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესები იმდენათ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, რომ შეუძლებელია ორივე კლასის მიდრეკილება დიდი ხნით შეერთდეს. ყოველგან, სადაც კაპიტალისტური წარმოება დამკვიდრდა, მუშათა კლასის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, **ადრე თუ გვიან** მიიყვანს იქამდი, რომ ის... გამოეყოფა ბურჟუაზიულ პარტიებს და დააარსებს დამოუკიდებელ **მუშათა პარტიას**»»...

მერე, რა გამოდის აქედან? მხოლოდ ის, რომ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რომ «ადრე თუ გვიან» პროლეტარიატი გამოეყოფა ბურჟუაზიას ცალკე **მუშათა პარტიად** (დაიხსომეთ, **მუშათა პარტიად** და არა **სოციალ-დემოკრატიულ** მუშათა პარტიად). ავტორს ჰგონია, რომ კაუცკი ლენინს ეწინააღმდეგება! ლენინი კი ამბობს, პროლეტარიატი **ადრე თუ გვიან** არამც თუ გამოეყოფა ბურჟუაზიას, არამედ სოციალურ რევოლუციასაც მოახდენს, ე. ი. ძირს დასცემს ბურჟუაზიას*. სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — დასძენს ის — ეცადოს, რაც შეიძლება **ადრე** მოხდეს ეს მოვლენა და **შეგნებულად** მოხდეს. დიახ, **შეგნებულად** და არა სტიქიურად, რადგანაც სწორედ ამ შეგნებაზე სწერს ლენინი.

«...სადაც საქმე მუშათა პარტიის დაარსებამდე მივიდა, — განაგრძობს კაუცკის წიგნიდან ამოწერას ჩვენი «კრიტიკოსი», — უკანასკნელი... ადრე თუ გვიან ბუნებრივი აუცილებლობით **შეითვისებს** სოციალისტურ მისწრაფებებს (თუ კი მით თავიდანვე არ სულდგმულობს), იძულებული იქნება

* იხ. ლენინი. «Шаг вперед, два шага назад», გვ. 53.

სოციალისტურ მუშათა პარტიათ იქცეს, ე. ი. **სოციალდემოკრატიათ»** *.

რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ მუშათა პარტია **შეითვისებს** სოციალისტურ მიდრეკილებებს. მერე, ეწინააღმდეგება ამას ლენინი? არასოდეს! ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ მარტო მუშათა პარტია კი არა, მთელი «მუშათა კლასი ითვისებს სოციალიზმსო»**. მაშ რას მიედმოედება ეს «სოციალდემოკრატი» და მისი ჰორიკანა გმირი? რატომ ასე აბდაუბდას ლაპარაკობენ? ვერა სთქვი მაგის ადგილსაო, რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ისე მოსდის გზააბნეულ ავტორს...

როგორც ხედავთ, კ. კაუცკი იოტის ოდენასაც არაფერს ამბობს ლენინის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, ყოველივე ეს შესანიშნავი სისწორით ამტკიცებს ავტორის გაუგებლობას.

ამბობს რამეს კ. კაუცკი «უმრავლესობის» პოზიციის სასარგებლოდ? აი რასა სწერს ის ერთ თავის შესანიშნავ წერილში, სადაც ის ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამის პროექტს არჩევს:

> «ზოგიერთ რევიზიონისტ კრიტიკოსს (ბერნშტეინის მიმდევრებია) ჰგონია, ვითომ, მარქსის აზრით, ეკონომიური განვითარება და კლასთა ბრძოლა ქმნის არა მარტო პირობებს სოციალისტური წარმოებისას, არამედ თავისთავად ბადებს მისი აუცილებლობის **შეგნებასაც** (ხაზგასმა კაუცკისაა). და აი, ეს კრიტიკოსები გაიძახიან, რომ ინგლისში უმაღლეს საფეხურამდეა ასული კაპიტალისტური წარმოება და ასეთი შეგნება კი ჯერაც არ არის იქაო. (ავსტრიის) პროგრამის პროექტს თუ გავყვებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კომისიაც (რომელმაც ეს პროექტი შეიმუშავა) ამ აზრისაა. პროექტში ვკითხულობთ: «რაც უფრო ამრავლებს კაპიტალისტური განვითარება პროლეტარიატს, იგი მით უფრო იძულებული ხდება და საშუალებას პოუ-

* «სოციალ-დემოკრატი» № 1, გვ. 15.

** ლენინი. «Что делать?», გვ. 29.

ლობს კაპიტალიზმს ებრძოლოს. პროლეტარიატი **იგნებს** სოციალიზმის შესაძლებლობას და აუცილებლობასო. თუ ასე შევხედავთ საქმეს, მაშინ სოციალისტური შეგნება აუცილებელი და პირდაპირი შედეგი იქნებოდა პროლეტარული კლასთა ბრძოლისა. ეს კი **სიმართლე არ არის...** თანამედროვე სოციალისტური შეგნება **მხოლოდ ღრმა მეცნიერული ცოდნის საფუძველზე** შეიძლება აღმოცენდეს... მეცნიერების მატარებელი კი **ბურჟუაზიული ინტელიგენციაა** (ხაზგასმა კაუცკისაა), და არა პროლეტარიატი. სწორედ ამ ინტელიგენციის ზოგიერთ წევრს **შეუმუშავდა** თავში თანამედროვე სოციალიზმი და ამათვე გადასცეს ის (მეცნიერული სოციალიზმი) გონება-განვითარებულ პროლეტარებს, რომლებსაც შემდეგ შეაქვთ იგი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში... ცხადია, სოციალისტური შეგნება **გარედანაა შეტანილი** პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში, და არა **ამ ბრძოლიდან** სტიქიურად **აღმოცენებული.** თანახმად ამისა ძველი ჰაინფელდის პროგრამა[34] **სრულიად სამართლიანად** ამბობდა, რომ სოციალ-დემოკრატიის მიზანია **შეიტანოს პროლეტარიატში შეგნება** მისი მდგომარეობისა და შეგნება მისი ამოცანებისა».*

არ გაგონდებათ, მკითხველო, ლენინის ანალოგიური აზრები ამ საკითხში, არ გაგონდებათ «უმრავლესობის» ცნობილი პოზიცია? რატომ დააფარა ხელი სიმართლეს «თბილისის კომიტეტმა» და მისმა «სოციალ-დემოკრატმა», რატომ არ მოიყვანა კაუცკის ეს სიტყვები პატივცემულმა «კრიტიკოსმა» თავის წერილში, როცა კაუცკიზე ლაპარაკობდა? ვის ატყუებენ ეს ღირსეულნი, რატომ ასე «აბუჩად იღებენ» მკითხველს? იმიტომ ხომ არა, რომ... სიმართლისა ეშინიათ, სიმართლეს ემალებიან და ჰგონიათ, რომ სიმართლეც დაიმალება? ესენი იმ ფრინველს ემს-

* «Neue Zeit», 1901 — 1902, XX, № 3, გვ. 79. ეს შესანიშნავი წერილი კ. კაუცკისა გადმობეჭდილია ლენინის «Что делать?»-ში, იხ. გვ. 27.

გავსებიან, რომელიც თავს ფრთებში ამოიდებს ხოლმე და ჰგონია, ვეღარც სხვა მხედავსო! მაგრამ სცდებიან ისევე, როგორც ის ფრინველი.

თუ სოციალისტური შეგნება მეცნიერების ნიადაგზე შემუშავდა, თუ ეს შეგნება, სოციალ-დემოკრატიის* მეცადინეობით, გარედან შედის მუშათა მოძრაობაში, ცხადია, ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ მუშათა კლასს, სანამ ის მუშათა კლასად რჩება, არ ძალუძს სათავეში ჩაუდგეს მეცნიერებას და საკუთარი ძალღონით შეიმუშაოს მეცნიერული სოციალიზმი: მას ამისთვის არც დრო აქვს და არც საშუალება.

აი რას ამბობს თავის «ერფურტის პროგრამაში» კ. კაუცკი: «...უკეთეს შემთხვევაში, პროლეტარს შეუძლია შეითვისოს და საჭიროებისთვის გამოიყენოს ნაწილი იმ ცოდნისა, რომელიც ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა შეიმუშავეს, მაგრამ სანამ ის პროლეტარად დარჩება, მას არა აქვს არც დრო და არც საშუალება, რომ დამოუკიდებლად განავითაროს მეცნიერება და გადააცილოს იმ საზღვარს, სადამდეც იგი ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა განავითარეს. სწორედ ამიტომაა, რომ მუშის საკუთარ სოციალიზმს უტოპიზმის ყველა ნიშნობლივი თვისება უნდა ჰქონოდა»** (უტოპიზმი შემცდარი და არა მეცნიერული მოძღვრებაა).

ამგვარი უტოპიური სოციალიზმი ხშირად ანარქისტულ ხასიათს იღებსო — განაგრძობს კაუცკი, — ხოლო «... ჩვენ ვიცით, რომ ყველგან, სადაც კი ეს ანარქისტული მოძრაობა (ე. ი. პროლეტარული უტოპიზმი. კ. კ ა უ ც კ ი) ფეხს იკიდებდა მასაში და კლასობრივ ხასიათს იღებდა — ადრე თუ გვიან, ვიწრო, **წმინდა პროფესიულ მოძრაობად** იქცეოდა, მიუხედავად მისი გარეგნული რადიკალიზმისა»***.

---

* და არა მარტო სოციალ-დემოკრატი ინტელიგენტების მეცადინეობით.

** «Эрфуртская программа», გვ. 93, გამოცემა ცენტრალური კომიტეტისა.

*** იქვე, გვ. 94.

სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ მუშათა მოძრაობა მეცნიერულ სოციალიზმთან არაა შეერთებული, ის აუცილებლად წვრილმანდება, «ვიწრო პროფესიულ» ხასიათს იღებს და, მაშასადამე, ტრედუნიონისტურ იდეოლოგიას ემორჩილებაო.

«ეს მუშების დამცირებაა, ეს ინტელიგენციის გამეფებაა!» — გაჰკივის ჩვენი «კრიტიკოსი» და მისი «სოციალ-დემოკრატი»... საწყალი «კრიტიკოსი», საცოდავი «სოციალ-დემოკრატი»! პროლეტარიატი იმათ უხასიათო «ბარიშნა» ჰგონიათ, რომელსაც სიმართლეს ვერ ეტყვი, რომელსაც მუდამ კომპლიმენტებს უნდა ეუბნებოდე, რომ არ გაგექცეს! არა, ღირსეულნო! ჩვენ გვწამს, რომ პროლეტარიატი მეტ სიმტკიცეს გამოიჩენს, ვიდრე თქვენ გგონიათ. ჩვენ გვწამს, რომ ის სიმართლეს არ დაემალება! თქვენ კი... თქვენ აბა რა უნდა გითხრათ: აი ახლაც დაემალეთ სიმართლეს და მკითხველს არ შეატყობინეთ თქვენს წერილში კაუცკის ნამდვილი შეხედულება...

ამგვარად, მეცნიერული სოციალიზმი **უმუშათამოძრაობოდ** ცალიერი სიტყვებია, რომელიც ყოველთვის შეგიძლია ქარს გაატანო.

მეორე მხრივ, მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოდ** ტრედუნიონისტური ხეტიალია, რომელიც ოდესმე, რა თქმა უნდა, სოციალურ რევოლუციასთან მიგიყვანს, მაგრამ დიდი წვალებით და გაჭირვებით.

დასკვნა?

«მუშათა მოძრაობა უნდა შეუერთდეს სოციალიზმს»: «სოციალ-დემოკრატია — ეს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებაა»*.

ამას ამბობს კაუცკი, მარქსიზმის თეორეტიკოსი.

ჩვენ ვნახეთ, რომ ამასვე ამბობს «ისკრა» (ძველი) და «უმრავლესობა».

ჩვენ ვნახეთ, რომ ამავე გზას ადგია ამხ. ლენინი.

---

* «Эрфуртская программа», გვ. 94.

მაშ ასე, «უმრავლესობა» მტკიცედ ადგია მარქსიზმის გზას. ცხადია, რომ ეს «მუშების აბუჩად აღება», «ინტელიგენციის გაბატონება», «უმრავლესობის არამარქსისტობა» და სხვა ამისთანა მარგალიტები, რომლებსაც ასე უხვად აბნევენ მენშევიკი «კრიტიკოსები», მხოლოდ სიტყვების რახარუხია, თბილისის «უმცირესობის» ფანტაზიაა.

პირიქით, ჩვენ დავინახავთ, რომ «მარქსიზმს მართლა ძირიანად ეწინააღმდეგება» თვითონ თბილისის «უმცირესობა», «თბილისის კომიტეტი» და მისი «სოციალ-დემოკრატი». მაგრამ ეს მერე. ჯერ კი ყურადღება მივაქციოთ შემდეგს.

თავისი აზრის გასათეთრებლად «უმრავლესობის თუ უმცირესობის» ავტორს მარქსის (?) სიტყვები მოჰყავს: «რომელიმე კლასის თეორეტიკი თეორეტიულათ მიდის იმ დასკვნამდის, **რომლისაკენაც თვითონ კლასი უკვე მივიდა პრაქტიკულათო**» *.

ორში ერთი. ან ქართული არ იცის ავტორმა, ანდა მბეჭდავის შეცდომაა: არც ერთი ქართველი არ იტყვის — «რომლის**კენაც** უკვე მივიდაო»; უნდა იყოს: ან «რომელ**თანაც** უკვე მივიდა», ანდა «რომლის**კენაც** უკვე წავიდა». თუ ავტორს უკანასკნელი გამოთქმა აქვს მხედველობაში (ე. ი. — რომლისკენაც უკვე წავიდა), უნდა შევნიშნო, რომ მას სწორად არ გადმოუღია მარქსის სიტყვები, მარქსი ასეთს არაფერს ამბობს. ხოლო თუ ავტორს პირველი გამოთქმა აქვს მხედველობაში, მაშინ მის მიერ მოყვანილი წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: «რომელიმე კლასის თეორეტიკი თეორეტიულათ მიდის იმ დასკვნამდის, **რომელთანაც** თვითონ კლასი **უკვე მივიდა პრაქტიკულათ**». ე. ი. თუ მარქსი და ენგელსი თეორიულად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმი უნდა დაინგრეს და სოციალიზმი აშენდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა **უკვე** უარყო **პრაქტიკულად** კაპიტალიზმი, უკვე დალეწა კაპიტალიზმი და ააშენა მის ადგილზე სოციალისტური ცხოვრება!

* «სოციალ-დემოკრატი» № 1, გვ. 15.

საწყალი მარქსი! ვინ იცის კიდევ რამდენ სისულელეს მიაწერენ ჩვენი ძალად-მარქსისტები!

მართლა ასე ლაპარაკობს მარქსი? აი ნამდვილად რას ამბობს ის: წვრილი ბურჟუაზიის თეორიული წარმომადგენლები **«თეორიულად იმავე ამოცანებამდე და გადაწყვეტილებებამდე მიდიან, რომლებისკენაც პრაქტიკულად მიდის წვრილი ბურჟუა** თავისი მატერიალური ინტერესებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო. ასეთია საერთოდ კლასის პოლიტიკურ და ლიტერატურულ წარმომადგენელთა დამოკიდებულება იმ კლასის მიმართ, რომელსაც ისინი წარმოადგენენ» *.

როგორც ხედავთ, მარქსი სულაც არ ამბობს «**უკვე მივიდაო**». ეს ფილოსოფიური სიტყვები პატივცემული «კრიტიკოსისგანაა» ჩამატებული.

ამ შემთხვევაში კი სრულიად სხვა აზრი ეძლევა მარქსის სიტყვებს.

რა აზრია გატარებული მარქსის მოყვანილ დებულებაში? მხოლოდ ის, რომ ამა თუ იმ კლასის თეორეტიკოსი **ვერ შექმნის** ისეთ იდეალს, რომლის ელემენტებიც ცხოვრებაში არ არსებობს, რომ მას შეუძლია **მხოლოდ შეამჩნიოს** მომავალი ცხოვრების ელემენტები და ამ ნიადაგზე თეორიულად **აღიშნოს** ის იდეალი, რომლისკენაც პრაქტიკულად მიდის ესა თუ ის კლასი. განსხვავება ისაა, რომ თეორეტიკოსი კლასს ასწრებს და იმაზე ადრე ამჩნევს მომავალი ცხოვრების ჩანასახს. ამას ჰქვია «თეორიულად მისვლა».

აი რას ამბობენ მარქსი და ენგელსი თავიანთ «მანიფესტში»:

«მაშასადამე, პრაქტიკულად კომუნისტები (ე. ი. სოციალ-დემოკრატები) წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე გამბედავ, მუდამ **წინ წამბიძგებელ** ნაწილს, ხოლო თეორიულად მათ ის უპირატესობა აქვთ პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით, რომ **ესმით** პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და **საერთო** შედეგები».

* თუ «18 Брюмера»[35] არ გეშოვებათ, იხილეთ «Протоколы II съезда партии», გვ. 111, სადაც მარქსის ეს სიტყვებია მოყვანილი.

დიახ, იდეოლოგები «**ბიძგს აძლევენ წინმსვლელობას**», ისინი უფრო შორს იხედებიან, ვიდრე «პროლეტარიატის დანარჩენი მასა», და საქმის არსი სულ ესაა. იდეოლოგები ბიძგს აძლევენ წინმსვლელობას, და სწორედ ამიტომაა, რომ იდეას, სოციალისტურ შეგნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობისთვის.

ამას უკიჟინებთ «უმრავლესობას», ღირსეულო «კრიტიკოსო»? მაშ გამოემშვიდობეთ მარქსიზმს და იცოდეთ, რომ «უმრავლესობა» ამაყობს თავისი მარქსისტული პოზიციით.

«უმრავლესობის» მდგომარეობა ამ შემთხვევაში ძალიან გვაგონებს ენგელსის მდგომარეობას ოთხმოცდაათიან წლებში.

იდეა საზოგადოებრივი ცხოვრების დასაბამიაო, ამტკიცებდნენ იდეალისტები. მათი აზრით, საზოგადოებრივი შეგნება ის საძირკველია, რომელზედაც შენდება საზოგადოების ცხოვრება. ამიტომ ერქვათ იმათ იდეალისტები.

საჭირო იყო დამტკიცებულიყო, რომ იდეა ზეციდან არ ვარდება, რომ ის ცხოვრების ღვიძლი შვილია.

გამოვიდნენ ისტორიის სარბიელზე მარქსი და ენგელსი და შესანიშნავად შეასრულეს ეს როლი. საზოგადოებრივი ცხოვრება იდეის დასაბამია, ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრება ის საძირკველია, რომელზედაც შენდება საზოგადოებრივი შეგნებაო, დაამტკიცეს მათ. ამით მათ სამარე გაუთხარეს იდეალიზმს და გზა გაუკაფეს მატერიალიზმს.

ზოგიერთმა ნახევრად-მარქსისტმა ეს ისე გაიგო, რომ იდეას, შეგნებას ძალიან მცირე მნიშვნელობა ჰქონია ცხოვრებაშიო.

საჭირო იყო დამტკიცებულიყო იდეის დიდი მნიშვნელობა.

და აი გამოვიდა ენგელსი და თავის წერილებში (1891—94 წლები) აღნიშნა, რომ მართალია იდეა ზეციდან არ ვარდება, ის ცხოვრების ღვიძლი შვილია, მაგრამ რაკი ერთხელ დაიბადება, მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ის თავს უყრის ადამიანებს, აერთებს მათ და თავის დაღს ასვამს მის მშობელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, — იდეას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ მოძრაობაშიო.

«ეს მარქსიზმი არ არის, ეს მარქსიზმის ღალატიაო», — ასტეხეს ხმაური ბერნშტეინმა და სხვა მისთანებმა. მარქსისტებს ეცინებოდათ...

იყვნენ რუსეთში ნახევრად-მარქსისტები — «ეკონომისტები». ისინი ამტკიცებდნენ, რომ რახან იდეა საზოგადოებრივ ცხოვრებაში იბადება, ამიტომ სოციალისტურ შეგნებას მცირე მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობისთვისო.

საჭირო იყო დამტკიცებულიყო, რომ სოციალისტურ შეგნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობისთვის, რომ უამისოდ მოძრაობა ტრედუნიონისტური ხეტიალია, რომელსაც ოდესმე თუ დააღწევს თავს პროლეტარიატი და სოციალურ რევოლუციას მიადგება.

და აი გამოიცა «ისკრა», რომელმაც შესანიშნავად შეასრულა ეს როლი. დაიბეჭდა «Что делать?», რომელშიც ლენინი ხაზს უსვამს სოციალისტური შეგნების დიად მნიშვნელობას. შეიქმნა პარტიული «უმრავლესობა», რომელიც მტკიცედ დაადგა ამ გზას.

გამოსულან პაწაწა ბერნშტეინები და გაიძახიან: ეს «ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმსო»!

მერე, იცით, რა არის მარქსიზმი, პაწია «ეკონომისტებო»?

საკვირველია! — იტყვის მკითხველი. რაშია საქმე? — იკითხავს ის. მაშ რატომ დასწერა პლეხანოვმა თავისი კრიტიკული წერილი ლენინის წინააღმდეგ (იხ. ახალი «ისკრა» №№ 70, 71)? მაშ რად კიცხავს ის «უმრავლესობას»? განა თბილისელი ძალად-მარქსისტები და მათი «სოციალ-დემოკრატი» პლეხანოვის აზრებს არ იმეორებენ? დიახ, იმეორებენ, თუმც ისე ტლანქად, რომ შეგეზარებათ. დიახ, პლეხანოვმა დასწერა კრიტიკა. მაგრამ იცით, რაშია საქმე? პლეხანოვი არ ეწინააღმდეგება «უმრავლესობას» და ლენინს. და არა მარტო პლეხანოვი, არამედ მარტოვიც, ზასულიჩიც, აქსელროდიც. დიახ, იმ საკითხში, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, «უმცირესობის» ბელადები არ

ეწინააღმდეგებიან ძველ «ისკრას». ძველი «ისკრა» კი «უმრავლესობის» დროშაა. ნუ გაიკვირვებთ! აი ფაქტები.

ჩვენ ვიცნობთ ძველი «ისკრის» საპროგრამო წერილს (იხილე ზემოთ). ჩვენ ვიცით, რომ ამ წერილში სავსებით გამოიხატა «უმრავლესობის» პოზიცია. ვის ეკუთვნის ეს წერილი? «ისკრის» მაშინდელ რედაქციას. ვინ შედიოდა ამ რედაქციაში? ლენინი, პლეხანოვი, აქსელროდი, მარტოვი, ზასულიჩი და სტაროვერი. ამათგან დღეს მარტო ლენინი შედის «უმრავლესობაში», დანარჩენი ხუთი «უმცირესობას» ხელმძღვანელობს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია, «ისკრის» საპროგრამო წერილი მათი რედაქციითაა გამოსული და, მაშასადამე, ისინი არ უნდა ღალატობდნენ თავიანთ სიტყვას, მათ ალბათ სწამდათ, რასაც სწერდნენ.

მაგრამ თავი დავანებოთ, თუ გინდათ, «ისკრას».

აი რას სწერს მარტოვი:

«ამგვარად, სოციალიზმის იდეა ყველაზე პირველად მუშათა თავში კი არ აღმოცენდა, არამედ სწავლულთა კაბინეტში, რომელნიც ბურჟუაზიული წრიდან იყვნენ გამოსულნი» *.

აი კიდევ რას სწერს ვერა ზასულიჩი:

«მთელი პროლეტარიატის კლასობრივი ერთობის იდეაც კი არ არის ისეთი უბრალო რამ, რომ თავისთავად იბადებოდეს ყველა მუშის თავში... სოციალიზმი ხომ... სულაც არ იბადება «თავისთავად» მუშების თავში. სოციალისტური თეორია შეამზადა ცხოვრებისა და მეცნიერების მთელმა განვითარებამ... და შექმნა ამ მეცნიერებით შეიარაღებულმა გენიოსმა. მუშათა შორის სოციალიზმის გავრცელებაც თითქმის მთელ ევროპაში სოციალისტებმა დაიწყეს, უმაღლეს სასწავლებელში რომ ჰქონდათ მიღებული სწავლა-განათლება» **.

ყური დავუგდოთ ახლა პლეხანოვს, რომელმაც ასეთი ამბითა და ზეიმით გაილაშქრა ლენინის წინააღმდეგ ახალ «ისკრა-

---

* მარტოვი. «Красное Знамя», გვ. 3.

** «Заря»[30] № 4, გვ. 79 — 80.

ში» (№№ 70,71). ეს ხდება პარტიის მეორე ყრილობაზე. პლეხანოვი ეკამათება მარტინოვს და იცავს ლენინს. ის საყვედურს ეუბნება მარტინოვს, რომელიც ლენინის წიგნის ერთ ადგილს ჩაბღაუჭებია და მთელ წიგნს «Что делать?» ყურადღებას არ აქცევს, და განაგრძობს:

«ამხ. მარტინოვის საქციელი ერთ ცენზორს მაგონებს, რომელსაც თურმე უთქვამს: «მომეცით «მამაო ჩვენო», ნება დამრთეთ ერთი ადგილი ამოვგლიჯო იქიდან, და მე დავამტკიცებ, რომ მისი შემდგენი ჩამოსახრჩობიაო». მაგრამ მარტინოვისა და სხვა მრავალი ამხანაგის საყვედური ამ (ლენინის) ფრაზის გამო გაუგებრობაზეა აშენებული. ამხ. მარტინოვს ენგელსის სიტყვები მოჰყავს: «თანამედროვე სოციალიზმი თეორიული გამოხატულებაა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა». ამხ. ლენინიც ეთანხმება ენგელსის ამ აზრს... მაგრამ ენგელსის სიტყვები ხომ ზოგადი დებულებაა. საქმე ისაა, თუ ყველაზე უწინ ვინ აძლევს ფორმას ამ თეორიულ გამოთქმას. ლენინი ისტორიის ფილოსოფიის ტრაქტატს კი არ სწერდა, არამედ პოლემიკურ სტატიას ეკონომისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამბობდნენ: ჩვენ უნდა ველოდოთ, სად მივა მუშათა კლასი «რევოლუციური ბაცილის» დაუხმარებლად (ე. ი. უსოციალ-დემოკრატიოდ). უკანასკნელს უკრძალავდნენ ისინი მუშებთან ლაპარაკს, რადგანაც ის «რევოლუციური ბაცილაა», ე. ი. რადგანაც მას თეორიული შეგნება აქვს. მაგრამ თუ ამ «ბაცილას» მოაცილებთ, მაშინ შეუგნებელი მასა დარჩება, რომელშიც გარედან უნდა იქნას შეტანილი შეგნება. თქვენ რომ სამართლიანად მოქცეოდით ლენინს და თავიდან ბოლომდე ყურადღებით წაგეკითხათ ლენინის წიგნი, დაინახავდით, რომ ლენინი სწორედ ამას ამბობს» *.

ამას ამბობდა პლეხანოვი პარტიის მეორე ყრილობაზე.

და აი, იგივე პლეხანოვი, იმავე მარტოვის, აქსელროდის, ზასულიჩის, სტაროვერისა და სხვების წაქეზებით, რამდენიმე

* «Протоколы II съезда партии», გვ. 123.

თვის შემდეგ გამოსულა, ჩაბღაუჭებია ლენინის წიგნის სწორედ იმ ფრაზას, რომელსაც ყრილობაზე **იცავდა**, და აცხადებს: ლენინი და «უმრავლესობა» მარქსისტები არ არიანო. მან იცის, რომ «მამაო ჩვენოდანაც» რომ ამოგლიჯო ერთი ადგილი და ცალკე გაარჩიო, შეიძლება მის ავტორს სახრჩობელა ეწიოს, როგორც ღვთის უარმყოფელს, რომ ეს უსამართლობა იქნებოდა, რომ მიუდგომელი კრიტიკოსი ასე არ მოიქცევა, მაგრამ ის მაინც გლეჯს ერთ ადგილს ლენინის წიგნიდან, ის მაინც უსამართლოდ იქცევა და საქვეყნოდ თავს ირცხვენს. მარტოვი, ზასულიჩი, აქსელროდი და სტაროვერი კი კვერს უკრავენ მას, თავიანთი რედაქტორობით ახალ «ისკრაში» უშვებენ (№№ 70—71) პლეხანოვის წერილს და მით ერთხელ კიდევ ილანძღავენ თავს.

რატომ მოხდა ეს უხასიათობა, რატომ შეირცხვინეს თავი «უმცირესობის» ამ ბელადებმა, რატომ უარყვეს მათგანვე დაწერილი «ისკრის» საპროგრამო წერილი, რატომ უარყვეს მათგანვე წარმოთქმული სიტყვები, მომხდარა სადმე ასეთი სიყალბე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში?

განა რა მოხდა ისეთი იმ რამდენიმე თვეში, რომელმაც მეორე ყრილობიდან პლეხანოვის წერილის გამოქვეყნებამდე გაიარა?

საქმე აი რაშია. ექვსი რედაქტორიდან მეორე ყრილობამ მარტო სამი-ღა აირჩია «ისკრის» რედაქტორებად: პლეხანოვი, ლენინი და მარტოვი. აქსელროდს, სტაროვერს და ზასულიჩს კი მან სხვა ადგილები მიუჩინა. ყრილობას, რა თქმა უნდა, ამის უფლება ჰქონდა და მის წინ ყველას უნდა მოეხარა ქედი: ყრილობა პარტიის სურვილების გამომხატველია, ის პარტიის უმაღლესი ორგანოა, და ვინც მისი გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიდის, ის ფეხქვეშ სთელავს პარტიის ნებას.

მაგრამ ეს ახირებული რედაქტორები არ დაემორჩილნენ პარტიის ნებას, პარტიულ დისციპლინას (პარტიული დისციპლინა იგივე პარტიის ნებაა). თურმე პარტიული დისციპლინა

ჩვენისთანა უბრალო მუშაკებისთვის ყოფილა გამოგონილი! ისინი გაუწყრნენ ყრილობას — რატომ რედაქტორებად არ აგვირჩიეთო, გადგნენ განზე, გაიყოლიეს მარტოვი და შეადგინეს ოპოზიცია. მათ გაფიცვა გამოუცხადეს პარტიას, ხელი აიღეს პარტიულ მუშაობაზე და მუქარით უთხრეს პარტიას: აგვირჩიეთ რედაქციაში, ცენტრალურ კომიტეტში, პარტიის საბჭოში, თორემ განხეთქილებას მოვახდენთო. და დაიწყო განხეთქილება. ამით მათ ერთხელ კიდევ გადაქელეს პარტიის ნება.

აი გაფიცული რედაქტორების მოთხოვნები:

«აღადგინეთ «ისკრის» ძველი რედაქცია (ე. ი. **სამი ადგილი** მოგვეცით **რედაქციაშიო**).

ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანეთ განსაზღვრული რიცხვი ოპოზიციის (ე. ი. «უმცირესობის») წევრებისა.

პარტიის საბჭოში **ორი ადგილი** მიეცით ოპოზიციის წარმომადგენლებს და სხვა...

ჩვენ ვაყენებთ ამ **მოთხოვნებს,** როგორც ერთადერთ პირობას, რომელსაც შეუძლია **ააცილოს** პარტიას კონფლიქტი, რაც პარტიის თვით არსებობას ემუქრება» (ე. ი. დაგვაკმაყოფილეთ, თორემ დიდ განხეთქილებას მოვახდენთ პარტიაშიო) *.

რა უპასუხა პარტიამ?

პარტიის წარმომადგენელმა, ცენტრალურმა კომიტეტმა და სხვა ამხანაგებმა უთხრეს მათ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია პარტიული ყრილობის წინააღმდეგ წავიდეთ, არჩევა ყრილობის საქმეა, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით მორიგება და მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ, ეს კია, რომ სირცხვილია **ადგილებისთვის** ბრძოლა, თქვენ **ადგილების გულისთვის** გინდათ პარტიაში განხეთქილება ჩამოაგდოთო და სხვა.

გაფიცულმა რედაქტორებმა იწყინეს, მათ შერცხვათ — მართლაც ადგილებისთვის ბრძოლა გამოდიოდა, — მიიმხრეს პლე-

* Комментарий к протоколам Лиги, გვ. 26.

ხანოვი* და დაიწყეს თავიანთი საგმირო საქმე. მათ უნდა **გამოეძებნათ** რაიმე **«მაგარი» «უთანხმოება»** «უმრავლესობასა» და «უმცირესობას» შორის და მით დაემტკიცებინათ, რომ ადგილებისთვის არ იბრძვიან. ეძებეს, ეძებეს და იპოვეს ისეთი ადგილი ლენინის წიგნში, რომელსაც, თუ ამოგლეჯ და ცალკე განიხილავ, შეიძლება მართლა ხელი ჩასჭიდო. ეს კაი აზრია, — იფიქრეს «უმცირესობის» ბელადებმა, — ლენინი «უმრავლესობის» წინამძღოლია, გავაშავოთ ლენინი და მით პარტიას ჩვენსკენ გადმოვიყვანთო. და დაიწყო პლეხანოვის ლათაიები — «ლენინი და მისი მიმდევრები მარქსისტები არ არიანო». მართალია, გუშინ-გუშინწინ სწორედ იმ აზრს იცავდნენ ლენინის წიგნიდან, რომლის წინააღმდეგ დღეს გამოილაშქრეს, მაგრამ

* მკითხველმა შეიძლება იკითხოს, როგორ მოხდა, რომ პლეხანოვი «უმცირესობისკენ» გადავიდა, ის პლეხანოვი, რომელიც უკიდურესი მომხრე იყო «უმრავლესობისა». საქმე ისაა, რომ პლეხანოვსა და ლენინს შორის უთანხმოება დაიბადა. როცა «უმცირესობა» გამძვინვარდა და გაფიცვა გამოაცხადა, პლეხანოვი იმ აზრს დაადგა, რომ სრული დათმობაა აუცილებელიო. ლენინი არ დაეთანხმა მას. პლეხანოვი თანდათან «უმცირესობისკენ» გადაიხარა. უთანხმოება უფრო გაიზარდა მათ შორის და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს პლეხანოვი ლენინისა და «უმრავლესობის» მოპირდაპირედ გადაიქცა. აი რასა სწერს ლენინი ამის შესახებ:

«...რამდენიმე დღის შემდეგ მე და საბჭოს ერთი წევრი მართლაც შევედით პლეხანოვთან. ხოლო ჩვენმა ლაპარაკმა პლეხანოვთან ასეთი ხასიათი მიიღო:

— იცით, არიან ისეთი ჭირვეული ცოლები (ე. ი. «უმცირესობა»), რომლებსაც აუცილებლად უნდა დაუთმო, თუ ისტერიკისა და დიდი საჯარო სკანდალის აცილება გინდა თავიდან, — მითხრა პლეხანოვმა.

— შეიძლება, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ისე უნდა დაუთმო, რომ ძალა შეირჩინო, თორემ მოსალოდნელია უფრო დიდი სკანდალი დაგატყდეს თავს» (იხ. «Комментарий к протоколам Лиги», გვ. 37, სადაც მოყვანილია ლენინის წერილი)[37].

ლენინი და პლეხანოვი ვერ შეთანხმდნენ. აქედან დაიწყო პლეხანოვის «უმცირესობისკენ» გადასვლა.

ჩვენ გავიგეთ ნამდვილი წყაროებიდან, რომ პლეხანოვი «უმცირესობასაც» ანებებს თავს და უკვე დაუარსებია თავისი საკუთარი ორგანო «Дневник Социал-Демократа»[38].

რა ვუყოთ — ოპორტუნისტი იმის ოპორტუნისტია, რომ პრინციპულობა არ უყვარს.

აი ამიტომ შეირცხვინეს მათ თავი. აი სად იფარება სიყალბის დასაბამი.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

გავიდა რამდენიმე ხანი. ნახეს, რომ მათს აგიტაციას ლენინის და «უმრავლესობის» წინააღმდეგ ყური არავინ უგდო, ზოგიერთი გულუბრყვილოს გარდა, ნახეს, რომ «საქმე» ცუდად მიდის, — და გადაწყვიტეს ერთხელ კიდევ ეცვალათ ფერი. იმავე პლეხანოვმა, იმავე მარტოვმა და აქსელროდმა რეზოლუცია გამოიტანეს პარტიის საბჭოს სახელით 1905 წ. 10 მარტს, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

«ამხანაგებო! («უმრავლესობას» მიმართავენ)... ორივე მხარეს (ე. ი. «უმრავლესობასაც» და «უმცირესობასაც») არა ერთხელ და ორჯერ გამოგვითქვამს ის რწმენა, რომ ჩვენს შორის არსებული ტაქტიკური და ორგანიზაციული უთანხმოებანი ისეთი ხასიათის არაა, რომ ჩვენი ერთად მუშაობა შეუძლებელი გახადოს ერთ პარტიულ ორგანიზაციაში»*, ამიტომ მოვიწვიოთ საამხანაგო სასამართლო (ბებელისგან და სხვებისგან შემდგარი) და გადავჭრათ მცირე დავაო.

ერთი სიტყვით, მთელი პარტიული უთანხმოება კინკლაობა იყო, რომელსაც საამხანაგო სასამართლო გაარჩევს, და ჩვენ ერთნი ვართო.

მერე როგორ? ჩვენ, «არამარქსისტებს», პარტიულ ორგანიზაციებში გვეძახით, ერთნი ვართო და სხვა ამისთანები... რას ნიშნავს ეს? ეს ხომ პარტიის ღალატია თქვენგან, «უმცირესობის» ბელადებო! განა შეიძლება «არამარქსისტები» პარტიას სათავეში დაუყენო? რა უნდათ «არამარქსისტებს» სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში? ან იქნებ თქვენც უღალატეთ მარქსიზმს და იმიტომ შეიცვალეთ ფრონტი?

* «ისკრა» № 91, გვ. 3.

მაგრამ ტყუილად ეძებთ პასუხს! საქმე ისაა, რომ ამ შესანიშნავ ბელადებს რამდენიმე «პრინციპი» აქვთ ჯიბეში და როდესაც რა დასჭირდებათ, იმას ამოიღებენ, — ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!..

ასეთია ბელადები ეგრეთწოდებული «უმცირესობისა».

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნება ამისთანა ბელადების კუდი — თბილისის, ასე ვთქვათ, «უმცირესობა»... ხათაბალა ისაა, რომ ხანდახან კუდი თავს აღარ ეთანხმება და ურჩობას უწევს. აი, მაგალითად, მაშინ როდესაც «უმცირესობის» ბელადები შესაძლებლად სცნობენ შერიგებას და მშვიდობიანობისკენ მოუწოდებენ პარტიულ მუშაკებს, თბილისის «უმცირესობა» და მისი «სოციალ-დემოკრატი» ახირებულან: «უმრავლესობასა» და «უმცირესობას» შორის «სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა»* და ერთმანეთი უნდა ამოვხოცოთო! ერთი ალთას, მეორე ბალთას.

«უმცირესობა» გვიჩივის — ოპორტუნისტებს (უპრინციპოებს) ნუ გვეძახითო. მაშ რა დავარქვათ ამ თქმა-გადათქმას, წაჯექ-უკუჯექობას, ამ მუდმივ ტორტმანსა და რყევას, თუ არა ოპორტუნიზმი? შეიძლება ნამდვილი სოციალ-დემოკრატი ასე წაღმა-უკუღმა იცვლიდეს აზრებს? ასე ხომ ხელსახოცებსაც არ იცვლიან!

ჩვენი ძალად-მარქსისტები ახირებულან: «უმცირესობას» ნამდვილი პროლეტარული ხასიათი აქვსო. მართლა? ჩავუკვირდეთ აბა.

კაუცკი ამბობს, რომ «პროლეტარი ადვილად იმსჭვალება პარტიული პრინციპებით, ის მომხრეა მტკიცე პრინციპული პოლიტიკისა, რომელსაც ვერ არყევს წუთიერი გულისთქმა, პირადი თუ ადგილობრივი ინტერესები»**.

---

* იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 1.

** «Эрфуртская программа», გამოცემა ცენტრალური კომიტეტისა, გვ. 88.

«უმცირესობა»? ისიც ასეთი პოლიტიკის მომხრეა, რომელსაც ვერ არყევს წუთიერი გულისთქმა და სხვა? პირიქით: ის განუწყვეტლივ ირყევა, ის მუდმივ ტორტმანშია, მას სძაგს მტკიცე პრინციპული პოლიტიკა, ის უპრინციპობას ამჯობინებს, წუთიერ გულისთქმას მისდევს. ფაქტები უკვე ვიცით.

კაუცკი ამბობს, რომ პროლეტარს პარტიული დისციპლინა უყვარსო: «პროლეტარი არაფერია, სანამ ის განცალკევებულია. მთელ თავის სიძლიერეს, პროგრესისკენ მამოძრავებელ მთელ თავის უნარს, მთელ თავის იმედებსა და მისწრაფებას იგი **ორგანიზაციაში** პოულობს...» სწორედ ამიტომაა, რომ მას არ იტაცებს პირადი სარგებლობა, საკუთარი სახელი, ის «ასრულებს თავის მოვალეობას ყველა პოსტზე, სადაც კი დააყენებენ, ის თავისი ნებით ემორჩილება დისციპლინას, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მისი გრძნობა, მთელი მისი აზროვნება»*.

«უმცირესობა»? ისიც ასე გამსჭვალულია დისციპლინით? პირიქით: მას სძაგს პარტიული დისციპლინა, ის სასაცილოდ იღებს მას**. პირველი მაგალითი პარტიული დისციპლინის დარღვევისა «უმცირესობის» ბელადებს ეკუთვნის. მოიგონეთ აქსელროდი, ზასულიჩი, სტაროვერი, მარტოვი და სხვები, რომლებიც არ დაემორჩილნენ მეორე ყრილობის გადაწყვეტილებას.

«სულ სხვანაირადაა ინტელიგენტის საქმე», — განაგრძობს კაუცკი, — ის დიდი გაჭირვებით ემორჩილება პარტიულ დისციპლინას, ისიც ძალაუნებურად, და არა თავისი ნებით. «დისციპლინის საჭიროებას ის მარტო მასისთვის აღიარებს და არა რჩეული პირებისთვის. თავისი თავი კი, რა თქმა უნდა, რჩეული პირი ჰგონია... იდეალური მაგალითი ისეთი ინტელიგენტისა, რომელიც ერთიანად გაიმსჭვალა პროლე-

---

* იხ. ლენინი. «Шаг вперед, два шага назад», გვ. 93, სადაც მოყვანილია კაუცკის ეს სიტყვები.

** იხ. Протоколы Лиги.

ტარული გულისთქმით, რომელიც... იმუშავებდა ყველა პოსტზე, სადაც კი მას დააყენებდნენ, ხელაღებით უმორჩილებდა თავის «მე»-ს ჩვენს დიად საქმეს და ეზიზღებოდა ის ლაჩრული წუწუნი, რომელსაც ხშირად ინტელიგენტები ასტეხენ ხოლმე... როცა ისინი უმცირესობაში რჩებიან, — იდეალური მაგალითი ასეთი ინტელიგენტისა... ლიბკნეხტი იყო. შეიძლება აგრეთვე მარქსი დავასახელოთ, რომელიც არასოდეს არ ცდილობდა პირველი ადგილი დაეჭირა და სამაგალითოდ ემორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას ინტერნაციონალში, სადაც ის რამდენჯერმე დარჩა უმცირესობაში» *.

«უმცირესობა»? შეეტყო მას რაშიმე «პროლეტარული გულისთქმა»? წააგავს მისი ყოფაქცევა ლიბკნეხტისა და მარქსის ყოფაქცევას? პირიქით: ჩვენ ვნახეთ, რომ «უმცირესობის» ბელადებმა არ დაუმორჩილეს თავიანთი «მე» ჩვენს წმინდა საქმეს, ჩვენ ვნახეთ, რომ სწორედ ამ ბელადებმა მოართეს «ლაჩრული წუწუნი, როცა უმცირესობაში დარჩნენ» მეორე ყრილობაზე, ჩვენ ვნახეთ, რომ სწორედ ისინი ტიროდნენ «პირველი ადგილებისთვის» ყრილობის შემდეგ, და სწორედ ამ ადგილებისთვის ასტეხეს მათ პარტიული განხეთქილება...

ესაა თქვენი «პროლეტარული ხასიათი», ღირსეულო «მეუმცირესეებო»?

მაშ ჩვენს მხარეზე რად არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში?— გვეკითხებიან «მეუმცირესეები».

დიახ, მართლა «უმცირესობის» მხარეზე არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში, მაგრამ ეს არაფერსაც არ ამტკიცებს. რევიზიონისტების (ოპორტუნისტებია გერმანიაში) მხარეზედაც არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია პროლეტარულია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპორტუნისტები არ არიან. ერთხელ ყვავმაც

* იხ. ლენინი. «Шаг вперед, два шага назад», გვ. 93, სადაც მოყვანილია კაუცკის ეს სტრიქონები.

იშოვა ვარდი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტყუილად კი არაა ნათქვამი:

რა ყვავი ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია.

*
* *

ახლა ცხადია, თუ **რა ნიადაგზე** აღმოცენდა პარტიული უთანხმოება. როგორც ხედავთ, ჩვენს პარტიაში ორგვარი მიდრეკილება გამოირკვა: მიდრეკილება **პროლეტარული სიმტკიცისა** და მიდრეკილება **ინტელიგენტური რყევისა.** და აი, ამ ინტელიგენტური რყევის გამოხატულებაა დღევანდელი «უმცირესობა». ამ «უმცირესობის» მორჩილია თბილისის «კომიტეტი» და მისი «სოციალ-დემოკრატი»!

ამაშია საქმის თავი და ბოლო.

მართალია, ჩვენი ძალად-მარქსისტები ძალიან ხშირად ყვირიან «ინტელიგენტური ფსიქოლოგიის» წინააღმდეგ, ამავე დროს ისინი ცდილობენ «უმრავლესობას» დააბრალონ «ინტელიგენტური რყევა», მაგრამ ეს იმას ჰგავს, ქურდმა რომ თავის ამხანაგებს ფული მოპარა და მერე თვითონვე შექნა ღრიალი: რა უნამუსობაა, ფული რად მომპარეთო!

გარდა ამისა, მოგეხსენებათ: ვისაც რა სტკივა, იმაზე ყვირის.

იბეჭდება რსდმპ კავკასიის
კავშირის კომიტეტის მიერ
1905 წლის მაისში გამოცემული
ბროშურის ტექსტის მიხედვით.

შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა

რევოლუციურმა მოძრაობამ «დღეს უკვე აუცილებელი გახადა შეიარაღებული აჯანყება» — ეს აზრი, ჩვენი პარტიის მესამე ყრილობის მიერ გამოთქმული, თანდათან მართლდება. რევოლუციის ალი უფრო და უფრო ძლიერდება და ხან აქ, ხან იქ ადგილობრივ აჯანყებას იწვევს. ლოძში სამი დღე ბარიკადები და ქუჩებში ბრძოლა, ივანოვო-ვოზნესენსკში ბევრი ათეული ათასი მუშის გაფიცვები აუცილებელი სისხლისმღვრელი შეტაკებით ჯართან, ოდესაში აჯანყება, შავი ზღვის ფლოტისა და ლიბავის ფლოტის მოსამსახურეთა «ბუნტი», თბილისის ერთი «კვირა» — ყოველივე ეს წინასწარი ნიშნებია მოახლოებული ჰექა-ქუხილისა. ეს ჰექა-ქუხილი ახლოვდება, შეუჩერებლივ ახლოვდება, და დღეს იქნება თუ ხვალ გადმოხეთქს რუსეთზე ყოვლად ძლიერ გამწმენდ ნიაღვრად, რომელიც ყოველივე დაძველებულს, მომპალს წალეკავს და რუსეთის ხალხს მორეცხავს მრავალ საუკუნეთა სირცხვილს, თვითმპყრობელობად წოდებულს. მეფობის უკანასკნელი სულთმობრძაობა — რეპრესიების გაძლიერება, ნახევარ სახელმწიფოში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება, სახრჩობელების გახშირება და, ამასთან ერთად, მაცდური სიტყვები ლიბერალობისადმი და ცრუ აღთქმანი რეფორმების შემოღებისა — მას ისტორიული ბედისწერისგან ვერ იხსნის. თვითმპყრობელობის დღენი დათვლილია, ჰექა-

ქუხილი აუცილებელია. ახალი წესწყობილება უკვე ისახება, ისახება და წინ ეგებება მას სალამი მთელი ხალხისა, რომელიც მისგან განახლებასა და აღორძინებას მოელის.

რა ახალ საკითხებს უყენებს ჩვენს პარტიას ეს მოახლოებული ჭექა-ქუხილი? რაგვარად უნდა შევუფეროთ ჩვენი ორგანიზაცია და ტაქტიკა ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს, რომ უფრო მეტი აქტიური და ორგანიზებული მონაწილეობა მივიღოთ აჯანყებაში, რომელიც ერთადერთი აუცილებელი დასაწყისია რევოლუციისა? აჯანყებას რომ მეთაურობა გავუწიოთ, ჩვენ, როგორც იმ კლასის მოწინავე რაზმმა, რომელიც არამც თუ მხოლოდ მოწინავეა, არამედ რევოლუციის მთავარი მომქმედია, სპეციალური აპარატი უნდა შევქმნათ, თუ საამისოდ საკმაოა პარტიის უკვე არსებული მექანიზმი?

რამდენიმე თვეა, რაც ეს საკითხები პარტიის წინაშე დგას და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. იმათთვის, ვინც «სტიქიის» წინაშე მუხლს იდრეკს, ვინც პარტიის მიზანს ცხოვრების უბრალო მიყოლამდე აქვეითებს, ვინც უკან მისჩანჩალებს ცხოვრებას და არა წინ მიუძღვის, როგორც ეს შეგნებულ მოწინავე რაზმს შეჰფერის, — ეს საკითხები არ არსებობს. ისინი ამბობენ: აჯანყება სტიქიურია, მისი მოწყობა-მომზადება შეუძლებელია, ყოველივე წინდაწინ შემუშავებული გეგმა მოქმედებისა უტოპიაა (ისინი ხომ ყოველგვარი გეგმის წინააღმდეგნი არიან,—აქ ხომ «შეგნებაა», და არა «სტიქიური მოვლენა»!), ტყუილუბრალოდ ძალღონის დაკარგვაა,—საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი გამოუცნობელი გზა-კვალი აქვს, იგი ყველა ჩვენს პროექტს გააქარწყლებს. ამიტომ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ აჯანყების იდეის, მასის «თვითშეიარაღების» იდეის პროპაგანდითა და აგიტაციით. ჩვენ მხოლოდ «პოლიტიკური ხელმძღვანელობა» უნდა გავწიოთ, «ტექნიკურად» კი აჯანყებულ ხალხს ხელმძღვანელობა იმან გაუწიოს, ვისაც უნდა.

მაგრამ, აქ «კუდა-ძუა პოლიტიკის მიმდევართ» მოწინააღმდეგენი უპასუხებენ: ამგვარ ხელმძღვანელობას ჩვენ ხომ აქამდეც

მუდამ ვეწეოდით! გასაგებია, რომ აუცილებლად საჭიროა ფართო აგიტაცია და პროპაგანდა, პროლეტარიატის პოლიტიკურად ხელმძღვანელობა. მაგრამ აქ ასეთი ზოგადი ამოცანებით დაკმაყოფილება ან იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ცხოვრების მიერ პირდაპირ დასმულ კითხვაზე პასუხს გავურბივართ, ანდა სრულ უნიჭობას ვიჩენთ იმაში, რომ საშინელი სისწრაფით მზარდი რევოლუციური ბრძოლის მოთხოვნილებებს შევუგუოთ ჩვენი ტაქტიკა. რასაკვირველია, ჩვენ ახლა უნდა გავაათკეცოთ პოლიტიკური აგიტაცია, უნდა ვეცადოთ ჩვენს გავლენას დავუმორჩილოთ არამც თუ პროლეტარიატი, არამედ «ხალხის» ის მრავალი ფენა, რომელიც რევოლუციას თანდათან ემხრობა, ჩვენ უნდა ვეცადოთ მოსახლეობის ყველა კლასში აჯანყების აუცილებლობის იდეას სახელი მოვუპოვოთ. მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავჯერდებით! პროლეტარიატმა რომ თავისი კლასობრივი ბრძოლის მიზნის მისაღწევად მომავალი რევოლუციით ისარგებლოს, ისეთი დემოკრატიული წესწყობილება რომ დაამყაროს, რომელიც შემდეგ ბრძოლას სოციალიზმისთვის ყველაზე მეტად უზრუნველყოფს, — ამისთვის საჭიროა არა მარტო ის, რომ ბრძოლის შუაგულში პროლეტარიატი მოჰყვეს, რომლის გარშემო ოპოზიცია შემოიკრიბება, — არამედ ისიც, რომ აჯანყების მეთაური და ხელმძღვანელი თვით პროლეტარიატი შეიქნას. სწორედ **ტექნიკური ხელმძღვანელობა და მთელი რუსეთის აჯანყების ორგანიზაციული მომზადება** — აი ის ახალი ამოცანა, რომელიც პროლეტარიატს დაუსახა ცხოვრებამ. და, თუ ჩვენს პარტიას სურს მუშათა კლასის ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელი იყოს, ის ამ ახალი ამოცანების შესრულებას ვერ უარყოფს და არც უნდა უარყოს.

მაშ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ? რაგვარი უნდა იყოს პირველი ჩვენი ნაბიჯები?

ეს საკითხი ბევრმა ჩვენმა ორგანიზაციამ პრაქტიკულად უკვე გადაწყვიტა იმით, რომ ნაწილი თავისი ძალღონისა და საშუალებებისა პროლეტარიატის შეიარაღებას მოანდომა. ახლა

ჩვენი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან იმ ხანაშია შესული, რომ შეიარაღება ყველას აუცილებლად მიაჩნია. მაგრამ მარტო შეგნება იმისა, რომ შეიარაღება აუცილებელია, არ კმარა,— **საჭიროა პარტიას პრაქტიკული ამოცანა სწორად და ნათლად დავუსახოთ.** ამიტომ ჩვენი კომიტეტები ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ხალხის შეიარაღებას ადგილობრივ, საქმის მოსაგვარებლად სპეციალური ჯგუფების შედგენას, იარაღის საშოვნად რაიონული ჯგუფების მოწყობას, სხვადასხვა ასაფეთქებელი მასალის მოსამზადებლად სახელოსნოების გამართვას, სახელმწიფო და კერძო იარაღის საწყობებისა და არსენალების ხელში ჩაგდების გეგმის გამომუშავებას. ჩვენ უნდა შევაიარაღოთ ხალხი არამც თუ «მწვავე მოთხოვნილებით თვითშეიარაღებისა», როგორც გვირჩევს ახალი «ისკრა», არამედ საქმით უნდა მივიღოთ «ყოველგვარი ენერგიული ზომა პროლეტარიატის შესაიარაღებლად», როგორც პარტიის მესამე ყრილობამ დაგვავალა. ამ საკითხის გადაწყვეტაში უფრო ადვილია, ვიდრე სხვა რომელიმე საკითხში,—შევთანხმდეთ როგორც პარტიიდან გამოყოფილ ნაწილთან (თუ კი ის მართლა სერიოზულად ფიქრობს შეიარაღებაზე და არა მხოლოდ ლაყბობს «მწვავე მოთხოვნილებაზე თვითშეიარაღებისა»), აგრეთვე ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, როგორიც არიან სომეხთა ფედერალისტები და სხვები, რომელთაც იგივე მიზანი აქვთ დასახული. ამგვარი ცდა უკვე იყო ბაქოში, სადაც, თებერვლის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ჩვენმა კომიტეტმა, «ბალახანა-ბიბი-ეიბათის» ჯგუფმა და ჰნჩაკისტების[39] კომიტეტმა შეიარაღების საორგანიზაციო კომისია ამოირჩიეს. აუცილებლად საჭიროა, რომ ეს ძნელი და პასუხსაგები საქმე საერთო ძალღონით მოეწყოს, და ჩვენ გვგონია, ფრაქციულმა ანგარიშიანობამ ყველაზე ნაკლებად უნდა შეუშალოს ხელი ყველა სოციალ-დემოკრატიულ ძალთა შეერთებას ამ ნიადაგზე.

იარაღის რიცხვის გადიდებასთან, მის მოპოვებასა და საფაბრიკო წესით მომზადებასთან ერთად აუცილებლად საჭიროა

უაღრესად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ყოველგვარი მებრძოლი ჯგუფების შექმნას, რომ ნაშოვნი იარაღი საქმისთვის გამოვიყენოთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავიდინოთ ისეთი მოქმედება, როგორიც არის იარაღის პირდაპირ დარიგება მასისთვის. იმის გამო, რომ ჩვენი საშუალებანი ცოტაა და ძლიერ ძნელია პოლიციის ფხიზელი მხედველობის ქვეშ იარაღის შენახვა, — ჩვენ ვერ შევაიარაღებთ მცხოვრებთა რამდენადმე შესამჩნევ ნაწილს და ჩვენი შრომა ამაოდ დაიკარგება. სულ სხვაა, როცა ჩვენ სპეციალურად საბრძოლო ორგანიზაციას შევქმნით. მებრძოლი ჯგუფები იარაღის კარგად ხმარებას შეისწავლიან, აჯანყების დროს — სტიქიურად დაიწყება ის, თუ წინდაწინ იქნება მომზადებული — გამოვლენ მთავარ და მოწინავე რაზმებად; მათ გარს შემოკრბება და მათი ხელმძღვანელობით ბრძოლის ველზე გამოვა აჯანყებული ხალხი. მათი გამოცდილებისა და დარაზმულობის წყალობით, აგრეთვე კარგი შეიარაღების გამო, შესაძლებელი გახდება აჯანყებული ხალხის მთელი ძალები გამოვიყენოთ და მით უახლოეს მიზანს მივაღწიოთ — მთელი ხალხი შევაიარაღოთ და წინასწარ შემუშავებული გეგმა მოქმედებისა შევასრულოთ. ისინი სწრაფად ჩაიგდებენ ხელში იარაღის სხვადასხვა საწყობებს, მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებებს, ფოსტას, ტელეფონსა და სხვ., რაც საჭირო იქნება რევოლუციის შემდგომი განვითარებისთვის.

მაგრამ ეს მებრძოლი ჯგუფები საჭირონი არიან არა მარტო მაშინ, როცა რევოლუციური აჯანყება მთელ ქალაქს მოსდებია, არა ნაკლები საქმის გაკეთება შეუძლიათ მათ აჯანყების წინა დღეებში. უკანასკნელ ნახევარ წელიწადს ნათლად დავრწმუნდით, რომ თვითმპყრობელობამ, რომელმაც მოსახლეობის ყველა კლასში დაკარგა სახელი, მთელი თავისი ენერგია მიმართა იქითკენ, რომ ქვეყნის ბნელი ძალები, — ვინც უნდა იყვნენ ესენი — პროფესიული ხულიგნები თუ ნაკლებ შეგნებული და ფანატიზმით შეპყრობილი ელემენტები თათართა წრიდან —

გარს შემოიკრიბოს რევოლუციონერებთან საბრძოლველად. პოლიციის შემწეობით შეიარაღებულნი და მისი მფარველობის ქვეშ მყოფნი, ისინი მოსახლეობას შიშის ზარს სცემენ და ამნაირად განმათავისუფლებელი მოძრაობის ატმოსფეროს ამძიმებენ. ჩვენი მებრძოლი ორგანიზაციები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ წინააღმდეგობა გაუწიონ ამ ბნელ ძალთა ყოველგვარ ცდას, — და ვეცადოთ მათი მოქმედებით გამოწვეული აღშფოთება და წინააღმდეგობა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობად გადავაქციოთ. შეიარაღებული მებრძოლი ჯგუფები, რომელნიც ყოველ წამს მზად იქნებიან გამოვიდნენ ქუჩაში და ხალხს წინ წარუძღვნენ, ადვილად მიაღწევენ მესამე ყრილობის მიერ დასმულ მიზანს, — «შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ შავი რაზმების გამოსვლას და საზოგადოდ ყველა რეაქციულ ელემენტს, რომელსაც მთავრობა ხელმძღვანელობს» (იხ. «Извещение» — «Резолюция об отношении к тактике правительства накануне переворота»)[40].

ჩვენი მებრძოლი ჯგუფებისა და საზოგადოდ სამხედრო-ტექნიკური ორგანიზაციის ერთი უმთავრესი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ შეიმუშაოს თავისი რაიონისთვის აჯანყების გეგმა და შეუთანხმოს ის მთელი რუსეთისთვის პარტიული ცენტრის მიერ გამომუშავებულ გეგმას. გამოვუნახოთ მოწინააღმდეგეს ყველაზე სუსტი ადგილი, აღვნიშნოთ ის ალაგები, საიდანაც უნდა დავეცეთ მას, გავანაწილოთ რაიონში ყველა ძალები, კარგად შევისწავლოთ ქალაქის ტოპოგრაფია — ყოველივე ეს წინდაწინ უნდა იქნას შესრულებული, რომ არასოდეს არავითარ გარემოებაში მოუმზადებელი არ ვიყოთ. აქ სრულიად უადგილოა, რომ ამ მხრივ ჩვენ დაწვრილებით შევეხოთ ორგანიზაციების მოღვაწეობას. მკაცრ კონსპირაციას მოქმედების გეგმის შემუშავებაში თან უნდა ახლდეს რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება პროლეტარიატში სამხედრო-ტექნიკური ცოდნისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ქუჩაში ბრძოლის საწარმოებლად. ამ საქმისთვის ჩვენ გამოვიყენებთ იმ სამხედრო პირებს, რომელნიც

ორგანიზაციაში არიან. ამავე მიზნისთვის ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ბევრი სხვა ჩვენი ამხანაგი, ვინც თავისი ბუნებრივი ნიჭითა და მიდრეკილებით ძლიერ სასარგებლო იქნება ამ საქმეში.

მხოლოდ ამნაირ ყოველმხრივ მომზადებას აჯანყებისთვის შეუძლია უზრუნველყოს სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობა მომავალ ბრძოლაში ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის.

მხოლოდ სრული მზადყოფნა ბრძოლისთვის შეაძლებინებს პროლეტარიატს პოლიციასა და ჯართან ცალ-ცალკე შეტაკებანი საყოველთაო-სახალხო აჯანყებად გადააქციოს, რომ მეფის მთავრობის მაგიერ დროებითი რევოლუციური მთავრობა შექმნას.

ორგანიზებული პროლეტარიატი, წინააღმდეგ «კუდა-ძუა პოლიტიკის მიმდევართა», მთელ ძალღონეს მოახმარს იმას, რომ თავის ხელში მოაქციოს აჯანყების ტექნიკურიცა და პოლიტიკური ხელმძღვანელობაც. ეს ხელმძღვანელობა ის აუცილებელი პირობაა, რომლის შემწეობით მომავალი რევოლუცია შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი კლასობრივი ბრძოლის ინტერესებისთვის.

გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 10,
1905 წლის 15 ივლისი.
სტატია ხელმოუწერელია.

დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია[41]

I

ხალხის რევოლუცია ძლიერდება! პროლეტარიატი იარაღს ისხამს და აჯანყების დროშას აფრიალებს. გლეხკაცობა წელში იმართება და პროლეტარიატის გარშემო იკრიბება. შორს აღარაა ის დრო, როცა საერთო აჯანყებაც იგრიალებს, — და «აღიგვება პირისაგან ქვეყნისა» საზიზღარი ტახტი საზიზღარი მეფისა. მეფის მთავრობა დაემხობა. მის ნანგრევებზე რევოლუციის მთავრობა აშენდება — დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც იარაღს აჰყრის ბნელ ძალებს, შეაიარაღებს ხალხს და დაუყოვნებლივ შეუდგება დამფუძნებელი კრების მოწვევას. ამგვარად, მეფის ბატონობა ხალხის ბატონობად შეიცვლება. ამ გზით მიდის დღეს ხალხის რევოლუცია.

რა უნდა გააკეთოს დროებითმა მთავრობამ?

მან იარაღი უნდა აჰყაროს ბნელ ძალებს, მან ლაგამი უნდა ამოსდოს რევოლუციის მტრებს, რომ მათ ვერ მოახერხონ მეფის მთავრობის აღდგენა. მან უნდა შეაიარაღოს ხალხი და ხელი შეუწყოს რევოლუციის დამთავრებას. მან ცხოვრებაში უნდა გაატაროს სიტყვის, ბეჭდვის, კრების და სხვ. თავისუფლება. მან უნდა მოსპოს არაპირდაპირი გადასახადები და შემოიღოს პროგრესული გადასახადი მოგებასა და მემკვიდრეობაზე. მან უნდა მოაწყოს საგლეხო კომიტეტები, რომლებიც მიწის საქმეებს მოაგვარებენ სოფლად. მანვე უნდა გა-

ნაცალკეოს ეკლესია სახელმწიფოსგან და სკოლა ეკლესიისგან...

ამ საერთო მოთხოვნებს გარდა, დროებითმა მთავრობამ უნდა განახორციელოს მუშათა კლასობრივი მოთხოვნებიც: გაფიცვისა და კავშირების თავისუფლება, 8-საათიანი სამუშაო დღე, მუშების სახელმწიფო დაზღვევა, შრომის ჰიგიენური პირობები, «შრომის ბირჟების» დაარსება და სხვ.

ერთი სიტყვით, დროებითმა მთავრობამ სავსებით უნდა განახორციელოს ჩვენი პროგრამა-მინიმუმი* და ის დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სრულიად-სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელიც «სამუდამოდ» დააკანონებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას.

ვინ უნდა შევიდეს დროებით მთავრობაში?

რევოლუციას ხალხი მოახდენს. ეს ხალხი პროლეტარიატი და გლეხკაცობაა. ცხადია, ამათვე უნდა იკისრონ რევოლუციის დამთავრება, რეაქციის ალაგმვა, ხალხის შეიარაღება და სხვ. ყოველივე ამისთვის კი საჭიროა, რომ პროლეტარიატსა და გლეხობას ჰყავდეს დროებით მთავრობაში თავისი ინტერესების დამცველები. ქუჩაში პროლეტარიატი და გლეხკაცობა იბატონებს, სისხლს ესენი დაღვრიან, — ცხადია, დროებით მთავრობაშიც მათ უნდა იბატონონ.

კეთილი. მაგრამ რა აქვთ საერთო პროლეტარიატსა და გლეხკაცობას? გვეუბნებიან ჩვენ.

— ის, რომ ორივეს სძულს ბატონყმური ნაშთები, ორივე სასიკვდილოდ ებრძვის მეფის მთავრობას და ორივეს უნდა დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ დაგვავიწყებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მათ შორის განსხვავება უფრო დიდია.

რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

---

* პროგრამა-მინიმუმის შესახებ იხილე «უწყება რსდმპ მეორე ყრილობის შესახებ».

იმაში, რომ პროლეტარიატი მტერია კერძო საკუთრებისა, მას სძულს ბურჟუაზიული წესები და დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა მხოლოდ იმისთვის, რომ წელი მოიმაგროს და მერე ძირს დასცეს ბურჟუაზიული წყობილება; მაშინ როდესაც გლეხკაცობას უყვარს კერძო საკუთრება, ის ეტრფის ბურჟუაზიულ წესებს და დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა იმისთვის, რომ ფესვები განუმტკიცოს ბურჟუაზიულ წყობილებას.

ლაპარაკი არ უნდა, რომ გლეხკაცობა* პროლეტარიატის წინააღმდეგ წავა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც პროლეტარიატი კერძო საკუთრების მოსპობას მოინდომებს. მეორე მხრივ, ცხადია აგრეთვე ის, რომ გლეხკაცობა მიემხრობა პროლეტარიატს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც პროლეტარიატი თვითმპყრობელობის დანგრევას მოინდომებს. დღევანდელი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ე. ი. ის არ ეხება კერძო საკუთრებას, მაშასადამე, არავითარი საბუთი არა აქვს დღეს გლეხკაცობას, რომ თავისი იარაღი პროლეტარიატის წინააღმდეგ მოიქნიოს. სამაგიეროდ დღევანდელი რევოლუცია ძირიანად უარყოფს მეფის მთავრობას, მაშასადამე, გლეხკაცობა დაინტერესებულია ხელაღებით მიემხროს პროლეტარიატს, როგორც რევოლუციის მოწინავე ძალას. ცხადია აგრეთვე ის, რომ პროლეტარიატი დაინტერესებულია მხარი დაუჭიროს გლეხკაცობას და მასთან ერთად გაილაშქროს საერთო მტერზე — მეფის მთავრობაზე. ტყუილად კი არ ამბობს დიდი ენგელსი: დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამდე პროლეტარიატი წვრილი ბურჟუაზიის გვერდით უნდა გამოვიდეს არსებული წესების წინააღმდეგ**. და თუ ჩვენს გამარჯვებას გამარჯვება ვერ დაერქმევა, სანამ სავსებით არ აილაგმებიან რევოლუციის მტრები, თუ

---

* ე. ი. წვრილი ბურჟუაზია.

** იხ. «ისკრა» № 96. ეს ადგილი გადმობეჭდილია «სოციალ-დემოკრატის» მეხუთე ნომერში. იხ. «დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია».

მტრების ალაგმვა და ხალხის შეიარაღება დროებითი მთავრობის მოვალეობაა, თუ გამარჯვების დამთავრება დროებითმა მთავრობამ უნდა იკისროს, — მაშინ თავისთავად ცხადია, რომ დროებით მთავრობაში, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველებს გარდა, პროლეტარიატის წარმომადგენლებიც უნდა შევიდნენ, როგორც მისი ინტერესების დამცველები. უგუნურება იქნებოდა, თუ რევოლუციის ხელმძღვანელად პროლეტარიატი გამოვიდოდა და რევოლუციის დამთავრებას კი მარტო წვრილ ბურჟუაზიას დაანებებდა: ეს თავისი თავის ღალატი იქნებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს მხოლოდ, რომ პროლეტარიატს, როგორც კერძო საკუთრების მტერს, თავისი საკუთარი პარტია უნდა ჰყავდეს, და არც ერთ წამს არ უნდა გადაუხვიოს თავის გზას.

სხვანაირად რომ ვთქვათ, პროლეტარიატმა და გლეხკაცობამ ერთად უნდა მოუღონ ბოლო მეფის მთავრობას, მათ ერთად უნდა ალაგმონ რევოლუციის მტრები, და სწორედ ამიტომაა, რომ გლეხკაცობასთან ერთად პროლეტარებსაც უნდა ჰყავდეთ დროებით მთავრობაში თავიანთი ინტერესების დამცველნი — სოციალ-დემოკრატები.

ეს ისე ცხადია, ისე აშკარაა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი თითქოს მეტია.

მაგრამ აი გამოჩნდა «უმცირესობა», რომელსაც ეჭვი შეაქვს ამაში და დაჟინებით იძახის: სოციალ-დემოკრატიას არ შეჰფერის დროებით მთავრობაში შესვლა — ეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო.

გავარჩიოთ ეს საკითხი. რა საბუთები აქვს «უმცირესობას»? ის პირველ ყოვლისა ამსტერდამის კონგრესზე [42] გვითითებს. ამ კონგრესმა ჟორესიზმის საწინააღმდეგოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოციალისტები არ უნდა ცდილობდნენ ბურჟუაზიულ მთავრობაში შესვლას; დროებითი მთავრობა კი ბურჟუაზიულია,–მაშასადამე, ჩვენი საქმე არაა დროებით მთავრობაში შესვლაო. ასე მსჯელობს «უმცირესობა» და ვერ ამჩნევს, რომ თუ ასე

ბავშვურად გავიგებთ კონგრესის აზრს, მაშინ აღარც რევოლუციაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ჩავუკვირდეთ აბა: ჩვენ ბურჟუაზიის მტრები ვართ, დღევანდელი რევოლუცია კი ბურჟუაზიულია, — მაშასადამე, არავითარი მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ დღევანდელ რევოლუციაში! ამ გზაზე გვაყენებს «უმცირესობის» ლოგიკა. სოციალ-დემოკრატია კი გვეუბნება, რომ ჩვენ – პროლეტარებმა — არამც თუ მონაწილეობა უნდა მივიღოთ დღევანდელ რევოლუციაში, არამედ სათავეშიც კი უნდა მოვექცეთ მას, ხელმძღვანელობა გავუწიოთ და ბოლომდე მივიყვანოთო. რევოლუციის ბოლომდე მიყვანა კი შეუძლებელია დროებით მთავრობაში შეუსვლელად. აშკარაა, აქ ორივე ფეხით კოჭლობს «უმცირესობის» ლოგიკა. ორში ერთი: ან უნდა უარვყოთ ის აზრი, რომ პროლეტარიატი რევოლუციის წინამძღოლია, — როგორც ამას ლიბერალები შვრებიან, — მაშინ თავისთავად უარყოფილი იქნება დროებით მთავრობაში ჩვენი მონაწილეობაც; ანდა საჯაროდ უნდა მივიღოთ ეს სოციალ-დემოკრატიული აზრი და ამასთან ერთად საჭიროდ ვცნოთ დროებით მთავრობაში შესვლაც. «უმცირესობა» კი არც ერთს ეშვება, არც მეორეს, მას ლიბერალობაც უნდა და სოციალ-დემოკრატობაც! ასე უღვთოდ აწვალებს ის უდანაშაულო ლოგიკას...

რაც შეეხება ამსტერდამის კონგრესს, ის საფრანგეთის მუდმივ მთავრობას გულისხმობდა და არა რევოლუციურ დროებით მთავრობას. საფრანგეთის მთავრობა რეაქციულ-კონსერვატიულია, ის იცავს ძველს და ებრძვის ახალს, — ცხადია, აქ არც შევა ნამდვილი სოციალ-დემოკრატი, მაშინ როდესაც დროებითი მთავრობა რევოლუციურ-პროგრესულია, ის ებრძვის ძველს და გზას უკაფავს ახალს, — ის რევოლუციის ინტერესებს ემსახურება, — ცხადია, აქ შევა ნამდვილი სოციალ-დემოკრატი და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რევოლუციის საქმეთა დაგვირგვინებაში. როგორც ხედავთ, ეს ორი სხვადა-

სხვა მოვლენაა. ასე რომ ტყუილად ებღაუჭება «უმცირესობა» ამსტერდამის კონგრესს: ის ვერ იხსნის მას მარცხისგან.

ეს თვითონ «უმცირესობასაც» უგრძვნია და მეორე საბუთისთვის მიუმართავს: ის ახლა მარქს-ენგელსის აჩრდილს ჩასციებია. აი, მაგალითად, «სოციალ-დემოკრატი» ახირებულა, რომ მარქსიც და ენგელსიც «ძირიანად ეწინააღმდეგებიან» დროებით მთავრობაში შესვლასო. მერე სად, როდის, რომელ ქვეყანაში? რას ამბობს, მაგალითად, მარქსი? თურმე ნუ იტყვით, მარქსი ამბობს, რომ «...დემოკრატიული წვრილი ბურჟუები... პროლეტარიატს უქადაგებენ... ერთი დიდი ოპოზიციური პარტიის შექმნას, რომელიც ყველა მიმართულებას დემოკრატიულ პარტიაში მოუყრის თავს...», რომ «ასეთი ერთობა მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიას მოუტანს სარგებლობას, პროლეტარიატს კი უეჭველად აზარალებს»* და სხვ. [43] ერთი სიტყვით, პროლეტარიატს ცალკე კლასობრივი პარტია უნდა ჰყავდესო. მერე ვინ არის ამის წინააღმდეგი, «მეცნიერო კრიტიკოსო»? რატომ შებრძოლებიხართ ჭარის წისქვილებს?

«კრიტიკოსი» მაინც განაგრძობს მარქსის სიტყვებს: «საერთო მტერთან შესაბრძოლებლათ საჭირო არ არის განსაკუთრებითი კავშირი; როგორც კი მასთან პირდაპირი შეტაკება იქნება საჭირო — ორივე პარტიის ინტერესები ამ მომენტისათვის ერთდება და... საჭირო კავშირი თავისთავათ კეთდება...» «როგორც შეტაკების დროს, ისე შემდეგ ბურჟუაზიულ დემოკრატთა მოთხოვნილებების (უნდა იყოს: მოთხოვნების) გვერდით თვითეულ შემთხვევაში მუშებმა თავისი საკუთარი მოთხოვნილება (მოთხოვნა) უნდა წამოაყენონ...» «ერთი სიტყვით, გამარჯვებისთანავე ბრძოლა უნდა გამოეცხადოს... მუშათა ამ დრომდის მოკავშირეს, იმ პარტიას, რომელიც ცდილობს საერთო გამარჯვება მარტო თავის სასარგებლოთ მოიხმაროს»**. სხვანაირად რომ ვთქვათ, პროლეტარიატმა თავისი გზით უნდა

* იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 5.
** იხ. იქვე.

იაროს და მხარი უნდა დაუჭიროს წვრილ ბურჟუაზიას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებსო. მერე ვინ არის ამის წინააღმდეგი, საოცარო «კრიტიკოსო», და რისთვის დაგჭირდათ მარქსის სიტყვები? განა ამბობს რასმე მარქსი დროებით რევოლუციურ მთავრობაზე? არც ერთ სიტყვას! განა მარქსი ამბობს რასმე იმის შესახებ, რომ დემოკრატიული რევოლუციის დროს ჩვენს პრინციპს ეწინააღმდეგება დროებით მთავრობაში შესვლა? არც ერთ სიტყვას! მაშ რა ახტუნავებს ჩვენს ავტორს, საიდან გამოატყვრინა «ძირეული წინააღმდეგობა» ჩვენსა და მარქსს შორის? საწყალი «კრიტიკოსი»! ძალიან ფაციფუცით ცდილობს ასეთი «წინააღმდეგობა» იპოვოს, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, არაფერი გამოუდის.

ენგელსი რაღას ამბობს, «მეუმცირესეთა» განცხადებით? ის ამბობს, თურმე, ტურატისთან მიწერილ წერილში, რომ იტალიაში მოსალოდნელი რევოლუცია წვრილბურჟუაზიული იქნება, და არა სოციალისტური, მის გამარჯვებამდე პროლეტარიატი უნდა გამოდიოდეს არსებული წყობილების წინააღმდეგ წვრილი ბურჟუაზიის გვერდით, მაგრამ უეჭველად საკუთარი პარტიით. ხოლო გამარჯვების შემდეგ დიდად საშიშარი იქნება ახალ მთავრობაში სოციალისტების შესვლა. ამით გაიმეორებდნენ ლუი ბლანისა და ფრანგთა სხვა სოციალისტების 1848 წლის შეცდომასო და სხვ...* ესე იგი, რადგან იტალიის რევოლუცია დემოკრატიული იქნება და არა სოციალისტური, ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ პროლეტარიატის ბატონობაზე ვიოცნებებდით და **გამარჯვების შემდეგაც** მთავრობაში დავრჩებოდით, პროლეტარიატს მხოლოდ **გამარჯვებამდე** შეეძლებოდა წვრილი ბურჟუების გვერ-

* იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 5. ეს სიტყვები «სოციალ-დემოკრატს» წინწკლებში მოჰყავს. კაცი იფიქრებს, რომ ენგელსის სიტყვები შეუცდომლადაა ამოწერილიო. ნამდვილად კი ეს ასე არაა. აქ მხოლოდ თავისი სიტყვით გადმოგვცემენ ენგელსის წერილს.

დით გამოსვლა და საერთო მტერზე გალაშქრებაო. ვინაა მერე ამის წინააღმდეგი, ვინ ამბობს, რომ დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუცია ერთმანეთში უნდა ავურიოთ? რა მოსატანია აქ ბერნშტეინის მიმდევარი ტურატი? ან ლუი ბლანი რიღასთვის გჭირდებათ? ლუი ბლანი წვრილბურჟუაზიული «სოციალისტი» იყო, ჩვენ კი სოციალ-დემოკრატებზე გვაქვს ლაპარაკი. ლუი ბლანის დროს არ არსებობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, აქ კი სწორედ ასეთ პარტიაზეა ლაპარაკი. ფრანგ სოციალისტებს პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობაზე ჰქონდათ ლაპარაკი, ჩვენ კი დროებით მთავრობაში შესვლის საკითხი გვაინტერესებს... განა ენგელსი ამბობს რასმე იმის შესახებ, რომ დროებით მთავრობაში შესვლა დემოკრატიული რევოლუციის დროს ჩვენს პრინციპს ეწინააღმდეგებაო? არც ერთ სიტყვას! მაშ რისთვის დაგჭირდათ ამდენი ლაპარაკი, ჩვენო «მეუმცირესევ», რად ვერ გაიგეთ, რომ საკითხების არევდარევა მათი გადაჭრა არაა? რატომ ასე ტყუილუბრალოდ აწუხებთ მარქსისა და ენგელსის აჩრდილს?

«უმცირესობას» თვითონაც უგრძვნია, რომ მას მარქს-ენგელსის სახელი ვერ დაიფარავს და ახლა მესამე «საბუთისთვის» მოუკიდია ხელი. თქვენ გინდათ ორივე მხრიდან ალაგმოთ რევოლუციის მტრები, გვეუბნება «უმცირესობა», თქვენ გინდათ, რომ «პროლეტარიატის ზემოქმედება რევოლუციაზე მოდიოდეს მარტო «ქვევიდან» კი არა, მარტო ქუჩიდან კი არა, — არამედ ზევიდანაც, დროებითი მთავრობის სრა-სასახლიდანაც»*. ეს კი პრინციპს ეწინააღმდეგებაო, გვიკიჟინებს «უმცირესობა».

მაშ ასე, «უმცირესობა» იძახის, რომ «მარტო ქვევიდან» უნდა ვიმოქმედოთ რევოლუციის მიმდინარეობაზეო. «უმრავლესობა» უპასუხებს, რომ «ქვევიდან» მოქმედებას «ზევიდან»

* იხ. «ისკრა» № 93.

მოქმედებაც უნდა მივუმატოთ, რომ იერიში უფრო ყოველმხრივი იყოსო.

ვინ ეწინააღმდეგება ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის პრინციპს, «უმრავლესობა» თუ «უმცირესობა»?

ვკითხოთ ენგელსს. სამოცდაათიან წლებში ესპანეთში აჯანყება მოხდა. დადგა საკითხი დროებით რევოლუციურ მთავრობაზე. მაშინ იქ ბაკუნისტები (ანარქისტები) მუშაობდნენ. ისინი უარყოფდნენ ყოველივე მოქმედებას ზევიდან, და ამან გამოიწვია ენგელსსა და მათ შორის კამათი. ბაკუნისტები იმასვე ქადაგებდნენ, რასაც დღეს «უმცირესობა» იძახის. «ბაკუნისტებიო — ამბობს ენგელსი — დიდხანს ქადაგებდნენ, რომ ყოველი რევოლუციური მოქმედება ზევიდან ქვემოთ — საზარალოა, და ყველაფერი ქვევიდან უნდა ეწყობოდეს და კეთდებოდესო»*. მათი აზრით, «ყოველგვარი ორგანიზაცია პოლიტიკური, ეგრეთწოდებული დროებითი და რევოლუციური მთავრობისა შეიძლება მხოლოდ ახალი მოტყუება იყოს და ისეთივე სახიფათო იქნება პროლეტარიატისთვის, როგორც ყველა დღევანდელი მთავრობა»**. ენგელსი დასცინის ამ შეხედულებას და ამბობს, რომ ცხოვრებამ სასტიკად უარყო ბაკუნისტების ასეთი მოძღვრებაო. ბაკუნისტები იძულებული გახდნენ ცხოვრებისთვის დაეთმოთ და... «წინააღმდეგ თავიანთი ანარქისტული პრინციპებისა, რევოლუციური მთავრობა შეადგინესო» ***. ასე «ჰქელავდნენ ისინი მათგანვე წამოყენებულ პრინციპს, რომ ვითომ რევოლუციური მთავრობის შედგენა მუშათა კლასის მხოლოდ ახალი მოტყუება და ახალი ღალატიაო» ****.

ასე ლაპარაკობს ენგელსი.

---

* იხ. «პროლეტარის» მესამე №, სადაც მოყვანილია ენგელსის სიტყვები [44].

** იხ. იქვე.

*** იხ. იქვე.

**** იხ. იქვე.

ამგვარად ირკვევა, რომ «უმცირესობის» პრინციპი—მარტო «ქვევიდან» მოქმედება—ანარქისტული პრინციპი ყოფილა, რომელიც, მართლაც-და, ძირიანად ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკას. «უმცირესობის» აზრი, ყოველივე მონაწილეობა დროებით მთავრობაში მუშების დამღუპველიაო, — ანარქისტული ფრაზა ყოფილა, რომელიც ენგელსს სიცილადაც არა ჰყოფნიდა. გამოირკვა აგრეთვე ის, რომ ცხოვრება არ მიიკარებს «უმცირესობის» შეხედულებას და იოლად გააცამტვერებს მას ისევე, როგორც ეს ბაკუნისტებს დაემართათ.

«უმცირესობა» მაინც ახირებულა — პრინციპების წინააღმდეგ არ წავალთო! საოცარი წარმოდგენა აქვს ამ ხალხს სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებზე. ავიღოთ თუნდა მათი პრინციპული შეხედულება დროებით რევოლუციურ მთავრობაზე და სახელმწიფო სათათბიროზე. «უმცირესობას» არ უნდა დროებით მთავრობაში შევიდეს, რომელსაც რევოლუციის ინტერესები წარმოშობს — ეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო. მაგრამ მას უნდა სახელმწიფო სათათბიროში შევიდეს, რომელიც თვითმპყრობელობის ინტერესებმა დაბადა — ეს თურმე პრინციპს არ ეწინააღმდეგება! «უმცირესობას» არ უნდა დროებით მთავრობაში შევიდეს, რომელსაც რევოლუციური ხალხი შექმნის და ხალხივე დააკანონებს — ეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო. მაგრამ მას უნდა სახელმწიფო სათათბიროში შევიდეს, რომელსაც თვითმპყრობელი მეფე მოიწვევს და მეფევე დააკანონებს — ეს თურმე პრინციპს არ ეწინააღმდეგება! «უმცირესობას» არ უნდა დროებით მთავრობაში შევიდეს, რომელმაც თვითმპყრობელობა უნდა დაასამაროს — ეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო. მაგრამ მას უნდა სახელმწიფო სათათბიროში შევიდეს, რომელმაც თვითმპყრობელობა უნდა გაამაგროს — ეს თურმე პრინციპს არ ეწინააღმდეგება... ეს რომელ პრინციპზე გველაპარაკებით, ღირსეულნო, ლიბერალებისა თუ სოციალ-დემოკრატების პრინციპზე? ძალიან კარგს იზამთ, თუ პირდაპირ გვიპასუხებთ ამ კითხვაზე. ჩვენ ამაში რაღაც ეჭვი გვეპარება.

მაგრამ გავანებოთ თავი ამ საკითხებს.

საქმე ისაა, რომ პრინციპების ძებნაში «უმცირესობა» ანარქისტების გზაზე შემდგარა.

აი რა გამოირკვა დღეს.

II

ჩვენს მენშევიკებს არ მოეწონათ III პარტიულ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციები. ამ რეზოლუციების ნამდვილმა რევოლუციურმა აზრმა ააფორიაქა მენშევიკური «ჟაობი» და «კრიტიკის» მადა აღუძრა მას. ეტყობა, ოპორტუნისტთა ჭკუაგონებაზე გავლენა მოახდინა უმთავრესად რეზოლუციამ დროებითი მთავრობის შესახებ, და ისინი შეუდგნენ მის «მოსპობას». მაგრამ, ვინაიდან მათ იქ ხელის ჩასაკიდებელი და გასაკრიტიკებელი ვერაფერი იპოვეს, მიმართეს თავიანთ ჩვეულებრივ და ამასთან იაფფასიან საშუალებას — დემაგოგიას! ეს რეზოლუცია შედგენილია მუშების მისატყუებლად, მათ გასაბრიყვებლად და დასაბრმავებლადო — სწერენ ეს «კრიტიკოსები». და, როგორც სჩანს, ამ თავიანთი ფუსფუსით ისინი მეტად კმაყოფილნი არიან. მათ მოწინააღმდეგე სასიკვდილოდ განგმირული წარმოიდგინეს, თავიანთი თავი კი გამარჯვებულ კრიტიკოსებად და გაიძახიან: «და მათ (რეზოლუციის ავტორებს) სურთ უხელმძღვანელონ პროლეტარიატს!» უცქერი ამ «კრიტიკოსებს» და თვალწინ წარმოგიდგება გოგოლის გმირი, გაგიეცბული რომ იყო და თავი ესპანეთის მეფედ დაესახა. ასეთია განდიდების მანიით შეპყრობილთა ბედი!

გავსინჯოთ თვით ეს «კრიტიკა», რომელსაც «სოციალ-დემოკრატის» № 5-ში ვპოულობთ. როგორც უკვე მოგეხსენებათ, ჩვენს მენშევიკებს ძლიერ აფრთხობს დროებითი რევოლუციური მთავრობის სისხლიანი აჩრდილის მოგონება და თავიანთ წმინდანებს — მარტინოვ-აკიმოვებს ევედრებიან, იხსნან ისინი ამ საშინელებისგან და შესცვალონ იგი საერო კრებით — ახლა უკვე სახელმწიფო სათათბიროთი. ამ მიზნით მათ ცამდე

აჰყავთ «საერო კრება» და ცდილობენ ნაღდ ფულად გაასაღონ დამპალი ცარიზმის ეს დამპალი ნაშიერი: «ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ **რესპუბლიკა** დაამყარა უდროებითმთავრობოდ», — სწერენ ისინი. ეგ არის და ეგ? მეტი არაფერი იცით, «ღირსეულნო»? არ კმარა! ცოტა მეტი რამ უნდა გცოდნოდათ! უნდა გცოდნოდათ, მაგალითად, ისიც, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ გაიმარჯვა, როგორც ბურჟუაზიულმა რევოლუციურმა მოძრაობამ. ხოლო რუსეთის «რევოლუციური მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებს», როგორც სამართლიანად ამბობს გ. პლეხანოვი. საფრანგეთში რევოლუციას ბურჟუაზია მეთაუროობდა, რუსეთში კი — პროლეტარიატი. **იქ** ბურჟუაზია განაგებდა რევოლუციის ბედს, **აქ** კი — პროლეტარიატი. და განა ცხადი არ არის, რომ ხელმძღვანელი რევოლუციური ძალების ასეთი გადანაცვლების დროს ერთსა და იმავე შედეგს ვერ მივიღებთ ორივე კლასისთვის? თუ საფრანგეთში ბურჟუაზიამ, რომელიც სათავეში ედგა რევოლუციას, ისარგებლა მისი ნაყოფით, ნუთუ რუსეთშიც მან უნდა ისარგებლოს ამ ნაყოფით, მიუხედავათ იმისა, რომ რევოლუციის სათავეში პროლეტარიატი დგას? დიახ, ამბობენ ჩვენი მენშევიკები, რაც **იქ**, საფრანგეთში მოხდა, **აქაც**, რუსეთშიც ის უნდა მოხდესო. ეს ვაჟბატონები მეკუბოვესავით ზომას უღებენ დიდი ხნის მიცვალებულს და ამ საზომით ზომავენ ცოცხლებს. გარდა ამისა, მათ აქ კარგა დიდი სიყალბე ჩაიდინეს: ჩვენთვის საინტერესო საგანს თავი მოაცალეს და პოლემიკის ცენტრი კუდზე გადაიტანეს. ჩვენ, როგორც ყოველი რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი, ვლაპარაკობთ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებაზე. მათ კი სიტყვა «დემოკრატიული» სადღაც მიიჩქმალეს და მორთეს ლაყბობა «რესპუბლიკაზე». «ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ რესპუბლიკა დაამყარაო», — ქადაგებენ ისინი. დიახ, მან რესპუბლიკა დაამყარა, მაგრამ როგორი? ნამდვილი დემოკრატიული? ისეთი,

როგორსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს? აძლევდა ეს რესპუბლიკა ხალხს საყოველთაო არჩევნების უფლებას? განა სავსებით პირდაპირი იყო მაშინდელი არჩევნები? განა შემოღებული იყო პროგრესული საშემოსავლო გადასახადი? განა იქ რამე იყო ნათქვამი შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, სამუშაო დღის შემცირებაზე, ხელფასის გადიდებაზე და სხვ.?.. არა. არაფერი ეს იქ არ ყოფილა, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მუშებს მაშინ სოციალ-დემოკრატიული აღზრდა არ ჰქონდათ. ამიტომაც მათი ინტერესები საფრანგეთის მაშინდელ რესპუბლიკაში სავსებით მივიწყებული და მიჩქმალული იყო ბურჟუაზიის მიერ. და ნუთუ, ბატონებო, ასეთი რესპუბლიკის წინაშე იხრით თქვენს «დიდად პატივცემულ» თავს? ასეთია თქვენი იდეალი? გზა მწვიდობისა! მაგრამ გახსოვდეთ, ღირსეულნო, რომ ასეთი რესპუბლიკის წინაშე ქედის მოხრას სოციალ-დემოკრატიასთან და მის პროგრამასთან საერთო არა აქვს-რა — ეს მდარე ხარისხის დემოკრატიზმია. თქვენ კი ყოველივე ამას კონტრაბანდად ატარებთ, სოციალ-დემოკრატიის სახელს ამოფარებულნი.

გარდა ამისა, მენშევიკებმა უნდა იცოდნენ, რომ რუსეთის ბურჟუაზია თავისი საერო კრებით ისეთ რესპუბლიკასაც კი არ გიბოძებთ, როგორიც საფრანგეთში იყო, — იგი სრულებითაც არ აპირებს მონარქიის მოსპობას. მან მშვენივრად იცის მუშების «კადნიერება» იქ, სადაც მონარქია არ არის, და ამიტომ ცდილობს დაუზიანებლად შეინარჩუნოს ეს ციხე და თავის საკუთარ იარაღად გადააქციოს იგი დაუძინებელი მტრის — პროლეტარიატის წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით აწარმოებს იგი «ხალხის» სახელით მოლაპარაკებას ჯალათ მეფესთან და ურჩევს მას «სამშობლოს» და ტახტის ინტერესებისთვის მოიწვიოს საერო კრება «ანარქიის» თავიდან ასაცილებლად. ნუთუ თქვენ, მენშევიკებმა, არ იცით ყოველივე ეს?

ჩვენ ისეთი რესპუბლიკა კი არ გვინდა, როგორიც საფრანგეთის ბურჟუაზიამ XVIII საუკუნეში შემოიღო, არამედ ისეთი,

როგორსაც რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტია მოითხოვს XX საუკუნეში. ასეთი რესპუბლიკის შექმნა კი შეუძლია მხოლოდ ხალხის ძლევამოსილ აჯანყებას პროლეტარიატის მეთაურობით და მის მიერ წამოყენებულ დროებით რევოლუციურ მთავრობას. მხოლოდ ასეთ დროებით მთავრობას შეუძლია **დროებით** ახორციელებდეს ჩვენს პროგრამა-მინიმუმს და მის მიერ მოწვეულ დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს მსგავსი ცვლილებანი.

ჩვენს «კრიტიკოსებს» არ სჯერათ, რომ ჩვენი პროგრამის თანახმად მოწვეულ დამფუძნებელ კრებას შეეძლოს ხალხის ნების გამოხატვა (ან კი როგორ შეუძლიათ ამის წარმოდგენა, როცა საფრანგეთის დიდ რევოლუციას ვერ გასცილებიან, რომელიც 115—116 წლის წინათ მოხდა). «შეძლებულ და გავლენიან პირებს, — განაგრძობენ «კრიტიკოსები», — იმდენი საშუალება მოეპოვებათ არჩევნების თავიანთ სასარგებლოდ გასაყალბებლად, რომ ხალხის ნამდვილ ნებაზე ლაპარაკიც მეტია. იმისთვის, რომ ხელმოკლე ამომრჩევლები მდიდართა ნების გამომხატველნი არ გახდნენ, საჭიროა დიდი ბრძოლა, ხანგრძლივი პარტიული დისციპლინა» (რომელსაც მენშევიკები არ სცნობენ?). «ევროპაშიც (?) კი, მიუხედავად ხანგრძლივი პოლიტიკური აღზრდისა, ყოველივე ეს განხორციელებული არ არის. ჩვენს ბოლშევიკებს კი ჰგონიათ, რომ ეს თილისმა ხელთ უპყრია დროებით მთავრობას!»

აი ნამდვილი მაჩანჩალობა! აი «ღვთივ განსვენებული» «ტაქტიკა-პროცესი» და «ორგანიზაცია-პროცესი» მთელი სიგრძე-სიგანით! ლაპარაკიც კი მეტია იმის მოთხოვნაზე რუსეთში, რაც ჯერ კიდევ ევროპაში არ განხორციელებულაო, გვარიგებენ «კრიტიკოსები»! ჩვენ ხომ ვიცით, რომ არა თუ «ევროპაში», არამედ ამერიკაშიც ჩვენი პროგრამა-მინიმუმი მთლიანად არ არის განხორციელებული, და, მაშასადამე, ვინც მას ეთანხმება და იბრძვის მისი განხორციელებისთვის რუსეთში, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ის, მენშევიკების აზრით,

გაუსწორებელი მეოცნებე, უბადრუკი დონ კიხოტია! ერთი სიტყვით, ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ყალბი, უტოპიურია და მას ნამდვილ «ცხოვრებასთან» საერთო არა აქვს-რა! ხომ ასეა, ბატონო «კრიტიკოსებო»? სწორედ ასეა თქვენებურად. მაშ იქონიეთ მეტი გამბედაობა და პირდაპირ განაცხადეთ ეს, მიუკიბ-მოუკიბავად! მაშინ გვეცოდინება, ვისთან გვაქვს საქმე, და თქვენც განთავისუფლდებით თქვენთვის საძულველ პროგრამულ ფორმალობათაგან! თორემ თქვენ ისე გაუბედავად, ისე მხდალად ლაპარაკობთ პროგრამის მცირე მნიშვნელობაზე, რომ ბევრს, გარდა ბოლშევიკებისა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ჰგონია, რომ თქვენ სცნობთ რუსეთის ს.-დ. პროგრამას, რომელიც მიიღო II პარტიულმა ყრილობამ. მაგრამ რა საჭიროა ეს ფარისევლობა?

და აი აქ ჩვენ უშუალოდ მივადექით ჩვენი უთანხმოების საფუძველს. თქვენ არა გწამთ ჩვენი პროგრამა და არ სცნობთ მის სისწორეს, ჩვენ კი, პირიქით, მუდამ ამ პროგრამიდან გამოვდივართ, მთელ ჩვენს მოქმედებას მას ვუთანხმებთ!

ჩვენ გვწამს, რომ საარჩევნო აგიტაციის თავისუფლების პირობებში «შეძლებული და გავლენიანი პირები» ვერ შესძლებენ მთელი ხალხის მოსყიდვასა და მოტყუებას. მაშინ ჩვენ მათს გავლენასა და ოქროს დავუპირდაპირებთ სოციალ-დემოკრატიულ მართალ სიტყვას (და ამ სიმართლეში ჩვენ, თქვენგან განსხვავებით, ოდნავაც არ გვეპარება ეჭვი) და ამით შევასუსტებთ ბურჟუაზიის ყალთაბანდურ ხრიკებს. თქვენ კი ეს საქმე არა გწამთ და ამიტომ რევოლუციას რეფორმიზმისკენ ეწევით.

«1848 წელს, — განაგრძობენ «კრიტიკოსები», — საფრანგეთში (ისევ საფრანგეთი!) დროებითმა მთავრობამ, რომელშიც მუშებიც მონაწილეობდნენ, ისეთი დამფუძნებელი კრება მოიწვია, სადაც პარიზის პროლეტარიატის არც ერთი დელეგატი არ გასულა». აი კიდევ ერთი სრული გაუგებლობა სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებისა და შაბლონური წარმოდგენა ის-

ტორიაზე! რა საჭიროა ეს ფუჭი ფრაზები? საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ დროებით მთავრობაში მუშები მონაწილეობდნენ, არაფერი გამოვიდა, ამიტომ რუსეთშიც სოციალ-დემოკრატიამ ხელი უნდა აიღოს მასში მონაწილეობაზე, რადგან აქაც არაფერი გამოვაო, — დაასკვნიან «კრიტიკოსები». მაგრამ განა საქმე მუშების მონაწილეობაშია? განა ჩვენ ვამბობთ, რომ მუშა, ვინც და რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, მონაწილეობას უნდა იღებდეს დროებით რევოლუციურ მთავრობაში? არა, ჩვენ ჯერ კიდევ არ გავმხდარვართ თქვენი მიმდევარნი და ყოველ მუშას როდი ვაძლევთ სოციალ-დემოკრატის ატესტაციას. ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები გვეწოდებინა საფრანგეთის დროებით მთავრობაში მონაწილე მუშებისთვის! რა საჭიროა ეს უადგილო ანალოგია! ან კი რა შედარება შეიძლება 1848 წლის საფრანგეთის პროლეტარიატის პოლიტიკურ შეგნებასა და რუსეთის პროლეტარიატის ახლანდელ პოლიტიკურ შეგნებას შორის? განა საფრანგეთის იმდროინდელი პროლეტარიატი თუნდაც ერთხელ გამოსულა პოლიტიკურ დემონსტრაციაზე მაშინდელი წყობილების წინააღმდეგ? განა უდღესასწაულნია მას როდისმე პირველი მაისი ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ნიშნით? განა შეკავშირებული იყო იგი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად? განა ჰქონდა მას სოციალ-დემოკრატიის პროგრამა? ჩვენ ვიცით, რომ არა. ყოველივე ამაზე საფრანგეთის პროლეტარიატს წარმოდგენაც კი არ ჰქონია. იბადება კითხვა, შეეძლო თუ არა მაშინ საფრანგეთის პროლეტარიატს ისევე გამოეყენებინა რევოლუციის ნაყოფი, როგორც შეუძლია ამ ნაყოფის გამოყენება რუსეთის პროლეტარიატს, იმ პროლეტარიატს, რომელიც დიდი ხანია შეკავშირებულია სოციალ-დემოკრატიულ პარტიად, აქვს სავსებით გარკვეული სოციალ-დემოკრატიული პროგრამა და შეგნებულად იკაფავს გზას თავისი მიზნისკენ? ყველა, ვისაც ოდნავ მაინც შესწევს რეალობის გაგების უნარი, გვიპასუხებს,

რომ არა. და მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ დაიზეპირონ ისტორიული ფაქტები და არ შესწევთ უნარი ახსნან მათი წარმოშობა ადგილისა და დროის შესაბამისად, შეუძლიათ ორი ამ სხვადასხვა სიდიდის გაიგივება.

«საჭიროა,— კიდევ და კიდევ გვასწავლიან «კრიტიკოსები»,— ძალდატანება ხალხის მხრივ, განუწყვეტელი რევოლუცია და არა ის, რომ არჩევნებს დავჯერდეთ და შინ დავბრუნდეთო». კიდევ ცილისწამება! მერე ვინ მოგახსენათ, ღირსეულნო, რომ ჩვენ არჩევნებს ვჯერდებით და შინ ვბრუნდებით? აბა, დაგვისახელეთ!

ჩვენი «კრიტიკოსები» კიდევ იმით არიან აღელვებულნი, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობისგან ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას მოვითხოვთ, და გაიძახიან: «ეს საქმის სრული უცოდინარობაა; საქმე ის არის, რომ ჩვენი პროგრამის პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონმდებლობის საშუალებით, დროებითი მთავრობა კი საკანონმდებლო დაწესებულება როდიაო». «კანონის საწინააღმდეგო ქმედობათა» წინააღმდეგ მიმართულ ამ პროკურორულ სიტყვას რომ კითხულობ, ეჭვი გეპარება, ხომ არ მიუძღვნა ეს სტატია «სოციალ-დემოკრატს» რომელიმე ლიბერალმა ბურჟუამ, რომელიც მოწიწებით შეჰყურებს კანონიერებას?* სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ის ბურჟუაზიული ბრძენთა-ბრძენობა, რომ დროებით რევოლუციურ მთავრობას ვითომც ძველი კანონების გაუქმებისა და ახლის შემოღების უფლება არა აქვს! განა ამ

* ეს აზრი მით უფრო გვებადება, რომ მენშევიკებმა «სოციალ-დემოკრატის» № 5-ში მთელი თბილისის ბურჟუაზიიდან «საერთო საქმის» მოღალატეებად მხოლოდ ათიოდე ვაჭარი გამოაცხადეს. როგორც სჩანს, დანარჩენნი მათი მომხრენი არიან და მენშევიკებთან ერთი «საერთო საქმე» აქვთ. რაღა გასაკვირველია, რომ «საერთო საქმის» ამ რომელიმე მომხრეს აელო და თავისი კოლეგების ორგანოში გაეგზავნა «კრიტიკული» სტატია შეურიგებელი «უმრავლესობის» წინააღმდეგ.

მსჯელობას უხამსი ლიბერალიზმის სუნი არ უდის? და განა უცნაური არაა, როცა ეს რევოლუციონერისგან გესმის? ეს ხომ იმ განწირულს მოგვაგონებს, რომელსაც თავის მოჭრას უპირებდნენ, ის კი იხვეწებოდა, კისერზე მუწუკი არ მატკინოთო. თუმცაღა, ყველაფერი ეპატიება ისეთ «კრიტიკოსებს», რომლებსაც დროებითი რევოლუციური მთავრობა მინისტრთა ჩვეულებრივი კაბინეტისგან ვერ გაურჩევიათ (კაცმა რომ სთქვას, მათი ბრალიც არ არის, მასწავლებლებმა მარტინოვაკიმოვებმა მიიყვანეს ისინი აქამდე). რა არის მინსტრთა კაბინეტი? — მუდმივი მთავრობის **არსებობის** შედეგი. დროებითი რევოლუციური მთავრობა რაღაა? — მუდმივი მთავრობის **ზოსპობის** შედეგი. მინისტრთა კაბინეტს სისრულეში მოჰყავს **არსებული** კანონები მუდმივი არმიის დახმარებით. დროებითი რევოლუციური მთავრობა აუქმებს არსებულ კანონებს და მათ ნაცვლად აჯანყებული ხალხის დახმარებით აკანონებს რევოლუციის ნებას. რა არის მათ შორის საერთო?

ვთქვათ, რევოლუციამ გაიმარჯვა და გამარჯვებულმა ხალხმა დროებითი რევოლუციური მთავრობა შეადგინა. იბადება კითხვა: რა ქნას ამ მთავრობამ, თუ კანონების გაუქმებისა და შემოღების უფლება არა აქვს? დამფუძნებელ კრებას უცადოს? ამ კრების მოწვევაც ხომ ახალი კანონების შემოღებას მოითხოვს, მაგალითად: საყოველთაო, პირდაპირ და ა. შ. საარჩევნო უფლებას, სიტყვის, ბეჭდვის, კრებების და სხვ. თავისუფლებას. ყოველივე ეს კი ჩვენს პროგრამა-მინიმუმში შედის. და თუ დროებით რევოლუციურ მთავრობას მისი განხორციელება არ შეუძლია, რით იხელმძღვანელებს დამფუძნებელი კრების მოწვევისას? ბულიგინის [45] შედგენილი და ნიკოლოზ II-ის მოწონებული პროგრამით ხომ არა?

წარმოვიდგინოთ კიდევ, რომ გამარჯვებული ხალხი, რომელმაც მრავალი მსხვერპლი გაიღო იარაღის უქონლობის გამო, კონტრრევოლუციასთან ბრძოლის მიზნით დროებითი

რევოლუციური მთავრობისგან მოითხოვს მუდმივი არმიის მოსპობას და ხალხის შეიარაღებას. ამ დროს გამოდიან მენშევიკები ქადაგებით: მუდმივი არმიის მოსპობა და ხალხის შეიარაღება ამ უწყების (დროებითი რევოლუციური მთავრობის) საქმე კი არ არის, არამედ მეორის — დამფუძნებელი კრებისა — მიმართეთ მას, კანონის საწინააღმდეგო აქტებს ნუ მოითხოვთო და სხვ. კარგი მრჩევლები კი ყოფილან, თქვენმა მზემ!

ახლა ვნახოთ, რა საფუძველზე ართმევენ მენშევიკები დროებით რევოლუციურ მთავრობას «უფლებამოსილებას». ჯერ ერთი, იმ საფუძველზე, რომ იგი საკანონმდებლო დაწესებულება არ არის, და მეორე, — დამფუძნებელ კრებას გასაკეთებელი არაფერი ექნებაო. აი როგორ შეირცხვინეს თავი ასეთი ლაპარაკით ამ პოლიტიკურმა ბალღებმა! მათ თურმე არც კი იციან, რომ გამარჯვებული რევოლუცია და მისი ნების გამომხატველი — დროებითი რევოლუციური მთავრობა - მუდმივი მთავრობის შედგენამდე მდგომარეობის ბატონპატრონები არიან და, მაშასადამე, შეუძლიათ გააუქმონ და შემოიღონ კანონები! ეს რომ სხვანაირად იყოს, დროებით რევოლუციურ მთავრობას ეს უფლებები რომ არ ჰქონდეს, მაშინ მის არსებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა და აჯანყებული ხალხი ასეთ ორგანოს არ შექმნიდა. უცნაურია, რომ მენშევიკებს რევოლუციის ანბანი დავიწყებიათ.

მენშევიკები კითხულობენ: რაღა უნდა გააკეთოს დამფუძნებელმა კრებამ, თუ ჩვენს პროგრამა-მინიმუმს დროებითი რევოლუციური მთავრობა განახორციელებსო? თქვენ შიშობთ, ღირსეულნო, რომ მას უმუშევრობა შეაწუხებს. ნუ გეშინიათ, მას საკმაო სამუშაო ექნება. იგი დაადასტურებს იმ ცვლილებებს, რომლებსაც დროებითი რევოლუციური მთავრობა მოახდენს აჯანყებული ხალხის დახმარებით, იგი შეიმუშავებს ქვეყნის კონსტიტუციას, რომელშიც ჩვენი პროგრამა-მინიმუმი მხოლოდ შესადგენელი ნაწილი იქნება. აი რას მოვთხოვთ დამფუძნებელ კრებას!

«მათ (ბოლშევიკებს) ვერ წარმოუდგენიათ განხეთქილება თვით წვრილ ბურჟუაზიასა და მუშებს შორის, განხეთქილება, რომელიც არჩევნებზეც მოახდენს გავლენას, და, მაშასადამე, დროებითი მთავრობა მოისურვებს **თავისი** კლასის სასარგებლოდ დაჩაგროს ამომრჩეველი მუშებიო», — სწერენ «კრიტიკოსები». ვისაც შეუძლია, გაიგოს ეს სიბრძნე! რას ნიშნავს: «დროებითი მთავრობა მოისურვებს თავისი კლასის სასარგებლოდ დაჩაგროს ამომრჩეველი მუშები»!!? რა დროებით მთავრობაზე ლაპარაკობენ ისინი, რა ქარის წისქვილებს ებრძვიან ეს დონ კიხოტები? განა ვინმე ამბობდა, რომ თუ მარტო წვრილმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში დროებითი რევოლუციური მთავრობა, იგი მაინც მუშათა ინტერესებს დაიცავსო? სხვას რატომ ახვევთ თავს თქვენს საკუთარ უაზრობას? ჩვენ ვამბობთ, რომ დემოკრატიის წარმომადგენლებთან ერთად განსაზღვრულ პირობებში შესაწყნარებელია დროებით რევოლუციურ მთავრობაში ჩვენი სოციალ-დემოკრატიული დელეგატების მონაწილეობაც. თუ ეს ასეა, თუ ლაპარაკია ისეთ დროებით რევოლუციურ მთავრობაზე, სადაც სოციალ-დემოკრატებიც შედიან, როგორღა იქნება ის წვრილბურჟუაზიული თავისი შემადგენლობით? ჩვენს საბუთებს კი დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის შესახებ იმაზე ვამყარებთ, რომ დემოკრატიის – გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის (რომელსაც თქვენ, მენშევიკები, თქვენს პარტიაში იწვევთ) ინტერესებს ძირითადად არ ეწინააღმდეგება ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელება და ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია მასთან ერთად განვახორციელოთ იგი. ხოლო თუ დემოკრატია ხელს შეუშლის ზოგიერთი მისი პუნქტის განხორციელებას, მაშინ ჩვენი დელეგატები, რომლებსაც ქუჩიდან მხარს დაუჭერენ თავიანთი ამომრჩევლები, პროლეტარიატი, შეეცდებიან განახორციელონ ეს პროგრამა ძალით, თუ იგი ექნებათ (თუ ეს ძალა არ გვექნება, დროებით მთავრობაში არ შევალთ და არც აგვირჩევს

ვინმე). როგორც ხედავთ, სოციალ-დემოკრატია დროებით რევოლუციურ მთავრობაში სწორედ იმისთვის უნდა შევიდეს, რომ იქ სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი დაიცვას, ე. ი. სხვა კლასებს არ შეალახვინოს პროლეტარიატის ინტერესები.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლები დროებით რევოლუციურ მთავრობაში ბრძოლას გამოუცხადებენ არა პროლეტარიატს, როგორც ეს ელანდებათ მენშევიკებს თავიანთი უაზრობის გამო, არამედ პროლეტარიატის მხარდამხარ — პროლეტარიატის მტრებს. მაგრამ რა გესაქმებათ თქვენ, მენშევიკებს, ყოველივე ამასთან, რა გესაქმებათ რევოლუციასთან და მის დროებითს მთავრობასთან! თქვენი ადგილი იქ, «სახ[ელმწიფო სათათბირო]შია»]...*

სტატიის პირველი ნაწილი დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლაში» № 11, 1905 წ. 15 აგვისტოს.
მეორე ნაწილი, რომელიც აღმოჩენილია არქივში რუსული თარგმანის სახით, პირველად იბეჭდება.
სტატია ხელმოუწერელია.

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

პასუხად «სოციალ-დემოკრატს» [46]

უწინარეს ყოვლისა ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ პასუხი დავაგვიანე. რას იზამ: საქმემ სხვა დარგში მომთხოვა მუშაობა, და მეც იძულებული გავხდი დროებით გადამედო ჩემი პასუხი; მოგეხსენებათ — ჩვენი თავი ჩვენს ხელთ არაა.

მეორე, საჭიროა შევნიშნო აი რა: ბევრს ისე ჰგონია, რომ ბროშურის — «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» — ავტორი კავშირის კომიტეტია და არა ცალკე პიროვნება. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ამ ბროშურის ავტორი მხოლოდ მე ვარ. კავშირის კომიტეტისა — მარტო რედაქციაა.

ახლა კი შევუდგეთ საქმეს.

მოპირდაპირე მიკიჟინებს: «სადაო საგანს ვერ ხედავ», «კითხვებს აფუჩეჩებო»*; «სადაო ორგანიზაციული საკითხებია, და არა პროგრამაო» (გვ. 2).

ოდნავი დაკვირვებაა საჭირო, რომ მისი სიყალბე გამოირკვეს. საქმე იმაშია, რომ ჩემი ბროშურა პასუხია «სოციალ-დემოკრატის» **პირველ** ნომერზე,— ბროშურა უკვე მიცემული იყო დასაბეჭდად, როცა «სოციალ-დემოკრატის» მეორე ნომერი გამოვიდა. რას ამბობს ავტორი პირველ ნომერში? მხოლოდ იმას, რომ «უმრავლესობა» იდეალიზმის გზას ადგია და მისი პოზიცია

* იხ. «პასუხი კავშირის კომიტეტს» [47], გვ. 4.

მარქსიზმს «ძირიანად ეწინააღმდეგებაო». აქ **კრინტიც არაა დაძრული** ორგანიზაციულ საკითხებზე. რა უნდა მეპასუხა მე? მხოლოდ ის, რაც ვუპასუხე: «უმრავლესობა» ნამდვილ მარქსისტულ გზას ადგია, და თუ ეს ვერ გაუგია «უმცირესობას», ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილ მარქსიზმს თვითონვე ასცილებია. ასე მოიქცეოდა ყველა, ვისაც პოლემიკისა ესმის რამე. ავტორი კი ახირებულა: რატომ ორგანიზაციულ საკითხებს არ ეხებიო. იმიტომ არ ვეხები, ღირსეულო ფილოსოფოსო, რომ თქვენ მაშინ კრინტიც არ გქონდათ დაძრული ამ საკითხებზე. შეუძლებელია პასუხი გასცე კაცს იმ საგანზე, რომელზედაც ჯერ ლაპარაკი არ ყოფილა. ცხადია, «კითხვების გადაფუჩეჩება», «სადაო საგნის დამალვა» და სხვა ამისთანები ავტორის გამოგონებაა. პირიქით, მე საბუთი მაქვს თვითონ მას შევწამო ზოგიერთი საკითხის გადამალვა. ის ამბობს, რომ «სადაო ორგანიზაციული კითხვებიაო», მაშინ როდესაც ჩვენს შორის **ტაქტიკური** უთანხმოებაც არსებობს, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ორგანიზაციულს. ჩვენი «კრიტიკოსი» კი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ამ უთანხმოებას თავის ბროშურაში. აი ამასა ჰქვია «კითხვების გადაფუჩეჩება».

რაზეა ლაპარაკი ჩემს ბროშურაში?

დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება კაპიტალისტურადაა მოწყობილი. აქ ორი დიდი კლასი არსებობს: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული. პირველს მისი ცხოვრების პირობები აიძულებს, რომ კაპიტალისტური წესები გაამაგროს. მეორეს კი იგივე პირობები აიძულებს, რომ შეარყიოს და ძირს დასცეს კაპიტალისტური წესები. ამ ორი კლასის შესაბამისად შეგნებაც ორნაირი მუშავდება: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის პირობებს სოციალისტური შეგნება შეეფერება. ამიტომ პროლეტარიატი იღებს ამ შეგნებას, ითვისებს მას და გაორკეცებული ძალით ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას. რა თქმა უნდა, კაპიტალიზმი და კლასთა ბრძოლა რომ არ ყო-

ფილიყო, აღარც სოციალისტური შეგნება იქნებოდა. მაგრამ ახლა საკითხი ის არის, თუ ვინ იმუშავებს, ვის შეუძლია შეიმუშაოს ეს სოციალისტური შეგნება (ე. ი. მეცნიერული სოციალიზმი). კაუცკი ამბობს და მე ვიმეორებ მის აზრს, რომ პროლეტარების მასას, სანამ ისინი პროლეტარებად რჩებიან, არა აქვს არც დრო და არც საშუალება, რომ სოციალისტური შეგნება შეიმუშაოს. «თანამედროვე სოციალისტური შეგნება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე», — ამბობს კაუცკი*. მეცნიერების მატარებელი კი ინტელიგენტებია, მათ რიცხვში, მაგალითად, მარქსი, ენგელსი და სხვები, რომლებსაც დროც აქვთ და საშუალებაც, რომ მეცნიერებას ჩაუდგნენ სათავეში და სოციალისტური შეგნება შეიმუშაონ. ცხადია, სოციალისტური შეგნების შემუშავება — ეს ცალკეული ინტელიგენტ-სოციალდემოკრატების საქმე ყოფილა, რომლებსაც დროც შესწევთ ამისთვის და საშუალებაც.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს თავისთავად სოციალისტურ შეგნებას, თუ კი ის პროლეტარიატში არ გავრცელდება? ის ცალიერ სიტყვებად დარჩება და მეტი არაფერი! სულ სხვანაირად დატრიალდება საქმე, თუ პროლეტარიატში გავრცელდება ეს შეგნება: პროლეტარიატი შეიგნებს თავის მდგომარეობას და **აჩქარებული** ნაბიჯით გაექანება სოციალისტური ცხოვრებისკენ. აი აქ ჩნდება სოციალ-დემოკრატია (და არა მარტო ინტელიგენტი-სოციალდემოკრატები), რომელსაც შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება. ამაზე ამბობს კაუცკი, რომ «სოციალისტური შეგნება გარედანაა შეტანილი პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაშიო»**.

ამგვარად, სოციალისტურ შეგნებას იმუშავებენ ცალკეული ინტელიგენტი-სოციალდემოკრატები. ხოლო მუშათა მოძრაობაში ეს შეგნება შეაქვს მთელ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც

---

* იხ. კ. კაუცკის წერილი, რომელიც «Что делать?»-შია მოყვანილი, გვ. 27.

** იქვე.

შეგნებულ ხასიათს აძლევს პროლეტარიატის სტიქიურ ბრძოლას.

ამაზეა ლაპარაკი ჩემს ბროშურაში.

ასეთია მარქსიზმის და მასთან ერთად «უმრავლესობის» პოზიცია.

რას ამბობს ამის წინააღმდეგს ჩემი მოპირდაპირე?

ბევრს არაფერს მაინცდამაინც. ის გინებას უფრო ბევრ დროს ანდომებს, ვიდრე საკითხების გამორკვევას. სჩანს, ძალიან გაკუჭებულა! ის გულდაგულ არ უხვდება საკითხებს, პირდაპირ კი არ უპასუხებს მათ, არამედ მხდალი «მებრძოლივით» გაურბის კამათის საგანს, თვალთმაქცურად აფუჩეჩებს ნათლად დაყენებულ საკითხებს, თანაც ქვეყანას არწმუნებს, ყველა საკითხი ერთბაშად გამოვარკვიეო! აი, მაგალითად, ავტორი საერთოდ არ აყენებს სოციალისტური შეგნების **შემუშავების** საკითხს. ის ვერ ბედავს პირდაპირ სთქვას, თუ ვის ემხრობა ამ საკითხში: კაუცკის თუ «ეკონომისტებს». მართალია, «სოციალ-დემოკრატის» პირველ ნომერში ძალიან თამამად კრიტიკოსობდა ჩვენი «კრიტიკოსი», მაშინ ის პირდაპირ «ეკონომისტების» ენაზე ლაპარაკობდა. მაგრამ რა ვუყოთ მერე? მაშინ სხვა იყო, ახლა ის «სხვა გუნებაზე» დამდგარა და კრიტიკის მაგიერ გვერდს უვლის ამ საკითხს, ალბათ იმიტომ, რომ თავის შეცდომაში დარწმუნებულა. ესაა, რომ ვერ გაუბედნია პირდაპირ აღიაროს ეს შეცდომა. საერთოდ, ორ ცეცხლს შუაა ჩვენი ავტორი, ვერ გაუკვლევია, ვის მიემხროს. თუ «ეკონომისტებს» მიემხრო, მაშინ კავშირი უნდა შეწყვიტოს კაუცკისთან და მარქსიზმთან — ეს კი ხელსაყრელი არაა მისთვის; ხოლო თუ კავშირს შეწყვეტს «ეკონომიზმთან» და კაუცკის მიემხრობა, მაშინ უეჭველად უნდა მოუწეროს ხელი «უმრავლესობასაც»— ეს კი ვერ გაუბედნია, და არის ასე ორ ცეცხლს შუა. მაშ რა ქნას ჩვენმა «კრიტიკოსმა»? აქ გაჩუმება სჯობიაო, სჩრის იგი და მართლაც ლაჩრულად გვერდს უვლის შუმოთ წამოყენებულ საკითხს.

რას ამბობს ავტორი **შეგნების შეტანაზე?**

აქაც იმავე ორჭოფობასა და სიმხდალეს იჩენს. ის საკითხს აბრუნებს და დიდი რიხით გვიკიჟინებს: კაუცკი სულაც არ ამბობს, ვითომ «ინტელიგენციას შეაქვს გარედმიდან მუშათა კლასში სოციალიზმიო» (გვ. 7).

კეთილი, მაგრამ ამას ხომ არც ჩვენ — ბოლშევიკები ვამბობთ, ბ-ნო «კრიტიკოსო», რატომ მოგინდომებიათ ჭარის წისქვილებთან შებრძოლება? რად ვერ გაიგეთ, რომ ჩვენი აზრით, ბოლშევიკების აზრით, სოციალ-დემოკრატიას* შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალდემოკრატებს? რადა გგონიათ, რომ სოციალ-დემოკრატიაში მარტო ინტელიგენტებია? რით ვერ გაიგეთ, რომ სოციალ-დემოკრატიაში გაცილებით უფრო მეტია მოწინავე მუშები, ვიდრე ინტელიგენტები? ნუთუ არ შეუძლიათ სოციალდემოკრატ-მუშებს სოციალისტური შეგნების შეტანა მუშათა მოძრაობაში?

ავტორს თვითონ უგრძვნია თავისი «საბუთის» უსაბუთობა და ახლა მეორე «საბუთისთვის» მიუმართავს.

«კაუცკი სწერს, — განაგრძობს ჩვენი «კრიტიკოსი»: «პროლეტარიატთან ერთად ბუნებრივი აუცილებლობით ებადება სოციალისტური **მიდრეკილება** როგორც თვით პროლეტარებს, ისე იმათ, რომელნიც ითვისებენ პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს; ასე აიხსნება სოციალისტურ **ლტოლვილებათა** წარმოშობა». აქედან აშკარაა, განმარტავს ჩვენი «კრიტიკოსი», რომ **სოციალიზმი** გარედმიდან კი არ შედის პროლეტარიატში, არამედ, პირიქით, პროლეტარიატისგან გამოდის გარეთ და შედის იმ პირთა თავში, რომელნიც პროლეტარიატის შეხედულებას ითვისებენ» («პასუხი კავშირის კომიტეტს», გვ. 8).

ასე სწერს ჩვენი «კრიტიკოსი» და ჰგონია, საკითხი გამოვარკვიეო! რას ნიშნავს კაუცკის სიტყვები? მხოლოდ იმას, რომ

* იხ. «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე», გვ. 16. (იხ. ეს ტომი, გვ. 99. რ ე დ.).

სოციალისტური **ლტოლვილება** თავისთავად ებადება პროლეტარებს. და ეს, რა თქმა უნდა, სწორია. ჩვენ კი კამათი გვაქვს არა სოციალისტურ ლტოლვილებაზე, არამედ სოციალისტურ **შეგნებაზე**! საიდან სადაო? განა ლტოლვილება და შეგნება ერთია? ნუთუ ვერ არჩევს ავტორი «სოციალისტურ მიდრეკილებას» «სოციალისტური შეგნებისგან»? და განა აზრის სიღატაკე არაა, როცა ის კაუცკის სიტყვებიდან დაასკვნის, რომ «სოციალიზმი გარედმიდან არ შედისო»? რა საერთო აქვს «სოციალისტური მიდრეკილების წარმოშობას» სოციალისტური შეგნების შეტანასთან? განა იგივე კაუცკი არ ამბობს, რომ «სოციალისტური შეგნება **გარედანაა** შეტანილი პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაშიო» (იხ. «Что делать?», გვ. 27)?

ავტორი, ეტყობა, თვითონაც ამჩნევს თავისი მდგომარეობის სიყალბეს და იძულებულია დაასკვნას: «კაუცკის ციტატიდან მართლა გამოდის, რომ სოციალისტური შეგნება გარედან შედის კლასთა ბრძოლაში» (იხ. «პასუხი კავშირის კომიტეტს», გვ. 7). მაგრამ ვერ გაუბედნია პირდაპირ და თამამად აღიაროს ეს მეცნიერული სიმართლე. აქაც ისეთსავე ორჭოფობასა და ლოგიკურ სილაჩრეს იჩენს ჩვენი «მეუმცირესე», როგორც ზემოთ.

ასეთ ორჭოფულ «პასუხს» იძლევა ბ-ნი «კრიტიკოსი» ორ უმთავრეს საკითხზე.

რაღა უნდა ვთქვა დანარჩენ წვრილ საკითხებზე, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობენ ამ მთავარი საკითხებიდან? უკეთესი იქნება, თუ მკითხველი თვითონვე შეადარებს ჩემსა და ავტორის ბროშურებს. საჭიროა მხოლოდ კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ. ავტორს რომ ჰკითხო, ჩვენი აზრით «განხეთქილება იქიდან წარმოსდგება, რომ ყრილობამ... აქსელროდი, ზასულიჩი და სტაროვერი არ აირჩია რედაქტორებათ»... (გვ. 13, «პასუხი»), რომ ჩვენ ამით «უარვყოფთ განხეთქილებას, მის პრინციპიალურ სიღრმეს ვმალავთ და მთელი ოპოზიცია სამი «აბუნტებული» რედაქტორის საქმეთ გამოგვაქვს» (იხ. იქვე, გვ. 16).

აქ ავტორს ისევ არევდარევა შეაქვს საკითხებში. საქმე ისაა, რომ აქ ორი საკითხია დაყენებული: **მიზეზი** განხეთქილებისა და **ფორმა** უთანხმოების გამოვლინებისა.

პირველ კითხვაზე მე პირდაპირ ვიძლევი პასუხს: «ახლა ცხადია, თუ **რა ნიადაგზე** აღმოცენდა პარტიული უთანხმოება. როგორც ხედავთ, ჩვენს პარტიაში ორგვარი მიდრეკილება გამოირკვა: მიდრეკილება **პროლეტარული სიმტკიცისა** და მიდრეკილება **ინტელიგენტური რყევისა**. და აი, ამ ინტელიგენტური რყევის გამოხატულებაა დღევანდელი «უმცირესობა»» (იხ. «გაკვრით», გვ. 46)*. როგორც ხედავთ, აქ მე **ვხსნი** უთანხმოებას ჩვენს პარტიაში ინტელიგენტური და პროლეტარული მიდრეკილებების არსებობით და არა მარტოვ-აქსელროდის საქციელით. მარტოვისა და სხვების ყოფაქცევა მხოლოდ **გამოხატულებაა** ინტელიგენტური მერყეობისა. მაგრამ ჩვენს «მეუმცირესეს», როგორც სჩანს, ვერ გაუგია ჩემი ბროშურის ეს ადგილი.

რაც შეეხება მეორე საკითხს, მე მართლაც ვამბობდი და მუდამ ვიტყვი, რომ «უმცირესობის» მეთაურნი **«პირველი ადგილებისთვის»** ტიროდნენ და სწორედ ასეთი **ფორმა** მისცეს პარტიულ ბრძოლას. ჩვენს ავტორს არ სურს ეს აღიაროს. მაგრამ ეს ფაქტია, რომ «უმცირესობის» მეთაურნი პარტიას გაეფიცნენ, პირდაპირ ითხოვდნენ ადგილებს ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალურ ორგანოში, პარტიის საბჭოში და თანაც ამბობდნენ: «ეს ერთადერთი პირობაა, რომლის დაკმაყოფილებასაც შეუძლია ააშოროს პარტიას საშიშარი განხეთქილებაო» (იხ. «Комментарий», გვ. 26). მაშ რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ «უმცირესობის» მეთაურებს არა იდეური ბრძოლა, არამედ «ადგილებისთვის ბრძოლა» ეწერათ თავიანთ დროშაზე? როგორც ცნობილია, მათ არავინ უშლიდა იდეურ-პრინციპულ ბრძოლას. განა არ უთხრეს მათ «მეუმრავლესეებმა»: ცალკე ორგანო იქონიეთ და ისე იბრძოლეთ, პარტიას

* იხ. ეს ტომი, გვ. 124. რედ.

შეუძლია ასეთი ორგანო დაგიარსოთო (იხ. «Комментарий»)? რატომ არ დათანხმდნენ, თუ მათ მართლა პრინციპები აინტერესებდათ და არა «პირველი ადგილები»?

ყოველივე ამას ჩვენში მენშევიკთა ბელადების პოლიტიკური უხასიათობა ეწოდება. ნუ გწყინთ, ბატონებო, თუ საგანს თავის სახელს ვარქმევთ.

«უმცირესობის» ბელადები წინათ ეთანხმებოდნენ მარქსიზმსა და ლენინს, რომ სოციალისტური შეგნება გარედან შედის მუშათა მოძრაობაშიო (იხ. № 1 «ისკრის» საპროგრამო წერილი). შემდეგ კი მათ რყევა დაიწყეს და ბრძოლა გამოუცხადეს ლენინს, — სწვავდნენ იმას, რასაც გუშინ ეთაყვანებოდნენ! მე ამას წაჯექ-უკუჯექობა დავარქვი, და ნურც ეს გეწყინებათ, ბატონო მენშევიკებო.

გუშინ თქვენ ცენტრებს თაყვანს სცემდით და თავზე ცეცხლს გვაყრიდით — უნდობლობა რატომ გამოუცხადეთ ცენტრალურ კომიტეტსო. დღეს კი თქვენ ძირს უთხრით არა თუ ცენტრებს, არამედ ცენტრალიზმსაც (იხ. «Первая общерусская конференция»). ამას მე უპრინციპობას ვარქმევ, და იმედია არც ამაზე გამირისხდებით, ბატონო «მეუმცირესენო».

ადგილებისთვის ბრძოლას, პოლიტიკურ უხასიათობას, წაჯექ-უკუჯექობას, უპრინციპობას და სხვა ამისთანა თვისებებს რომ თავი მოუყაროთ, მიიღებთ საერთო თვისებას — **ინტელიგენტურ მერყეობას,** რომელიც ყველაზე პირველად ინტელიგენტებსა სჭირთ. ცხადია, ინტელიგენტური რყევა ის ნიადაგია (ბაზისია), რომელზეც შენდება «ადგილებისთვის ბრძოლა», «უპრინციპობა» და სხვ. ინტელიგენტების მერყეობა კი მათი საზოგადოებრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. აი როგორ ვხსნით ჩვენ პარტიულ განხეთქილებას. გაიგეთ ახლა, ჩვენო ავტორო, თუ რა გარჩევა ყოფილა განხეთქილების მიზეზსა და ფორმებს შორის? ვეჭვობ, რომ გაიგოთ.

აი რა შეუსაბამო და ორჭოფული პოზიცია უჭირავს «სოციალ-დემოკრატს» და მის ახირებულ «კრიტიკოსს». სამა-

გიეროდ, ეს «კრიტიკოსი» ძალიან სიყოჩაღეს იჩენს სხვა სფეროში. თავის რვაფურცლიან ბროშურაში მან რვა იმისთანა ტყუილი გამოახტუნა ბოლშევიკებზე, რომ სიცილი აგივარდებათ. არ გჯერათ? აი ფაქტები.

ტყუილი პირველი. ავტორის აზრით, «ლენინსა სურს პარტია შეავიწროოს, ვიწრო პროფესიონალურ ორგანიზაციათ გადააქციოს» (გვ. 2). ლენინი კი ამბობს: «არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვითომ პარტიული ორგანიზაციები მარტო პროფესიული რევოლუციონერებისგან უნდა შესდგებოდეს. ჩვენ ბევრნაირი ორგანიზაციები გვესაჭიროება სხვადასხვა ჯურისა და სახის, დაწყებული ვიწრო კონსპირაციული ორგანიზაციებიდან და გათავებული ძალიან ფართო და თავისუფალი ორგანიზაციებით» («Протоколы», გვ. 240).

ტყუილი მეორე. ავტორის სიტყვით, ლენინს სურს პარტიაში «მარტო კომიტეტის წევრები შეიყვანოს» (გვ. 2). ლენინი კი ამბობს: «ყველა **ჯგუფი, წრე, ქვეკომიტეტი და სხვ.** საკომიტეტო დაწესებულებების ან კომიტეტის საფილიალო განყოფილებების მდგომარეობაში უნდა იყვნენ. ზოგი მათგანი პირდაპირ განაცხადებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შესვლის სურვილს და, თუ კომიტეტი დაამტკიცებს, **შევა მის შემადგენლობაში**» (იხ. «Письмо к товарищу», გვ. 17)*[48].

ტყუილი მესამე. ავტორის აზრით, «ლენინი თხოულობს პარტიაში ინტელიგენტების გაბატონებას» (გვ. 5). ლენინი კი ამბობს: «კომიტეტში უნდა იყვნენ... რამდენადაც შესაძლებელია, მუშათა მოძრაობის ყველა მთავარი **წინამძღოლი** თვით მუშებიდან» (იხ. **«Письмо к товарищу»**, გვ. 7—8), ე. ი. არამც თუ სხვა ორგანიზაციებში, არამედ კომიტეტშიც მოწინავე მუშების ხმა უნდა ბატონობდესო.

---

* როგორც ხედავთ, ლენინის აზრით ცენტრალურ კომიტეტს გარდა ადგილობრივ კომიტეტსაც შესძლებია პარტიაში ორგანიზაციების შეყვანა.

ტყუილი მეოთხე. ავტორი ამბობს, რომ ჩემი ბროშურის მე-12 გვერდზე მოყვანილი ციტატა «მუშათა კლასი სტიქიურად მიიღტვის სოციალიზმისკენ» და სხვ., «ერთიანად გამოგონილია» (გვ. 6), მაშინ როდესაც მე ეს ადგილი პირდაპირ გადმოთარგმნილი მაქვს წიგნიდან «Что делать?». აი რა სწერია მის ოცდამეცხრე გვერდზე: «Рабочий класс стихийно влечется к социализму, но наиболее распространенная (и постоянно воскрешаемая в самых разнообразных формах) буржуазная идеология тем не менее стихийно всего более навязывается рабочему». ეს ადგილია გადმოთარგმნილი ჩემი ბროშურის მე-12 გვერდზე: «მუშათა კლასი სტიქიურად მიიღტვის სოციალიზმისკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უფრო ძლიერაა გავრცელებული (და რომელიც მუდამ სხვადასხვა ტანისამოსში მოგვევლინება ხოლმე), ყველაზე უფრო დაჟინებით სტიქიურად ეკვიატება მუშას». ამას ეძახის ჩვენი «კრიტიკოსი» ციტატის გამოგონებას! არ ვიცი, რას მივაწერო ეს, ავტორის გულმავიწყობას თუ შარლატანობას.

ტყუილი მეხუთე. ავტორის აზრით, «ლენინი არსად არ ამბობს, რომ მუშები «ბუნებრივი აუცილებლობით» მიდიან სოციალიზმისკენო» (გვ. 7). ლენინი კი ამბობს, რომ «მუშათა კლასი სტიქიურად მიიღტვის სოციალიზმისკენო» («Что делать?», გვ. 29).

ტყუილი მეექვსე. ავტორი იმ აზრს მაწერს, ვითომ ჩემი შეხედულებით «ინტელიგენციას შეაქვს გარედმიდან მუშათა კლასში სოციალიზმი» (გვ. 7), მაშინ როდესაც მე ვამბობ, რომ «სოციალ-დემოკრატიას (და არა მარტო ინტელიგენტ-სოციალდემოკრატებს) შეაქვს მოძრაობაში სოციალისტური შეგნება» (გვ. 18).

ტყუილი მეშვიდე. ავტორის აზრით, ლენინი ამბობს, რომ სოციალისტური იდეოლოგია შემუშავდა «სრულიათ დამოუკიდებლათ მუშათა მოძრაობისგან» (გვ. 9). ლენინს კი უთუოდ

ფიქრადაც არ მოსვლია ეს აზრი. ის ამბობს, რომ სოციალისტური იდეოლოგია შემუშავდა «სრულიად დამოუკიდებლად მუშათა მოძრაობის **სტიქიური ზრდისგან**» («Что делать?», გვ. 21).

ტყუილი მერვე. ავტორი ამბობს, რომ ჩემი ცნობა: «პლეხანოვი «უმცირესობასაც» **ანებებს** თავს» — ჭორიაო. მაშინ როდესაც ჩემი ცნობა გამართლდა; პლეხანოვმა **უკვე** გაანება თავი «უმცირესობას»...*

მე აღარ ვეხები წვრილმან ტყუილებს, რომლებიც უხვადაა გაბნეული ავტორის ბროშურაში.

ერთ სიმართლეს კი ამბობს, ღვთის წინაშე, ჩვენი ავტორი. ის გვეუბნება, «როცა რომელიმე ორგანიზაცია ჭორიკანობას დაიწყებს, მისი დღე დათვლილიაო» (გვ. 15). ეს, რა თქმა უნდა, სრული ჭეშმარიტებაა. საკითხავი ის არის, თუ ვინ ჭორიკანობს: «სოციალ-დემოკრატი» მისი ახირებული რაინდით, თუ კავშირის კომიტეტი. ამას მკითხველი განსჯის.

კიდევ ერთი საკითხიც და გავათავოთ. ავტორი დიდი ამბით გვეუბნება: «ჩვენ გვაყვედრის კავშ. კომიტეტი, პლეხანოვის აზრებს იმეორებთო. პლეხანოვის, კაუცკის და სხვა **ასეთი** ცნობილი მარქსისტების განმეორება ჩვენ ღირსებათ მიგვაჩნია» (გვ. 15). მაშ ასე. პლეხანოვის და კაუცკის განმეორება ღირსებად მიგვაჩნიათ. ძალიან კარგი, ბატონებო.

კაუცკი ამბობს, რომ «სოციალისტური შეგნება **გარედანაა შეტანილი** პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაში, **და არა ამ ბრძოლიდან სტიქიურად აღმოცენებული**» (იხ. ციტატა კაუცკიდან წიგნში «Что делать?», გვ. 27). იგივე კაუცკი ამბობს, რომ «სოციალ-დემოკრატიის მიზანია შეიტანოს პროლეტარიატში მისი მდგომარეობის შეგნება და მისი ამოცანების შეგნება»

---

* ამის ავტორს გამბედაობა ჰყოფნის გვიკიჟინოს «სოციალ-დემოკრატის» მე-5 №-ში — მესამე ყრილობის შესახებ ფაქტები გადამახინჯებული გაქვთო!

(იხ. იქვე). იმედია, თქვენ, ბ-ნო «მეუმცირესევ», კაუცკის ამ სიტყვებს გაიმეორებთ და ეჭვებს გაგვიფანტავთ.

შევეხოთ პლეხანოვს. პლეხანოვი ამბობს: «...არ მესმის, რატომ ფიქრობენ, რომ ლენინის პროექტი* ბევრ მუშას ჩაუკეტავს პარტიის კარებს. იმ მუშებს, რომლებსაც პარტიაში შესვლა უნდათ, ორგანიზაციაში შესვლის არ შეეშინდებათ. მათ დისციპლინის არ ეშინიათ. ორგანიზაციაში შესვლის შეეშინდებათ იმ ინტელიგენტებს, რომლებიც ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმით არიან გაჟღენთილი. მაგრამ ეს ხომ ხელსაყრელიცაა ჩვენთვის. სწორედ ეს ბურჟუაზიული ინდივიდუალისტები არიან ხოლმე სხვადასხვა ოპორტუნიზმის წარმომადგენელნი. მათი ჩამოშორება საჭიროა ჩვენთვის. ლენინის პროექტი ის ზღუდეა, რომელიც პარტიას დაიფარავს მათი შემოსევისგან და ამიტომ, ვინც კი ოპორტუნიზმის მტერია, ყველამ ხმა უნდა მისცეს ამ პროექტს» (იხ. **«Протоколы»**, გვ. 246).

იმედია, ორჰოფობას თავს დაანებებთ, ბატონო «კრიტიკოსო», და პროლეტარული პირდაპირობით გაიმეორებთ პლეხანოვის ამ სიტყვებს.

თუ ასე არ მოიქცევით, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ თქვენი განცხადებანი პრესაში მოუფიქრებელი და უპასუხისმგებლოა.

გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 11,
1905 წლის 15 აგვისტო.
სტატია ხელმოუწერელია.

---

* პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინისა და მარტოვის განსხვავებაზე ლაპარაკი.

რეაქცია მწვავდება

შავი ღრუბლები გროვდება ჩვენს თავზე. ბებერი თვითმპყრობელობა სულს იდგამს და «ცეცხლითა და მახვილით» გვეგებება. რეაქცია მწვავდება! ტყუილად მიგვითითებთ მეფის «რეფორმებზე», რომლებმაც უმსგავსი თვითმპყრობელობა უნდა გაამაგროს: «რეფორმები» მხოლოდ ნიღაბია იმ ტყვიების და მათრახებისა, რომლებითაც ასე უხვად გვიმასპინძლდება პირსისხლიანი მთავრობა.

დრო იყო, როცა მეფის მთავრობა შინაურ სისხლისღვრას ერიდებოდა. მაშინ ის «გარეშე მტერს» ეომებოდა და მისთვის საჭირო იყო «შინაური მშვიდობიანობა». ამიტომ იყო, რომ სადავეები მოუშვა «შინაური მტრების» მიმართ და შორიდან უყურებდა მოძრაობის გაჩაღებას.

მაგრამ წავიდა ის დრო. რევოლუციით შეშინებულმა მეფის მთავრობამ «გარეშე მტერთან», იაპონიასთან ზავი შეკრა, რომ წელი მოემაგრებინა და უფრო «საფუძვლიანად» გამკლავებოდა «შინაურ მტერს». და აი, დაიწყო რეაქცია. ჯერ კიდევ «Московские Ведомости»-ში[49] გვაუწყა მთავრობამ თავისი «გეგმები». მთავრობას... «ორნაირი ომის წარმოება დასჭირდა პარალელურად...—ამბობდა ეს რეაქციული გაზეთი,—საგარეო ომისა და შინაური ომისა. და თუ ვერც ერთში ვერ გამოიჩინა საკმაო ენერგია... ნაწილობრივ ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ერთი ომი მეორე ომს ხელს უშლიდა... თუ ახლა შორეულ აღმოსავლეთში ომი შეწყდება...», მთავრობას «...ბოლოს და ბოლოს ხელ-ფეხი გაეხსნება და შესაძლებლობა მიეცემა, რომ

ძლევამოსილად შეწყვიტოს შინაური ომიც... ყოველგვარი მოლაპარაკების გაუმართავად გაანადგუროს...» «შინაური მტერი»... «ომის შეწყვეტის მერე რუსეთი (იგულისხმე მთავრობა) მთელ თავის ყურადღებას შინაურ ცხოვრებას და უმთავრესად არეულობის მოსპობას მიაქცევს» (იხ. 18 აგვისტოს «Московские Ведомости»).

აი რანაირი «გეგმები» ჰქონდა მეფის მთავრობას იაპონიასთან ზავის დადების დროს.

შემდეგ, ზავის დადების მერე, იგივე «გეგმები» გაიმეორა მთავრობამ თავისი მინისტრის პირით: «რუსეთის უკიდურეს პარტიებს სისხლში ჩავახრჩობთო». მეფის ნაცვალთა და გენერალ-გუბერნატორთა მეოხებით კი მთავრობა უკვე შეუდგა ხსენებული «გეგმების» განხორციელებას: მან მთელი რუსეთი ტყუილად არ გადააქცია სამხედრო ბანაკად, ტყუილად არ აავსო მოძრაობის ცენტრები სალდათებითა და ყაზახებით და ტყვიამფრქვევები მოიმარჯვა პროლეტარიატის წინააღმდეგ, — კაცს ეგონება, ხელმეორედ აპირებს მთავრობა უზარმაზარი რუსეთის დაპყრობასო!

ლაპარაკი არ უნდა, თვითმპყრობელობა ომს უცხადებს რევოლუციას და ყველაზე პირველად პროლეტარიატს იღებს ნიშანში, როგორც რევოლუციის მოწინავე რაზმს. ასე უნდა გავიგოთ მისი მუქარა «უკიდურესი პარტიების» მიმართ. რა თქმა უნდა, მთავრობა არც გლეხკაცობისთვის დაიშურებს მათრახსა და ტყვიებს, თუ იგი «თავის ქერქში არ დაეტევა» და ადამიანურ ცხოვრებას მოითხოვს, — ჯერჯერობით კი მთავრობა ცდილობს გლეხკაცობის მოტყუებას: მიწას ჰპირდება მას და სათათბიროში იწვევს, თანაც სამერმისოდ «ყოველგვარ თავისუფლებას» უსახავს.

რაც შეეხება «სუფთა პუბლიკას», მთავრობა მას, რა თქმა უნდა, უფრო «თავაზიანად» მოექცევა და ყოველ ღონეს იხმარს კავკაზიური შეკრას მასთან: «სახელმწიფო სათათბირო ხომ ამისთვის არსებობს. ეჭვი არ არის, რომ ბატონი ლიბერალი

ბურჟუები უარს არ იტყვიან «შეთანხმებაზე». ჯერ კიდევ 5 აგვისტოს მათ თავიანთი ბელადის პირით გამოაცხადეს, რომ ისინი მეფის რეფორმებს შესტრფიან: «...ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რუსეთი... საფრანგეთის რევოლუციურ გზას ასცდესო» (იხ. 5 აგვისტოს «Русские Ведомости»[50], ვინოგრადოვის სტატია). ლაპარაკი არ უნდა, რომ მელაკუდა ლიბერალები რევოლუციას უფრო უღალატებენ, ვიდრე ნიკოლოზ II-ს. ეს საკმაოდ დაამტკიცა მათმა უკანასკნელმა ყრილობამ...

ერთი სიტყვით, მეფის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ძირს დასცეს ხალხის რევოლუცია.

ტყვიები პროლეტარიატს, ტყუილი დაპირება გლეხკაცობას და «უფლება» მსხვილ ბურჟუაზიას — აი რა ზომებით იარაღდება რეაქცია.

ან სიკვდილი, ან რევოლუციის დამხობა — ასეთია დღეს თვითმპყრობელობის ლოზუნგი.

მეორე მხრივ, არც რევოლუციას სძინავს და დაუდგრომლად აკეთებს თავის დიად საქმეებს. ომის შედეგად გაძლიერებულმა კრიზისმა და გახშირებულმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა ერთიანად ააფორიაქეს რუსეთის პროლეტარიატი და პირისპირ დაუყენეს იგი მეფის თვითმპყრობელობას. სამხედრო წესებმა არამც თუ ვერ შეაშინა პროლეტარიატი,—პირიქით, ცეცხლზე ნავთი დაასხა და უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ვისაც სმენია პროლეტარების უთვალავი ძახილი: «ძირს მეფის მთავრობა, ძირს მეფის სათათბირო!», ვინც გულდასმით დაკვირვებია მუშათა კლასის მაჯისცემას, მისთვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ რევოლუციის ბელადის—პროლეტარიატის რევოლუციური სული მაღლა და მაღლა აიწევს. რაც შეეხება გლეხკაცობას, ჯერ კიდევ სამხედრო მობილიზაციამ აამხედრა ის დღევანდელი წესწყობილების წინააღმდეგ, იმ მობილიზაციამ, რომელმაც გლეხკაცობას კერა დაუნგრია და საუკეთესო ოჯახიშვილები ხელიდან გამოაცალა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამას შიმშილობაც დაემატა, რომელმაც

26 გუბერნია მოიცვა, მაშინ ძნელი გასაგები არ იქნება. თუ რა გზას უნდა დაადგეს მრავალტანჯული გლეხკაცობა. ბოლოს დრტვინვას იწყებს სალდათობაც და ეს დრტვინვა დღითი-დღე საშიშარ ხასიათს იღებს თვითმპყრობელობისთვის. თვითმპყრობელობის ბურჯი – ყაზახები თანდათან მძულვარებას იწვევენ სალდათებში: ამას წინათ ნოვაია ალექსანდრიაში სამასი ყაზახი დახოცეს სალდათებმა*. ამისთანა ფაქტები თანდათან მატულობს...

ერთი სიტყვით, ცხოვრებაში მზადდება ახალი რევოლუციური ტალღა, რომელიც თანდათან იზრდება და რეაქციის წინააღმდეგ მიექანება. მოსკოვისა და პეტერბურგის უკანასკნელი ამბები ამ ტალღის წინამორბედია.

როგორ უნდა შევხედოთ ამ ამბებს, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა?

მენშევიკ მარტოვს რომ ჰკითხოთ, დღესვე უნდა ავირჩიოთ დამფუძნებელი კრება, რომ სამუდამოდ გამოეთხაროს ძირი მეფის თვითმპყრობელობას. მისი აზრით, სათათბიროს ლეგალურ არჩევნებთან ერთად არალეგალური არჩევნებიც უნდა მოხდეს. უნდა შესდგეს საარჩევნო კომიტეტები, რომლებიც «ხალხს მოუწოდებენ, რომ საყოველთაო კენჭისყრით აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები. ეს წარმომადგენლები შესაფერ დროს ერთ ქალაქში შეიკრიბებიან და თავიანთ თავს დამფუძნებელ კრებად გამოაცხადებენ...» ასე «უნდა მოხდეს თვითმპყრობელობის ლიკვიდაციაო»**. ესე იგი, მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელობა ცოცხალია, ჩვენ მაინც შეგვიძლია მთელ რუსეთში საყოველთაო არჩევნები მოვახდინოთო! მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელობა მძვინვარებს, ხალხის «არალეგალურ» წარმომადგენლებს მაინც შეუძლიათ დამფუძნებელ კრებად გამოაცხადონ თავიანთი თავი და დემოკრატიული რესპუბლიკა დააწესონო! თურმე, აღარც შეია-

* იხილე «პროლეტარი»[51] № 17.

** იხ. «პროლეტარი» № 15, სადაც გადმობეჭდილია მარტოვის «გეგმა»

რაღება ყოფილა საჭირო, აღარც აჯანყება, აღარც დროებითი მთავრობა, — დემოკრატიული რესპუბლიკა თავისთავად მოვა, საჭიროა მხოლოდ «არალეგალურმა» წარმომადგენლებმა დამფუძნებელი კრება დაირქვანო! გულკეთილ მარტოვს მხოლოდ ის დავიწყებია, რომ ეს საზღაპრო «დამფუძნებელი კრება» ერთ მშვენიერ დღეს პეტრე-პავლეს ციხეში ამოყოფს თავს! ჟენეველ მარტოვს ვერ გაუგია, რომ რუსეთის პრაქტიკოსებს არ სცალიათ ბურჟუაზიული ჩხირკედელაობისთვის!

არა, ჩვენ სხვა რამე გვინდა ვაკეთოთ.

შავი რეაქცია თავს უყრის ბნელ ძალებს და თავგამოდებით ცდილობს მათს შეკავშირებას, — ჩვენი ამოცანაა თავი მოვუყაროთ სოციალ-დემოკრატიულ ძალებს და მჭიდროდ გადავაჯაჭვოთ ერთმანეთზე.

შავი რეაქცია სათათბიროს იწვევს, მას უნდა ახალი მოკავშირეები იშოვოს და კონტრრევოლუციის ჯარი გაამრავლოს, — ჩვენი ამოცანაა აქტიური ბოიკოტი გამოვუცხადოთ სათათბიროს, დავანახოთ მთელ ქვეყანას მისი კონტრრევოლუციური სახე და რევოლუციის მომხრენი გავამრავლოთ.

შავი რეაქცია სასიკვდილო იერიშით მოდის რევოლუციაზე, მას უნდა ჩვენი რაზმები არივდარიოს და სამარე გაუთხაროს ხალხის რევოლუციას, ჩვენი ამოცანაა რაზმებად დავეწყოთ, ყველგან **ერთდროული** იერიში მივიტანოთ მეფის თვითმპყრობელობაზე და სამუდამოდ მოვსპოთ მისი სახსენებელი.

მარტოვის ხუხულა კი არა, საყოველთაო აჯანყება — აი რა გვინდა ჩვენ.

ხალხის ხსნა ხალხისავე ძლევამოსილ აჯანყებაშია.

ან სიკვდილი, ან რევოლუციის გამარჯვება — ასეთი უნდა იყოს დღეს ჩვენი რევოლუციური ლოზუნგი.

გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 12,
1905 წლის 5 ოქტომბერი.
სტატია ხელმოუწერელია.

ბურჟუაზია მახეს აბმებს

სექტემბრის შუა რიცხვებში მოხდა «ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა» ყრილობა. ამ ყრილობაზე დაარსდა ახალი «პარტია»[52] ცენტრალური კომიტეტით სათავეში და ადგილობრივი ორგანოებით სხვადასხვა ქალაქში. ყრილობამ მიიღო «პროგრამა», განსაზღვრა თავისი «ტაქტიკა» და შეიმუშავა სპეციალური მოწოდება, რომლითაც უნდა მიმართოს ხალხს ამ ახლად გამოჩეკილმა «პარტიამ». ერთი სიტყვით, «ერობისა და ქალაქის მოღვაწეებმა» დააარსეს თავისი საკუთარი «პარტია».

ვინ არიან ეს «მოღვაწენი», რა ჰქვია მათ?

ბურჟუა-ლიბერალები.

ვინ არიან ბურჟუა-ლიბერალები?

შეძლებული ბურჟუაზიის შეგნებული წარმომადგენლები.

შეძლებული ბურჟუაზია ჩვენი შეურიგებელი მტერია, მისი სიმდიდრე ჩვენს სიღარიბეზეა აშენებული, მისი სიხარული — ჩვენს მწუხარებაზე. ცხადია, მისი შეგნებული წარმომადგენლებიც ჩვენი მოსისხლე მტრები იქნებიან, რომლებიც **შეგნებულად** შეეცდებიან ჩვენს დამარცხებას.

მაშ ასე, შეიქმნა ხალხის მტრების «პარტია», რომელსაც განუზრახავს მოწოდებით მიმართოს ხალხს.

რა სურთ ამ ვაჟბატონებს, რას იცავენ ისინი თავიანთ მოწოდებაში?

ისინი არ არიან სოციალისტები, მათ სძულთ სოციალისტური მოძრაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ამაგრებენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას და სამკვდრო-სასიცოცხლოდ

ებრძვიან პროლეტარიატს. ამიტომ არის, რომ ისინი დიდ-თანაგრძნობას იწვევენ ბურჟუაზიულ წრეებში.

ისინი არც დემოკრატები არიან, მათ სძულთ დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ამაგრებენ მეფის ტახტს და თავგამოდებით ებრძვიან ტანჯულ გლეხკაცობასაც. ამიტომ იყო, რომ ნიკოლოზ მეორემ «შესაძლებლად» სცნო მათი კრებები და ნება დართო «პარტიული» ყრილობა მოეწვიათ.

მათ უნდათ მხოლოდ რამდენადმე შეამციროონ მეფის უფლებები, ისიც იმ პირობით, რომ ეს უფლებები ბურჟუაზიას ჩაუვარდეს ხელში. ცარიზმი კი, მათი აზრით, აუცილებლად უნდა დარჩეს, როგორც შეძლებული ბურჟუაზიის საიმედო ბურჯი, რომელსაც ის პროლეტარიატის წინააღმდეგ გამოიყენებს. ამიტომ ამბობენ ისინი თავიანთი «კონსტიტუციის პროექტში», «რომანოვების ტახტი ხელუხლებელი უნდა დარჩესო», ე. ი. მათ უნდათ კუდმოგლეჯილი კონსტიტუცია შეზღუდული მონარქიით.

ბ-ნ ბურჟუა-ლიბერალებს «საწინააღმდეგო არა აქვთ-რა», თუ ხალხსაც ექნება საარჩევნო უფლება, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ხალხის პალატას თავზე აჯდეს მდიდრების პალატა, რომელიც აუცილებლად ეცდება შეასწოროს და გააბათილოს ხალხის პალატის გადაწყვეტილებანი. ამიტომ ამბობენ ისინი თავიანთ პროგრამაში: «ჩვენთვის ორი პალატაა საჭირო».

ბატონ ბურჟუა-ლიბერალებს «ძალიან გაეხარდებათ», თუ სიტყვის, ბეჭდვისა და კავშირების თავისუფლება იქნება, ოღონდ კი გაფიცვის თავისუფლება იყოს შეზღუდული. ამიტომ არის, რომ ასე ბევრს ლაპარაკობენ ისინი «ადამიანისა და მოქალაქის უფლებაზე», გაფიცვის თავისუფლებაზე კი გარკვეულს არას ამბობენ, გარდა იმისა, რომ ფარისევლურად იღეჭებიან რაღაც «ეკონომიურ რეფორმებზე».

არც გლეხკაცობას აკლებენ თავიანთ წყალობას ეს ახირებული ვაჟბატონები, — მათ «საწინააღმდეგო არა აქვთ-რა»,

თუ გლეხების ხელში გადავა მემამულეთა მიწები, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს მიწები გამოიყიდონ მემამულეებისგან, არა თუ «მუქთად ჩაიგდონ». აი, რა გულკეთილები ყოფილან ეს უკუღმართი «მოღვაწენი»!

თუ დასცალდებათ და ყველა ეს სურვილი შეუსრულდებათ, ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ მეფის უფლებები ბურჟუაზიის ხელში მოექცევა და მეფის თვითმპყრობელობა თანდათან ბურჟუაზიის თვითმპყრობელობით შეიცვლება. აი, საით გვეწევიან «ერობისა და ქალაქის მოღვაწენი». ამიტომ არის, რომ ისინი ძილშიც კი უფრთხიან ხალხის რევოლუციას და ასე ბევრს ლაპარაკობენ «რუსეთის დამშვიდებაზე».

ამის შემდეგ საკვირველი არაა, თუ დიდი იმედებით შეხვდნენ ეს უღირსი «მოღვაწენი» ეგრეთწოდებულ სახელმწიფო სათათბიროს. როგორც ვიცით, მეფის სათათბირო ხალხის რევოლუციის უარყოფაა, ეს კი ძალიან ხელსაყრელია ჩვენი ბურჟუა-ლიბერალებისთვის. როგორც ვიცით, მეფის სათათბირო «ცოტა რამ» სარბიელს აძლევს შეძლებულ ბურჟუაზიას, ეს კი ძალიან საჭიროა ჩვენი ბურჟუა-ლიბერალებისთვის. ამიტომ არის, რომ მთელი თავიანთი «პროგრამა», მთელი თავიანთი მოქმედება მათ სათათბიროს არსებობის ვარაუდზე ააშენეს, — სათათბიროს დაშლასთან ერთად აუცილებლად დაინგრევა მთელი მათი «გეგმებიც». ამიტომ აფრთხობს მათ სათათბიროს ბოიკოტი, ამიტომ გვირჩევენ ისინი სათათბიროში შესვლას. «დიდი შეცდომა იქნება, თუ მონაწილეობას არ მივიღებთ მეფის სათათბიროშიო», — გვეუბნებიან ისინი თავიანთი ბელადის იაკუშკინის პირით. ოღონდაც, რომ «დიდი შეცდომა» იქნებოდა, მაგრამ ვისთვის: ხალხისთვის, თუ მისი მტრებისთვის, — აი რა არის საკითხავი.

რაში მდგომარეობს მეფის სათათბიროს მოვალეობა, რას ამბობენ ამაზე «ერობისა და ქალაქის მოღვაწენი»?

«...სათათბიროს **პირველი და მთავარი** ამოცანა თვითონ სათათბიროს გარდაქმნაა», — გვეუბნებიან ისინი თავიანთ მოწო-

დებაში... «ამომრჩევლებმა თავიანთ ამორჩეულებს ისეთი კანდიდატების არჩევა უნდა დაავალონ, რომლებიც **ყველაზე პირველად** სათათბიროს გარდაქმნას მოინდომებენო», - გვეუბნებიან იქვე.

მერე, რით გამოიხატება ეს «გარდაქმნა»? იმით, რომ სათათბიროს ჰქონდეს «გადამჭრელი ხმა კანონების შემუშავებაში... და სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის განხილვაში... და უფლება კონტროლი გაუწიოს მინისტრების მოქმედებას». ესე იგი, ამორჩეულებმა **ყველაზე პირველად** ის უნდა მოითხოვონ, რომ სათათბიროს უფლებები გაფართოვდესო. აი რა ყოფილა სათათბიროს «გარდაქმნა». ვინ მოხვდება სათათბიროში? მეტნაწილად მსხვილი ბურჟუაზია. ცხადია, სათათბიროს უფლებათა გაფართოება — ეს მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკურად გაღონიერებაა. და აი, «ეროვნისა და ქალაქის მოღვაწენი» ურჩევენ ხალხს ბურჟუა-ლიბერალები აირჩიოს და დაავალოს მათ **ყველაზე პირველად** მსხვილი ბურჟუაზიის გაღონიერება! თურმე ნუ იტყვით, ყველაზე პირველად და ყველაზე ძალიან იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი მტერი ჩვენივე ხელით გავაძლიეროთ, — აი რას გვირჩევენ დღეს ბ-ნი ბურჟუა-ლიბერალები. ძალიან «მეგობრული» რჩევაა, თუ თქვენც იტყვით! მერე, ხალხის უფლებები? ამაზე ვიღა იზრუნებს? ო, რა თქმა უნდა, ბ-ნი ბურჟუა-ლიბერალები ხალხს არ დაივიწყებენ. მათ რომ ჰკითხოთ, ისინი ხალხის უფლებებსაც მოითხოვენ, **როცა** სათათბიროში შევლენ, **როცა** იქ ფეხს მოიმაგრებენ. ამ ფარისევლობით უნდათ ფონს გაუდნენ «ეროვნისა და ქალაქის მოღვაწეებს»... აი, თურმე, რატომ გვირჩევენ ისინი, რომ **ყველაზე პირველად** სათათბიროს უფლებები გავაფართოოთ...

ბებელმა სთქვა: რასაც მტერი გვირჩევს, ის ჩვენთვის საზარალოაო. მტერი გვირჩევს: სათათბიროში მონაწილეობა მიიღეთო, — ცხადია, ჩვენთვის საზარალო ყოფილა სათათბიროში შესვლა. მტერი გვირჩევს: სათათბიროს უფლებები

გააფართოვეთო, — ცხადია, ჩვენთვის საზარალო ყოფილა სათათბიროს გაძლიერება. სახელი გავუტეხოთ სათათბიროს და თავი მოვჭრათ მას ხალხის თვალში, — აი რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ. სათათბიროს უფლებათა გაფართოება კი არა, ხალხის უფლებათა გაფართოება, — აი რა გვინდა ჩვენ. და თუ ამავე დროს იგივე მტერი ტკბილად გველაპარაკება და რაღაც «უფლებებს» გვპირდება, — ეს იმას ნიშნავს, რომ მტერი მახეს გვიგებს და ჩვენივე ხელით უნდა აიშენოს ციხე-სიმაგრე. უკეთეს რამეს არც უნდა ველოდეთ ბურჟუა-ლიბერალებისგან.

მაგრამ რას იტყვით თქვენ იმ ზოგიერთ «სოციალ-დემოკრატზე», რომლებიც ბურჟუა-ლიბერალების ტაქტიკას გვიქადაგებენ? რას იტყვით თქვენ კავკასიის «უმცირესობაზე», რომელიც სიტყვა-სიტყვით გვიმეორებს ჩვენი მტრების მუხანათურ რჩევას? აი, მაგალითად, კავკასიის «უმცირესობა» გვეუბნება, «საჭიროდ ვცნობთ მონაწილეობის მიღებას სახელმწიფო სათათბიროშიო» (იხ. «მეორე კონფერენცია», გვ. 7). სწორედ ისე, როგორც ამას «საჭიროდ სცნობენ» ბ-ნი ბურჟუა-ლიბერალები.

იგივე «უმცირესობა» გვირჩევს: «თუ ბულიგინის კომისიამ... დეპუტატთა არჩევის უფლება **მარტო შეძლებულთ** მისცა, საჭიროა ამ არჩევნებშიაც ჩავერიოთ, რევოლიუციური ძალდატანებით ამრჩეველნი ვაიძულოთ მოწინავე კანდიდატები აირჩიონ და საერო კრებაზე დამფუძნებელი კრება მოითხოვონ. ბოლოს, ყოველნაირი ზომებით... თვით საერო კრება ვაიძულოთ დამფუძნებელი კრება მოიწვიოს, ან **თავის თავი გამოაცხადოს დამფუძნებელ კრებათ**» (იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 1). ესე იგი, თუნდაც რომ მარტო შეძლებულებს ჰქონდეთ არჩევნების უფლება, თუნდაც რომ მარტო შეძლებულებმა მოიყარონ თავი სათათბიროში, — ჩვენ მაინც უნდა მოვითხოვოთ, რომ ამ შეძლებულთა კრებას დამფუძნებელი კრების უფლებები მიეცესო! თუნდაც რომ ხალხის უფლებები შეიკვეცოს, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რომ სათათბიროს უფლებები რაც შეიძლება მეტად გაფართოვდესო! თქმა არ უნდა, რომ «მოწი-

ნავე კანდიდატების» არჩევა ცალიერ სიტყვებად-ღა დარჩება, თუ არჩევნების უფლება მარტო შეძლებულთ მიეცემა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ბურჟუა-ლიბერალებიც ამას გვიქადაგებენ.

ორში ერთი: ან ბურჟუა-ლიბერალები «გაუმცირესებულან», ან კავკასიის «უმცირესობა» გალიბერალებულა.

ასეა თუ ისე, ეჭვს გარეშეა, რომ ახლად გამოჩეკილი ბურჟუა-ლიბერალების «პარტია» ხერხიანად აგებს თავის მახეს...

ამ მახის დამსხვრევა და მისი შარაზე გამოტანა, სასტიკი ბრძოლა ხალხის ლიბერალ მტრებთან, — აი რა გვინდა ჩვენ ახლა.

გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 12,
1905 წლის 15 ოქტომბერი.
სტატია ხელმოუწერელია.

მოქალაქენო!

მძლავრი ბუმბერაზი — სრულიად რუსეთის პროლეტარიატი კვლავ ამოძრავდა... მთელ რუსეთს მოედო ფართო საგაფიცვო მოძრაობა. თითქოს ჯადოსნური კვერთხით ანიშნესო, რუსეთის მთელ თვალუწვდენ სივრცეზე ცხოვრება ერთბაშად შეჩერდა. მარტო პეტერბურგში მისი რკინიგზებიანად მილიონზე მეტი მუშა გაიფიცა. მოსკოვი — წყნარი, უმოძრაო, რომანოვებისადმი ერთგული ძველი დედაქალაქი — მთლად მოცულია რევოლუციური ხანძრით. ხარკოვი, კიევი, ეკატერინოსლავი და სხვა კულტურული და სამრეწველო ცენტრები, მთელი შუა და სამხრეთი რუსეთი, მთელი პოლონეთი და, ბოლოს, მთელი კავკასია დადგნენ და მრისხანედ უსწორებენ თვალს თვითმპყრობელობას.

რა მოხდება? ძრწოლითა და გულის ფანცქალით ელის მთელი რუსეთი პასუხს ამ კითხვაზე. პროლეტარიატი ბრძოლაში იწვევს წყეულ ორთავიან ურჩხულს. ნამდვილი შეჯახება მოჰყვება ამ გამოწვევას, აშკარა შეიარაღებულ აჯანყებად გადაიქცევა ეს გაფიცვა თუ, წინანდელი გაფიცვების მსგავსად, «მშვიდობიანად» დამთავრდება და «დაწყნარდება»?

მოქალაქენო! როგორიც უნდა იყოს პასუხი ამ კითხვაზე, როგორც უნდა დამთავრდეს ეს გაფიცვა, ერთი რამ ცხადი და უეჭველი უნდა იყოს ყველასთვის: ჩვენ ვიმყოფებით მთელი რუსეთის საყოველთაო-სახალხო აჯანყების წინ — და ამ აჯანყების ჟამი მოახლოებულია. არნახული, არა მარტო რუსეთის,

არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაშიც, უმაგალითო გრანდიოზული პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც ახლა გაჩაღდა, შესაძლოა დღეს ისე დამთავრდეს, რომ საყოველთაო-სახალხო აჯანყებად არ გადაიქცეს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ხვალ კვლავ და მეტი ძალით შეარყიოს ქვეყანა და გადაიქცეს იმ გრანდიოზულ შეიარაღებულ აჯანყებად, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს რუსი ხალხის საუკუნეობრივი დავა მეფის თვითმპყრობელობასთან და თავი გაუსრისოს ამ საზიზღარ ურჩხულს.

საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყება — აი ის საბედისწერო დაბოლოება, რომლისკენაც ისტორიული გარდუვალობით მიიმართება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მოვლენები უკანასკნელ ხანს! საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყება — აი ის დიადი ამოცანა, რომელიც დგას ამჟამად რუსეთის პროლეტარიატის წინაშე და დაჟინებით მოითხოვს გადაჭრას!

მოქალაქენო! თქვენი ინტერესები, გარდა ერთი მუჭა საფინანსო და საადგილმამულო არისტოკრატიისა, მოითხოვს შეუერთდეთ პროლეტარიატის მომწოდებელ ყიჟინას და მასთან ერთად მიისწრაფოდეთ ამ მხსნელი საყოველთაო-სახალხო აჯანყებისკენ.

დანაშაულებრივმა მეფის თვითმპყრობელობამ დაღუპვის პირას მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. რუსეთის ასმილიონიანი გლეხობის გაღატაკება, მუშათა კლასის ჩაგრული და დუხჭირი მდგომარეობა, უზომო სახელმწიფო ვალები და მძიმე გადასახადები, მთელი მოსახლეობის უუფლებობა, ცხოვრების ყველა სფეროში გამეფებული დაუსრულებელი თვითნებობა და ძალადობა, დასასრულ, ის გარემოება, რომ მოქალაქეთა ცხოვრება და ქონება ოდნავაც არ არის უზრუნველყოფილი, — აი ის საშინელი სურათი, რომელსაც წარმოადგენს ახლა რუსეთი. ასე აღარ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს! თვითმპყრობელობა, რომელმაც შექმნა ეს შემაძრწუნებელი საშინელებანი, უნდა მოისპოს! და იგი მოსპობილ იქნება კიდეც! თვითმპყრობელობას შეგნებული აქვს ეს, და რაც უფრო შეგნებული აქვს, მით უფრო

შემაძრწუნებელი ხდება ეს საშინელებანი, მით უფრო საშინელი ხდება ის ჯოჯოხეთური ფერხული, რომელსაც იგი თავის გარშემო აწყობს. იმ ასობით და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქეების—მუშების გარდა, რომლებსაც იგი ქალაქების ქუჩებში ხოცავდა, ათეულ ათასობით მუშისა და ინტელიგენტის, ხალხის საუკეთესო შვილების გარდა, რომლებიც საპყრობილეებსა და გადასახლებაში იტანჯებიან, იმ განუწყვეტელი მკვლელობისა და ძალადობის გარდა, რასაც მეფის ბაშიბუზუკები სოფლებში, გლეხობაში, რუსეთის მთელ სივრცეზე სჩადიან, თვითმპყრობელობამ ბოლოს გამოიგონა ახალი საშინელებანი. მან დაიწყო მტრობისა და გაბოროტების თესვა თვით ხალხში და მოსახლეობის ცალკე ფენებისა და მთელი ეროვნებების ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრება. მან შეაიარაღა და რუს მუშებსა და ინტელიგენტებს წაუსისიანა რუსი ხულიგნები, ბესარაბიაში—რუსთა და მოლდაველთა ბნელი და დამშეული მასები ებრაელებს და, ბოლოს, თათართა უვიცი და ფანატიკური მასა—სომხებს. მან თათრების საშუალებით გაანადგურა რუსეთის ერთერთი ყველაზე რევოლუციურ ცენტრთაგანი და კავკასიის ყველაზე რევოლუციური ცენტრი — ბაქო და დაშინებით ჩამოაშორა რევოლუციას მთელი სომხური პროვინცია. მან მთელი მრავალტომიანი კავკასია გადააქცია სამხედრო ბანაკად, სადაც მოსახლეობა ყოველ წუთს მოელის თავდასხმას არა მარტო თვითმპყრობელობისგან, არამედ მეზობელი ტომებისგანაც, თვითმპყრობელობის ამ უბედურ მსხვერპლთაგან. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს! და მხოლოდ რევოლუციას შეუძლია ყოველივე ამას ბოლო მოუღოს.

უცნაური და სასაცილო იქნებოდა მოველოდეთ, რომ თვითმპყრობელობა, რომელმაც შექმნა მთელი ეს ჯოჯოხეთური საშინელებანი, თვითონ მოისურვებს და შესძლებს შეწყვიტოს ისინი. ვერავითარი რეფორმა, თვითმპყრობელობის ვერავითარი დაკერება—სახელმწიფო სათათბიროს, ერობის და სხვ. მსგავსად, — რომლებითაც დაკმაყოფილება სურს ლიბერალურ პარ-

ტიას, ვერ მოუღებს ბოლოს ამ საშინელებებს. პირიქით, ყველა ცდა ამ მიმართულებით და პროლეტარიატის რევოლუციური მისწრაფებებისადმი წინააღმდეგობა ხელს შეუწყობს ამ საშინელებათა გაძლიერებას.

მოქალაქენო! პროლეტარიატი, ჩვენი საზოგადოების ყველაზე რევოლუციური კლასი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მთელი ბრძოლა დღევანდლამდე, და რომელიც ყველაზე გაბედული და ბოლომდე თავდადებული მოწინააღმდეგეა თვითმპყრობელობისა, აშკარა შეიარაღებული გამოსვლისთვის ემზადება. და იგი მოგიწოდებთ თქვენ, საზოგადოების ყველა კლასს, დახმარებისა და მხარდაჭერისკენ. იარაღი აისხით, დაეხმარეთ მას შეიარაღებაში და ემზადეთ გადამწყვეტი ბრძოლისთვის.

მოქალაქენო! აჯანყების ჟამი ახლოა! საჭიროა სავსებით აღჭურვილნი შევხვდეთ მას! მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ საყოველთაო, ყველგან და ერთდროულად მომხდარი შეიარაღებული აჯანყების საშუალებით შევძლებთ დავამარცხოთ ჩვენი საზიზღარი მტერი — წყეული მეფის თვითმპყრობელობა — და მის ნანგრევებზე ავაგოთ ჩვენთვის აუცილებელი თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკა.

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს!

იბეჭდება 1905 წ. ოქტომბერში
რსდმპ თბილისის კომიტეტის სტამბაში
დაბეჭდილი პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.
ხელმოწერა: თბილისის კომიტეტი.

ყველა მუშას

რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციური ხალხი ყალყზე შედგა და საიერიშოდ შემოერტყა მეფის მთავრობას! ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი და იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე. კვლავ გაისმა მამაცთა ყიჟინა, კვლავ ამღერდა მიყუჩებული ცხოვრება. რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისკენ გაეშურა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს.

რა სურთ რუსეთის პროლეტარებს, საით მიდიან ისინი? ძირს დავცეთ მეფის სათათბირო და ავაშენოთ სახალხო დამფუძნებელი კრება — აი რას ამბობენ დღეს რუსეთის პროლეტარები. პროლეტარიატი არ მოსთხოვს მთავრობას წვრილმან დათმობას, ის არ მოსთხოვს მას «სამხედრო წესებისა» და «ეკზეკუციის» მოხსნას ზოგიერთ ქალაქსა და სოფელში, — პროლეტარიატი არ იკადრებს ასე დაწვრილმანებას! ვინც მთავრობისგან დათმობას ითხოვს, მას არა სწამს მთავრობის სიკვდილი, — პროლეტარიატი კი ამ რწმენით სულდგმულობს. ვინც მთავრობისგან «შეღავათს» ელის, მას არა სწამს რევოლუციის სიძლიერე, — პროლეტარიატი კი ამ რწმენით ცოცხლობს. არა! პროლეტარიატი არ დააწვრილმანებს თავის ენერგიას

უთავბოლო მოთხოვნებზე. მეფის თვითმპყრობელობისთვის მას მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვს: ძირს იგი, სიკვდილი მას! და აი, რუსეთის ვრცელ მიდამოებში მედგრად და მედგრად გაისმის მუშების რევოლუციური ძახილი: ძირს სახელმწიფო სათათბირო! გაუმარჯოს სახალხო დამფუძნებელ კრებას! აი საით მიილტვის დღეს რუსეთის პროლეტარიატი.

მეფე ვერ მოგვცემს სახალხო დამფუძნებელ კრებას, მეფე ვერ მოსპობს თავისსავე თვითმპყრობელობას, — ის არ იზამს ამას! კუდშეკვეცილი «კონსტიტუცია», რომელსაც ის «გვაძლევს»,—დროებითი დათმობაა, მეფის ფარისევლური დაპირებაა და მეტი არაფერი! რა თქმა უნდა, ჩვენ ამ დათმობით ვისარგებლებთ, ჩვენ უარს არ ვიტყვით—ყვავს კაკალი გამოვტაცოთ, რომ თავი გავუტეხოთ მას ამ კაკლით. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ ხალხი ვერ ენდობა მეფის დაპირებას,— ის მხოლოდ თავისთავს უნდა ენდოს, ის მხოლოდ საკუთარ ძალას უნდა დაეყრდნოს: ხალხის განთავისუფლება ხალხისავე ხელით უნდა მოხდეს. მხოლოდ დამჩაგვრელთა ძვლებზე შეიძლება აშენდეს ხალხის განთავისუფლება, მხოლოდ დამჩაგვრელთა სისხლით შეიძლება განოყიერდეს ხალხის თვითმპყრობელობის ნიადაგი! მხოლოდ მაშინ, როცა იარაღასხმული ხალხი პროლეტარიატს გაიმძღვარებს და საყოველთაო აჯანყების დროშას ააფრიალებს,—მხოლოდ მაშინ შეიძლება დაემხოს ხიშტებზე გამაგრებული მეფის მთავრობა. ცალიერი ფრაზები კი არა, უაზრო «თვითშეიარაღება» კი არა, ნამდვილი შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება — აი საით მიდიან დღეს მთელი რუსეთის პროლეტარები.

ძლევამოსილ აჯანყებას მთავრობის დამარცხება მოჰყვება. მაგრამ დამარცხებული მთავრობანი ხშირად დამდგარან ფეხზე. ჩვენშიაც შეიძლება ის ფეხზე დადგეს. ბნელი ძალები, რომლებიც აჯანყების დროს კუთხეებში მიიმალებიან,—აჯანყების მეორე დღესვე გამოძვრებიან სოროებიდან და მთავრობის

წამოყენებას მოინდომებენ. ასე სდგებიან მკვდრეთით დამარცხებული მთავრობები. ხალხმა უეჭველად უნდა ალაგმოს ეს ბნელი ძალები, მან მიწასთან უნდა გაასწოროს ისინი! ამისთვის კი საჭიროა, რომ გამარჯვებული ხალხი აჯანყების მეორე დღესვე შეიარაღდეს დიდიან-პატარიანად, რევოლუციურ არმიად გადაიქცეს და მუდამ მზად იყოს — იარაღით ხელში დაიცვას მოპოვებული უფლებები.

მხოლოდ მაშინ, როცა გამარჯვებული ხალხი რევოლუციურ არმიად გადაიქცევა, მხოლოდ მაშინ შეეძლება მას საბოლოოდ გაანადგუროს მიმალული ბნელი ძალები. მხოლოდ რევოლუციურ არმიას შეუძლია ძალღონე შემატოს დროებითი მთავრობის მოქმედებას, მხოლოდ დროებით მთავრობას შეუძლია მოიწვიოს სახალხო დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა. რევოლუციური არმია და დროებითი რევოლუციური მთავრობა — აი საით მიილტვიან დღეს რუსეთის პროლეტარები.

ასეთია ის გზა, რომელსაც დაადგა რუსეთის რევოლუცია. ეს გზა ხალხის თვითმპყრობელობისკენ მიდის, და პროლეტარიატი იწვევს ხალხის ყველა მეგობარს ამ გზაზე გაემართოს.

მეფის თვითმპყრობელობა წინ ეღობება ხალხის რევოლუციას, მას უნდა თავისი გუშინდელი მანიფესტით შეაფერხოს ეს დიადი მოძრაობა,—ცხადია, რევოლუციის ტალღები შთანთქამს და შორს გადაისვრის მეფის თვითმპყრობელობას...

ზიზღი და სიძულვილი ყველა იმას, ვინც პროლეტარიატის გზას არ დაადგება: ის უსინდისოდ ღალატობს რევოლუციას! სირცხვილი ყველა იმას, ვინც საქმით ამ გზას დაადგა, სიტყვით კი სხვას ლაპარაკობს,—ის სულმდაბლად უფრთხის სიმართლეს!

ჩვენ არ გვაშინებს სიმართლე, ჩვენ არ გვაშინებს რევოლუცია! დაე უფრო მძლავრად დასჭექოს მეხმა, დაე უფრო მძლავრად დაქროლოს ქარტეხილმა! გამარჯვების წამი მოახლოვდა!

მაშ აღფრთოვანებით დავძახოთ რუსეთის პროლეტარიატის ლოზუნგები:

ძირს სახელმწიფო სათათბირო!
გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!
გაუმარჯოს რევოლუციურ არმიას!
გაუმარჯოს დროებით რევოლუციურ მთავრობას!
გაუმარჯოს სახალხო დამფუძნებელ კრებას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს პროლეტარიატს!

იბეჭდება 1905 წ. 19 ოქტომბერს
რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის
არალეგალურ (ავლაბრის) სტამბაში დაბეჭდილი
პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: თბილისის კომიტეტი.

თბილისი, 1905 წლის 20 ნოემბერი

რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო! ჩვენ უკვე განვიცადეთ ამ რევოლუციის პირველი მრისხანე აქტი, რომელიც ფორმალურად 17 ოქტომბრის მანიფესტით დამთავრდა. «წყალობითა ღვთისათა» თვითმპყრობელმა მეფემ თავისი «გვირგვინოსანი თავი» დახარა რევოლუციური ხალხის წინაშე და აღუთქვა მას «სამოქალაქო თავისუფლების ურყევი საფუძვლები»...

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი აქტია. ეს მხოლოდ დასასრულის დასაწყისია. ჩვენ დიადი ამბების, რუსეთის დიდი რევოლუციის შესაფერი ამბების წინაშე ვდგევართ. ეს ამბები გვიახლოვდებიან ისტორიის ულმობელი სისასტიკით, რკინისებური აუცილებლობით. მეფე და ხალხი, მეფის თვითმპყრობელობა და ხალხის თვითმპყრობელობა — ორი მტრული, ერთმანეთის დიამეტრულად საწინააღმდეგო საწყისია. ერთის დამარცხება და მეორის გამარჯვება შეიძლება იყოს მათ შორის მხოლოდ გადამწყვეტი შეტაკების შედეგი, თავგანწირული ბრძოლის, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შედეგი. ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ ყოფილა. იგი წინაა. და რუსეთის რევოლუციის მძლავრი ტიტანი — სრულიად რუსეთის პროლეტარიატი მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით ემზადება მისთვის.

ლიბერალური ბურჟუაზია ცდილობს თავიდან აიცილოს ეს საბედისწერო შეტაკება. მისი აზრით, უკვე დროა ბოლო მოეღოს «ანარქიას» და დაწყებულ იქნას მშვიდობიანი «შემოქმე-

დებითი» მუშაობა, «სახელმწიფო მშენებლობის» მუშაობა. იგი მართალია. მისთვის საკმარისია ის, რაც პროლეტარიატმა უკვე გამოგლიჯა ცარიზმს თავისი პირველი რევოლუციური გამოსვლის დროს. მას გაბედულად შეუძლია შეკრას ახლა კავშირი — კავშირი თავისთვის ხელსაყრელი პირობებით — მეფის მთავრობასთან და გაერთიანებული ძალღონით გაილაშქროს საერთო მტრის წინააღმდეგ, თავისი «მესაფლავის» — რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული თავისუფლება, ექსპლოატაციის თავისუფლება უკვე უზრუნველყოფილია, და ეს მისთვის სავსებით საკმარისია. რუსეთის ბურჟუაზია, რომელიც ერთ წუთსაც არ ყოფილა რევოლუციური, უკვე აშკარად დგება რეაქციის მხარეზე. გზა მშვიდობისა! ჩვენ ბევრს არ ვიდარდებთ ამის გამო. რევოლუციის ბედი არასოდეს არ ყოფილა ლიბერალიზმის ხელში. რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობა და შედეგი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან რევოლუციური პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა.

ქალაქის რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, და მის შემდეგ რევოლუციური გლეხობა, ლიბერალთა ყოველგვარი ხრიკების მიუხედავად, განუხრელად განაგრძობენ თავიანთ ბრძოლას, ვიდრე არ მიაღწევენ თვითმპყრობელობის სრულ დამხობას და მის ნანგრევებზე თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შექმნიან.

ასეთია სოციალისტური პროლეტარიატის უახლოესი პოლიტიკური ამოცანა, ასეთია მისი მიზანი ახლანდელ რევოლუციაში, და იგი გლეხობის მხარდაჭერით რადაც უნდა დაუჯდეს მიაღწევს ამ მიზანს.

გზა, რომელმაც იგი დემოკრატიულ რესპუბლიკამდე უნდა მიიყვანოს, მას ასევე ნათლად და გარკვეულად აქვს დასახული.

1) გადამწყვეტი, თავგანწირული შეტაკება, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. 2) რევოლუციური არმია, შექმნილი ამ

«შეტაკების» პროცესში, 3) პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა ძლევამოსილი «შეტაკების» შედეგად წამოყენებული დროებითი რევოლუციური მთავრობის სახით, 4) დამფუძნებელი კრება, მოწვეული ამ მთავრობის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე—ასეთია ის ეტაპები, რომლებიც უნდა განვლოს რუსეთის დიდმა რევოლუციამ, ვიდრე სასურველ ბოლოს მიაღწევდეს.

მთავრობის ვერავითარი მუქარა ან ბევრის აღმთქმელი მანიფესტები მეფისა, ვერავითარი დროებითი მთავრობა, მსგავსი ვიტეს მთავრობისა, რომელსაც თვითმპყრობელობა თავის გადასარჩენად ქმნის, ვერავითარი სახელმწიფო სათათბირო, თუნდაც საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული, რომელსაც მეფის მთავრობა იწვევს,—ვერ ააცდენენ პროლეტარიატს მის ერთადერთ სწორ რევოლუციურ გზას, რომელმაც იგი დემოკრატიულ რესპუბლიკამდე უნდა მიიყვანოს.

ეყოფა თუ არა პროლეტარიატს ძალა, რომ ბოლომდე მივიდეს ამ გზით, ეყოფა თუ არა მას ძალა, რომ ღირსეულად გამოვიდეს იმ გიგანტური, სისხლისმღვრელი ბრძოლიდან, რომელიც მას ამ გზაზე მოელის?

დიახ, ეყოფა!

ასე ფიქრობს თვით პროლეტარიატი და გაბედულად და გადაჭრით ემზადება ბრძოლისთვის.

«Кавказский Рабочий Листок»[53] № 1,
1905 წლის 20 ნოემბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

ოქრო შეჯახება

(9 იანვრის გამო)

გეხსომებათ წარსული წლის 9 იანვარი... ეს ის დღე იყო, როცა პეტერბურგის პროლეტარიატი პირისპირ შეხვდა მეფის მთავრობას და თავისდაუნებურად შეეჯახა მას. დიახ, თავისდაუნებურად, რადგანაც ის წყნარად მიდიოდა მეფესთან «პურისა და სამართლისთვის», მას კი მრისხანედ შეხვდნენ და ტყვიები მიაგებეს. ის მეფის სურათებსა და ეკლესიის ბაირაღებზე ამყარებდა თავის იმედებს — მას კი ერთიცა და მეორეც თავზე გადაახიეს და მით თვალდათვალ დაუმტკიცეს, რომ იარაღს შეიძლება მხოლოდ იარაღი დაახვედრო. და ისიც მისწვდა იარაღს — თუ კი მოეძევებოდა სადმე იარაღი, — მისწვდა იმისთვის, რომ მტერს მტრულად შეხვედროდა და სისხლი აეღო. მაგრამ ათასობით მსხვერპლი დატოვა ბრძოლის ველზე და ძალზე დაზარალებულმა, გულში ბოღმაჩაკლულმა უკან დაიხია...

აი რას გვაგონებს ჩვენ შარშანდელი 9 იანვარი.

დღეს, როცა რუსეთის პროლეტარიატი 9 იანვრის წლისთავს აღნიშნავს, მეტი არ იქნება ვიკითხოთ, თუ რატომ დაიხია უკან პეტერბურგის პროლეტარიატმა შარშანდელ შეჯახებაში და რით განირჩევა მაშინდელი შეჯახება დეკემბრის საყოველთაო შეჯახებისგან?

პირველ ყოვლისა დაიხია იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა ის მცირე რევოლუციური შეგნებაც კი, რომელიც აუცილებლად საჭიროა აჯანყების გამარჯვებისთვის. პროლეტარიატი ლოცვა-ვედრებით და იმედით მიდიოდა პირსისხლიან

მეფესთან, იმ მეფესთან, რომელმაც მთელი თავისი არსებობა ხალხის ბორკილებზე ააშენა, პროლეტარიატი მოყვრულად მიდიოდა თავის მოსისხლე მტერთან «მცირე მოწყალების» მისაღებად, — განა შეიძლება ამისთანა ხალხმა ქუჩის ბრძოლაში ლელო გაიტანოს?..

მართალია, შემდეგ, ცოტა ხნის მერე, თოფების გრიალმა თვალი აუხილა მოტყუებულ პროლეტარიატს და აშკარად დაანახა თვითმპყრობელობის საზიზღარი სახე, მართალია, ის უკვე მრისხანედ იძახდა: «მეფემ ჩვენ მოგვცხო, — მაშ ჩვენც უნდა მოვსცხოთ მას», მაგრამ რას ვაქნევ მარტო ასეთ შეგნებას, თუ ხელში იარაღი არა გაქვს, რა უნდა გააკეთო ქუჩის ბრძოლაში ცალიერი ხელებით, თუნდაც შეგნებული იყო, განა შეგნებულ თავსაც ისე არ ხვრეტს მტრის ტყვია, როგორც შეუგნებელს?

დიახ, იარაღის უქონლობა — ეს მეორე მიზეზი იყო პეტერბურგის პროლეტარიატის უკან დახევისა.

მაგრამ რას იზამდა მარტო პეტერბურგი, თუნდაც იარაღი ჰქონოდა? როცა პეტერბურგში სისხლი იღვრებოდა და ბარიკადები შენდებოდა, სხვა ქალაქებში ყურსაც კი არავინ იბერტყავდა, — ამიტომ იყო რომ მთავრობამ სხვა ადგილებიდან ჯარი მიიშველია და სისხლის ღვარი დააყენა. მხოლოდ მერე, როცა პეტერბურგელმა პროლეტარიატმა მიწას მიაბარა მოკლული ამხანაგები და თავის ყოველდღიურ მუშაობას დაუბრუნდა, — მხოლოდ მერე გაისმა სხვადასხვა ქალაქში გაფიცული მუშების ძახილი: სალამი პეტერბურგელ გმირებს! მაგრამ ვის რას გაუკეთებდა ასეთი დაგვიანებული სალამი? ამიტომ იყო, რომ მთავრობას სიცილადაც არ ეყო ასეთი დაქსაქსული და მოუწყობელი გალაშქრება და გაუჭირვებლად გაფანტა ჯგუფებად დაქუცმაცებული პროლეტარიატი.

მაშასადამე, ორგანიზებული საყოველთაო აჯანყების მოუწყობლობა, პროლეტარიატის გამოსვლების მოუწესრიგებლობა,—აი რა იყო მესამე მიზეზი პეტერბურგის პროლეტარიატის უკან დახევისა.

ან ვინ მოაწყობდა საყოველთაო აჯანყებას? მთელი ხალხი ამას ვერ ითავებდა, ხოლო პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი — პროლეტარიატის პარტია თვითონ მოუწყობელი იყო და პარტიული უთანხმოებისგან იწეწებოდა, — შინაური ომი, პარტიული განხეთქილება მას დღითი-დღე აუძლურებდა. საკვირველი არაა, თუ ორად გაყოფილმა ნორჩმა პარტიამ საყოველთაო აჯანყების მოწყობა ვერ ითავა.

მაშასადამე, მთლიანი და მჭიდრო პარტიის უყოლობა—აი რა იყო მეოთხე მიზეზი პროლეტარიატის უკან დახევისა.

დასასრულ, თუ აჯანყებას გლეხობა და სალდათობა ვერ მიემხრო და ახალი ძალა ვერ ჩაბერა მას, ესეც იმიტომ მოხდა, რომ უძლურ და ხანმოკლე აჯანყებაში ისინი დიდ ძალას ვერ ხედავდნენ. უძლურებს კი, როგორც ვიცით, არ ემხრობიან.

აი რატომ დაიხია უკან პეტერბურგის გმირმა პროლეტარიატმა შარშან იანვარში.

დრო მიდიოდა. კრიზისით და უუფლებობით ამღელვარებული პროლეტარიატი ახალი შეჯახებისთვის ემზადებოდა. ცდებოდნენ ისინი, ვინც ფიქრობდნენ, რომ 9 იანვრის მსხვერპლი ბრძოლის ყოველ სურვილს ჩაუკლავდა პროლეტარიატს, — პირიქით, იგი უფრო გაფაციცებით და თავგამოდებით ემზადებოდა «უკანასკნელი» შეტაკებისთვის, უფრო მამაცად და შეუპოვრად იბრძოდა ჯარებისა და ყაზახების წინააღმდეგ. მატროსების აჯანყება შავსა და ბალტიის ზღვებზე, მუშათა აჯანყება ოდესაში, ლოძში და სხვა ქალაქებში, გლეხთა გამუდმებული წვრილ-წვრილი შეტაკებანი პოლიციასთან აშკარად გვიმტკიცებდნენ, თუ რა უშრეტი რევოლუციური ცეცხლი ეფინა დამარხული ხალხის გულში.

რევოლუციურ შეგნებას, რომელიც პროლეტარიატს აკლდა 9 იანვარს, საოცარი სისწრაფით იძენდა ის ბოლო ხანებში. ამბობენ, პროლეტარიატი ათი წლის პროპაგანდით ვერ შეიგნებდა

იმდენს, რაც მან აჯანყების დღეებში შეიგნოო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: კლასობრივი შეჯახ-შემოჯახების პროცესი — ეს ის დიადი სკოლაა, სადაც საათობით იზრდება ხალხის რევოლუციური შეგნება.

საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც პირველ ხანებში პროლეტარიატის მხოლოდ მცირე ჯგუფი ქადაგებდა, შეიარაღებული აჯანყება, რომელიც ზოგიერთ ამხანაგში ეჭვსაც კი იწვევდა,—პროლეტარიატის სიმპატიას თანდათან იზიდავდა, მის «გულსა და გონებას» იმორჩილებდა, — და ისიც გაფაციცებით ადგენდა წითელ რაზმებს, იძენდა იარაღს და სხვ. ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ პროლეტარიატის ერთდროული გალაშქრება შესაძლებელი ყოფილა. ამით დამტკიცდა ორგანიზებული აჯანყების შესაძლებლობა, და პროლეტარიატიც ხელაღებით დაადგა ამ გზას.

საჭირო იყო მხოლოდ მჭიდრო პარტია, ერთიანი და განუყოფელი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა საყოველთაო აჯანყების მოწყობას, გააერთიანებდა სხვადასხვა ქალაქის ცალ-ცალკე რევოლუციურ მზადებას და შეტევის ინიციატივას იკისრებდა. მით უმეტეს, რომ თვით ცხოვრებაში მზადდებოდა ახალი ტალღები — კრიზისი ქალაქად, შიმშილი სოფლად და სხვა ამგვარი მიზეზები დღითი-დღე აუცილებელს ხდიდნენ ახალ რევოლუციურ აფეთქებას. უბედურება ის იყო, რომ ასეთი პარტია მხოლოდ ახლა ჩნდებოდა: განხეთქილებით დაუძლურებული პარტია ის-იყო წელში იმართებოდა და შეერთების საქმეს ამკვიდრებდა.

სწორედ ამ დროს მოუსწრო რუსეთის პროლეტარიატს მეორე შეჯახებამ, დეკემბრის სახელოვანმა შეჯახებამ.

ჩვენ გვინდა ახლა ამ შეჯახებაზე ვილაპარაკოთ.

თუ იანვრის შეჯახებაზე ვამბობდით, რომ მას რევოლუციური შეგნება არ მოეძევებოდაო, სამაგიეროდ, დეკემბრის შეჯახებაზე უნდა ვთქვათ, რომ მას ასეთი შეგნება ახლდა. თერთმეტი თვის რევოლუციურმა ქარტეხილმა საკმაოდ აუხილა

თვალი რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს და ლოზუნგები: ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!—ყოველდღიურ ლოზუნგებად, მასის ლოზუნგებად გადაიქცია. აქ ველარ ნახავდით ვერც ეკლესიის ბაირაღებს, ველარც ხატებსა და მეფის სურათებს, — მათს ნაცვლად წითელი დროშები ფრიალებდა და მათს ადგილს მარქს-ენგელსის სურათები ამკობდნენ. აქ ველარ გაიგონებდით ფსალმუნებისა და «боже, царя храни»-ს გალობას, — ამის მაგიერ «მარსელიეზისა» და «ვარშავიანკას» სიმღერა გაისმოდა და ყურებს უყრუებდა დამჩაგვრელებს.

მაშასადამე, რევოლუციური შეგნების მხრივ დეკემბრის შეჯახება ძირიანად განირჩეოდა იანვრის შეჯახებისგან.

იანვრის შეჯახებას არ ჰქონდა შეიარაღება, მაშინ ხალხი უიარაღოდ მიდიოდა ბრძოლის ველზე. დეკემბრის შეჯახებამ წინ წასდგა ნაბიჯი, აქ ყველა მებრძოლი იარაღისკენ მიიწევდა რევოლვერებით, თოფებით, ყუმბარებით და ზოგან ტყვიამფრქვევებითაც. იარაღით იარაღის შეძენა—დღის ლოზუნგად გადაიქცა. იარაღს ყველა ეძებდა, იარაღის საჭიროებას ყველა გრძნობდა, სამწუხარო ის იყო, რომ თვით იარაღი ძალიან ცოტა იყო და პროლეტარების მხოლოდ მცირე რიცხვს შეეძლო შეიარაღებულად გამოსვლა.

იანვრის აჯანყება სრულიად დაქსაქსული და მოუწყობელი იყო, იქ ყველა საალალბედოდ მოქმედებდა. დეკემბრის აჯანყებამ აქაც ნაბიჯი წასდგა წინ. პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოებმა და «უმრავლესობისა» და «უმცირესობის» ცენტრებმა, რაც კი შეიძლებოდა, «ზომები მიიღეს», რომ რევოლუციური გამოსვლა ერთდროული ყოფილიყო, — ისინი ერთდროული გალაშქრებისკენ მოუწოდებდნენ რუსეთის პროლეტარიატს. იანვრის აჯანყების დროს კი ასეთი რამ არ გაკეთებულა. მაგრამ რადგანაც ამ მოწოდებას წინ არ უძღოდა ხანგრძლივი და მედგარი პარტიული მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად, ამიტომ მოწოდება მოწოდებად დარჩა

და გალაშქრება ფაქტიურად დაქსაქსული, მოუწყობელი გამოვიდა. არსებობდა მხოლოდ მისწრაფება ერთდროული და ორგანიზებული აჯანყებისადმი.

იანვრის აჯანყებას მეტნაწილად გაპონები «ხელმძღვანელობდნენ». დეკემბრის აჯანყებას ამ მხრივ ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მას სათავეში სოციალ-დემოკრატები მოექცნენ. მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატები ცალკე ჯგუფებად იყვნენ დანაწილებულნი, ერთ მჭიდრო პარტიას არ წარმოადგენდნენ და ამიტომ შეთანხმებით ვერ იმოქმედებდნენ. ერთხელ კიდევ შეხვდა აჯანყებას მოუმზადებლად და დაქსაქსულად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია...

იანვრის შეჯახებას არ ჰქონდა არავითარი გეგმა, ის არ ხელმძღვანელობდა არავითარი განსაზღვრული პოლიტიკით, მისთვის არ არსებობდა საკითხი: შეტევა თუ თავის დაცვა? დეკემბრის შეჯახებას მხოლოდ ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მან გარკვეულად დასვა ეს საკითხი, ისიც თვითონ ბრძოლის დროს, და არა თავიდანვე, ბრძოლის დაწყებისთანავე. რაც შეეხება საკითხის გადაჭრას, დეკემბრის აჯანყებამ ისეთივე სისუსტე გამოიჩინა, როგორც იანვრისამ. მოსკოვის რევოლუციონერებს რომ თავიდანვე შეტევის პოლიტიკა შეეთვისებინათ, ისინი რომ თავიდანვე, ვთქვათ, ნიკოლოზის ვაგზალს დასცემოდნენ და ხელში ჩაეგდოთ, ლაპარაკი არ უნდა, რომ აჯანყება უფრო მეტ ხანს გაგრძელდებოდა და უფრო სასურველ მიმართულებას მიიღებდა. ან, მაგალითად, ლატვიელი რევოლუციონერები რომ ხელაღებით დასდგომოდნენ თავდასხმის პოლიტიკას და რაევა არ დაეწყოთ, უეჭველია, ყველაზე პირველად ზარბაზნების ბატარიებს დაიჭერდნენ და მით ყოველგვარ ნიადაგს გამოაცლიდნენ ადმინისტრაციას, რომელმაც ჯერ ქალაქების აღება დაანება რევოლუციონერებს და მერე ხელახლა გადავიდა შეტევაზე და ზარბაზნებით დაიპყრო აღებული ადგილები[54]. იგივე უნდა ითქვას სხვა ქალაქებზე. ტყუილად კი არ ამბობდა მარქსი: აჯანყების დროს გამბედაობა იმარჯვებს,

ბოლომდე გამბედავი კი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც თავდასხმის პოლიტიკას ადგიაო.

აი რამ გამოიწვია პროლეტარიატის უკან დახევა დეკემბრის შუა რიცხვებში.

თუ გლეხკაცობისა და ჯარის დიდი უმრავლესობა ვერ მიემხრო დეკემბრის შეჯახებას, თუ ზოგიერთ «დემოკრატიულ» წრეში უსიამოვნებაც კი გამოიწვია მან, — ეს იმიტომ, რომ მას აკლდა ის სიძლიერე და ხანგრძლივობა, რომელიც ასე აუცილებელია აჯანყების გაფართოებისა და გამარჯვებისთვის.

ნათქვამიდან ცხადია, თუ რა უნდა ვაკეთოთ დღეს ჩვენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა.

ჯერ ერთი, ჩვენი ამოცანაა — დავაგვირგვინოთ უკვე დაწყებული საქმე – ერთი და განუყოფელი პარტიის შექმნა. «უმრავლესობისა» და «უმცირესობის» სრულიად რუსეთის კონფერენციებმა უკვე გამოიმუშავეს გაერთიანების ორგანიზაციული ნიადაგი. მათ მიიღეს პარტიის წევრობის ლენინის ფორმულა და დემოკრატიული ცენტრალიზმი. იდეური და პრაქტიკული ცენტრები უკვე გაერთიანდნენ, ხოლო ადგილობრივი ორგანიზაციების გაერთიანება თითქმის უკვე მოთავებულია. საჭიროა მხოლოდ გამაერთიანებელი ყრილობა, რომელიც ფორმალურად დაამთავრებს ფაქტიურ გაერთიანებას და მით მოგვცემს ერთსა და განუყოფელ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ჩვენი ამოცანაა ხელი შევუწყოთ ამ საყვარელ საქმეს და გულდასმით ვამზადოთ გამაერთიანებელი ყრილობა, რომელიც, როგორც ვიცით, ახლო ხანებში უნდა გაიხსნას.

მეორე, ჩვენი ამოცანაა — პარტიას დავეხმაროთ შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში, აქტიურად ჩავერიოთ ამ წმინდა საქმეში და დაუღალავად ვიმუშაოთ მისთვის. ჩვენი ამოცანაა — ვამრავლოთ წითელი რაზმები, გავწვრთნათ და ერთმანეთზე გადავაჯაჭვოთ ისინი, ჩვენი ამოცანაა — იარაღით იარაღი შევიძინოთ, სახელმწიფო დაწესებულებათა მდებარეობა შევისწავლოთ, დავითვალოთ მტრის ძალები, შევისწავლოთ მისი სისუსტე-

სიძლიერე და ამისდა მიხედვით შევიმუშაოთ აჯანყების გეგმა. ჩვენი ამოცანაა — სისტემატურ აგიტაციას ვეწეოდეთ აჯანყების სასარგებლოდ არმიაში და სოფლად, მეტადრე იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქების ახლო მდებარეობენ, შევაიარაღოთ ამ სოფლების საიმედო ელემენტები და სხვ. და სხვ. ...

მესამე, ჩვენი ამოცანაა — უკუვაგდოთ ყოველი რყევა, დავგმოთ ყოველგვარი გაურკვევლობა და ხელაღებით დავადგეთ შეტევის პოლიტიკას...

ერთი სიტყვით, **მჭიდრო პარტია, პარტიისგან მოწყობილი აჯანყება და შეტევის პოლიტიკა** — აი რა გვჭირდება დღეს ჩვენ აჯანყების გამარჯვებისთვის.

და ეს ამოცანა მით უფრო მწვავე და აუცილებელი ხდება, რაც უფრო ღრმავდება და ძლიერდება შიმშილობა სოფლად და სამრეწველო კრიზისები ქალაქად.

ზოგს ეჭვი შეპარვია ამ ანბანური ჭეშმარიტების სისწორეში და უიმედოდ ამბობს: რას იზამს პარტია, თუნდაც რომ ის მჭიდრო იყოს, თუ პროლეტარიატს ვერ შემოიკრებს გარშემო, პროლეტარიატი კი დამარცხდა, იმედი წაერთვა და ინიციატივის თავი აღარა აქვს, ხსნას ახლა სოფლიდან უნდა ველოდეთ და ინიციატივაც იქიდან უნდა მოდიოდესო და სხვ. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ძალიან ცდებიან ამ აზრის პატრონი ამხანაგები. პროლეტარიატი სრულებითაც არ დამარცხებულა, რადგან პროლეტარიატის დამარცხება მის სიკვდილს ნიშნავს, ის კი, პირიქით, წინანდებურად ცოცხლობს და დღითი-დღე ძლიერდება. მან მხოლოდ უკან დაიხია იმისთვის, რომ ღონე მოიკრიბოს და უკანასკნელად შეეჯახოს მეფის მთავრობას.

როცა 15 დეკემბერს მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ, იმ მოსკოვისა, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობდა დეკემბრის აჯანყებას,—საქვეყნოდ გამოაცხადა: ჩვენ დროებით ვაჩერებთ ბრძოლას იმ მიზნით, რომ სერიოზულად მოვემზადოთ და მერე აჯანყების დროშა ხელახლა აღვმართოთო, — ამით მან მთელი რუსეთის პროლეტარიატის სანუკვარი გულისთქმა გამოხატა.

და თუ ზოგიერთი ამხანაგი მაინც უარყოფს სინამდვილეს, თუ ისინი თავიანთ იმედებს პროლეტარიატზე აღარ ამყარებენ და ახლა სოფლის ბურჟუაზიას ჩაბღაუჭებიან, — მაშინ საკითხავია: ვისთანა გვაქვს საქმე, სოციალისტ-რევოლუციონერებთან თუ სოციალ-დემოკრატებთან, ვინაიდან არც ერთ სოციალ-დემოკრატს არ შეუვა ეჭვი იმ სიმართლეში, რომ სოფლის ფაქტიური (და არა მარტო იდეური) ხელმძღვანელი ქალაქის პროლეტარიატია.

ჩვენ ერთ დროს იმასაც კი გვეუბნებოდნენ, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ თვითმპყრობელობა დამარცხდაო, მაგრამ ჩვენ არც ეს დავიჯერეთ, რადგანაც თვითმპყრობელობის დამარცხება მის სიკვდილს ნიშნავს, ის კი არამც თუ არ მომკვდარა, არამედ ახალ ძალასაც კი იკრებდა ახალი თავდასხმისთვის. ჩვენ ვამბობდით, თვითმპყრობელობამ მხოლოდ უკან დაიხიაო. აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავით.

არა, ამხანაგებო! რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძოლისთვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა.

1906 წ. 7 იანვარი.

იბეჭდება რსდმპ კავკასიის კავშირის
კომიტეტის მიერ გამოცემული
ბროშურის ტექსტის მიხედვით.

სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა[55]

გაგეგონებათ ყმათა განთავისუფლება. ეს ის დრო იყო, როცა მთავრობას ორნაირი ლახტი ხვდებოდა: გარეთ — ყირიმის დამარცხება და შიგნით — გლეხების მოძრაობა. ამიტომ იყო, რომ ორივე მხრიდან შეწუხებულმა მთავრობამ თითი მოკაკვა და ყმათა განთავისუფლებაზე ალაპარაკდა: «ჩვენ თვითონ უნდა განვათავისუფლოთ ყმები ზევიდან, თორემ ხალხი აღდგება და თავისივე ხელით გაითავისუფლებს თავს ქვევიდანო». ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ეს «ზევიდან განთავისუფლება»... და თუ მაშინ ხალხი მოტყუვდა, თუ მთავრობამ თავისი ფარისევლური გეგმები გაიყვანა, თუ მან რეფორმებით წელი მოიმაგრა და მით ხალხის გამარჯვება დააგვიანა, ეს, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ ხალხს მაშინ მომზადება არ ჰქონდა და ადვილი მოსატყუებელი იყო.

ასეთივე ისტორია მეორდება დღეს რუსეთის ცხოვრებაში. როგორც იცით, დღესაც იგივე ორნაირი ლახტი ხვდება მთავრობას: გარეთ — მანჯურიის დამარცხება და შიგნით — ხალხის რევოლუცია. როგორც იცით, ორივე მხრიდან შეწუხებული მთავრობა ერთხელ კიდევ იკაკვავს თითს და «ზევიდან რეფორმებზე» გვებაასება, სწორედ ისე, როგორც მაშინ: «ჩვენ ზევიდან უნდა მივცეთ ხალხს სახელმწიფო სათათბირო, თორემ ხალხი აღდგება და დამფუძნებელ კრებას მოიწვევს ქვევიდანო».

ამგვარად, სათათბიროს მოწვევით უნდათ დააცხრონ ხალხის რევოლუცია, სწორედ ისე, როგორც ერთ დროს «ყმათა განთავისუფლებით» დააცხრეს გლეხობის დიადი მოძრაობა.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანა—ხელაღებით ჩავშალოთ რეაქციის გეგმები, დავანგრიოთ სახელმწიფო სათათბირო და მით გზა გავუწყალდოთ ხალხის რევოლუციას.

მაგრამ რა არის სათათბირო და ვისგან შესდგება ის?

სათათბირო დასახიჩრებული პარლამენტია. მას მხოლოდ სიტყვით ექნება გადამჭრელი ხმა, საქმით მას მხოლოდ სათათბირო ხმა ექნება, ვინაიდან ცენზორად თავზე ადგება ზედა პალატა და შეიარაღებული მთავრობა. მანიფესტი პირდაპირ ამბობს, რომ სათათბიროს ვერც ერთი გადაწყვეტილება ვერ გავა ცხოვრებაში, თუ მას ზედა პალატა და მეფე არ მოიწონებენო.

სათათბირო არ არის ხალხის პარლამენტი — ის ხალხის მტრების პარლამენტია, ვინაიდან სათათბიროს არჩევნები არ იქნება არც საყოველთაო, არც თანასწორი, არც პირდაპირი და არც ფარული; მცირე საარჩევნო უფლება, რომელიც მუშებს ეძლევა, ქაღალდზე დაწერილი უფლებაა და მეტი არაფერი. 98 ამრჩეველში, რომლებმაც სათათბიროს დეპუტატები უნდა აირჩიონ თბილისის გუბერნიიდან, მხოლოდ 2 კაცი შეიძლება იყოს მუშებიდან, დანარჩენი 96 ამრჩეველი სხვა კლასებს უნდა ეკუთვნოდნენ — ასე ამბობს მანიფესტი. 32 ამრჩეველში, რომლებმაც სათათბიროს დეპუტატები უნდა გაგზავნონ ბათუმისა და სოხუმის ოლქიდან, მხოლოდ ერთი კაცი შეიძლება იყოს მუშებიდან, დანარჩენი 31 ამრჩეველი სხვა კლასებიდან უნდა იყვნენ—ასე ამბობს მანიფესტი. იგივე უნდა ითქვას სხვა გუბერნიებზეც. ლაპარაკი არ უნდა, რომ დეპუტატებიც მხოლოდ სხვა კლასებიდან იქნებიან. **არც ერთი დეპუტატი მუშებიდან, არც ერთი ხმა მუშებს — აი რა ნიადაგზე შენდება სათათბირო.** თუ ყოველივე ამას სამხედრო წესებსაც მივუმატებთ, თუ მხედველობაში მივიღებთ თავისუფალი სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და კავშირების აკრძალვას, მაშინ თავისთავად ცხადი იქნება, თუ რა ხალხი მოიყრის თავს მეფის სათათბიროში...

ლაპარაკი არ უნდა, რომ მით უფრო თავგამოდებით უნდა შევეცადოთ სათათბიროს დანგრევას და რევოლუციის დროშის აფრიალებას.

როგორ უნდა დავანგრიოთ სათათბირო, არჩევნებში მონაწილეობით თუ არჩევნების ბოიკოტით — აი სადღეისო კითხვა.

ერთნი იძახიან: აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში, რომ რეაქციისგან დადგმულ მახეში თვითონ რეაქცია გავაბათ და მით საბოლოოდ ჩავშალოთ სახელმწიფო სათათბირო.

მეორენი უპასუხებენ: არჩევნებში მონაწილეობით თქვენ თქვენდაუნებურად ეხმარებით რეაქციას სათათბიროს აშენებაში და მით ორივე ფეხით ებმებით რეაქციის მახეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ რეაქციასთან ერთად აშენებთ მეფის სათათბიროს და შემდეგ ცხოვრებასთან ერთად ცდილობთ დაანგრიოთ თქვენგანვე აშენებული სათათბირო, რაც ჩვენი პოლიტიკის პრინციპულობასთან შეუთავსებელია. ორში ერთი: ან ხელი აიღეთ არჩევნებზე და შეუდექით სათათბიროს ჩაშლას, ანდა ხელი აიღეთ სათათბიროს ჩაშლაზე და შეუდექით არჩევნებს, რომ შემდეგ აღარ დაგჭირდეთ თქვენივე აშენებულის დანგრევა.

ცხადია, ერთადერთი სწორი გზა აქტიური ბოიკოტია, რომლის შემწეობითაც მოვახდენთ რეაქციის იზოლაციას ხალხისგან, მოვაწყობთ სათათბიროს ჩაშლას და მით უნიადაგოდ დავტოვებთ ამ დასახიჩრებულ პარლამენტსო.

ასე ლაპარაკობენ ბოიკოტის მომხრენი.

რომელია ამათში მართალი?

ორი რამაა საჭირო ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკისთვის: ერთი ის, რომ იგი საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, და მეორე ის, რომ იგი მასის რევოლუციურ სულისკვეთებას მაღლა და მაღლა უნდა სწევდეს.

არჩევნებში მონაწილეობის ტაქტიკა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას, ვინაიდან ცხოვრება ძირს უთხრის სათათბიროს, არჩევნებში მონაწილეობა კი ძირს უმაგრებს მას და მით ცხოვრების მიმდინარეობას წინ ეღობება.

ბოიკოტის ტაქტიკა კი თავისთავად გამომდინარეობს რევოლუციის მსვლელობიდან, ვინაიდან ეს ტაქტიკა რევოლუციასთან ერთად თავიდანვე სახელს უტეხს და ძირს უთხრის პოლიციურ სათათბიროს.

არჩევნებში მონაწილეობის ტაქტიკა ანელებს ხალხის რევოლუციურ სულისკვეთებას, ვინაიდან მონაწილეობის მომხრენი პოლიციური არჩევნებისკენ იწვევენ ხალხს და არა რევოლუციური მოქმედებისკენ, საარჩევნო ყუთებში ეძებენ ხსნას და არა ხალხის გალაშქრებაში. პოლიციური არჩევნები კი ყალბ წარმოდგენას დაბადებს ხალხში სახელმწიფო სათათბიროზე, ცრუ იმედებს გაუღვიძებს მას გულში და თავისდაუნებურად წარმოათქმევინებს: ალბათ, არც ისე ცუდი ყოფილა სათათბირო, თორემ სოციალ-დემოკრატები არ გვირჩევდნენ მონაწილეობის მიღებას, — ეგებ გვეშველოს რამე და ჩვენდა სასიკეთოდ გამოდგეს სათათბიროო.

ბოიკოტის ტაქტიკა კი არავითარ ცრუ იმედებს არ ავრცელებს სათათბიროზე, არამედ პირდაპირ და ხაზგასმით ამბობს, რომ ერთადერთი ხსნა ხალხის ძლევამოსილ გალაშქრებაშია, ხალხის განთავისუფლება მხოლოდ ხალხისავე ხელით შეიძლება მოხდეს და, რადგანაც სათათბირო ამას ხელს უშლის, დღეიდანვე უნდა შევუდგეთ მის გადალახვასო. აქ ხალხი მხოლოდ თავის თავს ემყარება და თავიდანვე მტრულ პოზიციაში უდგება სათათბიროს, როგორც რეაქციის ციხე-სიმაგრეს, ეს კი მაღლა და მაღლა ასწევს მის რევოლუციურ სულისკვეთებას და ნიადაგს მოუმზადებს საერთო ძლევამოსილ გალაშქრებას.

რევოლუციური ტაქტიკა უნდა იყოს ნათელი, მკაფიო და გარკვეული, და აი, სწორედ ბოიკოტის ტაქტიკას ახლავს ეს თვისებები.

ამბობენ: სიტყვიერი აგიტაცია არ კმარა, მასა ფაქტებით უნდა დაარწმუნო სათათბიროს უვარგისობაში, რომ ამით სათათბიროს ჩაშლას ხელი შეუწყო, ყოველივე ამისთვის კი არჩევნებში მონაწილეობაა საჭირო და არა აქტიური ბოიკოტიო.

ამაზე აი რას ვიტყვით: ლაპარაკი არ უნდა, რომ ფაქტებით აგიტაციას გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიტყვიერ ახსნა-განმარტებას. სწორედ ამიტომ მივდივართ **ხალხის** საარჩევნო კრებებზე, რომ სხვა პარტიებთან **ბრძოლის დროს,** მათთან **შეჯახ-შემოჯახების დროს** თვალდათვალ დავანახოთ ხალხს რეაქციისა და ბურჟუაზიის უკუღმართობა და მით «ფაქტებით აგიტაცია» გავუწიოთ ამომრჩევლებს. და თუ ამით არ კმაყოფილდებიან ამხანაგები, თუ ყოველივე ამას ისინი არჩევნებში მონაწილეობასაც უმატებენ, მაშინ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თავისთავად არჩევნები—კენჭის ჩაგდება თუ არ ჩაგდება — იოტის ოდენასაც არას უმატებს არც «ფაქტიურს» და არც «სიტყვიერ» აგიტაციას. ზიანი კი დიდი მოაქვს, რადგანაც ამ «ფაქტებით აგიტაციის» დროს მონაწილეობის მომხრენი თავისდაუნებურად იწონებენ სათათბიროს არსებობას და მით ნიადაგს უმაგრებენ მას. რით უნდა გამოიყიდონ ამხანაგებმა ეს ვეებერთელა ზიანი? კენჭის ჩაგდებით? ამაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს.

მეორე მხრივ, «ფაქტებით აგიტაციასაც» თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს. როცა გაპონი ჯვრებითა და ხატებით მიუძღოდა წინ პეტერბურგელ მუშებს, ისიც ასე ლაპარაკობდა: ხალხს სწამს მეფის გულკეთილობა, ის ჯერ არ დარწმუნებულა ადმინისტრაციის დანაშაულებრივობაში და უნდა გავუძღვეთ მას მეფის სასახლისკენო. გაპონი, რა თქმა უნდა, ცდებოდა, მისი ტაქტიკა საზიანო ტაქტიკა იყო, რაც ცხრა იანვარს დადასტურდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დღის სავალზე უნდა ვერიდებოდეთ გაპონისებურ ტაქტიკას. ბოიკოტის ტაქტიკა კი ერთადერთი ტაქტიკაა, რომელიც ძირიანად უარყოფს გაპონის ნახტომებს.

გვეუბნებიან: ბოიკოტი ერთმანეთს აშორებს მასასა და მის მოწინავე ნაწილს, რადგანაც ბოიკოტის დროს მხოლოდ მოწინავე ნაწილი გამოგვყვება, მასა კი რეაქციონერებსა და ლიბერალებს დარჩება და მას თავისკენ გადაიბირებენო.

ჩვენ ვიტყვით, რომ სადაც კი ეს ასე იქნება, იქ მასა სხვა პარტიების თანამგრძნობი ყოფილა და, სულ ერთია, სოციალ-დემოკრატებს მაინც არ აირჩევენ რწმუნებულებად, დიახაც რომ მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში. ცალიერი არჩევნები ხომ ვერ გაარევოლუციონერებს მასას! ხოლო რაც შეეხება საარჩევნო აგიტაციას, ამას ორივე მხარე ეწევა იმ განსხვავებით, რომ ბოიკოტის მომხრენი უფრო მკაცრ და უშიშარ აგიტაციას გასწევენ სათათბიროს წინააღმდეგ, ვიდრე მონაწილეობის მომხრენი, ვინაიდან სათათბიროს ცხარე კრიტიკამ შეიძლება არჩევნებზე ხელი ააღებინოს მასას, — ეს კი არ შედის მონაწილეობის მომხრეთა ტაქტიკაში. თუ ეს აგიტაცია გააწყობს რასმე, მაშინ ხალხი სოციალ-დემოკრატების გარშემო დაირაზმება, და როცა ესენი დაიძახებენ: გავიდეთ კარში, ბოიკოტი სათათბიროს! ხალხი უმალვე გამოჰყვება მათ და დარჩებიან მარტოოდენ რეაქციონერები თავისი წარჩინებული ხულიგნებით. ხოლო თუ აგიტაცია «ვერ გასჭრის», მაშინ არჩევნებს ზიანის მეტი არა მოჰყვება-რა, რადგანაც სათათბიროში მონაწილეობის ტაქტიკის დროს იძულებული ვიქნებით რეაქციონერების მოქმედება დავადასტუროთ. როგორც ხედავთ, ბოიკოტი საუკეთესო საშუალებაა ხალხის დასარაზმავად სოციალ-დემოკრატიის გარშემო, რა თქმა უნდა, სადაც კი შესაძლებელია ასეთი დარაზმვა, ხოლო სადაც შესაძლებელი არაა, იქ არჩევნები ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს.

გარდა ამისა, სათათბიროში მონაწილეობის ტაქტიკა ხალხის რევოლუციურ შეგნებას აბნელებს. საქმე იმაშია, რომ ყველა რეაქციული და ლიბერალური პარტიები მონაწილეობას იღებენ არჩევნებში. რა განსხვავებაა რევოლუციონერებსა და მათ შორის — ამაზე მონაწილეობის ტაქტიკა პირდაპირ ვერას

ეუბნება მასას. მასას ადვილად შეიძლება აერიოს ერთმანეთში არა-რევოლუციონერი კადეტები და რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები. ბოიკოტის ტაქტიკა კი პირდაპირ საზღვარსა სდებს რევოლუციონერებსა და არა-რევოლუციონერებს შორის, რომლებსაც სათათბიროთი უნდათ იხსნან ძველი რეჟიმის დედაბოძი. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის რევოლუციური განათლებისთვის.

დასასრულ გვეუბნებიან, რომ ჩვენ არჩევნების შემწეობით მუშათა დეპუტატების საბჭოებს შევქმნით და მით ორგანიზაციულად შევკრავთ რევოლუციურ მასას.

ჩვენ ვუპასუხებთ ამაზე, რომ დღევანდელ პირობებში, როცა უწყინარ კრებებსაც კი იჭერენ, პირდაპირ შეუძლებელია მუშათა დეპუტატების საბჭოების მოქმედება, და, მაშასადამე, ამგვარი ამოცანის დასმა თავის მოტყუებაა.

მაშ ასე, მონაწილეობის ტაქტიკა უნებლიეთ ამაგრებს მეფის სათათბიროს, ანელებს მასის რევოლუციურ სულისკვეთებას, აბნელებს ხალხის რევოლუციურ შეგნებას, ვერავითარ რევოლუციურ ორგანიზაციებს ვერ ჰკრავს, საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას წინ ელობება და, როგორც ასეთი, უნდა უარყოფილ იქნას სოციალ-დემოკრატიის მიერ.

ბოიკოტის ტაქტიკა — აი საით მიდის დღეს რევოლუციის განვითარება. აქეთ უნდა წავიდეს სოციალ-დემოკრატიაც.

გაზეთი «განთიადი» № 3,
1906 წლის 8 მარტი.
ხელმოწერა: ი. ბესოშვილი.

აგრარული საკითხი

I

გატყდა ძველი დროება, შეირყა სოფლის მყუდროება. ჯერ კიდევ გუშინ დაცემული გლეხკაცობა დღეს ფეხზე დგება და წელში იმართება. ჯერ კიდევ გუშინ უსუსური გლეხთა მოძრაობა დღეს ნიაღვარს ემსგავსება და ძველი წესწყობილების წინააღმდეგ მიექანება: გზა დამიცალეთ, თორემ გადაგლახავთო! «გლეხებს მემამულეთა მიწები უნდათ», «გლეხებს ბატონყმური ნაშთების მოსპობა უნდათ»,—აი რა ხმები ტრიალებს დღეს რუსეთის აჯანყებულ სოფლებში.

ცდებიან ისინი, ვინც ტყვია-წამლით ფიქრობენ გლეხების გაჩუმებას: ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ეს უფრო აცხოველებს და ამწვავებს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას.

ისინიც ცდებიან, ვინც უბრალო დაპირებით და «საგლეხო ბანკებით» ცდილობენ გლეხების დაცხრომას: გლეხებს მიწა უნდათ, ისინი სიზმარშიც კი ამ მიწას ხედავენ და, ცხადია, არ დაცხრებიან, სანამ მემამულეთა მიწებს არ ჩაიგდებენ ხელში. რა უნდა მისცეს მათ ცალიერმა დაპირებამ და რაღაც «საგლეხო ბანკებმა»?

გლეხებს მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება უნდათ. ისინი ამ გზით ცდილობენ ბატონყმური ნაშთების მოსპობას,— და ვინც გლეხების მოღალატე არაა, სწორედ ამ ნიადაგზე უნდა ცდილობდეს აგრარული საკითხის გადაჭრას.

კეთილი. მერე როგორ უნდა ჩაიგდოს ხელში მემამულეთა მიწები გლეხკაცობამ?

ამბობენ, ერთადერთი ხსნა მიწების «შეღავათიან გამოყიდვაშიაო». მთავრობას და მემამულეებს ბევრი თავისუფალი მიწა აქვთ, გვეუბნებიან ეს ვაჟბატონები, გლეხებმა რომ ეს მიწები გამოიყიდონ, ყველაფერი თავისთავად მოეწყობა და, ამგვარად, არც მწვადი დაიწვის, არც შამფურიო. იმას კი აღარ კითხულობენ, თუ რით უნდა გამოიყიდონ გლეხებმა ეს მიწები, როცა მათ ფული კი არა, ტყავიც აღარ შეარჩინეს? იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ გამოყიდვის დროს მარტო უხეირო მიწებს გადმოუგდებენ გლეხებს, ხეირიან მიწებს კი ისევ თავიანთთვის დაირჩენენ, როგორც ეს «ყმების განთავისუფლების» დროს მოახერხეს! ან რად უნდა გამოიყიდონ გლეხებმა ის მიწები, რომლებიც თაობითვე მათ ეკუთვნოდათ? განა გლეხების ოფლით არ არის მორწყული სახაზინოცა და მემამულეების მიწებიც, განა გლეხებს არ ეკუთვნოდათ ეს მიწები, განა გლეხებს არ წაართვეს ეს მამაპაპეული ქონება? სად არის სამართალი, როცა სასყიდელს სთხოვენ გლეხებს მათგანვე წართმეულ მიწებში? და განა გლეხთა მოძრაობის საკითხი ყიდვა-გაყიდვის საკითხია? განა გლეხების მოძრაობა გლეხების განთავისუფლებისკენ არაა მიმართული? ვინ გაათავისუფლებს გლეხებს ბატონყმური უღლისგან, თუ არ თვითონვე გლეხები? ეს ვაჟბატონები კი გვარწმუნებენ, რომ გლეხებს მემამულეები გაათავისუფლებენ, თუ ცოტა ხურდას ჩაუჩხრიალებთო. და, თურმე ნუ იტყვით! ეს «განთავისუფლება» მეფის ბიუროკრატიის ხელმძღვანელობით უნდა მოხდეს, იმ ბიუროკრატიისა, რომელმაც არა ერთხელ მიაგება ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები დამშეულ გლეხკაცობას!..

არა! გლეხებს ვერ იხსნის მიწების გამოყიდვა. ვინც მათ «შეღავათიან გამოყიდვას» ურჩევს,—ის მოღალატეა, ვინაიდან მას უნდა დალალობის მახეში გააბას გლეხობა, და არ უნდა, რომ გლეხების განთავისუფლება გლეხებისავე ხელით მოხდეს.

თუ გლეხებს მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება უნდათ, თუ მათ ამ გზით უნდათ მოსპონ ბატონყმური ნაშთები, თუ მათ «შეღავათიანი გამოყიდვა» ვერ იხსნის, თუ გლეხების განთავისუფლება გლეხებისავე ხელით უნდა მოხდეს,—მაშინ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ერთადერთი გზა მემამულეებისგან მიწების ჩამორთმევაა, ე. ი. ამ მიწების კონფისკაცია.

ესაა გამოსავალი.

ახლა ვიკითხოთ—სადამდის უნდა წავიდეს ეს კონფისკაცია, აქვს თუ არა მას საზღვარი, მარტო ნაწილი უნდა ჩამოართვან გლეხებმა, თუ მთელი მიწები?

ზოგნი ამბობენ, რომ მთელი მიწების ჩამორთმევა მეტისმეტია, საკმარისია ამ მიწების ნაწილი ჩამოერთვას, რომ გლეხები დაკმაყოფილდნენ. კეთილი, მაგრამ რა ვუყოთ, თუ გლეხებმა მეტი მოითხოვეს? წინ ხომ არ გადავეღობებით და არ ვეტყვით: შეჩერდით, ამას იქით ხელი არა გაქვთო! ეს ხომ რეაქციონერობა იქნებოდა! და განა რუსეთის ამბებმა არ დაამტკიცა, რომ გლეხები მართლა მემამულეების მთელი მიწების კონფისკაციას მოითხოვენ? გარდა ამისა, რას ნიშნავს «ნაწილის ჩამორთმევა», რომელი ნაწილი უნდა ჩამოერთვას მემამულეებს, ნახევარი თუ მესამედი? ან ვინ უნდა გადაჭრას ეს საკითხი—მარტო მემამულეებმა, თუ გლეხებმა და მემამულეებმა ერთად? როგორც ხედავთ, აქ კიდევ საკმაო ადგილი რჩება დალალობისთვის, აქ კიდევ შესაძლებელი ხდება გლეხებსა და მემამულეთა შორის ვაჭრობა, ეს კი ძირიანად ეწინააღმდეგება გლეხთა განთავისუფლების საქმეს. გლეხებმა ერთხელ და უკანასკნელად უნდა შეითვისონ ის აზრი, რომ მემამულეებთან ვაჭრობა კი არა, ბრძოლაა საჭირო. ბატონყმური უღლის შეკეთება კი არა, მისი დამსხვრევა უნდა მოხდეს, რომ სამუდამოდ მოისპოს ნაშთები ბატონყმობისა. მარტო «ნაწილის ჩამორთმევა» ბატონყმური ნაშთების შეკეთებას ნიშნავს, რაც შეუთავსებელია გლეხების განთავისუფლების საქმესთან.

ცხადია, ერთადერთი გზა—მემამულეებისგან **მთელი მიწების ჩამორთმევაა.** მხოლოდ ამას შეუძლია ბოლომდე

მიიყვანოს გლეხთა მოძრაობა, მხოლოდ ამას შეუძლია გააძლიეროს ხალხის ენერგია, მხოლოდ ამას შეუძლია ქარს გაატანოს ბატონყმობის მობერებული ნაშთები.

მაშ ასე: სოფლის დღევანდელი მოძრაობა—ეს გლეხთა დემოკრატიული მოძრაობაა. ამ მოძრაობის მიზანი—ბატონყმური ნაშთების მოსპობაა. ხოლო ამ ნაშთების მოსასპობად მთელი მიწების ჩამორთმევაა საჭირო—მემამულეებისაც და ხაზინისაც.

ზოგიერთი ვაჟბატონი გვიკიჟინებს: რატომ აქამდე არ მოითხოვდა სოციალ-დემოკრატია მთელი მიწების კონფისკაციას, რატომ იყო, რომ დღემდის ის მხოლოდ «ჩამონაჭრების» კონფისკაციაზე ლაპარაკობდაო?

იმიტომ, ბატონებო, რომ 1903 წელს, როცა პარტია «ჩამონაჭრებზე» ლაპარაკობდა, რუსეთის გლეხობა ჯერ ჩაბმული არ იყო მოძრაობაში. პარტიის მოვალეობა იყო—ისეთი ლოზუნგი გადაესროლა სოფელში, რომელიც გულს აუნთებდა გლეხობას და ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ აამხედრებდა. სწორედ ასეთი ლოზუნგი იყო «ჩამონაჭრები», რომლებიც მკაფიოდ მოაგონებდა რუსეთის გლეხობას ბატონყმური ნაშთების უსამართლობას.

მაგრამ მას შემდეგ დრო შეიცვალა. გლეხთა მოძრაობა გაიზარდა. მას ახლა გამოწვევა აღარ ესაჭიროება,—ის ისედაც აზვირთებულია. დღეს იმაზე კი აღარაა ლაპარაკი, თუ **როგორ უნდა ამოძრავდეს გლეხობა,**—არამედ იმაზე, თუ **რა უნდა მოითხოვოს ამოძრავებულმა გლეხობამ.** ცხადია, აქ გარკვეული მოთხოვნებია საჭირო, და აი, პარტია ეუბნება გლეხებს, მემამულეებისა და ხაზინის მთელი მიწების კონფისკაცია უნდა მოითხოვოთო.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს,—როგორც «ჩამონაჭრებს», ისე მთელი მიწების კონფისკაციას.

II

ჩვენ ვნახეთ, რომ სოფლის დღევანდელი მოძრაობა—ეს გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობაა, ვნახეთ აგრეთვე, რომ გლეხთა განთავისუფლებისთვის **ბატონყმობის** ნაშთების მოსპობაა საჭირო, ხოლო ამ ნაშთების მოსასპობად საჭიროა მემამულეებსა და ხაზინას ჩამოერთვას მთელი მიწები, რომ გზა გაეწმინდოს ახალ ცხოვრებას, კაპიტალიზმის თავისუფალ განვითარებას.

ვთქვათ, ეს ყველაფერი შესრულდა. როგორ უნდა განაწილდეს შემდეგ ეს მიწები, ვის უნდა გადაეცეს საკუთრებად?

ერთნი ამბობენ, ჩამორთმეული მიწები სოფელს უნდა გადაეცეს **საერთო** საკუთრებად, **ახლავე** უნდა მოისპოს მიწის **კერძო** საკუთრება და, ამგვარად, სოფელი უნდა გახდეს მიწების ბატონპატრონი, შემდეგ კი თვითონ სოფელი დაურიგებს გლეხებს **თანასწორ** «ნადელებს» და, ამგვარად, ახლავე განხორციელდება სოფლად სოციალიზმი,—დაჭირავებული შრომის მაგიერ მიწის თანასწორად სარგებლობა დამყარდებაო.

ამას ეწოდება **«მიწის სოციალიზაცია»**,—გვეუბნებიან სოციალისტ-რევოლუციონერები.

მისაღებია ჩვენთვის თუ არა ეს გზა? ჩავუკვირდეთ საქმეს. დავიწყოთ იქიდან, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებს სოფლიდან უნდათ **დაიწყონ** სოციალიზმის განხორციელება. შესაძლებელია ეს თუ არა? ყველასთვის ცხადია, რომ ქალაქი უფრო განვითარებულია, ვიდრე სოფელი, რომ ქალაქი სოფლის ბელადია და, მაშასადამე, ყოველი სოციალისტური საქმე ქალაქიდან უნდა იწყებოდეს. სოციალისტ-რევოლუციონერებს კი უნდათ სოფელი გახადონ ქალაქის მეთაურად და მას დააწყებინონ სოციალიზმის განხორციელება, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია სოფლის ჩამორჩენილობის გამო. აქედან სჩანს, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების «სოციალიზმი» უდღეური სოციალიზმი იქნება.

გადავიდეთ ახლა იმაზე, რომ მათ უნდათ **ახლავე** განახორციელონ სოციალიზმი სოფლად. სოციალიზმის განხორციელება — ეს საქონლის წარმოების მოსპობა, ფულის მეურნეობის გაუქმება, კაპიტალიზმის ძირიანად დანგრევა და ყველა საწარმოო იარაღის განსაზოგადოებაა. სოციალისტ-რევოლუციონერებს კი უნდათ — ყოველივე ეს ხელუხლებლად დატოვონ და მარტო მიწა განასაზოგადონ, რაც ყოვლად შეუძლებელია. თუ საქონლის წარმოება შეურყეველად დარჩება, მაშინ მიწაც საქონლის სახეს მიიღებს, დღეს-ხვალ ბაზარზე ამოჰყოფს თავს და სოციალისტ-რევოლუციონერების «სოციალიზმი» ჰაერში გაფრინდება. ცხადია, მათ უნდათ კაპიტალიზმის ფარგლებში განახორციელონ სოციალიზმი, რაც, რასაკვირველია, წარმოუდგენელია. ამიტომ ამბობენ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების «სოციალიზმი» ბურჟუაზიული სოციალიზმიაო.

რაც შეეხება **მიწის თანასწორ სარგებლობას**, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ცალიერი სიტყვებია. მიწის თანასწორ სარგებლობას ქონებრივი თანასწორობა ესაჭიროება, გლეხებში კი ქონებრივი მაღალ-დაბლობა არსებობს, რომელსაც ვერ მოსპობს დღევანდელი დემოკრატიული რევოლუცია. რა საფიქრებელია, რომ რვა უღელი ხარის პატრონმა მეოჯახემ იმდენადვე ისარგებლოს მიწებით, რამდენადაც უხაროს? სოციალისტ-რევოლუციონერებს კი ჰგონიათ, რომ «მიწის თანასწორი სარგებლობა» მოსპობს დაქირავებულ შრომას და კაპიტალის განვითარებას ბოლო მოეღებაო, რაც, რასაკვირველია, უაზრობაა. ცხადია, სოციალისტ-რევოლუციონერებს უნდათ კაპიტალიზმის შემდგომ **განვითარებას** შეებრძოლონ და ისტორიის ჩარხი უკუღმა შემოატრიალონ, — ისინი ხსნას ამაში ხედავენ. მეცნიერება კი გვეუბნება, სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმის **განვითარებაზეა** დამოკიდებული, და ვინც ამ განვითარებას ებრძვის, ის სოციალიზმს ებრძვისო. ამიტომაა, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებს სხვანაირად **სოციალისტ-რეაქციონერებს** უწოდებენ.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გლეხებს უნდათ იბრძოლონ ფეოდალური საკუთრების გასაუქმებლად ბურჟუაზიული საკუთრების წინააღმდეგ კი არა, არამედ ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე, — მათ კერძო საკუთრებად უნდათ გაინაწილონ ჩამორთმეული მიწები და «მიწის სოციალიზაციას» არ დასჯერდებიან.

როგორც ხედავთ, «მიწის სოციალიზაცია» მისაღები არ ყოფილა.

მეორენი ამბობენ, რომ ჩამორთმეული მიწები დემოკრატიულ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს, გლეხები კი სახელმწიფოს მიწის მხოლოდ მოიჯარადრეები იქნებიანო.

ამას «**მიწის ნაციონალიზაციას**» უწოდებენ.

მისაღებია თუ არა მიწის ნაციონალიზაცია? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მომავალი სახელმწიფო, რაც უნდა დემოკრატიული იყოს, მაინც ბურჟუაზიული იქნება, რომ ამისთანა სახელმწიფოსთვის მიწების გადაცემას ბურჟუაზიის პოლიტიკური გაძლიერება მოჰყვება, რაც დიდად საზარალოა სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატისთვის; თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმას, რომ თვითონ გლეხებიც წინააღმდეგი იქნებიან «მიწის ნაციონალიზაციისა» და მარტო მოიჯარადრეების როლს არ დასჯერდებიან, — მაშინ თავისთავად ცხადი გახდება, რომ «მიწის ნაციონალიზაცია» არ ეხამება დღევანდელი მოძრაობის ინტერესებს.

მაშასადამე, არც «მიწის ნაციონალიზაცია» ყოფილა მისაღები.

მესამენი ამბობენ, რომ მიწები ადგილობრივ თვითმმართველობას უნდა გადაეცეს საკუთრებად, გლეხები კი თვითმმართველობის მიწის მოიჯარადრეები იქნებიანო.

ამას «**მიწის მუნიციპალიზაცია**» ეწოდება.

მისაღებია თუ არა მიწის მუნიციპალიზაცია? რას ნიშნავს «მიწის მუნიციპალიზაცია»? ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ გლეხები საკუთრებად ვერ მიიღებენ იმ მიწებს, რომლებსაც ისინი ბრძოლის დროს ართმევენ მემამულეებსა და ხაზინას. როგორ შეხედავენ ამას გლეხები? გლეხებს მიწებს

დასაკუთრება უნდათ, გლეხებს ჩამორთმეული მიწების დაყოფა უნდათ, ისინი სიზმარშიც კი ხედავენ ამ მიწებს, როგორც თავიანთ საკუთრებას, და როცა მათ ეტყვიან, რომ მიწები თქვენ კი არა, თვითმმართველობას უნდა გადაეცესო, გლეხები, უეჭველია, არ დაეთანხმებიან «მუნიციპალიზაციის» მომხრეებს. ეს არ უნდა დავივიწყოთ.

გარდა ამისა, რა ვუყოთ, თუ რევოლუციით გატაცებული გლეხები დაისაკუთრებენ მთელ ჩამორთმეულ მიწებს და თვითმმართველობისთვის აღარას დატოვებენ? წინ ხომ არ გადავეღობებით და არ ვეტყვით: შეჩერდით, ეს მიწები თვითმმართველობას უნდა გადაეცეს და არა თქვენ, — მოიჯარადრობაც გეყოფათო!

მეორე, «მუნიციპალიზაციის» ლოზუნგის მიღება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ახლავე უნდა გავიტანოთ ხალხში ეს ლოზუნგი და ახლავე უნდა ავუხსნათ გლეხებს, რომ ის მიწები, რომლისთვისაც ისინი იბრძვიან, რომლის ხელში ჩაგდება მათ უნდათ, თვითმმართველობას გადაეცემა საკუთრებად, და არა გლეხებს. რა თქმა უნდა, თუ პარტიას დიდი გავლენა აქვს გლეხებზე, მაშინ შეიძლება ისინი დაეთანხმონ მას, მაგრამ ცხადია, რომ გლეხები წინანდელი გატაცებით აღარ იბრძოლებენ, რაც დიდად მავნებელი იქნება დღევანდელი რევოლუციისთვის. ხოლო თუ პარტიას დიდი გავლენა არა აქვს გლეხებზე, მაშინ მას განზე გაუდგებიან და ზურგს შეაქცევენ, რაც კონფლიქტს გამოიწვევს გლეხებსა და პარტიას შორის, შესამჩნევად შეასუსტებს რევოლუციის ძალებს.

გვეტყვიან: ხშირად გლეხების სურვილები ეწინააღმდეგება განვითარების მიმდინარეობას, ჩვენ კი არ შეგვიძლია ისტორიის მსვლელობა უყურადღებოდ დავტოვოთ და მუდამ გლეხების სურვილებს გავყვეთ, — პარტიას თავისი პრინციპები უნდა ჰქონდესო. სრული ჭეშმარიტებაა! პარტია თავისი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს. მაგრამ თავისი პრინციპების მოღალატე იქნებოდა ის პარტია, რომელიც გლეხების ყველა ზემოხსენებულ მისწრაფებას უარყოფდა. თუ გლეხების მისწრაფება—

მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება და მათი დაყოფა — არ ეწინააღმდეგება ისტორიის მიმდინარეობას, თუ ეს მისწრაფება, პირიქით, სავსებით გამომდინარეობს დღევანდელი დემოკრატიული რევოლუციიდან, თუ ფეოდალურ საკუთრებასთან ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე შეიძლება, თუ გლეხების სურვილებიც სწორედ ამ ტენდენციას ღაღადებს, — მაშინ თავისთავად ცხადია, რომ პარტია ვერ უარყოფს გლეხების ამ მოთხოვნას, ვინაიდან ამ მოთხოვნის მხარის დაჭერაზე უარის თქმა რევოლუციის განვითარებაზე უარის თქმა იქნებოდა. პირიქით, თუ პარტიას პრინციპები აქვს, თუ მას არ უნდა რევოლუციის მუხრუჭად გადაიქცეს, მან ხელი უნდა შეუწყოს გლეხთა ამნაირი სურვილების განხორციელებას. ეს სურვილები კი ძირიანად ეწინააღმდეგება «მიწის მუნიციპალიზაციას»!

როგორც ხედავთ, არც «მიწის მუნიციპალიზაცია» ყოფილა მისაღები.

III

ჩვენ ვნახეთ, რომ ვერც «სოციალიზაცია», ვერც «ნაციონალიზაცია» და ვერც «მუნიციპალიზაცია» — ვერც ერთი მათგანი ჯეროვნად ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელი რევოლუციის ინტერესებს.

მაშ როგორ უნდა დანაწილდეს ჩამორთმეული მიწები, ვის უნდა გადაეცეს საკუთრებად?

ცხადია, **თვითონ გლეხებს უნდა გადაეცეს** გლეხების მიერ ჩამორთმეული მიწები, რომ საშუალება მიეცეთ მათ ერთმანეთში **დაიყონ** ეს მიწები. ასე უნდა გადაიჭრას ზემოთ წამოყენებული საკითხი. მიწების დაყოფას საკუთრების ამოძრავება მოჰყვება. ხელმოკლენი გაყიდიან მიწებს და გაპროლეტარების გზას დაადგებიან, შეძლებულნი ახალ მიწებს შეიძენენ და მიწის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესებას შეუდგებიან, სოფელი კლასებად დაიყოფა, გაჩაღდება კლასთა გამწვავებული ბრძოლა და, ამგვარად, საძირკველი ჩაეყრება კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას.

როგორც ხედავთ, მიწების დაყოფა თავისთავად გამომდინარეობს დღევანდელი ეკონომიური განვითარებიდან.

მეორე მხრივ, ლოზუნგი — «**მიწა გლეხებს, მხოლოდ გლეხებს და სხვას არავის**» წელში გამართავს გლეხკაცობას, ახალ ძალას ჩაბერავს მას და ხელს შეუწყობს სოფლად უკვე დაწყებული რევოლუციური მოძრაობის ბოლომდე მიყვანას.

როგორც ხედავთ, დღევანდელი რევოლუციის მიმდინარეობაც მიწების გაყოფის საჭიროებაზე გვითითებს.

მოწინააღმდეგენი გვიკიჟინებენ, ყოველივე ამით თქვენ წვრილ ბურჟუაზიას აღორძინებთ, ეს კი ძირიანად ეწინააღმდეგება მარქსის მოძღვრებასო. აი რასა სწერს «Революционная Россия»[56]:

«როცა თქვენ გლეხებს ეშველებით მემამულეთა ექსპროპრიაციაში, ამით თქვენ, თქვენდა შეუგნებლად, ხელს უწყობთ წვრილბურჟუაზიული მეურნეობის შემოღებას კაპიტალისტური მიწათმოქმედი მეურნეობის უკვე ცოტად თუ ბევრად განვითარებული ფორმების ნანგრევებზე. განა ეს «უკან გადადგმული ნაბიჯი» არ არის ორტოდოქსალური მარქსიზმის თვალსაზრისით?» (იხ. «Революционная Россия» № 75).

უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონ «კრიტიკოსებს» ფაქტები არევიათ. მათ დავიწყებიათ, რომ მემამულეთა მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობა არაა, რომ ის ბატონყმური მეურნეობის ნაშთია და, მაშასადამე, მემამულეთა ექსპროპრიაციით ბატონყმური მეურნეობის ნაშთები ინგრევა, და არა კაპიტალისტური მეურნეობა. დავიწყებიათ ისიც, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით ბატონყმურ მეურნეობას არადროს უშუალოდ არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყვეს კაპიტალისტური მეურნეობა—მათ შორის წვრილბურჟუაზიული მეურნეობაა ამართული რომელიც ბატონყმურ მეურნეობას სცვლის და შემდეგ კაპიტალისტურზე გადადის. ჯერ კიდევ «კაპიტალის» მესამე ტომში ამბობდა კარლ მარქსი, რომ ისტორიაში ბატონყმურ მეურნეობას ჯერ სოფლის წვრილბურჟუაზიული მეურნეობა მოსდევდა და

მხოლოდ ამის შემდეგ ვითარდებოდა მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა — ერთიდან მეორეში პირდაპირი გადახტომა **არ** ხდებოდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყოო. ახირებული «კრიტიკოსები» კი გვეუბნებიან, რომ მემამულეთა მიწების ჩამორთმევა და მათი დაყოფა უკან დახევაა მარქსიზმის თვალსაზრისითო! ჩქარა იმასაც დაგვაბრალებენ, ვითომ «ბატონყმობის გადავარდნაც» უკან დახევაა მარქსიზმის თვალსაზრისით, რადგან მაშინაც ზოგიერთი მიწა მემამულეებს «ჩამოერთვა» და წვრილ მეურნეებს—გლეხებს გადაეცა! რა სასაცილონი არიან! მათ არ იციან, რომ მარქსიზმი ყველაფერს ისტორიული თვალსაზრისით უყურებს, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით სოფლის წვრილბურჟუაზიული მეურნეობა პროგრესულია ბატონყმურ მეურნეობასთან შედარებით, რომ ბატონყმური მეურნეობის დანგრევა და წვრილბურჟუაზიულის შემოღება აუცილებელი პირობაა იმ კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელიც შემდეგ განდევნის ამ წვრილბურჟუაზიულ მეურნეობას...

მაგრამ გავანებოთ თავი «კრიტიკოსებს».

საქმე იმაშია, რომ **მიწების გლეხებისთვის გადაცემა** და შემდეგ **მათი დაყოფა** ძირს უთხრის ბატონყმურ ნაშთებს, **ნიადაგს** უმზადებს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას, შესამჩნევად აძლიერებს რევოლუციის აღმავლობას და სწორედ ამიტომ არის ეს მისაღები სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის.

მაშ ასე, ბატონყმური ნაშთების მოსასპობად მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციაა საჭირო, ხოლო ეს მიწები გლეხებმა უნდა დაისაკუთრონ და დაიყონ, თანახმად თავიანთი ინტერესებისა.

ამ ნიადაგზე უნდა აშენდეს პარტიის აგრარული პროგრამა.

გვეტყვიან: ყოველივე ეს გლეხებისთვისაა ნათქვამი, მაგრამ სოფლის პროლეტარებს რაღას უპირებთო? ჩვენ ვუპასუხებთ, რომ თუ გლეხებისთვის **დემოკრატიული** აგრარული პროგრამაა საჭირო, სოფლისა და ქალაქის პროლეტარებისთვის **სოციალისტური** პროგრამა არსებობს, სადაც მათი კლასობრივი

ინტერესებია გამოხატული, ხოლო მათი სადღეისო ინტერესები გათვალისწინებულია პროგრამა-მინიმუმის თექვსმეტ მუხლში, სადაც შრომის პირობების გაუმჯობესებაზეა ლაპარაკი (იხ. პარტიის პროგრამა, მიღებული მეორე ყრილობაზე). დღეს-დღეობით კი პარტიის უშუალო სოციალისტური მუშაობა იმაში გამოიხატება, რომ ის სოციალისტურ პროპაგანდას ეწევა სოფლის პროლეტარებში, საკუთარ სოციალისტურ ორგანიზაციებად აერთებს მათ და ქალაქის პროლეტარებთან ასისხლხორცებს ცალკე პოლიტიკურ პარტიად. პარტიას მუდამ აქვს საქმე გლეხების ამ ნაწილთან და ეუბნება მათ: რამდენადაც დემოკრატიულ რევოლუციას ახორციელებთ, იმდენად კავშირი იქონიეთ მებრძოლ გლეხებთან და ებრძოლეთ მემამულეებს, ხოლო რამდენადაც სოციალიზმისკენ მიდიხართ,—ხელაღებით შეესისხლხორცეთ ქალაქის პროლეტარებს და დაუნდობლად ებრძოლეთ ყველა ბურჟუას,—სულ ერთია, გლეხი იქნება ის თუ აზნაური. გლეხებთან ერთად დემოკრატიული რესპუბლიკისთვის! მუშებთან ერთად სოციალიზმისთვის!—აი რას ეუბნება პარტია სოფლის პროლეტარებს.

თუ პროლეტართა მოძრაობა და მათი **სოციალისტური პროგრამა კლასობრივი ბრძოლის** ცეცხლს დაანთებს, რომ ამით სამუდამოდ მოისპოს ყოველივე **კლასობრიობა**, თავის მხრით გლეხთა მოძრაობა და მისი **აგრარულ-დემოკრატიული პროგრამა წოდებათა ბრძოლის** ცეცხლს დაანთებს სოფლად, რომ ამით ძირფესვიანად მოისპოს ყოველივე **წოდებრიობა**.

P. S. წერილის გათავებისას არ შეიძლება არ გამოვეპასუხოთ ერთ მკითხველს, რომელიც შემდეგსა გვწერს: «მაინც ვერ დამაკმაყოფილა თქვენმა პირველმა წერილმა. ნუთუ არ ეწინააღმდეგებოდა პარტია მთელი მიწების კონფისკაციას? და თუ ეს ასე იყო, რატომ არ ამბობდა ამას?»

არა, პატივცემულო მკითხველო, არადროს არ ყოფილა პარტია ამგვარი კონფისკაციის წინააღმდეგი. ჯერ კიდევ მეორე ყრილობაზე, სწორედ იმ ყრილობაზე, სადაც «ჩამონაჭრების» პუნქტი მიიღეს, – ჯერ კიდევ ამ ყრილობაზე (1903 წ.) პლეხანოვისა და ლენინის პირით პარტია ამბობდა, ჩვენ მხარს დაეუჭერთ გლეხებს, თუ კი ისინი **მთელი** მიწების კონფისკაციას მოითხოვენო*. ორი წლის შემდეგ (1905 წ.) პარტიის ორივე ფრაქციამ, «ბოლშევიკებმა» — მესამე ყრილობაზე და «მენშევიკებმა» — პირველ კონფერენციაზე, ერთხმად განაცხადეს, რომ თავიდან ბოლომდე მხარს დაეუჭერთ გლეხებს **მთელი** მიწების კონფისკაციის საკითხშიო**. შემდეგ ორივე პარტიული მიმდინარეობის გაზეთებში, როგორც «ისკრასა» და «პროლეტარში», ისე «Новая Жизнь»-სა[57] და «Начало»-ში[58] რამდენჯერმე მოუწოდეს გლეხობას ‹მთელი მიწების კონფისკაციისკენ... როგორც ხედავთ, პარტია თავიდანვე მომხრე ყოფილა მთელი მიწების კონფისკაციისა, მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გაქვთ იფიქროთ, ვითომც პარტია კუდში მისდევდა გლეხთა მოძრაობას. ჯერ რიგიანად არც კი დაწყებულიყო გლეხთა მოძრაობა, ჯერ «ჩამონაჭრებსაც» კი არ ითხოვდნენ გლეხები, რომ პარტია **მთელი** მიწების კონფისკაციაზე ლაპარაკობდა თავის მეორე ყრილობაზე.

და თუ თქვენ მაინც გვეკითხებით, რატომ 1903 წელშივე არ შეიტანეთ პროგრამაში მთელი მიწების კონფისკაციაო, ჩვენ კითხვითვე გიპასუხებთ: რატომ იყო, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებმა 1900 წელშივე არ შეიტანეს თავიანთ პროგრამაში **დემოკრატიული რესპუბლიკის** მოთხოვნა, ნუთუ წინააღმდეგი იყვნენ ამ მოთხოვნისა? *** რატომ იყო, რომ მაშინ მარტო ნაციონალიზაციაზე ლაპარაკობდნენ, დღეს კი ყურები გამოგვიჭედეს სოციალიზაციით? და თუ დღეს პროგრამა-

* იხ. «მეორე ყრილობის ოქმები».

** იხ. «მესამე ყრილობის ოქმები» და «პირველი კონფერენცია».

*** იხ. «Наши задачи», გამოცემა «სოციალისტ-რევოლუციონერთა კავშირისა», 1900 წ.

მინიმუმში 7-საათიან სამუშაო დღეზე არაფერს ვამბობთ, ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ მისი წინააღმდეგი ვართ? მაშ რაში ყოფილა საქმე? მხოლოდ იმაში, რომ 1903 წელს, როცა მოძრაობა ისიყო ფეხს იდგამდა, მთელი მიწების კონფისკაცია ქალალდზე დარჩებოდა, უსუსური მოძრაობა ვერ მოინელებდა ამ მოთხოვნას, რის გამო «ჩამონაჭრები» უფრო შეეფერებოდა იმ დროს. ხოლო შემდეგ, როცა მოძრაობა გაიზარდა და **პრაქტიკული** საკითხები წამოაყენა, აქ საჭირო იყო პარტიას ეჩვენებინა, რომ «ჩამონაჭრებზე» ვერ შეჩერდება და არც უნდა შეჩერდეს მოძრაობა, რომ საჭიროა მთელი მიწების კონფისკაცია.

ასეთია ფაქტები.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა «ცნობის ფურცელზე»[59] (იხ. № 3033). ეს გაზეთი რაღაცას ჩმახავს «მოდაზე» და «პრინციპზე» და გვარწმუნებს, ვითომ პარტიას ოდესღაც პრინციპად გადაექციოს «ჩამონაჭრები». რომ ეს **ტყუილია,** რომ პარტია პრინციპულად თავიდანვე **საქვეყნოდ** აღიარებდა მთელი მიწების კონფისკაციას, ამას ზემოთაც დაინახავდა მკითხველი. რაც შეეხება იმას, რომ «ცნობის ფურცელი» ვერ არჩევს პრინციპსა და პრაქტიკულ საკითხებს, ამას არა უშავს-რა — გაიზრდება და ისწავლის მათს გარჩევას*.

გაზეთი «ელვა» №№ 5, 9 და 10;
1906 წლის 17, 22 და 23 მარტი.

ხელმოწერა: ი. ბესოშვილი.

---

* «ცნობის ფურცელს» «გაუგონია» სადღაც, რომ «რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა... მიიღეს ახალი აგრარული პროგრამა, რომლის ძალითაც... მიწების მუნიციპალიზაციას ჯჭერენ მხარს». უნდა მოგახსენოთ, რომ **არავითარი** ასეთი **პროგრამა არ მიუღიათ რუსეთის სოციალ-დემოკრატებს.** პროგრამის მიღება ყრილობის საქმეა და ეს ყრილობა კი ჯერ არ მომხდარა. ცხადია, «ცნობის ფურცელი» შეცდომაში შეუყვანია ვილაცას თუ რაღაცას. ძალიან კარგს იზამდა «ცნობის ფურცელი», თუ განზე გაგონილი სიტყვებით არ გაუმასპინძლდებოდა მკითხველებს.

აგრარული საკითხის გამო

გეხსომებათ უკანასკნელი წერილი «მუნიციპალიზაციაზე» (იხ. «ელვა»[60] № 12). ჩვენ არ გვინდა ყველა იმ საკითხს გამოვეკიდოთ, რომლებსაც ავტორი ეხება, — ეს არც საინტერესოა და არც საჭირო. ჩვენ გვინდა მხოლოდ ორ მთავარ საკითხს შევეხოთ: ეწინააღმდეგება თუ არა მუნიციპალიზაცია ბატონყმური ნაშთების მოსპობას და რეაქციულია თუ არა მიწების დაყოფა? სწორედ ასე აყენებს საკითხს ჩვენი ამხანაგი. ცხადია, მას მუნიციპალიზაცია, მიწების დაყოფა და სხვა ამგვარი საკითხები **პრინციპული** საკითხები ჰგონია, მაშინ როდესაც პარტია **სრულიად სხვა ნიადაგზე** აყენებს აგრარულ საკითხს.

საქმე იმაშია, რომ სოციალ-დემოკრატიას **პრინციპულ საკითხად არ მიაჩნია** არც ნაციონალიზაცია, არც მუნიციპალიზაცია და არც მიწების დაყოფა, **ის არც ერთ მათგანს არ ეწინააღმდეგება პრინციპულად.** გადახედეთ მარქსის «მანიფესტს», კაუცკის «აგრარულ საკითხს», «მეორე ყრილობის ოქმებს», იმავე კაუცკის «აგრარულ საკითხს რუსეთში» და დაინახავთ, რომ ეს სწორედ ასეა. პარტია **პრაქტიკის** თვალით უყურებს ყველა ამ საკითხს და **პრაქტიკულ ნიადაგზე** აყენებს აგრარულ საკითხს: რა **უფრო სრულად** ახორციელებს ჩვენს პრინციპს — მუნიციპალიზაცია, ნაციონალიზაცია თუ მიწების დაყოფაო?

აი რა ნიადაგზე აყენებს პარტია საკითხს.

ცხადია, აგრარული პროგრამის **პრინციპი** — ბატონყმობის ნაშთების მოსპობა და კლასთა ბრძოლის თავისუფალი

განვითარება — **უცვლელად დარჩა**, შეცვლილია მხოლოდ საშუალებანი ამ პრინციპის განხორციელებისა.

ავტორსაც სწორედ ასე უნდა დაეყენებინა საკითხი: **რა უფრო უმჯობესია** ბატონყმობის ნაშთების მოსასპობად და კლასთა ბრძოლის განსავითარებლად — მუნიციპალიზაცია თუ მიწების დაყოფა? ის კი სრულიად მოულოდნელად გადასულა პრინციპების სფეროში, **პრინციპულ** საკითხებად გამოუტანია **პრაქტიკული** საკითხები და გვეკითხება: «ეწინააღმდეგება თუ არა ბატონყმური ნაშთების მოსპობას და კაპიტალიზმის განვითარებას» ეგრეთწოდებული მუნიციპალიზაციაო? ბატონყმური ნაშთების მოსპობას და კაპიტალიზმის განვითარებას არც ნაციონალიზაცია და მიწების დაყოფა ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ მათ შორის განსხვავება არაა, რომ მუნიციპალიზაციის მომხრე იმავე დროს ნაციონალიზაციისა და მიწების დაყოფის მომხრეც უნდა იყოს! ცხადია, მათ შორის რაღაც **პრაქტიკული განსხვავება** ყოფილა. სწორედ ამაშია საქმე და ამიტომაა, რომ პარტიამ **პრაქტიკულ** ნიადაგზე დააყენა საკითხი. ავტორმა კი, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, სულ სხვა ნიადაგზე გადაიტანა საკითხი, პრინციპი და მისი განხორციელების საშუალებანი ერთმანეთში აურია და, ამგვარად, თავისდაუნებურად, გვერდი აუხვია პარტიის მიერ წამოყენებულ საკითხს.

შემდეგ, ავტორი გვარწმუნებს, მიწების დაყოფა რეაქციულიაო, ე. ი. იმასვე გვიკიჟინებს, რაც არა ერთხელ გაგვიგონია სოციალისტ-რევოლუციონერებისგან. როცა მეტაფიზიკოსი ესერები გვეუბნებიან, რომ მიწების დაყოფა, მარქსიზმის თვალსაზრისით, რეაქციულიაო, ჩვენ ასეთი საყვედური სრულებითაც არ გვიკვირს, რადგან ძალიან კარგად ვიცით, რომ ისინი დიალექტიკის თვალსაზრისით არ უყურებენ საქმეს,—მათ არ უნდათ გაიგონ, რომ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს, და ის, რაც **ხვალ** რეაქციული გახდება, **დღეს** შეიძლება რევოლუციური იყოს. მაგრამ, როცა ამავე საყვედურს დიალექტიკოსი მატერიალისტები გვიმეორებენ, არ შეიძლებაარ ვიკითხოთ: მაშ რით-

ღა განირჩევიან ერთმანეთისგან დიალექტიკოსები და მეტაფიზიკოსები? რა თქმა უნდა, მიწების დაყოფა რეაქციული იქნებოდა, თუ ის **კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგ** იქნებოდა მიმართული, მაგრამ თუ ის **ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგაა** მიმართული, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მიწების დაყოფა რევოლუციური საშუალებაა, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროს სოციალ-დემოკრატიამ. რის წინააღმდეგაა დღეს მიმართული მიწების დაყოფა: კაპიტალიზმის წინააღმდეგ თუ ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ? უეჭველია, ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგაა მიმართული. მაშასადამე, საკითხი თავისთავად იჭრება.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ, როცა კაპიტალიზმი საკმაოდ დამკვიდრდება სოფლად, მიწების დაყოფა რეაქციული ზომა იქნება, ვინაიდან კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგ იქნება მიმართული, მაგრამ მაშინ არც სოციალ-დემოკრატია დაუჭერს მას მხარს. დღეს სოციალ-დემოკრატია თავგამოდებით იცავს დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნას, როგორც რევოლუციურ ზომას, მაგრამ შემდეგ, როცა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი პრაქტიკულად დადგება, მაშინ დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე რეაქციული იქნება და სოციალ-დემოკრატია მის დანგრევას შეეცდება. იგივე უნდა ითქვას მიწების დაყოფაზე. მიწების დაყოფა და საერთოდ წვრილბურჟუაზიული მეურნეობა რევოლუციურია, **როცა** ბრძოლა მიმდინარეობს ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ, მაგრამ იგივე მიწების დაყოფა რეაქციულია, **როცა** ის მიმართულია კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგ. ასეთია დიალექტიკური შეხედულება საზოგადოებრივ განვითარებაზე. ასევე დიალექტიკურად უყურებს კარლ მარქსი სოფლის წვრილბურჟუაზიულ მეურნეობას, როცა მას «კაპიტალის» მესამე ტომში პროგრესულს უწოდებს **ბატონყმურ მეურნეობასთან შედარებით.**

ყოველივე ამის გარდა, აი რას ამბობს, სხვათა შორის, კ. კაუცკი მიწების დაყოფის შესახებ:

«მიწის მარაგის, ე. ი. მიწის მსხვილი საკუთრების დაყოფა, რომელსაც რუსეთის გლეხობა მოითხოვს და რომლის უკვე პრაქტიკულად განხორციელებას იწყებს იგი... არამც თუ მარტო გარდუვალი და აუცილებელია, არამედ **უაღრესად სასარგებლოცაა. და სოციალ-დემოკრატიას ყოველგვარი საფუძველი აქვს მხარი დაუჭიროს ამ პროცესს**» (იხ. «აგრარული საკითხი რუსეთში», გვ. 11).

საკითხის გადაჭრისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხის რიგიანად დაყენებას. ყოველი საკითხი დიალექტიკურად უნდა ისმებოდეს, ე. ი. ჩვენ არადროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ყველაფერი იცვლება, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს და, მაშასადამე, საკითხებსაც კონკრეტული პირობების შესაბამისად უნდა ვაყენებდეთ. ეს პირველი პირობაა აგრარული საკითხის გადაჭრისა. მეორე, არ უნდა გვავიწყდებოდეს აგრეთვე ის, რომ დღეს აგრარულ საკითხს რუსეთის სოციალ-დემოკრატები პრაქტიკულ ნიადაგზე აყენებენ, და ვისაც ამ საკითხის გადაჭრა უნდა, სწორედ ამ ნიადაგზე უნდა შედგეს. ეს მეორე პირობაა აგრარული საკითხის გადაჭრისა. ჩვენს ამხანაგს კი არც ერთი ეს პირობა არ მიუღია მხედველობაში.

კეთილი, გვეტყვის ამხანაგი. ვთქვათ, რევოლუციურია მიწების დაყოფა. ცხადია, ჩვენ ვეცდებით მხარი დავუჭიროთ ამ რევოლუციურ მოძრაობას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომ ამ მოძრაობის მოთხოვნები ჩვენს პროგრამაში უნდა შევიტანოთ, — პროგრამაში სრულიადაც არა აქვს ადგილი ამისთანა მოთხოვნებსო და სხვ. ცხადია, ავტორს ერთმანეთში ერევა პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. მან იცის, რომ **სოციალისტურ** პროგრამაში (ე. ი. პროგრამა-მაქსიმუმში) მხოლოდ პროლეტარული მოთხოვნები უნდა არსებობდეს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ **დემოკრატიული** პროგრამა (ე. ი. პროგრამა-მინიმუმი) და მით უმეტეს აგრარული პროგრამა სოციალისტური არაა და, მაშასადამე, იქ უეჭველად იქნება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოთხოვნები, რომლებსაც ჩვენ

მხარს ვუჭერთ. პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიული მოთხოვნაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს პროგრამა-მინიმუმში. ან შორს რად გინდათ წავიდეთ, გადახედეთ აგრარული პროგრამის მეორე მუხლს და წაიკითხეთ: პარტია მოითხოვს «...გაუქმდეს ყველა ის კანონი, **რომელიც ხელს უშლის გლეხს მოიხმაროს თავისი მიწები**», — წაიკითხეთ ეს და გვიპასუხეთ: რა არის ამ მუხლში სოციალისტური? თქვენ გვეტყვით, რომ არაფერიო, ვინაიდან ეს მუხლი ბურჟუაზიული საკუთრების თავისუფლებას მოითხოვს, და არა მის მოსპობას. მიუხედავად ამისა, ეს მუხლი მაინც არსებობს ჩვენს პროგრამა-მინიმუმში. მაშ რაში ყოფილა საქმე? მხოლოდ იმაში, რომ პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი ორი სხვადასხვა ცნებაა, რომლებსაც ერთმანეთში არ უნდა ურევდეთ. მართალია, ანარქისტები ამით უკმაყოფილონი დარჩებიან, მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენ ხომ ანარქისტები არა ვართ!..

რაც შეეხება გლეხების სურვილს, რომ მიწები დაიყონ, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მისი მნიშვნელობა ეკონომიური განვითარების ტენდენციით გაიზომება, და რადგან გლეხთა სურვილი «პირდაპირ გამომდინარეობს» ამ ტენდენციიდან, ამიტომ ჩვენმა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს ამ სურვილს, არა თუ წინ გადაეღობოს მას.

გაზეთი «ელვა» № 14, 1906 წლის 29 მარტი.

ხელმოწერა: ი. ბ ე ს ო შ ვ ი ლ ი.

აგრარული პროგრამის გადასინჯვის შესახებ

(სიტყვა რსდმპ IV ყრილობის [61] მეშვიდე სხდომაზე 1906 წლის 13 (26) აპრილს)

უწინარეს ყოვლისა ვიტყვი ზოგიერთი ამხანაგის არგუმენტაციის მეთოდების შესახებ. ამხ. პლეხანოვმა ძალიან ბევრი ილაპარაკა ამხ. ლენინის «ანარქისტულ ჩვევებზე», «ლენინიზმის» დამღუპველობაზე და სხვ., და სხვ., მაგრამ აგრარულ საკითხზე არსებითად ძალიან ცოტა რამ გვითხრა. ამავე დროს კი იგი წამოყენებულია ერთერთ მომხსენებლად აგრარულ საკითხზე ვფიქრობ, რომ არგუმენტაციის ასეთი წესი, რომელსაც გალიზიანების ატმოსფერო შემოაქვს, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება ხასიათს ჩვენი ყრილობისას, რომელსაც გამაერთიანებელი ეწოდება, — სრულებით არაფერს არკვევს აგრარული საკითხის დაყენებაში. ჩვენც შეგვეძლო გვეთქვა ზოგი რამ ამხ. პლეხანოვის კადეტურ ჩვევებზე, მაგრამ ამით ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწევდით აგრარული საკითხის გადაწყვეტაში.

შემდეგ, ჯონი [62], ემყარება რა ზოგიერთ ცნობას გურიის, ლატვიის მხარის და სხვ. ცხოვრებიდან, დაასკვნის, რომ მთელი რუსეთისთვის მისაღებია მუნიციპალიზაცია. უნდა მოგახსენოთ, რომ, საერთოდ თუ ვიტყვით, პროგრამას ასე არ ადგენენ. პროგრამის შედგენისას უნდა ვემყარებოდეთ არა ზოგიერთი განაპირა მხარის ზოგიერთი ნაწილის სპეციფიკურ ნიშნებს, არამედ რუსეთის ადგილთა უმრავლესობის დამახასიათებელ საერთო

ნიშნებს: პროგრამა, რომელშიც მთავარი ხაზი არ არის, პროგრამა კი არა, სხვადასხვა დებულებათა მექანიკური შეერთებაა. სწორედ ასეთია ჯონის პროექტი. გარდა ამისა, ჯონი არასწორ ცნობებს იმოწმებს. მისი აზრით, გლეხთა მოძრაობის განვითარების თვით პროცესი ლაპარაკობს მისი პროექტის სასარგებლოდ, ვინაიდან, მაგალითად, გურიაში მოძრაობის პროცესშივე შეიქმნა საოლქო თვითმმართველობა, რომელიც განაგებდა ტყეებს და სხვ. მაგრამ, ჯერ ერთი, გურია ოლქი კი არა, ქუთაისის გუბერნიის ერთერთი მაზრაა; მეორე, გურიაში არასოდეს არ არსებობდა მთელი გურიისთვის ერთიანი რევოლუციური თვითმმართველობა; იქ იყო მხოლოდ წვრილ-წვრილი თვითმმართველობანი, რომლებიც, მაშასადამე, სრულებითაც არ უდრიან საოლქო თვითმმართველობებს; მესამე, მართვა-გამგებლობა — ერთია, მფლობელობა — სულ სხვა რამ. საერთოდ გურიის შესახებ ბევრი ლეგენდაა გავრცელებული და რუს ამხანაგებს ტყუილად მიაჩნიათ ის ჭეშმარიტებად...

რაც შეეხება საქმის არსს, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი პროგრამის გამოსავალი პუნქტი უნდა იყოს შემდეგი დებულება: ვინაიდან ჩვენ ვდებთ დროებით რევოლუციურ კავშირს მებრძოლ გლეხობასთან, ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია, მაშასადამე, ანგარიში არ გავუწიოთ ამ გლეხობის მოთხოვნებს, — ამიტომ მხარი უნდა დავუჭიროთ ამ მოთხოვნებს, თუ ისინი საერთოდ და მთლიანად არ ეწინააღმდეგებიან ეკონომიური განვითარების ტენდენციებს და რევოლუციის მსვლელობას. გლეხები მიწის განაწილებას მოითხოვენ; განაწილება არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მოვლენებს, — მაშასადამე, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ სრულ კონფისკაციასა და განაწილებას. ამ თვალსაზრისით ნაციონალიზაციაც და მუნიციპალიზაციაც ერთნაირად მიუღებელია. მუნიციპალიზაციის ან ნაციონალიზაციის ლოზუნგის წამოყენებით ჩვენ არაფერს არ ვიგებთ და შეუძლებელს ვხდით პროლეტარიატთან რევოლუციური გლეხობის კავშირს. ვინც ლაპარაკობს განაწილების რეაქციულობაზე, ერთმანეთში ურევს

განვითარების ორ სტადიას: კაპიტალისტურსა და წინაკაპიტალისტურს. უეჭველია, რომ კაპიტალისტურ სტადიაში განაწილება რეაქციულია, მაგრამ წინაკაპიტალისტურ პირობებში (მაგალითად, რუსეთის სოფლის პირობებში) განაწილება საერთოდ და მთლიანად რევოლუციურია. რა თქმა უნდა, ტყეების, წყლისა და სხვ. გაყოფა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მათი ნაციონალიზაცია, რაც სრულებითაც არ ეწინააღმდეგება გლეხების მიერ წამოყენებულ რევოლუციურ მოთხოვნებს. შემდეგ, ჯონის მიერ წამოყენებული ლოზუნგი: რევოლუციური კომიტეტები, ნაცვლად ლოზუნგისა: რევოლუციური გლეხთა კომიტეტები, — ძირითადად ეწინააღმდეგება აგრარული რევოლუციის ბუნებას. აგრარული რევოლუციის მიზანი უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად არის გლეხების განთავისუფლება, მაშასადამე, ლოზუნგი: გლეხთა კომიტეტები — ერთადერთი ლოზუნგია, რომელიც შეესაბამება აგრარული რევოლუციის ბუნებას. თუ პროლეტარიატის განთავისუფლება შეიძლება იყოს თვით პროლეტარიატის საქმე, გლეხების განთავისუფლებაც თვით გლეხების საქმე შეიძლება იყოს.

სტოკჰოლმში 1906 წელს შემდგარი
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის გამაერთიანებელი
ყრილობის ოქმები.
მოსკოვი, 1907, გვ. 59—66.

მიმდინარე მომენტის შესახებ

(სიტყვა რსდმპ IV ყრილობის მეთხუთმეტე სხდომაზე 1906 წლის 17 (30) აპრილს)

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში ორი გზა დაისახა: ცრუ რეფორმების გზა და რევოლუციის გზა. ცხადია ისიც, რომ პირველ გზას ადგებიან მსხვილი მეფაბრიკეები და მემამულეები მეფის მთავრობის მეთაურობით, მეორე გზას— რევოლუციური გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია პროლეტარიატის მეთაურობით. ქალაქებში განვითარებული კრიზისი და სოფლებში შიმშილობა გარდუვალს ხდიან ახალ აფეთქებას,— მაშასადამე, აქ მერყეობა დაუშვებელია: **ან** რევოლუცია ალმავლობის გზით მიდის, და იგი ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, **ან** იგი სუსტდება, და ჩვენ არ შეგვიძლია დავისახოთ, არ უნდა დავისახოთ ასეთი ამოცანა. რუდენკო ტყუილად ფიქრობს, რომ საკითხის ასეთი დაყენება დიალექტიკური არ არის. რუდენკო საშუალო ხაზს ეძებს, მას უნდა სთქვას, რომ რევოლუცია კიდევაც ძლიერდება და არც ძლიერდება, რომ იგი კიდევაც უნდა მივიყვანოთ და არც უნდა მივიყვანოთ ბოლომდე, ვინაიდან, მისი აზრით, დიალექტიკა ვალდებულს გვხდის საკითხი სწორედ ასე დავაყენოთ! ჩვენ ასე არა გვაქვს წარმოდგენილი მარქსის დიალექტიკა...

მაშასადამე, ჩვენ ახალი აფეთქების წინაშე ვდგევართ, რევოლუცია ძლიერდება, და იგი ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

ამაზე ყველანი ერთი აზრისა ვართ. მაგრამ რა ვითარებაში შეგვიძლია გავაკეთოთ და უნდა გავაკეთოთ ეს: პროლეტარიატის ჰეგემონიის ვითარებაში თუ ბურჟუაზიული დემოკრატიის ჰეგემონიის ვითარებაში? აი სად იწყება აზრთა ძირითადი სხვადასხვაობა.

ამხ. მარტინოვი ჯერ კიდევ «ორ დიქტატურაში» ამბობდა, რომ პროლეტარიატის ჰეგემონია მიმდინარე ბურჟუაზიულ რევოლუციაში მავნე უტოპიააო. მის გუშინდელ სიტყვაში იგივე აზრი გამოსჭვივის. ამხანაგები, რომლებმაც მას ტაში დაუკრეს, ალბათ, ეთანხმებიან მას. თუ ეს ასეა, თუ, მენშევიკი ამხანაგების აზრით, ჩვენ გვესაჭიროება არა პროლეტარიატის ჰეგემონია, არამედ დემოკრატიული ბურჟუაზიის ჰეგემონია, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ არც შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში, არც ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში ჩვენ უშუალო აქტიური მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ასეთია მენშევიკების «სქემა».

პირიქით, თუ პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს მისი ჰეგემონიისკენ მივყევართ, თუ პროლეტარიატი მიმდინარე რევოლუციას კუდში კი არ უნდა მისჩანჩალებდეს, არამედ წინ უნდა უძღვოდეს, მაშინ თავისთავად გასაგებია, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია უარი სთქვას არც შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში აქტიურ მონაწილეობაზე, არც ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე. ასეთია ბოლშევიკების «სქემა».

ან პროლეტარიატის ჰეგემონია, ან დემოკრატიული ბურჟუაზიის ჰეგემონია — აი როგორ დგას საკითხი პარტიაში, აი რაში მდგომარეობს ჩვენი უთანხმოებანი.

სტოკჰოლმში 1906 წელს შემდგარი
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის გამაერთიანებელი
ყრილობის ოქმები.
მოსკოვი, 1907, გვ. 187.

მარქსი და ენგელსი აჯანყებაზე

მენშევიკმა ნ. ხ.-მ[63] იცის, რომ ცდა ბედის მონახევრეა, და ცდილობს... ერთხელ კიდევ გვაბრალებს ბოლშევიკებს ბლანკისტობას (იხ. «სიმართლე»[64] № 7).

აქ, რა თქმა უნდა, საკვირველი არაფერია. გერმანიის ოპორტუნისტები ბერნშტეინი და ფოლმარი დიდი ხანია კაუცკისა და ბებელს ბლანკისტებს უწოდებენ. საფრანგეთის ოპორტუნისტები ჟორესი და მილიერანი დიდი ხანია გედსა და ლაფარგს ბლანკისტობას და იაკობინობას აბრალებენ. მიუხედავად ამისა, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ბერნშტეინი, მილიერანი, ჟორესი და სხვები ოპორტუნისტები არიან, **მარქსიზმს ღალატობენ,** მაშინ როდესაც კაუცკი, ბებელი, გედი, ლაფარგი და სხვები რევოლუციური მარქსისტები არიან. რაღა საკვირველია, თუ რუსეთის ოპორტუნისტები და მათი მიმდევარი ნ. ხ. ევროპის ოპორტუნისტებს ბაძავენ და ბლანკისტებს გვიწოდებენ? ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკები გედისა და კაუცკისავით რევოლუციური მარქსისტები ყოფილან[65].

ჩვენ ამით შეგვეძლო გაგვეთავებინა ნ. ხ.-სთან ლაპარაკი. მაგრამ ნ. ხ. საკითხს «აღრმავებს» და ცდილობს თავისი დააშტკიცოს. მაშ ნუ ვაწყენინებთ და ყური დავუგდოთ.

ნ. ხ. არ ეთანხმება ბოლშევიკების შემდეგ აზრს:

«ვთქვათ*, ქალაქის ხალხი მთავრობისადმი** სიძულვილითაა გამსჭვალული. ის ყოველთვის შეიძლება ფეხზე დადგეს, თუ შემთხვევა მიეცემა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რიცხვით უკვე მზად ვყოფილვართ. მაგრამ ეს კიდევ **არ კმარა**. აჯანყება რომ მოვიგოთ, საჭიროა ადრევე შევადგინოთ ბრძოლის გეგმა, ადრევე შევიმუშაოთ შეჯახების ტაქტიკა, საჭიროა დაწყობილი რაზმი გვყავდეს და სხვ.» (იხ. «ახალი ცხოვრება» **№ 6**).

ნ. ხ. არ ეთანხმება ამ აზრს. რატომ? იმიტომ, რომ ეს ბლანკიზმიაო! მაშ ასე, ნ. ხ.-ს არც «შეჯახების ტაქტიკა» უნდა, არც «დაწყობილი რაზმები», არც მოწესრიგებული გალაშქრება — ყოველივე ეს, თურმე, უმნიშვნელო რამე, მეტი ბარგი ყოფილა! ბოლშევიკები ამბობენ, რომ მარტო «მთავრობისადმი სიძულვილი არ კმარა», მარტო შეგნება «არ კმარა», საჭიროა კიდევ «რაზმები და შეჯახების ტაქტიკა». ნ. ხ. უარყოფს ყოველივე ამას და ბლანკისტობას უწოდებს.

დავიხსომოთ ეს და დავყვეთ ქვევით.

ნ. ხ.-ს არ მოსწონს ლენინის შემდეგი აზრი:

«ჩვენ უნდა დავაგროვოთ მოსკოვის, დონეცის, დონის როსტოვის და სხვა აჯანყებათა გამოცდილება, **გავაცნოთ ეს გამოცდილება** ხალხს, **უნდა ვამზადოთ** მოთმინებით და დაუღალავად ახალი მებრძოლი ძალები, **გავწვრთნათ და გამოვაწრთოთ** ისინი მთელ რიგ პარტიზანულ ბრძოლებში. ახალი აფეთქება შეიძლება გაზაფხულზე არ მოხდეს, მაგრამ ის მოდის, ის, ალბათ, ძალიან შორს არ არის. ჩვენ უნდა შევხვდეთ მას შეიარაღებული, მხედრულად დარაზმული, რომ შევძლოთ გაბედული იერიშით მოქმედება» (იხ. «Партийные Известия»)[67].

---

* აქ ნ. ხ.-ს სიტყვა «ვთქვათ» შეუცვლია სიტყვით «როცა», რაც რამდენადმე სცვლის აზრს.

** აქ სიტყვა «მთავრობისადმი» გამოუტოვებია ნ. ხ.-ს (იხ. «ახალი ცხოვრება»[66] № 6).

ნ. ხ. არ ეთანხმება ლენინის ამ აზრს. რატომ? იმიტომ, რომ ეს ბლანკიზმიაო.

მაშ ასე, ნ. ხ.-ს აზრით, გამოდის, რომ ჩვენ **არ უნდა** «დავაგროვოთ დეკემბრის აჯანყების გამოცდილება» და **არ უნდა** «გავაცნოთ ის ხალხს»! მართალია, აფეთქება ახლოვდება, მაგრამ, ნ. ხ.-ს აზრით, «იარაღით ხელში **არ უნდა** შევხვდეთ ამ აფეთქებას», «გაბედული იერიშით მოქმედებისთვის» **არ უნდა** ვემზადებოდეთ. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ უიარაღოდ და მოუმზადებლად უფრო ჩქარა გავიმარჯვებთ! ბოლშევიკები ამბობენ, რომ აფეთქება მოსალოდნელია და ამიტომ ჩვენი ვალია ვემზადოთ, როგორც შეგნებით, ისე შეიარაღებით. ნ. ხ.-მ იცის, რომ აფეთქება მოსალოდნელია, მაგრამ სიტყვიერი აგიტაციის გარდა არა სწამს-რა და ამიტომ შეიარაღების საჭიროებას ეჭვის თვალით უყურებს, მეტ ბარგად მიაჩნია. ბოლშევიკები ამბობენ, რომ სტიქიურად დაწყებულ და დაქსაქსულ აჯანყებაში საჭიროა შეგნება და წესრიგი შევიტანოთ. ნ. ხ.-ს არც ესა სწამს — ბლანკისტობააო. ბოლშევიკები ამბობენ, რომ თავის დროზე საჭიროა «გაბედული იერიშით მოქმედება». ნ. ხ.-ს არც **გამბედაობა** მოსწონს, არც **თავდასხმითი იერიშები** — ეს ყველაფერი სულ ბლანკისტობააო.

დავიხსომოთ ყველაფერი ეს და ვნახოთ, როგორ უყურებდნენ მარქსი და ენგელსი შეიარაღებულ აჯანყებას.

აი რას სწერდა მარქსი ორმოცდაათიან წლებში:

«რაკი აჯანყება დაწყებულია, იმოქმედე უდიდესი გამბედაობით და ყოველთვის **შეტევაზე** გადადი. თავდაცვა ყოველი შეიარაღებული აჯანყების სიკვდილია... დაჰკარ მოწინააღმდეგეს მოულოდნელად, სანამ მისი ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსულია; ყოველდღიურად ამზადე ახალი, თუნდაც სულ მცირე, წარმატებანი; შეინარჩუნე ის მორალური უპირატესობა, რომელიც პირველმა წარმატებულმა აჯანყებამ მოგცა; გადაიყვანე შენს მხარეზე ის მერყევი ელემენტები, რომლებიც მუდამ ძლიერ ტალღას მისდევენ და მუდამ საიმედო მხარეს დგებიან; უკან

დაახევინე მტერს, ვიდრე ის შენს წინააღმდეგ თავისი ძალების შეკრებას მოასწრებდეს; ერთი სიტყვით, — როგორც რევოლუციური ტაქტიკის ცნობილი უდიდესი ოსტატი, დანტონი, იტყოდა ხოლმე: **გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა**» (იხ. **კ. მარქსი,** «ისტორიული ნარკვევები», გვ. 95)[68].

ასე ლაპარაკობს უდიდესი მარქსისტი კარლ მარქსი.

როგორც ხედავთ, მარქსის აზრით, ვისაც აჯანყების გამარჯვება უნდა, ის თავდასხმის გზას უნდა დაადგეს. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ვინც **თავდასხმის** გზას დაადგება, მას შეიარაღებაც უნდა ჰქონდეს, სამხედრო ცოდნაც და გაწვრთნილი რაზმებიც — უამისოდ თავდასხმა შეუძლებელია. რაც შეეხება გაბედულ იერიშებს, ის ხომ, მარქსის აზრით, სული და ხორცია ყოველი აჯანყებისა. ნ. ხ.-ს კი სიცილად არ ჰყოფნის არც გაბედული იერიშები, არც თავდასხმის პოლიტიკა, არც დაწყობილი რაზმები და არც სამხედრო ცოდნის გავრცელება — ყველაფერი ეს ბლანკიზმიაო! გამოდის, რომ ნ. ხ. მარქსისტი ყოფილა, მარქსი კი ბლანკისტი! საწყალი მარქსი! წამოახედა საფლავიდან და გააგონა ნ. ხ.-ს ტიკტიკი.

ენგელსი რაღას ამბობს აჯანყებაზე? ენგელსი ერთერთ ბროშურაში ესპანეთის აჯანყებაზე ლაპარაკობს, ეკამათება ანარქისტებს და განაგრძობს:

«მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება უთავბოლოდ იყო დაწყებული, მას კიდევ ჰქონდა გამარჯვების დიდი შესაძლებლობა, ოდნავ მაინც გონივრულად რომ ეხელმძღვანელნათ მისთვის, თუნდაც ესპანეთის სამხედრო ამბოხებათა მსგავსად. ამისთანა ამბოხებათა დროს რომელიმე ქალაქის გარნიზონი ჯანყდება, გადადის უახლოეს ქალაქში, გაიყოლიებს ამ ქალაქის წინასწარვე მომზადებულ გარნიზონს, ნიაღვარივით იზრდება და იერიშით მიდის სატახტო ქალაქზე, სანამ რომელიმე ბედნიერი შეჯახება ან ამბოხებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარების მათ მხარეზე გადასვლა გამარჯვების საკითხს არ გადასჭრის.

ასეთი მოქმედება განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო ამ შემთხვევაში. აჯანყებულნი **უკვე დიდი ხანია დარაზმული** იყვნენ მოხალისეთა ბატალიონებად (ყური დაუგდე, ამხანაგო, ენგელსი ბატალიონებზე ლაპარაკობს!); მართალია, მათ დისციპლინა არ უვარგოდათ, მაგრამ არც ესპანეთის ძველი, მეტწილად გახრწნილი, არმიის ნაშთებს ექნებოდათ უკეთესი დისციპლინა. ერთადერთ საიმედო ჯარს მთავრობისთვის წარმოადგენდნენ ჟანდარმები (guardias civiles), მაგრამ ისინი მთელ ესპანეთში იყვნენ გაფანტულნი. უწინარეს ყოვლისა ხელი უნდა შეეშალათ ჟანდარმთა რაზმების თავმოყრისთვის, ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ **თავდასხმის** გზას დაადგებოდნენ და **გაბედულად** გავიდოდნენ ბრძოლის ველზე... (სმენა, სმენა, ამხანაგებო!). და ვისაც გამარჯვება უნდოდა, ის სხვა გზას ვერ დაადგებოდა...» შემდეგ, ენგელსი უწყრება ბაკუნისტებს, რომლებმაც პრინციპად გაიხადეს ის, რის აცილებაც შესაძლებელი იყო: «სახელდობრ, რევოლუციის ძალთა დაქსაქსულობა და ცალ-ცალკე მოქმედება, რამაც მთავრობის ერთ და იმავე ჯარებს შეაძლებინა ცალ-ცალკე ჩაეხშოთ აჯანყებანი» (იხ. ენგელსის «ბაკუნისტები მუშაობენ») [69].

ასე ლაპარაკობს ცნობილი მარქსისტი ფრიდრიხ ენგელსი...

დაწყობილი ბატალიონები, თავდასხმის პოლიტიკა, აჯანყების ორგანიზაცია, ცალკე აჯანყებათა შეერთება—აი, ენგელსის აზრით, რა ყოფილა საჭირო აჯანყების გამარჯვებისთვის.

გამოდის, რომ ნ. ხ. მარქსისტი ყოფილა, ენგელსი კი — ბლანკისტი! საწყალი ენგელსი!

როგორც ხედავთ, ნ. ხ.-ს არ სცოდნია მარქს-ენგელსის შეხედულება აჯანყებაზე.

ეს კიდევ არაფერი. ჩვენ ვამბობთ, რომ ნ. ხ.-ს მიერ წამოყენებული ტაქტიკა ამცირებს და ფაქტიურად უარყოფს შეიარაღების, წითელი რაზმებისა და სამხედრო ცოდნის მნიშვნელობას.

ეს ტაქტიკა შეუიარაღებელი აჯანყების ტაქტიკაა. ეს ტაქტიკა «დეკემბრის დამარცხებისკენ» გვერეკება. რატომ არ გვქონდა დეკემბერში იარაღი, რაზმები, სამხედრო ცოდნა და სხვ.? იმიტომ, რომ პარტიაში დიდი გასავალი ჰქონდა ნ. ხ.-სთანა ამხანაგების ტაქტიკას...

მარქსიზმი და რეალური ცხოვრება კი ორივე ერთნაირად უარყოფს ამ უიარაღო ტაქტიკას.

აი რას გვეუბნებიან ფაქტები.

გაზეთი «ახალი ცხოვრება» № 19,
1906 წლის 13 ივლისი.

ხელმოწერა: კ ო ბ ა.

საერთაშორისო კონტრრევოლუცია

დღევანდელი რუსეთი ბევრნაირად მოგვაგონებს დიდი რევოლუციის დროინდელ საფრანგეთს. ეს მსგავსება, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ ჩვენშიც, როგორც საფრანგეთში, კონტრრევოლუცია ფართოვდება, საკუთარ საზღვრებში ვეღარ თავსდება და სხვა სახელმწიფოების კონტრრევოლუციას უკავშირდება — ის თანდათან საერთაშორისო ხასიათს იღებს. საფრანგეთში ძველმა მთავრობამ კავშირი შეკრა ავსტრიის იმპერატორთან და პრუსიის მეფესთან, მათი ჯარები მოიშველია და იერიში მიიტანა ხალხის რევოლუციაზე. რუსეთში ძველი მთავრობა კავშირსა ჰკრავს გერმანიისა და ავსტრიის იმპერატორებთან — მას უნდა მათი ჯარები მოიშველიოს და სისხლში ჩაახრჩოს ხალხის რევოლუცია.

ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინათ დადიოდა აშკარა ხმები, რომ «რუსეთსა» და «გერმანიას» ფარული მოლაპარაკება აქვთო (იხ. «Северная Земля»[70] № 3). მას მერე ხმები თანდათან დაჟინებით ვრცელდებოდა. დღეს კი იქამდე მივიდა საქმე, რომ შავრაზმელთა გაზეთი «Россия»[71] პირდაპირ აცხადებს, «რუსეთის» (ე. ი. კონტრრევოლუციის) დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა რევოლუციური ელემენტების ბრალიაო. «ეს კარგად იცის გერმანიის საიმპერატორო მთავრობამ,—ამბობს გაზეთი,—ამიტომ მან შესაფერისი ზომები მიიღო, რომლებიც სასურველ ნაყოფს გამოიღებენ». ეს ზომები, თურმე, იმაში

მდგომარეობს, რომ «ავსტრია» და «გერმანია» ემზადებიან «რუსეთს» ჯარი მოაშველონ, თუ ვინიცობაა რუსეთის რევოლუციას წარმატება ექნება. ისინი უკვე შეთანხმებულან ამის გამო და გადაუჭრიათ, რომ «გარკვეულ პირობებში აქტიურად ჩაერიონ რუსეთის შინაურ საქმეებში რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად ან ასალაგმავად; ასეთი ჩარევა სასურველი და სასარგებლო იქნებოდა...»

ასე ლაპარაკობს «Россия».

როგორც ხედავთ, საერთაშორისო კონტრრევოლუციას დიდი სამზადისი ჰქონია. ცნობილია, რომ ის დიდი ხანია ფულით ეხმარება კონტრრევოლუციურ რუსეთს რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ ეს აღარ იკმარა. ახლა ჯარითაც დახმარება გადაუწყვეტია.

ამის შემდეგ ბავშვისთვისაც კი ადვილი გასაგებია როგორც სათათბიროს დათხოვნა, ისე სტოლიპინის[72] «ახალი» განკარგულებანი და ტრეპოვის[73] «ძველი» «პოგრომები»... უნდა ვიფიქროთ, რომ დღეის იქით მაინც გაეფანტებათ ტყუილი იმედები სხვადასხვა ლიბერალებს და დანარჩენ გულუბრყვილოებს, დღეის იქით მაინც დარწმუნდებიან, რომ ჩვენში არ არის «კონსტიტუცია», რომ ჩვენში სამოქალაქო ომია, სადაც ომის წესებით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა...

მაგრამ დღევანდელი რუსეთი სხვა მხრივაც წააგავს მაშინდელ საფრანგეთს. მაშინ საერთაშორისო კონტრრევოლუციამ რევოლუციის გაფართოება გამოიწვია, რევოლუციამ საფრანგეთის საზღვრები გადმოხეთქა და ნიაღვარივით მოედო ევროპას. თუ ევროპის «გვირგვინოსნები» საერთო კავშირში ერთდებოდნენ, ევროპის ხალხებიც ხელს უწოდებდნენ ერთმანეთს. ამგვარსავე მოვლენას ვხედავთ დღევანდელ რუსეთში. «თხუნელა კარგად თხრის»... რუსეთის კონტრრევოლუცია, ევროპის კონტრრევოლუციასთან დაკავშირებული, დაუღალავად აფართოებს რევოლუციას, ერთმანეთთან აკავშირებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს და საძირკველსა ჰყრის საერთაშორისო რევო-

ლუციისთვის. რუსეთის პროლეტარიატი **დემოკრატიულ** რევოლუციას წინ უძღვის და ხელს უწოდებს, უკავშირდება ევროპის პროლეტარიატს, რომელიც **სოციალისტურ** რევოლუციას დაიწყებს. როგორც ვიცით, 9 იანვრის გალაშქრებას საერთო მიტინგები მოჰყვა ევროპაში. დეკემბრის გალაშქრებამ დემონსტრაციები გამოიწვია გერმანიასა და საფრანგეთში. ეჭვი არ არის, რომ რუსეთის რევოლუციის მომავალი გალაშქრება გულს აუნთებს და უფრო მედგრად აამხედრებს ევროპის პროლეტარიატს. საერთაშორისო კონტრრევოლუცია მხოლოდ დააჩქარებს და გააღრმავებს, გააალმასებს და მაგარ ნიადაგზე დააყენებს საერთაშორისო რევოლუციას. ლოზუნგი — «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» — ნამდვილ გამოხატულებას მიიღებს.

მაშ იმუშავეთ, ბატონებო, იმუშავეთ! რუსეთის რევოლუციას, რომელიც ფართოვდება, ევროპის რევოლუცია მოჰყვება,—და მაშინ... მაშინ ზარი დაერეკება არა მარტო ბატონყმურ ნაშთებს, არამედ თქვენგან შეყვარებულ კაპიტალიზმსაც.

დიახ, თქვენ «კარგადა სთხრით», ბ-ნო კონტრრევოლუციონერებო.

გაზეთი «ახალი ცხოვრება» № 20,
1906 წლის 14 ივლისი.

ხელმოწერა: კ ო ბ ა.

დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა[74]

I

მოხდა ის, რასაც ასე მოუთმენლად ველოდით,—გამაერთიანებელი ყრილობა მშვიდობიანად გათავდა, პარტია გათიშვას ასცდა, ფრაქციების შეერთება ფორმალურად განმტკიცდა და მით საძირკველი ჩაეყარა პარტიის პოლიტიკურ ძლიერებას.

საჭიროა ახლა ანგარიში მივცეთ ჩვენს თავს, უფრო ახლო გავეცნოთ ყრილობის ფიზიონომიას და გულდასმით ავწონ-დავწონოთ მისი ავკარგიანობა.

რა გააკეთა ყრილობამ?

რა უნდა გაეკეთებინა ყრილობას?

პირველ კითხვაზე ყრილობის რეზოლუციები გვიპასუხებენ. რაც შეეხება მეორე კითხვას, ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა გარემოებაში გაიხსნა ყრილობა და რას ავალებდა მას დღევანდელი მომენტი.

დავიწყოთ მეორე კითხვიდან.

დღეს უკვე ცხადია, რომ ხალხის რევოლუცია არ ჩამქრალა, რომ, მიუხედავად «დეკემბრის დამარცხებისა», ის მაინც იზრდება და უმაღლესი წერტილისკენ მიექანება. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ასეც უნდა იყოს: რევოლუციის მამოძრავებელი ძალები ისევ ცოცხლობენ და მოქმედებენ, მრეწველობის გაძლიერებული კრიზისი უფრო და უფრო ძლიერდება, სოფლის ამაფო-

რიაქებელი შიმშილობა დღითი-დღე ძლიერდება, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ შორს აღარაა ის დრო, როცა ხალხის რევოლუციური მღელვარება მრისხანე ნიაღვრად გადმოხეთქავს. ფაქტები გვეუბნებიან, რომ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მზადდება ახალი გალაშქრება, — უფრო მწვავე და ღონიერი, ვიდრე დეკემბრის გალაშქრება. ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით.

მეორე მხრივ, სულს იდგამს და თანდათან ფეხს იმაგრებს ხალხისგან მოძულებული კონტრრევოლუცია. მან უკვე მოასწრო კამარილიის დარაზმვა, ის თავისი ბაირაღის ქვეშ მოუწოდებს ყველა ბნელ ძალებს, ის სათავეში უდგება შავრაზმელების «მოძრაობას», ის ახალ თავდასხმას ამზადებს ხალხის რევოლუციაზე, ის თავის გარშემო იკრებს სისხლისმწოველ მემამულეებსა და მეფაბრიკეებს, — მაშასადამე, იგი ემზადება ხალხის რევოლუციის დასამხობად.

და რაც უფრო დრო მიდის, მით უფრო მკაცრად იყოფა ქვეყანა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: ბანაკად რევოლუციისა და ბანაკად კონტრრევოლუციისა, მით უფრო მრისხანედ უპირდაპირდება ერთმანეთს ორი ბანაკის ორი მეთაური — პროლეტარიატი და მეფის მთავრობა, და მით უფრო ნათლად ირკვევა, რომ მათ შორის ჩატეხილია ყველა ხიდი. ორში ერთი: **ან** რევოლუციის გამარჯვება და ხალხის თვითმპყრობელობა, **ან** კონტრრევოლუციის გამარჯვება და მეფის თვითმპყრობელობა. ვინც ორ სკამს შუა ჯდება, ის რევოლუციას ღალატობს. ვინც ჩვენსკენ არაა, ის ჩვენს წინააღმდეგაა! საბრალო სათათბირო მისი საბრალო კადეტებით სწორედ ამ ორ სკამს შუაა გაჩხირული. მას უნდა რევოლუცია და კონტრრევოლუცია შეარიგოს, თხა და მგელი ერთად აძოვოს და ასე, «ერთი დაკვრით» დააცხროს რევოლუციის ქარიშხალი. ამიტომ არის, რომ დღემდის სათათბირომ წყლის ნაყვის მეტი ვერა გააკეთა-რა, ამიტომ არის, რომ მან ვერავითარი ხალხი ვერ შემოიკრიბა და უნიადაგოდ ტრიალებს ჰაერში.

ბრძოლის უმთავრეს სარბიელად ისევ ქუჩა რჩება. ამას ამბობენ ფაქტები. ფაქტები გვეუბნებიან, რომ დღევანდელ ბრძოლაში, ქუჩის ბრძოლაში, და არა სათათბიროს ლათაიებში, კონტრრევოლუციის ძალები დღითი-დღე სუსტდება და იშლება, მაშინ როდესაც რევოლუციის ძალები იზრდება და რაზმებად ეწყობა, რომ რევოლუციის ძალთა შემოკრება და მათი რაზმებად დაწყობა მოწინავე მუშების მეთაურობით ხდება, და არა ბურჟუაზიისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი რევოლუციის გამარჯვება და მისი ბოლომდე მიყვანა სავსებით **შესაძლებელია**. მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ** მის მეთაურად შემდეგშიც მოწინავე მუშები გამოვლენ **თუ** შეგნებული პროლეტარიატი **ლირსეულად** შეასრულებს რევოლუციის ხელმძღვანელობას.

აქედან ცხადია, თუ რას ავალებდა ყრილობას დღევანდელი მომენტი და რა უნდა გაეკეთებინა მას.

ენგელსი ამბობდა, რომ მუშათა პარტია «შეგნებული გამომხატველია შეუგნებელი პროცესისა», ე. ი. პარტია შეგნებულად უნდა დაადგეს იმ გზას, საითაც შეუგნებლად მიდის თვითონ ცხოვრება, მან შეგნებულად უნდა გამოსთქვას ის აზრები, რომლებსაც შეუგნებლად სახავს აბობოქრებული ცხოვრებაო.

ფაქტები გვეუბნებიან, რომ ხალხის რევოლუცია ვერ დაღუპა ცარიზმმა, რომ ის, პირიქით, დღითი-დღე იზრდება, მაღლა იწევს და ახალი გალაშქრებისკენ მიიმართება, — მაშასადამე, პარტიის ამოცანაა—შეგნებულად ემზადოს ამ გალაშქრებისთვის და ბოლომდე მიიყვანოს ხალხის რევოლუცია.

ცხადია, ყრილობას უნდა აღენიშნა ეს ამოცანა და პარტიის წევრებისთვის დაეევალებინა მისი პირნათლად შესრულება.

ფაქტები გვეუბნებიან, რომ რევოლუციისა და კონტრრევოლუციის შერიგება შეუძლებელია, რომ სათათბირო, რომელიც თავიდანვე მათი შერიგების გზას დაადგა, წყლის ნაყვის მეტს ვერაფერს გააკეთებს, რომ **ასეთი** სათათბირო ვერასდროს ვერ გადაიქცევა ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად, ხალხს ვერ შემოი-

კრებს და იძულებული გახდება რეაქციის სათრეველად გადაიქცეს, — მაშასადამე, პარტიის ამოცანაა გაფანტოს სათათბიროზე დამყარებული ცრუ იმედები, ებრძოლოს ხალხის პოლიტიკურ ილუზიებს და საქვეყნოდ განაცხადოს, რომ რევოლუციის **მთავარი** სარბიელი ქუჩაა და არა სათათბირო, რომ ხალხის გამარჯვება **უმთავრესად** ქუჩიდან უნდა დაიბადოს, ქუჩაში ბრძოლით და არა სათათბიროდან, სათათბიროში ლაყბობით.

ცხადია, გამაერთიანებელ ყრილობას ეს ამოცანაც უნდა აღენიშნა თავის რეზოლუციებში, რომ მით მკაფიოდ გაერკვია პარტიის მოქმედების მიმართულება.

ფაქტები გვეუბნებიან, რომ რევოლუციის გამარჯვება, მისი ბოლომდე მიყვანა და ხალხის თვითმპყრობელობის დამყარება შესაძლებელია **მხოლოდ** იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციის მეთაურად შეგნებული მუშები გამოვლენ, თუ რევოლუციის ხელმძღვანელობა სოციალ-დემოკრატიას ექნება და არა ბურჟუაზიას, — მაშასადამე, პარტიის ამოცანაა სამარე გაუთხაროს ბურჟუაზიის მეთაურობას, გარშემო შემოიკრიბოს სოფლისა და ქალაქის რევოლუციური ელემენტები, სათავეში ჩაუდგეს მათს რევოლუციურ ბრძოლას, დღეიდანვე უხელმძღვანელოს მათს გალაშქრებას და, ამგვარად, ნიადაგი გაუმაგროს პროლეტარიატის მეთაურობას.

ცხადია, გამაერთიანებელ ყრილობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია ამ მესამე და უმთავრესი ამოცანისთვის, რომ მით პარტიისთვის დაენახვებინა მისი უდიდესი მნიშვნელობა.

აი რას ავალებდა გამაერთიანებელ ყრილობას დღევანდელი მომენტი, აი რა უნდა გაეკეთებინა ყრილობას.

შეასრულა თუ არა ყრილობამ ეს ამოცანები?

II

ამ კითხვის გასარკვევად საჭიროა გადავხედოთ **თვით** ყრილობის ფიზიონომიას.

ბევრ საკითხს შეეხო ყრილობა თავის სხდომებზე, მაგრამ მთავარი საკითხი, რომლის გარშემოც ტრიალებდა სხვა დანარჩენი საკითხები, — ეს დღევანდელი მომენტის საკითხი იყო. **დემოკრატიული რევოლუციის დღევანდელი მომენტი და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები** — აი რა საკითხში გამოინასკვა მთელი ჩვენი ტაქტიკური უთანხმოებანი.

ქალაქად კრიზისი ძლიერდება—ამბობდნენ ბოლშევიკები, სოფლად შიმშილობა ვრცელდება, მთავრობა ძირფესვიანად იხრწნება, ხალხის მღელვარება კი დღითი-დღე ძლიერდება, — მაშასადამე, რევოლუცია არა თუ არ ქრება, არამედ, პირიქით, დღითი-დღე უფრო იზრდება და ახალი გალაშქრებისთვის ემზადება; აქედან ჩვენი ამოცანაა — ხელი შევუწყოთ მზარდ რევოლუციას, ბოლომდე მივიყვანოთ ის და ხალხის თვითმპყრობელობით დავაგვირგვინოთო (იხ. ბოლშევიკების რეზოლუცია «დღევანდელ მომენტზე...»).

თითქმის ამასვე ამბობდნენ მენშევიკები.

მაგრამ **როგორ** უნდა მივიყვანოთ ბოლომდე დღევანდელი რევოლუცია, **რა** პირობებია ამისთვის საჭირო?

ბოლშევიკების აზრით, დღევანდელი რევოლუცია შეიძლება ბოლომდე მივიყვანოთ და ხალხის თვითმპყრობელობით დავაგვირგვინოთ **მხოლოდ იმ შემთხვევაში**, თუ ამ რევოლუციას შეგნებული მუშები ჩაუდგებიან სათავეში, თუ რევოლუციის ხელმძღვანელობა სოციალისტური პროლეტარიატის ხელში დატრიალდება, და არა ბურჟუაზიული დემოკრატებისა. «მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა,—ამბობდნენ ბოლშევიკები,—მაგრამ **იმ პირობით, თუ ის... უკან გაიყოლებს** გლეხკაცობის მასას და პოლიტიკურად შეგნებულ ხასიათს მისცემს გლეხთა სტიქიურ ბრძოლას...» წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატი იძულებული გახდება ხელი აიღოს «ხალხის რევოლუციის ბელადობაზე» და გადაიქცეს «კუდად ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიისა», რომელიც არადროს არ შეეცდება რევოლუციის ბოლომდე მიყვა-

ნასო (იხ. რეზოლუცია «პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები...»). რა თქმა უნდა, ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციაა და ამ მხრივ ის მოგვაგონებს საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რომლითაც ბურჟუაზიამ ისარგებლა. მაგრამ ცხადია აგრეთვე ის, რომ ამ ორ რევოლუციას შორის განსხვავებაც დიდია. საფრანგეთის რევოლუციის დროს არ არსებობდა ის მსხვილი სამანქანო წარმოება, რომელსაც დღეს ჩვენში ვხედავთ, არც კლასთა წინააღმდეგობა იყო მაშინ ისე მკაფიოდ გარკვეული, როგორც დღეს ჩვენში. ამიტომ იქ პროლეტარიატი უსუსური იყო, — აქ კი ის უფრო ძლიერია და შემჭიდროებული. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ იქ პროლეტარიატს არ ჰყავდა თავისი საკუთარი პარტია, აქ კი მას საკუთარი პარტია ჰყავს საკუთარი პროგრამით და ტაქტიკით. საკვირველი არაა, თუ საფრანგეთის რევოლუციას ბურჟუაზიული დემოკრატები მეთაურობდნენ, მუშები კი კუდში მისჩანჩალებდნენ ამ ვაჟბატონებს, «მუშები იბრძოდნენ და ბურჟუები კი ძალაუფლებას იძენდნენ». მეორე მხრივ, საგანგებოდ გასაგებია, რომ რუსეთის პროლეტარიატი ლიბერალების კუდში ჩანჩალს არ სჯერდება, ის რევოლუციის მეთაურად გამოდის და თავის გარშემო მოუწოდებს ყველა «ტვირთმძიმეთა და დამაშვრალთ». აი რა უპირატესობა აქვს ჩვენს რევოლუციას საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინაშე, აი რატომ გვგონია, რომ ჩვენი რევოლუცია შეიძლება ბოლომდე იქნას მიყვანილი და შეიძლება ის ხალხის თვითმპყრობელობით დაბოლოვდეს. საჭიროა მხოლოდ შეგნებულად შევუწყოთ ხელი პროლეტარიატის მეთაურობას და მის გარშემო დავრაზმოთ მებრძოლი ხალხი, რომ **მით შესაძლებელი გახდეს** დღევანდელი რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. რევოლუციის ბოლომდე მიყვანა კი საჭიროა იმისთვის, რომ მარტო ბურჟუაზიამ არ ისარგებლოს ამ რევოლუციით, რომ მუშათა კლასმა, პოლიტიკური თავისუფლების გარდა, რვასაათიანი სამუშაო დღეც მოიპოვოს, წრომის პირობები შეიმსუბუქოს, მთელი თავისი პროგრამა-მინიმუმი განახორციელოს და, ამგვარად,

გზა გაიწალდოს სოციალიზმისკენ. ამიტომ, ვინც პროლეტარიატის ინტერესებს იცავს, ვისაც არ უნდა, რომ პროლეტარიატი ბურჟუაზიის კუდად გადაიქცეს და მისთვის ნარი გლიჯოს, ვინც იმისთვის იბრძვის, რომ პროლეტარიატი დამოუკიდებელ ძალად გადაიქცეს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს დღევანდელი რევოლუცია, — მან ხმამაღლა უნდა დაგმოს ბურჟუაზიული დემოკრატების მეთაურობა, მან ნიადაგი უნდა გაუმაგროს სოციალისტური პროლეტარიატის მეთაურობას დღევანდელ რევოლუციაში.

ასე მსჯელობდნენ ბოლშევიკები.

სულ სხვანაირად ლაპარაკობდნენ მენშევიკები. რა თქმა უნდა, რევოლუცია ცხოველდება და საჭიროა მისი ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ამისთვის სულაც არაა საჭირო სოციალისტური პროლეტარიატის მეთაურობა,—დაე ისევ ბურჟუაზიული დემოკრატები გამოვიდნენ რევოლუციის ხელმძღვანელებადო. რატომ, რა ამბავია? — ეკითხებოდნენ ბოლშევიკები. იმიტომ, რომ დღევანდელი რევოლუცია ბურჟუაზიულია და მის მეთაურადაც ბურჟუაზია უნდა გამოვიდესო — უპასუხებდნენ მენშევიკები. მაშ რა უნდა აკეთოს პროლეტარიატმა? ის უკან უნდა მისდევდეს ბურჟუაზიულ დემოკრატებს, «ხელს უნდა ჰკრავდეს მათ» და, ამგვარად, «წინ უნდა სწევდეს ბურჟუაზიულ რევოლუციას». ასე ლაპარაკობდა მენშევიკების ბელადი მარტინოვი, რომელიც «მომხსენებლად» წამოაყენეს მათ. იგივე აზრი გამოიხატა, თუმცა ასე მკაფიოდ არა, მენშევიკების რეზოლუციაში «დღევანდელ მომენტზე». მარტინოვი ჯერ კიდევ თავის «ორ დიქტატურაში» ამბობდა, რომ «პროლეტარიატის მეთაურობა სახიფათო უტოპიაა», ფანტაზიაა, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას «უკიდურესი დემოკრატიული ოპოზიცია უნდა ხელმძღვანელობდეს» და არა სოციალისტური პროლეტარიატი, რომ მებრძოლი პროლეტარიატი «უკან უნდა მისდევდეს ბურჟუაზიულ დემოკრატიას» და ხელს უნდა ჰკრავდეს თავისუფლებისკენ (იხ. მარტინოვის ცნობილი ბროშურა «ორი დიქტატურა»). იგივე აზრი გაიმეორა მან

გამაერთიანებელ ყრილობაზე. მისი აზრით, საფრანგეთის დიდი რევოლუცია ორიგინალია, ხოლო ჩვენი რევოლუცია მკრთალი «ასლია» ამ ორიგინალისა, და რადგანაც საფრანგეთში რევოლუციას ჯერ «საერო კრება» მიუძღოდა წინ და შემდეგ — «საერო კონვენტი», რომლებშიც ბურჟუაზია ბატონობდა, ამიტომ ჩვენშიც ჯერ სახელმწიფო სათათბირო უნდა გადაიქცეს რევოლუციის ხელმძღვანელად, რომელიც ხალხს შემოიკრებს გარშემო, და შემდეგ სხვა რომელიმე წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელიც უფრო რევოლუციური იქნება, ვიდრე სათათბირო. როგორც სათათბიროში, ისე ამ მომავალ წარმომადგენლობით დაწესებულებაში ბურჟუაზიული დემოკრატები იქნებიან გაბატონებულნი,—მაშასადამე, ჩვენთვის საჭიროა ბურჟუაზიული დემოკრატიის მეთაურობა და არა სოციალისტური პროლეტარიატისა. საჭიროა მხოლოდ კვალდაკვალ **მივყვეთ** ბურჟუაზიას და უფრო წინ წავწიოთ ნამდვილი თავისუფლებისკენო. საგულისხმოა, რომ მენშევიკები დიდი ტაშისცემით შეხვდნენ მარტინოვის სიტყვას. საგულისხმოა აგრეთვე ის, რომ მენშევიკები **არც ერთ თავიანთ რეზოლუციაში** არ იხსენიებენ პროლეტარიატის მეთაურობის აუცილებლობას,—სიტყვა «პროლეტარიატის მეთაურობა» სავსებით განდევნილია მათი და ყრილობის რეზოლუციებიდან (იხ. ყრილობის რეზოლუციები).

ასეთი იყო მენშევიკების პოზიცია ყრილობაზე.

როგორც ხედავთ, აქ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე პოზიციაა, და სწორედ აქედან იწყება სხვა დანარჩენი უთანხმოებანი.

თუ დღევანდელი რევოლუციის ბელადი შეგნებული პროლეტარიატია, დღევანდელ სათათბიროში კი ბურჟუა-კადეტები ბატონობენ, — მაშინ თავისთავად ცხადია, რომ დღევანდელი სათათბირო ვერ გადაიქცევა «ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად», ის ვერ შემოიკრებს რევოლუციურ ხალხს და ვერავითარი ღონისძიებით ვერ გახდება მზარდი რევოლუციის ხელმძღვანელად. შემდეგ, თუ რევოლუციის ბელადი შეგნებული პროლეტარიატია სათათბიროდან კი შეუძლებელია რევოლუციის წინ გაძღოლა,—

მაშინ თავისთავად ცხადია, რომ დღეს ჩვენი მოქმედების **მთავარი სარბიელი** ქუჩა უნდა იყოს და არა სათათბიროს დარბაზი. შემდეგ, თუ რევოლუციის ბელადი შეგნებული პროლეტარიატია, ბრძოლის მთავარი მოედანი კი ქუჩაა, – მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქუჩის ბრძოლის მოწყობაში, **გაძლიერებული** ყურადღება მივაქციოთ შეიარაღების საქმეს, გავამრავლოთ წითელი რაზმები და სამხედრო ცოდნა გავავრცელოთ მოწინავე ელემენტებში. და, ბოლოს, თუ რევოლუციის ბელადი მოწინავე პროლეტარიატია და თუ ის ვალდებული იქნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს აჯანყების მოწყობაში, – მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ხელი დავიბანოთ და შორს გავექცეთ დროებით რევოლუციურ მთავრობას, ჩვენ ვალდებული ვიქნებით გლეხკაცობასთან ერთად დავიპყროთ პოლიტიკური ძალაუფლება და მონაწილეობა მივიღოთ დროებით მთავრობაში*: ვინც რევოლუციურ ქუჩაში ბელადობს, ის რევოლუციის მთავრობაშიც ბელადი უნდა იყოს.

ასეთი იყო ბოლშევიკების პოზიცია.

და, პირიქით, თუ რევოლუციის მეთაურობა ბურჟუაზიულ დემოკრატებს ეჭნებათ, როგორც მენშევიკებს წარმოუდგენიათ, და სათათბიროს კადეტები კი «ამგვარ დემოკრატებს უახლოვდებიან»,—მაშინ თავისთავად ცხადია, რომ დღევანდელი სათათბირო შეიძლება «ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად» გადაიქცეს, რომ დღევანდელ სათათბიროს შეუძლია რევოლუციური ხალხი შემოიკრიბოს, მისი ხელმძღვანელი გახდეს და ბრძოლის მთავარ მოედნად გადაიქცეს. შემდეგ, თუ მთავარ მოედნად შეიძლება სათათბირო გადაიქცეს,— მაშინ ზედმეტია **გაძლიერებული** ყურადღება მივაქციოთ შეიარაღებისა და წითელი რაზმების შექმნის საქმეს. ჩვენი საქმე არაა **დიდი** ყურადღება მივაქციოთ ქუჩის ბრძოლის მოწყობას და, მით უმეტეს, ჩვენი საქმე არაა გლეხკაცობასთან ერთად დავიპყროთ პოლიტიკური ძალაუფლება, მო-

* ჩვენ აქ არ ვეხებით ამ საკითხის პრინციპულ მხარეს.

ნაწილეობა მივიღოთ დროებით მთავრობაში, — დაე ამაზე ბურჟუაზიულმა დემოკრატებმა იზრუნონ, რომლებიც რევოლუციის ხელმძღვანელები იქნებიან. რა თქმა უნდა, ცუდი არ იქნება იარაღიც გვქონდეს და წითელი რაზმებიც გვყავდეს, პირიქით, ეს საჭიროც არის, მაგრამ ამას ისე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ეს ბოლშევიკებს ჰგონიათო.

ასეთი იყო მენშევიკების პოზიცია.

ყრილობა მეორე გზას დაადგა, ე. ი. მან უარყო სოციალისტური პროლეტარიატის მეთაურობა და მოიწონა მენშევიკების პოზიცია.

ამით ყრილობამ საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ მას ვერ შეუგნია დღევანდელი მომენტის აუცილებელი მოთხოვნილებანი.

ეს იყო ყრილობის ის ძირითადი შეცდომა, რომელსაც თავისთავად უნდა მოჰყოლოდა სხვა დანარჩენი შეცდომები.

III

მას შემდეგ, რაც ყრილობამ უარყო პროლეტარიატის მეთაურობის იდეა, თავისთავად ცხადი გახდა, თუ როგორ გადაჭრიდა ყრილობა დანარჩენ საკითხებს: «სახელმწიფო სათათბიროზე», «შეიარაღებულ აჯანყებაზე» და სხვ.

გადავიდეთ ამ საკითხებზე.

დავიწყოთ სახელმწიფო სათათბიროს საკითხიდან.

ჩვენ არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რომელი ტაქტიკა უფრო მართალი იყო—ბოიკოტისა თუ არჩევნებში მონაწილეობისა. შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: თუ დღეს სათათბირო ლაპარაკის მეტს ვერას აკეთებს, თუ ის რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის გაჩერებულა, — ეს იმას ნიშნავს, რომ ცდებოდნენ არჩევნების მომხრეები, როცა არჩევნებზე იწვევდნენ ხალხს და ცრუ იმედებს უღვიძებდნენ გულში. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. საქმე იმაშია, რომ ყრილობის დროს არჩევნები უკვე მოთავებული იყო (კავკასიასა და ციმბირს გარდა), არჩევნების ნაყოფი უკვე ხელში გვქონდა და, მაშასადამე, ლაპარაკი

შეიძლებოდა მხოლოდ **თვითონ სათათბიროზე**, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა შეკრებილიყო. ცხადია, ყრილობა წარსულს ველარ გამოეკიდებოდა და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცია იმისთვის, თუ რას წარმოადგენს თვითონ სათათბირო და როგორი დამოკიდებულება უნდა დავამყაროთ მასთან.

მაშ ასე, რა არის დღევანდელი სათათბირო და როგორი დამოკიდებულება უნდა დავამყაროთ მასთან?

ჯერ კიდევ 17 ოქტომბრის მანიფესტიდან ვიცოდით, რომ სათათბიროს დიდი უფლება არა აქვს-რა: ეს დეპუტატების კრებაა, რომელსაც «უფლება აქვს» ითათბიროს, მაგრამ «უფლება არა აქვს» გადასცდეს დღევანდელ «ძირითად კანონებს». მას ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო საბჭო, რომელსაც «უფლება აქვს» გააბათილოს სათათბიროს ყველა დადგენილება. ხოლო დარაჯად დგას თავით-ფეხამდე შეიარაღებული მეფის მთავრობა, რომელსაც «უფლება აქვს» გაფანტოს სათათბირო, თუ ის თათბირს არ დასჯერდება.

რაც შეეხება სათათბიროს ვინაობას, ყრილობის გახსნამდევე ვიცოდით, ვისგან შესდგებოდა ის, მაშინვე ვიცოდით, რომ სათათბირო მეტწილად კადეტებისგან უნდა შემდგარიყო. ამით ჩვენ სულაც არ გვინდა ვთქვათ, ვითომ თვითონ კადეტები უმეტესობას შეადგენდნენ სათათბიროში, — ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ სათათბიროს ხუთასამდე წევრიდან ერთი მესამედი კადეტები იქნებოდნენ, ერთ მესამედსაც შუალა ჯგუფები და მემარჯვენენი შეადგენდნენ («დემოკრატიული რეფორმების პარტია»[75], ზომიერი ელემენტები არაპარტიული დეპუტატებისა, ოქტიაბრისტები[76] და სხვ.), რომლებიც უკიდურეს მემარცხენეებთან (მუშათა და რევოლუციურ გლეხთა ჯგუფებთან) ბრძოლის დროს კადეტების გარშემო მოიყრიდნენ თავს და მათ მისცემდნენ ხმას, და, ამგვარად, სათათბიროს ბატონ-პატრონობა კადეტებს დარჩებოდათ.

მერე ვინ არიან კადეტები? შეიძლება მათ რევოლუციონერები დაერქვას? რა თქმა უნდა, არა! მაშ ვინ არიან კადე-

ტები? კადეტები — ეს **შემთანხმებელთა პარტიაა:** მათ უნდათ მეფის უფლებების შეზღუდვა, მაგრამ იმიტომ კი არა, ვითომ ხალხის გამარჯვების მომხრენი იყვნენ, — კადეტებს ბურჟუაზიის თვითმპყრობელობით უნდათ შესცვალონ მეფის თვითმპყრობელობა და არა ხალხის თვითმპყრობელობით (იხ. მათი პროგრამა), — არამედ იმისთვის, რომ ხალხმაც შეიზღუდოს თავისი რევოლუციურობა, უკან წაიღოს თავისი რევოლუციური მოთხოვნები და როგორმე შეუთანხმდეს მეფეს. კადეტებს მეფისა და ხალხის შეთანხმება უნდათ.

როგორც ხედავთ, სათათბიროს უმეტესობა შემთანხმებლებისგან უნდა შემდგარიყო და არა რევოლუციონერებისგან. ეს თავისთავად ცხადი იყო აპრილის პირველ ნახევარშივე.

ამგვარად, ერთი მხრივ, უფლებებით ღარიბი, ბოიკოტნაკრავი და უძლური სათათბირო, მეორე მხრივ, მისი არარევოლუციური და შემთანხმებელი უმეტესობა — აი რას წარმოადგენდა სათათბირო. უძლურნი საზოგადოდ ჯერ ისედაც ადგებიან ხოლმე შეთანხმების გზას, და თუ მათ სურვილებიც არარევოლუციური აქვთ, მაშინ ხომ უფრო ჩქარა დაექანებიან შეთანხმების თავქვეზე. ასე უნდა მოსვლოდა სახელმწიფო სათათბიროსაც: ის ვერ მიუდგებოდა მეფეს სავსებით, რადგან მას მეფის უფლებების შეზღუდვა სურს, მაგრამ ვერც ხალხისკენ გადავიდოდა, რადგან ხალხი რევოლუციურ მოთხოვნებს აყენებს. ამიტომ ის უნდა ჩამდგარიყო მეფესა და ხალხს შუა და მათს შეთანხმებას, ე. ი. წყლის ნაყვას შესდგომოდა. ერთი მხრივ, ხალხი უნდა დაერწმუნებინა, რომ ხელი აეღო «დიდ მოთხოვნებზე» და როგორმე შეთანხმებოდა მეფეს, მეორე მხრივ, მეფესთან უნდა გაეწია დალალობა, რომ ცოტა რამ დაეთმო ხალხისთვის და მით ბოლო მოეღო «რევოლუციური არეულობისთვის».

აი როგორ სათათბიროსთან ჰქონდა საქმე პარტიის გამაერთიანებელ ყრილობას.

რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა პარტიას ამისთანა საოათბიროსთან? თქმა არ უნდა, პარტია ვერ იკისრებდა მხარი

დაეჭირა ამისთანა სათათბიროსთვის, ვინაიდან სათათბიროს მხარის დაჭერა შემთანხმებელთა პოლიტიკის მხარის დაჭერაა და შემთანხმებელთა პოლიტიკა კი ძირიანად უარყოფს რევოლუციის გაძლიერებას — მუშათა პარტიამ არ უნდა იკისროს რევოლუციის დაცხრობა. რა თქმა უნდა, პარტიის მოვალეობაა გამოიყენოს როგორც თვითონ სათათბირო, ისე სათათბიროს კონფლიქტები მთავრობასთან, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომ მან მხარი უნდა დაუჭიროს სათათბიროს არარევოლუციურ ტაქტიკას. პირიქით, სათათბიროს ორჭოფობის გამოაშკარავება, მისი ულმობელი კრიტიკა, მოღალატური ტაქტიკის შარაზე გამოტანა — აი რა დამოკიდებულება უნდა დაამყაროს პარტიამ სახელმწიფო სათათბიროსთან.

თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ კადეტების სათათბირო არ ყოფილა ხალხის სურვილების გამომხატველი, ის ვერ შეასრულებს სახალხო წარმომადგენლობის როლს, ვერ გადაიქცევა ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად და ვერ შემოიკრებს ხალხს.

ამასთან, პარტიის მოვალეობა იყო გაეფანტა სათათბიროზე დამყარებული ცრუ იმედები და საქვეყნოდ აღეარებინა, რომ სათათბირო არ არის ხალხის ნების გამომხატველი, რომ ის, მაშასადამე, ვერ გადაიქცევა რევოლუციის იარაღად, რომ დღეს ბრძოლის მთავარი სარბიელი ქუჩაა და არა სათათბირო.

ამავე დროს აშკარა იყო, რომ სათათბიროში არსებული გლეხთა «შრომის ჯგუფი»[77], რომელიც მცირე ნაწილს შეადგენდა კადეტებთან შედარებით, ბოლომდე ვერ გაჰყვებოდა კადეტების შემთანხმებელ ტაქტიკას, დღეს თუ ხვალ ბრძოლა უნდა დაეწყო მათ წინააღმდეგ, როგორც ხალხის მოღალატეების წინააღმდეგ და ხელაღებით შემდგარიყო რევოლუციის გზაზე. პარტიის მოვალეობა იყო — მხარი დაეჭირა «შრომის ჯგუფისთვის» კადეტებთან ბრძოლაში, ბოლომდე განევითარებინა მისი რევოლუციური მიდრეკილება, დაეპირდაპირებინა მისი რევოლუციური ტაქტიკა კადეტების არარევოლუციური ტაქტიკის-

თვის და მით უფრო ნათლად გამოეაშკარავებინა კადეტების მოღალატური მიდრეკილება.

მერე როგორ მოიქცა ყრილობა, რა სთქვა ყრილობამ თავის რეზოლუციაში სახელმწიფო სათათბიროს შესახებ?

ყრილობის რეზოლუცია ამბობს, რომ სათათბირო «ხალხის გულიდან ამოსული» დაწესებულებაა. ე. ი. სათათბირო, მიუხედავად მისი ნაკლოვანებისა, მაინც ხალხის სურვილების გამომხატველიაო.

ცხადია, ყრილობას რიგიანად ვერ დაუფასებია კადეტური სათათბირო, მას დავიწყებია, რომ სათათბიროს უმეტესობა შემთანხმებლებისგან შესდგება, რომ შემთანხმებლები, როგორც რევოლუციის უარმყოფელნი, ხალხის სურვილებს ვერ გამოხატავენ და, მაშასადამე, უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ სათათბირო «ხალხის გულიდან არის ამოსული».

რას ამბობდნენ ყრილობაზე ამის შესახებ ბოლშევიკები?

ისინი ამბობდნენ, რომ «სახელმწიფო სათათბირო უკვე ახლავე გამოსახული კადეტური შემადგენლობით (უმთავრესად) **ვერავითარ შემთხვევაში ვერ ითამაშებს** იმ როლს, რომელსაც ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა უნდა ეწეოდეს». ე. ი. დღევანდელი სათათბირო ხალხის გულიდან არაა ამოსული, ის ხალხის წინააღმდეგია და ამიტომ მის სურვილებს ვერ გამოხატავს (იხ. ბოლშევიკების რეზოლუცია).

ყრილობამ ამ საკითხში უარყო ბოლშევიკების პოზიცია.

ყრილობის რეზოლუცია ამბობს, რომ «სათათბირო», მიუხედავად მისი «ცრუ კონსტიტუციური ხასიათისა», მაინც «რევოლუციის იარაღად გადაიქცევა»... მისი კონფლიქტი მთავრობასთან იმ ზომამდე შეიძლება მივიდეს, რომ «შესაძლებელი გახდეს გამოწვევა ხალხის მასობრივი მოძრაობისა დღევანდელი პოლიტიკური წყობილების დასამხობად». ე. ი. სათათბირო შეიძლება პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცეს, რევოლუციური ხალხი შემოიკრიბოს მან თავის გარშემო და რევოლუციის დროშა აიფრიალოსო.

გესმით, მუშებო: კადეტების შემთანხმებელი სათათბირო, თურმე ნუ იტყვით, რევოლუციის ცენტრად შეიძლება გადაიქცეს და სათავეში მოექცეს მას, — ძაღლისგან, თურმე, ბატკანი იბადება! რაღა გიჭირთ, — ამის მერე აღარც პროლეტარიატის მეთაურობაა საჭირო და აღარც ის, რომ ხალხმა სწორედ პროლეტარიატის გარშემო მოიყაროს თავი: **არარევოლუციური** სათათბირო თვითონ შემოიკრებს თავის გარშემო **რევოლუციურ** ხალხს და ყველაფერი წესიერად წავა! აი, თურმე, რა უბრალოდ კეთდება რევოლუცია, აი, თურმე, როგორ უნდა მივიყვანოთ ბოლომდე დღევანდელი რევოლუცია!

ცხადია, ყრილობას ვერ გაუგია, რომ ორჭოფი სათათბირო მისი ორჭოფი კადეტებით აუცილებლად გაიჩხირება ორ სკამს შუა, მეფისა და ხალხის შერიგებას დაიწყებს, და შემდეგ, როგორც ყველა ორჭოფი, იძულებული იქნება იქითკენ გადაიხაროს, ვინც ბევრს დაპირდება!

რას ამბობდნენ ყრილობაზე ამის შესახებ ბოლშევიკები?

მათ განაცხადეს, რომ «ჯერ კიდევ არ არსებობს პირობები, რომ ჩვენი პარტია პარლამენტურ გზაზე დადგეს», ე. ი. ჯერ ვერ დავიწყებთ მყუდრო პარლამენტურ ცხოვრებას, ბრძოლის მთავარი სარბიელი ჯერ კიდევ ქუჩა იქნება, და არა სათათბიროო (იხ. ბოლშევიკების რეზოლუცია).

ყრილობამ ბოლშევიკების რეზოლუციის ეს ნაწილიც უარყო.

ყრილობის რეზოლუცია გარკვეულად არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სათათბიროში არსებობენ რევოლუციური გლეხობის უმცირესობაში დარჩენილი წარმომადგენელნი («შრომის ჯგუფი»), რომელნიც იძულებულნი იქნებიან უარყონ კადეტების შემთანხმებლობა და რევოლუციის გზას დაადგნენ, რომ საჭიროა გავამხნეოთ ისინი, მხარი დავუჭიროთ კადეტებთან ბრძოლაში და უფრო მეტად გავამაგროთ რევოლუციის გზაზე.

ცხადია, ყრილობას ვერ გაუგია, რომ დღევანდელ რევოლუციაში პროლეტარიატი და გლეხკაცობა ორი უმთავრესი ძალაა, რომ პროლეტარიატი, როგორც რევოლუციის ბელადი, დღეს

მხარს უნდა უჭერდეს რევოლუციურ გლეხებს როგორც ქუჩაში, ისე სათათბიროშიც, თუ კი ისინი შეებრძოლებიან რევოლუციის მტრებს.

რას ამბობდნენ ყრილობაზე ამის შესახებ ბოლშევიკები? მათ განაცხადეს, რომ სოციალ-დემოკრატია ვალდებულია... ფარდა ახადოს «კადეტების რყევასა და ორჭოფობას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ელემენტებს, შეაერთოს ისინი, დაუპირდაპიროს ისინი კადეტებს, მხარი დაუჭიროს მათს მოქმედებას, როცა ეს მოქმედება ეთანხმება პროლეტარიატის ინტერესებს» (იხ. რეზოლუცია).

ყრილობამ ბოლშევიკების არც ეს წინადადება მიიღო. ალბათ, იმიტომ, რომ აქ ძალიან აშკარად იხატება პროლეტარიატის მოწინავეობა დღევანდელ ბრძოლაში, ყრილობა კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეჭვის თვალით უყურებს პროლეტარიატის მოთავეობას, — გლეხკაცობამ თავი უნდა მოიყაროს სათათბიროს და არა პროლეტარიატის გარშემოო!

ამიტომ იყო, რომ ბურჟუაზიულმა გაზეთმა «Наша Жизнь»-მა[78] ქება შეასხა ყრილობის რეზოლუციას, ამიტომ იყო, რომ «Наша Жизнь»-ის კადეტებმა ერთხმად გააბეს ყვირილი — ახლა კი გონს მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და ბლანკისტობას თავი დაანებესო (იხ. «Наша Жизнь» № 432).

ცხადია, ტყუილად არ აქებენ ყრილობის რეზოლუციას ხალხის მტერი კადეტები! ტყუილად კი არა სთქვა ბებელმა: რაც ჩვენს მტრებს მოსწონთ, ის ჩვენთვის საზარალოაო!

IV

გადავიდეთ ახლა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე.

დღეს დაფარული აღარავისთვისაა, რომ ხალხის გალაშქრებას ვერ ავცდებით. თუ ქალაქებსა და სოფლებში კრიზისი და შიმშილობა იზრდება, თუ პროლეტარიატისა და გლეხკაცობის მღელვარება დღითი-დღე მატულობს, თუ მეფის მთავრობა

იხრწნება, თუ, მაშასადამე, რევოლუცია მაღლა იწევს, — მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ცხოვრებაში მზადდება ხალხის ახალი გალაშქრება, უფრო დიდი და ღონიერი, ვიდრე ოქტომბერ-დეკემბრის გალაშქრება. სასურველია თუ არა ეს ახალი გალაშქრება, კარგია თუ ავი — დღეს ამაზე ლაპარაკი მეტია: საქმე ჩვენს სურვილებში არაა, საქმე იმაშია, რომ ხალხის გალაშქრება თავისთავად მზადდება და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

მაგრამ გალაშქრებაც არის და გალაშქრებაც. თქმა არ უნდა, რომ იანვრის საყოველთაო გაფიცვა პეტერბურგში (1905 წ.) ხალხის გალაშქრება იყო. ხალხისავე გალაშქრებას წარმოადგენს ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა და ხალხისავე გალაშქრება იყო «დეკემბრის შეჯახება» მოსკოვში და ლატვიელებში. მაგრამ ცხადია აგრეთვე ის, რომ მათ შორის განსხვავებაც იყო. მაშინ როდესაც იანვარში (1905 წ.) უმთავრეს როლს გაფიცვა თამაშობდა, დეკემბერში გაფიცვა მხოლოდ დასაწყისი იყო, რომელიც შემდეგ შეიარაღებულ აჯანყებაზე გადავიდა და მას დაუთმო უმთავრესი როლი. იანვარ-ოქტომბერ-დეკემბრის გალაშქრებამ დაამტკიცა, რომ რაც უნდა «მშვიდობიანად» დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რაც უნდა «თავაზიანად» მოიქცე მოთხოვნების წამოყენების დროს, რაც უნდა უიარაღოდ გამოხვიდე ბრძოლის ველზე, საქმე მაინც შეჯახებით უნდა გათავდეს (მოიგონეთ პეტერბურგში 9 იანვარს ჯვრებითა და მეფის სურათით მიმავალი ხალხი), მთავრობა მაინც თოფ-ზარბაზანს მიმართავს, ხალხი მაინც იარაღზე გაივლებს ხელს და, ამგვარად, საერთო გაფიცვა მაინც შეიარაღებულ აჯანყებაზე გადავა. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ხალხის მომავალი გალაშქრება უბრალო გალაშქრება არ იქნება, რომ ის უეჭველად **შეიარაღებულ** სახეს მიიღებს და, ამგვარად, გადამწყვეტი როლი **შეიარაღებულ** აჯანყებას დაეთმობა. სასურველია თუ არა სისხლის ღვრა, კარგია თუ ავი, — დღეს ამაზე ლაპარაკი მეტია. ვიმეორებთ: საქმე ჩვენს სურვილებში არაა, საქმე იმაშია, რომ **შეიარაღებული** აჯან-

ყება უეჭველად მოხდება და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

ჩვენი სადღეისო ამოცანა ხალხის თვითმპყრობელობაა. ჩვენ გვინდა, რომ მმართველობის სადავეები პროლეტარიატსა და გლეხკაცობას გადაეცეს. შეიძლება თუ არა ამ მიზანს საყოველთაო გაფიცვით მივაღწიოთ? ფაქტები გვეუბნებიან, რომ არ შეიძლება (მოიგონეთ ზემოთ ნათქვამი). ან იქნებ სათათბირო მოგვეშველოს მისი ენაწყლიანი კადეტებით და მისი შემწეობით დამყარდეს ხალხის თვითმპყრობელობა? ფაქტები გვეუბნებიან, რომ არც ეს შეიძლება, რადგანაც კადეტურ სათათბიროს მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობა სურს და არა ხალხის თვითმპყრობელობა (მოიგონეთ ზემოთ ნათქვამი).

ცხადია, ერთადერთი საიმედო გზა პროლეტარიატისა და გლეხკაცობის შეიარაღებული აჯანყებაა. მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებას შეუძლია ძირს დასცეს მეფის ბატონობა, მას შეუძლია დაამყაროს ხალხის ბატონობა, რა თქმა უნდა, თუ ეს აჯანყება გამარჯვებით გათავდება, და თუ ეს ასეა, თუ აჯანყების გაუმარჯვებლად შეუძლებელია დღეს ხალხის გამარჯვება, თუ, მეორე მხრივ, ცხოვრება თვითონვე ამზადებს ხალხის შეიარაღებულ გალაშქრებას, თუ ეს გალაშქრება აუცილებელია, – მაშინ თავისთავად ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა შეგნებულად ემზადოს ასეთი გალაშქრებისთვის და შეგნებულად ამზადოს მისი გამარჯვება. ორში ერთი: ან უნდა უარვყოთ ხალხის თვითმპყრობელობა (დემოკრატიული რესპუბლიკა) და კონსტიტუციურ მონარქიას დავჯერდეთ, — მაშინ უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ჩვენი საქმე არაა შეიარაღებული აჯანყება მოვაწყოთ, ანდა წინანდებურად უნდა დავისახოთ სადღეისო მიზნად ხალხის თვითმპყრობელობა (დემოკრატიული რესპუბლიკა) და გადაჭრით უარვყოთ კონსტიტუციური მონარქია, — მაშინ უფლება არ გვექნება ვთქვათ, რომ ჩვენი საქმე არაა შეგნებულად მოვაწყოთ სტიქიურად მზარდი გალაშქრება.

მაგრამ როგორ უნდა ვემზადოთ შეიარაღებული აჯანყებისთვის, როგორ უნდა შევუწყოთ ხელი მის გამარჯვებას?

დეკემბრის გალაშქრებამ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, სხვა ცოდვებს გარდა, კიდევ ერთი დიდი ცოდვა მიგვიძღვის პროლეტარიატის წინაშე. ეს ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ გვიზრუნია ანდა ძალიან ნაკლებად გვიზრუნია მუშების შეიარაღებაზე და წითელი რაზმების მოწყობაზე. მოიგონეთ დეკემბერი. ვის არ ეხსომება აღელვებული, ყალყზე შემდგარი ხალხი თბილისში, დასავლეთ კავკასიაში, სამხრეთ რუსეთში, ციმბირში, მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში? რატომ იყო, რომ ეს გააფთრებული ხალხი ასე ადვილად გაფანტეს თვითმპყრობელობის ლაქიებმა? ნუთუ იმიტომ, რომ ისინი ჯერ დარწმუნებული არ იყვნენ მეფის მთავრობის უვარგისობაში? რა თქმა უნდა, არა! მაშ რატომ?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხალხს არ ჰქონდა, ანდა ძალიან ნაკლებად ჰქონდა იარაღი — რაც უნდა შეგნებული იყოთ, ცალიერი ხელებით ტყვიას მაინც ვერ გაუმაგრდებით! დიახ, სამართლიანად გვლანძღავდნენ, როცა გვეუბნებოდნენ: ფული მიგაქვთ და იარაღი კი არ სჩანსო.

მეორე, იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავდა გაწვრთნილი წითელი რაზმები, რომლებიც გაუძღვებოდნენ დანარჩენებს, იარაღით იარაღს შეიძენდნენ და ხალხს შეაიარაღებდნენ: ქუჩაში ბრძოლის დროს ხალხი გმირია, მაგრამ მას თუ შეიარაღებული მოძმეები არ მიუძღვიან და მაგალითებს არ უჩვენებენ, ის შეიძლება ბრბოდ გადაიქცეს.

მესამე, იმიტომ, რომ აჯანყება დაქსაქსული და მოუწყობელი იყო. პეტერბურგი ჩუმად იყო, როცა მოსკოვი ბარიკადებზე იბრძოდა. თბილისი და ქუთაისი იერიშისთვის ემზადებოდნენ, როცა მოსკოვი უკვე «დაპყრობილი» იყო. ციმბირი იარაღს მაშინ იღებდა, როცა სამხრეთი და ლატვიელები უკვე «დამარცხდნენ». ეს კი იმას ნიშნავს, რომ მებრძოლი პროლეტარიატი ჯგუფებად დანაწილებული შეხვდა აჯანყებას, რის გამოც მისი «დამარცხება» შედარებით უფრო ადვილი შეიქნა მთავრობისთვის.

მეოთხე, იმიტომ, რომ ჩვენი აჯანყება თავდაცვის პოლიტიკას ადგა, და არა თავდასხმისა. მთავრობამ თვითონ გამოიწვია დეკემბრის აჯანყება, მთავრობა თვითონ დაგვესხა თავზე, მას ჰქონდა თავისი გეგმა, მაშინ როდესაც ჩვენ მოუმზადებელი შევხვდით მთავრობის თავდასხმას, ჩვენ მოფიქრებული გეგმა არ გვქონდა, ჩვენ იძულებული ვიყავით თავდაცვის პოლიტიკას დავდგომოდით და, ამგვარად, კუდში ავთრეოდით მომხდარ ამბებს. მოსკოველები რომ თავიდანვე თავდასხმის პოლიტიკას დასდგომოდნენ, მაშინვე ნიკოლოზის ვაგზალს ჩაიგდებდნენ ხელში, მთავრობა ვეღარ შესძლებდა პეტერბურგიდან ჯარის გადმოყვანას მოსკოვში, და, ამგვარად, უფრო მეტ ხანს გაგრძელდებოდა მოსკოვის აჯანყება, რაც შესაფერ გავლენას იქონიებდა დანარჩენ ქალაქებზე. იგივე უნდა ითქვას ლატვიელებზე, რომლებიც, თავიდანვე რომ თავდასხმის გზას დასდგომოდნენ, ყველაზე პირველად ზარბაზნებს ჩაიგდებდნენ ხელში და წელს მოსწყვეტდნენ ადმინისტრაციას.

ტყუილად კი არა სთქვა მარქსმა:

«რაკი აჯანყება დაწყებულია, იმოქმედე უდიდესი გამბედაობით და ყოველთვის **შეტევაზე** გადადი. **თავდაცვა ყოველი შეიარაღებული აჯანყების სიკვდილია...** დაჰკარ მოწინააღმდეგეს მოულოდნელად, სანამ მისი ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსულია; ყოველდღიურად ამზადე ახალი, თუნდაც სულ მცირე, წარმატებანი; შეინარჩუნე ის მორალური უპირატესობა, რომელიც პირველმა წარმატებულმა აჯანყებამ მოგცა; გადაიყვანე შენს მხარეზე ის მერყევი ელემენტები, რომლებიც მუდამ ძლიერ ტალღას მისდევენ და მუდამ საიმედო მხარეს დგებიან; უკან დაახევინე მტერს, ვიდრე ის შენს წინააღმდეგ თავისი ძალების შეკრებას მოასწრებდეს; ერთი სიტყვით, — როგორც რევოლუციური ტაქტიკის ცნობილი უდიდესი ოსტატი, დანტონი, იტყოდა ხოლმე: გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა» (იხ. **კ. მარქსი,** «ისტორიული ნარკვევები», გვ. 95).

სწორედ ეს «გამბედაობა» და თავდასხმის პოლიტიკა აკლდა დეკემბრის აჯანყებას.

გვეტყვიან: ეს მიზეზები არ კმარა დეკემბრის «დამარცხებისთვის», თქვენ დაგავიწყდათ, რომ პროლეტარიატს ვერ შეუერთდა დეკემბერში გლეხკაცობა, და ესეც ერთი დიდი მიზეზთაგანი იყო დეკემბრის უკანდახევისო. სრული ჭეშმარიტებაა, და ჩვენ არც ვაპირებთ ამის დავიწყებას. მაგრამ რატომ ვერ შეუერთდა გლეხკაცობა პროლეტარიატს, რა იყო ამის მიზეზი? გვეტყვიან: შეუგნებლობაო. კეთილი, მაგრამ როგორ უნდა შევაგნებინოთ გლეხებს, ბროშურების გავრცელებით? რა თქმა უნდა, ეს არ კმარა! მაშ როგორ? ბრძოლით, ბრძოლაში მათი ჩაბმით და ბრძოლაში ჩვენი ხელმძღვანელობით. დღეს ქალაქი მოწოდებულია უხელმძღვანელოს სოფელს, მუშამ — გლეხს, და თუ ქალაქებში აჯანყების საქმე მოწყობილი არ იქნება, ვერასდროს ვერ გაჰყვება ამ საქმეში გლეხკაცობა მოწინავე პროლეტარიატს.

ასეთია ფაქტები.

აქედან თავისთავად ცხადია, თუ როგორ უნდა შეეხედა ყრილობას შეიარაღებული აჯანყებისთვის, რა ლოზუნგები უნდა მოეცა მას პარტიული ამხანაგებისთვის.

პარტია კოჭლობდა შეიარაღების საქმეში, შეიარაღება მისთვის კუთხეში მიგდებული საქმე იყო დღემდის, — მაშასადამე, ყრილობას უნდა ეთქვა პარტიისთვის: **შეიარაღდით**, გაძლიერებული ყურადღება მიაქციეთ შეიარაღების საქმეს, რომ რამდენადმე მაინც მომზადებული შეხვდეთ მომავალ გალაშქრებას.

შემდეგ, პარტია კოჭლობდა შეიარაღებული რაზმების მოწყობის საქმეში, ის ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა წითელი რაზმების გამრავლებას, — მაშასადამე, ყრილობას უნდა ეთქვა პარტიისთვის: **მოაწყეთ წითელი რაზმები, გაავრცელეთ ხალხში სამხედრო ცოდნა**, გაძლიერებული ყურადღება მიაქციეთ წითელი რაზმების საქმეს, რომ მერე შესაძლებელი გახდეს იარაღით იარაღის შეძენა და აჯანყების გაძლიერება.

შემდეგ, პროლეტარიატი ჯგუფებად დაქუცმაცებული შეხვდა დეკემბრის აჯანყებას, აჯანყების მოწყობაზე გულდასმით

არავინ ფიქრობდა, — მაშასადამე, ყრილობის მოვალეობა იყო ლოზუნგი მიეცა პარტიისთვის, რომ ის ენერგიულად შესდგომოდა მებრძოლი ელემენტების გადაჯგუფვას, მათს ერთ გეგმაზე ამოქმედებას და შეიარაღებული აჯანყების აქტიურ მოწყობას.

შემდეგ. დღემდის პროლეტარიატი თავდაცვის პოლიტიკას ადგა შეიარაღებული აჯანყების დროს, ის არასოდეს დასდგომია თავდასხმის გზას, ეს გარემოება კი ძალიან ხელს უშლიდა აჯანყების გამარჯვებას, — მაშასადამე, ყრილობის მოვალეობა იყო ეჩვენებინა პარტიული ამხანაგებისთვის, რომ აჯანყების გამარჯვების დრო დგება და **საჭიროა თავდასხმის პოლიტიკას დავადგეთ.**

მერე როგორ მოიქცა ყრილობა და რა ლოზუნგები მისცა მან პარტიას?

ყრილობა ამბობს, რომ «...დღევანდელ მომენტში პარტიის უმთავრესი მიზანია განავითაროს რევოლუცია აგიტაციური მოქმედების გაძლიერებით პროლეტარიატის, გლეხკაცობის და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ფართო წრეებში და ჯარში და ჩააბას ისინი მთავრობასთან აქტიურ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიისა და მისი ხელმძღვანელობით მომქმედი პროლეტარიატის მუდმივი ჩარევით ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში...» პარტიამ «არ უნდა იკისროს ცრუ იმედების გამომწვევი მოვალეობა ხალხის შეიარაღებისა და უნდა განსაზღვროს თავისი მიზანი ხალხის თვითშეიარაღების ხელის შეწყობით და წითელი რაზმების მოწყობა-შეიარაღებით...» «პარტიის მოვალეობაა ხელი შეუშალოს შეიარაღებულ შეტაკებაში პროლეტარიატის ჩაბმის ყოველგვარ ცდას, თუ ამ შეტაკებისთვის ხელსაყრელი პირობები არაა...» და სხვ. და სხვ. ამისთანები (იხ. ყრილობის რეზოლუცია).

გამოდის, რომ **დღეს, დღევანდელ მომენტში,** როცა ხალხის ახალი გალაშქრება კარზე მოგვდგომია, **აჯანყების გამარჯვებისთვის თავიდათავი საქმე აგიტაცია ყოფილა,** შეიარაღება და წითელი რაზმების მოწყობა კი მცირემნიშვნელოვანი რამეა, რომელმაც არ უნდა გაგვიტაცოს და რომლის მიმართაც

უნდა «განვსაზღვროთ» ჩვენი მოქმედება «ხელის შეწყობით». ხოლო რომ საჭიროა აჯანყების მოწესრიგება, და არა მისი დაქსაქსულად მოხდენა, რომ აუცილებელია ჩვენთვის თავდასხმის პოლიტიკა (მოიგონეთ მარქსის სიტყვები), — ამაზე ყრილობა კრინტსაც არა სძრავს. ცხადია, მისთვის ამ საკითხებს მნიშვნელობა არ ჰქონია.

ფაქტები გვეუბნებიან: შეიარაღდით და რაც შეიძლება გააძლიერეთ წითელი რაზმების საქმეო. ყრილობა კი გვიპასუხებს: ნურც ეგრე გატაცებით მოჰკიდებთ ხელს შეიარაღებას და წითელ რაზმებს, «შეზღუდეთ» ამ მხრივ თქვენი მოქმედება, რადგანაც თავიდათავი საქმე აგიტაციააო.

კაცი იფიქრებს, რომ დღემდის ვითომ ბევრი გვიზრუნია შეიარაღებაზე, აუარებელი ამხანაგი შეგვიიარაღებია, ძალიან ბევრი რაზმები მოგვიწყვია, აგიტაციისთვის კი თავი მიგვინებებია, — და აი, ყრილობა გვარიგებს: კმარა შეიარაღება, გეყოფათ ამაზე ზრუნვა, უმთავრესი მიზანი აგიტაციააო!

რა თქმა უნდა, პარტიის ერთი უმთავრესი იარაღთაგანი ყველგან და ყოველთვის აგიტაციაა, მაგრამ განა აგიტაცია გადაჭრის მომავალი აჯანყების გამარჯვებას? ოთხი წლის წინათ რომ ეთქვა ეს ყრილობას, როცა აჯანყება დღის საკითხს არ შეადგენდა ჩვენთვის, მაშინ კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ დღეს, როცა შეიარაღებული აჯანყება კარზე მოგვდგომია, როცა აჯანყება დღის საკითხია ჩვენთვის, როცა ის ჩვენდაუნებურად და ჩვენი ნების წინააღმდეგ შეიძლება დაიწყოს, რა უნდა გააკეთოს «უმთავრესად აგიტაციამ», რა უნდა მოვასწროთ ამ «აგიტაციით»?

ანდა, ვთქვათ, აგიტაცია გავაფართოვეთ, ვთქვათ, ხალხი აღელდა, მერე? ვის უნდა შეებრძოლოს ის უიარაღოდ? არ კმარა, რაც უიარაღო ხალხის სისხლი დაიღვარა? ან რად უნდა ხალხს იარაღი, თუ მისი მოხმარება არ იცის, თუ საკმაოდ არ ეყოლება წითელი რაზმები? გვეტყვიან: ჩვენ უარს არ ვამბობთ შეიარაღებაზე და წითელ რაზმებზეო. დავუშვათ, მაგრამ როცა

შეიარაღების საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევთ, როცა მას კუთხეში მიგდებულად ჩასთვლით — ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად უარყოფთ მას.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ყრილობას კრინტიც არ დაუძრავს აჯანყების **მოწესრიგებაზე** და **თავდასხმის** პოლიტიკაზე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ყრილობის რეზოლუცია ოთხი-ხუთი წლით ჩამორჩა ცხოვრებას და მისთვის აჯანყება ჯერ კიდევ თეორიული საკითხია.

რას ამბობდნენ ყრილობაზე ამ საკითხის შესახებ ბოლშევიკები?

ისინი ამბობდნენ, რომ «...პარტიის საპროპაგანდო და საagიტაციო მუშაობაში **გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს** დეკემბრის აჯანყების პრაქტიკული გამოცდილების შესწავლას, მის სამხედრო კრიტიკას და უშუალო გაკვეთილების გამოტანას მომავლისთვის», რომ «საჭიროა **უფრო მეტი ენერგიით ვიმოქმედოთ** მებრძოლი რაზმების გასამრავლებლად, მათი ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და ყოველგვარი იარაღით მოსამარაგებლად, ამასთან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, უნდა მოეწყოს არა მარტო პარტიული მებრძოლი რაზმები, არამედ პარტიის თანამგრძნობი და სრულიად უპარტიო რაზმებიც...», რომ «რადგანაც ძლიერდება გლეხთა მოძრაობა, რომელიც შეიძლება ახლო მომავალში მთელ აჯანყებად იქცეს, სასურველია ძალღონე მოვანდომოთ **მუშებისა და გლეხების მოქმედების გაერთიანებას შეძლებისამებრ გაერთიანებული და ერთდროული საბრძოლო გამოსვლების მოსაწყობად...»**, რომ, მაშასადამე, «ახალი პოლიტიკური კრიზისის ზრდისა და გამწვავების გამო შესაძლებელი ხდება **გადასვლა შეიარაღებული ბრძოლის თავდაცვის ფორმიდან თავდასხმის ფორმებზე...»**, რომ საჭიროა სალდათებთან ერთად «...**უაღრესად გაბედული თავდასხმითი მოქმედება მთავრობის წინააღმდეგ...**» და სხვ. (იხ. ბოლშევიკების რეზოლუცია).

ასე ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები.

მაგრამ ყრილობამ უარყო ბოლშევიკების პოზიცია.

ამის შემდეგ ძნელი გასაგები არაა, თუ რატომ შეხვდნენ ასეთი სიხარულით ლიბერალი-კადეტები ყრილობის რეზოლუციებს (იხ. «Наша Жизнь» № 432): ისინი მიხვდნენ, რომ **ეს რეზოლუციები** რამდენიმე წლით ჩამორჩა მიმდინარე რევოლუციას, რომ ეს რეზოლუციები სრულებით ვერ გამოხატავენ პროლეტარიატის კლასობრივ მიზანს, რომ **ამ რეზოლუციების** ძალით პროლეტარიატი ლიბერალების კუდად უფრო გადაიქცევა, ვიდრე დამოუკიდებელ ძალად,—მიხვდნენ ყოველივე ამას და ამიტომ არის, რომ ქება-დიდებას ასხამენ მათ.

პარტიული ამხანაგების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კრიტიკულად მოეკიდონ ყრილობის რეზოლუციებს და თავის დროზე შეიტანონ მათში შესაფერი შესწორებანი.

ჩვენ სწორედ ეს ამოცანა გვქონდა მხედველობაში, როცა ამ ბროშურის წერას შევუდექით.

მართალია, ჩვენ აქ ორი რეზოლუციის მეტს არ შევხებივართ: «სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ» და «შეიარაღებული აჯანყების შესახებ», მაგრამ უეჭველია, რომ ეს ორი რეზოლუცია უმთავრესი რეზოლუციებია, სადაც ყველაზე მკაფიოდ გამოითქვა ყრილობის ტაქტიკური პოზიცია.

ამრიგად ჩვენ მთავარ დასკვნამდე მივედით, რომ პარტიაში ასე ყოფილა დაყენებული საკითხი: **მეთაურობას უნდა ეწეოდეს შეგნებული პროლეტარიატი დღევანდელ რევოლუციაში, თუ ბურჟუაზიულ დემოკრატებს უნდა მიჰჩანჩალებდეს უკან?**

ჩვენ ვნახეთ, რომ ამ საკითხის ასეთ თუ ისეთ გადაჭრაზე ყოფილა დამოკიდებული სხვა დანარჩენი საკითხების გადაჭრა.

მით უფრო გულდასმით უნდა ასწონონ ამხანაგებმა ამ ორი პოზიციის ავკარგიანობა.

იბეჭდება გამომცემლობა «პროლეტარიატის»
მიერ 1906 წელს გამოშვებული
ბროშურის ტექსტის მიხედვით.

ხელმოწერა: ამხანაგი კ.

კლასთა ბრძოლა

ბურჟუაზიის კავშირს მხოლოდ პროლეტარიატის კავშირი შეარყევს.

კ. მარქსი

მეტისმეტად რთულია დღევანდელი ცხოვრება! ის თავიდან ბოლომდე აჭრელებულია სხვადასხვა კლასებით და ჯგუფებით: მსხვილი, საშუალო და წვრილი ბურჟუაზია; მსხვილი, საშუალო და წვრილი ფეოდალები; ქარგლები, შავი მუშები და ფაბრიკა-ქარხნის დახელოვნებული მუშები; უმაღლესი, საშუალო და წვრილი სამღვდელოება; უმაღლესი, საშუალო და წვრილი ბიუროკრატია; მრავალფეროვანი ინტელიგენცია და სხვა ამგვარი ჯგუფები—აი რა ჭრელ სურათს წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება!

მაგრამ, ცხადია აგრეთვე ის, რომ რაც უფრო ვითარდება ცხოვრება, მით უფრო ნათლად ირკვევა ამ რთულ ცხოვრებაში ორი მთავარი მიდრეკილება, მით უფრო მკაცრად იყოფა ეს რთული ცხოვრება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად—კაპიტალისტების ბანაკად და პროლეტარების ბანაკად. იანვრის ეკონომიურმა გაფიცვებმა (1905 წ.) ნათლად დაგვანახა, რომ რუსეთი, მართლაც, ორ ბანაკად იყოფა. ნოემბრის გაფიცვებმა პეტერბურგში (1905 წ.) და ივნის-ივლისის გაფიცვებმა მთელ რუსეთში (1906 წ.) ერთმანეთს შეაჯახეს ორი ბანაკის ორი მეთაური და ამით სამუდამოდ ნათელყვეს კლასთა დღევანდელი წინააღმდეგობა. მას შემდეგ კაპიტალისტების ბანაკს აღარ დასძინებია, ამ ბანაკში ცხარე და დაუდგრომელი მზადებაა: იქმნება კაპიტალისტების ადგილობრივი კავშირები, ადგილობრივი კავშირები

გრთდება საოლქო კავშირებად, საოლქო კავშირები—მთელი რუსეთის კავშირად; არსდება სალაროები და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, იწვევენ მთელი რუსეთის კაპიტალისტების ყრილობებსა და კონფერენციებს...

ამგვარად, კაპიტალისტები ცალკე კლასად ირაზმებიან პროლეტარიატის ასალაგმავად.

მეორე მხრივ, არც პროლეტარების ბანაკს სძინავს. აქაც გახურებული მზადებაა მომავალი ბრძოლისთვის. მიუხედავად რეაქციის დევნისა, აქაც არსდება ადგილობრივი პროფესიული კავშირები, ადგილობრივი კავშირები საოლქო კავშირებად ერთდება, არსდება პროფესიული სალაროები, იზრდება პროფესიული პრესა, იწვევენ მთელი რუსეთის მუშათა კავშირების ყრილობებსა და კონფერენციებს...

როგორც სჩანს, პროლეტარებიც ცალკე კლასად ირაზმებიან ექსპლოატაციის ასალაგმავად.

დრო იყო, როცა ცხოვრებაში «სიწყნარე და მყუდროება» მეფობდა. მაშინ არც ეს კლასები სჩანდა მათი კლასობრივი ორგანიზაციებით. რა თქმა უნდა, ბრძოლა მაშინაც სწარმოებდა, მაგრამ ამ ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, და არა საერთო-კლასობრივი: კაპიტალისტებს არ ჰქონდათ თავისი კავშირები, და თვითეული მათგანი იძულებული იყო საკუთარი ძალღონით დახვედროდა «თავის» მუშებს; არ ჰქონდათ ამისთანა კავშირები არც მუშებს, და, მაშასადამე, თვითეული ქარხნის მუშები იძულებული იყვნენ თავიანთ ძალღონეს დანდობოდნენ. მართალია, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობას უწევდნენ მუშათა ეკონომიურ ბრძოლას, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს ხელმძღვანელობა სუსტი და შემთხვევითი იყო: სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები პარტიულ საქმეებსაც ვერ ასდიოდნენ.

იანვრის ეკონომიური გაფიცვები შემობრუნების პუნქტი აღმოჩნდა. კაპიტალისტები დაფაცურდნენ და ადგილობრივი კავშირების შედგენა დაიწყეს. პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის,

რიგის და სხვა ქალაქთა კაპიტალისტების კავშირები იანვრის გაფიცვებმა გამოიწვია. რაც შეეხება ნავთის, შავი ქვის, ქვანახშირისა და შაქრის წარმოების კაპიტალისტებს, ამათ თავიანთი ძველი და «მშვიდობიანი» კავშირები «ბრძოლის» კავშირებად გადააქციეს და პოზიციების გამაგრებას შეუდგნენ. მაგრამ კაპიტალისტებმა ეს არ იკმარეს. მათ მთელი რუსეთის კავშირის შედგენა მოინდომეს და, აი, 1905 წლის მარტში, მოროზოვის თაოსნობით, საერთო ყრილობაზე შეიკრიბნენ მოსკოვში. ეს პირველი ყრილობა იყო მთელი რუსეთის კაპიტალისტებისა. აქ მათ ხელშეკრულება დასდეს, რომლის ძალითაც ისინი ვალდებული ხდებიან უერთმანეთოდ აღარ დაუთმონ მუშებს და «უკიდურეს» შემთხვევაში **ლოკაუტი** * გამოუცხადონ მათ. აქედან იწყება კაპიტალისტების სასტიკი ბრძოლა პროლეტარებთან. აქედან იწყება ხანა რუსეთის დიდი ლოკაუტებისა. სერიოზულ ბრძოლას სერიოზული კავშირი უნდა, და, აი, კაპიტალისტებმა გადაწყვიტეს, — ერთხელ კიდევ შეკრებილიყვნენ უფრო მჭიდრო კავშირის შესადგენად. ამგვარად, მოსკოვში, პირველი ყრილობიდან (1905 წლის ივლისში) სამი თვის შემდეგ, მოწვეულ იქნა მთელი რუსეთის კაპიტალისტების მეორე ყრილობა. აქ მათ ერთხელ კიდევ დაადასტურეს პირველი ყრილობის რეზოლუციები, ერთხელ კიდევ აღიარეს ლოკაუტის საჭიროება და აირჩიეს ბიურო, რომელსაც წესდება უნდა შეემუშავებინა და ახალი ყრილობის მოწვევაზე ეზრუნა. ამასობაში ყრილობების რეზოლუციები სისრულეში მოჰყავდათ. ფაქტებმა დაგვანახეს, რომ კაპიტალისტები ზედმიწევნით ასრულებენ ამ რეზოლუციებს. თუ გაიხსენებთ რიგის, ვარშავის, ოდესის, მოსკოვისა და სხვა დიდი ქალაქების კაპიტალისტების ლოკაუტებს, თუ გაიხსენებთ ნოემბრის დღეებს პეტერბურგში, როცა 72 კაპიტალისტი სასტიკი

---

* **ლოკაუტი** — ეს მეპატრონეების გაფიცვაა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მეპატრონეები განზრახ კეტავენ ქარხნებს მუშების წელში გასატეხად და მათი მოთხოვნების გასაბათილებლად.

ლოკაუტით დაემუქრა 200 000 პეტერბურგელ მუშას, — ადვილად მიხვდებით, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს კაპიტალისტების მთელი რუსეთის კავშირი და როგორ ზედმიწევნით ასრულებენ ისინი ამ კავშირის დადგენილებას. შემდეგ, მეორე ყრილობის მერე, ერთი ყრილობა კიდევ მოაწყეს კაპიტალისტებმა (1906 წლის იანვარში) და, ბოლოს, ამ წლის აპრილში უკვე დამფუძნებელი ყრილობა მოხდა სრულიად რუსეთის კაპიტალისტებისა, სადაც საერთო წესდება მიიღეს და ცენტრალური ბიურო აირჩიეს. როგორც გაზეთებმა გვაცნობეს, ეს წესდება უკვე დაუმტკიცებია მთავრობას.

ამგვარად, ეჭვს გარეშეა, რომ უკვე ცალკე კლასადაა დარაზმული რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია, მას აქვს თავისი ადგილობრივი, საოლქო და ცენტრალური ორგანიზაციები და შეუძლია ერთ გეგმაზე აამოძრაოს მთელი რუსეთის კაპიტალისტები.

ხელფასის დაწევა, სამუშაო დღის გადიდება, პროლეტარიატის წელში გატეხა და მისი ორგანიზაციების დანგრევა, — ასეთია მიზანი კაპიტალისტების საერთო კავშირისა.

ამავე დროს იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა პროფესიული მოძრაობა. იანვრის ეკონომიურმა გაფიცვებმა (1905 წ.) აქაც თავისი გავლენა იქონია. მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, მისი მოთხოვნილებანი გაფართოვდა, და თანდათან გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ერთ და იმავე დროს პარტიულ საქმეებსაც გაუძღვნენ და პროფესიულსაც. საჭირო იყო ერთგვარი შრომის განაწილება პარტიასა და პროფესიულ კავშირებს შორის. საჭირო იყო პარტიულ საქმეებს პარტიული ორგანიზაციები ჩასდგომოდა სათავეში და პროფესიულს — პროფესიული კავშირები. და აი, დაიწყო კავშირების შედგენა. მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში, ოდესაში, რიგაში, ხარკოვში, თბილისში — ყველგან კავშირები არსდებოდა. მართალია, რეაქცია ხელს უშლიდა, მაგრამ მოძრაობის საჭიროებას მაინც თავისი გაჰქონდა და კავ-

შირები მრავლდებოდა. ჩქარა ადგილობრივ კავშირებს საოლქო კავშირებიც მოჰყვა და, ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ წარსული წლის სექტემბერში მოწვეულ იქნა კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია. ეს პირველი კონფერენცია იყო მუშათა კავშირებისა. ამ კონფერენციას, სხვათა შორის, ის ნაყოფი მოჰყვა, რომ მან ერთმანეთს დაუახლოვა სხვადასხვა ქალაქების კავშირები და, ბოლოს, ცენტრალური ბიურო აირჩია, რომელსაც ნიადაგი უნდა მოემზადებინა კავშირების საყოველთაო ყრილობისთვის. დადგა ოქტომბრის დღეები, — და ერთიორად გაძლიერდა პროფესიული კავშირები. ადგილობრივი და, ბოლოს, საოლქო კავშირები დღითი-დღე იზრდებოდა. მართალია, «დეკემბრის დამარცხებამ» შესამჩნევად შეაფერხა კავშირების საქმე, მაგრამ შემდეგ ისევ წელში გაიმართა პროფესიული მოძრაობა, და საქმე იმდენად გაიჩარხა, რომ ამ წლის თებერვალში მოწვეულ იქნა კავშირების მეორე კონფერენცია, გაცილებით უფრო ფართო და სრული, ვიდრე პირველი კონფერენცია. კონფერენციამ საჭიროდ სცნო ადგილობრივი, საოლქო და სრულიად რუსეთის ცენტრები, აირჩია «ორგანიზაციული კომისია» მომავალი სრულიად რუსეთის ყრილობის მოსაწვევად და შესაფერი რეზოლუციები გამოიტანა პროფესიული მოძრაობის საჭირბოროტო საკითხებზე.

ამგვარად, ეჭვს გარეშეა, რომ, მიუხედავად რეაქციის მძვინვარებისა, პროლეტარიატიც ცალკე კლასად ირაზმება, ის დაუდგრომლად ამაგრებს თავის ადგილობრივ, საოლქო და ცენტრალურ პროფესიულ ორგანიზაციებს და დაუდგრომლადვე ცდილობს კაპიტალისტების წინააღმდეგ დარაზმოს თავისი ურიცხვი მოძმენი.

ხელფასის ზომატება, სამუშაო დღის შემოკლება, შრომის პირობების გაუმჯობესება, ექსპლოატაციის ალაგმვა და კაპიტალისტური კავშირების დაუძლურება, — ასეთია მიზანი მუშათა პროფესიული კავშირებისა.

ასე იყოფა თანამედროვე საზოგადოება ორ დიდ ბანაკად, ორივე ბანაკი ცალკე კლასებად ირაზმება, მათ შორის ატეხილი კლასობრივი ბრძოლა დღითი-დღე ღრმავდება და ძლიერდება და ამ ორი ბანაკის გარშემო იყრის თავს ყველა დანარჩენი ჯგუფი.

მარქსი ამბობდა, რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დღეს პროლეტარები და კაპიტალისტები ეკონომიურად ებრძვიან ერთმანეთს, ხვალ ისინი იძულებული იქნებიან პოლიტიკურადაც იბრძოლონ და ასე, ორნაირი ბრძოლით დაიცვან თავიანთი კლასობრივი ინტერესები. კაპიტალისტებს აქვთ თავიანთი კერძო პროფესიული ინტერესები. სწორედ ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად არსებობს მათი ეკონომიური ორგანიზაციები. მაგრამ, კერძო პროფესიულ ინტერესებს გარდა, მათ აქვთ კიდევ საერთო-კლასობრივი ინტერესები, რომლებიც კაპიტალიზმის გამაგრებაში გამოიხატება. სწორედ ამ საერთო ინტერესებისთვის ესაჭიროებათ მათ პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური პარტია. რუსეთის კაპიტალისტებმა ძალიან უბრალოდ გადაჭრეს ეს საკითხი: მათ ნახეს, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც «პირდაპირ და უშიშრად» იცავს მათს ინტერესებს — ეს **ოქტიაბრისტების პარტიაა,** ამიტომ მათ გადაწყვიტეს — ამ პარტიის გარშემო მოეყარათ თავი და მის იდეურ ხელმძღვანელობას დამორჩილებოდნენ. მას შემდეგ ამ პარტიის იდეური მეთაურობით ეწევიან კაპიტალისტები თავიანთ პოლიტიკურ ბრძოლას, მისი შემწეობით ახდენენ გავლენას დღევანდელ მთავრობაზე (რომელიც მუშათა კავშირებს ხურავს და, სამაგიეროდ, გაფაციცებით ამტკიცებს კაპიტალისტების კავშირებს), მისი კანდიდატები გაჰყავთ სათათბიროში და სხვ. და სხვ.

ამგვარად, ეკონომიური ბრძოლა კავშირების შემწეობით, საერთო პოლიტიკური ბრძოლა ოქტიაბრისტთა პარტიის იდეური ხელმძღვანელობით, — აი რა სახეს იღებს დღეს მსხვილი ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლა.

მეორე მხრივ, ასეთსავე მოვლენას ვხედავთ დღეს პროლეტარიატის კლასობრივ მოძრაობაში. პროლეტართა პროფესიული ინტერესებისთვის პროფესიული კავშირები ეწყობა, რომლებიც იბრძვიან ხელფასის მომატებისთვის, სამუშაო დღის შემცირებისთვის და სხვ. მაგრამ, პროფესიულ ინტერესებს გარდა, მათ აქვთ კიდევ საერთო კლასობრივი ინტერესები, რომლებიც სოციალისტურ რევოლუციაში და სოციალიზმის დამყარებაში გამოიხატება. სოციალისტური რევოლუციის მოხდენა კი შეუძლებელია მანამდე, სანამ პოლიტიკურად არ გაბატონდება პროლეტარიატი, როგორც ერთი და განუყოფელი კლასი. აი, სწორედ აქაა საჭირო პროლეტარიატისთვის პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური პარტია, რომელიც იდეურ ხელმძღვანელობას გაუწევს მის პოლიტიკურ მოძრაობას. რა თქმა უნდა, მუშათა კავშირები მეტნაწილად უპარტიო და ნეიტრალურია. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი დამოუკიდებელნი არიან პარტიისგან მარტო ფინანსიურად და ორგანიზაციულად, ე. ი. მათ აქვთ საკუთარი სალაროები, ჰყავთ საკუთარი ხელმძღვანელი ორგანოები, აწყობენ საკუთარ ყრილობებს და ფორმალურად ვალდებული არ არიან დაემორჩილონ პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილებას. რაც შეეხება პროფკავშირების **იდეურ** დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისგან, ასეთი დამოკიდებულება აუცილებლად უნდა არსებობდეს, და არც შეიძლება არ არსებობდეს, სხვა არა იყოს რა, იმიტომ მაინც, რომ კავშირებში შედიან სხვადასხვა პარტიის წევრები, რომლებიც აუცილებლად შეიტანენ იქ თავიანთ პოლიტიკურ რწმენას. ცხადია, თუ პროლეტარიატი ვერ ასცდება პოლიტიკურ ბრძოლას, ის ვერ ასცდება ვერც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის იდეურ ხელმძღვანელობას. უფრო მეტი, ის თვითონვე უნდა ეძებდეს ისეთ პარტიას, რომელიც ღირსეულად წაუძღვება მის კავშირებს «აღთქმული ქვეყნისკენ», სოციალიზმისკენ. აი აქ უნდა მოიქცეს პროლეტარიატი გულხმიერად და წინდახედულად. მან გულდასმით უნდა გადაათვალიეროს

პოლიტიკური პარტიების იდეური ავლადიდება და თავისუფლად გაჰყვეს ისეთი პარტიის იდეურ ხელმძღვანელობას, რომელიც მამაცად და დაურიდებლად დაიცავს მის კლასობრივ ინტერესებს, მაღლა დაიჭერს პროლეტარიატის წითელ დროშას და თამამად გაუძღვება მას პროლეტარიატის პოლიტიკური გაბატონებისკენ, სოციალისტური რევოლუციისკენ.

დღემდის ასეთ როლს **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია** ასრულებს და, მაშასადამე, პროფესიული კავშირების ამოცანაა მის იდეურ ხელმძღვანელობას გაჰყვნენ.

როგორც ვიცით, ეს ასეც ხდება სინამდვილეში.

ამგვარად, ეკონომიური შეჯახებანი პროფესიული კავშირების შემწეობით, პოლიტიკური იერიშები სოციალ-დემოკრატიის იდეური ხელმძღვანელობით, — აი რა სახე მიიღო დღეს პროლეტარიატის კლასობრივმა ბრძოლამ.

ეჭვი არ არის, რომ კლასთა ბრძოლა უფრო და უფრო გაჩაღდება. პროლეტარიატის ამოცანაა წესრიგი და ორგანიზაციული სული შეიტანოს თავის ბრძოლაში. ამისთვის კი საჭიროა კავშირების გაძლიერება და მათი ერთმანეთზე გადაჯაჭვა, რასაც დიდ სამსახურს გაუწევდა მთელი რუსეთის კავშირთა ყრილობა. «მუშათა უპარტიო ყრილობა» კი არა, მუშების პროფესიულ კავშირთა ყრილობაა დღეს საჭირო, რომ პროლეტარიატი ერთ და განუყოფელ კლასად დაირაზმოს. ამავე დროს პროლეტარიატი ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილობდეს გაამაგროს და გააძლიეროს ის პარტია, რომელიც იდეურ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევს მის კლასობრივ ბრძოლას.

გაზეთი «ახალი დროება»[79] № 1,
1906 წლის 14 ნოემბერი.

ხელმოწერა: კ ო...

«საფაბრიკო კანონმდებლობა» და პროლეტარული ბრძოლა

(15 ნოემბრის ორი კანონის გამო

დრო იყო, როცა ჩვენი მუშათა მოძრაობა პირველ საფეხურებზე იდგა. მაშინ პროლეტარიატი ცალკე ჯგუფებად იყო დანაწილებული და საერთო ბრძოლაზე არ ფიქრობდა. რკინიგზის მუშები, მთა-მადნის მუშები, ფაბრიკა-ქარხნის მუშები, ხელოსნები, ნოქრები, კანტორის მოსამსახურეები, — აი რა ჯგუფებად იყო დაჭუცმაცებული რუსეთის პროლეტარიატი. გარდა ამისა, თვითეული ჯგუფი, თავის მხრივ, დანაწილებული იყო სხვადასხვა ქალაქებისა და დაბების მუშებად, რომელთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, არც პარტიული, არც პროფესიული. ამგვარად, არ სჩანდა პროლეტარიატი, როგორც ერთი და განუყოფელი კლასი. მაშასადამე, არ სჩანდა არც პროლეტარული ბრძოლა, როგორც საერთო-კლასობრივი იერიში. ამიტომ იყო, რომ მეფის მთავრობა არხეინად განაგრძობდა თავის «მამაპაპურ» პოლიტიკას. ამიტომ იყო, რომ 1893 წელს, როცა სახელმწიფო საბჭოს წარუდგინეს «მუშათა დაზღვევის პროექტი», რეაქციის სულისჩამდგმელი პობედონოსცევი სიცილით მიეგება პროექტის ავტორებს და რიხიანად უპასუხა: «ბატონებო, ტყუილად შეგიწუხებიათ თავი, შეგიძლიათ დამშვიდდეთ: **ჩვენში მუშათა საკითხი არ არსებობს...**»

მაგრამ დრო მიდიოდა, ეკონომიური კრიზისი ახლოვდებოდა, გაფიცვები ხშირდებოდა, და დაჭუცმაცებული პროლეტარიატი თანდათან ერთ კლასად ირაზმებოდა. ჯერ კიდევ 1903 წლის გაფიცვებმა გამოააშკარავა, რომ «ჩვენში» დიდი ხანია «არსებობს მუშათა საკითხი». 1905 წლის იანვარ-თებერვლის

გაფიცვებმა პირველად ამცნო ქვეყანას, რომ რუსეთში მწიფდება და ვაჭკაცდება პროლეტარიატი, როგორც ერთიანი კლასი. პოლოს, ოქტომბერ-დეკემბრის საერთო გაფიცვებმა 1905 წელს და ივნის-ივლისის «მორიგმა» გაფიცვებმა 1906 წელს ფაქტიურად დაუახლოვა ერთმანეთს სხვადასხვა ქალაქის პროლეტარები, ფაქტიურად შეადუღა ერთ კლასად ნოქარ-მოსამსახურენი, ხელოსნები, სამრეწველო მუშები, — და მით ხმამაღლა ამცნო ქვეყანას, რომ ოდესღაც დაქუცმაცებული პროლეტარიატის ძალები დღეს უკვე შეერთების გზას დასდგომია და ერთ კლასად ირაზმება. აქ იჩინა აგრეთვე თავი საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ, როგორც საერთო პროლეტარულმა ბრძოლამ წინააღმდეგ დღევანდელი წესებისა... ახლა კი შეუძლებელი იყო «მუშათა საკითხის» ჭარყოფა, აქ უკვე იძულებული იყო მეფის მთავრობა ანგარიში გაეწია მოძრაობისთვის. და აი, დაიწყო რეაქციონერთა კაბინეტებში სხვადასხვა კომისიების, პროექტებისა და «საფაბრიკო კანონების» შედგენა: შიდლოვსკის [80] კომისია, კოკოვცევის [81] კომისია, კავშირების კანონი[82] (იხ. 17 ოქტომბრის «მანიფესტი»), ვიტე-დურნოვოს[83] ცირკულარები, სხვადასხვა პროექტები და გეგმები და, ბოლოს, 15 ნოემბრის ორი კანონი ხელოსნებისა და ნოქარ-მოსამსახურეების შესახებ.

სანამ მოძრაობა უსუსური იყო, სანამ ის მასობრივ ხასიათს მიიღებდა, რეაქცია მხოლოდ ერთ საშუალებას ხმარობდა პროლეტარიატის წინააღმდეგ: ეს საშუალება იყო ციხე, ციმბირი, მათრახი და სახრჩობელა. რეაქციას ყველგან და ყოველთვის ერთი მიზანი აქვს: გაყოს პროლეტარიატი პატარა ჯგუფებად, წელში გასტეხოს მისი მოწინავე ნაწილი, შეაშინოს და მიიმხროს ნეიტრალური მასა და ამგვარად არევდარევა მოახდინოს პროლეტარიატის ბანაკში. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ მიზანს ჩინებულად აღწევდა ის მათრახებითა და ციხეებით.

მაგრამ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე, როცა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ახლა მარტო «მოთავეებთან» აღარ ჰქონდა საქმე რეაქციას, — მის წინ უთვალავი მასა იდგა

თავისი რევოლუციური სიდიადით. და მას ანგარიში უნდა გაეწია სწორედ ამ მასისთვის. მასას კი ვერ დააბრჩობ და ვერც გააციმბირებ, მას ციხეებში ვერ მოათავსებ. მისი გამათრახება კი ყოველთვის ხელსაყრელი არაა რეაქციისთვის, რომელსაც დიდი ხანია შეერყა ნიადაგი. ცხადია, ძველ საშუალებასთან ერთად საჭირო იყო ახალი საშუალება, «უფრო კულტურული» საშუალება, რომელიც, რეაქციის აზრით, უთანხმოებას გაზრდიდა პროლეტარიატის ბანაკში, ტყუილ იმედებს აღუძრავდა მუშათა ჩამორჩენილ ნაწილს, ბრძოლაზე ხელს ააღებინებდა მას და მთავრობის გარშემო შემოკრებდა.

სწორედ ეს ახალი საშუალებაა «საფაბრიკო კანონმდებლობა».

ამგვარად, მეფის მთავრობა ხელს არ უშვებს ძველ საშუალებას, მაგრამ ამავე დროს მას უნდა «საფაბრიკო კანონმდებლობაც» მოიშველიოს და ასე, მათრახითა და კანონით გადაჭრას «მუშათა საჭირბოროტო საკითხი». მას უნდა სხვადასხვანაირი დაპირებით სამუშაო დღის შემცირებაზე, ბავშვთა და ქალთა შრომის დაცვაზე, ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაზე, მუშათა დაზღვევაზე, ჯარიმის მოსპობაზე და სხვა ამგვარ სიკეთეზე, ნდობა მოიპოვოს მუშათა ჩამორჩენილ ნაწილში და მით სამარე გაუთხაროს პროლეტარიატის კლასობრივ მთლიანობას. მეფის მთავრობამ კარგად იცის, რომ მისი ამგვარი «მოღვაწეობა» იმდენად არადროს არ იქნება მისთვის საჭირო, როგორც ახლა, დღევანდელ მომენტში, როცა ოქტომბრის საერთო გაფიცვამ ერთმანეთს შეაუღლა სხვადასხვა დარგის პროლეტარები და ძირი შეურყია რეაქციას, როცა მომავალი საერთო გაფიცვა შეიძლება შეიარაღებულ ბრძოლად გადაიქცეს და დასცეს ძველი წესები, როცა, მაშასადამე, ჰაერზე უფრო საჭიროა რეაქციისთვის მუშათა ბანაკის არევდარევა, ჩამორჩენილი მუშების ნდობის მოპოვება და მათი მიმხრობა.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ 15 ნოემბრის კანონებში რეაქციამ მხოლოდ **ნოქარ-მოსამსახურეებსა და ხელოსნებს** მიმართა თავისი მოწყალე თვალით, და ეს იმ

დროს, როცა ის ციხეებში და სახრჩობელაზე გზავნის **სამრეწველო** პროლეტარიატის საუკეთესო შვილებს. ეს არც საკვირველია, თუ საქმეს ჩავუკვირდებით. ჯერ ერთი, ნოქრები, ხელოსნები და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურენი სამრეწველო მუშებივით შექუჩებულნი არ არიან დიდ ფაბრიკა-ქარხნებში, ისინი გაფანტულად შრომობენ სხვადასხვა წვრილ დაწესებულებებში, შედარებით უფრო ჩამორჩენილნი არიან შეგნების მხრივ და, მაშასადამე, მათი მოტყუება უფრო ადვილია, ვიდრე სხვების. მეორე, ნოქარ-მოსამსახურენი და ხელოსნები პროლეტარიატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ დღევანდელ რუსეთში, და, მაშასადამე, მათი ჩამოშორება მებრძოლი პროლეტარებისგან შესამჩნევად შეასუსტებდა პროლეტარიატის ძალას როგორც დღევანდელ არჩევნებში, ისე მომავალ გალაშქრებაში. ბოლოს, ყველამ იცის, რომ დღევანდელი რევოლუციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას, ყველამ იცის, რომ სოციალ-დემოკრატიისთვის საჭიროა მისი გარევოლუციონერება პროლეტარიატის მეთაურობით, ვიცით აგრეთვე ის, რომ წვრილი ბურჟუაზიის მომხრობას ისე ვერავინ ვერ მოახერხებს, როგორც ხელოსნები და ნოქარ-მოსამსახურენი, რომლებიც სხვა პროლეტარებზე უფრო ახლო დგანან მასთან. ცხადია, ნოქარ-ხელოსნების ჩამოშორება წვრილ ბურჟუაზიასაც ჩამოაშორებს პროლეტარიატს და განმარტოებულად დატოვებს მას ქალაქად, რაც ასე ენატრება მეფის მთავრობას. ამის შემდეგ თავისთავად ცხადია, თუ რატომ გამოაცხო რეაქციამ 15 ნოემბრის კანონები მხოლოდ ხელოსნებისა და ნოქარ-მოსამსახურეებისათვის. რაც შეეხება სამრეწველო პროლეტარიატს, მას, სულ ერთია, მთავრობის აღარა სწამს-რა, მისთვის მეტია «საფაბრიკო კანონმდებლობა» და ისევ ტყვიები თუ მოარჯულებს. რასაც კანონი დააკლებს, ის ტყვიამ უნდა შეასრულოს!..

ასე ფიქრობს მეფის მთავრობა.

და ამნაირად ფიქრობს არა მარტო ჩვენი მთავრობა, არამედ ყოველი სხვა ანტიპროლეტარული მთავრობა — სულ ერთია,

ფეოდალურ-თვითმპყრობელური იქნება ეს მთავრობა, ბურჟუაზიულ-მონარქიული თუ ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური. ყველგან ტყვიითა და კანონით ებრძვიან პროლეტარიატს, და ყოველთვის ასე იქნება, სანამ სოციალისტური რევოლუცია არ იგრიალებს, სანამ სოციალიზმი არ დამყარდება. გაიხსენეთ 1824—25 წლები კონსტიტუციურ ინგლისში, როცა გაფიცვის თავისუფლების კანონს ამუშავებდნენ და იმავე დროს გაფიცული მუშებით ავსებდნენ ციხეებს; გაიხსენეთ რესპუბლიკური საფრანგეთი წარსული საუკუნის ორმოციან წლებში, როცა «საფაბრიკო კანონმდებლობაზე» ლაპარაკობდნენ და იმავე დროს მუშების სისხლით რწყავდნენ პარიზის ქუჩებს; გაიხსენეთ ყოველივე ეს და სხვა ამგვარი ურიცხვი ფაქტი და დაინახავთ, რომ ეს სწორედ ასეა.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამისთანა კანონებს პროლეტარიატი ვერ გამოიყენებს. მართალია, რეაქციას თავისი გეგმები აქვს, როცა ის «საფაბრიკო კანონებს» სცემს,— მას პროლეტარიატის ალაგმვა უნდა, მაგრამ მის გეგმებს ფეხდაფეხ ანგრევს ცხოვრება და მას ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის ეპარება კანონში პროლეტარიატისთვის სასარგებლო მუხლები. და ეს იმიტომ ხდება, რომ არც ერთი «საფაბრიკო კანონი» არ ჩნდება ცხოვრებაში უმიზეზოდ, უბრძოლოდ, არც ერთ «საფაბრიკო კანონს» არ სცემს მთავრობა მანამდე, სანამ მუშები არ გაიბრძოლებენ, სანამ აუცილებელი არ გახდება მათი მოთხოვნების შეწყნარება. ისტორია გვიჩვენებს, რომ თვითეულ «საფაბრიკო კანონს» წინ უსწრებს კერძო ან საერთო გაფიცვა. 1882 წლის ივნისის კანონს (ბავშვების მიღებაზე, მათ სამუშაო დროზე და საფაბრიკო ინსპექციის დაწესებაზე) წინ უსწრებდა იმავე წლის გაფიცვები ნარვაში, პერმში, პეტერბურგში და ჟირარდოვში. 1886 წლის ივნის-ოქტომბრის კანონები (ჯარიმაზე, ანგარიშსწორების წიგნაკებზე და სხვ.) პირდაპირი შედეგი იყო 1885—6 წლების გაფიცვებისა ცენტრალურ რაიონში. 1897 წლის ივნისის კანონს (სამუშაო დღის შემცირებაზე) წინ უსწრებდა 1895—6 წლების გაფიცვები პეტერბურგში. 1903

წლის კანონები («მეწარმეთა პასუხისმგებლობაზე» და «საფაბრიკო მამასახლისებზე») პირდაპირი შედეგი იყო ამავე წლის «სამხრეთის გაფიცვებისა». ბოლოს, 1906 წლის 15 ნოემბრის კანონები (ნოქარ-მოსამსახურეთა და ხელოსანთა სამუშაო დღის შემცირებაზე და კვირაობით დასვენებაზე) პირდაპირი შედეგია ამავე წლის ივნის-ივლისის გაფიცვებისა მთელ რუსეთში.

როგორც ხედავთ, თვითეულ «საფაბრიკო კანონს» წინ უსწრებდა მასის მოძრაობა, რომელსაც ასე თუ ისე თავისი მოთხოვნები გაჰყავდა, სავსებით თუ არა, რამდენადმე მაინც. აქედან თავისთავად ცხადია, რომ «საფაბრიკო კანონში», რაც უნდა ცუდი იყოს ის, რამდენიმე მუხლი მაინც იქნება გარეული, რომელსაც პროლეტარიატი გამოიყენებს თავისი ბრძოლის გასაძლიერებლად. მტკიცება არ უნდა, რომ მან ხელი უნდა მოკიდოს ამისთანა მუხლებს და იარაღად იხმაროს იმისთვის, რომ უფრო მეტად გააძლიეროს თავისი ორგანიზაციები და წინანდელზე უფრო გაახუროს პროლეტარული ბრძოლა, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისთვის. ტყუილად კი არ ამბობდა ბებელი: «ეშმაკს მისივე ხმლით უნდა მოსჭრა თავიო»...

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა 15 ნოემბრის ორივე კანონი: იქ, რა თქმა უნდა, ბევრი ცუდი მუხლია, მაგრამ არის იმისთანა მუხლებიც, რომლებიც მისდაუგნებლად შეუტანია რეაქციას და რომლებიც **შეგნებულად** უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა.

ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ორივე კანონს «შრომის დაცვის» კანონი ჰქვია, იქ ისეთი უმსგავსი მუხლებია შეტანილი, რომლებიც ძირიანად უარყოფს ყოველივე «შრომის დაცვას» და რომლებსაც ზოგან მეპატრონეებიც კი არ იკადრებენ. ორივე კანონი 12-საათიან სამუშაო დღეს აწესებს სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან უკვე მოსპობილია 12-საათიანი სამუშაო დღე და შემოღებულია 10 ან 8-საათიანი სამუშაო დღე; ორივე კანონი შესაწყნარებლად სცნობს ზედმეტ მუშაობას დღეში ორ საათს

(14-საათიანი სამუშაო დღე), 40 დღის განმავლობაში სავაჭრო დაწესებულებებში და 60 დღის განმავლობაში სახელოსნოებში, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველგან უარყოფილია ყოველივე ზედმეტი სამუშაო. ამავე დროს მეპატრონეებს უფლება აქვთ «მუშებთან შეთანხმებით», ე. ი. მუშებზე ძალდატანებით, 17 საათამდე გააგრძელონ ზედმეტი მუშაობა და სხვ. და სხვ. ამისთანები.

თქმა არ უნდა, რომ პროლეტარიატი ვერც ერთ მისხალს ვერ დაუთმობს მეპატრონეებს ერთხელ მოპოვებული უფლებებიდან, და ხსენებული კანონების ლათაიები სასაცილო ლათაიებადვე დარჩება.

მეორე მხრივ, არის იმისთანა მუხლებიც, რომლებსაც ჩინებულად გამოიყენებს პროლეტარიატი თავისი პოზიციების გასამაგრებლად. ორივე კანონი ამბობს, რომ იქ, სადაც 8 საათზე ნაკლებ არ გრძელდება დღიური მუშაობა, **მომუშავეს სადილისთვის 2 საათი ეძლევა,** დღეს კი, როგორც ცნობილია, ყველგან ვერ სარგებლობენ ხელოსნები და ნოქარ-მოსამსახურენი 2-საათიანი დასვენებით. ორივე კანონი ამბობს აგრეთვე, რომ **ჩვიდმეტ წლისაზე უმცროსებს უფლება ეძლევათ ამ ორ საათს გარდა კიდევ სამ საათს დააკლდნენ მაღაზიას ან სახელოსნოს ყოველდღე სკოლაში სასიარულოდ,** რაც, რა თქმა უნდა, დიდ შეღავათს მისცემს ჩვენს ახალგაზრდა ამხანაგებს...

თქმა არ უნდა, რომ პროლეტარიატი ღირსეულად გამოიყენებს 15 ნოემბრის კანონების ამგვარ მუხლებს, ღირსეულად გააძლიერებს თავის პროლეტარულ ბრძოლას და ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ ეშმაკს მისივე ხმლით უნდა მოკვეთო თავი.

გაზეთი «ახალი დროება» № 4,
1906 წლის 4 დეკემბერი.

ხელმოწერა: კ ო...

ანარქიზმი თუ სოციალიზმი?[84]

დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დედაბოძი კლასთა ბრძოლაა. ბრძოლის დროს კი თვითეული კლასი თავისი იდეოლოგიით ხელმძღვანელობს. ბურჟუაზიას აქვს თავისი იდეოლოგია — ეს ეგრეთწოდებული **ლიბერალიზმია.** აქვს თავისი იდეოლოგია პროლეტარიატსაც — ეს, როგორც იცით, **სოციალიზმია.**

ლიბერალიზმი არ არის ერთი რამ მთელი და განუყოფელი: ის სხვადასხვა მიმართულებადაა დაყოფილი, თანახმად ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებისა.

არც სოციალიზმია მთელი და განუყოფელი — ისიც სხვადასხვა მიმდინარეობადაა დანაწილებული.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ლიბერალიზმის განხილვას, — ეს სჯობია სხვა დროისთვის გადავდოთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ სოციალიზმი და მისი მიმდინარეობანი გავაცნოთ მკითხველს. ჩვენი აზრით, ეს უფრო საინტერესო იქნება მისთვის.

სოციალიზმი კი სამ უმთავრეს მიმდინარეობად იყოფა: **რეფორმიზმად, ანარქიზმად** და **მარქსიზმად.**

რეფორმიზმი (ბერნშტეინი და სხვები), რომელსაც სოციალიზმი მხოლოდ შორეულ მიზნად მიაჩნია და მეტ არაფრად, რეფორმიზმი, რომელიც ფაქტიურად უარყოფს სოციალისტურ

რევოლუციას და მშვიდობიანი გზით ცდილობს სოციალიზმის დამყარებას, რეფორმიზმი, რომელიც კლასთა თანამშრომლობას ქადაგებს, და არა კლასთა ბრძოლას, — ეს რეფორმიზმი დღითი-დღე იხრწნება, დღითი-დღე კარგავს ყოველივე სოციალისტურ ნიშანწყალს, და, ჩვენი აზრით, აქ, ამ წერილებში მისი განხილვა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს სოციალიზმის გამოსარკვევად.

სულ სხვაა მარქსიზმი და ანარქიზმი: ესენი ორივე სოციალისტურ მიმდინარეობადაა დღეს მიჩნეული, ორივე სასტიკ ბრძოლას ეწევა ერთმანეთთან, ორივე ცდილობს ნამდვილ სოციალისტურ მოძღვრებად აჩვენოს თავისი თავი პროლეტარიატს, და, თქმა არ უნდა, რომ მათი განხილვა და ერთი-მეორესთან დაპირდაპირება გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა მკითხველისთვის.

ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირებს, რომლებიც სიტყვა «ანარქიზმის» ხსენებაზე ცხვირს მაღლა აიწევენ ხოლმე და ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკებენ: «ნეტავი თქვენ, რომ მოგიცლიათ, — ლაპარაკადაც არა ღირსო!» ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი იაფფასიანი «კრიტიკა» არც საკადრისია და არც სასარგებლო.

ჩვენ არც იმ პირებს ვეკუთვნით, რომლებიც თავს იმით ინუგეშებენ, რომ ანარქისტებს «მასა არ ჰყავთ და ამიტომ არც ისე სახიფათონი არიანო». საქმე იმაში არაა, ვის ბევრი «მასა» ჰყავს დღეს და ვის ცოტა, — საქმე მოძღვრების ავკარგიანობაშია. თუ ანარქისტების «მოძღვრება» სიმართლეს გამოხატავს, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ის უეჭველად გზას გაიკვლევს და მასას შემოიკრებს. ხოლო თუ ის უვარგისია და ყალბ ნიადაგზე აშენებული, დიდხანს ვერ იხეირებს და ჰაერში დაეკიდება. ანარქიზმის უვარგისობას კი დამტკიცება ესაჭიროება.

ზოგიერთების შეხედულებით მარქსიზმსა და ანარქიზმს ერთი და იგივე პრინციპები აქვთ, მათ შორის მხოლოდ ტაქტიკური უთანხმოებაა, — ასე რომ, მათი აზრით, პირდაპირ შეუძ-

ლებელია ამ ორი მიმდინარეობის ერთი-მეორესთან დაპირდაპირება.

მაგრამ ეს დიდი შეცდომაა.

ჩვენ გვწამს, რომ ანარქისტები მარქსიზმის ნამდვილი მტრები არიან. მაშასადამე, გვწამს აგრეთვე ის, რომ ნამდვილ მტრებთან ნამდვილი ბრძოლაა საჭირო. ამისთვის კი საჭიროა თავიდან ბოლომდე გადავხედოთ ანარქისტების «მოძღვრებას» და საფუძვლიანად ავწონ-დავწონოთ მისი ავკარგიანობა.

საქმე იმაშია, რომ მარქსიზმი და ანარქიზმი სრულიად სხვადასხვა პრინციპებზეა აშენებული, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სოციალისტური დროშით გამოდის ბრძოლის ველზე. ანარქიზმის ქვაკუთხედი **პიროვნებაა,** რომლის განთავისუფლება, მისი აზრით, უმთავრესი პირობაა მასის, კოლექტივის განთავისუფლებისა. ანარქიზმის აზრით, მასის განთავისუფლება შეუძლებელია მანამდე, სანამ პიროვნება არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: «ყველაფერი პიროვნებისთვის». მარქსიზმის ქვაკუთხედი კი **მასაა,** რომლის განთავისუფლება, მისი აზრით, უმთავრესი პირობაა პიროვნების განთავისუფლებისა, ე. ი. მარქსიზმის აზრით, პიროვნების განთავისუფლება შეუძლებელია მანამდე, სანამ მასა არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: «ყველაფერი მასისთვის».

ცხადია, აქ ორი ერთი-მეორის უარმყოფელი პრინციპია და არა მარტო ტაქტიკური უთანხმოება.

ჩვენი წერილების მიზანია — ერთმანეთს დაუპირდაპიროს ეს ორი მოწინააღმდეგე პრინციპი, ერთმანეთს შეადაროს მარქსიზმი და ანარქიზმი და მით ნათელყოს მათი ღირსება-ნაკლოვანება. ამასთანავე საჭიროდ ვცნობთ აქედანვე გავაცნოთ მკითხველს წერილების გეგმა.

ჩვენ დავიწყებთ მარქსიზმის დახასიათებით, შიგადაშიგ შევეხებით ანარქისტების შეხედულებას მარქსიზმზე და შემდეგ გადავალთ თვით ანარქიზმის კრიტიკაზე, სახელდობრ: დიალექტიკური მეთოდი, ანარქისტების შეხედულება ამ მეთოდზე და

ჩვენი კრიტიკა; მატერიალისტური თეორია, ანარქისტების შეხედულება და ჩვენი კრიტიკა (აქვე იქნება ლაპარაკი სოციალისტურ რევოლუციაზე, სოციალისტურ დიქტატურაზე, პროგრამა-მინიმუმზე და, საერთოდ, ტაქტიკაზე); ანარქისტების ფილოსოფია და ჩვენი კრიტიკა; ანარქისტების სოციალიზმი და ჩვენი კრიტიკა; ანარქისტების ტაქტიკა, ორგანიზაცია და შემდეგ ჩვენი დასკვნა.

ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ანარქისტები, როგორც პაწია თემთა სოციალიზმის მქადაგებელნი, არ არიან ნამდვილი სოციალისტები.

ვეცდებით აგრეთვე დავამტკიცოთ, რომ ანარქისტები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უარმყოფელნი, არც ნამდვილი რევოლუციონერები არიან...

მაშ, შევუდგეთ საქმეს.

I

დიალექტიკური მეთოდი

> ყველაფერი მოძრაობს ქვეყანაზე... იცვლება ცხოვრება, იზრდება საწარმოო ძალები, ინგრევა ძველი ურთიერთობანი.
>
> კ. მარქსი

მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია, — ის მთელი მსოფლმხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდება.

ცხადია, მარქსიზმის დასურათება — ეს იმავე დროს დიალექტიკური მატერიალიზმის დასურათება იქნება.

რატომ ჰქვია ამ სისტემას დიალექტიკური მატერიალიზმი?

იმიტომ, რომ მისი **მეთოდი** დიალექტიკურია, ხოლო მისი **თეორია** — მატერიალისტური.

რა არის დიალექტიკური მეთოდი?

ამბობენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება დაუდგრომელ მოძრაობასა და ზრდა-განვითარებაშია. და ეს მართალიც არის: ცხოვრება არ არის ერთი რამ მუდმივი და გაყინული, ის არასოდეს არ ჩერდება ერთ დონეზე, ის მუდმივ მოძრაობასა და ნგრევა-შენების მუდმივ პროცესშია. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს **ახალი** და **ძველი, მზარდი** და **მომაკვდავი,** რევოლუციური და კონტრრევოლუციური.

დიალექტიკური მეთოდი ამბობს, რომ ცხოვრება სწორედ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს. ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრება დაუდგრომელ მოძრაობაშია, მაშასადამე, ჩვენი ვალია — ცხოვრება მის მოძრაობაში განვიხილოთ და ვიკითხოთ: საით მიდის ცხოვრება? ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრება მუდმივს ნგრევა-შენებაშია, მაშასადამე, ჩვენი ვალია — ცხოვრება მის ნგრევა-შენებაში განვიხილოთ და ვიკითხოთ: რა ინგრევა და რა შენდება ცხოვრებაში?

ის, რაც ცხოვრებაში იბადება და დღითი-დღე იზრდება, — უძლეველია, მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია. ესე იგი, თუ, მაგალითად, პროლეტარიატი იბადება როგორც კლასი და დღითი-დღე იზრდება, რაც უნდა სუსტი და მცირერიცხოვანი იყოს ის **დღეს,** ბოლოს მაინც გაიმარჯვებს. რატომ? იმიტომ, რომ ის იზრდება, მატულობს და წინ მიდის. პირიქით, ის, რაც ცხოვრებაში ბერდება და სამარისკენ მიექანება, — აუცილებლად უნდა დამარცხდეს, თუნდაც რომ ის **დღეს** ბუმბერაზ ძალას წარმოადგენდეს. ესე იგი, თუ, მაგალითად, ბურჟუაზია თანდათან ნიადაგს კარგავს და ყოველდღიურად უკან მიდის, რაც უნდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყოს ის დღეს, ბოლოს მაინც დამარცხდება. რატომ? იმიტომ, რომ ის იშლება როგორც კლასი, ის სუსტდება, ბერდება და მეტი ბარგი ხდება ცხოვრებაში.

აქედან წარმოსდგა ცნობილი დიალექტიკური დებულება: ყოველივე ის, რაც ნამდვილად არსებობს, ე. ი. ყოველივე ის, რაც დღითი-დღე იზრდება, — გონიერია, ხოლო ყოველივე ის, რაც დღითი-დღე იშლება, — უგონოა და, მაშასადამე, დამარცხებას ვერ ასცდება.

მაგალითი. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დიდი კამათი ატყდა რუსეთის რევოლუციურ ინტელიგენციაში. ნაროდნიკები ამბობდნენ, რომ უმთავრესი ძალა, რომელსაც შეუძლია თავს იდოს «რუსეთის განთავისუფლება», — ეს სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაა. რატომ? — ეკითხებოდნენ მათ მარქსისტები. იმიტომ რომ, — ამბობდნენ ნაროდნიკები, — სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია დღეს უმეტესობას შეადგენს და, გარდა ამისა, ღარიბიც არის და სიღატაკეში ცხოვრობსო.

მარქსისტები უპასუხებდნენ: მართალია, სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია დღეს უმეტესობაა და ნამდვილად ღარიბიც არის, მაგრამ განა ამაშია საქმე? წვრილი ბურჟუაზია დიდი ხანია უმეტესობას შეადგენს, მაგრამ მას დღემდის პროლეტარიატის დაუხმარებლად არავითარი თაოსნობა არ გამოუჩენია «თავისუფლებისთვის» ბრძოლაში. რატომ? იმიტომ, რომ წვრილი ბურჟუაზია, როგორც კლასი, არ იზრდება, — პირიქით, ის დღითი-დღე იშლება და ბურჟუებად და პროლეტარებად იყოფა. მეორე მხრივ, თქმა არ უნდა, რომ არც სიღარიბეს აქვს აქ გადამჭრელი მნიშვნელობა: «ბოსიაკები» წვრილ ბურჟუაზიაზე ღარიბები არიან, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ისინი «რუსეთის განთავისუფლებას» იკისრებენ.

როგორც ხედავთ, საქმე იმაში არ ყოფილა, თუ რომელი კლასი წარმოადგენს დღეს უმეტესობას, ანდა რომელი კლასი უფრო ღარიბია, — არამედ იმაშია, თუ რომელი კლასი მაგრდება და რომელი იშლება.

და რადგანაც პროლეტარიატი ერთადერთი კლასია, რომელიც შეუჩერებლად იზრდება და მტკიცდება, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას წინ სწევს და თავის გარშემო იკრებს

ყველა რევოლუციურ ელემენტს, ჩვენი ვალია უმთავრეს ძალად ვაღიაროთ ის დღევანდელ მოძრაობაში, გვერდში ამოვუდგეთ მას და მისი მოწინავე სურვილები ჩვენ სურვილებად გავიხადოთ.

ასე უპასუხებდნენ მარქსისტები.

ცხადია, მარქსისტები დიალექტიკურად უყურებდნენ ცხოვრებას, მაშინ როდესაც ნაროდნიკები მეტაფიზიკურად მსჯელობდნენ, — მათ საზოგადოებრივი ცხოვრება ერთ წერტილზე გაყინულად ჰქონდათ წარმოდგენილი.

ასე უყურებს დიალექტიკური მეთოდი ცხოვრების მოძრაობას.

მაგრამ მოძრაობაც არის და მოძრაობაც. საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობა იყო «დეკემბრის დღეებში», როცა წელში გამართული პროლეტარიატი იარაღის საწყობებს ეცემოდა და იერიშით მიდიოდა რეაქციის წინააღმდეგ. მაგრამ საზოგადოებრივი მოძრაობა უნდა დაერქვას აგრეთვე წინა წლების მოძრაობას, როცა პროლეტარიატი «მშვიდობიანი» განვითარების პირობებში ცალკეული გაფიცვებითა და წვრილი პროფკავშირების შექმნით კმაყოფილდებოდა.

ცხადია, მოძრაობას სხვადასხვა ფორმები ჰქონია.

და აი, დიალექტიკური მეთოდი ამბობს, რომ მოძრაობას ორგვარი ფორმა აქვს: ევოლუციური და რევოლუციური.

მოძრაობა ევოლუციურია, როცა პროგრესული ელემენტები სტიქიურად განაგრძობენ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას, როცა მათ წვრილ-წვრილი, **რაოდენობრივი** ცვლილებები შეაქვთ ძველ წესებში.

მოძრაობა რევოლუციურია, როცა იგივე ელემენტები ერთად ჯგუფდებიან, ერთი იდეით იმსჭვალებიან და აჩქარებული ნაბიჯით მიეჭანებიან მტრის ბანაკისკენ, რომ ძირიანად მოსპონ ძველი წესები და ცხოვრებაში **თვისობრივი** ცვლილებები შეიტანონ, ახალი წესები დაამყარონ.

ევოლუცია ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლუციას, ხოლო რევოლუცია აგვირგვინებს ევოლუციას და ხელს უწყობს მის მერმინდელ მუშაობას.

ასეთსავე პროცესებს ადგილი აქვთ ბუნებაშიც. მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს, რომ დიალექტიკური მეთოდი ნამდვილი მეცნიერული მეთოდი ყოფილა: ასტრონომიიდან დაწყებული სოციოლოგიამდე — ყველგან ის აზრი დასტურდება, რომ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია, რომ ყველაფერი იცვლება, ყველაფერი ვითარდება. მაშასადამე, ბუნებაში ყველაფერს მოძრაობის, განვითარების თვალსაზრისით უნდა ვუყურებდეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიალექტიკის სული ძვალრბილში გასჯდომია დღევანდელ მეცნიერებას.

რაც შეეხება მოძრაობის ფორმებს, რაც შეეხება იმას, რომ, დიალექტიკის თანახმად, წვრილ-წვრილი, **რაოდენობრივი**, ცვლილებანი ბოლოს დიდ, **თვისობრივ**, ცვლილებებს წარმოშობენ ხოლმე, — ამ კანონს ამდენადვე ძალა აქვს ბუნების ისტორიაშიც. მენდელეევის «ელემენტთა პერიოდული სისტემა» ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ბუნების ისტორიაში თვისობრივი ცვლილებების წარმოშობას რაოდენობრივი ცვლილებებიდან. ამასვე მოწმობს ბიოლოგიაში ნეოლამარკიზმის თეორია, რომელსაც ადგილს უთმობს ნეოდარვინიზმი.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ სხვა ფაქტებზე, რომლებიც საკმაო სისრულით გააშუქა ფ. ენგელსმა თავის «ანტი-დიურინგში».

ასეთია დიალექტიკური მეთოდის შინაარსი.

*
* *

როგორ უყურებენ ანარქისტები დიალექტიკურ მეთოდს?

ყველამ იცის, რომ დიალექტიკური მეთოდის მამამთავარი ჰეგელი იყო. მარქსმა გაწმინდა და გააუმჯობესა ეს მეთოდი. თქმა არ უნდა, რომ ეს გარემოება ანარქისტებმაც იციან. მათ იციან, რომ ჰეგელი კონსერვატორი იყო, და აი, ისინი სარგებლობენ შემთხვევით და თავგამოდებით ლანძღავენ ჰეგელს როგორც «რესტავრაციის» მომხრეს, ისინი გატაცებით «ამტკი-

ცებენ», რომ «ჰეგელი... რესტავრაციის ფილოსოფოსია...», რომ «აბსოლიუტურ ფორმაში ის ქებათა-ქებას ასხამს ბიუროკრატიულ კონსტიტუციონალიზმს... მისი ისტორიის ფილოსოფიის ზოგადი იდეა დაჭედებარებულია და ემსახურება... რესტავრაციის ეპოქის ფილოსოფიურ მიმართულებას» და სხვა და სხვა ამისთანები (იხ. «ნობათი»[85] № 6. ვ. ჩერქეზიშვილის წერილი).

ამასვე «ამტკიცებს» თავის ნაწერებში ცნობილი ანარქისტი კროპოტკინი (იხ., მაგალითად, მისი «მეცნიერება და ანარქიზმი», რუსულ ენაზე).

კროპოტკინს ერთხმად ბანს აძლევენ ჩვენებური კროპოტკინელები, ჩერქეზიშვილიდან დაწყებული ვიდრე შ. გ.-მდე (იხ. «ნობათის» ნომრები).

მართალია, აქ მათ არავინ ეკამათება, პირიქით, ყველა დაეთანხმება, რომ ჰეგელი რევოლუციონერი არ იყო. თვითონ მარქსმა და ენგელსმა ყველაზე უფრო ადრე დაამტკიცეს თავიანთ «კრიტიკული კრიტიკის კრიტიკაში», რომ ჰეგელის ისტორიული შეხედულება ძირიანად ეწინააღმდეგება ხალხის თვითმპყრობელობას. მაგრამ მიუხედავად ამისა ანარქისტები მაინც «ამტკიცებენ» და საჭიროდ სცნობენ ყოველდღე «ამტკიცონ», რომ ჰეგელი «რესტავრაციის» მომხრეა. რატომ იქცევიან ასე? ალბათ, იმიტომ, რომ ყოველივე ამით სახელი გაუტეხონ ჰეგელს და მით მკითხველს აგრძნობინონ, რომ «რეაქციონერი» ჰეგელს მეთოდიც არ შეიძლება «საზიზღარი» და არამეცნიერული არ ჰქონოდა.

ასე ფიქრობენ ანარქისტები დიალექტიკური მეთოდის გაბათილებას.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ გზით ისინი ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ, გარდა თავიანთი უვიცობისა. პასკალი და ლეიბნიცი რევოლუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათგან აღმოჩენილი მათემატიკური მეთოდი მეცნიერულ მეთოდადაა დღეს აღიარებული. მაიერი და ჰელმჰოლცი რევოლუციონერები არ

იყვნენ, მაგრამ მათი აღმოჩენანი ფიზიკის დარგში საფუძვლად დაედო მეცნიერებას. არც ლამარკი და დარვინი იყვნენ რევოლუციონერები, მაგრამ მათმა ევოლუციურმა მეთოდმა ფეხზე დააყენა ბიოლოგიის მეცნიერება... რატომ არ შეიძლება ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ჰეგელის კონსერვატიზმისა, მან, ჰეგელმა, შესძლო შეემუშავებინა მეცნიერული მეთოდი, რომელსაც დიალექტიკური მეთოდი ეწოდება?

დიახ, **ამ გზით** ანარქისტები ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ, გარდა თავიანთი უვიცობისა.

დავყვეთ ქვემოთ. ანარქისტების აზრით, «დიალექტიკა მეტაფიზიკაა», და რადგანაც მათ უნდათ «მეცნიერების განთავისუფლება მეტაფიზიკიდან და ფილოსოფიის თეოლოგიიდან», ამიტომ უარყოფენ დიალექტიკურ მეთოდს (იხ. «ნობათი» № 3 და 9. შ. გ.-ს წერილები. იხ. აგრეთვე «მეცნიერება და ანარქიზმი» კროპოტკინისა).

«ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო», — სწორედ ასეა ანარქისტების საქმე. დიალექტიკა მეტაფიზიკასთან ბრძოლაში დამწიფდა, მან ამ ბრძოლაში ისახელა თავი, ანარქისტების აზრით კი გამოდის, რომ დიალექტიკა მეტაფიზიკა ყოფილა!

დიალექტიკა ამბობს, რომ ქვეყანაზე არაფერი არაა მუდმივი, ქვეყნად ყველაფერი წარმავალია და ცვალებადი, — იცვლება ბუნება, იცვლება საზოგადოება, იცვლება ზნე-ჩვეულებანი, იცვლება წარმოდგენა სამართლიანობაზე, იცვლება თვით ჭეშმარიტებაც, — ამიტომ არის, რომ დიალექტიკა ყველაფერს კრიტიკის თვალით უყურებს, ამიტომ არის, რომ ის უარყოფს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჭეშმარიტებას, უარყოფს, მაშასადამე, განყენებულ «დოგმატურ დებულებებს, რომლებსაც გაზეპირების მეტი აღარა უნდა-რა, რაკი ისინი ერთხელ აღმოუჩენიათ» (იხ. **ფ. ენგელსი**, «ლუდვიგ ფეიერბახი»)[86].

მეტაფიზიკა კი სულ სხვა რამეს გვეუბნება. მისთვის ქვეყნიერება მუდმივი და უცვლელი რაღაცაა (იხ. **ფ. ენგელსი**,

«ანტი-დიურინგი»), რომელიც ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა ვიღაცამ ან რაღაცამ, — ამიტომ არის, რომ მეტაფიზიკოსებს ყველგან «მუდმივი სამართლიანობა» და «უცვლელი ჭეშმარიტება» აკერიათ პირზე.

ანარქისტების «მამამთავარი» პრუდონი ამბობდა, რომ ქვეყანაზე არსებობს **ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული უცვლელი სამართლიანობა,** რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ საზოგადოებას. ამის გამო პრუდონს მეტაფიზიკოსს ეძახდნენ. მარქსი ებრძოდა პრუდონს დიალექტიკური მეთოდის შემწეობით და ამტკიცებდა, რომ, რადგანაც ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება, ამიტომ «სამართლიანობაც» უნდა იცვლებოდეს, და, მაშასადამე, «უცვლელი სამართლიანობა» მეტაფიზიკური ბოდვაა (**იხ. კ. მარქსი,** «ფილოსოფიის სიღატაკე»). მეტაფიზიკოს პრუდონის ქართველი მოწაფეები კი გადმომდგარან და გვიკიჟინებენ: მარქსის «დიალექტიკა მეტაფიზიკააო»!

მეტაფიზიკას სწამს სხვადასხვა ბუნდოვანი დოგმები, როგორიცაა, მაგალითად, «შეუცნობელი» და «ნივთი თავისთავად», ის ბოლოს და ბოლოს უშინაარსო ღვთისმეტყველებაზე გადადის. წინააღმდეგ პრუდონისა და სპენსერისა ენგელსი ხსენებულ დოგმებს დიალექტიკური მეთოდის შემწეობით ებრძოდა (იხ. «ლუდვიგ ფეიერბახი»). პრუდონ-სპენსერის ანარქისტი მოწაფეები კი გვეუბნებიან: პრუდონი და სპენსერი მეცნიერები არიან, მარქსი და ენგელსი კი მეტაფიზიკოსებიო!

ორში ერთი: ან თავიანთ თავს ატყუებენ ანარქისტები ანდა არ იციან, რას ამბობენ.

ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ანარქისტებს ერთმანეთში ერევათ ჰეგელის **მეტაფიზიკური** სისტემა და მისივე **დიალექტიკური** მეთოდი.

თქმა არ უნდა, რომ ჰეგელის **ფილოსოფიური სისტემა,** რომელიც უცვლელ იდეას ემყარება, თავიდან ბოლომდე **მეტაფიზიკურია.** მაგრამ ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ჰეგელის **დია-**

ლექტიკური მეთოდი, რომელიც უარყოფს ყოველივე უცვლელ იდეას, — თავიდან ბოლომდე **მეცნიერულია და რევოლუციური**.

ამიტომ იყო, რომ კ. მარქსი, რომელიც კრიტიკის ჭარცეცხლში ატარებდა ჰეგელის მეტაფიზიკურ სისტემას, იმავე დროს, ქებითა და დიდებით იხსენიებდა მის დიალექტიკურ მეთოდს, რომელიც მარქსის აზრით «არაფრის წინაშე ქედს არ იხრის და თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციურია» (იხ. «კაპიტალი», ტ. I, ბოლოსიტყვაობა).

ამიტომ არის, რომ ენგელსი დიდ განსხვავებას ხედავს ჰეგელის მეთოდსა და სისტემას შორის: «ვინც უმთავრეს ყურადღებას ჰეგელის **სისტემას** აქცევდა, მას შეეძლო საკმაოდ კონსერვატორი ყოფილიყო როგორც პოლიტიკაში, ისე რელიგიაში, ხოლო ვინც მთავარ მნიშვნელობას მის დიალექტიკურ **მეთოდს** აკუთვნებდა, მას შეეძლო ორივე სფეროში უკიდურესი ოპოზიციის მომხრე ყოფილიყო» (იხ. «ლუდვიგ ფეიერბახი»).

ამ განსხვავებას ვერ ხედავენ ანარქისტები და დაუფიქრებლად გაიძახიან: «დიალექტიკა მეტაფიზიკააო».

დავყვეთ ქვემოთ. ანარქისტები ამბობენ, რომ დიალექტიკური მეთოდი «იკლიკანტობაა», «სოფიზმების მეთოდია», «ლოგიკური... სალტომორტალეა» (იხ. «ნობათი» № 8. შ. გ.-ს წერილი), «რომლის საშუალებით წაღმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით არიან დამტკიცებული» (იხ. «ნობათი» № 4. ვ. ჩერქეზიშვილის წერილი).

მაშ ასე: ანარქისტების აზრით, დიალექტიკური მეთოდი წაღმართსაც და უკუღმართსაც ერთნაირად ამტკიცებს.

პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ანარქისტების ბრალდება მოკლებული არაა სიმართლეს. ყური დაუგდეთ, მაგალითად, რას ამბობს ენგელსი მეტაფიზიკური მეთოდის მიმდევარზე:

«...იგი ასე ამბობს: ჰო—ჰო, არა—არა; რაც ამის გარეშეა, ის ბოროტისგანაა. მისთვის ნივთი ან არსებობს, ან არ არსებობს:

არ შეიძლება, რომ ნივთი ერთსა და იმავე დროს იყოს ის, რაც არის, და სხვა რამეც იყოს; დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთი-მეორეს...» (იხ. «ანტი-დიურინგი». შესავალი).

როგორ! — ცხარობენ ანარქისტები, — განა შეიძლება ერთი და იგივე საგანი ერთ და იმავე დროს კარგიც იყოს და ავიც?! ეს ხომ «სოფიზმია», ეს ხომ «სიტყვების თამაშია», ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ «წაღმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით გინდათ დაამტკიცოთ»!..

მაგრამ ჩავუკვირდეთ საქმეს.

ჩვენ დღეს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოვითხოვთ. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით კარგია, ან სავსებით ცუდი? არა, არ შეგვიძლია! რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია მხოლოდ ერთი მხრით, როცა ის ფეოდალურ წესებს ანგრევს, სამაგიეროდ ის ცუდია მეორე მხრით, როცა ბურჟუაზიულ წესებს ამაგრებს. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: რამდენადაც დემოკრატიული რესპუბლიკა ფეოდალურ წესებს ანგრევს, იმდენად ის კარგია, — და ჩვენ ვიბრძვით მისთვის, ხოლო რამდენადაც ის ბურჟუაზიულ წესებს ამაგრებს, იმდენად არ არის კარგი, — და ჩვენ ვებრძვით მას.

გამოდის, რომ ერთი და იგივე დემოკრატიული რესპუბლიკა, ერთსა და იმავე დროს, «კარგიც» ყოფილა და «ავიც», «ჰო»-ც და «არა»-ც.

ასევე უნდა ითქვას რვასაათიან სამუშაო დღეზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს «კარგიც» არის, რამდენადაც პროლეტარიატს აძლიერებს, და «ავიც», რამდენადაც ამაგრებს დაჭირავებული შრომის სისტემას.

სწორედ ასეთი **ფაქტები** ჰქონდა მხედველობაში ენგელსს, როცა ის ზემოთ ნათქვამი სიტყვებით ახასიათებდა დიალექტიკურ მეთოდს.

ანარქისტებს კი ვერ გაუგიათ ეს და ყოველად ნათელი აზრი დაბურულ «სოფიზმად» მოლანდებიათ.

რა თქმა უნდა, ანარქისტებს შეუძლიათ შეამჩნიონ ან არ შეამჩნიონ ეს **ფაქტები,** მათ ისიც შეუძლიათ, რიყეზე ისე გაიარონ, რომ ქვა ვერ დაინახონ, — ეს მათი უფლებაა. მაგრამ რა შუაშია აქ დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ანარქისტებივით თვალდახუჭული არ უყურებს ცხოვრებას, რომელიც გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას და პირდაპირ გვეუბნება: რადგანაც ცხოვრება იცვლება, რადგანაც ცხოვრება მოძრაობს, ამიტომ ცხოვრების ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს: კარგი და ავი, რომელთაგან პირველი უნდა დავიცვათ და მეორე უარვყოთო.

დავყვეთ კიდევ ქვემოთ. ჩვენებური ანარქისტების აზრით, «დიალექტიკური განვითარება არის კატასტროფისტული, რომლითაც ჯერ წარსული სრულიად ნადგურდება, და მერე მომავალი სავსებით განკერძოვებულათ მყარდება... კიუვიეს კატაკლიზმებს უცნობი მიზეზი წარმოშობდა, მარქს-ენგელსის კატასტროფებს დიალექტიკა» (იხ. «ნობათი» № 8. შ. გ.-ს წერილი).

ხოლო მეორე ადგილას იგივე ავტორი სწერს: «მარქსიზმი... დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს მასო» (იხ. «ნობათი» № 6).

კარგად ჩაუკვირდით, მკითხველო!

კიუვიე უარყოფს დარვინის ევოლუციას, მას მხოლოდ კატაკლიზმები სწამს, კატაკლიზმი კი **მოულოდნელი** აფეთქებაა, «რომელსაც **უცნობი** მიზეზი წარმოშობს». ანარქისტები ამბობენ, რომ მარქსისტები **კიუვიეს ემხრობიან** და, მაშასადამე, **უარყოფენ დარვინიზმსო.**

დარვინი უარყოფს კიუვიეს კატაკლიზმებს, ის თანდათანობითს ევოლუციას ემხრობა. და აი, იგივე ანარქისტები გვეუბნებიან, რომ «მარქსიზმი დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს მას», ე. ი. მარქსისტები უარყოფენ **კიუვიეს კატაკლიზმებსო.**

ერთი სიტყვით, ანარქისტები ამტყუნებენ მარქსისტებს — კიუვიეს ემხრობითო, და ამავე დროს უსაყვედურებენ — რატომ დარვინს ემხრობით, და არა კიუვიესო.

აი ანარქია! სწორედ ამაზე იტყვიან: უნტერ-ოფიცრის ცოლმა თავისი თავი თავისივე ხელით გაწკეპლაო! ცხადია, «ნობათის» მერვე ნომრის შ. გ.-ს დავიწყებია ის, რაც მეექვსე ნომრის შ. გ.-ს უთქვამს.

რომელია მართალი, მერვე თუ მეექვსე ნომერი?

გადავხედოთ ფაქტებს. მარქსი ამბობს:

«თავიანთი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალები წინააღმდეგობაში ვარდებიან არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან ანუ, რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს, საკუთრების ურთიერთობასთან... მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა». მაგრამ «არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანამდე, სანამ არ განვითარებულა ყველა საწარმოო ძალა, რომელთათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა...» (იხ. **კ. მარქსი, «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». წინასიტყვაობა**)[87].

დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ მივუყენოთ მარქსის ეს თეზისი, გამოვა, რომ დღევანდელ საწარმოო ძალებს შორის, რომელთაც **საზოგადოებრივი** ხასიათი აქვს, და პროდუქტთა მითვისების ფორმას შორის, რომელსაც **კერძო** ხასიათი აქვს, — ძირეული კონფლიქტია, რომელიც სოციალისტური რევოლუციით უნდა დასრულდეს (იხ. **ფ. ენგელსი**, «ანტი-დიურინგი», მესამე განყოფილების მეორე თავი).

როგორც ხედავთ, მარქსისა და ენგელსის აზრით, რევოლუციას იწვევს კიუვიეს «უცნობი მიზეზები» კი არა, არამედ სრულიად გარკვეული და ცოცხალი საზოგადოებრივი მიზეზები, რომლებსაც «საწარმოო ძალთა განვითარება» ეწოდება.

როგორც ხედავთ, მარქსისა და ენგელსის აზრით, რევოლუცია მხოლოდ მაშინ ხდება, როცა საწარმოო ძალები საკმაოდ მომწიფდება, და არა **მოულოდნელად**, როგორც ეს კიუვიეს ეგონა.

ცხადია, კიუვიეს კატაკლიზმებსა და მარქსის დიალექტიკურ მეთოდს შორის საერთო არაფერია.

მეორე მხრივ, დარვინიზმი უარყოფს არა მარტო კიუვიეს კატაკლიზმებს, არამედ დიალექტიკურად გაგებულ განვითარებასაც მისი რევოლუციით, მაშინ როდესაც დიალექტიკური მეთოდის აზრით ევოლუცია და რევოლუცია, რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილება — ორი აუცილებელი ფორმაა ერთი და იმავე მოძრაობისა.

ცხადია, არც ის შეიძლება ითქვას, რომ «მარქსიზმი... კრიტიკის თვალით არ უყურებს დარვინიზმს».

გამოდის, რომ ორივეგან სცდება «ნობათი», როგორც მეექვსე ნომერში, ისე მერვეში.

ბოლოს, ანარქისტები გვიკიჟინებენ, რომ «დიალექტიკა... არ გვაძლევს საშვალებას გამოვიდეთ ან გამოვხტეთ თავის თავისაგან, არც გადავახტეთ თავის თავს» (იხ. «ნობათი» № 8. შ. გ.-ს წერილი).

ეს კი სრული ჭეშმარიტებაა, ბ-ნო ანარქისტებო, აქ კი ცამდის მართალი ხართ, პატივცემულნო: დიალექტიკური მეთოდი მართლაც არ იძლევა ასეთ საშუალებას. მაგრამ რატომ არ იძლევა? იმიტომ, რომ «თავის თავიდან გამოხტომა და თავის თავზე გადახტომა» თხების საქმეა, დიალექტიკური მეთოდი კი ადამიანებისთვისაა გამოგონილი.

აი, სად არის საიდუმლოება!..

ასეთია საერთოდ ანარქისტების შეხედულება დიალექტიკურ მეთოდზე.

ცხადია, ანარქისტებს ვერ გაუგიათ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მეთოდი, — მათ თავიანთი დიალექტიკა გამოუგონიათ და სწორედ მას ებრძვიან ასე შეუბრალებლად.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ სეირს ვუყუროთ და «სიცილს მივცეთ თავი», რადგანაც არ შეიძლება არ გაგეცინოს, როცა კაცი თავის საკუთარ ფანტაზიას ებრძვის, თავის გამონაგონს ანგრევს და თანაც გამწარებული გარწმუნებს — მტერსა ვკლავო.

II

მატერიალისტური თეორია

«ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას».

კ. მარქსი

ჩვენ ვიცნობთ უკვე დიალექტიკურ მეთოდს.

რა არის მატერიალისტური თეორია?

ყველაფერი იცვლება ქვეყანაზე, ყველაფერი ვითარდება ცხოვრებაში, მაგრამ **რანაირად** ხდება ეს ცვლილება და **რა სახით** სწარმოებს ეს განვითარება?

ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ერთ დროს დედამიწა გავარვარებულ ცეცხლოვან მასას წარმოადგენდა, შემდეგ ნელ-ნელა გაცივდა, მერე მცენარეულობა და ცხოველები წარმოიშვნენ, ცხოველების განვითარებას მოჰყვა მაიმუნთა გარკვეული გვარეობის გაჩენა და, შემდეგ, ყოველივე ამას — ადამიანის წარმოშობა.

ასეთი იყო საერთოდ ბუნების განვითარება.

ვიცით აგრეთვე ის, რომ არც საზოგადოებრივი ცხოვრება ყოფილა ერთ დონეზე შეჩერებული. დრო იყო, როცა ადამიანები პირველყოფილი კომუნისტური წესით ცხოვრობდნენ; მაშინ ისინი პირველყოფილი მონადირეობით ირჩენდნენ თავს, ტყე-ტყე დახეტიალობდნენ და საჭმელს ასე შოულობდნენ. დადგა დრო, როცა პირველყოფილი კომუნიზმი მატრიარქატით შეიცვალა,—მაშინ ადამიანები, მეტწილად, პირველყოფილი მიწათმოქმედებით იკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას; შემდეგ მატრიარქატი შეიცვალა პატრიარქატით, როცა ადამიანები უმთავრესად მეჯოგეობით ირჩენდნენ თავს. შემდეგ პატრიარქატი მონათმფლობელური წყობილებით შეიცვალა,—მაშინ ადამიანები შედარებით უფრო განვითარებული მიწათმოქმედებით ირჩენდნენ თავს; მონათმფლობელურ წყობილებას მოჰყვა ბატონყმობა და შემდეგ ყოველივე ამას — ბურჟუაზიული წყობილება.

ასეთი იყო საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება.

დიახ, ყოველივე ეს ცნობილია... მაგრამ **რანაირად** ხდებოდა ეს განვითარება: შეგნება იწვევდა «ბუნებისა» და «საზოგადოების» განვითარებას, თუ, პირიქით, «ბუნებისა» და «საზოგადოების» განვითარება იწვევდა შეგნების განვითარებას?

ასე აყენებს კითხვას მატერიალისტური თეორია.

ზოგნი ამბობენ, რომ «ბუნებას» და «საზოგადოებრივ ცხოვრებას» წინ უსწრებდა მსოფლიო იდეა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო მათს განვითარებას, ასე რომ «ბუნებისა» და «საზოგადოებრივი ცხოვრების» მოვლენათა განვითარება—ეს, ასე ვთქვათ, გარეგანი ფორმაა, უბრალო გამოხატულებაა მსოფლიო იდეის განვითარებისა.

ასეთი იყო, მაგალითად, **იდეალისტების** მოძღვრება, რომელიც შემდეგ რამდენიმე მიმდინარეობად გაიყო.

ზოგნი კიდევ ამბობენ, რომ ქვეყანაზე თავიდანვე არსებობს ორი ერთმანეთის უარმყოფელი ძალა—იდეა და მატერია, შეგნება და ყოფიერება და რომ, თანახმად ამისა, მოვლენებიც ორ წყებად იყოფა — იდეალურ და მატერიალურ მოვლენებად, რომელნიც ერთმანეთს უარყოფენ და ერთმანეთს ებრძვიან, ასე რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარება—ეს მუდმივი ბრძოლაა იდეალურ და მატერიალურ მოვლენათა შორის.

ასეთი იყო, მაგალითად, **დუალისტების** მოძღვრება, რომელიც შემდეგ იდეალიზმივით რამდენიმე მიმდინარეობად დანაწილდა.

მატერიალისტური თეორია ძირიანად უარყოფს როგორც დუალიზმს, ისე იდეალიზმს.

თქმა არ უნდა, ქვეყანაზე არსებობს იდეალური და მატერიალური მოვლენები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, ვითომ ისინი უარყოფდნენ ერთმანეთს. პირიქით, იდეალური და მატერიალური მხარე ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე ბუნების ან საზოგადოებისა, ისინი უერთმანეთოდ

წარმოუდგენელია, ერთად არსებობენ, ერთად ვითარდებიან, და, მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ვითომ უარყოფენ ერთმანეთს.

ამგვარად, ძირიანად ირღვევა ეგრეთწოდებული დუალიზმი.

ერთი და განუყოფელი ბუნება, ორ სხვადასხვანაირ ფორმაში გამოხატული — მატერიალურსა და იდეალურში; ერთი და განუყოფელი საზოგადოებრივი ცხოვრება, ორ სხვადასხვანაირ ფორმაში გამოხატული — მატერიალურსა და იდეალურში, — აი როგორ უნდა ვუყურებდეთ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას.

ასეთია მონიზმი მატერიალისტური თეორიისა.

ამავე დროს მატერიალისტური თეორია უარყოფს იდეალიზმსაც.

მართალი არ არის ის აზრი, ვითომ იდეალური მხარე და, საერთოდ, შეგნება წინ უსწრებს თავის განვითარებაში მატერიალური მხარის განვითარებას. ჯერ ცოცხალი არსებანი არც კი მოიპოვებოდნენ, რომ უკვე არსებობდა ეგრეთწოდებული გარეშე, «უსიცოცხლო» ბუნება. პირველ ცოცხალ არსებას არავითარი შეგნება არ მოეპოვებოდა, მას მხოლოდ **გალიზიანების** უნარი ჰქონდა და ოდნავად ახლდა **შეგრძნობის** პირველი ჩანასახები. შემდეგ თანდათან ვითარდებოდა ცხოველებში შეგრძნობის უნარი და ნელ-ნელა **შეგნებაზე** გადადიოდა მათი ორგანიზმის აგებულებისა და ნერვული სისტემის განვითარების შესაბამისად. მაიმუნი რომ მუდამ ოთხ ფეხზე მდგარიყო, ის რომ წელში არ გამართულიყო, მისი ჩამომავალი — ადამიანი — თავისუფლად ვერ ისარგებლებდა ფილტვებითა და ყელის ძაფებით და, ამგვარად, ლაპარაკს ვერ შესძლებდა, რაც ძირიანად შეაფერხებდა მისი შეგნების განვითარებას. ან კიდევ: მაიმუნი რომ უკანა ფეხებზე არ დამდგარიყო, მისი ჩამომავალი — ადამიანი — იძულებული იქნებოდა მუდამ ოთხ ფეხზე ეარნა, ძირს ეცქირა და იქიდან ეკრიფა შთაბეჭდილებანი; მას შესაძლებლობა არ ექნებოდა მაღლა და გარშემო მიმოეხედნა, მას შესაძლებლობა არ

ექნებოდა, მაშასადამე, უფრო მეტი შთაბეჭდილებანი მიეწოდებინა ტვინისთვის, ვიდრე ოთხფეხ ცხოველს. ეს ყველაფერი მისი შეგნების განვითარებას საფუძვლიანად შეაფერხებდა.

გამოდის, რომ შეგნების განვითარებისთვის საჭირო ყოფილა ორგანიზმის ასეთი თუ ისეთი აგებულება და მისი ნერვული სისტემის განვითარება.

გამოდის, რომ იდეალური მხარის განვითარებას, შეგნების განვითარებას, **წინ უსწრებს** მატერიალური მხარის განვითარება, გარეშე პირობების განვითარება: ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერიალური მხარე იცვლება და **შემდეგ** შესაფერისად იცვლება შეგნება, იდეალური მხარე.

ამგვარად, ბუნების განვითარების ისტორია ძირიანად არღვევს ეგრეთწოდებულ იდეალიზმს.

ესევე უნდა ითქვას ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაზე.

ისტორია გვიმტკიცებს, რომ თუ სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი აზრებითა და სურვილებით იმსჭვალებოდნენ ადამიანები, ეს იმის ბრალია, რომ სხვადასხვა დროს ადამიანები სხვადასხვანაირად ებრძოდნენ ბუნებას თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, და, ამის თანახმად, მათი ეკონომიური ურთიერთობანიც სხვადასხვანაირად ეწყობოდა. დრო იყო, როცა ადამიანები საერთო ძალღონით, პირველყოფილ-კომუნისტური წესით ებრძოდნენ ბუნებას, მაშინ მათი საკუთრება კომუნისტური იყო, და ამიტომ იყო, რომ მაშინ შენ-ჩემობისა თითქმის არა ესმოდათ-რა, მათი შეგნებაც კომუნისტური იყო. დადგა დრო, როცა წარმოებაში შენ-ჩემობა შეიპარა,—მაშინ საკუთრებამაც კერძო, ინდივიდუალისტური ხასიათი მიიღო, და ამიტომ იყო, რომ ადამიანების შეგნებაც შენ-ჩემობით გაიმსჭვალა. დგება დრო, დღევანდელი დრო, როცა წარმოება ისევ საზოგადოებრივ ხასიათს იღებს, მაშასადამე, ჩქარა საკუთრებაც საზოგადოებრივ ხასიათს მიიღებს,—და სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანების შეგნებაც თანდათან სოციალიზმით იმსჭვალება

უბრალო მაგალითი. წარმოიდგინეთ მეჩექმე, რომელსაც პაწია სახელოსნო ჰქონდა, მაგრამ რომელმაც ვერ გაუძლო მსხვილი მეპატრონეების კონკურენციას, მიკეტა სახელოსნო და, ვთქვათ, ადელხანოვს დაექირავა. ის შევიდა ადელხანოვის ფაბრიკაში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მუდმივ დაქირავებულ მუშად გადაიქცეს, არამედ იმიტომ, რომ ფული შეაგროვოს, თანხა შეადგინოს და შემდეგ ისევ თავისი სახელოსნო გააღოს. როგორც ხედავთ, ამ მეჩექმის მდგომარეობა **უკვე** პროლეტარულია, მაგრამ მისი შეგნება **ჯერ კიდევ** არ არის პროლეტარული, ის თავით-ფეხამდე წვრილბურჟუაზიულია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ მეჩექმის წვრილბურჟუაზიული მდგომარეობა **უკვე** გაქრა, აღარ არსებობს, მაგრამ მისი წვრილბურჟუაზიული შეგნება კი **ჯერ** არ გამქრალა, ის უკან ჩამორჩა მდგომარეობას.

ცხადია, აქაც, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ ადამიანების მდგომარეობა იცვლება და შემდეგ შესაფერისად იცვლება მათი შეგნება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მეჩექმეს. მას, როგორც ვიცით, აზრად აქვს ფული მოაგროვოს და შემდეგ თავისი სახელოსნო გააღოს. მუშაობს გაპროლეტარებული მეჩექმე და ხედავს, რომ ფულების შეგროვება მეტისმეტად ძნელია, ხელფასი საცხოვრებლადაც ძლივს ჰყოფნის. გარდა ამისა, ის ამჩნევს, რომ კერძო სახელოსნოს გაღება არც ეგრე სანუკვარია: დუქნის ქირა, მუშტრების კაპრიზი, ქესატობა, მსხვილი მეპატრონეების კონკურენცია და სხვა ამისთანა დავიდარაბა — აი რამდენი დარდი აწუხებს კერძო ხელოსანს. პროლეტარი კი შედარებით უფრო თავისუფალია ამისთანა დარდებისგან, მას არც მუშტარი აწუხებს, არც დუქნის ქირა, ის დილით მოვა ფაბრიკაში, საღამოთი წავა «არხეინად» და შაბათს არხეინადვე ჩაიჩხრიალებს «პალუჩკას». სწორედ აქ პირველად ეკვეცება ფრთები ჩვენი მეჩექმის წვრილბურჟუაზიულ ოცნებას, აქ პირველად ესახება მას გულში პროლეტარული სულისკვეთება.

მიდის დრო, და ჩვენი მეჩექმე ხედავს, რომ ფული აღარ ჰყოფნის ყველაზე უფრო აუცილებელი მოთხოვნილებებისთვის, ხელფასის მომატება მეტისმეტად საჭიროა მისთვის. ამავე დროს ის ამჩნევს, რომ მისი ამხანაგები ლაპარაკობენ რაღაც კავშირებზე და გაფიცვებზე. აქ კი გებულობს ჩვენი მეჩექმე, რომ მისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად მეპატრონეებთან ბრძოლაა საჭირო და არა საკუთარი სახელოსნოს გახსნა. ის შედის კავშირში, ეშვება გაფიცვის ტალღებში და ჩქარა სოციალისტურ იდეებსაც ეწაფება...

ამგვარად, მეჩექმის მატერიალური მდგომარეობის შეცვლას **ბოლოს და ბოლოს** თან მოჰყვა მისი შეგნების შეცვლა: ჯერ მისი მატერიალური მდგომარეობა შეიცვალა, და შემდეგ, რამდენიმე ხნის მერე, შესაფერად შეიცვალა მისი შეგნებაც.

ესევე უნდა ითქვას კლასებზე და მთელ საზოგადოებაზე. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერიალური პირობები იცვლება და შემდეგ, ამისდა თანახმად, იცვლება ადამიანთა აზროვნებაც, მათი ზნეჩვეულებანი და მსოფლმხედველობა.

ამიტომ ამბობს მარქსი:

«ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათს მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას».

თუ მატერიალურ მხარეს, თუ გარეშე პირობებს, თუ მდგომარეობას და სხვა ამისთანა მოვლენებს **შინაარსს** დავარქმევთ, მაშინ იდეალურ მხარეს, შეგნებას და სხვა ამგვარ მოვლენებს **ფორმა** უნდა დავარქვათ. აქედან წარმოსდგა ცნობილი მატერიალისტური დებულება: განვითარების პროცესში შინაარსი წინ უსწრებს ფორმას, ფორმა უკან რჩება შინაარსს.

და რადგანაც, მარქსის აზრით, ეკონომიური განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების «მატერიალური საფუძველია», მისი **შინაარსია**, ხოლო იურიდიულ-პოლიტიკური და რელიგიურ-ფილოსოფიური განვითარება კი ამ შინაარსის «იდეოლოგიური

ფორმაა», მისი «ზედნაშენია», ამიტომ მარქსი ასკვნის: «ეკონომიური საფუძვლის შეცვლასთან ერთად **ადრე თუ გვიან** ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენშიც».

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომ მარქსის აზრით შინაარსი უფორმოდ შეიძლებოდეს, როგორც ეს შ. გ.-ს მოლანდებია (იხ. «ნობათი» № 1. «მონიზმის კრიტიკა»). შინაარსი უფორმოდ შეუძლებელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ესა თუ ის ფორმა, რადგანაც ის უკან რჩება თავის შინაარსს, არადროს არ შეესაბამება **სავსებით** ამ შინაარსს და, ამგვარად, ახალი შინაარსი «იძულებულია» დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს, რაც კონფლიქტს იწვევს მათ შორის. დღეს, მაგალითად, წარმოების **საზოგადოებრივ** შინაარსს არ შეესაბამება წარმოების პროდუქტთა მითვისების ფორმა, რომელსაც **კერძო** ხასიათი აქვს, და სწორედ ამ ნიადაგზე სწარმოებს დღევანდელი სოციალური «კონფლიქტი».

მეორე მხრივ, ის აზრი, რომ შეგნება მდგომარეობის ფორმაა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომ შეგნება თავისი ბუნებით — იგივე მატერიაა. ასე ფიქრობდნენ მხოლოდ ვულგარული მატერიალისტები (მაგ., ბიუხნერი და მოლეშოტი), რომელთა თეორიები ძირიანად ეწინააღმდეგებიან მარქსის მატერიალიზმს და რომლებსაც სამართლიანად დასცინოდა ენგელსი თავის «ლუდვიგ ფეიერბახში». მარქსის მატერიალიზმის თანახმად, შეგნება და მდგომარეობა, იდეა და მატერია — ეს ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე მოვლენისა, რომელსაც, საერთოდ რომ ვთქვათ, ბუნება ან საზოგადოება ეწოდება. მაშასადამე, ისინი არც უარყოფენ ერთმანეთს* და ამასთანავე არც ერთსა და იმავე მოვლენას წარმოადგენენ. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ბუ-

* ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ფორმასა და შინაარსს შორის კონფლიქტი არსებობს. საქმე იმაშია, რომ კონფლიქტი შინაარსსა და ფორმას შორის კი არ არსებობს საერთოდ, არამედ **ძველ** ფორმასა და **ახალ** შინაარსს შორის, რომელიც ახალ ფორმას ეძებს და მისკენ მიისწრაფის.

ნებისა და საზოგადოების განვითარებაში შეგნებას, ე. ი. იმას, რაც ჩვენს თავში ხდება, წინ უსწრებს შესაფერისი მატერიალური ცვლილება, ე. ი. ის, რაც ჩვენს გარეშე ხდება, — ამა თუ იმ მატერიალურ ცვლილებას ადრე თუ გვიან აუცილებლად მოსდევს შესაფერისი იდეალური ცვლილება.

კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან ზოგიერთები, შესაძლებელია ეგ ყველაფერი მართალიც არის ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის მიმართ. მაგრამ დღეს რანაირად იბადება ჩვენს თავში სხვადასხვა წარმოდგენები და იდეები? ნამდვილად კი არსებობს ეგრეთწოდებული გარეშე პირობები, თუ მარტო ჩვენი წარმოდგენები არსებობს ამ რაღაც გარეშე პირობებზე? და თუ გარეშე პირობებიც არსებობს, რამდენად შესაძლებელია მათი აღქმა და შემეცნება?

ამის შესახებ მატერიალისტური თეორია ამბობს, რომ ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი «მე» მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს გარეშე პირობები, რომლებიც ამ «მე»-ზე შთაბეჭდილებას ახდენენ. ვინც დაუფიქრებლად ამბობს, რომ ჩვენი წარმოდგენების მეტი არა არსებობს-რაო, ის იძულებულია უარყოს ყოველივე გარეშე პირობები და, მაშასადამე, უარყოს დანარჩენი ადამიანების არსებობაც, გარდა თავისი «მე»-სი, რაც უაზროა და ძირიანად ეწინააღმდეგება მეცნიერების საფუძვლებს.

ცხადია, გარეშე პირობები ნამდვილად არსებობენ, ეს პირობები არსებობდნენ ჩვენამდე, იარსებებენ ჩვენს შემდეგაც, და მასთან მათი აღქმა და შემეცნება მით უფრო ადვილად არის შესაძლებელი, რაც უფრო ხშირად და ძლიერად იმოქმედებენ ისინი ჩვენს შეგნებაზე.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ იბადება **დღეს** ჩვენს თავში სხვადასხვა წარმოდგენები და იდეები, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოკლედ იგივე მეორდება, რაც ბუნებისა და საზოგადოების ისტორიაში ხდება. აქაც ჩვენს გარეშე მყოფი საგანი წინ უსწრებს ჩვენს წარმოდგენას ამ საგანზე, აქაც ჩვენი წარმოდგენა, ფორმა, უკან რჩება საგანს, როგორც თავის შინაარსს.

თუ მე ვუყურებ ხეს და ვხედავ მას, — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, სანამ ჩემს თავში წარმოდგენა დაიბადებოდა ხის შესახებ, ამაზე წინ არსებობდა თვითონ ხე, რომელმაც შესაფერისი წარმოდგენა გამოიწვია ჩემში...

ასეთია მოკლედ მარქსის მატერიალისტური თეორიის შინაარსი.

ძნელი გასაგები არაა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მატერიალისტურ თეორიას ადამიანების პრაქტიკული მოღვაწეობისთვის.

თუ **ჯერ** ეკონომიური პირობები იცვლება და **მერე** შესაფერისად იცვლება ადამიანების შეგნება, ცხადია, ამა თუ იმ იდეალის დასაბუთებას უნდა ვეძებდეთ ადამიანების ტვინში კი არა, მათს ფანტაზიაში კი არა, არამედ მათი ეკონომიური პირობების განვითარებაში; კარგია, მოსაწონია და მისაღები მხოლოდ ის იდეალი, რომელიც აშენებულია ეკონომიური პირობების შესწავლაზე. არ ვარგა და მოსაწონი არაა ყველა ის იდეალი, რომელიც ანგარიშს არ უწევს ეკონომიურ პირობებს, რომელიც არ ემყარება მათს განვითარებას.

ასეთია პირველი პრაქტიკული დასკვნა მატერიალისტური თეორიისა.

თუ ადამიანების შეგნება და ზნე-ჩვეულება გარეშე პირობებისგანაა გამოწვეული, თუ იურიდიული და პოლიტიკური ფორმების უვარგისობა ეკონომიურ შინაარსზეა დამყარებული, ცხადია, ხელი უნდა შევუწყოთ ეკონომიურ ურთიერთობათა ძირიანად გარდაქმნას, რომ მასთან ერთად ძირიანად შეიცვალოს ხალხის ზნე-ჩვეულებანი და მისი პოლიტიკური წესები.

აი რას ამბობს ამაზე კარლ მარქსი:

«დიდი ჭკუა არ უნდა იმის გაგებას, თუ რა კავშირი აქვს მატერიალიზმის მოძღვრებას... სოციალიზმთან. თუ ადამიანი მთელ თავის ცოდნას, შეგრძნობას და სხვ. გრძნობადი ქვეყნიერებიდან... იღებს, მაშინ ემპირიული ქვეყანა ისე უნდა მოეწყოს, რომ მან იქ ჭეშმარიტი ადამიანობა შეიცნოს, რომ

შეეჩვიოს თავისი თავი ადამიანად აღზარდოს... თუ ადამიანი თავისუფალი არაა მატერიალისტური აზრით, ე. ი. თუ მისი თავისუფლება მდგომარეობს არა უარყოფით ძალაში — ესა თუ ის აიცილოს, არამედ დადებით ძალაში — თავისი ნამდვილი ინდივიდუალობა გამოამჟღავნოს, მაშინ ცალკე პიროვნება კი არ უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის, არამედ დანაშაულის ანტისოციალური წყაროები უნდა მოისპოს... თუ ადამიანის ხასიათს გარემოებანი ქმნიან, ეს გარემოებანი ადამიანური უნდა გავხადოთ» (იხ. «ლუდვიგ ფეიერბახი». დანართი: «კ. მარქსი XVIII საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმზე»)[88].

ასეთია მეორე პრაქტიკული დასკვნა მატერიალისტური თეორიისა.

* * *

როგორ უყურებენ ანარქისტები მარქსისა და ენგელსის მატერიალისტურ თეორიას?

თუ დიალექტიკური მეთოდი ჰეგელიდან მომდინარეობს, სამაგიეროდ, მატერიალისტური თეორია ფეიერბახის მატერიალიზმის განვითარებას წარმოადგენს. ეს კარგად იციან ანარქისტებმა, და ისინი ცდილობენ ჰეგელისა და ფეიერბახის ნაკლოვანებებით გააშავონ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჰეგელისა და დიალექტიკური მეთოდის შესახებ, რომ ანარქისტების ასეთი ფანდები ვერაფერს ვერ დაამტკიცებს, გარდა მათივე უვიცობისა. ესევე უნდა ვთქვათ მათი თავდასხმების გამო ფეიერბახსა და მატერიალისტურ თეორიაზე.

აი, მაგალითად, ანარქისტები დიდი ამბით გვეუბნებიან, რომ «ფეიერბახი პანტეისტი იყო...», რომ მან «კაცი გააღმერთა...» (იხ. «ნობათი» № 7. დ. დელენდის წერილი), რომ «ფეიერბახის აზრით კაცი ის არის, რასაც ის სჭამს...», რომ ვითომ აქედან მარქსმა შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: «მაშასადამე უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობაა...» (იხ. «ნობათი» № 6. შ. გ.-ს წერილი).

მართალია, ფეიერბახის პანთეისტობაში, მის მიერ კაცის გაღმერთებაში და სხვა ამისთანა შეცდომებში ეჭვი არავის შეაქვს. პირიქით, მარქსმა და ენგელსმა პირველად გამოააშკარავეს ფეიერბახის შეცდომები. მაგრამ ანარქისტები მაინც საჭიროდ სცნობენ ერთხელ კიდევ «გამოააშკარაონ» უკვე გამოაშკარავებული შეცდომები. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ფეიერბახის ძაგებით რამენაირად გააშავონ მარქსისა და ენგელსის მატერიალისტური თეორია. თქმა არ უნდა, რომ თუ მიუდგომლად შევხედავთ საქმეს, ფეიერბახს, შეიძლება, შემცდარ აზრებთან სწორი აზრებიც ჰქონოდა, სწორედ ისე, როგორც ეს ბევრ მეცნიერს დაემართა ისტორიაში. მაგრამ ანარქისტები მაინც განაგრძობენ «გამოაშკარავებას»...

ერთხელ კიდევ ვამბობთ, რომ ამისთანა ფანდებით ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ ისინი, გარდა თავიანთივე უვიცობისა.

საინტერესოა, რომ (როგორც ქვემოთ დავინახავთ) ანარქისტებს ზეპირად, სრულიად გაუცნობლად მოუნდომებიათ მატერიალისტური თეორიის გაკრიტიკება. ამის გამო ისინი ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და უარყოფენ ერთი-მეორის ნათქვამს, რაც, რა თქმა უნდა, სასაცილო მდგომარეობაში აგდებს ჩვენს «კრიტიკოსებს». აი, მაგალითად, ბ-ნ ჩერქეზიშვილს რომ ჰკითხოთ, მარქსსა და ენგელსს სძულდათ მონისტური მატერიალიზმი, ასე რომ მათი მატერიალიზმი ვულგარული მატერიალიზმი იყო, და არა მონისტური:

«ის დიდი მეცნიერება ნატურალისტებისა თავის ევოლიუციის სისტემით, ტრანსფორმიზმით და მონისტურ მატერიალიზმით, რომელიც **ძლიერ სძულს ენგელსს**... გვერდს უვლიდა... დიალექტიკურ მეთოდს» და სხვა (იხ. «ნობათი» № 4. ვ. ჩერქეზიშვილის წერილი).

გამოდის, რომ საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი, რომელიც ჩერქეზიშვილს მოსწონს და ენგელსს კი «სძულდა», მონისტური მატერიალიზმი ყოფილა და, **მაშასადამე**, მოსაწონი, ხოლო მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი კი მონისტური არ ყოფილა და, ცხადია, არც მოსაწონი.

მეორე ანარქისტი კი გვეუბნება, რომ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი მონისტურია და **ამიტომ** ღირსია უარყოფისა.

«მარქსის ისტორიული კონცეპციაც გეგელიანიზმის ატავიზმია. აბსოლიუტური ობიექტივიზმის მონისტური მატერიალიზმი საზოგადოთ—კერძოთ ეკონომიური მონიზმი მარქსის შეუძლებელია ბუნებაში და შემცდარია თეორიაში... მონისტური მატერიალიზმი გლახად დაფარული დუალიზმი და კომპრომისია მეტაფიზიკას და მეცნიერების შორის...» (იხ. «ნობათი» № 6. შ. გ.-ს წერილი).

გამოდის, რომ მონისტური მატერიალიზმი დასაწუნი ყოფილა, მარქსსა და ენგელსს არ სძულებიათ იგი, პირიქით, თვითონვე ყოფილან მონისტური მატერიალისტები, და ამიტომ უნდა უარვყოთ მონისტური მატერიალიზმი.

ერთი ალთას, მეორე ბალთას! მოდი და გაიგე, რომელი ამბობს მართალს: პირველი თუ მეორე! ჯერ თვითონ ვერ შეთანხმებულან მარქსის მატერიალიზმის ავკარგიანობაზე, ჯერ თვითონ ვერ გაუგიათ, მონისტურია ის თუ არ არის მონისტური, ჯერ თვითონ ვერ გამოურკვევიათ, ვულგარული მატერიალიზმი უფრო მისაღებია თუ მონისტური მატერიალიზმი, და ჩვენ კი კვეხნით ყური გაგვიხვრიტეს: მარქსიზმი დავანგრიეთო!

დიახ, დიახ, თუ ბ-ნი ანარქისტები მომავალშიც ასე გულმოდგინედ დაანგრევენ... ერთმანეთის აზრებს, თქმა არ უნდა, რომ მომავალი მათი იქნება...

არა ნაკლებ სასაცილოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ «შესანიშნავ» ანარქისტებს, მიუხედავად მათი «შესანიშნაობისა», ჯერ კიდევ ვერ გაუცვნიათ მეცნიერების სხვადასხვაგვარი მიმართულება. არ სცოდნიათ, რომ მეცნიერებაში სხვადასხვანაირი მატერიალიზმი არსებობს, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა: არის, მაგალითად, ვულგარული მატერიალიზმი, რომელიც უარყოფს იდეალური მხარის მნიშვნელობას და მის ზეგავლენას

მატერიალურ მხარეზე, სამაგიეროდ არის აგრეთვე ეგრეთწოდებული მონისტური მატერიალიზმი - მარქსის მატერიალისტური თეორია, — რომელიც მეცნიერული თვალით უყურებს იდეალური და მატერიალური მხარეების ურთიერთობას. ანარქისტები კი მატერიალიზმის ყველა ამ სახეს **ერთმანეთში ურევენ**, მათ შორის უბრალო განსხვავებასაც ვერ ხედავენ და ამავე დროს რიხიანად გვეუბნებიან: მეცნიერებას ვაღორძინებთო!

აი, მაგალითად, პ. კროპოტკინი დიდი ამბით მოგვითხრობს თავის «ფილოსოფიურ» ნაწერებში, რომ კომუნისტური ანარქიზმი «თანამედროვე მატერიალისტურ ფილოსოფიას» ემყარებაო, მაგრამ ერთი სიტყვითაც კი არა ხსნის, სახელდობრ რომელ «მატერიალისტურ ფილოსოფიას» ემყარება კომუნისტური ანარქიზმი: ვულგარულს, მონისტურს თუ სხვას. ცხადია, მან არ იცის, რომ მატერიალიზმის სხვადასხვა მიმართულებათა შორის ძირეული წინააღმდეგობაა, მან არ იცის, რომ ამ მიმართულებათა ერთმანეთში არევა «მეცნიერების აღორძინება» კი არა, პირდაპირი უვიცობაა (იხ. **კროპოტკინი**, «მეცნიერება და ანარქიზმი», აგრეთვე «ანარქია და მისი ფილოსოფია»).

ასევე უნდა ითქვას კროპოტკინის ქართველ მოწაფეებზე. ყური დაუგდეთ:

«ფ. ენგელსის აზრით და აგრეთვე კაუცკის აზრითაც მარქსმა დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას იმით, რომ მან...» სხვათა შორის «მატერიალისტური კონცეპცია» აღმოაჩინა. «მართალია ეს? ჩვენ არ გვგონია, რადგან... ვიცით... რომ ყველა ის ისტორიკოსები, მეცნიერები და ფილოსოფოსები, ვინც კი აღიარებდა ისეთ აზრებს, რომლითაც საზოგადოებრივი მექანიზმი მოჰყავს მოძრაობაში ოროგრაფიულ, გეოგრაფიულ, კლიმატერიულ-ტელლურიულ, კოსმიურ, ანტროპოლოგიურ და ბიოლოგიურ პირობებს, — **ყველა ესენი მატერიალისტები არიან**» (იხ. «ნობათი» № 2).

გამოდის, რომ არისტოტელეს და ჰოლბახის «მატერიალიზმს» შორის, ანდა მარქსისა და მოლეშოტის «მატერიალიზმს»

შორის განსხვავება არ ყოფილა! კრიტიკაც ასეთი უნდა! და აი ამ ცოდნის პატრონებს მოუნდომებიათ მეცნიერების გადახალისება! დიახ, ტყუილად არ უთქვამთ რუსებს: «Беда, коль пироги начнёт печь сапожник!..»

შემდეგ. ჩვენს «შესანიშნავ» ანარქისტებს სადღაც ყური მოუკრავთ, რომ მარქსის მატერიალიზმი «კუჭის თეორიააო», და ჩვენ, მარქსისტებს, გვიკიჟინებენ:

«ფეიერბახის აზრით კაცი ის არის, რასაც ის ჭამს. ამ ფორმულამ მარქს და ენგელსზე ისე იმოქმედა, როგორც ჯადომ»... რის გამოც მარქსმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ... «მაშასადამე უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობა, წარმოებითი ურთი-ერთობა არისო...» შემდეგ ფილოსოფიურად განაგრძობენ ანარქისტები: «თქმა იმისი, რომ **ერთადერთი** საშვალება ამ მიზნისა (ცხოვრების) **ჭამა** და მაშასადამე ეკონომიური წარმოება არისო შეცდომა იქნება... **ჭამა** და ეკონომიური მდგომარეობა რომ უმთავრესად მონისტურად **იდეოლოგიის გამსაზღვრელი იყოს**, მაშინ ზოგი ბელთოყლაპია გენიოსები იქნებოდნენ» (იხ. «ნობათი» № 6. შ. გ.-ს წერილი).

აი თურმე რა ადვილი ყოფილა მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმის გაბათილება. საკმარისია ვინმე «ინსტიტუტკისგან» გაიგონოთ რაიმე ქუჩური ჭორი მარქსზე და ენგელსზე, საკმარისია ეს ქუჩური ჭორები ფილოსოფიური რიხით გაიმეოროთ რომელიმე «ნობათის» ფურცლებზე, რომ მაშინვე მარქსიზმის «კრიტიკოსის» სახელი დაიმსახუროთ!

ერთი გვითხარით, ბატონებო: სად, როდის, რომელ პლანეტაზე სთქვა, ან რომელმა მარქსმა სთქვა, რომ «**ჭამა განსაზღვრავს იდეოლოგიას**»? რატომ ერთი წინადადება, ერთი სიტყვა მაინც არ გვიჩვენეთ მარქსის ნაწერებიდან თქვენი განცხადების დასასაბუთებლად? მართალია, მარქსი ამბობდა, რომ ადამიანების ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას, მათს იდეოლოგიას, მაგრამ ვინ გითხრათ, რომ ჭამა და ეკონომიური

მდგომარეობა ერთი და იგივე არის? ნუთუ არ იცით, რომ ფიზიოლოგიური მოვლენა, როგორიცაა, მაგალითად, **ჭამა,** ძირიანად განირჩევა სოციოლოგიური მოვლენისგან, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანების **ეკონომიური მდგომარეობა?** ამ ორი სხვადასხვანაირი მოვლენის ერთმანეთში არევა, ვთქვათ. ეპატიება რომელიმე «ინსტიტუტკას», მაგრამ როგორ მოხდა, რომ თქვენ, «სოციალ-დემოკრატიის გამანადგურებელნი», «მეცნიერების ამაღორძინებელნი», — თქვენც ასე უთავბოლოდ იმეორებთ «ინსტიტუტკების» შეცდომას?

ან როგორ უნდა განსაზღვროს ჭამამ საზოგადოებრივი იდეოლოგია? ჩაუკვირდით აბა თქვენს სიტყვებს: ჭამა, ჭამის ფორმა არ იცვლება, ძველადაც ისე ჭამდნენ, ღეჭავდნენ და ინელებდნენ, როგორც ახლა, იდეოლოგია კი დღითი-დღე იცვლება. ანტიკური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, პროლეტარული — აი, სხვათა შორის, რა ფორმები აქვს იდეოლოგიას. განა წარმოსადგენია, რომ იმან, **რაც არ იცვლება,** განსაზღვროს ის, **რაც მუდამ იცვლება?**

დავუგეთ ქვემოთ. ანარქისტების აზრით, მარქსის მატერიალიზმი «იგივე პარალელიზმია...» ან კიდევ: «მონისტური მატერიალიზმი გლახად დაფარული დუალიზმი და კომპრომისია მეტაფიზიკას და მეცნიერების შორის...» «მარქსი დუალიზმში ვარდება იმიტომ, რომ წარმოებით ურთიერთობებს სახავს, როგორც მატერიალურს, და ადამიანის სურვილს და ნებას კი როგორც **ილიუზიას და უტოპიას,** რომელსაც **არ აქვს მნიშვნელობა** და არსებობს კი» (იხ. «ნობათი» № 6. შ. გ.-ს წერილი).

ჯერ ერთი, რომ მარქსის მონისტურ მატერიალიზმს არავითარი საერთო არა აქვს უთავბოლო პარალელიზმთან. ამ მატერიალიზმის აზრით, მატერიალური მხარე, შინაარსი, აუცილებლად **წინ უსწრებს** იდეალურ მხარეს, ფორმას. პარალელიზმი კი უარყოფს ამ შეხედულებას და გადაჭრით ამბობს, რომ არც მატერიალური და არც იდეალური მხარე, არც ერთი მათგანი **არ უსწრებს** წინ ერთი-მეორეს, ორივე ერთად, პარალელურად ვითარდებიანო.

მეორეც, თუნდაც რომ მართლა «წარმოებით ურთიერთობებს სახავდეს მარქსი, როგორც მატერიალურს, და ადამიანის სურვილს და ნებას კი როგორც ილუზიას და უტოპიას, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობა», — განა ეს იმას ნიშნავს, რომ მარქსი დუალისტია? დუალისტი, როგორც ვიცით, **თანაბარ** მნიშვნელობას აწერს იდეალურ და მატერიალურ მხარეს, როგორც ორ მოწინააღმდეგე პრინციპს. მაგრამ თუ, თქვენი სიტყვით, მარქსი მაღლა აყენებს მატერიალურ მხარეს და, სამაგიეროდ, მნიშვნელობას არ აძლევს იდეალურ მხარეს, როგორც «უტოპიას», მაშინ საიდანღა გამოატყვრინეთ, ბ-ნო «კრიტიკოსებო», მარქსის დუალიზმი?

მესამეც, რა კავშირი აქვს მატერიალისტურ მონიზმს დუალიზმთან, როდესაც ბავშვმაც კი იცის, რომ მონიზმი **ერთი პრინციპიდან** გამოდის — ბუნებიდან ან ყოფიერებიდან, რომელსაც მატერიალური და იდეალური ფორმა აქვს, მაშინ როდესაც დუალიზმი **ორი პრინციპიდან** გამოდის —მატერიალურიდან და იდეალურიდან, რომლებიც, დუალიზმის აზრით, ერთმანეთს უარყოფენ?

მეოთხეც, როდის იყო, რომ მარქსი «ადამიანების სურვილსა და ნებას» «უტოპიად და ილიუზიად სახავდა»? მართალია, მარქსი «ადამიანების სურვილებს და ნებას» ეკონომიური განვითარებით ხსნიდა, და როცა ზოგიერთი კაბინეტური ადამიანის სურვილები ეკონომიურ ვითარებას არ შეეფერებოდა, უტოპიურს ეძახდა მათ. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ვითომ მარქსის აზრით ადამიანების სურვილები საერთოდ უტოპიურია? ნუთუ ამის ახსნაც საჭიროა? ნუთუ არ წაგიკითხავთ მარქსის სიტყვები: **«კაცობრიობა ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაჭრაც მას შეუძლია»** (იხ. წინასიტყვაობა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»), ე. ი. კაცობრიობა, საერთოდ რომ ვთქვათ, უტოპიურ სურვილებს არ გაჰყვებაო. ცხადია, ჩვენს «კრიტიკოსს» ან არ ესმის რას ამბობს, ან განზრახ ამახინჯებს ფაქტებს.

მეხუთეც, ვინ გითხრათ, რომ ვითომ მარქსისა და ენგელსის აზრით, «ადამიანების სურვილსა და ნებას მნიშვნელობა არა აქვსო»? სად ამბობენ ამას ისინი, რატომ არ დაგვისახელებთ? განა «ლუი ბონაპარტის მე-18 ბრიუმერში», «კლასთა ბრძოლაში», «სამოქალაქო ომში» და სხვა ამისთანა ბროშურებში «სურვილებისა და ნების» მნიშვნელობაზე არ ლაპარაკობს მარქსი? მაშ რატომ ცდილობდა მარქსი სოციალისტურად განევითარებინა პროლეტარების «ნება და სურვილები», რატომ ეწეოდა მათში პროპაგანდას, თუ «სურვილებისა და ნების» მნიშვნელობა არ სწამდა? ან რაზე ლაპარაკობს ენგელსი თავის ცნობილ წერილებში 1891 — 94 წლებში, თუ არა «ნებისა და სურვილების» მნიშვნელობაზე? მართალია, მარქსის აზრით, ადამიანების «ნება და სურვილები» ეკონომიური მდგომარეობიდან იღებენ თავიანთ შინაარსს, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არავითარი გავლენა არა აქვთ ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაზე? ნუთუ ამ მარტივი აზრის მონელება ასე ძნელია ანარქისტებისთვის?

კიდევ ერთი «ბრალდება» ბ-ნ ანარქისტებისა: «ფორმა უშინაარსოდ წარმოუდგენელია»... ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ «ფორმა **მოსდევს** (უკან რჩება. კ.) შინაარსს... ისინი «თანაარსნი არიან»... წინააღმდეგ შემთხვევაში მონიზმი აბსურდიაო» (იხ. «ნობათი» № 1. შ. გ.-ს წერილი).

კვლავ ცოტა რამ არევია ჩვენს «მეცნიერს». შინაარსი უფორმოდ წარმოუდგენელია, — ეს მართალია. მაგრამ მართალია აგრეთვე ისიც, რომ **არსებული ფორმა** არადროს არ შეესაბამება სავსებით **არსებულ შინაარსს**: პირველი უკან რჩება მეორეს, ახალი შინაარსი რამდენადმე მუდამ ძველ ფორმაშია გახვეული, რის გამოც ძველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის მუდამ კონფლიქტი არსებობს. სწორედ ამ ნიადაგზე ხდება რევოლუციები, და ამაში გამოიხატება, სხვათა შორის, მარქსის მატერიალიზმის რევოლუციური სული. «შესანიშნავ» ანარქისტებს კი ვერ გაუგიათ ეს, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მათი ბრალია და არა მატერიალისტური თეორიისა.

ასეთია ანარქისტების შეხედულება მარქსისა და ენგელსის მატერიალისტურ თეორიაზე, თუ შეიძლება მას საერთოდ შეხედულება ვუწოდოთ.

III

პროლეტარული სოციალიზმი

ჩვენ ვიცნობთ ახლა მარქსის თეორიულ მოძღვრებას: ვიცნობთ მის **მეთოდს,** ვიცნობთ, აგრეთვე, მის **თეორიას.**

რა პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ მოძღვრებიდან?

რა კავშირია დიალექტიკურ მატერიალიზმსა და პროლეტარულ სოციალიზმს შორის?

დიალექტიკური მეთოდი ამბობს, რომ ბოლომდე პროგრესული მხოლოდ ის კლასი შეიძლება იყოს, მონობის უღელი მხოლოდ იმ კლასმა შეიძლება დაამსხვრიოს, რომელიც დღითიდღე იზრდება, მუდამ წინ მიდის და დაუდგრომლად მიიბრძვის უკეთესი მომავლისკენ. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთადერთი კლასი, რომელიც დაუდგრომლად იზრდება, მუდამ წინ მიდის და მომავლისკენ მიიბრძვის, — სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატია. მაშასადამე, ჩვენი ვალია პროლეტარიატს ვემსახუროთ და მასზე დავამყაროთ ჩვენი იმედები.

ასეთია პირველი პრაქტიკული დასკვნა მარქსის თეორიული მოძღვრებიდან.

მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც. პროლეტარიატს «ემსახურება» ბერნშტეინიც, როცა ის სოციალიზმის დავიწყებას უქადაგებს მას. პროლეტარიატს «ემსახურება» კროპოტკინიც, როცა ის დაჭუცმაცებულ, ფართო სამრეწველო ბაზისს მოკლებულ, თემურ «სოციალიზმს» სთავაზობს. პროლეტარიატსავე ემსახურება კარლ მარქსი, როცა ის მოუწოდებს პროლეტარული

სოციალიზმისკენ, რომელიც თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ფართო ბაზისს ემყარება.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენმა სამსახურმა სარგებლობა მოუტანოს პროლეტარიატს? როგორ უნდა ვემსახუროთ პროლეტარიატს?

მატერიალისტური თეორია ამბობს, რომ ამა თუ იმ იდეალს შეუძლია პირდაპირი სამსახური გაუწიოს პროლეტარიატს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იდეალი არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, თუ ის სავსებით ეხამება ამ განვითარების მოთხოვნილებას. კაპიტალისტური ცხოვრების ეკონომიური განვითარება გვიჩვენებს, რომ დღევანდელი წარმოება საზოგადოებრივ ხასიათს იღებს, რომ წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი ძირიანად უარყოფს არსებულ კაპიტალისტურ საკუთრებას, მაშასადამე, ჩვენი მთავარი ამოცანაა — ხელი შევუწყოთ კაპიტალისტური საკუთრების დამხობას და სოციალისტური საკუთრების დამყარებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბერნშტეინის მოძღვრება, რომელიც სოციალიზმის დავიწყებას ქადაგებს, ძირიანად ეწინააღმდეგება ეკონომიური წინსვლის მოთხოვნილებას, — ის ვნებას მოუტანს პროლეტარიატს.

შემდეგ, კაპიტალისტური წყობილების ეკონომიური განვითარება გვიჩვენებს, რომ დღევანდელი წარმოება დღითი-დღე ფართოვდება, ის ველარ თავსდება ცალკე ქალაქებისა და გუბერნიების საზღვრებში, დაუდგრომლად ამტვრევს ამ საზღვრებს და მთელი სახელმწიფოს ტერიტორიას ეფინება, — მაშასადამე, ჩვენი ვალია გზა დავულოცოთ წარმოების გაფართოებას და მომავალი სოციალიზმის საფუძვლად ვაღიაროთ ცალკე ქალაქები და თემები კი არა, არამედ მთელი სახელმწიფოს მთელი და განუყოფელი ტერიტორია, რომელიც, რა თქმა უნდა, უფრო და უფრო გაფართოვდება მომავალში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კროპოტკინის მოძღვრება, რომელიც ცალკე ქალაქებსა და თემებში ამწყვდევს მომავალ სოციალიზმს, ეწინააღმდეგება წარმოების მძლავრ გაფართოებას, — ის ვნებას მოუტანს პროლეტარიატს.

ბრძოლა **ფართო** სოციალისტური ცხოვრებისთვის, როგორც **უმთავრესი** მიზნისთვის, — აი როგორ უნდა ვემსახუროთ პროლეტარიატს.

ასეთია მეორე პრაქტიკული დასკვნა მარქსის თეორიული მოძღვრებისა.

ცხადია, დიალექტიკური მატერიალიზმის პირდაპირი დასკვნა პროლეტარული სოციალიზმი ყოფილა.

რა არის პროლეტარული სოციალიზმი?

დღევანდელი წესწყობილება კაპიტალისტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ორ მოწინააღმდეგე ბანაკადაა გაყოფილი: ბანაკად ერთი მუჭა კაპიტალისტებისა და ბანაკად უთვალავი პროლეტარებისა. პროლეტარები დღემუდამ მუშაობენ, მაგრამ მაინც ღარიბად რჩებიან. კაპიტალისტები არ მუშაობენ, მაგრამ მაინც მდიდრები არიან. და ეს ასე ხდება იმიტომ კი არა, რომ, ვითომ, პროლეტარებს ჭკუა აკლიათ და კაპიტალისტები კი გენიოსები არიან,—არამედ იმიტომ, რომ პროლეტარების ნაშრომი კაპიტალისტებს მიაქვთ, კაპიტალისტები ექსპლოატაციას უწევენ პროლეტარებს.

რატომ მაინცდამაინც კაპიტალისტებს მიაქვთ პროლეტარების ნაშრომი და არა თვითონ პროლეტარებს? რატომ კაპიტალისტები უწევენ ექსპლოატაციას პროლეტარებს და არა პროლეტარები კაპიტალისტებს?

იმიტომ, რომ კაპიტალისტური წყობილება საქონლის წარმოებაზეა დამყარებული: აქ ყველაფერი საქონლის სახეს იღებს, ყველგან გამეფებულია ყიდვა-გაყიდვის პრინციპი, აქ თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ არა მარტო სახმარი ნივთები, არა მარტო სასმელ-საჭმელი, არამედ ადამიანების სამუშაო ძალაც, მათი სისხლიც, მათი სინდისიც. კაპიტალისტებმა იციან ყოველივე ეს და ყიდულობენ პროლეტარების სამუშაო ძალას, ქირაობენ მათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტები ბატონბატრონი ხდებიან მათ მიერ ნაყიდი სამუშაო ძალისა, ხოლო პროლეტარებს უფლება ეკარგებათ ამ გაყიდულ სამუშაო ძალაზე. ესე იგი, რასაც ეს

სამუშაო ძალა გამოიმუშავებს, ის პროლეტარებს აღარ ეკუთვნის, ის მხოლოდ კაპიტალისტებს ეკუთვნის და მათს ჯიბეში ჩადის. შეიძლება თქვენ მიერ გაყიდულმა სამუშაო ძალამ დღეში ათი თუმნის საქონელი დაამზადოს, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ და არც გეკუთვნით, ეს მხოლოდ კაპიტალისტებს ეხება და მათ ეკუთვნის,—თქვენ მარტო თქვენი დღიური ხელფასი უნდა მიიღოთ, რომელიც, შეიძლება, საკმარისი იყოს თქვენი აუცილებელი მოთხოვნილებისთვის, — თუ, რა თქმა უნდა, ხელმომჭირნედ იცხოვრებთ... მოკლედ, კაპიტალისტები ყიდულობენ პროლეტარების სამუშაო ძალას, ისინი ქირაობენ პროლეტარებს, და სწორედ ამიტომ არის, რომ პროლეტარების ნაშრომი კაპიტალისტებს მიაქვთ, სწორედ ამიტომ არის, რომ კაპიტალისტები ექსპლოატაციას უწევენ პროლეტარებს და არა პროლეტარები კაპიტალისტებს.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც კაპიტალისტები ყიდულობენ პროლეტარების სამუშაო ძალას? რატომ პროლეტარები ექირავებიან კაპიტალისტებს და არა კაპიტალისტები პროლეტარებს?

იმიტომ, რომ კაპიტალისტური წყობილების მთავარი საფუძველი კერძო საკუთრებაა წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე. იმიტომ, რომ ფაბრიკები, ქარხნები, მიწის წიალი, ადგილ-მამული, ტყე, რკინიგზები, მანქანები და წარმოების სხვა საშუალებები ერთი მუჭა კაპიტალისტების კერძო საკუთრებადაა გადაქცეული. იმიტომ, რომ პროლეტარები ყოველივე ამას მოკლებულნი არიან. ამიტომ არის, რომ კაპიტალისტები პროლეტარებს ქირაობენ ფაბრიკა-ქარხნების ასამოძრავებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საწარმოო იარაღები და საშუალებანი ვერავითარ მოგებას ვერ მოიტანდა. ამიტომ არის, რომ პროლეტარები კაპიტალისტებს მიჰყიდიან ხოლმე თავიანთ სამუშაო ძალას, — წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილით დაიხოცებოდნენ.

ყოველივე ეს ნათელს ფენს კაპიტალისტური წარმოების საერთო ხასიათს. ჯერ ერთი, თავისთავად ცხადია, რომ კაპიტალის-

ტური წარმოება არ შეიძლება იყოს ერთი რამ მთლიანი და მოწყობილი: ის თავიდან ბოლომდე დაქუცმაცებულია ცალკე კაპიტალისტების კერძო საწარმოებად. მეორე, ცხადია აგრეთვე ის, რომ ამ დაქუცმაცებული წარმოების პირდაპირი მიზანი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი არ არის, არამედ გასაყიდი საქონლის წარმოებაა კაპიტალისტური მოგების გასადიდებლად. და რადგანაც ყველა კაპიტალისტს უნდა თავისი მოგების გადიდება, ყველა მათგანი ცდილობს დაამზადოს რაც შეიძლება ბევრი საქონელი, რის გამოც ბაზარი ჩქარა ივსება, საქონლის ფასი ეცემა და დგება საერთო კრიზისი.

ამგვარად, კრიზისები, უმუშევრობა, წარმოების შეწყვეტა, წარმოების ანარქია და სხვა ამისთანები პირდაპირი შედეგი ყოფილა დღევანდელი კაპიტალისტური წარმოების მოუწყობლობისა.

და თუ ეს მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი წყობილება ჯერ კიდევ არ დანგრეულა, თუ ის ჯერ კიდევ მაგრად დგას პროლეტარული იერიშების წინააღმდეგ,—ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ მას მფარველად ადგია კაპიტალისტური სახელმწიფო, კაპიტალისტური მთავრობა.

ასეთ ნიადაგზეა აშენებული დღევანდელი კაპიტალისტური საზოგადოება.

* * *

თქმა არ უნდა, რომ მომავალი საზოგადოება სრულიად სხვა ნიადაგზე იქნება აშენებული.

მომავალი საზოგადოება—სოციალისტური საზოგადოებაა. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ იქ არ იქნება არავითარი კლასები: იქ არ იქნებიან არც კაპიტალისტები, არც პროლეტარები,—არ იქნება, მაშასადამე, არც ექსპლოატაცია,—იქ მხოლოდ კოლექტიურად მომუშავე მშრომელები იქნებიან.

მომავალი საზოგადოება — სოციალისტური საზოგადოებაა. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ იქ, ექსპლოატაციასთან ერთად, მოსპობილი იქნება სასაქონლო წარმოება და ყიდვა-გაყიდვა, ამიტომ იქ ადგილი აღარ ექნება სამუშაო ძალის მყიდველებსა და

მის გამყიდველებს, დამქირავებლებსა და დაქირავებულებს, — იქ მხოლოდ თავისუფალი მშრომელები იქნებიან.

მომავალი საზოგადოება—სოციალისტური საზოგადოებაა. ბოლოს, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, შრომის დაქირავებასთან ერთად, მოსპობილი იქნება ყოველგვარი კერძო საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, იქ აღარ იქნება არც უმიწაწყლო პროლეტარები, არც შეძლებული კაპიტალისტები, — იქ მხოლოდ ისეთ მშრომელებს ექნებათ ადგილი, რომლებიც საერთო მესაკუთრენი იქნებიან მთელი ადგილ-მამულისა, მთელი ტყის, მთელი მიწის წიაღისა, ყველა ფაბრიკა-ქარხნის, ყველა რკინიგზისა და სხვა.

როგორც ხედავთ, მომავალი წარმოების მთავარი მიზანი საზოგადოების მოთხოვნილებათა უშუალო დაკმაყოფილება იქნება და არა გასაყიდი საქონლის წარმოება კაპიტალისტური მოგების გასადიდებლად, აქ ადგილი არ ექნება სასაქონლო წარმოებას, მოგებისთვის ბრძოლას და სხვ.

ცხადია აგრეთვე ის, რომ მომავალი წარმოება სოციალისტურად მოწყობილი, ფრიად განვითარებული წარმოება იქნება, რომელიც ანგარიშს გაუწევს საზოგადოების მოთხოვნილებას და სწორედ იმდენს დაამზადებს, რამდენიც საზოგადოებას სჭირდება. აქ ადგილი არ ექნება არც წარმოების დაქუცმაცებას, არც კონკურენციას, არც კრიზისებს, არც უმუშევრობას.

იქ, სადაც კლასები არ არსებობს, იქ, სადაც მდიდარი და ღარიბი აღარ არის, — იქ აღარც სახელმწიფოა საჭირო, იქ აღარც პოლიტიკური ძალაა საჭირო, რომელიც ღარიბს სჩაგრავს და მდიდარს იცავს. ცხადია, აღარც სოციალისტურ საზოგადოებაში იქნება საჭირო პოლიტიკური ძალაუფლების არსებობა.

ამიტომ ამბობდა კარლ მარქსი ჯერ კიდევ 1846 წელს:

«მუშათა კლასი განვითარების მსვლელობაში ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ნაცვლად შექმნის ისეთ **ასოციაციას**, რომელიც გამორიცხავს კლასებს და მათს დაპირისპირებას, და **აღარც საკუთრივ პოლიტიკური ხელისუფლება** იქნება...» (იხ. «ფილოსოფიის სიღატაკე») [89].

ამიტომ ამბობდა ენგელსი 1884 წელს:

«ამრიგად, სახელმწიფო დასაბამიდან როდი არსებობდა. იყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომლებიც უიმისოდ სძლებდნენ და რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ სახელმწიფოზე და სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფოც... აუცილებელი გახდა. ახლა ჩვენ ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდებით წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, როცა ამ კლასების არსებობა არამც თუ საჭირო აღარ იქნება, არამედ წარმოების პირდაპირ დაბრკოლებად გადაიქცევა. კლასები ისევე აუცილებლად მოისპობიან, როგორც წარსულში წარმოიშვნენ. **მათთან ერთად აუცილებლად მოისპობა სახელმწიფოც.** საზოგადოება, რომელიც წარმოებას ახლებურად მოაწყობს მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციის საფუძველზე, მთელ სახელმწიფო მანქანას იქ მოათავსებს, სადაც მისი შესაფერი ადგილი იქნება: სიძველეთა მუზეუმში, ჯარასა და ბრინჯაოს ცულის გვერდით» (იხ. «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა») [90].

ამავე დროს, თავისთავად ცხადია, რომ საერთო საქმეების გასაძღოლად, ადგილობრივ ბიუროებთან ერთად, სადაც სხვადასხვა ცნობები მოიყრის თავს, საჭირო იქნება სოციალისტური საზოგადოებისთვის ცენტრალური სტატისტიკური ბიურო, რომელიც ცნობებს შეკრებს მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებზე და შემდეგ შესაფერისად გაანაწილებს მშრომელებს შორის სხვადასხვა სამუშაოს. საჭირო იქნება აგრეთვე კონფერენციები და, განსაკუთრებით, ყრილობებიც, რომელთა გადაწყვეტილება უეჭველად სავალდებულო იქნება შემდეგ ყრილობამდე უმცირესობაში დარჩენილი ამხანაგებისთვის.

ბოლოს, აშკარაა, რომ თავისუფალ და ამხანაგურ შრომას ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც ამხანაგური და სრული

უნდა მოჰყვეს მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ მომავალი საზოგადოება სწორედ იმდენ შრომას მოითხოვს თავისი თვითეული წევრისაგან, რამდენიც მას შეუძლია, მაშინ თვითეულ მათგანს იმდენი შრომის ნაყოფი უნდა დაუბრუნოს, რამდენიც მას სჭირდება. თვითეულისგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით! აი, რა ნიადაგზე უნდა აშენდეს მომავალი კოლექტივისტური წყობილება. რა თქმა უნდა, სოციალიზმის **პირველ** საფეხურზე, როცა ახალ ცხოვრებას შრომას შეუჩვეველი ელემენტები შემოეკედლება, საწარმოო ძალებიც საკმაოდ განვითარებული არ იქნება და «შავსა» და «თეთრ» სამუშაოს ჯერ კიდევ ადგილი ექნება, — ზემოთ წამოყენებული პრინციპის განხორციელება — თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით — უეჭველია, მეტისმეტად გაძნელდება, რის გამო საზოგადოება იძულებული იქნება **დროებით** რაიმე სხვა საშუალო გზას დაადგეს. მაგრამ ცხადია აგრეთვე ისიც, რომ, როდესაც თავის კალაპოტში ჩადგება მომავალი საზოგადოება, როდესაც კაპიტალიზმის ნაშთები ძირიანად გაქრება, — ერთადერთი პრინციპი, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას შეესაბამება, ზემოთ წამოყენებული პრინციპი იქნება.

ამიტომ ამბობდა მარქსი 1875 წელს:

«კომუნისტური (ე. ი. სოციალისტური) საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, მას შემდეგ რაც გაქრება ადამიანის დამმონებელი დაქვემდებარება შრომის დანაწილებისადმი და მასთან ერთად — გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირებაც; როდესაც შრომა არა მარტო ცხოვრების საშუალება იქნება, არამედ პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებადაც გადაიქცევა; როდესაც ინდივიდუმთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება... მხოლოდ მაშინ შეიძლება სავსებით გადალახულ იქნეს ბურჟუაზიული სამართლის ვიწრო ჰორიზონტი და საზოგადოებამ თავის დროშას წააწეროს: «თვი-

თეულმა — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით»» (იხ. «გოთას პროგრამის კრიტიკა») [91].

ასეთია საერთოდ სურათი მომავალი სოციალისტური საზოგადოებისა მარქსის თეორიის მიხედვით.

კეთილი. მაგრამ წარმოსადგენია სოციალიზმის განხორციელება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანი ამოიფხვრის გულიდან თავის «ველურ ჩვეულებებს»?

ანდა კიდევ: თუ თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით მიეცა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა დონე საკმარისი იქნება ამისთვის?

სოციალისტური საზოგადოება გულისხმობს საკმაოდ განვითარებულ საწარმოო ძალებს და ადამიანების სოციალისტურ შეგნებას, მათს სოციალისტურ განათლებას. დღევანდელი საწარმოო ძალების განვითარებას ხელს უშლის არსებული კაპიტალისტური საკუთრება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ საკუთრებას ადგილი აღარ ექნება მომავალ საზოგადოებაში,—თავისთავად ცხადია, რომ საწარმოო ძალები ერთიათად გაიზრდება. არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე ის გარემოება, რომ დღევანდელ მუქთახორათა ასიათასები და აგრეთვე უმუშევარნი მომავალ საზოგადოებაში საქმეს მოეკიდებიან და მშრომელთა რაზმებს მიემატებიან, რაც ძალიან წასწევს საწარმოო ძალების განვითარებას. რაც შეეხება ადამიანების «ველურ» გრძნობებს და შეხედულებებს, ესენი ხომ ისეთი მუდმივი არაა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ: იყო დრო, დრო პირველყოფილი კომუნიზმისა, როცა ადამიანს კერძო საკუთრების არა გაეგებოდა; დადგა დრო, დრო ინდივიდუალისტური წარმოებისა, როცა კერძო საკუთრებამ თავიდან ბოლომდე მოიცვა ადამიანების გრიბობა-გონება; დგება ახალი დრო, დრო სოციალისტური წარმოებისა, — და რაღა გასაკვირველია, თუ ადამიანების გრძნობა-გონებაც სოციალისტური მისწრაფებებით გაიმსჭვალება. განა მდგომარეობა არ განსაზღვრავს ადამიანების «გრძნობებსა» და შეხედულებას?

მაგრამ სადაა საბუთი სოციალისტური წყობილების დამყარების აუცილებლობისა? აუცილებლად მოსდევს თუ არა სოციალიზმი დღევანდელი კაპიტალიზმის განვითარებას? ან სხვანაირად რომ ვთქვათ: საიდან ვიცით, რომ მარქსის პროლეტარული სოციალიზმი ტკბილი ოცნება, ფანტაზია არაა? სად არის ამის მეცნიერული საბუთები?

ისტორია გვიჩვენებს, რომ საკუთრების ფორმა პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების ფორმაზე, რის გამოც წარმოების ფორმის შეცვლასთან ერთად ადრე თუ გვიან აუცილებლად იცვლება საკუთრების ფორმაც. დრო იყო, როცა საკუთრებას კომუნისტური ხასიათი ჰქონდა, როცა ტყეები და ველები, სადაც პირველყოფილი ადამიანები დაძრწოდნენ, ყველას ეკუთვნოდა და არა კერძო პირებს. რატომ არსებობდა მაშინ კომუნისტური საკუთრება? იმიტომ, რომ წარმოებაც კომუნისტური იყო, შრომაც საერთო, კოლექტიური,—ყველა ერთად შრომობდა და უერთმანეთოდ არ ვარგოდნენ. დადგა სხვა დრო, დრო წვრილბურჟუაზიული წარმოებისა, როცა საკუთრებამ ინდივიდუალისტური (კერძო) ხასიათი მიიღო, როცა ყოველივე ის, რაც კი ადამიანს სჭირდება (რა თქმა უნდა, ჰაერის, მზის სინათლის და სხვა ამისთანების გარდა), კერძო საკუთრებად იქნა აღიარებული. რატომ მოხდა ასეთი ცვლილება? იმიტომ, რომ წარმოებაც ინდივიდუალისტური გახდა, ყველა თავისთვის შრომობს ცალკე კუთხეში მიკუნჭული. და, ბოლოს, დგება დრო, დრო მსხვილი კაპიტალისტური წარმოებისა, როცა ასობით და ათასობით მუშა ერთ ჭერქვეშ იყრის თავს, საერთო ფაბრიკაში, და საერთო შრომას ეწევა. აქ ვეღარ ნახავთ ძველ, განკერძოებულ მუშაობას, როცა ყველა თავისთვის იწვევდა,—აქ თვითეული მუშა და თვითეული საამქროს ყველა მუშა მჭიდრო კავშირში მუშაობენ როგორც თავისი საამქროს ამხანაგებთან, ისე დანარჩენ საამქროებთან. საკმარისია ერთი რომელიმე საამქრო შეჩერდეს, რომ ფაბრიკის მთელი მუშები უსაქმოდ დარჩნენ. როგორც ხედავთ, წარმოების პროცესს, შრომას, უკვე საზოგადოებრივი ხასიათი

მიუღია, სოციალისტური ელფერი დასდებია. და ეს ასე ხდება არა მარტო ცალკე ფაბრიკებში, არამედ მთელ დარგებში და წარმოების დარგებს შორისაც: საკმარისია რკინიგზის მუშები გაიფიცხენ, რომ წარმოება მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს; საკმარისია ნავთისა და ქვანახშირის წარმოება შეჩერდეს, რომ რამდენიმე ხნის მერე მთელი ფაბრიკა-ქარხნები მიიხუროს. ცხადია, აქ საზოგადო ხასიათი, კოლექტივისტური ხასიათი მიუღია წარმოების პროცესს. და რადგანაც წარმოების საზოგადო ხასიათს არ შეეფერება მითვისების კერძო ხასიათი, რადგანაც დღევანდელ კოლექტივისტურ შრომას აუცილებლად უნდა მოჰყვეს კოლექტიური საკუთრება, ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ სოციალისტური წყობილება ისევე აუცილებლად მოჰყვება კაპიტალიზმს, როგორც ღამეს დღე.

ასე ასაბუთებს ისტორია მარქსის პროლეტარული სოციალიზმის გარდუვალობას.

* * *

ისტორია გვეუბნება, რომ ის კლასი, ან ის სოციალური ჯგუფი, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს საზოგადოებრივ წარმოებაში და რომელიც თავის ხელში ატრიალებს წარმოების უმთავრეს ფუნქციებს, დღეს არა, ხვალ, ხვალ არა, ზეგ, აუცილებლად უნდა გადაიქცეს ამ წარმოების ბატონპატრონად. იყო დრო, დრო მატრიარქატისა, როცა დედაკაცები წარმოების ბატონპატრონად ითვლებოდნენ. რით ავხსნათ ეს? იმით, რომ მაშინდელ წარმოებაში, პირველყოფილ მიწათმოქმედებაში, დედაკაცები უმთავრეს როლს თამაშობდნენ, ყველა მთავარ ფუნქციას ასრულებდნენ, მაშინ როდესაც მამაკაცები ტყე-ტყე დაძრწოდნენ ნადირის საშოვრად. დადგა დრო, დრო პატრიარქატისა, როცა წარმოების ბატონპატრონობა მამაკაცების ხელში გადავიდა. რატომ მოხდა ასეთი ცვლილება? იმიტომ, რომ მაშინდელ წარმოებაში, მეჯოგურ მეურნეობაში, სადაც წარმოების მთავარი იარაღები იყო შუბი, ქამანდი და მშვილდ-ისარი, უმთავრეს როლს მამაკაცები თამაშობდნენ... დგება დრო, დრო მსხვილი

კაპიტალისტური წარმოებისა, როცა პროლეტარები უმთავრეს როლს ასრულებენ წარმოებაში, როცა ყველა მთავარი საწარმოო ფუნქცია მათს ხელში გადადის, როცა წარმოება ერთ დღესაც ვერ გასძლებს უიმათოდ (გაიხსენეთ საყოველთაო გაფიცვები), როცა კაპიტალისტები არა თუ საჭიროებას არ წარმოადგენენ წარმოებისთვის, არამედ ხელსაც უშლიან მას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ან სავსებით უნდა დაინგრეს ყოველივე საზოგადოებრივი ცხოვრება, ან პროლეტარიატი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა გადაიქცეს დღევანდელი წარმოების ბატონპატრონად, მის ერთადერთ მესაკუთრედ, მის სოციალისტურ მესაკუთრედ.

დღევანდელი სამრეწველო კრიზისები, რომელიც ანდერძს უგებს კაპიტალისტურ საკუთრებას და გადაჭრით აყენებს კითხვას: **ან** კაპიტალიზმი, **ან** სოციალიზმიო, — სრულიად ნათელყოფს ამ დასკვნას, პირდაპირ ააშკარავებს კაპიტალისტების ხორცშეტობას და სოციალიზმის გამარჯვების აუცილებლობას.

აი კიდევ როგორ ასაბუთებს ისტორია მარქსის პროლეტარული სოციალიზმის აუცილებლობას.

დიახ, გულჩვილობაზე კი არა, განყენებულ «სამართლიანობაზე» კი არა, პროლეტარიატისადმი სიყვარულზე კი არა,— არამედ ზემოთ მოყვანილ მეცნიერულ საბუთებზეა დამყარებული პროლეტარული სოციალიზმი.

აი რატომ უწოდებენ პროლეტარულ სოციალიზმს აგრეთვე «მეცნიერულ სოციალიზმს».

ენგელსი ჯერ კიდევ 1877 წელს ამბობდა:

«ჩვენი რწმენა შრომის პროდუქტების განაწილების თანამედროვე წესის მომავალი გარდაქმნისა... მხოლოდ იმ შეგნებას რომ ემყარებოდეს, რომ განაწილების ეს წესი უსამართლოა, და სამართლიანობა კი ბოლოს მაინც გაიმარჯვებს, ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა და დიდხანს მოგვიხდებოდა ლოდინი...» თავიდათავი ის არის, რომ «თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების წესის მიერ შექმნილი საწარმოო ძალები, ისე როგორც მის მიერ შემუშავებული სისტემა დოვლათის განაწილებისა,

მწვავე წინააღმდეგობაში ჩავარდა თვით წარმოების ამ წესთან და ისიც იმდენად, რომ წარმოებისა და განაწილების წესის ისეთი გადატრიალება უნდა მოხდეს, რომელიც გააუქმებს ყოველ კლასობრივ განსხვავებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი თანამედროვე საზოგადოება დაიღუპება. თანამედროვე სოციალიზმის გამარჯვების რწმენა ემყარება ამ ხელშესახებ მატერიალურ ფაქტს... და არა ამა თუ იმ კაბინეტური მოაზროვნის წარმოდგენებს სამართლიანობასა და უსამართლობაზე» (იხ. «ანტიდიურინგი») [92].

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ, რაკი კაპიტალიზმი იხრწნება, ამიტომ სოციალისტური წყობილება ყოველთვის შეიძლება განვახორციელოთ, როცა კი ამას მოვინდომებთ. ასე მხოლოდ ანარქისტები და სხვა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები ფიქრობენ. სოციალისტური იდეალი არ არის ყველა კლასის იდეალი. ეს მხოლოდ პროლეტარიატის იდეალია, და მის განხორციელებაში უშუალოდ დაინტერესებულია არა ყველა კლასი, არამედ მხოლოდ პროლეტარიატი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანამ პროლეტარიატი საზოგადოების მცირე ნაწილს შეადგენს, მანამდე შეუძლებელია სოციალისტური წყობილების დამყარება. წარმოების ძველი ფორმის დასამარება, კაპიტალისტური წარმოების უფრო გამსხვილება და საზოგადოების უმრავლესობის გაპროლეტარება – აი რა პირობებია საჭირო სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. შეიძლება საზოგადოების უმეტესობა უკვე გაპროლეტარებული იყოს, მაგრამ სოციალიზმი მაინც ჯერ კიდევ ვერ დამყარდეს. და ეს იმიტომ, რომ სოციალიზმის დასამყარებლად, გარდა ყოველივე ამისა, საჭიროა კიდევ კლასობრივი შეგნება, პროლეტარიატის დარაზმვა და უნარი საკუთარი საქმეების გაძღოლისა. ხოლო ყოველივე ამის შესაძენად, თავის მხრივ, საჭიროა ეგრეთწოდებული პოლიტიკური თავისუფლება, ე. ი. სიტყვის, ბეჭდვის, გაფიცვის, კავშირის, ერთი სიტყვით, კლასთა ბრძოლის თავისუფლება. პოლიტიკური თავისუფლება კი

ყველგან ერთნაირად არაა დაცული. ამიტომ პროლეტარიატისთვის სულ ერთი არაა, როგორ პირობებში მოუხდება მას ბრძოლა: თვითმპყრობელურ-ბატონყმურში (რუსეთი), მონარქიულ-კონსტიტუციურში (გერმანია), მსხვილბურჟუაზიულ-რესპუბლიკურში (საფრანგეთი), თუ დემოკრატიულ-რესპუბლიკურ პირობებში (რასაც რუსეთის სოციალ-დემოკრატია მოითხოვს). ყველაზე უფრო კარგად, ყველაზე უფრო სრულად დემოკრატიულ რესპუბლიკაშია უზრუნველყოფილი პოლიტიკური თავისუფლება, რა თქმა უნდა, რამდენადაც კი შეიძლება იყოს ის უზრუნველყოფილი კაპიტალიზმის დროს. ამიტომ პროლეტარული სოციალიზმის ყოველი მომხრე აუცილებლად ცდილობს შემოღებულ იქნას დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც საუკეთესო «გზა და ხიდი» სოციალიზმისკენ.

ამიტომ არის, რომ მარქსისტული პროგრამა დღევანდელ პირობებში ორ ნაწილად იყოფა: **პროგრამა-მაქსიმუმად,** რომელსაც მიზნად აქვს სოციალიზმის დამყარება, და **პროგრამა-მინიმუმად,** რომელსაც მიზნად აქვს გზის გაკაფვა სოციალიზმისთვის დემოკრატიული რესპუბლიკის შემწეობით.

* * *

როგორ უნდა იმოქმედოს, რა გზას უნდა დაადგეს პროლეტარიატი, რომ შეგნებულად განახორციელოს თავისი პროგრამა, დაამხოს კაპიტალიზმი და ააშენოს სოციალიზმი?

პასუხი ნათელია: პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სოციალიზმს ბურჟუაზიასთან შერიგებით. ის აუცილებლად ბრძოლის გზას უნდა დაადგეს, და ეს ბრძოლა უნდა იყოს კლასობრივი ბრძოლა, ბრძოლა მთელი პროლეტარიატისა მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ან ბურჟუაზია მისი კაპიტალიზმით, ან პროლეტარიატი მისი სოციალიზმით! აი რას უნდა ემყარებოდეს პროლეტარიატის მოქმედება, მისი კლასობრივი ბრძოლა.

მაგრამ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას ბევრნაირი ფორმა აქვს. კლასობრივი ბრძოლაა, მაგალითად, გაფიცვა,—

სულ ერთია, ნაწილობრივი იქნება ის თუ საყოველთაო. კლასობრივი ბრძოლაა, უეჭველია, ბოიკოტი, საბოტაჟი. კლასობრივი ბრძოლაა აგრეთვე მანიფესტაცია, დემონსტრაცია, წარმომადგენლობით დაწესებულებებში მონაწილეობა და სხვა — სულ ერთია, საერთო პარლამენტები იქნება ეს, თუ ადგილობრივი თვითმმართველობანი. ყველა ეს სხვადასხვა ფორმებია ერთი და იმავე კლასობრივი ბრძოლისა. ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის გამორკვევას, თუ ბრძოლის რომელ ფორმას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატისთვის მის კლასობრივ ბრძოლაში, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თავის დროს და თავის ადგილზე თვითეული მათგანი უთუოდ აუცილებელია პროლეტარიატისთვის, როგორც საჭირო იარაღი მის გასათვითცნობიერებლად და დასარაზმავად. გათვითცნობიერება და დარაზმვა საჭიროა პროლეტარიატისთვის ისე, როგორც ჰაერი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ აგრეთვე ის, რომ ყველა ეს ფორმები მხოლოდ **მომამზადებელი** საშუალებანია პროლეტარიატისთვის, რომ არც ერთი ეს ფორმა, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს ისეთ **გადამჭრელ** საშუალებას, რომლის შემწეობითაც პროლეტარიატი შესძლებს კაპიტალიზმის განადგურებას. შეუძლებელია, რომ მარტო საყოველთაო გაფიცვით კაპიტალიზმი დაინგრეს: საყოველთაო გაფიცვას მხოლოდ ზოგიერთი პირობა შეუძლია მოამზადოს კაპიტალიზმის დასანგრევად. წარმოუდგენელია, რომ მხოლოდ პარლამენტში მონაწილეობით კაპიტალიზმი დაამხოს პროლეტარიატმა: პარლამენტარიზმის შემწეობით მხოლოდ ზოგიერთი პირობა შეიძლება მომზადდეს კაპიტალიზმის დასამხობად.

მაშ რაში მდგომარეობს ის **გადამჭრელი** საშუალება, რომლის შემწეობითაც ძირს დასცემს პროლეტარიატი კაპიტალისტურ წყობილებას?

ეს საშუალებაა **სოციალისტური რევოლუცია**.

გაფიცვები, ბოიკოტი, პარლამენტარიზმი, მანიფესტაცია, დემონსტრაცია—ბრძოლის ყველა ეს ფორმა კარგია, როგორც პროლეტარიატის მომამზადებელი და მისი დამრაზმველი

საშუალებანი. მაგრამ არც ერთ ამ საშუალებას არ შეუძლია წესი აუგოს დღევანდელ უთანასწორობას. საჭიროა ყველა ამ საშუალებამ თავი მოიყაროს რომელიმე ერთ, მთავარ და გადამჭრელ საშუალებაში, საჭიროა პროლეტარიატი აღდგეს და მედგარი იერიშები მიიტანოს ბურჟუაზიაზე, რომ თავიდან ბოლომდე დაიმსხვრეს კაპიტალიზმი. სწორედ ასეთი მთავარი და გადამჭრელი საშუალებაა სოციალისტური რევოლუცია.

სოციალისტური რევოლუცია არ არის მოულოდნელი და ხანმოკლე დარტყმა, — ეს ხანგრძლივი ბრძოლაა პროლეტართა მასისა, რომელიც ამარცხებს და პოზიციებს ართმევს ბურჟუაზიას. და რადგანაც პროლეტარიატის გამარჯვება იმავე დროს მისი გაბატონება იქნება დამარცხებულ ბურჟუაზიაზე, რადგანაც **კლასთა შეჯახების დროს** ერთი კლასის დამარცხება მეორის ბატონობას მოასწავებს,—ამიტომ სოციალისტური რევოლუციის პირველი საფეხური პროლეტარიატის პოლიტიკური გაბატონება იქნება ბურჟუაზიაზე.

პროლეტარიატის სოციალისტური **დიქტატურა,** პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება—აი რით უნდა დაიწყოს სოციალისტური რევოლუცია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ **სანამ ბურჟუაზია სავსებით არ დამარცხებულა,** სანამ მას ქონება არ ჩამორთმევია, პროლეტარიატს აუცილებლად ეყოლება თავისი სამხედრო ძალა, აუცილებლად ეყოლება თავისი «პროლეტარული გვარდია», რომლის შემწეობითაც იგი მოიგერიებს მომაკვდავი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ იერიშებს, სწორედ ისე, როგორც ეს პარიზის პროლეტარიატს ჰყავდა კომუნის დროს.

პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურა კი იმისთვისაა საჭირო, რომ მისი შემწეობით პროლეტარიატმა მოახდინოს ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია, რომ მისი შემწეობით ჩამოართვას მთელ ბურჟუაზიას ადგილ-მამული, ტყე, ფაბრიკა-ქარხნები, მანქანები, რკინიგზები და სხვა.

ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია—აი რა უნდა განახორციელოს სოციალისტურმა რევოლუციამ.

ასეთია ის მთავარი და გადამჭრელი საშუალება, რომლის შემწეობითაც ძირს დასცემს პროლეტარიატი დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილებას.

ამიტომ ამბობდა კარლ მარქსი ჯერ კიდევ 1847 წელს:

«...პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში წარმოადგენს პროლეტარიატის გადაქცევა გაბატონებულ კლასად... პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისთვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოგლიჯოს ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი და მოახდინოს წარმოების ყველა იარაღთა ცენტრალიზაცია... გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში...» (იხ. «კომუნისტური მანიფესტი»).

აი რა გზით უნდა იაროს პროლეტარიატმა, თუ მას სოციალიზმის განხორციელება უნდა.

ამ საერთო პრინციპიდან გამომდინარეობს სხვა დანარჩენი ტაქტიკური შეხედულებანი. გაფიცვებს, ბოიკოტს, დემონსტრაციებს, პარლამენტარიზმს მხოლოდ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ პროლეტარიატის დარაზმვას, მისი ორგანიზაციების განმტკიცება-გაფართოებას სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად.

* * *

ამრიგად, სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა სოციალისტური რევოლუცია, სოციალისტური რევოლუცია კი პროლეტარიატის დიქტატურით უნდა დაიწყოს, ე. ი. პროლეტარიატმა უნდა ჩაიგდოს ხელში პოლიტიკური ძალაუფლება, რომ მისი შემწეობით ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია მოახდინოს.

მაგრამ ყოველივე ამისთვის საჭიროა პროლეტარიატის დარაზმვა, პროლეტარიატის შემჭიდროება, მისი გაერთიანება, მჭიდრო პროლეტარული ორგანიზაციების შექმნა და მათი განუწყვეტელი ზრდა.

რა ფორმები უნდა მიიღონ პროლეტარიატის ორგანიზაციებმა?

ყველაზე უფრო გავრცელებული და მასობრივი ორგანიზაციები — ეს პროფესიული კავშირები და მუშათა კოოპერატივებია (მეტწილად საწარმოო-სამომხმარებლო კოოპერატივები). კავშირების მიზანია ბრძოლა (უმთავრესად) სამრეწველო კაპიტალთან მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დღევანდელი კაპიტალიზმის ფარგლებში. კოოპერატივების მიზანია ბრძოლა (უმთავრესად) სავაჭრო კაპიტალთან საჭირო ნივთებზე ფასების დაწევით მუშათა მოხმარების გასაფართოებლად, რა თქმა უნდა, იმავე კაპიტალიზმის ფარგლებში. როგორც პროფკავშირები, ისე კოოპერატივები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ პროლეტარიატისთვის, როგორც პროლეტართა მასის დამრაზმავი საშუალებანი. ამიტომ, მარქსისა და ენგელსის პროლეტარული სოციალიზმის თვალსაზრისით, პროლეტარიატმა ორგანიზაციის ორივე ამ ფორმას უნდა ჩასჭიდოს ხელი და გაამაგროს, გააძლიეროს, — რა თქმა უნდა, რამდენადაც ამას ხელს უწყობს არსებული პოლიტიკური პირობები.

მაგრამ მარტო პროფესიული კავშირები და კოოპერატივები ვერ დააკმაყოფილებენ მებრძოლი პროლეტარიატის ორგანიზაციულ მოთხოვნილებებს. და ეს იმიტომ, რომ ხსენებული ორგანიზაციები კაპიტალისტურ ფარგლებს ვერ სცილდება, რადგან მათი მიზანი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაა კაპიტალიზმის ფარგლებში. მუშებს კი სრული განთავისუფლება უნდათ კაპიტალისტური მონობისგან, მათ ამ ფარგლების დამსხვრევა უნდათ და არა მარტო კაპიტალიზმის ფარგლებში ტრიალი. მაშასადამე, საჭიროა კიდევ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გარშემო შემოიკრებს **ყველა** პროფესიის მუშათა შეგნებულ ელემენტებს, შეგნებულ კლასად გადააქცევს პროლეტარიატს და უმთავრეს მიზნად დაისახავს კაპიტალისტური წესების განადგურებას, სოციალისტური რევოლუციის მომზადებას.

ასეთი ორგანიზაციაა პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ეს პარტია უნდა იყოს კლასობრივი პარტია, სრულიად დამოუკიდებელი სხვა პარტიებისგან, — და ეს იმიტომ, რომ ის არის პარტია პროლეტართა კლასისა, რომელთა განთავისუფლება მხოლოდ მათივე ხელით შეიძლება მოხდეს.

ეს პარტია უნდა იყოს რევოლუციური პარტია, — და ეს იმიტომ, რომ მუშათა განთავისუფლება მხოლოდ რევოლუციური გზით შეიძლება მოხდეს, სოციალისტური რევოლუციის შემწეობით.

ეს პარტია უნდა იყოს ინტერნაციონალური პარტია, პარტიის კარი ღია უნდა იყოს ყველა შეგნებული პროლეტარისთვის, — და ეს იმიტომ, რომ მუშათა განთავისუფლება არის არა ნაციონალური საკითხი, არამედ — სოციალური, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართველი პროლეტარისთვის, ისე რუსი და სხვა ერის პროლეტარებისთვის.

აქედან ცხადია, რომ რაც უფრო მჭიდროდ შეერთდებიან სხვადასხვა ერის პროლეტარები, რაც უფრო საფუძვლიანად დაინგრევა მათ შორის ამართული ნაციონალური კედლები, მით უფრო ძლიერი იქნება პროლეტარიატის პარტია, მით უფრო გაადვილდება პროლეტარიატის დარაზმვა ერთ, განუყოფელ კლასად.

ამიტომ საჭიროა, რამდენადაც კი შეიძლება, ცენტრალიზმის პრინციპი გატარდეს პროლეტარიატის ორგანიზაციებში, წინააღმდეგ ფედერალისტური დაქუცმაცებისა,—სულ ერთია, იქნება ეს ორგანიზაციები პარტია, კავშირები თუ კოოპერატივები.

ცხადია აგრეთვე ის, რომ ყველა ეს ორგანიზაცია დემოკრატიულ საფუძველზე უნდა შენდებოდეს, რა თქმა უნდა, რამდენადაც ამას ხელს არ შეუშლის ესა თუ ის პოლიტიკური და სხვა პირობები.

რა დამოკიდებულება უნდა იყოს, ერთი მხრივ, პარტიასა, და მეორე მხრივ, კოოპერატივებსა და კავშირებს შორის? უპარტიონი უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი თუ პარტიულნი? ამ საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე, თუ სად და როგორ

პირობებში უხდება ბრძოლა პროლეტარიატს. ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ კავშირებიც და კოოპერატივებიც მით უფრო სრულად ვითარდებიან, რაც უფრო მეგობრულ განწყობილებაში არიან პროლეტარიატის სოციალისტურ პარტიასთან. და ეს იმიტომ, რომ ორივე ეს ეკონომიური ორგანიზაცია, თუ ისინი ახლო არ დგანან ძლიერ სოციალისტურ პარტიასთან, ხშირად წვრილმანდებიან ხოლმე, დავიწყებას აძლევენ საერთო კლასობრივ ინტერესებს ვიწრო პროფესიული ინტერესების სასარგებლოდ და მით დიდი ზიანი მოაქვთ პროლეტარიატისთვის. ამიტომ საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნას პარტიის იდეურ-პოლიტიკური გავლენა კავშირებზე და კოოპერატივებზე. მხოლოდ ამ პირობებში გადაიქცევა ხსენებული ორგანიზაციები იმ სოციალისტურ სკოლად, რომელიც შეგნებულ კლასად დარაზმავს ცალკე ჯგუფებად დაქუცმაცებულ პროლეტარიატს.

ასეთია, საერთოდ, მარქსისა და ენგელსის პროლეტარული სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშნები.

როგორ უყურებენ ანარქისტები პროლეტარულ სოციალიზმს?

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ, რომ პროლეტარული სოციალიზმი არ არის უბრალო ფილოსოფიური მოძღვრება. ის პროლეტართა მასის მოძღვრებაა, მათი დროშაა, რომელსაც პატივსა სცემს და «ეთაყვანება» მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. მაშასადამე, მარქსი და ენგელსი არიან რომელიმე ფილოსოფიური «სკოლის» არა უბრალო მამამთავრები — ისინი ცოცხალი ბელადებია ცოცხალი პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება. ვინც ამ მოძღვრებას ებრძვის, ვისაც მისი «დამხობა» უნდა, მან კარგად უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ეს, რომ ტყუილუბრალოდ არ გაიტეხოს შუბლი უსწორო ბრძოლაში. ეს კარგად იციან ბ-ნმა ანარქისტებმაც. ამიტომ არის, რომ სრულიად უჩვეულო, თავისებურ ახალ იარაღს იღებენ ხელში მარქსისა და ენგელსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რას წარმოადგენს ეს ახალი იარაღი? კაპიტალისტური წარმოების ახალი გამოკვლევაა იგი? მარქსის «კაპიტალის» გაბათილებაა? რა თქმა უნდა, არა! ან იქნება «ახალი ფაქტებით» და «ინდუქტიური» მეთოდით შეიარაღებულნი «მეცნიერულად» არღვევენ სოციალ-დემოკრატიის «სახარებას» — მარქსისა და ენგელსის «კომუნისტურ მანიფესტს»? არა და არა! მაშ რაღაა ეს არაჩვეულებრივი საშუალება?

ეს არის მარქსისა და ენგელსისათვის «ლიტერატურული ქურდობის» დაბრალება! თურმე ნუ იტყვით, მარქსსა და ენგელსს თავისი არა ჰქონიათ-რა, მეცნიერული სოციალიზმი ჭორი ყოფილა, და ეს იმიტომ, რომ მარქს-ენგელსის «კომუნისტური მანიფესტი» თავიდან ბოლომდე «მოპარული» ყოფილა ვიქტორ კონსიდერანის «მანიფესტიდან». ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სასაცილოა, მაგრამ ანარქისტების «უებრო ბელადი» ვ. ჩერქეზიშვილი ისეთი რიხით მოგვითხრობს ამ გასართობ ამბავს, ჩერქეზიშვილის თავქარიანი «მოციქული», ვინმე პიერ რამუსი, და ჩვენებური ანარქისტებიც ისეთი გულმოდგინებით იმეორებენ ამ «აღმოჩენას», — რომ ღირს მოკლედ მაინც შევჩერდეთ ამ «ისტორიაზე».

ყური დაუგდეთ ჩერქეზიშვილს:

««კომუნისტური მანიფესტის» მთელი თეორიული ნაწილი, სახელდობრ პირველი და მეორე თავი... ამოღებულია ვ. კონსიდერანიდან. მარქსისა და ენგელსის «მანიფესტი»,—ეს ლეგალურ-რევოლუციური დემოკრატიის ბიბლია, წარმოადგენს, მაშასადამე, ვ. კონსიდერანის «მანიფესტის» მხოლოდ უმნო გადმოსხვაფერებას. და მარქსმა და ენგელსმა არა მარტო შინაარსი მიითვისეს კონსიდერანის «მანიფესტიდან», არამედ... ცალკე სათაურებიც კი ამოიღეს» (იხ. გერმანულ ენაზე გამოცემული კრებული ჩერქეზიშვილის, რამუსის და ლაბრიოლას წერილებისა სახელწოდებით: ««კომუნისტური მანიფესტის» წარმოშობა», გვ. 10).

ამასვე იმეორებს მეორე ანარქისტი, პ. რამუსი:

«გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ მათი (მარქს-ენგელსის) უმთავრესი ნაწარმოები («კომუნისტური მანიფესტი») — პირდაპირ ნაქურდალია (პლაგიატია), უნამუსო ნაქურდალი, და მათ სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოუწერიათ, როგორც ამას ჩვეულებრივი ქურდები შვრებიან ხოლმე, არამედ მხოლოდ აზრები და თეორიები მოუპარავთ...» (იხ. იქვე, გვ. 4).

ამასვე იმეორებენ ჩვენებური ანარქისტები «ნობათში», «მუშაში» [93], «ხმაში» [94] და სხვ.

მაშ ასე: მეცნიერული სოციალიზმი მისი თეორიული საფუძვლებით კონსიდერანის «მანიფესტიდან» ყოფილა «მოპარული».

არსებობს კი რაიმე საბუთი ამგვარი მტკიცებისთვის?

ვინ არის ვ. კონსიდერანი?

ვინ არის კარლ მარქსი?

ვ. კონსიდერანი, რომელიც 1893 წელს მოკვდა, უტოპისტ ფურიეს მოწაფე იყო და დარჩა გაუსწორებელი **უტოპისტი**, რომელიც კლასთა **შერიგებაზე** ამყარებდა «საფრანგეთის ხსნას».

კარლ მარქსი, რომელიც 1883 წელს მოკვდა, მატერიალისტი იყო, **უტოპისტების მტერი**, რომელიც კაცობრიობის განთავისუფლებას საწარმოო ძალთა განვითარებასა და კლასთა **ბრძოლაზე** ამყარებდა.

რა არის მათ შორის საერთო?

მეცნიერული სოციალიზმის **თეორიული** საფუძველი მარქს-ენგელსის მატერიალისტური თეორიაა. ამ თეორიის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება სავსებით დამყარებულია საწარმოო ძალთა განვითარებაზე. თუ ბატონყმურ წყობილებას ბურჟუაზიული წყობილება მოჰყვა — ეს იმის «ბრალია», რომ საწარმოო ძალთა განვითარებამ აუცილებელყო ბურჟუაზიული წყობილების წარმოშობა. ან კიდევ: თუ თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილებას აუცილებლად მოჰყვება სოციალისტური წყობილება, ესეც იმიტომ, რომ ამას მოითხოვს დღევანდელ

საწარმოო ძალთა განვითარება. აქედან წარმოსდგება ისტორიული აუცილებლობა კაპიტალიზმის დანგრევისა და სოციალიზმის დამყარებისა. აქედანვე წარმოსდგება ის მარქსისტული დებულება, რომლითაც ჩვენს იდეალებს საწარმოო ძალთა განვითარების ისტორიაში უნდა ვეძებდეთ, და არა ადამიანების თავში.

ასეთია **თეორიული** საფუძველი მარქს-ენგელსის **«კომუნისტური** მანიფესტისა» (იხ. «კომუნისტური მანიფესტი», I, II თავი).

ამბობს თუ არა ასეთ რამეს ვ. კონსიდერანის **«დემოკრატიული** მანიფესტი»? დგას თუ არა კონსიდერანი მატერიალისტურ თვალსაზრისზე?

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არც ჩერქეზიშვილს, არც რამუსს და არც ჩვენს «ნობათისტებს» **არც ერთი** წინადადება, **არც ერთი** სიტყვა არ მოჰყავთ კონსიდერანის «დემოკრატიული მანიფესტიდან» იმის სასარგებლოდ, ვითომ კონსიდერანი მატერიალისტი იყოს და საწარმოო ძალთა განვითარებაზე ამყარებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციას. პირიქით, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ კონსიდერანი ცნობილია სოციალიზმის ისტორიაში როგორც იდეალისტ-უტოპისტი (იხ. **პოლ ლაფარგი**, «სოციალიზმის ისტორია საფრანგეთში»).

მაშ რა ალაპარაკებთ ამ ახირებულ «კრიტიკოსებს», რისთვის კიდებენ ხელს მარქსისა და ენგელსის კრიტიკას, თუ იმდენიც კი არ შეუძლიათ, რომ იდეალიზმი და მატერიალიზმი გაარჩიონ ერთმანეთისგან? ნუთუ იმისთვის, რომ ქვეყანა გააცინონ?..

მეცნიერული სოციალიზმის **ტაქტიკური** საფუძველი არის მოძღვრება კლასთა შეურიგებელი ბრძოლისა, რადგანაც იგი **საუკეთესო** იარაღია პროლეტარიატის ხელში. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა — ეს ის იარაღია, რომლის შემწეობითაც ის დაიპყრობს პოლიტიკურ ძალაუფლებას და შემდეგ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას მოახდენს სოციალიზმის დასამყარებლად.

ასეთია **ტაქტიკური** საფუძველი მეცნიერული სოციალიზმისა, რომელიც მარქს-ენგელსის «მანიფესტში» არის მოცემული.

ამბობს თუ არა ასეთ რამეს კონსიდერანის «დემოკრატიული მანიფესტი», სწამს თუ არა კონსიდერანს კლასთა ბრძოლა როგორც საუკეთესო იარაღი პროლეტარიატის ხელში?

როგორც ჩერქეზიშვილის და რამუსის წერილებიდან სჩანს (იხ. ზემოთ დასახელებული კრებული), კონსიდერანის «მანიფესტი» არაფერს ასეთს არ ამბობს, — ის მხოლოდ აღნიშნავს კლასთა ბრძოლას როგორც სამწუხარო ფაქტს. რაც შეეხება კლასთა ბრძოლას როგორც კაპიტალიზმის დანგრევის საშუალებას, აი რას ამბობს ამაზე კონსიდერანი თავის «მანიფესტში»:

«კაპიტალი, შრომა და ტალანტი — აი სამი ძირითადი ელემენტი წარმოებისა, სიმდიდრის სამი წყარო. სამი მამოძრავებელი ბორბალი სამრეწველო მექანიზმისა... სამ კლასს, რომლებიც მათ წარმოადგენენ, «საერთო ინტერესები» აქვთ; მათი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მანქანები აამოძრაონ როგორც კაპიტალისტებისთვის, ისე ხალხისთვის... მათ წინაშე... დიადი მიზანია, ნაციონალური **ერთიანობის საფუძველზე ყველა კლასის გაერთიანებისა...**» (იხ. კ. კაუცკის ბროშურა «კომუნისტური მანიფესტი, როგორც პლაგიატი», სადაც ამოწერილია კონსიდერანის «მანიფესტის» ეს ადგილი, გვ. 14).

ყველა კლასებო, შეერთდით! — აი რა ლოზუნგს ქადაგებს თავის «დემოკრატიულ მანიფესტში» ვ. კონსიდერანი.

რა აქვს საერთო კლასთა **შერიგების** ამ ტაქტიკას და კლასთა შეურიგებელი **ბრძოლის** ტაქტიკას მარქს-ენგელსისას, რომლებიც გადაჭრით მოუწოდებენ: **ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით ყველა ანტიპროლეტარული კლასების წინააღმდეგო?**

რა თქმა უნდა, არაფერი!

მაშ რაებს ჩმახავენ ეს ბ-ნი ჩერქეზიშვილები და მათი თავქარიანი ამყოლ-დამყოლები! მკვდრები ხომ არ ვგონივართ? ნუთუ ფიქრობენ, რომ მათ შარაზე არ გამოვიყვანთ?!

დასასრულ, საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. ვ. კონსიდერანმა 1893 წლამდე იცოცხლა. 1843 წელს თავისი «დემოკრატიული მანიფესტი» გამოსცა. 1847 წლის ბოლოს მარქსმა

და ენგელსმა დასწერეს თავიანთი «კომუნისტური მანიფესტი». მას შემდეგ მარქს-ენგელსის «მანიფესტი» რამდენჯერმე გამოიცა ყველა ევროპულ ენაზე. ყველამ იცის, რომ მარქსმა და ენგელსმა ეპოქა შექმნეს თავიანთი «მანიფესტით». მიუხედავად ამისა **არსად, არც ერთხელ,** არც კონსიდერანს და არც მის მეგობრებს არ განუცხადებიათ მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში, რომ მარქსმა და ენგელსმა კონსიდერანის «მანიფესტიდან» მოიპარეს «სოციალიზმი». განა საკვირველი არ არის ეს, მკითხველო?

მაშ რა ალაპარაკებთ ამ «ინდუქტიურ» მეტიჩრებს... უკაცრავად — «მეცნიერებს»? ვის მაგიერ ლაპარაკობენ? ნუთუ კონსიდერანზე უკეთ იცნობენ მის «მანიფესტს»? ან იქნებ ჰგონიათ, რომ ვ. კონსიდერანს და მის მომხრეებს წაკითხული არ ექნებოდათ «კომუნისტური მანიფესტი»?..

მაგრამ კმარა... კმარა, რადგანაც აღარც თვითონ ანარქისტები აქცევენ სერიოზულ ყურადღებას რამუს-ჩერქეზიშვილის დონკიხოტურ გალაშქრებას: მეტისმეტი ცხადია ამ სასაცილო გალაშქრების სამარცხვინო დასასრული, რომ დიდი ყურადღება დაუთმოს კაცმა...

გადავიდეთ არსებით კრიტიკაზე.

* * *

ანარქისტებს ერთი ავადმყოფობა სჭირთ: მათ ძალიან უყვართ მოწინააღმდეგე პარტიების «გაკრიტიკება», მაგრამ თავს არ იწუხებენ, რომ რამდენადმე მაინც გაეცნონ ამ პარტიებს. ჩვენ ვნახეთ, რომ სწორედ ასე მოიქცნენ ანარქისტები, როცა ისინი სოციალ-დემოკრატების დიალექტიკურ მეთოდს და მატერიალისტურ თეორიას «აკრიტიკებდნენ» (იხ. I და II თავი). ასევე იქცევიან ისინი, როცა სოციალ-დემოკრატების მეცნიერული სოციალიზმის თეორიას ეხებიან.

ავიღოთ თუნდაც შემდეგი ფაქტი. ვინ არ იცის, რომ ესერებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის პრინციპული განსხვავებაა?

ვინ არ იცის, რომ პირველნი უარყოფენ მარქსიზმს, მარქსიზმის მატერიალისტურ თეორიას, მის დიალექტიკურ მეთოდს, მის პროგრამას, კლასთა ბრძოლას, — მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატები მარქსიზმს ემყარებიან თავიდან ბოლომდე? ვისაც შორიდან მაინც მოუკრავს ყური «Революционная Россия»-ს (ესერების ორგანოა) და «ისკრის» (სოციალ-დემოკრატების ორგანოა) პოლემიკისთვის, მისთვის თავისთავად ცხადი უნდა იყოს ეს პრინციპული განსხვავება. მაგრამ რას იტყვით იმ «კრიტიკოსებზე», რომლებიც არ ხედავენ ამ განსხვავებას და ხმამაღლა გაიძახიან: ესერები და სოციალ-დემოკრატები ორივენი მარქსისტები არიანო? ასე, მაგალითად, ანარქისტები ამბობენ, რომ როგორც «Революционная Россия», ისე «ისკრა» — ორივე **მარქსისტების ორგანოა** (იხ. «Хлеб и воля», ანარქისტების კრებული, გვ. 202).

ასე «იცნობენ» ანარქისტები სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს!

ამის შემდეგ თავისთავად ცხადია, თუ რამდენად საფუძვლიანი იქნება მათი «მეცნიერული კრიტიკა»...

განვიხილოთ ეს «კრიტიკაც».

ანარქისტების მთავარი «ბრალდება» იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სოციალ-დემოკრატებს ნამდვილ **სოციალისტებად** არ სცნობენ, თქვენ არა ხართ სოციალისტები, თქვენ სოციალიზმის მტრები ხართო, — გაიძახიან ანარქისტები.

აი რას სწერს ამაზე კროპოტკინი:

«...ჩვენ ვაკეთებთ სხვა დასკვნებს, ვიდრე... სოციალ-დემოკრატიული სკოლის... ეკონომისტების უმრავლესობა... ჩვენ... თავისუფალ კომუნიზმს ვაღიარებთ, მაშინ როდესაც სოციალისტების უმეტესობა (იგულისხმე სოციალ-დემოკრატებიც. **ავტორი**) სახელმწიფო კაპიტალიზმს და კოლექტივიზმს აღიარებს» (იხ. **კროპოტკინი**, «Современная наука и анархизм», გვ. 74—75).

რაში მდგომარეობს სოციალ-დემოკრატების «სახელმწიფო კაპიტალიზმი» და «კოლექტივიზმი»?

აი რას სწერს ამაზე კროპოტკინი:

«გერმანელი სოციალისტები ამბობენ, რომ მთელი დაგროვილი სიმდიდრე უნდა დატრიალდეს სახელმწიფოს ხელში. რომელიც ყოველივე ამას მუშათა ასოციაციებს მოახმარებს. მოაწყობს წარმოებას და გაცვლა-გამოცვლას და თვალყურს »დევნებს საზოგადოების ცხოვრებასა და მუშაობას» (იხ. **კროპოტკინი, «Речи бунтовщика»**, გვ. 64).

და შემდეგ:

«თავიანთ პროექტებში... კოლექტივისტები ორნაირ შეცდომას სჩადიან. მათ უნდათ კაპიტალისტური წყობილების მოსპობა, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ტოვებენ **ორ** დაწესებულებას, რომლებიც ამ წყობილების საფუძველს შეადგენენ: წარმომადგენლობით მმართველობას და დაქირავებულ შრომას» (იხ. «Завоевание хлеба», გვ. 148)... «კოლექტივიზმი, როგორც ვიცით... დაქირავებულ შრომას... ტოვებს. მხოლოდ... იმ განსხვავებით, რომ მეპატრონის ადგილს იჭერს წარმომადგენლობითი მთავრობა...» ამ მთავრობის წარმომადგენელთ «უფლება აქვთ ყველას ინტერესებისთვის მოიხმარონ ზედმეტი ღირებულება, რომელსაც წარმოებიდან მიიღებენ. გარდა ამისა, ამ სისტემაში დააწესებენ განსხვავებას... მუშის შრომასა და ნასწავლი კაცის შრომას შორის: მავი მუშის შრომა, კოლექტივისტის აზრით, **უბრალო** შრომაა, მაშინ როდესაც ხელოსანი. ინჟინერი, მეცნიერი და სხვ. ისეთ შრომას ეწევა, რომელსაც მარქსი **რთულ** შრომას უწოდებს, და უფლება აქვთ უფრო მაღალი ხელფასი,მიიღონ» (იხ. იქვე, გვ. 52). ამგვარად, მუშებს მათი მოთხოვნილების დაგვარად კი არ მიეცემა საჭირო პროდუქტები, არამედ «საზოგადოებისთვის გაწეული სამსახურის პროპორციულად» (იხ. იქვე, გვ. 157).

ქართველი ანარქისტებიც ამასვე იმეორებენ, მხოლოდ უფრო დიდი რიხით. მათში ძალიან გამოირჩევა თავისი აღვირახსნილობით ბ-ნი Bâton-ი. ის სწერს:

«რა არის კოლლექტივიზმი სოციალ-დემოკრატებისა? კოლლექტივიზმი, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, სახელმწიფო კაპიტალიზმი, დამყარებულია შემდეგ პრინციპზედ: თვითეულმა უნდა იმუშაოს ან იმდენი, რამდენიცა სურს, ან იმდენი, რასაც სახელმწიფო გადასწყვეტს, და ჯილდოდ მიიღოს თავისი შრომის ღირებულება საქონლით...» მაშასადამე, აქ «კანონმდებელთა კრება... აუცილებელია... საჭიროა აღმასრულებელი ძალა, ე. ი. მინისტრები, ათასნაირი ადმინისტრატორები, ჟანდარმები და ჯაშუშები, შეიძლება მილიციაც, თუ კი უკმაყოფილოთა რიცხვი ძლიერ ბევრი იქნა» (იხ. «ნობათი» № 5, გვ. 68—69).

ასეთია პირველი «ბრალდება» ბ-ნ ანარქისტებისა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

* * *

მაშ ასე, ანარქისტების მსჯელობიდან გამოდის, რომ:

1. სოციალ-დემოკრატების აზრით, სოციალისტური საზოგადოება თითქოს შეუძლებელია უმთავრობოდ, რომელიც, როგორც მთავარი მეპატრონე, მუშებს დაიქირავებს და რომელსაც აუცილებლად ეყოლება «მინისტრები... ჟანდარმები, ჯაშუშები». 2. სოციალისტურ საზოგადოებაში, სოციალ-დემოკრატების აზრით, ვითომ «შავი» და «თეთრი» სამუშაო არ მოისპობა, იქ უარყოფილი იქნება პრინციპი: «თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით», და აღიარებულ იქნება მეორე პრინციპი: «თვითეულს — მისი შრომის მიხედვით».

ამ ორ მუხლზეა აშენებული ანარქისტების «ბრალდება» სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

აქვს თუ არა რაიმე საფუძველი ბ-ნ ანარქისტების ამ «ბრალდებას»?

ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველივე ის, რასაც ამ შემთხვევაში ანარქისტები ლაპარაკობენ, ან გაუგებლობის შედეგია, ანდა უხამსი ჭორები.

აი ფაქტებიც.

ჯერ კიდევ 1846 წელს კ. მარქსი ამბობდა: «მუშათა კლასი

განვითარების მსვლელობაში ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ნაცვლად შექმნის ისეთ **ასოციაციას,** რომელიც გამორიცხავს კლასებს და მათს დაპირისპირებას, და **ალარც საკუთრივ პოლიტიკური ხელისუფლება** იქნება...» (იხ. «ფილოსოფიის სიღატაკე»).

ერთი წლის მერე იგივე აზრი გამოსთქვეს მარქსმა და ენგელსმა «კომუნისტურ მანიფესტში» (იხ. II თავი, «კომუნისტური მანიფესტი»).

1877 წელს ენგელსი სწერდა: «პირველი აქტი, რომელშიც სახელმწიფო გამოდის როგორც მთელი საზოგადოების ნამდვილი წარმომადგენელი, — წარმოების საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, — ამასთანავე მისი უკანასკნელი დამოუკიდებელი აქტია როგორც სახელმწიფოსი. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში თანდათანობით ზედმეტი გახდება და ბოლოს თავისთავად შეწყდება... სახელმწიფო კი არ «უქმდება», იგი **თანდათან კვდება» (ენგელსი,** «ანტი-დიურინგი»).

1884 წელს იგივე ენგელსი სწერდა: «ამრიგად, სახელმწიფო დასაბამიდან როდი არსებობდა. იყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომლებიც უიმისოდ სძლებდნენ და რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ სახელმწიფოზე და სახელმწიფო ხელისუფლებაზე... ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფოც... აუცილებელი გახდა. ახლა ჩვენ ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდებით წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, როცა ამ კლასების არსებობა არამც თუ საჭირო აღარ იქნება, არამედ წარმოების პირდაპირ დაბრკოლებად გადაიქცევა. კლასები ისევე აუცილებლად მოისპობიან, როგორც წარსულში წარმოიშვნენ. **მათთან ერთად აუცილებლად მოისპობა სახელმწიფოც.** საზოგადოება**,** რომელიც წარმოებას ახლებურად მოაწყობს მწარმოებელთა **თავისუ**ფალი და თანასწორი

ასოციაციის საფუძველზე, მთელ სახელმწიფო მანქანას იქ მოათავსებს, სადაც მისი შესაფერი ადგილი იქნება: სიძველეთა მუზეუმში, ჯარასა და ბრინჯაოს ცულის გვერდით» (იხ. «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა»).

ამასვე იმეორებს ენგელსი 1891 წელს (იხ. შესავალი წიგნისა: «სამოქალაქო ომი საფრანგეთში»).

როგორც ხედავთ, სოციალ-დემოკრატების აზრით, სოციალისტური საზოგადოება — ეს ისეთი საზოგადოებაა, სადაც ადგილი აღარ ექნება ეგრეთწოდებულ სახელმწიფოს, პოლიტიკურ ძალაუფლებას მისი მინისტრ-გუბერნატორებით და ჟანდარმ-პოლიციელ-ჯარისკაცებით. სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელი ეტაპი სოციალისტური რევოლუციის პერიოდი იქნება, როცა სახელმწიფო ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს პროლეტარიატი და საკუთარ მთავრობას (დიქტატურას) დააარსებს ბურჟუაზიის საბოლოო მოსასპობად. მაგრამ, როცა ბურჟუაზია მოისპობა, როცა კლასები მოისპობა, როცა სოციალიზმი დამყარდება, მაშინ საჭირო აღარ იქნება არავითარი პოლიტიკური ძალაუფლება, და ეგრეთწოდებული სახელმწიფო ისტორიას ჩაბარდება.

როგორც ხედავთ, ანარქისტების აღნიშნული «ბრალდება» სავსებით უსაფუძვლო ჭორი ყოფილა.

რაც შეეხება «ბრალდების» მეორე მუხლს, ამის შესახებ აი რას ამბობს კარლ მარქსი:

«კომუნისტური (ე. ი. სოციალისტური) საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, მას შემდეგ, რაც გაქრება ადამიანის დამმონებელი დაქვემდებარება შრომის დანაწილებისადმი და მასთან ერთად — **გონებრივი** და **ფიზიკური შრომის დაპირისპირებაც;** როდესაც შრომა... პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებადაც გადაიქცევა; როდესაც ინდივიდუმთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება... მხოლოდ მაშინ შეიძლება სავსებით გადალახულ იქნეს ბურჟუაზიული სამართლის ვიწრო ჰორიზონტი და საზოგადოებამ თავის დროშას წააწეროს: **«თვითეულმა — უნარის მიხედვით, თვი-**

თეულს – მოთხოვნილების მიხედვით» (**მარქსი**, «გოთას პროგრამის კრიტიკა»).

როგორც ხედავთ, მარქსის აზრით, კომუნისტური (ე. ი. სოციალისტური) საზოგადოების უმაღლესი ფაზა — ეს ისეთი წყობილებაა, სადაც «შავი» და «თეთრი» სამუშაოს დაყოფა, წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის სავსებით მოისპობა, შრომა გათანასწორდება და საზოგადოებაში გაბატონდება ნამდვილი კომუნისტური პრინციპი: თვითეულისგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით. დაქირავებულ შრომას აქ ადგილი არა აქვს.

ცხადია, რომ ეს «ბრალდებაც» ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ორში ერთი: ან ბ-ნ ანარქისტებს თვალით არ უნახავთ მარქსისა და ენგელსის ზემოთ მოხსენებული შრომები და ყურმოკრულის მიხედვით **«კრიტიკოსობენ»**, ან იცნობენ მარქსისა და ენგელსის აღნიშნულ შრომებს და განგებ ტყუილებს ლაპარაკობენ.

ასეთია პირველი «ბრალდების» ბედი.

* * *

ანარქისტების მეორე «ბრალდება» იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უარყოფენ სოციალ-დემოკრატიის **რევოლუციურობას.** თქვენ არა ხართ რევოლუციონერები, თქვენ უარყოფთ ძალდატანებით რევოლუციას, თქვენ მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენებით გინდათ სოციალიზმის დამყარებაო, — გვეუბნებიან ბატონი ანარქისტები.

ყური დაუგდეთ:

«...სოციალ-დემოკრატებს... უყვართ დეკლამაცია თემაზე «რევოლუცია», «რევოლუციური მოძრაობა», «ბრძოლა იარაღით ხელში» ხოლო თუ თქვენ, თქვენი გულუბრყვილობით, სთხოვთ მათ იარაღს, ისინი თქვენ დიდი ამბით გადმოგცემენ საარჩევნო ბარათს, ხმის მისაცემად არჩევნებში...» ისინი გვარწმუნებენ, რომ «ერთადერთი მიზანშეწონილი ტაქტიკა, რომელიც

რევოლუციონერებს შეეფერება, არის მშვიდობიანი და ლეგალური პარლამენტარიზმი კაპიტალიზმისადმი, არსებული ხელისუფლებისა და მთელი ბურჟუაზიული წყობილებისადმი ერთგულების ფიცით» (იხ. კრებული «Хлеб и воля», გვ. 21, 22—23).

ამასვე იმეორებენ ქართველი ანარქისტები, რა თქმა უნდა, უფრო მეტი რიხით. აიღეთ თუნდ Bâton-ის სიტყვები:

«მთელი სოციალ-დემოკრატია... საჯაროთ გაიძახის, რომ თოფითა და იარაღით ბრძოლა ბურჟუაზიული წესებია რევოლიუციისა, და მხოლოთ საარჩევნო ბიულეტენით, მხოლოთ საყოველთაო არჩევნებით არის შესაძლებელი პარტიათა მიერ მთავრობის ხელში ჩაგდება და შემდეგ საპარლამენტო უმეტესობით და კანონმდებლობით საზოგადოების გარდაქმნა» (იხ. «სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება», გვ. 3—4).

ასე ლაპარაკობენ ბ-ნი ანარქისტები მარქსისტებზე.

აქვს თუ არა ამ «ბრალდებას» რაიმე საფუძველი?

ჩვენ ვამბობთ, რომ ანარქისტები აქაც უმეცრებასა და ჰორიკანობით გატაცებას ამჟღავნებენ.

აი ფაქტები.

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ჯერ კიდევ 1847 წლის დამლევს სწერდნენ:

«კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ დამალონ თავიანთი შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ **მათი მიზნების მიღწევა შესაძლოა მხოლოდ** მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობილების **ძალდატანებითი დამხობის გზით.** დაე გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაკარგავენ, გარდა თავიანთი ბორკილებისა. შეიძენენ კი მთელ ქვეყნიერებას. **პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**» (იხ. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». ზოგიერთ ლეგალურ თარგმანში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა).

1850 წელს, გერმანიაში ახალი გამოსვლების მოლოდინში, კარლ მარქსი ასე სწერდა მაშინდელ გერმანელ ამხანაგებს:

«იარაღი და საჭურველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვან ხელიდან... **მუშები** უნდა... **დაირაზმონ დამოუკიდებელ პროლეტარულ გვარდიად, რომელსაც სათავეში ეყოლება არჩეული უფროსი და არჩეული გენერალური შტაბი...**» და ეს «მხედველობაში უნდა იქონიონ როგორც აჯანყების დროს, ისე აჯანყების შემდეგ» (იხ. «კელნის პროცესი». მარქსის მოწოდება კომუნისტებისადმი) [95].

1851—52 წლებში კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი სწერდნენ: ...რაკი აჯანყება დაწყებულია, **იმოქმედე უდიდესი გამბედაობით და ყოველთვის შეტევაზე გადადი.** თავდაცვა ყოველი შეიარაღებული აჯანყების სიკვდილია... დაჰკარ მოწინააღმდეგეს მოულოდნელად, სანამ მისი ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსულია; ყოველდღიურად ამზადე ახალი, თუნდაც სულ მცირე, წარმატებანი... უკან დაახევინე მტერს, ვიდრე ის შენს წინააღმდეგ თავისი ძალების შეკრებას მოასწრებდეს; ერთი სიტყვით, — როგორც რევოლუციური ტაქტიკის ცნობილი უდიდესი ოსტატი, დანტონი, იტყოდა ხოლმე: გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!» (იხ. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში»).

ჩვენ ვფიქრობთ, აქ მარტო «საარჩევნო ბიულეტენებზე» არაა ლაპარაკი.

ბოლოს, გაიხსენეთ პარიზის კომუნის ისტორია, გაიხსენეთ, როგორ მშვიდობიანად იქცეოდა კომუნა, როცა ის დაკმაყოფილდა პარიზის გამარჯვებით და უარყო ვერსალზე, ამ კონტრრევოლუციის ბუდეზე, თავდასხმა. როგორ გგონიათ: რას ამბობდა მაშინ მარქსი? არჩევნებისკენ მოუწოდებდა პარიზელებს? მოსწონდა პარიზელი მუშების ასეთი უდარდელობა (პარიზი მთლად მუშების ხელში იყო), მოსწონდა მათი დიდსულოვნობა დამარცხებული ვერსალელებისადმი? ყური დაუგდეთ მარქსს:

«რა მოქნილობა, რა ისტორიული ინიციატივა, რა თავდადების უნარი ჰქონიათ ამ პარიზელებს! ექვსი თვის შიმშილობის

შემდეგ... ისინი ჯანყდებიან პრუსიელთა ხიშტებით გარშემორტყმულნი... ისტორიამ არ იცის ამგვარი გმირობის მეორე მაგალითი! თუ ისინი დამარცხდებიან, ეს მხოლოდ მათი «სულგრძელობის» ბრალი იქნება. **საჭირო იყო მაშინვე გაელაშქრნათ ვერსალზე,** რა წამსაც ჯერ ვინუამ, შემდეგ კი პარიზის ნაციონალური გვარდიის რეაქციულმა ნაწილმა პარიზი დატოვეს. მარჯვე მომენტი ხელიდან იქნა გაშვებული გადამეტებული სინდისიანობის გამო. არ უნდოდათ **სამოქალაქო ომი დაეწყოთ,** თითქოს საზიზღარ, გადაგვარებულ ტიერს თვით არ დაეწყოს იგი, როცა მან პარიზს იარაღის აყრა მოუნდომა!» **(მარქსი,** «წერილები კუგელმანისადმი»)[96].

ასე ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

ასე ფიქრობენ და მოქმედებენ სოციალ-დემოკრატები.

ანარქისტები კი მაინც გაიძახიან: მარქსსა და ენგელსს და მათს მიმდევრებს მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენები აინტერესებთ, ისინი უარყოფენ ძალდატანებით რევოლუციურ მოქმედებასო!

როგორც ხედავთ, ეს «ბრალდებაც» აგრეთვე ჭორს წარმოადგენს, რომელიც ანარქისტების უმეცრებას ააშკარავებს მარქსიზმის რაობის შესახებ.

ასეთია მეორე «ბრალდების» ბედი.

* * *

ანარქისტების მესამე «ბრალდება» იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უარყოფენ სოციალ-დემოკრატიის ხალხურ ხასიათს, ბიუროკრატებად გამოჰყავთ სოციალ-დემოკრატები და ამტკიცებენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სოციალ-დემოკრატიული გეგმა რევოლუციის სიკვდილია, ამასთან რამდენადაც სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ ასეთ დიქტატურას, მათ სინამდვილეში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება კი არა სურთ, არამედ თავიანთი საკუთარი დიქტატურა პროლეტარიატზე.

ყური დაუგდეთ ბ-ნ კროპოტკინს:

«ჩვენ, ანარქისტებმა, საბოლოო განაჩენი გამოვუტანეთ დიქტატურას... ჩვენ ვიცით, რომ ყოველი დიქტატურა, რაგინდ პატიოსანი იყოს მისი განზრახვა, — რევოლუციის სიკვდილს მოასწავებს. ჩვენ ვიცით, რომ... დიქტატურის იდეა... მავნე ნაყოფია ხელისუფლების ფეტიშიზმისა, რომელიც... ყოველთვის ისწრაფოდა მონობის განმტკიცებისკენ» (იხ. **Кропоткин.** «Речи бунтовщика», გვ. 131). სოციალ-დემოკრატები არა თუ მარტო რევოლუციურ დიქტატურას აღიარებენ, — ისინი «მომხრენი არიან თავიანთი დიქტატურისა პროლეტარიატზე... მათთვის მუშები იმდენად არიან საინტერესო, რამდენადაც ისინი გაწვრთნილ არმიას წარმოადგენენ მათს ხელში... სოციალ-დემოკრატიის მიზანია საკუთარ ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო მექანიზმი პროლეტარიატის საშუალებით» (იხ. «Хлеб и воля», გვ. 62, 63).

ამასვე ამბობენ ქართველი ანარქისტები:

«პროლეტარიატის დიქტატურა პირდაპირი აზრით ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც დიქტატურის მომხრენი სახელმწიფოისტები არიან და მათი დიქტატორობა მთელი პროლეტარიატის თავისუფალი მოქმედება კი არ იქნება, არამედ იგივე წარმომადგენლობითი მთავრობის დასმა საზოგადოების თავში, როგორც არსებობს ეხლა» (იხ. **Bâton**, «სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება», გვ. 45). სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ დიქტატურას არა იმისთვის, რომ პროლეტარიატის განთავისუფლებას ხელი შეუწყონ, არამედ იმისთვის, რომ... **«ახალი მონობა დაამყარონ თავიანთ ბატონობით»** (იხ. «ნობათი» № 1, გვ. 5. Bâton).

ასეთია ბ-ნ ანარქისტების მესამე «ბრალდება».

დიდი გარჯა არაა საჭირო იმისთვის, რომ ვამხილოთ ანარქისტების ეს მორიგი ცილისწამება, რომელიც მკითხველის მოსატყუებლად არის გათვალისწინებული.

ჩვენ აქ არ გამოვეკიდებით კროპოტკინის უაღრესად შემცდარ აზრს, რომლითაც «ყოველი დიქტატურა სიკვდილია რევოლუციისთვის». ამაზე მერე ვილაპარაკებთ, როცა ანარქისტების ტაქტიკას გავარჩევთ. ჩვენ გვინდა ახლა მხოლოდ თვით «ბრალდებას» შევეხოთ.

ჯერ კიდევ 1847 წლის დამლევს კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ამბობდნენ, რომ სოციალიზმის დასამყარებლად პროლეტარიატმა პოლიტიკური დიქტატურა უნდა მოიპოვოს, რომ ამ დიქტატურის შემწეობით მოიგერიოს ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური იერიშები და ჩამოართვას მას წარმოების საშუალებანი, და რომ ეს დიქტატურა უნდა იყოს ორიოდე პირის დიქტატურა კი არა, არამედ დიქტატურა მთელი პროლეტარიატისა, როგორც ცალკე კლასისა:

«პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისთვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოგლიჯოს ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი და მოახდინოს წარმოების ყველა იარაღთა ცენტრალიზაცია... გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში» (იხ. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი»)

ესე იგი პროლეტარიატის დიქტატურა მთელი კლასის დიქტატურა იქნება წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და არა რამდენიმე პირის ბატონობა პროლეტარიატზე.

შემდეგ იმავე აზრს იმეორებენ ისინი თითქმის ყველა თავიანთ ნაწარმოებში, როგორიცაა, მაგალითად: «ლუი ბონაპარტის მე-18 ბრიუმერი», «კლასთა ბრძოლა საფრანგეთში», «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», «ანტი-დიურინგი» და სხვ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ესმოდათ მარქსსა და ენგელსს პროლეტარიატის დიქტატურა, იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად შესაძლებლად მიაჩნდათ მათ ამ დიქტატურის განხორციელება, ყოველივე ამისთვის ძალიან საინტერესოა ვიცოდეთ მათი დამოკიდებულება პარიზის კომუნისადმი. საქმე იმაშია, რომ პროლეტარიატის დიქ-

ტატურა მარტო ანარქისტებში არ იწვევს საყვედურებს, არამედ ქალაქის წვრილ ბურჟუებში, მათ შორის ყოველგვარ ყასბებში და მიკიტნებში, ყველა მათ შორის, ვისაც მარქსი და ენგელსი ფილისტერებს ეძახდნენ. და აი, რას ეუბნება ენგელსი ამ ფილისტერებს პროლეტარიატის დიქტატურაზე:

«ამ ბოლო დროს გერმანელი ფილისტერი კვლავ განიცდის უსაშველო შიშს სიტყვაზე: **პროლეტარიატის დიქტატურა**. თქვენ გნებავთ, მოწყალეო ხელმწიფენო, გაიგოთ, რა არის ეს დიქტატურა? მაშ შეხედეთ პარიზის კომუნას. სწორედ ის იყო პროლეტარიატის დიქტატურა» (იხ. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», ენგელსის წინასიტყვაობა) [97].

როგორც ხედავთ, ენგელსს იმ სახით ჰქონია წარმოდგენილი პროლეტარიატის დიქტატურა, როგორიც იყო პარიზის კომუნა.

ცხადია, ვისაც უნდა გაიგოს, თუ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა მარქსისტების წარმოდგენით, ის უნდა გაეცნოს პარიზის კომუნას. მაშ, ჩვენც გავეცნოთ პარიზის კომუნას. თუ აღმოჩნდება, რომ პარიზის კომუნა მართლა ცალკე პირთა დიქტატურა ყოფილა წინააღმდეგ პროლეტარიატისა,— მაშინ ძირს მარქსიზმი, ძირს პროლეტარიატის დიქტატურა! მაგრამ თუ დავინახავთ, რომ პარიზის კომუნა მართლა პროლეტარიატის დიქტატურა იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ,— მაშინ... მაშინ გულიანად გადავიხარხაროთ ანარქისტ ჭორიკანებზე, რომლებსაც ჭორების მეტი აღარა დარჩენიათ-რა მარქსისტებთან ბრძოლაში.

პარიზის კომუნის ისტორიას ორი ხანა აქვს: პირველი ხანა, როცა პარიზში საქმეებს უძღვებოდა ცნობილი «ცენტრალური კომიტეტი», და მეორე ხანა, როცა «ცენტრალურ კომიტეტს» უფლებამოსილების ვადა გაუთავდა და საქმეების გაძღოლა გადაეცა ახლად არჩეულ კომუნას. რას წარმოადგენდა «ცენტრალური კომიტეტი», ვისგან შესდგებოდა ის? ჩვენს წინ დევს არტურ **არნუს** «პარიზის კომუნის სახალხო

ისტორია», რომელიც, როგორც არნუ გადმოგვცემს, მოკლედ გვიპასუხებს ამ კითხვაზე. ბრძოლა ის-იყო იწყებოდა, რომ 300 000-მდე პარიზელი მუშა ასეულებად და ბატალიონებად დაირაზმნენ და თავიანთი წრიდან აირჩიეს დელეგატები. ასე შესდგა «ცენტრალური კომიტეტი».

«ყველა ეს მოქალაქენი («ცენტრალური კომიტეტის» წევრები), არჩეულნი თავიანთი ასეულების ან ბატალიონების მიერ ნაწილობრივი არჩევნებით,— ამბობს არნუ,— მხოლოდ იმ მომცრო ჯგუფებისთვის იყვნენ ცნობილნი, რომელთა დელეგატებადაც ითვლებოდნენ. რა ხალხია ესენი. ვინ არიან და რა უნდათ მათ?» ეს იყო «უსახელო მთავრობა, რომელიც თითქმის მხოლოდ უბრალო მუშებისგან და წვრილი მოსამსახურეებისგან შესდგებოდა. ამ პირების სამ მეოთხედს მხოლოდ მათს ქუჩაზე ან სამუშაო კანტორაში იცნობდნენ... ტრადიცია დაირღვა. ქვეყნისთვის მოულოდნელი ამბავი მოხდა. იქ არც ერთი წევრი არ შედიოდა მმართველი კლასებიდან. იფეთქა რევოლუციამ, რომელსაც არ ახლდა წარმომადგენლად არც **ადვოკატი,** არც **დეპუტატი,** არც **ჟურნალისტი,** არც **გენერალი.** მათ მაგიერ კრებოელი **მთამადნის მუშა, წიგნთმკაზმავი, მზარეული** და სხვა ამგვარები იყვნენ» (იხ. «პარიზის კომუნის სახალხო ისტორია», გვ. 107).

არტურ არნუ განაგრძობს:

«ჩვენ,—გაიძახოდნენ «ცენტრალური კომიტეტის» წევრები,— უცნობი ორგანოები ვართ, მორჩილი იარაღი იერიშმიტანილი ხალხის ხელში... ჩვენ ხალხის ნების მსახურნი ვართ იმისთვის, რომ ამ ნების გამოძახილი ვიყოთ და მას გამარჯვება მოვუპოვოთ. ხალხს კომუნა უნდა და ამიტომ ჩვენ ვრჩებით ადგილზე, რომ კომუნის არჩევნებს შევუდგეთ. არც მეტი, არც ნაკლები. ეს დიქტატორები არც ხალხზე მაღლა იწევდნენ, არც ხალხზე დაბლა ეშვებოდნენ. პირდაპირ იგრძნობოდა, რომ ისინი ხალხთან ერთად, ხალხში და ხალხის შემწეობით ცოცხლობდნენ, რომ ისინი რჩევას სთხოვდნენ ხალხს ყოველ წუთს, ყურს უგდებდნენ მას და გადმოგვცემდნენ, რაც მისგან ესმოდათ და

ცდილობდნენ მოკლედ... გამოეხატათ სამასი ათასი კაცის საერთო აზრი» (იხ. იქვე, გვ. 109).

ასე იქცეოდა პარიზის კომუნა თავისი არსებობის პირველ ხანაში.

ასეთი იყო პარიზის კომუნა.

ასეთია პროლეტარიატის დიქტატურა.

გადავიდეთ ახლა კომუნის მეორე ხანაზე, როცა «ცენტრალური კომიტეტის» მაგიერ კომუნა მოქმედებდა. არნუ ორივე ხანას, რომელიც ორ თვეს გაგრძელდა, ერთად იხსენიებს და აღფრთოვანებით იძახის, რომ ეს ხალხის ნამდვილი დიქტატურა იყოო. ყური დაუგდეთ:

«დიდებული სანახაობა, რომელსაც ეს ხალხი წარმოადგენდა ორი თვის განმავლობაში, ძალასა და იმედს გვაძლევს... რომ პირდაპირ შევხედოთ მომავალს. ამ ორი თვის განმავლობაში პარიზში ნამდვილი დიქტატურა იყო, სრული და უდავო დიქტატურა, დიქტატურა არა ერთი პირისა, **არამედ მთელი ხალხისა**, რომელიც მდგომარეობის ერთადერთი ბატონი იყო.. ამ დიქტატურამ ორ თვეზე მეტს გასტანა განუწყვეტლად, 18 მარტიდან 22 მაისამდე (1871 წ.)...» თავისთავად «...კომუნა მხოლოდ მორალურ ძალაუფლებას წარმოადგენდა და არ გააჩნდა სხვა რაიმე მატერიალური ძალა, გარდა მოქალაქეთა... საერთო თანაგრძნობისა... **მბრძანებელი ხალხი იყო**, ერთადერთი მბრძანებელი, რომელმაც თავისი პოლიცია და მაგისტრატურა თვითონ შექმნა...» (იხ. იქვე, გვ. 242, 244).

ასე ახასიათებს პარიზის კომუნას კომუნის წევრი, მისი ხელჩართული ბრძოლების აქტიური მონაწილე **არტურ არნუ**.

ასევე ახასიათებს პარიზის კომუნას მისი მეორე წევრი და ისეთივე აქტიური მონაწილე **ლისაგარე** (იხ. მისი წიგნი «პარიზის კომუნის ისტორია»).

ხალხი, როგორც «ერთადერთი მბრძანებელი», «ერთი კაცის დიქტატურა კი არა, მთელი ხალხის დიქტატურა» — აი რა იყო პარიზის კომუნა.

«მაშ შეხედეთ პარიზის კომუნას. სწორედ ის იყო პროლეტარიატის დიქტატურა», — იძახდა ენგელსი ფილისტერების საყურადღებოდ.

აი, რა ყოფილა პროლეტარიატის დიქტატურა მარქსისა და ენგელსის წარმოდგენით.

როგორც ხედავთ, ბ-ნ ანარქისტებს იმდენადვე სცნობიათ პროლეტარიატის დიქტატურა, პარიზის კომუნა და მარქსიზმი, რომელსაც ისინი წარამარა «აკრიტიკებენ», რამდენადაც მე და შენ, მკითხველო, — ჩინური ენა.

ცხადია, დიქტატურა ორგვარია. არის დიქტატურა უმცირესობისა, დიქტატურა მცირე ჯგუფისა, დიქტატურა ტრეპოვებისა და იგნატიევებისა, მიმართული ხალხის წინააღმდეგ. ამ დიქტატურას ჩვეულებრივ სათავეში უზის კამარილია, რომელიც საიდუმლო დადგენილებებს იმუშავებს და შემდეგ თოკს უჭერს ყელში ხალხის უმრავლესობას.

მარქსისტები ამგვარი დიქტატურის მტრები არიან, ამავე დროს ისინი ასეთი დიქტატურის წინააღმდეგ უფრო მედგრად და უფრო თავგანწირვით იბრძვიან, ვიდრე ჩვენი მყვირალა ანარქისტები.

არის კიდევ მეორენაირი დიქტატურა, დიქტატურა პროლეტართა უმეტესობისა, დიქტატურა მასისა, მიმართული ბურჟუაზიის, უმცირესობის წინააღმდეგ. აქ დიქტატურას თვითონ მასა უდგას სათავეში, აქ არა აქვს ადგილი არც კამარილიას, არც საიდუმლო დადგენილებებს, აქ ყველაფერი აშკარად ხდება, ქუჩაში, მიტინგებზე,— და ეს იმიტომ, რომ ეს არის ჭუჭის, მასის დიქტატურა, ყოველგვარი მჩაგვრელების წინააღმდეგ მიმართული.

ასეთ დიქტატურას «ორივე ხელით» ემხრობიან მარქსისტები, და ეს იმიტომ, რომ ასეთი დიქტატურა დიდებული დასაწყისია დიდებული სოციალისტური რევოლუციისა.

ბ-ნ ანარქისტებს ერთმანეთში არევიათ ეს ორი ერთი-მეორის უარმყოფელი დიქტატურა და სწორედ ამიტომ არის, რომ ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილან: მარქსიზმის

მაგიერ თავიანთ საკუთარ ფანტაზიას ებრძვიან, მარქსისა და ენგელსის მაგიერ ქარის წისქვილებს «ეჯახებიან»...

ცხონებულმა დონ კიხოტმაც ასე იცოდა...

ასეთია მესამე «ბრალდების» ბედი.

(გაგრძელება იქნება.)*

გაზეთები: «ახალი დროება» №№ 5, 6, 7 და 8;
1906 წ. 11, 18, 25 დეკემბერი
და 1907 წ. 1 იანვარი.
«ჩვენი ცხოვრება» №№ 3, 5, 8 და 9;
1907 წ. 21, 23, 27 და 28 თებერვალი.
«დროა» №№ 21, 22, 23 და 26;
1907 წ. 4, 5, 6 და 10 აპრილი.

ხელმოწერა: კ ო...

* გაგრძელება პრესაში აღარ გამოქვეყნებულა, რადგან 1907 წლის შუახანებში ამხანაგი სტალინი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბაქოში გადაიყვანა პარტიულ სამუშაოზე, სადაც იგი რამდენიმე თვის შემდეგ დააპატიმრეს, ხოლო შრომის—«ანარქიზმი თუ სოციალიზმი?» უკანასკნელი თავების ჩანაწერები გაჩხრეკის დროს დაიკარგა. რ ე დ.

დამატება

ანარქიზმი თუ სოციალიზმი?

დიალექტიკური მატერიალიზმი

I

ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირებს, რომლებიც სიტყვა «ანარქიზმის» ხსენებაზე ცხვირს მაღლა აიწევენ ხოლმე და ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკებენ: «ნეტავი თქვენ, რომ მოგიცლიათ, — ლაპარაკადაც არა ღირსო!» ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი იაფფასიანი «კრიტიკა» არც საკადრისია და არც სასარგებლო.

ჩვენ არც იმ პირებს ვეკუთვნით, რომლებიც თავს იმით ინუგეშებენ, რომ ანარქისტებს «მასა არ ჰყავთ და ამიტომ არც ისე სახიფათონი არიანო». საქმე იმაში არაა, ვის ბევრი «მასა» ჰყავს დღეს და ვის ცოტა, — საქმე მოძღვრების ავკარგიანობაშია. თუ ანარქისტების «მოძღვრება» სიმართლეს გამოხატავს, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ის უეჭველად გზას გაიკვლევს და მასას შემოიკრებს. ხოლო თუ ის უვარგისია და ყალბ ნიადაგზე აშენებული, დიდხანს ვერ იხეირებს და ჰაერში დაეკიდება. ანარქიზმის უვარგისობას კი დამტკიცება ესაჭიროება.

ჩვენ გვწამს, რომ ანარქისტები მარქსიზმის ნამდვილი მტრები არიან. მაშასადამე, გვწამს აგრეთვე ის, რომ ნამდვილ მტრებთან ნამდვილი ბრძოლაა საჭირო. ამისთვის კი საჭიროა თავიდან ბოლომდე გადავხედოთ ანარქისტების «მოძღვრებას» და საფუძვლიანად ავწონ-დავწონოთ მისი ავკარგიანობა.

მაგრამ ანარქიზმის კრიტიკასთან ერთად საჭიროა ჩვენი საკუთარი პო-

ზიციაც განვმარტოთ და, ამგვარად, მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ზოგადად დავასურათოთ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთი ანარქისტები ყალბ წარმოდგენას ავრცელებენ მარქსიზმზე და არევდარევას ახდენენ მკითხველის თავში.

მაშ, შევუდგეთ საქმეს.

ყველაფერი მოძრაობს ქვეყანაზე... იცვლება ცხოვრება, იზრდება საწარმოო ძალები, ინგრევა ძველი ურთიერთობანი... მუდმივი მოძრაობა და მუდმივი ნგრევა-შენება, — ასეთია ცხოვრების შინაარსი.

კ. მარქსი

(იხ. «ფილოსოფიის სიღატაკე»)

მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია, — ის მთელი მსოფლმხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდება. ცხადია, მარქსიზმის დასურათება — ეს დიალექტიკური მატერიალიზმის დასურათება იქნება.

რატომ ჰქვია ამ სისტემას დიალექტიკური მატერიალიზმი?

იმიტომ, რომ მისი **მეთოდი** დიალექტიკურია, ხოლო მისი **თეორია** — მატერიალისტური.

რა არის დიალექტიკური მეთოდი?

რა არის მატერიალისტური თეორია?

ამბობენ, რომ ცხოვრება დაუდგრომელ ზრდა-განვითარებაშია, — და ეს მართალიც არის: საზოგადოებრივი ცხოვრება არ არის ერთი რამ მუდმივი და გაყინული, ის არასოდეს არ ჩერდება ერთ დონეზე — ის მუდმივ მოძრაობასა და ნგრევა-შენების მუდმივ პროცესშია. ტყუილად კი არ ამბობდა მარქსი, რომ მუდმივი მოძრაობა და მუდმივი ნგრევა-შენება, — ასეთია ცხოვრების შინაარსიო. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს **ახალი** და ძველი, მზარდი და მომაკვდავი, რევოლუცია და რეაქცია, — იქ უეჭველად მუდამ კვდება რაღაცა და ამავე დროს უეჭველად მუდამ იბადება რაღაცა...

დიალექტიკური მეთოდი ამბობს, რომ ცხოვრება სწორედ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს. ცხოვრება დაუდგრომელ მოძრაობაშია. მაშასადამე, ჩვენი ვალია ცხოვრება მის მოძრაობასა და

ნგრევა-შენებაში განვიხილოთ. საით მიდის ცხოვრება, რა კვდება და რა იბადება ცხოვრებაში, რა ინგრევა და რა შენდება — აი, პირველ ყოვლისა რა კითხვები უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ.

ასეთია დიალექტიკური მეთოდის პირველი დასკვნა.

ის, რაც ცხოვრებაში იბადება და დღითი-დღე იზრდება, — **უძლეველია,** მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია, მისი გამარჯვება აუცილებელია. ესე იგი, თუ, მაგალითად, პროლეტარიატი იბადება ცხოვრებაში და დღითი-დღე იზრდება, რაც უნდა სუსტი და მცირერიცხოვანი იყოს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს. პირიქით, ის, რაც ცხოვრებაში კვდება და სამარისკენ მიექანება, აუცილებლად უნდა დამარცხდეს, ე. ი. თუ, მაგალითად, ბურჟუაზია ნიადაგს კარგავს და დღითი-დღე უკან და უკან მიდის, რაც უნდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყოს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა დამარცხდეს და სამარეში ჩაესვენოს. აქედან წარმოსდგა ცნობილი დიალექტიკური დებულება: -ყველაფერი ის, რაც ნამდვილად არსებობს, ე. ი. ყველაფერი ის, რაც დღითი-დღე იზრდება, — გონიერიაო.

ასეთია დიალექტიკური მეთოდის მეორე დასკვნა.

XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში შესანიშნავი კამათი ატყდა რუსეთის რევოლუციურ ინტელიგენციაში. ნაროდნიკები ამბობდნენ, რომ უმთავრესი ძალა, რომელსაც შეუძლია თავს იდოს «რუსეთის განთავისუფლება», ღარიბი გლეხკაცობაა. რატომ? — ეკითხებოდნენ მათ მარქსისტები. იმიტომ, — ამბობდნენ ისინი, — რომ გლეხკაცობა ყველაზე მეტია და ამავე დროს ყველაზე ღარიბია რუსეთის საზოგადოებაშიო. მარქსისტები უპასუხებდნენ: მართალია, გლეხკაცობა დღეს უმეტესობაა და ძალიან ღარიბიც არის, მაგრამ განა ამაშია საქმე? გლეხკაცობა დიდი ხანია უმეტესობას შეადგენს, მაგრამ მას დღემდის, პროლეტარიატის დაუხმარებლად, არავითარი თაოსნობა არ გამოუჩენია «თავისუფლებისთვის» ბრძოლაში. მერე რატომ? იმიტომ, რომ გლეხკაცობა, როგორც წოდება, **დღითი-დღე იშლება,** პროლეტარებად და ბურჟუებად იყოფა, მაშინ როდესაც პროლეტარიატი, როგორც კლასი, **დღითი-დღე იზრდება** და ჯანღონით ივსება. არც სიღარიბეს აქვს აქ გადამჭრელი მნიშვნელობა: **«ბოსიაკები»** გლეხებზე ღარიბები არიან, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ისინი «რუსეთის განთავისუფლებას» იკისრებენ. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ ვინ იზრდება და ვინ ბერდება ცხოვრებაში. და რადგანაც პროლეტარიატი ერთადერთი კლასია, რომელიც შეუჩერებლად იზრდება და მტკიცდება, ამიტომ ჩვენი ვალია გვერდში ამოვუდგეთ მას და უმთავრეს ძალად ვცნოთ რუსეთის რევოლუციაშიო, — ასე უპასუხებდნენ მარქსისტები. როგორც ხედავთ, მარქსისტები დიალექტიკური თვალსაზრისით უყურებდნენ საკითხს, მაშინ რო-

დესაც ნაროდნიკები მეტაფიზიკურად მსჯელობდნენ, რადგანაც ცხოვრების მოვლენებს ისე უყურებდნენ, როგორც «უცვლელს, ერთ წერტილზე გაყინულს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს» (იხ. **ფ. ენგელსი.** «ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია, სოციალიზმი»).

ასე უყურებს დიალექტიკური მეთოდი ცხოვრების მოძრაობას.

მაგრამ მოძრაობაც არის და მოძრაობაც. საზოგადოებრივი მოძრაობა იყო «დეკემბრის დღეებში», როცა წელში გამართული პროლეტარიატი იარაღის საწყობებს ეცემოდა და იერიშით მიდიოდა რეაქციის წინააღმდეგ. მაგრამ საზოგადოებრივი მოძრაობა უნდა დაერქვას აგრეთვე წინა წლების მოძრაობას, როცა პროლეტარიატი «მშვიდობიანი» განვითარების პირობებში ცალკეული გაფიცვებითა და წვრილი პროფკავშირების შექმნით კმაყოფილდებოდა. ცხადია, მოძრაობას სხვადასხვა ფორმები ჰქონია. და აი, დიალექტიკური მეთოდი ამბობს, რომ მოძრაობას ორგვარი ფორმა აქვს: ევოლუციური და რევოლუციური. მოძრაობა ევოლუციურია, როცა პროგრესული ელემენტები სტიქიურად განაგრძობენ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას და წვრილ-წვრილი, **რაოდენობრივი** ცვლილებები შეაქვთ ძველ წესებში. მოძრაობა რევოლუციურია, როცა იგივე ელემენტები ერთად შეჯგუფდებიან, ერთი იდეით გაიმსჭვალებიან და აჩქარებული გაექანებიან მტრის ბანაკისკენ, რომ ძირიანად მოსპონ ძველი წესები მათი **ნიშნობლივი თვისებებით** და ახალი წესები დაამყარონ. ევოლუცია ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლუციას, ხოლო რევოლუცია აგვირგვინებს ევოლუციას და ხელს უწყობს მის მერმინდელ მუშაობას.

ასეთსავე პროცესებს ადგილი აქვს ბუნებაშიც. მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს, რომ დიალექტიკური მეთოდი ნამდვილ მეცნიერული მეთოდი ყოფილა: ასტრონომიიდან დაწყებული სოციოლოგიამდე — **ყველგან** ის აზრი დასტურდება, რომ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია, რომ ყველაფერი იცვლება, ყველაფერი ვითარდება. მაშასადამე, ბუნებაში ყველაფერს მოძრაობის, განვითარების თვალსაზრისით უნდა ვუყურებდეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიალექტიკის სული ძვალრბილში გასჯდომია დღევანდელ მეცნიერებას.

რაც შეეხება მოძრაობის ფორმებს, რაც შეეხება იმას, რომ, დიალექტიკის თანახმად, წვრილ-წვრილი, **რაოდენობრივი**, ცვლილებანი ბოლოს დიდ, **თვისობრივ**, ცვლილებებს წარმოშობენ ხოლმე, — ამ კანონს ამდენადვე ძალა აქვს ბუნების ისტორიაშიც. მენდელეევის «ელემენტთა პერიოდული სისტემა» ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების ისტორიაში თვისობრივი ცვლილებების წარმოშობას რაოდენობრივი ცვლილებებიდან. ამასვე მოწმობს ბიოლოგიაში ნეოლამარკიზმის თეორია, რომელსაც ადგილს უთმობს ნეოდარვინიზმი.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ სხვა ფაქტებზე, რომლებიც საკმაო სისრულით გააშუქა ფ. ენგელსმა თავის «ანტი-დიურინგში».

*
* *

ახლა ასე, ჩვენ ვიცნობთ ახლა დიალექტიკურ მეთოდს. ჩვენ ვიცით, რომ ამ მეთოდის თანახმად ქვეყანა მუდმივს მოძრაობასა და ნგრევა-შენებაშია და რომ, მაშასადამე, ყოველივე მოვლენა, როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში, მის მოძრაობასა და ნგრევა-შენების პროცესში უნდა განვიხილოთ და არა როგორც ერთ წერტილზე შეჩერებული და გაყინული. ვიცით აგრეთვე ის, რომ თვითონ ამ მოძრაობას ორგვარი ფორმა ჰქონია: ევოლუციური და რევოლუციური...

როგორ უყურებენ დიალექტიკურ მეთოდს ჩვენებური ანარქისტები?

როგორც ვიცით, დიალექტიკური მეთოდის მამამთავარი ჰეგელი იყო. მარქსმა მხოლოდ გაწმინდა და გააუმჯობესა ეს მეთოდი. ანარქისტებმა იციან ეს გარემოება; იციან აგრეთვე ის, რომ ჰეგელი კონსერვატორი იყო, და აი, ისინი სარგებლობენ «შემთხვევით» და თავგამოდებით ლანძღავენ და მიწასთან ასწორებენ ჰეგელს, როგორც «რეაქციონერს» და «რესტავრაციის» მომხრეს, ისინი გატაცებით ამტკიცებენ, რომ «ჰეგელი... რესტავრაციის ფილოსოფოსია...», რომ «აბსოლიუტურ ფორმაში ის ქებათა-ქებას ასხამს ბიუროკრატიულ კონსტიტუციონალიზმს, რომ მისი ისტორიის ფილოსოფიის ზოგადი იდეა დაქვემდებარებულია და ემსახურება... რესტავრაციის ეპოქის ფილოსოფიურ მიმართულებას» და სხვა და სხვა ამისთანები (იხ. «ნობათი» № 6. ვ. ჩერქეზიშვილის წერილი). მართალია, ამაზე აქ მათ არავინ ეკამათება, პირიქით, ყველა დაეთანხმება, რომ ჰეგელი რევოლუციონერი არ ყოფილა და მეფის მომხრე იყო, მაგრამ ანარქისტები მაინც «ამტკიცებენ» და საჭიროდ სცნობენ ყოველდღე «ამტკიცონ», რომ ჰეგელი «რესტავრაციის» მომხრეა. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ყოველივე ამით სახელი გაუტეხონ ჰეგელს, მით მკითხველს აგრძნობინონ, რომ «რეაქციონერი» ჰეგელის მეთოდიც «საზიზღარი» და არამეცნიერული ექნებოდა. თუ ეს მართლა ასეა, თუ ბ-ნი ანარქისტები ამ გზით ცდილობენ დიალექტიკური მეთოდის გაბათილებას, უნდა გითხრათ, რომ ამ გზით ისინი ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ, გარდა თავიანთი უხეირობისა. პასკალი და ლეიბნიცი რევოლუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათგან აღმოჩენილი მათემატიკური მეთოდი მეცნიერულ მეთოდადაა დღეს აღიარებული; მაიერი და ჰელმჰოლცი რევოლუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათი აღმოჩენანი ფიზიკის დარგში საფუძვლად დაედო მეცნიერებას; არც ლამარკი და დარვინი იყვნენ რევოლუციო-

ნერები, მაგრამ მათმა ევოლუციურმა მეთოდმა ფეხზე დააყენა ბიოლოგიის მეცნიერება... დიახ, **ამ გზით** ბ-ნი ანარქისტები ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ, გარდა თავიანთი უხეირობისა.

დავყვეთ ქვემოთ. ანარქისტების აზრით, «დიალექტიკა მეტაფიზიკაა» (**იხ.** «ნობათი» № 9. **შ. გ.**-ს წერილი), და რადგანაც მათ უნდათ «მეცნიერების განთავისუფლება მეტაფიზიკიდან, ფილოსოფიის თეოლოგიიდან» (**იხ.** «ნობათი» № 3. **შ. გ.**-ს წერილი), ამიტომ უარყოფენ დიალექტიკურ მეთოდს.

«ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო» რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ისეა ანარქისტების საქმე. დიალექტიკა მეტაფიზიკასთან ბრძოლაში დამწიფდა, მან ამ ბრძოლაში ისახელა თავი, ანარქისტების აზრით კი გამოდის, რომ «დიალექტიკა მეტაფიზიკა» ყოფილა! ანარქისტების «მამამთავარს», პრუდონს, სწამდა, რომ ქვეყანაზე არსებობს **ერთხელ და სამუდამოდ** დადგენილი «უცვლელი სამართლიანობა» (იხ. «ანარქიზმი» ელცბახერისა, გვ. 64—68, საზღვარგარეთული გამოცემა), რის გამოც პრუდონს მეტაფიზიკოსს ეძახდნენ. მარქსი ებრძოდა პრუდონს დიალექტიკური მეთოდის შემწეობით და ამტკიცებდა, რომ, რადგანაც ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება, ამიტომ «სამართლიანობაც» უნდა იცვლებოდეს, და, მაშასადამე, «უცვლელი სამართლიანობა» მეტაფიზიკური ფანტაზიაა (იხ. კ. მარქსი, «ფილოსოფიის სიღატაკე»). მეტაფიზიკოს პრუდონის ქართველი მოწაფეები კი გადმომდგარან და «გვიმტკიცებენ», რომ «დიალექტიკა მეტაფიზიკააო»! მეტაფიზიკას სწამს «შეუცნობელი» და «ნივთი თავისთავად», ის ბოლოს და ბოლოს უშინაარსო თეოლოგიაზე გადადის. წინაალმდეგ პრუდონისა და სპენსერისა ენგელსი ებრძოდა მეტაფიზიკასაც და თეოლოგიასაც დიალექტიკური მეთოდის შემწეობით (**იხ.** ენგელსის «ლუდვიგ ფეიერბახი» და «ანტი-დიურინგი»). ის ამტკიცებდა მათს სასაცილო უშინაარსობას. ჩვენი ანარქისტები კი «გვიმტკიცებენ», რომ პრუდონი და სპენსერი მეცნიერები არიან, მარქსი და ენგელსი კი — მეტაფიზიკოსებიო. ორში ერთი: ან თავიანთ თავს ატყუებენ ბ-ნი ანარქისტები ანდა არ ესმით, რა არის მეტაფიზიკა. ყოველ შემთხვევაში დიალექტიკურ მეთოდს აქ არავითარი ბრალი არა აქვს.

კიდევ რას აბრალებენ ბ-ნი ანარქისტები დიალექტიკურ მეთოდს? **ისინი** ამბობენ, რომ დიალექტიკური მეთოდი «იკლიკანტობაა», «სოფიზმების მეთოდია», «ლოგიკური და სააზროვნო სალტომორტალეა» (**იხ.** «ნობათი» № 8. **შ. გ.**-ს წერილი), «რომლის საშუალებით წალმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით არიან დამტკიცებული» (**იხ.** «ნობათი» № 4. **ვ. ჩერქეზიშვილი**).

პირველი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანარქისტების ბრალდება

სამართლიანი უნდა იყოს. ყური დაუგდეთ, აბა, რას ამბობს ენგელსი მეტაფიზიკური მეთოდის მიმდევარზე: «...იგი ასე ამბობს: ჰო — ჰო, არა — არა; რაც ამის გარეშეა, ის ბოროტისგანაა. მისთვის ნივთი ან არსებობს, ან არ არსებობს: არ შეიძლება, რომ ნივთი ერთსა და იმავე დროს იყოს ის, რაც არის, და სხვა რამეც იყოს; დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთი-მეორეს...» (იხ. «ანტი-დიურინგი». შესავალი). როგორ! — ცხარობს ანარქისტი, — განა შეიძლება ერთი და იგივე საგანი ერთსა და იმავე დროს კარგიც იყოს და ავიც?! ეს ხომ «სოფიზმია», ეს ხომ «სიტყვების თამაშია», ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ «წაღმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით გინდათ დაამტკიცოთ!..»

მაგრამ ჩავუკვირდეთ აბა საქმეს. ჩვენ დღეს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოვითხოვთ, დემოკრატიული რესპუბლიკა კი ბურჟუაზიულ საკუთრებას ამაგრებს; შეიძლება ვთქვათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ყველგან და ყოველთვის კარგია? არა, არ შეიძლება! რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია მხოლოდ «დღეს», როცა ფეოდალურ საკუთრებას ვანგრევთ, მაგრამ «ხვალ», როცა შევუდგებით ბურჟუაზიული საკუთრების დანგრევას და სოციალისტურის დამყარებას, დემოკრატიული რესპუბლიკა კარგი აღარ იქნება, ის, პირიქით, ბორკილი იქნება, რომელსაც დავამტვრევთ და შორს გადავტყორცნით; და რადგანაც ცხოვრება მუდმივს მოძრაობაშია, რადგანაც წარსულსა და აწმყოს ერთმანეთს ვერ გავაშორებთ, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ფეოდალებსაც ვებრძვით და ბურჟუაზიასაც, ამიტომ ჩვენ ვამბობთ: რამდენადაც დემოკრატიული რესპუბლიკა ფეოდალურ საკუთრებას სპობს, იმდენად ის კარგია და ვიცავთ კიდეც მას; ხოლო რამდენადაც ის ბურჟუაზიულ საკუთრებას ამტკიცებს, იმდენად ის არ ვარგა და ამიტომ ვაკრიტიკებთ მას. გამოდის, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ერთსა და იმავე დროს «კარგიც» ყოფილა და «ავიც», და, ამრიგად, დასმულ კითხვაზე შეიძლება «ჰო»-ც ვუპასუხოთ და «არა»-ც. სწორედ ასეთი ფაქტები ჰქონდა მხედველობაში ენგელსს, როცა ის ზემოთ მოყვანილი სიტყვებით ამტკიცებდა დიალექტიკური მეთოდის სისწორეს. ანარქისტებს კი ვერ გაუგიათ ეს და «სოფიზმად» მოსჩვენებიათ! რა თქმა უნდა, ანარქისტებს შეუძლიათ შეამჩნიონ ან არ შეამჩნიონ ეს ფაქტები, მათ ისიც შეუძლიათ, რიყეზე ისე გაიარონ, რომ ქვა არ დაინახონ, — ეს მათი უფლებაა. მაგრამ რა შუაშია აქ დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ანარქისტებივით თვალდახუჭული არ უყურებს ცხოვრებას, რომელიც გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას და პირდაპირ გვეუბნება: რადგანაც ცხოვრება იცვლება, რადგანაც ცხოვრება მოძრაობს, ამიტომ ცხოვრების ყოველ მოვლენას ორი ტენდენცია აქვს: კარგი და ავი, რომელთაგან პირველი უნდა დავიცვათ და მეორე უარვყოთ. საკვირველი ხალხია ანარქისტები: ყოველ-

დღე «სამართლიანობაზე» გველაპარაკებიან და დიალექტიკურ მეთოდს კი უსამართლოდ ეპყრობიან!

დავუგეთ ჭვემოთ. ჩვენებური ანარქისტების აზრით, «დიალექტიკური» განვითარება არის კატასტროფისტული, რომლითაც ჯერ წარსული სრულიად ნადგურდება, და მერე მომავალი სავსებით განკერძოვებულად მყარდება... კიუვიეს კატაკლიზმებს უცნობი მიზეზი წარმოშობდა, მარქსენგელსის კატასტროფებს დიალექტიკა» (იხ. «ნობათი» № 8. შ. გ.-ს წერილი). ხოლო მეორე ადგილას იგივე ავტორი გვეუბნება, «მარქსიზმი... დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს მასო» (იხ. «ნობათი» № 6).

კარგად ჩაუკვირდი, მკითხველო!

კიუვიე უარყოფს დარვინის ევოლუციას, მას მხოლოდ კატაკლიზმები სწამს, კატაკლიზმი კი მოულოდნელი აფეთქებაა, «რომელსაც უცნობი მიზეზი წარმოშობს». ანარქისტები გვეუბნებიან, რომ მარქსისტები კიუვიეს ემხრობიან და, მაშასადამე, უარყოფენ დარვინიზმსო.

დარვინი უარყოფს კიუვიეს კატაკლიზმებს, ის თანდათანობით ევოლუციას ემხრობა. და აი, იგივე ანარქისტები გვეუბნებიან, რომ «მარქსიზმი... დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს მას», ე. მარქსისტები კიუვიეს კატაკლიზმებს არ ემხრობიანო.

აი ანარქია! სწორედ ამაზე იტყვიან: უნტერ-ოფიცრის ცოლმა თავისი თავი თავისივე ხელით გაწკეპლაო! ცხადია, «ნობათის» მერვე ნომრის შ. გ.-ს დავიწყებია ის, რაც მეექვსე ნომრის შ. გ.-ს უთქვამს. რომელია მართალი, მერვე თუ მეექვსე ნომერი? ან იქნება ორივენი სტყუიან?

გადავხედოთ ფაქტებს. მარქსი ამბობს: «თავიანთი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალები წინააღმდეგობაში ვარდებიან არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან ანუ, რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს, საკუთრების ურთიერთობასთან... მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა». მაგრამ «არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანამდე, სანამ არ განვითარებულა ყველა საწარმოო ძალა, რომელთათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა...» (იხ. კ. მარქსი, «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». წინასიტყვაობა). დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ მივუყენოთ მარქსის ეს თეზისი, გამოვა, რომ დღევანდელ საწარმოო ძალებს შორის, რომელთაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვთ, და პროდუქტთა მითვისების ფორმას შორის, რომელსაც კერძო ხასიათი აქვს, — ძირეული კონფლიქტია, რომელიც სოციალისტური რევოლუციით უნდა დასრულდეს (იხ. ფ. ენგელსის «ანტი-დიურინგი». მესამე განყოფილების მეორე თავი).

როგორც ხედავთ, მარქსისა და ენგელსის აზრით, «რევოლუციას» («კატასტროფას») იწვევს კიუვიეს «უცნობი მიზეზები» კი არა, არამედ სრულიად გარკვეული და ცოცხალი საზოგადოებრივი მიზეზები, რომლებსაც «საწარმოო ძალთა განვითარება» ეწოდება. როგორც ხედავთ, მარქსისა და ენგელსის აზრით, რევოლუცია მხოლოდ მაშინ ხდება, როცა საწარმოო ძალები საკმაოდ მომწიფდება, და არა **მოულოდნელად**, როგორც ეს კიუვიეს ეგონა. ცხადია, კიუვიეს კატაკლიზმებსა და დიალექტიკურ მეთოდს შორის საერთო არაფერია. მეორე მხრივ, დარვინიზმი უარყოფს არა მარტო კიუვიეს კატაკლიზმებს, არამედ დიალექტიკურად გაგებულ რევოლუციასაც, მაშინ როდესაც, დიალექტიკური მეთოდის აზრით, ევოლუცია და რევოლუცია, რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილება — ორი აუცილებელი ფორმაა ერთი და იმავე მოძრაობისა. ცხადია, არც ის შეიძლება ითქვას, რომ «მარქსიზმი... კრიტიკის თვალით არ უყურებს დარვინიზმსო». გამოდის, რომ ორივეგან სტყუის «ნობათი», — როგორც მეექვსე ნომერში, ისე მერვეში.

და აი, ეს ცრუპენტელა «კრიტიკოსები» ჩაგვიებიან: გინდათ თუ არა, ჩვენი ტყუილი თქვენს მართალსა სჯობიაო! ისიც, ალბათ, ფიქრობენ, რომ ანარქისტს ყველაფერი ეპატიება.

კიდევ ერთ რამეში ემდურებიან ბ-ნი ანარქისტები დიალექტიკურ მეთოდს: «დიალექტიკა... არ გვაძლევს საშვალებას გამოვიდეთ ან გამოვხ-**ტეთ** თავის თავისაგან, არც გადავახტეთ თავის თავსო» (იხ. «ნობათი» **№ 8. Ш. გ.**-ს წერილი). ეს კი სრული ჭეშმარიტებაა, ბ-ნო ანარქისტებო, აქ კი ცამდის მართალი ხართ, პატივცემულნო: დიალექტიკური მეთოდი არ იძლევა ასეთ საშუალებას. მაგრამ რატომ არ იძლევა? იმიტომ, რომ «თავის თავიდან გამოხტომა და თავის თავზე გადახტომა» თხების საქმეა, და დიალექტიკური მეთოდი კი ადამიანებისთვისაა გამოგონილი. აი სად **არის** საიდუმლოება!..

ასეთია საერთოდ ჩვენი ანარქისტების შეხედულება დიალექტიკურ მეთოდზე.

ცხადია, ანარქისტებს ვერ გაუგიათ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მეთოდი, — მათ თავიანთი საკუთარი დიალექტიკა გამოუგონიათ და სწორედ მას ებრძვიან ასე შეუბრალებლად.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ სეირს ვუყუროთ და სიცილს მივცეთ თავი, რადგანაც არ შეიძლება არ გაგეცინოს, როცა კაცი თავის ფანტაზიას ებრძვის, თავის საკუთარ გამონაგონს ანგრევს და თანაც გამწარებული გარწმუნებს, მტერსა ვკლავო.

II

«ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათს მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას».
კ. მარქსი

რა არის მატერიალისტური თეორია?

ყველაფერი იცვლება ქვეყანაზე, ყველაფერი მოძრაობს მსოფლიოში, მაგრამ **რანაირად** ხდება ეს ცვლილება და **რა სახით** სწარმოებს ეს მოძრაობა, — აი რაშია საკითხი. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ერთ დროს დედამიწა გავარვარებულ ცეცხლოვან მასას წარმოადგენდა, შემდეგ ნელ-ნელა გაცივდა, მერე გაჩნდა ცხოველთა სამეფო და ასე, ცხოველთა სამეფოს განვითარებას მოჰყვა მაიმუნთა ისეთი გვარეულობა, რომელმაც შემდეგ ადამიანები წარმოშვა. მაგრამ რანაირად ხდებოდა ეს განვითარება? ზოგნი ამბობენ, რომ ბუნებასა და მის განვითარებას წინ უსწრებდა მსოფლიო იდეა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ამ განვითარებას, ასე რომ ბუნების მოვლენათა მიმდინარეობა ცალიერი **ფორმა** ყოფილა იდეის განვითარებისა. ამათ იდეალისტებს ეძახდნენ, რომლებიც შემდეგ რამდენიმე მიმართულებად გაიყვნენ. ზოგნი კიდევ ამბობენ, რომ ქვეყანაზე თავდანვე არსებობს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალა — იდეა და მატერა, რომ, ცხადია, მოვლენებიც ორ წყებად იყოფა — იდეალურ და მატერიალურ მოვლენებად, რომელთა შორისაც მუდმივი ბრძოლაა გამართული; ასე რომ ბუნების მოვლენათა განვითარება — ეს მუდმივი ბრძოლა ყოფილა იდეალურ და მატერიალურ მოვლენათა შორის. ამათ დუალისტებს ეძახიან, რომლებიც იდეალისტებივით სხვადასხვა მიმართულებად იყოფიან.

მარქსის მატერიალისტური თეორია ძირიანად უარყოფს როგორც დუალიზმს, ისე იდეალიზმს. თქმა არ უნდა, რომ ქვეყანაზე ნამდვილად არსებობს იდეალური და მატერიალური მოვლენები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, ვითომ ისინი უარყოფენ ერთმანეთს. პირიქით — იდეალური და მატერიალური მოვლენები ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე მოვლენისა, ისინი ერთად არსებობენ და ერთად ვითარდებიან. მათ შორის მჭიდრო კავშირია გამართული. მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ერთმანეთს უარყოფენ. ამგვარად, ეგრეთწოდებული დუალიზმი ძირიანად ირღვევა. ერთი და განუყოფელი ბუნება, ორ სხვადასხვანაირ ფორმაში გამოხატული — მატერიალურსა და იდეალურში, — აი როგორ უნდა ვუყურებდეთ ბუნების განვითარებას. ერთი და განუყოფელი ცხოვრება, ორ სხვადასხვანაირ ფორმაში

გამოხატული — იდეალურსა და მატერიალურში, — ეი როგორ უნდა ვუყურებდეთ ცხოვრების განვითარებას.

ასეთია მონიზმი მარქსის მატერიალისტური თეორიისა.

ამავე დროს მარქსი უარყოფს იდეალიზმსაც. მართალი არ არის ეს აზრი, ვითომ იდეა, და საერთოდ სულიერი მხარე, თავის განვითარებაში წინ უსწრებს ბუნებას და საერთოდ მატერიალურ მხარეს. ჯერ ცოცხალი არსებანი არც კი მოიპოვებოდნენ ქვეყანაზე, რომ უკვე არსებობდა ეგრეთწოდებული გარეშე, არაორგანული ბუნება. პირველ ცოცხალ არსებას — პროტოპლაზმას — არავითარი შეგნება [იდეა] არ მოეპოვებოდა, — მას მხოლოდ გაღიზიანების უნარი ჰქონდა და ოდნავად ახლდა შეგრძნობის პირველი ჩანასახები. შემდეგ თანდათან ვითარდებოდა ცხოველებში შეგრძნობის უნარი და ნელ-ნელა შეგნებაზე გადადიოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად ვითარდებოდა მათი ნერვების სისტემა. მაიმუნი რომ წელში არ გამართულიყო, ის მუდამ რომ ოთხ ფეხზე ყოფილიყო, მისი ჩამომავალი — ადამიანი — თავისუფლად ვეღარ ისარგებლებდა თავისი ფილტვებითა და ყელის ძაფებით და, ამგვარად, ლაპარაკსაც ვეღარ შესძლებდა, რაც ძირიანად შეაფერხებდა მისი შეგნების განვითარებას. ან კიდევ: მაიმუნი რომ უკანა ფეხებზე არ დამდგარიყო, მისი ჩამომავალი — ადამიანი — იძულებული იქნებოდა მუდამ ძირს ეცქირნა და მხოლოდ იქიდან ეკრიფნა შთაბეჭდილებანი; მას შესაძლებლობა არ ექნებოდა მაღლა და გარშემო მიმოეხედნა, მას შესაძლებლობა არ ექნებოდა, მაშასადამე, მაიმუნზე მეტი მასალა (შთაბეჭდილებანი) მიეწოდებინა ტვინისთვის და, ამგვარად, ძირიანად შეფერხდებოდა მისი შეგნების განვითარება. გამოდის, რომ თვითონ სულიერი მხარის განვითარებისთვის საჭირო ყოფილა ორგანიზმის შესაფერი აგებულება და მისი ნერვული სისტემის განვითარება. გამოდის, რომ სულიერი მხარის განვითარებას, იდეის განვითარებას წინ უსწრებს მატერიალური მხარის, მდგომარეობის (бытие) განვითარება. ცხადია, ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერია იცვლება და შემდეგ შესაფერისად იცვლება შეგნება და სხვა სულიერი მოვლენები, — მატერიალური პირობების განვითარებას უკან რჩება იდეალური მხარის განვითარება. თუ მატერიალურ მხარეს, თუ გარეშე პირობებს, თუ მდგომარეობას და სხვა იმისთანეებს შინაარსს დავარქმევთ, მაშინ იდეალურ მხარეს, შეგნებას და სხვა ამგვარ მოვლენებს ფორმა უნდა დავარქვათ. აქედან წარმოსდგება ცნობილი მატერიალისტური დებულება: განვითარების პროცესში შინაარსი წინ უსწრებს ფორმას, ფორმა უკან რჩება შინაარსს.

ესევე უნდა ითქვას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. აქაც მატერიალური განვითარება წინ უსწრებს იდეალურ განვითარებას, აქაც ფორმა უკან რჩება თავის შინაარსს. მეცნიერული სოციალიზმის ჯერ ხსენებაც არსად

იყო, რომ კაპიტალიზმი და კლასთა ბრძოლა გაძლიერებულად სწარმოებდა; ჯერ სოციალისტური იდეა არსად სჩანდა, რომ წარმოების პროცესს უკვე მიღებული ჰქონდა საზოგადოებრივი ხასიათი.

ამიტომ ამბობს მარქსი: «ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათს მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მათს შეგნებას» (იხ. **კ. მარქსი, «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»**). და რადგანაც, მარქსის აზრით, ეკონომიური განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური საფუძველია, **მისი შინაარსია**, და იურიდიულ-პოლიტიკური და რელიგიურ-ფილოსოფიური განვითარება კი ამ შინაარსის **«იდეოლოგიური ფორმაა»** და მისი «ზედნაშენი», — ამიტომ მარქსი ამბობს, რომ «ეკონომიური საფუძვლის შეცვლასთან ერთად **ადრე თუ გვიან** ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში» (იხ. იქვე).

დიახ, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჯერ გარეშე, მატერიალური პირობები იცვლება და შემდეგ ადამიანების აზროვნება, მათი მსოფლმხედველობა. შინაარსის განვითარება წინ უსწრებს ფორმის აღმოცენებას და განვითარებას. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომ მარქსის აზრით შინაარსი უფორმოდ შეიძლებოდეს, როგორც ეს **შ. გ.**-ს მოლანდებია (იხ. «ნობათი» № 1. «მონიზმის კრიტიკა»). შინაარსი უფორმოდ შეუძლებელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ესა თუ ის ფორმა, რადგანაც **ის** უკან რჩება თავის შინაარსს, არადროს არ შეესაბამება **სავსებით** ამ შინაარსს და, **•მგვარად**, ხშირად ახალი შინაარსი **«იძულებულია»** დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს, რაც კონფლიქტს იწვევს მათ შორის. დღეს, მაგალითად, წარმოების **საზოგადოებრივ** შინაარსს არ შეესაბამება წარმოების პროდუქტთა მითვისების კერძო ხასიათი, და სწორედ ამ ნიადაგზე სწარმოებს დღევანდელი სოციალური «კონფლიქტი». მეორე მხრივ, **ის** აზრი, რომ **•**დეა არსებობის ფორმაა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომ შეგნება თავისი ბუნებით — იგივე მატერიაა. ასე ფიქრობდნენ მხოლოდ ვულგარული მატერიალისტები (მაგ., ბიუხნერი და მოლეშოტი), რომელთა თეორიები ძირიანად ეწინააღმდეგებიან მარქსის მატერიალიზმს და რომლებსაც სამართლიანად დასცინოდა ენგელსი თავის «ლუდვიგ ფეიერბახში». მარქსის მატერიალიზმის თანახმად შეგნება და მდგომარეობა, სული და მატერია — ეს ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე მოვლენისა, რომელსაც, საერთოდ რომ ვთქვათ, ბუნება ეწოდება; მაშასადამე, ისინი არც უარყოფენ ერთმანეთს * და არც ერთსა და იმავე მოვლენას წარმოადგენენ. საქმე

---

* ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ფორმასა და შინაარსს შორის კონფლიქტი არსებობს. საქმე იმაშია, რომ ეს კონფლიქტი

მხოლოდ იმაშია, რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში შეგნებას, ე. ი. იმას, რაც ჩვენს თავში ხდება, წინ უსწრებს შესაფერისი მატერიალური ცვლილება, ე. ი. ის, რაც ჩვენს გარეშე ხდება. ამა თუ იმ მატერიალურ ცვლილებას აღრე თუ გვიან აუცილებლად მოსდევს შესაფერისი იდეალური ცვლილება და იმიტომაც ვამბობთ, რომ იდეალური ცვლილება ფორმაა შესაფერისი მატერიალური ცვლილებისა.

ასეთია საერთოდ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის მონიზმი.

კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან ზოგიერთები, ეგ ყველაფერი მართალია ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის მიმართ. მაგრამ დღეს რანაირად იბადება ჩვენს თავში სხვადასხვა წარმოდგენები და იდეები ამა თუ იმ საგნებზე? ანდა ნამდვილად კი არსებობს ეგრეთწოდებული გარეშე პირობები, თუ მარტო ჩვენი წარმოდგენები არსებობს ამ რაღაც გარეშე პირობებზე? და თუ გარეშე პირობებიც არსებობს, რამდენად შესაძლებელია მათი აღქმა და შემეცნება?

ამის გამო ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი «მე», მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს გარეშე პირობები, რომლებიც ჩვენს «მე»-ზე შთაბეჭდილებას ახდენენ. ისინი, ვინც ასე დაუფიქრებლად ამბობენ, რომ ჩვენი წარმოდგენების მეტი არა არსებობს-რაო, იძულებული არიან უარყონ ყოველივე გარეშე პირობების არსებობა და, მაშასადამე, დანარჩენი ადამიანების არსებობაც, გარდა თავისი «მე»-სი, რაც ძირიანად ეწინააღმდეგება მეცნიერებისა და ცხოვრებითი მოქმედების ძირითად საფუძვლებს. დიახ, გარეშე პირობები ნამდვილად არსებობენ; ეს პირობები არსებობდნენ ჩვენამდე და იარსებებენ ჩვენს შემდეგაც, და მათი აღქმა-შემეცნება შესაძლებელია მით უფრო ჩქარა და ადვილად, რაც უფრო ხშირად და ძლიერად მოქმედებენ ისინი ჩვენს შეგნებაზე. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იბადება **დღეს** ჩვენს თავში სხვადასხვა წარმოდგენები და იდეები ამა თუ იმ საგანზე, ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოკლედ იგივე მეორდება, რაც ბუნებისა და საზოგადოების **ისტორიაში** ხდება. აქაც ჩვენს გარეშე მყოფი საგანი წინ უსწრებს ჩვენს წარმოდგენას ამ საგანზე, აქაც ჩვენი წარმოდგენა, ფორმა, უკან რჩება საგანს, როგორც თავის შინაარსს და სხვ. თუ მე ვუყურებ ხეს და ვხედავ მას, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, სანამ ჩემს თავში წარმოდგენა დაიბადებოდა ხის შესახებ, ამაზე წინ არსებობდა თვითონ ხე, რომელმაც შესაფერისი წარმოდგენა გამოიწვია ჩემში.

საერთოდ შინაარსსა და ფორმას შორის კი არ არსებობს, არამედ **ძველ** ფორმასა და **ახალ** შინაარსს შორის, რომელიც ახალ ფორმას ეძებს და მისკენ მიისწრაფის.

ძნელი გასაგები არაა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მარქსისა და ენგელსის მონისტურ მატერიალიზმს ადამიანების პრაქტიკული მოღვაწეობისთვის. თუ ჩვენი მსოფლმხედველობა, ჩვენი ზნე-ჩვეულება გარეშე პირობებისგანაა გამოწვეული, თუ იურიდიული და პოლიტიკური ფორმების უვარგისობა ეკონომიურ შინაარსზეა დამყარებული, მაშინ ცხადია, ხელი უნდა შევუწყოთ ეკონომიურ ურთიერთობათა ძირიანად გარდაქმნას, რომ მათთან ერთად ძირიანად შეიცვალოს ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ქვეყნის პოლიტიკური წყობა.

აი რას ამბობს ამაზე კარლ მარქსი:

«დიდი ჰკუა არ უნდა იმის გაგებას, თუ რა კავშირი აქვს მატერიალიზმის მოძღვრებას... სოციალიზმთან... თუ ადამიანი მთელ თავის ცოდნას, შეგრძნობას და სხვ. გრძნობადი ქვეყნიერებიდან... იღებს, მაშინ ემპირიული ქვეყანა ისე უნდა მოეწყოს, რომ მან იქ ჭეშმარიტი ადამიანობა შეიცნოს, რომ შეეჩვიოს თავისი თავი ადამიანად აღზარდოს... თუ ადამიანი თავისუფალი არაა მატერიალისტური აზრით, ე. ი. თუ მისი თავისუფლება მდგომარეობს არა უარყოფით ძალაში — ესა თუ ის აიცილოს, არამედ დადებით ძალაში — თავისი ნამდვილი ინდივიდუალობა გამოამჟღავნოს, მაშინ ცალკე პიროვნება კი არ უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის, არამედ დანაშაულის ანტისოციალური წყაროები უნდა მოისპოს... თუ ადამიანის ხასიათს გარემოებანი ქმნიან, ეს გარემოებანი ადამიანური უნდა გავხადოთ» («ლუდვიგ ფეიერბახი». დანართი: «კ. მარქსი XVIII საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმზე»).

ასეთია კავშირი მატერიალიზმსა და ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის.

*
* *

როგორ უყურებენ ანარქისტები მარქსისა და ენგელსის მონისტურ მატერიალიზმს?

თუ მარქსის დიალექტიკა ჰეგელიდან მომდინარეობს, სამაგიეროდ, მისი მატერიალიზმი ფეიერბახის მატერიალიზმის განვითარებაა. ეს კარგად იციან ანარქისტებმა და ისინი ცდილობენ ჰეგელისა და ფეიერბახის ნაკლოვანებებით მარქს-ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი გააშავონ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჰეგელის შესახებ, რომ ანარქისტების ასეთი ფანდები ვერაფერს ვერ დაამტკიცებს, გარდა მათივე პოლემიკური უძლურებისა. ესეც უნდა ვთქვათ ფეიერბახის შესახებ. აი, მაგალითად, ისინი ძალიან ხაზს უსვამენ, რომ «ფეიერბახი პანტეისტი იყო...», რომ მან «კაცი გააღმერთა»... (იხ. «ნობათი» № 7. დ. დელენდის წერილი), რომ ფეიერბახის აზრით კაცი ის არის, რასაც ის სჭამს...», რომ აქედან მარქსმა ვითომ შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: «მაშასადამე, უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობაა» და სხვ. (იხ. «ნობათი» № 6. **ზ. გ.**-ს წერილი). მართალია, ფეიერბახის პანთეისტობაში, მის მიერ კაცის გაღმერთებაში და მის სხვა ამისთანა შეცდომებში ჩვენგანს ეჭვი არავის შეაქვს, პირიქით, მარქსმა და ენგელსმა პირველად გამოააშკარავეს ფეიერბახის შეცდომები, მაგრამ ანარქისტები მაინც საჭიროდ სცნობენ კიდევ «გამოააშკარაონ» ფეიერბახის უკვე გამოაშკარავებული შეცდომები. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ფეიერბახის ძაგებით გააშავონ როგორმე მატერიალიზმიც, რომელიც ფეიერბახისგან ისესხა მარქსმა და შემდეგ მეცნიერულად განავითარა. განა არ შეიძლებოდა ფეიერბახს შემცდარ აზრებთან სწორი აზრებიც ჰქონოდა? ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი ფანდებით ანარქისტები ოდნავაც ვერ შეარყევენ მონისტურ მატერიალიზმს, — ამით ისინი მხოლოდ საკუთარ უძლურებას დაამტკიცებენ.

თვითონ ანარქისტებში სხვადასხვანაირი აზრი სუფევს მარქსის მატერიალიზმზე. ბ-ნ ჩერქეზიშვილს რომ ჰკითხოთ, მარქსსა და ენგელსს სძულდათ მონისტური მატერიალიზმი; მისი აზრით, მათი მატერიალიზმი ვულგარული მატერიალიზმი იყო და არა მონისტური: «ის დიდი მეცნიერება ნატურალისტებისა თავის ევოლუციის სისტემით, ტრანსფორმიზმით და მონისტურ მატერიალიზმით, **რომელიც ძლიერ სძულს ენგელსს**... გვერდს უვლიდა... დიალექტიკურ მეთოდს» და სხვ. (იხ. «ნობათი» № 4. ვ. ჩერქეზიშვილის წერილი). გამოდის, რომ საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი, რომელიც ჩერქეზიშვილს მოსწონს და რომელიც ენგელსს სძულდა, მონისტური მატერიალიზმი ყოფილა. მეორე ანარქისტი კი გვეუბნება, რომ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი მონისტურია და ამიტომ ღირსია უარყოფისა. «მარქსის ისტორიული კონცეპციაც გეგელიანიზმის ატავიზმია. აბსოლიუტური ობიექტივიზმის მონისტური მატერიალიზმი საზოგადოთ — კერძოთ ეკონომიური მონიზმი მარქსის შეუძლებელია ბუნებაში და შემცდარია თეორიაში... მონისტური მატერიალიზმი გლახად დაფარული დუალიზმი და კომპრომისია მეტაფიზიკას და მეცნიერების შორის...» (იხ. «ნობათი» № 6. **ზ. გ.**-ს წერილი). გამოდის, რომ მონისტური მატერიალიზმი დასაწუნი ყოფილა, რადგან მარქსსა და ენგელსს არ სძულებიათ იგი, პირიქით, თვითონ-

ვე ყოფილან მონისტური მატერიალისტები, რის გამოც უნდა უარვყოთ მონისტური მატერიალიზმი.

აი ანარქია! ჯერ თვითონაც ვერ გაურკვევიათ მარქსის მატერიალიზმის ავკარგიანობა, ჯერ თვითონაც ვერ გაუგიათ, მონისტურია ის თუ არ არის მონისტური, ჯერ თვითონაც ვერ შეთანხმებულან მის ღირსება-ნაკლოვანებაზე და ჩვენ კი კვეხნით ყური გაგვიხვრიტეს: მარქსის მატერიალიზმს ვაკრიტიკებთ და მიწასთან ვასწორებთო. აქედანვე კტყობა, თუ რამდენად საფუძვლიანი იქნება მათი «კრიტიკა».

დავყვეთ ქვემოთ. ზოგიერთ ანარქისტს არც კი სცოდნია, რომ მეცნიერებაში სხვადასხვანაირი მატერიალიზმი არსებობს და მათ შორის დიდი განსხვავებაა: არის, მაგალითად, ვულგარული მატერიალიზმი (ბუნებისმეტყველებაში და ისტორიაში), რომელიც უარყოფს იდეალური მხარის მნიშვნელობას და მის ზეგავლენას მატერიალურ მხარეზე; მაგრამ არის აგრეთვე ეგრეთწოდებული მონისტური მატერიალიზმი, რომელიც მეცნიერული თვალით უყურებს იდეალური და მატერიალური მხარეების ურთიერთობას. ზოგიერთი ანარქისტი ყოველივე ამას ერთმანეთში ურევს და ამავე დროს რიხიანად აცხადებს: გინდა თუ არა, საფუძვლიანად ვაკრიტიკებთ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმსო! ყური დაუგდეთ: «ფ. ენგელსის აზრით და აგრეთვე კაუცკის აზრითაც მარქსმა დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას იმით, რომ მან...» სხვათა შორის «მატერიალისტური კონცეპცია» აღმოაჩინა. «მართალია ეს? ჩვენ არ გვგონია, რადგან ვიცით... რომ ყველა ის ისტორიკოსები, მეცნიერები და ფილოსოფოსები, ვინც კი აღიარებდა ისეთ აზრებს, რომლითაც საზოგადოებრივი მექანიზმი მოჰყავს მოძრაობაში ოროგრაფიულ, გეოგრაფიულ, კლიმატერიულ-ტელლურიულ, კოსმიურ, ანტროპოლოგიურ და ბიოლოგიურ პირობებს, — **ყველა ესენი მატერიალისტები არიან»** (იხ. «ნობათი» № 2. შ. გ.-ს წერილი). მოდი და ელაპარაკე ამათ! გამოდის, რომ არისტოტელეს და მონტესკიეს «მატერიალიზმს» შორის. მარქსისა და სენ-სიმონის «მატერიალიზმს» შორის განსხვავება არ არის. აი, ამას ჰქვია მოწინააღმდეგის გაგება და მისი საფუძვლიანი გაკრიტიკება!..

ზოგიერთ ანარქისტს კიდევ სადღაც ყური მოუკრავს, რომ მარქსის მატერიალიზმი «კუჭის თეორიააო», და მოჰყოლია ამ «აზრის» პოპულარიზაციას, ალბათ, იმიტომ, რომ ქაღალდი ძვირი არაა «ნობათის» რედაქციაში და იაფად ჩაუვლის ეს ოპერაცია. მოისმინეთ: «ფეიერბახის აზრით კაცი ის არის, რასაც ის სჭამს. ამ ფორმულამ მარქს და ენგელსზე ისე იმოქმედა, როგორც ჯადომ», და აი, ანარქისტების აზრით, აქედან მარქსმა დაასკვნა, რომ «მაშასადამე, უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობა, წარმოებითი ურთი-ერთობა არის...» შემდეგ

ფილოსოფიურად გვასწავლიან ანარქისტები: «თქმა იმისი, რომ ერთად-ერთი საშვალება ამ მიზნისა (ცხოვრების) ჭამა და მაშასადამე ეკონომიური წარმოება არისო შეცდომა იქნება... **ჭამა** და ეკონომიური მდგომარეობა რომ უმთავრესად მონისტურად **იდეოლოგიის გამსაზღვრელი იყოს**, მაშინ ზოგი ბელთოყლაპია გენიოსები იქნებოდნენ» (იხ. «ნობათი» № 6. შ. გ.-ს წერილი). აი, თურმე, რა ადვილი ყოფილა მარქსის მატერიალიზმის გაკრიტიკება: საკმარისია ვინმე «ინსტიტუტკისგან» გაიგონოთ რაიმე ჭუჩური ჭორი მარქსზე და ენგელსზე, საკმარისია ეს ჭუჩური ჭორები ფილოსოფიური რიხით გაიმეოროთ რომელიმე «ნობათის» ფურცლებზე, რომ მაშინვე «კრიტიკოსის» სახელი დაიმსახუროთ. ერთი მითხარით, ბატონებო: სად, როდის, რომელ ქვეყანაში სთქვა, ან რომელმა მარქსმა სთქვა, რომ «ჭამა განსაზღვრავს იდეოლოგიას»? რატომ ერთი წინადადება, ერთი სიტყვა მაინც არ გვიჩვენეთ მარქსის ნაწერებიდან თქვენი ბრალდების დასასაბუთებლად? განა ეკონომიური მდგომარეობა და ჭამა ერთი და იგივეა? ამ ორი სრულიად სხვადასხვანაირი ცნების ერთმანეთში არევა, ვთქვათ, ეპატიება რომელიმე «ინსტიტუტკას», მაგრამ როგორ მოხდა, რომ თქვენ, «სოციალ-დემოკრატიის დამაქცევარნი», «მეცნიერების ამაღორძინებელნი», — თქვენც ასე უდარდელად იმეორებთ «ინსტიტუტკების» შეცდომას? ან როგორ უნდა განსაზღვროს ჭამამ საზოგადოებრივი იდეოლოგია? ჩაუკვირდით, აბა, ოქვენს სიტყვებს: ჭამა, ჭამის ფორმა არ იცვლება, ძველადაც ისე ჭამდნენ, ღეჭავდნენ და ინელებდნენ საჭმელს, როგორც ახლა, მაშინ როდესაც იდეოლოგიის ფორმა დღითი-დღე იცვლება და ვითარდება. ანტიკური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, პროლეტარული — აი, სხვათა შორის, რა ფორმები აქვს იდეოლოგიას; განა წარმოსადგენია, რომ იმან, რაც, საერთოდ რომ ვთქვათ, არ იცვლება, განსაზღვროს ის, რაც დღითი-დღე იცვლება? იდეოლოგიას ეკონომიური მდგომარეობა საზღვრავს — ამას მართლაც ამბობს მარქსი, და ეს ადვილი გასაგებიც არის, მაგრამ განა ჭამა და ეკონომიური მდგომარეობა ერთი და იგივეა? რატომ მოგნდომებიათ თქვენი საკუთარი გაუგებლობა მარქსს მოახვიოთ თავზე?..

დაეყვეთ ქვევით. ჩვენი ანარქისტების აზრით, მარქსის მატერიალიზმი «იგივე პარალელიზმია...» ან კიდევ: «მონისტური მატერიალიზმი გლახად დაფარული დუალიზმი და კომპრომისია მეტაფიზიკას და მეცნიერების შორის...» «მარქსი დუალიზმში ვარდება იმიტომ, რომ წარმოებით ურთიერთობებს სახავს, როგორც მატერიალურს, და ადამიანის სურვილს და ნებას კი როგორც ილიუზიას და უტოპიას, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობა და არსებობს კი» (იხ. «ნობათი» № 6. შ. გ.-ს წერილი). ჯერ ერთი, რომ მარქსის მონისტურ მატერიალიზმს არავითარი საერთო არა აქვს უთავბოლო პარალელიზმთან. მაშინ, როდესაც მატერიალიზმის აზრით მატერიალური მხარე, შინაარსი, აუცილებლად **წინ უსწრებს** იდეალურ მხარეს,

ფორმას, — პარალელიზმი უარყოფს ამ შეხედულებას და გადაჭრით ამბობს, რომ არც მატერიალური და არც იდეალური მხარე, არც ერთი მათგანი **არ უსწრებს წინ** ერთი-მეორეს, ორივე ერთად, პარალელურად მოძრაობენო. მეორეც, რა კავშირი აქვს მარქსის მონიზმს დუალიზმთან, როდესაც კარგად ვიცით (თქვენც უნდა იცოდეთ, ბ-ნო ანარქისტებო, თუ მარქსიზმის ლიტერატურას კითხულობთ!), რომ პირველი **ერთი პრინციპიდან** გამოდის — ბუნებიდან, რომელსაც მატერიალური და იდეალური ფორმა აქვს, მაშინ როდესაც მეორე **ორი პრინციპიდან** გამოდის — მატერიალურიდან და იდეალურიდან, რომლებიც დუალიზმის თანახმად ერთი-მეორეს უარყოფენ? მესამეც. ვინ სთქვა, ვითომ «ადამიანის სურვილს და ნებას მნიშვნელობა არა აქვსო»? სად ამბობს ამას მარქსი, რატომ არ დაგვისახელებთ? განა «ლუი ბონაპარტის მე-18 ბრიუმერში», «კლასთა ბრძოლაში», «სამოქალაქო ომში» და სხვა ამისთანა ბროშურებში «სურვილებისა და ნების» მნიშვნელობაზე არ ლაპარაკობს მარქსი? მაშ რატომ ცდილობდა მარქსი სოციალისტურად განევითარებინა პროლეტარების «ნება და სურვილები», რატომ ეწეოდა მათში პროპაგანდას, თუ «სურვილებისა და ნების» მნიშვნელობა არ სწამდა? ან რაზე ლაპარაკობს ენგელსი თავის ცნობილ წერილებში 1891 — 94 წ., თუ არ «სურვილებისა და ნების მნიშვნელობაზე»? ადამიანის სურვილები და ნება ეკონომიური მდგომარეობიდან იღებენ თავიანთ შინაარსს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, ვითომ მათ არავითარი გავლენა არა აქვთ ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაზე. ჩუთუ ამ მარტივი აზრის მონელება ასე ძნელია ჩვენი ანარქისტებისთვის? დიახ, დიახ, მართალი უთქვამთ, რომ კრიტიკის მადა სხვაა და კრიტიკა კიდევ სხვა!..

კიდევ ერთი ბრალდება ბ-ნ ანარქისტებისა: «ფორმა უშინაარსოდ წარმოუდგენელია...», ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ «ფორმა მოსდევს (უკან რჩება) შინაარსს... ისინი «თანაარსნი არიან»... წინააღმდეგ შემთხვევაში მონიზმი აბსურდიაო» (იხ. «ნობათი» № 1. **შ. გ.**-ს წერილი). ცოტა რამ არევიათ ბ-ნ ანარქისტებს. შინაარსი უფორმოდ წარმოუდგენელია, მაგრამ **არსებული ფორმა** არადროს არ შეესაბამება სავსებით არსებულ შინაარსს, ახალი შინაარსი რამდენადმე მუდამ ძველ ფორმაშია გახვეული, რის გამოც ძველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის მუდამ კონფლიქტი არსებობს. სწორედ ამ ნიადაგზე ხდება რევოლუციები, და ამაში გამოიხატება, სხვათა შორის, მარქსის მატერიალიზმის რევოლუციური სული. ანარქისტებს კი ეს ვერ გაუგიათ და დაჟინებით გვიმეორებენ, შინაარსი უფორმოდ არ შეიძლებაო...

ასეთია ანარქისტების შეხედულება მატერიალიზმზე. ჩვენ მეტს აღარაფერს ვიტყვით ამაზე. ისიც საკმაოდ აშკარაა, რომ ანარქისტებს საკუთარი

მარქსი გამოუგონიათ, საკუთარი «მატერიალიზმით» ხელში, და მას ებრძვიან. ნამდვილ მარქსს და ნამდვილ მატერიალიზმს ერთი ტყვიაც არ ხვდება...

რა კავშირია დიალექტიკურ მატერიალიზმსა და პროლეტარულ სოციალიზმს შორის?

გაზეთი «ახალი ცხოვრება»
№№ 2, 4, 7 და 16;
1906 წლის 21, 24, 28 ივნისი
და 9 ივლისი.

ხელმოწერა: კ ო ბ ა.

შენიშვნები

1 «ბრძოლა» — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური ქართული გაზეთი. გაზეთ «ბრძოლის» შექმნის ინიციატორი იყო ი. ბ. სტალინი. გაზეთ «ბრძოლის» გამოსვლა იყო იმ ბრძოლის შედეგი, რომელსაც 1898 წლიდან ეწეოდა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის «მესამე დასის» რევოლუციური უმცირესობა (ი. ბ. სტალინი, ვ. ზ. კეცხოველი, ა. გ. წულუკიძე) მისი ოპორტუნისტული უმრავლესობის (ჟორდანია და სხვები) წინააღმდეგ არალეგალური რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის საკითხში. «ბრძოლა» იბეჭდებოდა ბაქოში არალეგალურ სტამბაში, რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რევოლუციური ფრთის დავალებით მოაწყო ი. ბ. სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა ვ. ზ. კეცხოველმა. მასვე დაეკისრა გაზეთის გამოშვების პრაქტიკული სამუშაო. «ბრძოლაში» ხელმძღვანელი სტატიები რევოლუციური მარქსისტული პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის საკითხებზე ეკუთვნის ი. ბ. სტალინს. გამოვიდა «ბრძოლის» ოთხი ნომერი: № 1 — 1901 წლის სექტემბერში, № 2-3 — 1901 წლის ნოემბერ-დეკემბერში და № 4 — 1902 წლის დეკემბერში. «ბრძოლა» — «ისკრის» შემდეგ რუსეთში ყველაზე უკეთესი მარქსისტული გაზეთი — იცავდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის განუყრელ კავშირს მთელი რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან. იცავდა რა რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს, «ბრძოლა», ისევე როგორც ლენინური «ისკრა», ეწეოდა იმის პროპაგანდას, რომ საჭიროა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გადასვლა მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, თვითმპყრობელობასთან პოლიტიკურ ბრძოლაზე, იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის

ჰეგემონიის ლენინურ იდეას. იბრძოდა რა «ეკონომისტების» წინააღმდეგ, «ბრძოლა» ასაბუთებდა მუშათა კლასის ერთიანი რევოლუციური პარტიის შექმნის აუცილებლობას, ამხილებდა ლიბერალურ ბურჟუაზიას, ყველა ჯურის ნაციონალისტებსა და ოპორტუნისტებს. ლენინურმა «ისკრამ» «ბრძოლის» პირველი ნომრის გამოსვლა აღნიშნა როგორც დიდი მნიშვნელობის მოვლენა. — **8.**

2 **«Рабочая Мысль»** — გაზეთი, რომელიც ატარებდა «ეკონომისტების» აშკარა ოპორტუნისტულ შეხედულებებს. გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე. გამოვიდა 16 ნომერი. — **17.**

3 1897 წლის 2 ივნისის კანონი სამრეწველო საწარმოებისა და რკინიგზის სახელოსნოების მუშებისთვის აწესებდა 11½-საათიან სამუშაო დღეს; ამავე დროს კანონმა მუშებს შეუმცირა სადღესასწაულო დღეების რაოდენობა. — **17.**

4 ლაპარაკია «უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეების მიერ სამხედრო ბეგარის მოხდის დროებით წესებზე», რაც მთავრობამ დაამტკიცა 1899 წლის 29 ივლისს. ამ წესების საფუძველზე სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ კოლექტიურ გამოსვლებში, გარიცხული იქნებოდნენ სასწავლებლებიდან და ჩაირიცხებოდნენ რიგით ჯარისკაცებად მეფის არმიაში ვადით ერთი წლიდან სამ წლამდე. — **24.**

5 **«საქართველო»** — ქართველ ნაციონალისტთა საზღვარგარეთის ჯგუფის გაზეთი, რომელიც სოციალ-ფედერალისტთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის ბირთვი გახდა. გამოდიოდა პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე 1903-დან 1905 წლამდე.

ქართველ ფედერალისტთა პარტიაში (ჩამოყალიბდა ჟენევაში 1904 წლის აპრილში) შევიდნენ, «საქართველოს» ჯგუფს გარდა, ანარქისტები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატები. ფედერალისტთა ძირითადი მოთხოვნა იყო — საქართველოს ეროვნული ავტონომია რუსეთის მემამულურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფარგლებში. რეაქციის წლებში ისინი რევოლუციის აშკარა მოწინააღმდეგენი გახდნენ. — **35.**

6 «სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია» ჩამოაყალიბეს სომხეთის ნაციონალ-ფედერალისტურმა ელემენტებმა მალე რსდმპ II ყრილობის შემდეგ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა ამ ორგანიზაციის მჭიდრო კავშირს ბუნდთან. «ეს **ბუნდის კრეატურაა**, მეტი არაფე-

რი, რომელიც სპეციალურად გამოიგონეს კავკასიის ბუნდიზმის საზრდოობისთვის. ...ყველა კავკასიელი ამხანაგი ამ ლიტერატორ-დეზორგანიზატორთა ხროვის წინააღმდეგია», — სწერდა ვ. ი. ლენინი ცენტრალური კომიტეტის წევრებს 1905 წლის 7 სექტემბერს (ახალი სტილით) (იხ. ლენინის კრებული V, გვ. 493 რუს. გამოც.). — **37.**

7 ბუნდი (ებრაელთა საყოველთაო მუშათა კავშირი ლიტვაში, პოლონეთსა და რუსეთში) — ებრაელთა წვრილბურჟუაზიული ოპორტუნისტული ორგანიზაცია. შეიქმნა ვილნოში 1897 წლის ოქტომბერში შემდგარ ყრილობაზე. ბუნდი მუშაობას ეწეოდა უმთავრესად ებრაელ ხელოსანთა შორის. შევიდა რა რსდმპ-ში I ყრილობაზე 1898 წელს «როგორც ავტონომიური ორგანიზაცია, დამოუკიდებელი მხოლოდ იმ საკითხებში, რომლებიც სპეციალურად ებრაელ პროლეტარიატს ეხება», ბუნდი გამოვიდა ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის მატარებლად რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ბუნდის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციას მკვეთრად აკრიტიკებდა ლენინური «ისკრა». კავკასიელი ისკრელები სავსებით უჭერდნენ მხარს ვ. ი. ლენინს მის ბრძოლაში ბუნდის წინააღმდეგ. — **40.**

8 იგულისხმება პარტიის კომიტეტები, რომლებიც გაერთიანდნენ 1903 წლის მარტში თბილისში კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების I ყრილობაზე რსდმპ კავკასიის კავშირად. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ქუთაისის, გურიის და სხვა ორგანიზაციები. ყრილობამ მოიწონა ლენინური «ისკრის» პოლიტიკური ხაზი, სახელმძღვანელოდ მიიღო «ისკრის» და «ზარიას» პროგრამის პროექტი, შეიმუშავა და დაამტკიცა კავშირის სპეციალური წესდება. კავკასიის კავშირის პირველმა ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ინტერნაციონალურ წყობას. ყრილობამ შექმნა ხელმძღვანელი პარტიული ორგანო — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში დაუსწრებლად არჩეულ იქნა ი. ბ. სტალინი, რომელიც მაშინ ბათუმის საპყრობილეში პატიმრად იმყოფებოდა. გადასახლებიდან გამოქცევისა და თბილისში დაბრუნების შემდეგ 1904 წლის დამდეგს ი. ბ. სტალინი სათავეში უდგება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს. — **40.**

9 ი. ბ. სტალინის ორი წერილი ქუთაისიდან აღმოჩენილ იქნა ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას მიწერ-მოწერაში რუსეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან. ეს წერილები ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი იყო 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როცა იგი ქუთაისში იმყოფებოდა, და გაგზავნილი იყო მ. დავითაშვილის სახელზე, რომელიც მასთან ერთად

ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას ამიერკავკასიაში. მ. დავითაშვილი მაშინ ლეიპციგში (გერმანია) ცხოვრობდა და ბოლშევიკების ლეიპციგის ჯგუფში შედიოდა. ამ წერილებზე ბოლშევიკების ლეიპციგის ჯგუფის მეორე მონაწილე დ. სულიაშვილი თავის მოგონებებში სწერს: «ამხანაგ სტალინისაგან ჩვენ ვღებულობდით აღფრთოვანებულ წერილებს ლენინზე. წერილებს ღებულობდა ამხ. მ. დავითაშვილი. ამხანაგი სტალინი ამ წერილებში აღტაცებული იყო ლენინით, მისი განუხრელი, წმინდა მარქსისტული ტაქტიკით, მის მიერ პარტიული მშენებლობის საკითხების გადაჭრით და სხვ. ერთ-ერთ წერილში ამხანაგი სტალინი ლენინს «მთის არწივს» უწოდებდა და აღფრთოვანებული იყო მისი შეურიგებელი ბრძოლით მენშევიკთა წინააღმდეგ. ჩვენ ეს წერილები ლენინს გადავუგზავნეთ და მალე მისგან მივიღეთ პასუხი, რომელშიაც იგი სტალინს «მგზნებარე კოლხიდელს» უწოდებდა». წერილების ქართული დედნები ნაპოვნი არ არის და ამ ტომში მოცემული ქართული ტექსტი წარმოადგენს თარგმანს რუსული ნათარგმნი ტექსტისას, რომლის ავტორი უცნობია. — **55**.

10 იგულისხმება ახალი, მენშევიკური «ისკრა». რსდმპ II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა, რომლებმაც პლეხანოვის დახმარებით ხელში ჩაიგდეს «ისკრა», გამოიყენეს იგი ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მის ფურცლებზე მათ დაიწყეს თავიანთი ოპორტუნისტული შეხედულებების აშკარა პროპაგანდა. მენშევიკური «ისკრა» გამოდიოდა 1905 წლის ოქტომბრამდე. — **55**.

11 1904 წლის შემოდგომაზე, მენშევიკების მიერ «ისკრის» რედაქციის ხელში ჩაგდების შემდეგ, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა ვ. ი. ლენინის დავალებით მოაწყო სპეციალური გამომცემლობა, რომლის ამოცანა იყო გამოშვება «პარტიული ლიტერატურისა, განსაკუთრებით ისეთისა, რომელიც მიძღვნილი იყო მეორე პარტიული ყრილობის უმრავლესობის პრინციპული პოზიციის დაცვისადმი». პარტიის საბჭო და ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც იმ დროისთვის მენშევიკების ხელში აღმოჩნდნენ, ყოველნაირად აბრკოლებდნენ ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელებას. ამასთან დაკავშირებით კავკასიის ბოლშევიკური კომიტეტების კონფერენციამ, რომელიც 1904 წლის ნოემბერში შესდგა, მიიღო შემდეგი რეზოლუცია «უმრავლესობის ლიტერატურის შესახებ»: «კონფერენცია წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს მიაწოდოს პარტიის კომიტეტებს ბონჩ-ბრუევიჩისა და ლენინის ჯგუფის ლიტერატურა

იმ დანარჩენ პარტიულ ლიტერატურასთან ერთად, რომელიც არკვევს პარტიულ უთანხმოებებს». 1904 წლის დეკემბრის დამლევს საგამომცემლო საქმიანობა გადავიდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ გაზეთ «Вперёд»-ის ხელში. — 55.

12 «22-ის დეკლარაცია» — ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა «პარტიისადმი». იგი მიღებულ იქნა ბოლშევიკების თათბირზე, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით სწარმოებდა 1904 წლის აგვისტოში შვეიცარიაში. ბროშურა «პარტიისადმი», რომელიც ი. ბ. სტალინის წერილშია მოხსენიებული, გარდა მიმართვისა «პარტიისადმი», შეიცავს რეზოლუციებს რიგისა და მოსკოვის კომიტეტებისას, აგრეთვე ჟენევის ბოლშევიკური ჯგუფისას, რომლებიც 22 ბოლშევიკის თათბირის გადაწყვეტილებებს შეუერთდნენ. მიმართვა «პარტიისადმი» ბოლშევიკებისთვის გადაიქცა III ყრილობისთვის ბრძოლის პროგრამად. რსდმპ კომიტეტების უმრავლესობა შეუერთდა ბოლშევიკური თათბირის გადაწყვეტილებებს. 1904 წლის სექტემბერში კავკასიის კავშირის, თბილისის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები შეუერთდნენ «22-ის დეკლარაციას» და გააჩაღეს აგიტაცია პარტიის III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევისთვის. — 55.

13 ვ. ი. ლენინის სტატია «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» დაიწერა 1904 წლის სექტემბერში. სტატია წარმოადგენს პასუხს როზა ლუქსემბურგის ფელეტონზე «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული საკითხები», რომელიც გამოქვეყნდა «ისკრის» 69-ე ნომერში და «Neue Zeit»-ის 42-ე და 43-ე ნომრებში, აგრეთვე კ. კაუცკის წერილზე, რომელიც დაიბეჭდა «ისკრის» 66-ე ნომერში. ლენინი ფიქრობდა თავისი პასუხი მოეთავსებინა «Neue Zeit»-ში, მაგრამ რედაქციამ, რომელიც მხარს უჭერდა მენშევიკებს, უარი სთქვა მის გამოქვეყნებაზე. — 55.

14 «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგის II მორიგი ყრილობის ოქმები»; გამოსცა ლიგამ 1904 წელს ჟენევაში. — 55.

15 ვ. ი. ლენინის წიგნი «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან» დაწერილია 1904 წლის თებერვალ-მაისში და გამოქვეყნდა 6 (19) მაისს (იხ. თხზულებანი, ტ. VI, გვ. 193 — 433). — 55.

16 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წიგნი «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, ტ. IV, გვ. 441 — 634). — 56.

17 პარტიის საბჭო რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული წესდების მიხედვით, უმაღლესი პარტიული დაწესებულება იყო. პარტიის საბჭო შესდგებოდა ხუთი კაცისგან: საბჭოს ორ-ორ წევრს ნიშნავდნენ ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო, საბჭოს მეხუთე წევრს ირჩევდა ყრილობა. საბჭოს ძირითად ამოცანას შეადგენდა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს მუშაობის შეთანხმება და გაერთიანება. მალე რსდმპ II ყრილობის შემდეგ პარტიის საბჭოში უპირატესობა მიიღეს მენშევიკებმა, რომლებმაც იგი თავიანთ ფრაქციულ ორგანოდ გადააქციეს. რსდმპ მესამე ყრილობამ აღმოფხვრა მრავალცენტრიანობა პარტიაში და შექმნა ერთიანი პარტიული ცენტრი — ცენტრალური კომიტეტი, რომელიც იყოფოდა საზღვარგარეთისა და რუსეთის ნაწილებად. III ყრილობის მიერ მიღებული წესდების თანახმად ცენტრალური ორგანოს რედაქტორს ნიშნავდა ცენტრალური კომიტეტი თავისი წევრების შემადგენლობიდან. — **60.**

18 ვ. ი. ლენინის ბროშურა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» ავტორის წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით გამოვიდა ჟენევაში 1904 წელს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემით (იხ. თხზულებანი, ტ. V, გვ. 179 — 192 რუს. გამოც.). — **60.**

19 კოსტროვი, ანი — ნ. ჟორდანიას ფსევდონიმები. — **60.**

20 «კვალი» — ყოველკვირეული გაზეთი ქართულ ენაზე, ლიბერალურ-ნაციონალისტური მიმართულების ორგანო. 1893 — 1897 წლების პერიოდში თავის ფურცლებს უთმობდა დამწყებ ლიტერატორებს «მესამე დასიდან». 1897 წლის დამლევს გაზეთი გადავიდა «მესამე დასის» უმრავლესობის ხელში (ნ. ჟორდანია და სხვ.) და «ლეგალური მარქსიზმის» საყვირი გახდა. რსდმპ შიგნით ბოლშევიკთა და მენშევიკთა ფრაქციების გაჩენის შემდეგ «კვალი» გახდა ქართველი მენშევიკების ორგანო. გაზეთი დახურა მთავრობამ 1904 წელს. — **60.**

21 «პროლეტარიატის ბრძოლა» — ქართული არალეგალური გაზეთი, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო; გამოდიოდა 1903 წლის აპრილ-მაისიდან 1905 წლის ოქტომბრამდე; დაიხურა მე-12 ნომრის გამოსვლის შემდეგ. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1904 წელს, ი. ბ. სტალინი გაზეთის რედაქციას სათავეში ჩაუდგა. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ა. გ. წულუკიძე, ს. გ. შაუმიანი და სხვები. ხელმძღვანელ სტატიებს გაზეთში სწერდა ი. ბ. სტალინი. «პროლეტარიატის

ბრძოლა» იყო გაზეთ «ბრძოლის» საქმის განმგრძობი. რსდმპ კავკასიის კავშირის პირველმა ყრილობამ გადაწყვიტა გაეერთიანებინა გაზეთ «ბრძოლასთან» სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «პროლეტარიატი» ერთ საერთო ორგანოდ, რომელიც გამოდიოდა სამ ენაზე: ქართულ («პროლეტარიატის ბრძოლა»), სომხურ («პროლეტარიატ კრივ») და რუსულ («Борьба Пролетариата») ენებზე. გაზეთის შინაარსი სამივე ენაზე ერთნაირი იყო. ნომრების რიგი რჩებოდა წინა გამოცემისა მოცემულ ენაზე. «პროლეტარიატის ბრძოლა» «Вперёд»-ისა და «პროლეტარის» შემდეგ ყველაზე დიდი ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი იყო, რომელიც თანმიმდევრულად იცავდა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს. «პროლეტარიატის ბრძოლის» რედაქციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან და საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან. როდესაც 1904 წლის დეკემბერში გამოვიდა ცნობა გაზეთ «Вперёд»-ის გამოცემის შესახებ, კავკასიის კავშირის კომიტეტმა «Вперёд»-ის დასახმარებლად შექმნა ლიტერატურული ჯგუფი. კავშირის კომიტეტის მიერ «პროლეტარიატის ბრძოლაში» სათანამშრომლოდ მოწვევის პასუხად ვ. ი. ლენინი 1904 წლის 20 დეკემბრის (ახალი სტილით) წერილში სწერდა: «ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი «პროლეტარიატის ბრძოლის» შესახებ. შევეცდები ვწერო და გადავცემ რედაქციელ ამხანაგებს» (იხ. «ლენინის კრებული» XV, გვ. 267). «პროლეტარიატის ბრძოლა» სისტემატურად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე სტატიებსა და მასალებს ლენინური «ისკრიდან», ხოლო შემდეგ «Вперёд»-იდან და «პროლეტარიდან». გაზეთში ქვეყნდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები. «პროლეტარში» არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი დადებითი რეცენზიები და აზრები «პროლეტარიატის ბრძოლის» შესახებ, აგრეთვე გადაბეჭდილ იქიდან სტატიები და კორესპონდენციები. «პროლეტარის» მე-12 ნომერში აღნიშნულია «პროლეტარიატის ბრძოლის» 1-ლი ნომრის გამოსვლა რუსულ ენაზე. შენიშვნის ბოლოში ნათქვამია: «ჩვენ კიდევ მოგვიხდება დავუბრუნდეთ ამ საინტერესო გაზეთის შინაარსს. მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს კავკასიაში პარტიულობის აღდგენის საქმეში». — **60.**

22 იგულისხმება ი. ბ. სტალინის სტატია «როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?» (იხ. ეს ტომი, გვ. 32). — **60.**

23 მეფე ნიკოლოზ II-ს 1904 წლის 12 დეკემბრის «სახელობითი უმაღლესი

ბრძანებულება» მთავრობის საგანგებო ცნობასთან ერთად გამოქვეყნებული იყო გაზეთებში 1904 წლის 14 დეკემბერს. მეორეხარისხოვანი ხასიათის ზოგიერთი «რეფორმის» დაპირებასთან ერთად ბრძანებულება აცხადებდა თვითმპყრობელური ხელისუფლების ურყევობას და შეიცავდა მუქარას არა მარტო რევოლუციური მუშებისა და გლეხების მიმართ, არამედ ლიბერალების მიმართაც, რომლებმაც გაბედეს მთავრობისთვის წარედგინათ მოკრძალებული კონსტიტუციური მოთხოვნები. ვ. ი. ლენინის გამოთქმით ნიკოლოზ II-ის ბრძანებულება «ლიბერალებისთვის პირდაპირ სილის გაწვნა იყო». — **75.**

24 «კონსტიტუციის პროექტი» შეიმუშავა ლიბერალური «განთავისუფლების კავშირის» წევრთა ჯგუფმა 1904 წლის ოქტომბერში და გამოვიდა ცალკე გამოცემად შემდეგი სახელწოდებით: «რუსეთის იმპერიის ძირითადი სახელმწიფოებრივი კანონი. რუსეთის კონსტიტუციის პროექტი». მოსკოვი, 1904. — **76.**

25 ი. ბ. სტალინის ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» დაიწერა 1905 წლის აპრილის დამლევს. იგი იყო პასუხი ნ. ჟორდანიას სტატიებზე: «უმრავლესობა თუ უმცირესობა?», რომელიც დაიბეჭდა «სოციალ-დემოკრატში», «რა არის პარტია?», რომელიც დაიბეჭდა «მოგზაურში» და სხვ. ი. ბ. სტალინის ბროშურის «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» გამოქვეყნების შესახებ მალე შეიტყვეს საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრში. 1905 წლის 18 ივლისს ნ. კ. კრუპსკაია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი წერილში სთხოვდა გაეგზავნათ ეს ბროშურა საზღვარგარეთ. ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში; ამ ბროშურით მოწინავე მუშები ეცნობოდნენ შინაპარტიულ უთანხმოებებს, ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების პოზიციას. ბროშურა დაიბეჭდა რსდმპ კავკასიის კავშირის არალეგალურ (ავლაბრის) სტამბაში 1905 წლის მაისში ქართულ ენაზე და ივნისში — რუსულ და სომხურ ენებზე, 1 500 — 2 000 ეგზემპლარის რაოდენობით თვითეულ ენაზე. — **86.**

26 «**ისკრა**» — სრულიად რუსეთის პირველი არალეგალური მარქსისტული გაზეთი. იგი დააარსა ვ. ი. ლენინმა 1900 წელს. ლენინური «ისკრის» პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11 (24) დეკემბერს ლეიპციგში, შემდეგი ნომრები გამოდიოდა მიუნხენში, 1902 წლის აპრილიდან — ლონდონში და 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი და სხვ.) ჩამოყალიბებულ იქნა

რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ჯგუფები და კომიტეტები. ამიერკავკასიაში «ისკრის» იდეებს იცავდა არალეგალური გაზეთი «ბრძოლა» — საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანო. («ისკრის» მნიშვნელობისა და როლის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1938, გვ. 37 — 47). — **87.**

27 **«სოციალ-დემოკრატი»** — კავკასიის მენშევიკების არალეგალური ორგანო; გამოდიოდა ქართულ ენაზე თბილისში 1905 წლის აპრილიდან ნოემბრამდე. გაზეთს ხელმძღვანელობდა ნ. ჟორდანია. «სოციალ-დემოკრატის» პირველი ნომერი გამოვიდა როგორც «რსდმპ თბილისის კომიტეტის ორგანო»; შემდეგში გაზეთი თავის თავს უწოდებდა «კავკასიის ს.-დ. მუშათა ორგანიზაციების ორგანოს». — **88.**

28 **«Рабочее Дело»** — საზღვარგარეთ მყოფ რუს სოციალ-დემოკრატთა («ეკონომისტთა») კავშირის არაპერიოდული ორგანო. ჟურნალი გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლიდან 1902 წლამდე. — **89.**

29 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. IV, გვ. 57. — **90.**

30 სტაროვერი — ა. ნ. პოტრესოვის ფსევდონიმი. — **91.**

31 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1940, გვ. 42. — **95.**

32 **«Die Neue Zeit»** («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა შტუტგარტში 1883 წლიდან 1923 წლამდე. — **96.**

33 **«მოგზაური»** — ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1901 წლიდან 1905 წლის ნოემბრამდე. 1905 წლის იანვრიდან «მოგზაური» ხდება ქართველ სოციალ-დემოკრატთა ყოველკვირეულ ლიტერატურულ-პოლიტიკურ გამოცემად, რომელიც ფ. მახარაძის რედაქციით გამოდიოდა. «მოგზაურში» ბოლშევიკი ავტორების სტატიებთან ერთად იბეჭდებოდა მენშევიკების სტატიებიც. — **99.**

34 ჰაინფელდის პროგრამა მიღებულ იქნა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის დამფუძნებელ კრებაზე 1888 წელს ქ. ჰაინფელდში. ეს პროგრამა თავის

პრინციპულ ნაწილში შეიცავდა მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც სწორად აშუქებდნენ საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობას და პროლეტარიატისა და პროლეტარული პარტიის ამოცანებს. შემდეგში ვენის ყრილობაზე 1901 წელს ჰაინფელდის პროგრამა შეცვლილ იქნა ახალი პროგრამით, რომელიც რევიზიონისტულ დებულებებს შეიცავდა. — **108.**

35 იხ. კარლ მარქსი. «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», 1932, გვ. 49. — **112.**

36 «Заря» — რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თეორიული ჟურნალი; დააარსა ვ. ი. ლენინმა, გამოდიოდა გაზეთ «ისკრასთან» ერთად, ერთი საერთო რედაქციით. ჟურნალი გამოდიოდა შტუტგარტში 1901 წლის აპრილიდან 1902 წლის აგვისტომდე. — **115.**

37 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. VI, გვ. 189. — **119.**

38 **«Дневник Социал-Демократа»** — ჟურნალი, რომელსაც ჟენევაში არაპერიოდულად გამოსცემდა გ. ვ. პლეხანოვი 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე. გამოცემულ იქნა 16 ნომერი. 1916 წელს გამოვიდა ჟურნალის კიდევ ერთი ნომერი. — **119.**

39 ჰნჩაკისტები — სომხეთის წვრილბურჟუაზიული პარტიის «ჰნჩაკის» წევრები. პარტია დაარსდა 1887 წელს ჟენევაში სომეხ სტუდენტთა ინიციატივით. ამიერკავკასიაში «ჰნჩაკის» პარტია, რომელმაც სომხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება მიიღო, ეწეოდა გამთიშველ პოლიტიკას მუშათა მოძრაობაში. 1905 — 1907 წლების რევოლუციის შემდეგ «ჰნჩაკის» პარტია გადაგვარდა რეაქციულ ნაციონალისტურ დაჯგუფებად. — **128.**

40 იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, მე-6 გამოც., 1940, გვ. 45 (რუს. გამოც.). — **130.**

41 გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-11 ნომერში დაბეჭდილი იყო მხოლოდ პირველი ნაწილი ი. ბ. სტალინის სტატიისა, «დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია». სტატიის მეორე ნაწილი, როგორც ეს სჩანს «პროლეტარიატის ბრძოლის» ნომრების

(№№ 12, 13, 14) გეგმის ხელნაწერი მონახაზიდან, რომელიც ი. ბ. სტალინის მიერ იყო შედგენილი და არქივშია დაცული, განკუთვნილი იყო «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-13 ნომერში გამოსაქვეყნებლად. იმის გამო, რომ «პროლეტარიატის ბრძოლის» გამოცემა მე-12 ნომერზე შეწყდა, მეორე ნაწილი აღარ გამოქვეყნებულა. სტატიის ეს ნაწილი დარჩა ჟანდარმთა სამმართველოს საქმეებში მხოლოდ რუსულ ენაზე ხელნაწერი თარგმანის სახით. ქართული ორიგინალი აღმოჩენილი არ არის. ამ ტომში მოთავსებული ქართული ტექსტი მეორე ნაწილისა წარმოადგენს თარგმანს რუსული ნათარგმნი ტექსტისას, რომლის ავტორი უცნობია. — **132.**

42 II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესი შესდგა 1904 წლის აგვისტოში. — **135.**

43 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი» (იხ. კარლ მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1941, გვ. 131, 132 რუს. გამოც.). — **137.**

44 იგულისხმება ვ. ი. ლენინის ნაშრომი «დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ», რომელშიც ციტირებულია ფ. ენგელსის სტატია «ბაკუნისტები მუშაობენ» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. VII, გვ. 325, 326, 328 რუს. გამოც.). — **140.**

45 იგულისხმება პროექტი კანონისა თათბირის უფლების მქონე სახელმწიფო სათათბიროს დაარსების შესახებ და სათათბიროს არჩევნების დებულება, რომლებიც შეიმუშავა კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრ ბულიგინის თავმჯდომარეობით. კანონის პროექტი და არჩევნების დებულება გამოქვეყნებული იყო მეფის 1905 წლის 6 (19) აგვისტოს მანიფესტთან ერთად. ბოლშევიკებმა აქტიური ბოიკოტი გამოუცხადეს ბულიგინის სათათბიროს. მან შეკრებაც ვერ მოასწრო, რომ რევოლუციის ძალამ იგი აღგავა. — **149.**

46 ი. ბ. სტალინის სტატიამ «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»», რომელიც დაბეჭდილი იყო «პროლეტარიატის ბრძოლის» № 11-ში, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრში. იძლეოდა რა ი. ბ. სტალინის სტატიის ძირითადი შინაარსის მოკლე რეზიუმეს, ვ. ი. ლენინი სწერდა «პროლეტარში»: «სტატიაში «პასუხად «Социал-демократს»» ჩვენ აღვნიშნავთ ფართოდ ცნობილ «ცნობიერების გარედან შეტანის» საკითხის საუცხოო დაყენებას. **ავტორი ამ საკითხს** ოთხ დამოუკიდებელ ნაწილად ყოფს:

1) ფილოსოფიური საკითხი ყოფიერებისადმი ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ: ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. ორი კლასის არსებობის შესაბამისად ცნობიერებაც ორგვარი მუშავდება: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის მდგომარეობას სოციალისტური ცნობიერება შეესაბამება.

2) «ვინ იმუშავებს, ვის შეუძლია შეიმუშაოს ეს სოციალისტური შეგნება (ე. ი. მეცნიერული სოციალიზმი)?»

«თანამედროვე სოციალისტური შეგნება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ღრმა მეცნიერულ ცოდნაზე» (კაუცკი), ე. ი. მისი შემუშავება «ცალკეული ინტელიგენტ-სოციალ-დემოკრატების საქმეა, რომლებსაც დროც შესწევთ ამისთვის და საშუალებაც».

3) როგორ შედის ეს ცნობიერება პროლეტარიატში? «აი აქ ჩნდება სოციალ-დემოკრატია (და არა მარტო ინტელიგენტი-სოციალ-დემოკრატები), რომელსაც შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება».

4) რას ხვდება სოციალ-დემოკრატია თვით პროლეტარიატში, როდესაც მასთან მიდის სოციალიზმის ქადაგებით? ინსტინქტურ **მიდრეკილებას** სოციალიზმისკენ. «პროლეტარიატთან ერთად ბუნებრივი აუცილებლობით ებადება სოციალისტური მიდრეკილება როგორც თვით პროლეტარებს, ისე იმათ, რომელნიც ითვისებენ პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს; ასე აიხსნება სოციალისტურ ლტოლვილებათა წარმოშობა» (კაუცკი).

მენშევიკს აქედან სასაცილო დასკვნა გამოჰყავს: «აქედან აშკარაა, რომ სოციალიზმი გარედმიდან კი არ შედის პროლეტარიატში, არამედ, პირიქით, პროლეტარიატისგან გამოდის გარეთ და შედის იმ პირთა თავში, რომელნიც პროლეტარიატის შეხედულებას ითვისებენ»! (იხ. «პროლეტარი» № 22, 1905 წ. 11 (24) ოქტომბერი, განყოფილება «პარტიიდან», გვ. 6). — **153.**

47 «პასუხი კავშირის კომიტეტს» გამოიცა «სოციალ-დემოკრატის» 1905 წლის 1 ივლისის მე-3 ნომრის დამატების სახით. «პასუხის» ავტორი იყო ქართველი მენშევიკების ლიდერი ნ. ჟორდანია, რომლის შეხედულებანიც ი. ბ. სტალინმა ულმობლად გააკრიტიკა ბროშურაში «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» და სხვა ნაშრომებში. — **153.**

48 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. V, გვ. 187 (რუს. გამოც.). — **161.**

49 **«Московские Ведомости»** — გაზეთი, რომლის გამოცემა დაიწყო 1756 წელს; გამოხატავდა მებატონე თავად-აზნაურთა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული წრეების ინტერესებს. 1905 წლიდან — შავრაზ-

მელთა ორგანო. დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. — **165.**

50 **«Русские Ведомости»** — გაზეთი, რომელსაც გამოსცემდნენ მოსკოვში 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწენი; იგი გამოხატავდა ლიბერალ მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო. — **167.**

51 **«პროლეტარი»** — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რსდმპ-ის ცენტრალური ორგანო, რომელიც დაარსდა პარტიის III ყრილობის დადგენილებით; გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ვ. ი. ლენინი. «პროლეტარი» განაგრძობდა ძველი, ლენინური «ისკრის» ხაზს და წარმოადგენდა ბოლშევიკურ გაზეთ «Вперёд»-ის მემკვიდრეს. «პროლეტარის» გამოცემა შეწყდა ვ. ი. ლენინის პეტერბურგში გადასვლასთან დაკავშირებით. — **168.**

52 კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია (კ.-დ., კადეტები) — ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მთავარი პარტია; ჩამოყალიბდა 1905 წლის ოქტომბერში. ინიღბებოდნენ რა ყალბი დემოკრატიზმით და თავიანთ თავს უწოდებდნენ «სახალხო თავისუფლების» პარტიას, კადეტები ცდილობდნენ მიემხროთ გლეხობა. ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ცარიზმი კონსტიტუციური მონარქიის ფორმით. შემდეგში კადეტები გადაიქცნენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის პარტიად. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კადეტები აწყობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებსა და აჯანყებებს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. — **170.**

53 **«Кавказский Рабочий Листок»** — პირველი ყოველდღიური ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი კავკასიაში, გამოდიოდა თბილისში რუსულ ენაზე 1905 წლის 20 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ ი. ბ. სტალინი და ს. გ. შაუმიანი. რსდმპ კავკასიის კავშირის IV კონფერენციაზე «Кавказский Рабочий Листок» აღიარებულ იქნა კავკასიის კავშირის ოფიციალურ ორგანოდ. გამოვიდა 17 ნომერი. გაზეთის ორი უკანასკნელი ნომერი გამოვიდა სახელწოდებით **«Елисаветпольский Вестник»**. — **186.**

54 1905 წლის დეკემბერში ლატვიის ქალაქები ტუკუმი, ტალსენი, რუენი, ფრაიდრიხშტადტი და სხვები ხელთ იგდეს აჯანყებული მუშების, მოჯამაგირეებისა და გლეხების შეიარაღებულმა რაზმებმა. დაიწყო პარტიზანული ომი მეფის ჯარების წინააღმდეგ. 1906 წლის იანვარში აჯანყებანი ლატვიაში ჩაახშეს მეფის გენერლების ორლოვის, სოლოგუბისა და სხვების სადამსჯელო ექსპედიციებმა. — **192.**

55 ი. ბ. სტალინის სტატია «სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა» გამოქვეყნდა 1906 წლის 8 მარტს გაზეთ «განთიადში» — რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ყოველდღიურ ორგანოში, რომელიც გამოდიოდა 1906 წლის 5-დან 10 მარტამდე. სტატია იყო ოფიციალური გამოხატულება ბოლშევიკების თვალსაზრისისა სათათბიროს მიმართ ტაქტიკის საკითხებში. «განთიადის» წინა ნომერში მოთავსებული იყო სტატია X ხელმოწერით შემდეგი სათაურით: «სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები და ჩვენი ტაქტიკა», რომელიც ასახავდა მენშევიკების თვალსაზრისს ამ საკითხში. ი. ბ. სტალინის სტატიას დართული ჰქონდა რედაქციის შემდეგი შენიშვნა: «გუშინდელ ნომერში ჩვენ დავბეჭდეთ ერთი წერილი, რომელიც გამოხატავს ჩვენი ამხანაგების ერთი ნაწილის შეხედულებას სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების თაობაზე. დღეს ამავე საგანზე, დაპირებისამებრ, იბეჭდება მეორე წერილი, რომელიც ჩვენი ამხანაგების მეორე ნაწილის პრინციპიალურ შეხედულებას გამოხატავს. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს ორი წერილი პრინციპიალურათ განირჩევა ერთიმეორისაგან: პირველი სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მომხრეა, ხოლო მეორე კი ამის წინააღმდეგია. არც ერთი შეხედულება მარტო კერძო პირების აზრს არ გამოხატავს, ერთიც და მეორეც პარტიაში არსებულ ორი მიმდინარეობის ტაქტიკის გამომთქმელია. ასეა საქმე არა თუ ჩვენში, არამედ მთელ რუსეთში». — **196.**

56 **«Революционная Россия»** — ესერების ორგანო, გამოდიოდა 1900 წლის დამლევიდან 1905 წლამდე; პირველად მისი გამომცემელი იყო «სოციალისტ-რევოლუციონერთა კავშირი», 1902 წლის იანვრიდან გახდა ესერების პარტიის ცენტრალურ ორგანოდ. — **212.**

57 **«Новая Жизнь»** — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის 27 ოქტომბრიდან 3 დეკემბრამდე. ემიგრაციიდან ვ. ი. ლენინის ჩამოსვლის მომენტიდან «Новая Жизнь» გამოდიოდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით. გაზეთში აქტიურ მონა-

წილეობას იღებდა მ. გორკი. «Новая Жизнь» 27-ე ნომერზე დახურა ხელისუფლებამ. გაზეთის უკანასკნელი, 28-ე ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — **215.**

58 **«Начало»** — მენშევიკების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის 13 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე. — **215.**

59 **«ცნობის ფურცელი»** — ყოველდღიური ქართული გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1896 წლიდან 1906 წლამდე. 1900 წლის დამლევიდან გაზეთი ქართველ ნაციონალისტთა საყვირი იყო; 1904 წლიდან გახდა ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ორგანოდ. — **216.**

60 **«ელვა»** — ყოველდღიური ქართული გაზეთი, რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ორგანო; მისი გამოცემა დაიწყო გაზეთ «განთიადის» დახურვის შემდეგ. «ელვის» პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 12 მარტს, უკანასკნელი — 15 აპრილს. ბოლშევიკებისგან გაზეთში ხელმძღვანელ სტატიებს სწერდა ი. ბ. სტალინი. სულ გამოვიდა 27 ნომერი. — **217.**

61 რსდმპ მეოთხე («გამაერთიანებელი») ყრილობა შესდგა 1906 წლის 10 — 25 აპრილს (23 აპრილს — 8 მაისს) სტოკჰოლმში. ყრილობას დაესწრნენ პოლონეთისა და ლიტვის, ლატვიის ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ბუნდის წარმომადგენლები. ბევრი ბოლშევიკური ორგანიზაცია მთავრობის მიერ განადგურებულ იქნა 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ და მათ ვერ შესძლეს დელეგატების გაგზავნა. ყრილობაზე უმრავლესობა, თუმცა უმნიშვნელო, მენშევიკებს ეკუთვნოდა. ყრილობაზე მენშევიკების სიჭარბემ განსაზღვრა ყრილობის მიერ მთელ რიგ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ხასიათიც. ი. ბ. სტალინი ყრილობაზე იყო დელეგატად ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციისგან ივანოვიჩის ფსევდონიმით. იგი ყრილობაზე გამოვიდა კამათში სიტყვებით აგრარული პროგრამის პროექტის შესახებ, მიმდინარე მომენტის შეფასების შესახებ და სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. გარდა ამისა, ი. ბ. სტალინმა ყრილობაზე გააკეთა რამდენიმე ფაქტიური განცხადება, რომლებშიც გამოააშკარავა ამიერკავკასიის მენშევიკთა ოპორტუნისტული ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს, ბუნდთან ხელშეკრულების და სხვა საკითხებში. — **222.**

62 ჯონი — პ. პ. მასლოვის ფსევდონიმი. — **222.**

63 ნ. ხ. — ნოე ხომერიკი — მენშევიკი. — **227.**

64 **«ხიმართლე»** — ქართველი მენშევიკების ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1906 წელს. — **227.**

65 კ. კაუცკი და ჟ. გედი იმ პერიოდში კიდევ არ იყვნენ გადასული ოპორტუნისტთა ბანაკში. რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუციის გავლენით, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაზე და, კერძოდ, გერმანიის მუშათა კლასზე, კ. კაუცკი მთელ რიგ საკითხებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით გამოდიოდა. — **227.**

66 **«ახალი ცხოვრება»** — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1906 წლის 20 ივნისიდან 14 ივლისამდე. გაზეთის ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი. «ახალი ცხოვრების» მუდმივი თანამშრომლები იყვნენ მ. დავითაშვილი, გ. თელია, გ. ქიქოძე და სხვ. სულ გამოვიდა 20 ნომერი. — **228.**

67 ციტატა მოყვანილია ვ. ი. ლენინის სტატიიდან «რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა» (იხ. თხზულებანი, ტ. IX, გვ. 26 რუს. გამოც.). სტატია დაბეჭდილი იყო რსდმპ გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის ორგანოში — «Партийные Известия». «Партийные Известия» გამოდიოდა არალეგალურად პეტერბურგში პარტიის IV («გამაერთიანებელი») ყრილობის წინ. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1906 წლის 7 თებერვალს და № 2 — 20 მარტს. — **228.**

68 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში» (იხ. კარლ მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1941, გვ. 110 — 111 რუს. გამოც.). — **230.**

69 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 118 — 119 რუს. გამოც. — **231.**

70 **«Северная Земля»** — ყოველდღიური ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 23-დან 28 ივნისამდე. — **233.**

71 **«Россия»** — პოლიციურ-შავრაზმული ხასიათის ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1905 წლის ნოემბრიდან 1914 წლის აპრილამდე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო. — **233.**

72 1906 წლის ივნისსა და ივლისში შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. ა. სტოლიპინმა ადგილობრივ ხელისუფალთ დაუგზავნა განკარგულებანი, რომლებშიც მოითხოვდა სამხედრო წესით ულმობლად გასწორებოდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას და რევოლუციურ ორგანიზაციებს. — **234.**

73 ტრეპოვი დ. — პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი, ხელმძღვანელობდა რევოლუციის ჩახშობას 1905 წელს. — **234.**

74 ი. ბ. სტალინის ნაშრომი «დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა» გამოვიდა 1906 წელს თბილისში ქართულ ენაზე; იგი გამოსცა გამომცემლობა «პროლეტარიატმა». ბროშურას დართული ჰქონდა ბოლშევიკების რეზოლუციების სამი პროექტი IV («გამაერთიანებელი») ყრილობისთვის: 1) «დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტი» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. IX, გვ. 39 — 41 რუს. გამოც.), 2) «პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში» (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, მე-6 რუს. გამოც., 1940, გვ. 65), 3) «შეიარაღებული აჯანყება» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. IX, გვ. 41 — 42 რუს. გამოც.), შემდეგ პროექტი რეზოლუციისა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, რომელიც ყრილობაზე ბოლშევიკების სახელით შეიტანა ვ. ი. ლენინმა (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. IX, გვ. 159—160 რუს. გამოც.). გარდა ამისა, ბროშურას დართული ჰქონდა ყრილობის რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ და პროექტი მენშევიკების რეზოლუციისა «რევოლუციის თანამედროვე მომენტისა და პროლეტარიატის ამოცანების შესახებ». — **236.**

75 «დემოკრატიული რეფორმების პარტია» — ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტია, შეიქმნა I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს 1906 წელს. — **246.**

76 ოქტიაბრისტები, ანუ «17 ოქტომბრის კავშირი», — მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და მსხვილი მემამულეების კონტრრევოლუ-

ციური პარტია, შეიქმნა 1905 წლის ნოემბერში. ოქტიაბრისტები სავსებით უჭერდნენ მხარს სტოლიპინის რეჟიმს, ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. — **246.**

77 ტრუდოვიკები, ანუ «შრომის ჯგუფი», — წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ჯგუფი; შეიქმნა 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა დეპუტატებისგან. ტრუდოვიკები მოითხოვდნენ ყველა წოდებრივ და ეროვნულ შეზღუდვათა გაუქმებას, საერობო და საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციას, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისთვის საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას და უწინარეს ყოვლისა აგრარული საკითხის გადაწყვეტას. — **248.**

78 **«Наша Жизнь»** — ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში დროგამოშვებით — 1904 წლის ნოემბრიდან 1906 წლის დეკემბრამდე. — **251.**

79 **«ახალი დროება»** — ლეგალური პროფკავშირული გაზეთი; გამოდიოდა კვირაში ერთხელ ქართულ ენაზე თბილისში 1906 წლის 14 ნოემბრიდან 1907 წლის 8 იანვრამდე. გაზეთი გამოდიოდა ი. ბ. სტალინის, მ. ცხაკაიას და მ. დავითაშვილის ხელმძღვანელობით; დახურულ იქნა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით. — **268.**

80 სენატორ შიდლოვსკის კომისია დაარსებულ იქნა მეფის ბრძანებულებით 1905 წლის 29 იანვარს ვითომდა «ქ. ს.-პეტერბურგსა და მის გარეუბნებში მუშათა უკმაყოფილების მიზეზთა დაუყოვნებლივი გამორკვევისთვის». კომისიის შემადგენლობაში ნავარაუდევი იყო აგრეთვე მუშების მიერ არჩეულ პირთა შეყვანა. ბოლშევიკები ცარიზმის ამ წამოწყებას სთვლიდნენ იმის ცდად, რომ მუშები ჩამოეშორებინათ რევოლუციური ბრძოლისთვის, და წინადადებას იძლეოდნენ კომისიის არჩევნები გამოეყენებინათ მეფის მთავრობისთვის პოლიტიკურ მოთხოვნათა წარსადგენად. მას შემდეგ რაც მთავრობამ უარყო მოთხოვნები, ამომრჩევლებმა უარი თქვეს აერჩიათ კომისიაში თავიანთი წარმომადგენლები და გაფიცვისთვის მოუწოდეს პეტერბურგის მუშებს. მეორე დღეს დაიწყო მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები. 1905 წლის 20 თებერვალს მეფის მთავრობა იძულებული გახდა დაეთხოვა შიდლოვსკის კომისია. — **270.**

81 კომისია ფინანსთა მინისტრ ვ. ნ. კოკოვცევის თაოსნობით დაარსებულ იქნა 1905 წლის თებერვალში. იგი, ისევე როგორც შიდლოვსკის

კომისია, შექმნილ იქნა მუშათა საკითხის განსახილველად, მაგრამ მასში უკვე მუშათა მონაწილეობის გარეშე. კომისიამ იარსება 1905 წლის ზაფხულამდე. — **270**.

82 კავშირების შესახებ 1906 წლის 4 მარტის კანონი ლეგალური არსებობის უფლებას ანიჭებდა საზოგადოებებსა და კავშირებს იმ პირობით, თუ მათს წესდებებს მთავრობა რეგისტრაციაში გაატარებდა. მიუხედავად კავშირების მუშაობის მრავალრიცხოვანი შეზღუდვისა და კანონის დარღვევისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღებისა, მუშები ფართოდ იყენებდნენ მინიჭებულ უფლებებს პროლეტარული პროფესიული ორგანიზაციების შესაქმნელად. 1905—1907 წლების პერიოდში რუსეთში პირველად დაიწყო მასობრივი პროფკავშირების შექმნა, რომლებიც ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას ეწეოდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით. — **270**.

83 მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ი. ვიტე და შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ნ. დურნოვო გუბერნატორებისა და ქალაქის უფროსებისათვის დაგზავნილ მთელ რიგ ცირკულარებსა და დეპეშებში მოითხოვდნენ, რომ მიუხედავად ოფიციალურად გამოცხადებული «თავისუფლებისა», იარაღის ძალით გაეროკნათ მიტინგები და კრებები, დაეხურათ გაზეთები, შეეღოთ გადამწყვეტი ზომები პროფკავშირთა წინააღმდეგ, ადმინისტრაციული წესით გადაესახლებინათ რევოლუციურ მუშაობაში ეჭვმიტანილი ყველა პირი და სხვ. — **270**.

84 1905 წლის დამლევსა და 1906 წლის დამდეგს საქართველოში ანარქისტთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ კროპოტკინის მიმდევარი, ცნობილი ანარქისტი ვ. ჩერქეზიშვილი და მისი მომხრეები მიხაკო წერეთელი (Bâton), შალვა გოგელია (შ. გ.) და სხვ., გააფთრებულ კამპანიას ეწეოდა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ჯგუფი თბილისში უშვებდა გაზეთებს «ნობათს», «მუშას» და სხვ. ანარქისტებს არავითარი დასაყრდენი არ ჰქონიათ პროლეტარიატში, მაგრამ ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს დეკლასირებულ და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს შორის. ანარქისტების წინააღმდეგ გამოვიდა ი. ბ. სტალინი სტატიების სერიით, რომელთა საერთო სახელწოდებაა «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?». პირველი ოთხი სტატია დაიბეჭდა გაზეთ «ახალ ცხოვრებაში» 1906 წლის ივნის-ივლისში. შემდგომი სტატიების ბეჭდვა შეწყდა, ვინაიდან ხელისუფლებამ დახურა გაზეთი. 1906 წლის დეკემბერში და

1907 წლის 1 იანვარს სტატიები, რომლებიც «ახალ ცხოვრებაში» იბეჭდებოდა, გადაიბეჭდა გაზეთ «ახალ დროებაში», მაგრამ რამდენადმე შეცვლილი სახით. გაზეთის რედაქციამ ამ სტატიებს შემდეგი შენიშვნა დაურთო: «ამას წინეთ მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა წინადადება მოგვცა წერილები გაგვეშვა ანარხიზმზე, სოციალიზმზე და სხვა ამისთანა კითხვებზე (იხ. «ახ. დრ.» № 3). ამგვარივე სურვილი განაცხადა ზოგიერთა სხვა ამხანაგებმაც. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ სურვილს და ვუშვებთ ამ წერილებს. რაც შეეხება თითონ წერილებს, საჭიროთ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ წერილების ერთი ნაწილი ერთხელ უკვე გამოვიდა ქართულ პრესაში (ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წერილები ვერ დამთავრდა). მიუხედავათ ამისა, ჩვენ საჭიროთ ვცანით ყველა წერილების გაშვება, თავით ბოლომდე, დაწინადადება მივეცით ავტორს ადვილ-გასაგებ ენაზე გადაეკეთებინა ხსენებული წერილები, რაც მან სიამოვნებით შეასრულა». ასე გაჩნდა ნაშრომის «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?» პირველი ოთხი ნაწილის ორი ვარიანტი. მისი გაგრძელება იბეჭდებოდა გაზეთ «ჩვენ ცხოვრებაში» 1907 წლის თებერვალში და გაზეთ «დროში» 1907 წლის აპრილში. სტატიების «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?» პირველი ვარიანტი, რომელიც «ახალ ცხოვრებაში» გამოქვეყნდა, მოთავსებულია ამ ტომის დამატებაში.

«ჩვენი ცხოვრება» — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ლეგალურად თბილისში 1907 წლის 18 თებერვლიდან. გაზეთს ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი. გამოვიდა 13 ნომერი. 1907 წლის 6 მარტს გაზეთი დახურულ იქნა «უკიდურესი მიმართულებისთვის».

«დრო» — ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში «ჩვენი ცხოვრების» დახურვის შემდეგ 1907 წლის 11 მარტიდან 15 აპრილამდე. გაზეთის ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი. გაზეთის რედაქციაში შედიოდნენ აგრეთვე მ. ცხაკაია, მ. დავითაშვილი. გამოვიდა 31 ნომერი. — **276.**

85 **«ნობათი»** — ქართველ ანარქისტთა ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა 1906 წელს თბილისში. — **284.**

86 იხ. ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული», 1940, გვ. 9. — **285.**

87 იხ. კარლ მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 1932, გვ. **41.** — **290.**

88 ფ. ენგელსი. «ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული». დანართი: «კარლ მარქსი XVIII საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმზე». 1940, გვ. 66. — **301.**

89 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1938, გვ. 160. — **314.**

90 იხ. ფ. ენგელსი. «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა», 1938, გვ. 176 — 177. — **315.**

91 იხ. კარლ მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა», 1932, გვ. 22. — **317.**

92 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1933, გვ. 125, 126. — **321.**

93 **«მუშა»** — ქართველ ანარქისტთა ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1906 წელს. — **330.**

94 **«ხმა»** — ქართველ ანარქისტთა ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1906 წელს. — **330.**

95 კარლ მარქსი. «კომუნისტთა კელნის პროცესი», «Молот»-ის გამოც., სპბ., 1906, გვ. 113 (IX. დამატება. ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი, 1850 წ. მარტი) (იხ. კარლ მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1941, გვ. 133, 134 რუს. გამოც.). — **341.**

96 იხ. კარლ მარქსი. «წერილები კუგელმანისადმი», 1933, გვ. 86 — 87. — **342.**

97 ციტატა მოყვანილია ბროშურიდან: კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში». ფ. ენგელსის წინასიტყვაობით. თარგმანი გერმანულიდან ნ. ლენინის რედაქციით, 1905 (იხ. კარლ მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», 1933, გვ. 19). — **345.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1879–1906)

1879

9 (21) დეკემბერი. ქ. გორში (საქართველო) დაიბადა იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი (სტალინი).

1888

სექტემბერი. ი. ბ. სტალინი შედის გორის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში.

1894

ივნისი. ი. ბ. სტალინმა პირველი ხარისხით დაამთავრა გორის სასწავლებელი.

2 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი შედის თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში.

1895

ი. ბ. სტალინი კავშირს ამყარებს მეფის მთავრობის მიერ ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ რუს რევოლუციურ მარქსისტთა არალეგალურ ჯგუფებთან.

1896—1898

თბილისის სასულიერო სემინარიაში ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს მოსწავლეთა მარქსისტულ წრეებს, სწავლობს «კაპიტალს», «კომუნისტური პარტიის მანიფესტს» და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სხვა ნაშრომებს, ეცნობა ვ. ი. ლენინის ადრინდელ ნაწარმოებებს.

1898

იანვარი. ი. ბ. სტალინი იწყებს მუშათა მარქსისტული წრის ხელმძღვანელობას თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

აგვისტო. ი. ბ. სტალინი შედის საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში — «მესამე დასში». ი. ბ. სტალინი, ვ. ზ. კეცხოველი და ა. გ. წულუკიძე ქმნიან «მესამე დასის» რევოლუციური მარქსისტული უმცირესობის ბირთვს.

———

ი. ბ. სტალინი ადგენს მარქსისტულ მუშათა წრეებში მეცადინეობის პროგრამას.

———

ი. ბ. სტალინი, ვ. ზ. კეცხოველი, ა. გ. წულუკიძე აყენებენ არალეგალური რევოლუციური მარქსისტული პრესის შექმნის აუცილებლობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს პირველი მწვავე უთანხმოებანი «მესამე დასში» მის რევოლუციურ უმცირესობასა და ოპორტუნისტულ უმრავლესობას შორის.

1899

ჟე მაისი. ი. ბ. სტალინი გარიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიიდან მარქსიზმის პროპაგანდისთვის.

28 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სამუშაოდ შედის თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში.

1900

23 აპრილი. ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით მუშათა მაისობაზე თბილისის მიდამოებში, მლაშე ტბის რაიონში.

ზაფხული. ი. ბ. სტალინი კავშირს ამყარებს ლენინური «ისკრის» ცნობილ მომხრესთან ვ. კ. კურნატოვსკისთან, რომელიც თბილისს ჩამოვიდა პარტიული მუშაობისთვის.

აგვისტო. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს მასობრივ გაფიცვას თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

1898—1900

ი. ბ. სტალინის, ვ. ზ. კეცხოველისა და ა. გ. წულუკიძის ხელმძღვანელობით იქმნება და ყალიბდება რსდმპ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრალური ჯგუფი, რომელიც ახორციელებს წრეობრივი პროპაგანდიდან მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლას. ჯგუფი აწყობს პროკლამაციების ბეჭდვას და მუშათა შორის მათს გავრცელებას, ქმნის არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ წრეებს და ხელმძღვანელობს თბილისის პროლეტარიატის გაფიცვებსა და პოლიტიკურ ბრძოლას.

1901

21 მარტი. გაჩხრიკეს ი. ბ. სტალინის ბინა თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში.

25 მარტი. ი. ბ. სტალინი თავს ანებებს მუშაობას ფიზიკურ ობსერვატორიაში და არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის.

22 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციას ქ. თბილისის ცენტრში, სალდათის ბაზარზე.

სექტემბერი. ბაქოში გამოვიდა ი. ბ. სტალინის ინიციატივით შექმნილ არალეგალურ გაზეთ «ბრძოლის» — ქართველ მარქსისტთა რევოლუციური ფრთის ორგანოს — № 1, რომელშიც გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის საპროგრამო სტატია «რედაქციისაგან».

11 ნოემბერი. ი. ბ. სტალინს ირჩევენ რსდმპ თბილისის ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის შემადგენლობაში.

ნოემბრის დამლევი. თბილისის კომიტეტი ი. ბ. სტალინს გზავნის ბათუმში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესაქმნელად.

დეკემბერი. გამოდის გაზეთ «ბრძოლის» № 2 — 3, რომელშიც გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები».

ი. ბ. სტალინი კავშირს ამყარებს ბათუმის მოწინავე მუშებთან და სოციალ-დემოკრატიულ წრეებს ქმნის როტშილდის, მანთაშევის, სიდერიდისის და სხვ. ქარხნებში.

31 დეკემბერი. ახალწლის შეხვედრის საბით ი. ბ. სტალინი აწყობს სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა არალეგალურ კონფერენციას. კონფერენციამ გამოჰყო ხელმძღვანელი ჯგუფი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ამ ჯგუფმა ფაქტიურად შეასრულა რსდმპ ბათუმის ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტის როლი.

1902

იანვარი. ი. ბ. სტალინი ბათუმში აწყობს არალეგალურ სტამბას, ბეჭდავს ფურცლებს, აწყობს პროკლამაციების ბეჭდვასა და გავრცელებას.

31 იანვარი — 17 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მანთაშევის ქარხანაში აწყობს გაფიცვას, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

27 თებერვალი — მარტის დამდეგი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საგაფიცვო კომიტეტის მუშაობას როტშილდის ქარხანაში.

8 მარტი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს გაფიცულ მუშათა მანიფესტაციას, რომლებიც მოითხოვენ გაფიცვის 32 დაპატიმრებული მონაწილის განთავისუფლებას.

9 მარტი. ი. ბ. სტალინი აწყობს და მეთაურობს ბათუმის საწარმოების მუშათა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციას, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 6 000-ზე მეტი კაცი. დემონსტრანტები მოითხოვდნენ პოლიციის მიერ 8 მარტს დაპატიმრებული 300 მანიფესტანტი მუშის განთავისუფლებას. გადასაგზავნ ყაზარმებთან, სადაც ჰყავდათ დაპატიმრებული მუშები, დემონსტრაციას სროლა აუტეხა ჯარმა, რის შედეგად მოკლულ იქნა 15 და დაიჭრა 54 მუშა. 500-მდე დემონსტრანტი დაპატიმრეს. იმავე ღამეს ი. ბ. სტალინი წერს პროკლამაციას დემონსტრაციის დახვრეტის გამო.

18 მარტი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს მუშათა დემონსტრაციას, რომელიც მან მოაწყო 9 მარტის დახვრეტის მსხვერპლთა დაკრძალვასთან დაკავშირებით.

5 აპრილი. ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს ბათუმის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომაზე.

6 აპრილი. ი. ბ. სტალინი მოათავსეს ბათუმის საპატიმროში.

1902 წ. აპრილი — 1903 წ. 19 აპრილი. ბათუმის საპყრობილეში პატიმრად ყოფნისას ი. ბ. სტალინი კავშირს ამყარებს ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, წარმართავს მის მუშაობას, წერს ფურცლებს, ეწევა პოლიტიკურ მუშაობას პატიმართა შორის.

1903

მარტი. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე იქმნება რსდმპ კავკასიის კავშირი. ბათუმის საპყრობილეში პატიმრად მყოფ ი. ბ. სტალინს დაუსწრებლად ირჩევენ ყრილობაზე შექმნილი კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში.

19 აპრილი. ი. ბ. სტალინი ბათუმის საპყრობილიდან გადაჰყავთ ქუთაისის საპყრობილეში, სადაც იგი კავშირს ამყარებს პოლიტიკურ პატიმრებთან, ეწევა მათ შორის ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდას.

შემოდგომა. ი. ბ. სტალინი გადაჰყავთ ბათუმის საპყრობილეში. საიდანაც ეტაპით გზავნიან გადასახლებაში აღმოსავლეთ ციმბირში.

27 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ჩავიდა გადასახლების ადგილზე ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანსკის მაზრის სოფელ ნოვაია უდაში.

დეკემბერი. ციმბირში მყოფი ი. ბ. სტალინი წერილს იღებს ვ. ი. ლენინისგან.

1904

5 იანვარი. ი. ბ. სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან.

თებერვალი. ი. ბ. სტალინი თბილისს ჩადის და სათავეში უდგება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მუშაობას.

ი. ბ. სტალინი წერს საპროგრამო დოკუმენტს «კრედოს», რომელიც მიეძღვნა შინაპარტიულ უთანხმოებებს და პარტიის ორგანიზაციულ ამოცანებს.

იანვარი. ი. ბ. სტალინი მიდის ბაქოში, სადაც კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით შლის მენშევიკურ კომიტეტს და ქმნის ახალ, ბოლშევიკურ კომიტეტს.

ზაფხული. ი. ბ. სტალინი მიდის ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს რაიონებში, სადაც დისკუსიებზე გამოდის მენშევიკების, ფედერალისტების, ანარქისტებისა და სხვათა წინააღმდეგ.

ქუთაისში ი. ბ. სტალინი აარსებს იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკურ კომიტეტს.

1 სექტემბერი. გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-7 ნომერში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია «როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?».

სექტემბერი — ოქტომბერი. შინაპარტიულ უთანხმოებებთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი ქუთაისში ყოფნისას ქართველ ბოლშევიკებს საზღვარგარეთ წერს წერილებს, რომლებშიც ავითარებს ლენინურ იდეებს მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების შესახებ.

ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მიდის ბაქოში, ხელმძღვანელობს ბრძოლას პარტიის III ყრილობის მოწვევისთვის.

13—31 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს ბაქოს მუშების საყოველთაო გაფიცვას.

1905

1 იანვარი. «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-8 ნომერში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია «პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია».

8 იანვარი. გამოდის ი. ბ. სტალინის მიერ შორეულ აღმოსავლეთში ცარიზმის დამარცხებასთან დაკავშირებით დაწერილი მოწოდება «კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!».

თებერვლის დამდეგი. ი. ბ. სტალინის ინიციატივით კავკასიის კავშირის კომიტეტი შლის თბილისის მენშევიკურ კომიტეტს, რომელმაც განაცხადა რსდმპ კავკასიის კავშირიდან გასვლის შესახებ, და აარსებს თბილისის ახალ, ბოლშევიკურ კომიტეტს.

13 თებერვალი. ბაქოში თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით, რაც პოლიციამ პროვოკაციულად გამოიწვია, ი. ბ. სტალინი წერს ფურცელს «გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!».

15 თებერვალი. თბილისში წარმატებით ჩატარებულ მრავალათასიან საპროტესტო დემონსტრაციასთან დაკავშირებით, რაც მოეწყო პოლიციის ცდის წინააღმდეგ — თბილისშიც პროვოკაციულად გამოეწვია ნაციონალური ხოცვა-ჟლეტა, ი. ბ. სტალინი წერს ფურცელს «მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას!».

აპრილი. ი. ბ. სტალინი გამოდის დიდ სადისკუსიო კრებაზე ბათუმში მენშევიკთა ლიდერების ნ. რამიშვილის, რ. არსენიძის და სხვ. წინააღმდეგ.

მაისი. გამოდის ი. ბ. სტალინის ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე».

12 ივნისი. ი. ბ. სტალინი ა. გ. წულუკიძის დაკრძალვაზე გამოდის სიტყვით, რომელშიც სახავს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა ბრძოლის ფართო პროგრამას და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მენშევიკების ტაქტიკას.

15 ივლისი. გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-10 ნომერში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია «შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა».

18 ივლისი. ნ. კ. კრუპსკაია კავკასიის კავშირის კომიტეტისთვის გაგზავნილ წერილში სთხოვს გაუგზავნონ ი. ბ. სტალინის ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» და რეგულარულად უგზავნონ გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა».

ივლისი. ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით ორიათასიან სადისკუსიო მიტინგზე ჰიათურაში ანარქისტების, ფედერალისტების, ესერების წინააღმდეგ.

15 აგვისტო. გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-11 ნომერში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატიები «დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია» და «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»».

15 ოქტომბერი. «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-12 ნომერში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატიები «რეაქცია მწვავდება» და «ბურჟუაზია მახეს აგებს».

18 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის მუშათა მიტინგზე ნაძალადევში (თბილისის რაიონი) მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის ვამო.

ოქტომბერი. სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი წერს ფურცლებს «მოქალაქენო!» და «ყველა მუშას».

20 ნოემბერი. გამოდის გაზეთი «Кавказский Рабочий Листок»-ის № 1 ი. ბ. სტალინის მოწინავე სტატიით «თბილისი, 1905 წლის 20 ნოემბერი».

ნოემბრის დამლევი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენციის მუშაობას.

12—17 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს ტამერფორსში შემდგარ ბოლშევიკების I სრულიად რუსეთის კონფერენციის მუშაობაში როგორც რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატი. კონფერენციაზე მოხდა ი. ბ. სტალინის პირადი გაცნობა ვ. ი. ლენინთან.

1906

იანვრის დამდეგი. გამოვიდა ი. ბ. სტალინის ბროშურა «ორი შეჯახება».

6 მარტი. გაზეთ «განთიადის» მე-3 ნომერში დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა».

17 — 20 მარტი. გაზეთ «ელვის» 5, 9, 10, 14 ნომრებში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატიები «აგრარული საკითხი» და «აგრარული საკითხის გამო».

მარტის დამლევი. ი. ბ. სტალინი არჩეულ იქნა რსდმპ IV («გაერთიანებელი») ყრილობის დელეგატად თბილისის ორგანიზაციისგან.

10 — 25 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რსდმპ IV («გაერთიანებელი») ყრილობის მუშაობაში სტოკჰოლმში; გამოდის მენშევიკების წინააღმდეგ, ასაბუთებს და იცავს ბოლშევიკურ ტაქტიკას რევოლუციაში.

20 ივნისი. გამოდის № 1 გაზეთ «ახალი ცხოვრებისა», რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს.

21 ივნისი — 9 ივლისი. ბოლშევიკური გაზეთის «ახალი ცხოვრების» 2, 4, 7 და 16 ნომრებში იბეჭდება ი. ბ. სტალინის სტატიების სერია «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?»

ივნისი — ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს თბილისში პროფესიული კავშირების (სტამბის მუშების, ნოქრების და სხვ.) შექმნას.

18 ივლისი. «ახალი ცხოვრების» № 19-ში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია «მარქსი და ენგელსი აჯანყებაზე».

14 ივლისი. «ახალი ცხოვრების» № 20-ში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია «საერთაშორისო კონტრრევოლუცია».

ივლისი — აგვისტო. გამოდის ი. ბ. სტალინის ბროშურა «დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა».

სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რსდმპ კავკასიის ორგანიზაციების საოლქო ყრილობის მუშაობაში.

14 ნოემბერი. გამოდის № 1 გაზეთ «ახალი დროებისა», რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს; ნომერში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია «კლასთა ბრძოლა».

4 დეკემბერი. «ახალი დროების» № 4-ში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის სტატია ««საფაბრიკო კანონმდებლობა» და პროლეტარული ბრძოლა».

11 დეკემბერი. «ახალი დროების» № 5-ში კვლავ იწყება ბეჭდვა ი. ბ. სტალინის სტატიების სერიისა «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?»

1906 წ. 18 დეკემბერი — 1907 წ. 10 აპრილი. გრძელდება ბეჭდვა ი. ბ. სტალინის სტატიების სერიისა «ანარქიზმი თუ სოციალიზმი?» ბოლშევიკურ გაზეთებში: «ახალი დროება», «ჩვენი ცხოვრება» და «დრო».

შინაარსი

	გვ.
გამოცემის წინასიტყვაობა	VII
პირველი ტომის წინასიტყვაობა	XI
ჭართული გამოცემისათვის	XIII
ავტორის წინასიტყვაობა პირველი ტომისათვის	XV

1901 — 1907

რედაქციისაგან	3
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები	11
როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?	32
წერილი ჟურნალიდან	55
წერილი ჟურნალიდან	58
პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია (პარტიის წესდების პირველი მუხლის გამო)	61
კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!	73
გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!	79
მოქალაქეებს. გაუმარჯოს ფითელ დროშას!	82
გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე	86
შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა	125
დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია	132
პასუხად «სოციალ-დემოკრატს»	153
რეაქცია მწვავდება	165
გურჟუაზია მახეს აგებს	170

მოძალადენო! 176
ყველა მუშას 180
თბილისი, 1905 წლის 20 ნოემბერი 184
ორი შეჯახება (9 იანვრის გამო) 187
სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა 196
აგრარული საკითხი 203
აგრარული საკითხის გამო 217
აგრარული პროგრამის გადასინჯვის შესახებ (სიტყვა რსდმპ IV ყრილობის მეშვიდე სხდომაზე 1906 წლის 13 (26) აპრილს) 222
ეიზდინარე მომენტის შესახებ (სიტყვა რსდმპ IV ყრილობის მეთხუთმეტე სხდომაზე 1906 წლის 17 (30) აპრილს) . . . 225
მარქსი და ენგელსი აჯანყებაზე 227
საერთაშორისო კონტრრევოლუცია 233
დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა 236
კლასთა ბრძოლა 261
«საფაბრიკო კანონმდებლობა» და პროლეტარული ბრძოლა (15 ნოემბრის ორი კანონის გამო) 269
ანარქიზმი თუ სოციალიზმი? 276
I დიალექტიკური მეთოდი 279
II მატერიალისტური თეორია 292
III პროლეტარული სოციალიზმი 309
დამატება 350
ანარქიზმი თუ სოციალიზმი? 350
დიალექტიკური მატერიალიზმი 350
შენიშვნები 369
ბიოგრაფიული ქრონიკა (1879—1906) 390

ტირაჟი 20.000.
გადაეცა წარმოებას 21/I-1953.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/X-1953.
ნაბეჭდ ფორმ. რაოდ. 26½ + 1 ჩანაწ. ფურც.
შეკვ. № 473.

ფასი 6 მან.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.